941(47922)
ბ-512
ЦЕНА:

ზ ბერაძე        მანანა სანაძე



# საქართველოს ისტორია

წიგნი I

(ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები)

თბილისი 2003

941(479.22)(075.8)
ბ-512

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

თამაზ ბერაძე, მანანა სანაძე

# საქართველოს ისტორია

96288

წიგნი I

(ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები)

გამომცემლობა
„საქართველოს მაცნე“

თბილისი 2003

წინამდებარე წიგნში გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XVI საუკუნემდე, ანუ საქართველოს ისტორიის პრეისტორიული, ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები. საქათველოს ისტორიის ეს ვრცელი მონაკვეთი ასახულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" პირველ სამ ტომში. ეს ტომები გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოქვეყნდა და შეესაბამება საქართველოს ისტორიის ცოდნის იმ დონეს, რომელიც იმჟამად არსებობდა. მას შემდეგ თითქმის სამი ათეული წელი გავიდა. ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში სამეცნიერო მიმოქცევაში არაერთი ახალი არქეოლოგიური მასალა და წერილობითი წყარო შემოვიდა. საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხები და პერიოდებიც კი ახლებურად დამუშავდა. ამან დღის წესრიგში საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდის ახლებურად გამართვის აუცილებლობა დააყენა. ეს ნაშრომი ამ მხრივ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

წიგნს ერთვის ისტორიული რუკები, რომლებზედაც გამოხაზულია საქართველო მისი ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, აგრეთვე ნაჩვენებია საქართველოს ადგილი დიდი მსოფლიო იმპერიების გვერდით თუ მათ ფარგლებში. ნაშრომს ერთვის ქართლის მეფეთა და ერისმთავართა, აგრეთვე ერთიანი საქართველოს მეფეების გენეალოგიური და ქრონოლოგიური ნუსხა.

წიგნი განსაზღვრულია საშუალო სკოლების საქართველოს ისტორიის მასწავლებლების, აგრეთვე ჰუმანიტარული კოლეჯებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

მეცნიერ-რედაქტორები:
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,*
*პროფესორი გიული ალასანია*
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,*
*პროფესორი ნანა ხაზარაძე*

რეცენზენტები:
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,*
*პროფესორი გონელი არახამია*
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,*
*პროფესორი ვახტანგ ჯაფარიძე*

***რედაქტორი*** *ნანო იორამაშვილი*
***რუკების კომპიუტერული მომსახურება*** *კონსტანტინე თოფურიასი*

**ISBN 99928-28-76-5**

# თავი I

# ჩვენი სამშობლო საქართველო

## § 1. საქართველო და მისი მეზობლები

საქართველო მდებარეობს კავკასიაში. მისი ტერიტორია 69500 კვ. კმ-ია, მოსახლეობა 2003 წლისათვის ექსპერტთა მონაცემებით 4 700 000 კაცს შეადგენს. საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 4/5 ქართველები არიან. ქართველების გარდა საქართველოში ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, ოსები, აფხაზები, ქურთები, ებრაელები, ბერძნები, უკრაინელები, ბელორუსები, ასირიელები, ქისტები ... ტერიტორიის სიდიდით ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს დიდ ქვეყნებს ვერ შეედრება, მაგრამ მრავალ ისეთ ქვეყანას აღემატება როგორიცაა: ალბანეთი, ბელგია, ისრაელი, ლატვია, ლიტვა, შვეიცარია, ჰოლანდია ... მოსახლეობითაც ის ყველაზე მცირერიცხოვანი როდია....

საქართველოს საზღვრების საერთო სიგრძე 1969 კმ-ია, აქედან ძირითადი ნაწილი სახმელეთო საზღვარზე მოდის, ხოლო საზღვაო საზღვარი მხოლოდ 315 კმ-ია. საქართველოს შავი ზღვით მეზობლება თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის და რუსეთის. ხმელეთით საქართველოს უშუალო მეზობლები არიან: თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი.

რუსეთი ანუ რუსეთის ფედერაცია საქართველოს ჩრდილოელი მეზობელია. ყველაზე ჩრდილო-დასავლეთით საქართველოს რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარე ემიჯნება, შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთით - რუსეთის ფედერაციაში შემავალი: ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ალანიის, ინგუშეთის, ჩეჩნეთის და დაღესტნის რესპუბლიკები.

რუსეთის ფედერაცია საქართველოს მეზობლებს შორის უდიდესი ქვეყანაა. ამავე დროს იგი მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება. მისი ფართობი 17 მილიონ კვ. კმ-ს აღემატება, მოსახლეობა კი დაახლოებით 150 მილიონია. რუსეთის ფედერაციის დედაქალაქია მოსკოვი.

მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებს მიეკუთვნება საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მეზობელი თურქეთის რესპუბლიკაც, რომლის ტერიტორია 780 ათასი კვ. კმ-ს, ხოლო მოსახლეობა 60 მილიონ კაცს აღემატება. თურქეთის რესპუბლიკის დედაქალაქია ანკარა.

ტერიტორიით და მოსახლეობით საქართველოს აღემატება მისი აღმოსავლეთის მეზობელი აზერბაიჯანის რესპუბლიკა, რომლის ფართობი 86,6 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა დაახლოებით 7 მილიონს შეადგენს. აზერბაიჯანის დედაქალაქია ბაქო.

საქართველოს ტერიტორიით და მოსახლეობით ჩამოუვარდება მისი სამხრეთ-აღმოსავლეთელი მეზობელი სომხეთის რესპუბლიკა, რომლის ტერიტორია დაახლ. 30 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა 2 მილიონნახევარ კაცს აღემატება. სომხეთის დედაქალაქია ერევანი **(იხ. რუკა 1)**.

საქართველოს დასავლეთით შავი ზღვა ემიჯნება, ჩრდილოეთით მისი ტერიტორიის ნაწილი კავკასიის მთიანეთს უკავია, ხოლო სამხრეთით - მცირე კავკასიის მთიანეთს.

საქართველოს დედაქალაქია თბილისი, რომელსაც ძველად „ტფილისი" ეწოდებოდა. ამ სახელიდან მოდის საქართველოს დედაქალაქის ძველი უცხოური სახელწოდება „ტიფლისი". ჩვენი სამშობლოს სიდიდით მეორე ქალაქია ქუთაისი, ძველი ქუთათისი. საქართველოს უმნიშვნელოვანესი ნავსადგურებია ბათუმი, ფოთი და სოხუმი.

ბათუმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქია, სოხუმი კი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის.

კავკასიონის მთიანეთი შავ და კასპიის ზღვებს შორისაა გადაჭიმული. შავი ზღვა ამ ზღვის შედარებით ახალი სახელია. თავდაპირველად ჩვენი წინაპრები მას უბრალოდ „ზღვას" უწოდებდნენ, შემდეგ კი, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე

### [illegible] ბათუმი და სოხუმი ძველად

ძველად ბათუმს „ბათომისს" უწოდებდნენ. ეს სახელი ძველი ბერძნული „ბათისლიმენ" მომდინარეობს, რაც „ღრმას" ნიშნავს. XIII-XV სს-ში დასავლეთ ევროპელები ამ ქალაქს „ვატის" - „ლოვატის" უწოდებდნენ, რაც ბერძნული „ბათის" ლათინური შესატყვისია.

ქალაქ სოხუმს ძველი ბერძნები „დიოსკურიას", რომაელები - „სებასტოპოლისს", დასავლეთ ევროპელები კი „სევასტოპოლს" უწოდებდნენ. სახელწოდება „სოხუმი", ანუ „სუხუმი" ამ ქალაქის ძველი ქართული სახელიდან - ცხუმი/ცხუმიდან მოდის, რაც ძველი ქართული ენის ერთ-ერთ დიალექტზე რცხილას ნიშნავს. საკუთრივ სოხუმი/სუხუმი ქართული „ცხუმის" თურქული გამოთქმაა. თურქულს „ც" ბგერა არ გააჩნია, რის გამოც მან „ს"-თი შეცვალა. თანაც ამ ენის სიტყვის თავში ორი თანხმოვნის ერთად გამოთქმა არ შეუძლია, ამიტომ ხმოვანს ან თავში უმატებს ან თანხმოვნებს შორის.

## შავი ზღვის ძველი სახელები

[illegible] შავ ზღვას „[illegible] ზღვას" უწოდებდნენ. ეს იყო სახელწოდება ამ ქვეყნისა, რომელიც შავ [illegible] და შავ ზღვას შორის მდებარეობდა. ძველი [illegible] შავ ზღვას „[illegible] ზღვას" ან კიდევ „[illegible] ზღვას" უწოდებდნენ. [illegible] ტომები მას „[illegible]" ზღვას უწოდებდნენ, რაც მათ ენაზე [illegible] ნიშნავდა. ეს სახელი ძველმა ბერძნებმა გადმოიღეს და [illegible] „[illegible]" ანუ „[illegible]" [illegible] შავ ზღვას [illegible] უწოდებდნენ [illegible] „[illegible]" „ზღვას" უწოდებდნენ. მოგვიანებით „პონტო" [illegible] „ზღვად" [illegible] ძველი ბერძნებმა შავ ზღვას „პონტოს [illegible]" ანუ „პონტოს ზღვა" უწოდეს, რაც [illegible] „ზღვის ზღვას" ნიშნავს. ეს სახელი [illegible] წინაპრებმაც გადაიღეს. ამ სახელის [illegible] „პონტოს [illegible]" იგივე „პონტოს [illegible]" [illegible], რაც შავ ზღვას ნიშნავს და [illegible] „[illegible]" [illegible]. XIV-XV საუკუნეებიდან სახელწოდება „შავი ზღვა" [illegible]

[illegible], რომ ძველი ბერძენი [illegible] შავი ზღვის ამ [illegible], რომელიც საქართველოს [illegible] „[illegible] ზღვას" უწოდებს. [illegible] X-XI სს-ში შავ ზღვას [illegible] „ქართველთა ზღვას" [illegible] შავ ზღვას [illegible] XII ს-ის [illegible] „[illegible] ზღვის" სახელით [illegible], რაც ძველი [illegible] ქართული სახელწოდების სახელიდან მომდინარეობს. XV-XVI [illegible] „[illegible] ზღვა" უწოდეს.

## ჩვენი წინაპრები კავკასიონის თოვლიან მთებში

[illegible] ძველი ბერძენი [illegible] კავკასიონის „[illegible]" [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

## დარუბანდი

სპარსულად „დარ" ნიშნავს კარს. [illegible] „[illegible]", [illegible] „[illegible]", [illegible] „[illegible]"; [illegible] „[illegible]" ნიშნავს [illegible], [illegible] „[illegible]", „[illegible]" [illegible] „[illegible]" - [illegible].

მოსახლე ქართული ტომის სახელების მიხედვით - „ჰერის ზღვა". მოგვიანებით ქართველებმა ძველი ბერძნების გავლენით შავ ზღვას „პონტოს ზღვა" უწოდეს. თანამედროვე ქართული სახელი „შავი ზღვა" XVII ს-დან ჩნდება.

კასპიის ზღვის სახელი კასპიელთა ტომიდან წარმოსდგება. ეს ტომი ძველად ამ ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდა. ჩვენი წინაპრები კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილს „გურგენის", ჩრდილოეთ ნაწილს კი „დარუბანდის" ზღვას ეძახდნენ. სახელწოდება „გურგენის ზღვა" კასპიის ზღვას ძველმა სპარსელებმა შეარქვეს, რაც მათ ენაზე „მგლების ქვეყნის ზღვას" ნიშნავს. ასე უწოდებდნენ ისინი კასპიის ზღვის სამხრეთით და დასავლეთით მდებარე ქვეყნებს. კასპიის ზღვას „ხაზართა ზღვასაც" უწოდებდნენ, რაც მის ჩრდილო სანაპიროზე მდებარე, ერთ დროს ძლიერი ხაზართა ქვეყნის სახელიდან წარმოსდგება. ამ სახელს მას დღესაც უწოდებენ აღმოსავლეთის ქვეყნებში.

სახელწოდება „კავკასია" აგრეთვე ძველსპარსული „კაპკაპი"-დან მომდინარეობს, რაც ამ ენაზე მაღალ, დიდ მთას აღნიშნავდა. მართლაც, კავკასიონის მთიანეთი მსოფლიოს უმაღლესი მთაგრეხილების რიცხვს მიეკუთვნება. მისი უმაღლესი მწვერვალი იალბუზი ზღვის დონიდან 5642 მეტრზეა. დღეს იალბუზი რუსეთის ფედერაციის საზღვრებშია. საქართველოში კავკასიონის უმაღლესი მწვერვალებია შხარა (5068 მ.) და მყინვარწვერი, იგივე ყაზბეგი (5003 მ.). მწვერვალი უშბა შედარებით დაბალია (4700 მ), მაგრამ ალპინისტებს თავისი მიუდგომლობით იზიდავს.

კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი კავკასიას ორად ყოფს. ამ ქედის გადაღმა ჩრდილოეთ კავკასია მდებარეობს, რომელსაც საქართველოში იმიერკავკასიასაც ეძახიან. კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით მდებარე კავკასიის ნაწილს საქართველოში, ჩვეულებრივ, ამიერკავკასიას უწოდებენ. რუსები მას თავის მხრივ „ზაკავკაზიეს" ანუ „ამიერკავკასიას" ეძახიან. ახეთი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დღეისათვის მკვიდრდება მისი ახალი სახელი - „სამხრეთ კავკასია".

საქართველოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს, მაგრამ მისი მცირე ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაშიც გადადის.

კავკასიონის მთავარი ქედი, უძველესი დროიდან აბრკოლებდა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას შორის ადამიანთა მიმოსვლას, თუმცა გადაულახავ ჯებირს მაინც ვერ ქმნიდა. სამიმოსვლოდ პირველ რიგში გამოიყენებოდა დარუბანდის ვიწრო გასასვლელი, რომელიც არის პატარა ზოლი კავკასიონსა და კასპიის ზღვას შორის. დარუბანდის, იგივე დერბენდის სახელწოდება ძველსპარსულად „ჩაკეტე კარ"-ს ნიშნავს.

ამ გასასვლელის გარდა, სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიას შორის მიმოსვლა კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის უღელტეხილებით ხდებოდა, რომლებიც კავკასიონის მთავარი ქედიდან გამოსული მდინარეების სათავეებთანაა. ასეთი გადასასვლელი საქართველოში ორმოცდაამდეა. მათ შორის ძველად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჯვრის უღელტეხილს, რომელიც მდინარეების არაგვისა და თერგის სათავეების შესაყარში მდებარეობს. საქართველოს საზღვართან მდ. თერგი ვიწრო დარიალის ხეობაში შედის, რომლის ბოლოს უძველესი დროიდან დარიალის ციხე იდგა. დარიალიც ძველი სპარსული „დარ-ი ალანი"-ა და „ალანთა კარს" ნიშნავს. ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ალანებს ჩვენი წინაპრები „ოვსებს" უძახდნენ, ამიტომ საქართველოდან თერგის ხეობით ოსეთში გასასვლელს, ძველსპარსულ „დარიალან" იგივე „დარიალ"-თან ერთად ჩვენი წინაპრები „ოვსთა კარსაც" უწოდებდნენ. კავკასიონის მთიანეთიდან მცირე კავკასიონისკენ ლიხის ანუ სურამის ქედი მიემართება, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ ჰყოფს.

## § 2. საქართველოს ბუნება

მრავალფეროვანია საქართველოს ჰავა და ბუნება. აქ მსოფლიოში გავრცელებული თითქმის ყველა კლიმატური ზონა გვხვდება, მათ შორის სუბტროპიკები და ნახევარუდაბნოებიც კი.

ჰავისა და რელიეფის მრავალფეროვნება საქართველოს თვალწარმტაც ქვეყნად აქცევს: შავი ზღვის მოლივლივე ტალღებთან ახლოს მუდმივი თოვლით დაფარული მთები და მყინვარებია, ხოლო დაბლობებს ტყით დაფარულ მდინარეთა ვიწრო ხეობები ცვლის. საქართველოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მთაგორიანია. კავკასიონის მთიან სისტემას უჭირავს ჩვენი სამშობლოს ერთ მესამედზე მეტი. მცირე კავკასიონის მთიანეთზე მოდის საქართველოს ტერიტორიის კიდევ დაახლოებით ერთი მესამედი.

ამ ორ მთათა სისტემას შორის არსებული ვაკეებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია კოლხეთის დაბლობი, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის და ალაზნის ვაკეები.

საქართველო მტკნარი წყლით მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. აქ არის ბევრი მდინარე, ტბა თუ ხელოვნური წყალსაცავი. აქვეა მყინვარები, მიწისქვეშა წყლები და ჭაობები.

ყველაზე მეტი ჭაობი კოლხეთის დაბლობში გვხვდება. მყინვარები მხოლოდ კავკასიის მთავარ წყალგამყოფ და მის მიმდებარე ქედებზეა.

საქართველოს მდინარეები კასპიის ან შავი ზღვის აუზებს განეკუთვნებიან. ჩვენი ქვეყნის უდიდესი მდინარე მტკვარი, რომელიც ასევე პირველია კავკასიის მდინარეთა შორის. აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მდინარე, რომელიც კასპიის აუზს მიეკუთვნება, მტკვრის შენაკადია. ამ მხრივ გამონაკლისს, უპირველეს ყოვლისა, თერგი წარმოადგენს, რომელიც კავკასიის წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით იწყება და კასპიის ზღვას უერთდება. მას ქართველები ძველად ლომეკს უწოდებდნენ, ხოლო შიდა ქართლის არაგვისაგან განსხვავებით, ოვსეთის ანუ ოსეთის არაგვს უძახდნენ. მართლაც, საქართველოს საზღვრების შემდეგ, ეს მდინარე პირველად ოსეთის ტერიტორიაზე მიედინება. სახელწოდება თერგი შედარებით ახალია. აქედან წარმოსდგება ამ მდინარის რუსული სახელი „ტერეკ"-ი.

მდინარე მტკვარი თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიულ პროვინცია კოლაში იწყება. მისი სიგრძე 1364 კმ-ია. სანამ კასპიის ზღვას შეუერთდებოდეს, მტკვარი თურქეთის, საქართველოს და აზერბაიჯანს გაივლის. ჩვენი წინაპრები მტკვარს „მტ-კუარ-ს" უძახდნენ, აქედან გაჩნდა ამ მდინარის ბერძნული სახელწოდება „კურ-ოს", „კირ-ოს", რომელიც თავის მხრივ საფუძვლად დაედო მის უცხოენოვან სახელს „კურა"-ს. მდ. მტკვარმა უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში. შემთხვევითი არაა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქთა უმრავლესობა უძველესი დროიდან ამ მდინარის ნაპირას მდებარეობს. მათ შორისაა ქართლის სამეფოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი თბილისიც მდინარე მტკვრის ორსავე ნაპირზეა გაშენებული.

შიდა ქართლის ვაკეზე მტკვრის მარცხენა შენაკადებიდან აღსანიშნავია ლიახვი, ქსანი და არაგვი. მდ. არაგვის [illegible] შტოს, რომელიც ლომისის ქედიდან გამოედინება, თეთრი, იგივე მთიულეთის არაგვი ეწოდება. ფასანაურთან მას მარცხენა მხრიდან შავი ანუ გუდამაყრის არაგვი უერთდება. უფრო ქვემოთ ჟინვალთან მთიულეთის არაგვს მარცხენა მხრიდან ფშავის არაგვი უერთდებოდა, რომელიც დღეს ჟინვალის წყალსაცავში შეედინება. ფშავის არაგვს მარჯვნიდან ხევსურეთის არაგვი უერთდება.

საქართველოში ცოტაა ხეობა, რომელსაც ასეთი დიდი როლი ეთამაშა მის ისტორიაში, როგორ არაგვის ხეობამ. ამ მდინარის უძველესი დროიდან მიუყვებოდა სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ევრ ულელტეხილით თერგის ხეობაში გადადიოდა და საქართველოს, ისევე როგორც მთელ სამხრ კავკასიას, დარიალის გასასვლელით ჩრდილოეთ კავკასიასთან და აღმოსავლეთ ევროპასთ აკავშირებდა. ამ გზით საქართველოს საუკუნეთა მანძილზე მრავალი მტერიც შემოსევია. დღეს ამ გზ „საქართველოს სამხედრო გზა" ეწოდება.

საქართველოში მტკვრის ყველაზე დიდი შენაკადი მდინარე ალაზანია. ეს მდინარე კავკასიონ მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთებიდან ალაზნის ვაკეზე ეშვება. ცოტა უფრო დასავლეთი ამავე ქედის კალთებიდან კახეთის სიღრმით მეორე მდინარე იორი იწყება. ეს ორი მდინარე დიდ მანძილზ თითქმის პარალელურად მიედინება. ჩვენი წინაპრები მდინარე ალაზანს და იორს ტყუპის ცალებ გაიაზრებდნენ, ამიტომ საკუთრივ ალაზანს „დიდ ალაზანს", იორს კი „მცირე ანუ პატარა ალაზან უძახდნენ. ძველი ბერძენი და რომაელი ავტორები ამ მდინარეს „კამბისის" სახელით მოიხსენიებენ, რა ძველი ქართული ქვეყნის, კამბეჩოვანის (გვიანდელი ქიზიყი) სახელიდან მოდის და ქართუ „კამბეჩს//კამეჩს" უკავშირდება. მინგეჩაურის წყალსაცავის აშენებამდე მდინარე იორი მტკვართ ალაზნის შეერთებამდე ცოტა ზემოთ ალაზანს უერთდებოდა. დღეს ეს ორი მდინარე ცალ-ცალკ უერთდება მინგეჩაურის წყალსაცავს, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს.

საქართველოში მტკვრის მარჯვენა შენაკადებიდან უდიდესია მდინარე ხრამი, იგივე ქცია, რომელი მტკვართან შეერთებამდე მდ. დებედას იერთებს. ხრამამდე მტკვარს მდ. ალგეთი უერთდება. მრავალ საუკუნის მანძილზე დებედას, ხრამისა და ალგეთის ხეობები და ამ ხეობებში აღმართული ციხ სიმაგრეები პირველი ხვდებოდნენ საქართველოში სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოჭრილ მტერს.

მტკვრის ყველაზე დიდი შენაკადი მდ. არაქსია, რომელიც მტკვარს კასპიის ზღვაში ჩადინებამდ მარჯვენა მხრიდან ერთვის. დღეს არაქსი თურქეთზე, სომხეთზე და აზერბაიჯანზე მიედინება. მრავალ საუკუნის მანძილზე მდინარეების მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფი ქედი, რომელსაც ამჟამად ბამბა ერევნის ქედი ეწოდება, საზღვარი იყო საქართველოსა და სომხეთს შორის.

დასავლეთ საქართველოს მდინარეები შავი ზღვის აუზს მიეკუთვნებიან. ამ მდინარეთა შორი რომელიც მთლიანად საქართველოში მიედინება, ყველაზე დიდი რიონია. ეს მდინარე კავკასიონ მთავარი წყალგამყოფი ქედის ფასის მთიდან ჩანჩქერივით ეშვება. ამიტომ რიონს ძველად „ფასის"-ს უწოდებდნენ. აქედან მოდის მისი შავ ზღვასთან შეერთების ადგილას მდებარე ქალაქ ფოთის ძველ სახელი „ფაზისი", იგივე „ფასისი".

დასავლეთ საქართველოს მდინარეთა უდიდესი ნაწილი მდინარე რიონს უერთდება. მის შენაკადე შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ყვირილა. რიონის დიდი შენაკადებია ცხენისწყალი და ტეხურ რომელსაც მდინარე აბაშა უერთდება.

დასავლეთ საქართველოს დიდ მდინარეებს შორის შავ ზღვას რიონის ჩრდილო-დასავლეთი უშუალოდ ერთვიან ხობი, ენგური, ღალიძგა, კოდორი და ბზიფი. ბზიფს ძველად კაპოეტის წყალ ეწოდებოდა. ყველაზე ჩრდილო-დასავლეთით შავ ზღვას საქართველო-რუსეთის სასაზღვრო მდინარ ფსოუ უერთდება.

საქართველოში შავი ზღვის აუზის ყველაზე დიდი მდინარე ჭოროხია, რომელიც დღეს თითქმ მთლიანად თურქეთის ტერიტორიაზე მიედინება და შავ ზღვასთან შეერთებამდე ცოტა ადრე შემოდ საქართველოს საზღვრებში.

საქართველოში მდინარეებს უძველესი დროიდან მორწყვისათვის და თევზაობისთვის იყენებდნე ფართოდ იყო გავრცელებული სამდინარო ნაოსნობაც. საზღვაო ხომალდები და ნავები მდინარის აღ ჩვეულებრივ ჭაპანით ამოჰყავდათ. მხოლოდ მდ. რიონზე, მასთან მდ. ტეხურის შესართავამდე, შეეძლო სამხედრო ნიჩბიან გემებს (კატარღებს) თავისი სვლით ამოსვლა. უფრო ზემოთ პატარა ხომალდებ ქუთაისთან ახლოს, ვარციხემდე აჰყავდათ. აქედან მდინარე ყვირილაზე, შორაპნის ციხე-სიმაგრემდ პატარა სამდინარო ნავებს ჭაპანით მიათრევდნენ.

მდ. ჭოროხი სანაოსნო იყო დაახლ. 50 კმ-ზე, მდ. ხობზე ზღვიდან ხომალდები ხობის მონასტრამდ აჰყავდათ, ენგურზე - რუხის ციხემდე. დასავლეთ საქართველოში ძველად სანაოსნოდ გამოიყენებოდ თითქმის ყველა ის მდინარე, რომელიც შავ ზღვას უერთდება. აღმოსავლეთ საქართველოში ამ მხრი მდინარე მტკვარი გამოირჩეოდა, რომელიც თბილისამდე სანაოსნოდ ითვლებოდა.

დღეს საქართველოში მდინარეები, უპირველეს ყოვლისა, ჰიდრო-ენერგო რესურსების წყაროა. ასეთ რესურსებით ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში უმდიდრესია. სამწუხაროდ, ამ რესურსების მხოლოდ 10%-ი

[illegible] მეტია აღრიცხული. საქართველოს მდინარეები გამოიყენება სარწყავ და სასმელ წყლად. ბევრ მდინარეზე აგებულია წყალსაცავები. მათ შორისაა წალკის, სიონის, ალგეთის, თბილისის (სამგორის), ჟინვალის, გალის, შაორის, ტყიბულის, ენგურის იგივე ჯვრის, ვარციხის, ლაჯანურის და გუმათის წყალსაცავები.

საქართველოში ბევრი ტბაა. მათი რიცხვი ოთხმოცდაათამდე აღწევს. ზოგი ტბა კავკასიონის მუდმივი თოვლის ზონის ახლოს მდებარეობს, ზოგი კი უშუალოდ შავი ზღვის პირას. საქართველოს ტბებს შორის ფართობით ყველაზე დიდი ფარავნის ტბაა. წყლის მოცულობით კი – ტაბაწყურის. ყველაზე ღრმა – რიწის ტბაა. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა ყელის ტბა მდებარეობს, რომლიდანაც მდინარე ქსანი გამოდის. ქ. ფოთთან მდებარე პალიასტომის ტბა კი ზღვის დონეზე ოდნავ დაბლაა. „პალიასტომი" ბერძნულად „ძველ ყურეს" აღნიშნავს. საქართველოს შედარებით დიდ ტბებს მიეკუთვნებიან აგრეთვე კარწახის, ჯანდარის, საღამოს და ბაზალეთის ტბები. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ფარავნის და საღამოს ტბა ერთმანეთთან მდ. ფარავნითაა დაკავშირებული. ეს მდინარე ამავე სახელის ტბიდან მოედინება და საღამოს ტბის გავლით მტკვარს მარჯვნიდან უერთდება.

## § 3. საქართველოს მეურნეობის ტრადიციული საზეები

ჩვენი ქვეყანა ტყით ძალზე მდიდარია. ტყეს საქართველოს ტერიტორიის 38%-ზე მეტი უკავია. ამ ტყეებში მარტო ძუძუმწოვართა ასამდე და ფრინველთა სამასზე მეტი სახეობა ბინადრობს. მათ შორის ირემი, ქურციკი, ჯიხვი, შველი, დათვი, მგელი, მელა, კურდღელი, მაჩვი, წავი, თახვი, აფთარი, ფოცხვერი, გარეული ღორი ... ძველად წავის, თახვის ტყავები საქართველოდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ უცხოეთში, რამაც მათი რიცხვი ძალზე შეამცირა. ტყეში ბინადარ ფრინველთაგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ: ხოხობი, კაკაბი, დურაჯი, შურთხი, ტყის ქათამი ... საინტერესოა ვიცოდეთ, რომ საქართველოს ხე-ტყის უძვირფასესი ჯიშები წიფელი, კაკალი, ბზა, ურთხმელი, მუხა, ძელქვა ... უძველესი დროიდან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა. საქართველოდან გავრცელდა ევროპაში ერთ-ერთი ულამაზესი ფრინველი ხოხობი. ამაზე მისი ევროპული სახელწოდებები მოწმობს, რომლებიც ფოთის ძველ სახელთან, ფაზისთანაა დაკავშირებული. საქართველოს ტყეებს უძველესი დროიდან ქართველებისათვის დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა ხე-ტყის დამზადებისა მოსახლეობა ტყეში აგროვებდა და დღესაც აგროვებს თხილს, ტყემალს, კაკალს, ზღმარტლს, წაბლს, პანტას, ძახველს, მოცხარს, ჟოლოს, მაყვალს, შინდს, ასკილს, ტყის ბალს (ბალამწარას) .... მრავალი სახეობის სოკოს...

სამეურნეო ფუნქციაზე უფრო საქართველოში ტყეს ნიადაგდამცავი, წყალდამცავი, და ჰაერდამცავი ფუნქცია გააჩნია. ასეთი დიდი მნიშვნელობის გამო საქართველოს ტყეები სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს.

საქართველოში მდიდარი მცენარეული საფარია, მათ შორის ბევრი უნიკალური სამკურნალო მცენარეა: მრავალძარღვა, კატაბალახა, ... შემთხვევითი არ არის, რომ ძველი ბერძნები საექიმო საქმის წარმოშობას კოლხი მედეას სახელს უკავშირებენ. ითვლება, რომ მისი სახელიდან მოდის ტერმინი მედიცინა.

საქართველო მდიდარია სამკურნალო-მინერალური წყლებით. მათ შორისაა მსოფლიოში სახელგანთქმული „ბორჯომი" და „საირმე". ამ წყლებს სამკურნალო თვისებებით არ ჩამოუვარდებიან მინერალური წყლები: „ნაბეღლავი", „უწერა", „მიტარბი", „ვაკის წყარო" „ზვარე"... ზოგი მინერალური წყალი სამკურნალო აბაზანებისთვის გამოიყენება. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ წყალტუბოს თბილი აბანოები. აგრეთვე თბილისის, ცაიშის, მენჯის თბილი წყლები. დიდი ეფექტურობით გამოირჩევა ახტალის სამკურნალო ტალახი.

მთისა და ბარის სიახლოვე, ჰავის მრავალფეროვნება, მინერალური წყლების სიმრავლე საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო საკურორტო ზონად აქცევს. ლამაზი ბუნება, ბუნებრივი და ისტორიული ძეგლების სიუხვე, საქართველოს სამომავლოდ ტურიზმის განვითარების დიდ შესაძლებლობას უქადის.

საქართველო წიაღისეულის განსაკუთრებული სიმდიდრით არ გამოირჩევა, მაგრამ მისი მინერალუ
რესურსები მრავალფეროვანია. ჩვენს ქვეყანას მოეპოვება მანგანუმის, ნახშირის, ტორფის, რკინ
დარიშხანის, ვერცხლისწყლის, ბარიტის, ოქროს ... საბადოები. აქ ნავთობის და ბუნებრივი აირ
მნიშვნელოვანი მარაგიცაა. განსაკუთრებით მდიდარია საქართველო სხვადასხვა დანიშნულებ
თიხებით, სამშენებლო ქვით. მათ შორისაა განთქმული ქართული მარმარილო. სხვადასხვა ფერის ტუფ
ქვა...

საუკუნეთა მანძილზე ტუფის ქვით ჩვენი წინაპრები ეკლესია-მონასტრებს და სასახლე
აპირკეთებდნენ. თიხისაგან ამზადებდნენ მაღალხარისხოვან სხვადასხვა დანიშნულებისა და ფორ
ჭურჭელს, კერამიკულ მილებს, მოსაპირკეთებელ ფილებს, აგურსა და კრამიტს.

საქართველო რკინის მეტალურგიის ერთ-ერთ სამშობლოდ ითვლება. ძველ მსოფლიოში, განთქმუ
იყო ქართული მოდგმის ტომების ხალიბებისა და მოსინიკების დამზადებული ფოლადი. ჩვენი წინაპრ
უძველესი დროიდან მოიპოვებდნენ ოქროს, ამიტომაც იყო, რომ, როგორც ცნობილია, ძველი ბერძენი
რომაელები დასავლეთ საქართველოს „ოქრომრავალ კოლხეთს'' უწოდებდნენ.

საქართველოს ბუნების მრავალფეროვნება უძველესი დროიდან განაპირობებდა ქართველი გლე
მეურნეობის მრავალდარგოვნებას. ისტორიულად საქართველო განვითარებული სოფლის მეურნეო
ქვეყანა იყო. ჩვენი წინაპრები უძველესი ხანიდან მისდევდნენ მევენახეობას და მემინდვრეობა-მებაღეო
მებოსტნეობას. აშენებდნენ ზეთისხილს, კაკალს, თხილს, სხვადასხვა საზეთის ხილს. განსაკუთრებ
ბევრია საქართველოში ვაშლი, მსხალი, ატამი, გარგარი, ქლიავი, ბროწეული, ყურძენი. ლეღვი, კომ
ბალი, ალუბალი, ნუში, ქლიავი, ტყემალი, შინდი, თუთა, ... მრავალი სახის კენკროვანი, მათ შორ
ხენდრო, ჟოლო, მოცხარი ... დღეს ჩვენს სამშობლოში მოჰყავთ ჩაი, მაგრამ მის მოყვანას ჩვენს ქვეყანა
არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. მეჩაიეობას მხოლოდ გასული საუკუნის დასაწყისში მიჰ
ხელი. საქართველო ძველთაგან ციტრუსების ქვეყანაც იყო. ადრე აქ აშენებდნენ თურინჯს (გრეიფრუტ
ნარინჯს, ლიმონს. დღეს ამათ გარდა დიდი რაოდენობით მოჰყავთ მანდარინი, ფორთოხალი, კივი.

ქართველი გლეხი უძველესი დროიდან მისდევდა ისეთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვან
რომელიც ქსოვილების დასამზადებლად გამოიყენებოდა. ჩვენი წინაპრებს ბამბა, სელი და კან
მოჰყავდათ. ჯერ კიდევ ორიათას ხუთასი წლის წინათ ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდო
საგანგებოდ აღნიშნავდა კოლხური სელის ქსოვილის მაღალ ღირსებას, რომელიც იმ პერიოდ
მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა. სელის თესლისაგან ძველთაგან ზეთსაც ხდიდნ
მებამბეობას დღეს საქართველოში აღარ მისდევენ, საუკეთესო ზეთს კი მზესუმზირისაგან ამზადებ
მზესუმზირას საკვებადაც ფართოდ იყენებენ.

ქართველები ერთ-ერთი პირველები იყვნენ ჩინელების შემდეგ იმ ხალხებს შორის, რომლებმ
მეაბრეშუმეობას მიჰყვეს ხელი და ამისათვის თუთის ხეებისა და აბრეშუმის ჭიის მოშენება დაიწყ
საუკუნეთა მანძილზე ქართული აბრეშუმი ცნობილი იყო მთელ მსოფლიოში.

ქართველი ხალხის ეროვნულ ტანსაცმელს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართუ
ტანსაცმელს, როგორც კაცის ჩოხა-ახალუხს, ისე ქალის კაბას, საქართველოს სხვადასხვა მხარე
თავისი განუმეორებელი ხიბლი აქვს ... გაჩნდა.

საქართველო ხორბლეულის სამშობლოა. დღევანდელ მსოფლიოში ხორბლეულის ცნობი
ცხრამეტი ჯიშიდან თოთხმეტი საქართველოშია დამოწმებული. აქედან ხუთი ჯიშის სამშობლო
საქართველო ითვლება. ქართველი გლეხი უძველესი დროიდან მრავალი სახეობის პურს აცხობ
გასული საუკუნის დასაწყისში ჩვენს ქვეყანაში ასზე მეტი სხვადასხვანაირი გამომცხვარი პური იყიდე

მარცვლეულის სხვა სახეებიდან საქართველოში უძველესი დროიდან მოჰყავდათ სხვადასხვა ჯიშ
ქერი, შვრია, ფეტვი, აგრეთვე ბრინჯი და ღომი, რომლებიც დღეს თითქმის არ მოჰყავთ. დასავლ
საქართველოში ღომი სიმინდმა შეცვალა. სიმინდი, ისევე როგორც ლობიო, ჩვენ ქვეყანაში XVII-XV
სს-ში შემოვიდა. მანამდე პარკოსნებიდან მუხუდოს, ოსპს და ცერცვის სხვადასხვა ჯიშები მოჰყავდ
ხოლო საქართველოში კიდევ უფრო გვიან, XIX ს-ში შემოვიდა.

ბოსტნეულს ძველად „მხილოვანს'' უწოდებდნენ. ქართველი გლეხი უძველესი დროიდან იცნობ
ბოსტნის გაშენების ხელოვნებას. აქ მოჰყავდათ ბადრიჯანი, სხვადასხვა სახის კიტრი, სტაფილ
ჭარხალი, ხახვი, ბოლოკი, კიტრი, ნესვი, სხვადასხვა ჯიშის კვახი ანუ გოგრა, საზამთრო, რომელსაც ძველ
„შელასპეპონსაც'' უწოდებდნენ ... კარტოფილი და პამიდორი, რომელსაც „ოქროვაშლას'' უწოდებდნ
საქართველოში XIX ს-ში შემოვიდა. მწვანილეულიდან ჩვენში ძველთაგანვე მოჰყავდათ ქინძი, კა
ცერეცო, ოხრახუში, ივიცე მაკვალი, ნიახური, ქონდარი ... საზამთროდ ამზადებდნენ ხუნელებსაც

საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოდაც ითვლება. დღეს მსოფლიოში ვაზის ოთხათასი სახეობაა შემორჩენილი, აქედან ხუთასზე მეტი მხოლოდ საქართველოში გვხვდება. არქეოლოგების მონაცემებით საქართველოში მევენახეობას სულ ცოტა რვა ათასი წლის ისტორია აქვს.

როგორც მევენახეობის ძველი ტრადიციის მქონე სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც ღვინის დაყენების თავისი ორიგინალური წესები ჰქონდათ, რომელიც პირველ რიგში ყურძნის წვენის სპეციალურ ქვევრებში დადუღებას გულისხმობს.

თავისი წვლილი შეიტანეს ჩვენმა წინაპრებმა მეცხოველეობის განვითარებაში. მათ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის მრავალი ჯიში გამოიყვანეს. დაახლ. 2400 წლის წინათ სახელგანთქმული ძველი ბერძენი სწავლული არისტოტელე საგანგებოდ ახსენებდა საქართველოში ფაზისის, იგივე რიონის პირას პატარა ზომის ძროხებს, რომლებიც თავიანთ ზომასთან შედარებით ბევრ რძეს იძლეოდნენ. ძროხის ეს ჯიში დღეს მხოლოდ ხევსურეთში შემორჩა და მას „ხევსურულ ძროხას" ეძახიან.

საქართველოს მეურნეობაში დიდ როლს თამაშობდა მეკამეჩეობა. კამეჩს იყენებდნენ ტვირთზიდვისათვის. დიდი მოწონებით სარგებლობს კამეჩის რძე და მისგან დამზადებული სხვადასხვა სახის რძის პროდუქტიც.

უძველესი დროიდან საქართველოში დიდი რაოდენობით აშენებდნენ ღორს და თხას. ღორის ჯოგს „ოლეტი" ეწოდებოდა. ღორს ქართულ ყოფასა და კულტურაში განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. გარეული ღორი ანუ ტახი ქართული ზღაპრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟია. საქართველოში ღორის ხორცის დამუშავების მაღალი ტექნოლოგია არსებობდა. უცხოური წყაროები განსაკუთრებით აღნიშნავენ საქართველოში დამზადებული ღორის ლორის გემოს. დღეს განსაკუთრებით რაჭული ლორია განთქმული.

ცნობილია ქართული ცხვარიც. როგორც ფიქრობენ, უძველესი ქართული ცხვარი თავისი გრძელმატყლიანობით გამოირჩეოდა. მან დაუდო საფუძველი თანამედროვე ევროპულ გრძელბეწვიან ჯიშებს. ცხვრის ძველი ქართული ჯიშები დღესაცაა შემორჩენილი და მათ „იმერული" და „თუშური" ეწოდებათ. მეცხვარეობას უკავშირდება მწყემსი ძაღლის ისეთი საუკეთესო სახეობაც, როგორიცაა კავკასიური ანუ ქართული ნაგაზი.

მეცხვარეობის განვითარების მაღალი დონე შალის წარმოების მაღალ დონეს განაპირობებდა. ქართველები განთქმულნი იყვნენ თავიანთი შალის ქსოვილით. ძველი დროიდან მოდის საუკეთესო ქართული ნაბადი, ულამაზესად მოხატული ქართული თექები, რომლებიც დამზადების მაღალი და რთული ტექნოლოგიით დღემდე გამოირჩევა.

მრავალფეროვანია ქართული ტრადიციული რძის პროდუქტი. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მთელ საქართველოში გავრცელებული მაწონი, რომელიც ახალშობილებისათვის დღესაც შეუცვლელი საკვებია. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ნადუღი, კამეჩის მაწონი, თუშური და იმერული ყველი, მეგრული სულუგუნი, ხევსურული ერბო და სხვ.

დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩვენს წინაპრებს მეცხენეობის განვითარებაში. მრავალი საუკუნის მანძილზე ქართულ ბედაურებზე უცხოეთში დიდი მოთხოვნილება იყო. მათ შორის ბრძოლაში სისწრაფით „მეგრული ცხენი" გამოირჩეოდა, ხოლო ტვირთმზიდაობით ე. წ. „კახური ცხენი". ტვირთზიდვისათვის საქართველოში უძველესი დროიდან აქლემი, ხარი, ვირი და ჯორიც გამოიყენებოდა.

ჩვენში ფართოდ იყო გავრცელებული მეფუტკრეობაც. მსოფლიოში განთქმულია ქართული გრძელხორთუმიანი ფუტკარი. ქართულ თაფლს ჯერ კიდევ ძველი ბერძნები კარგად იცნობდნენ და ძალზე აფასებდნენ.

საქართველოს მდინარეები, ტბები და შავი ზღვა თევზის საუკეთესო სახეობებითაა ცნობილი. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ: ზუთხი, ორაგული, კეფალი, კალმახი, ლოქო ... საქართველოში მდინარეებზე, ტბებზე და ზღვაზე თევზაობას ძველთაგან დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენი წინაპრები ამზადებდნენ ხიზილალას, თევზის ქონს, იცოდნენ თევზის გამოყვანა, თევზის ბუშტიდან ამზადებდნენ წებოს.

ამგვარად, ტრადიციული ქართული სოფლის მეურნეობა მრავალდარგიანობით და განვითარების მაღალი დონით გამოირჩეოდა, რაც ჩვენი წინაპრებისაგან თავდადებულ შრომას და მიწის დიდ სიყვარულს მოითხოვდა. მით უფრო, რომ მტრისაგან გაკაფული ვენახებისა და მრავალწლიანი ნარგავების აღდგენა მათ არაერთგზის უხდებოდათ.

## § 4. რა გვქვია ჩვენ?

ჩვენ თავს ქართველებს ვეძახით, ჩვენ სამშობლოს კი საქართველოს. მეზობელი თუ შორეუ
ხალხები სხვა სახელებით გვიცნობენ. უძველეს ხანაში ჩვენი ქვეყნის ერთიანი სახელწოდება საერთო
არ არსებობდა, ვინაიდან არ არსებობდა ერთიანი ქართული სახელმწიფო. თავდაპირველად ისტორიუ
საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად ორი, აღმოსავლურ და დასავლურ ქართული სახელმწიფ
იყო.

დასავლურ ქართულ სახელმწიფოს აღმოსავლეთის ძველი ხალხები „კოლხას", „კულხას"- ძვე
ბერძნები და რომაელები კი „კოლხიდას" უწოდებდნენ. მოგვიანებით ამ სახელმწიფოს საზღვრებში ლაზურ
ტომიდან წარმომდგარი სამეფო დინასტია მოექცა. ქვეყანასაც მეზობლები „ლაზიკედ" მოიხსენიებდნ
ჩვენი წინაპრები დასავლურ ქართულ სამეფოს აქ მოსახლე ძირითადი ქართული ტომის სახელ
მიხედვით „ეგრის"-ს (წარმოსდგება ეგური-დან, ეგ(უ)რისი) უწოდებდნენ. ამ სახელმწიფოს
მეზობლებს კი „მეგრის" იგივე მეგრელს ეძახდნენ, რაც ზოგადად ეგრისის ანუ დასავლურ ქართუ
სამეფოს მკვიდრს აღნიშნავდა. დაახლოებით ათასი წლის წინათ ეს სახელი დასავლეთ საქართველ
მხოლოდ ერთი ქართული მხარის სამეგრელოს და მისი მოსახლის სახელად იქცა. დაახლოებით ათ
ორასი წლის წინათ დასავლეთ საქართველოს სამეფოს აფხაზური დინასტია ჩაუდგა სათავეში. ამ
შემდეგ დიდხანს ჩვენი წინაპრები და სხვა ხალხები დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთს" და მ
მოსახლეს „აფხაზს" უწოდებდნენ.

აღმოსავლურ ქართულ სამეფოს ძველი სპარსელები „ვირკან"-ს ეძახდნენ, რაც „მგელთა ქვეყანა
ნიშნავს და სპარსული „ვირკ"-იდან (მგელი) მომდინარეობს. ეს არაა გასაკვირი, უძველეს ხანა
სხვადასხვა ხალხები სხვადასხვა ცხოველებს ეთაყვანებოდნენ. ასეთ ცხოველებს „ტოტემურ
ცხოველები" ეწოდება. როგორც ჩანს, ჩვენი ძველი წინაპრებისათვის მგელი განსაკუთრებით სათაყვან
ცხოველი იყო. მგლის კულტის კვალი შემოგვინახა ქართულმა ხალხურმა ზღაპრებმაც, დიდი ქართვე
მეფის ვახტანგ გორგასლის მუზარადზეც მგელი იყო ამოტვიფრული. ეს ძველი სპარსული სახელწოდე
დაედო საფუძვლად ჩვენი ქვეყნის ძველ ბერძნულ-რომაულ სახელს „იბერიას" იგივე „ივერიას
ბერძნულ-რომაული „ივერია" ჩვენმა ძველმა მეზობლებმა სომხებმა მათი ენის შესაბამისად, „ზემ
მხარედ", „ზემო ქვეყნად" გაიაზრეს. აქედან წარმოსდგა „ვრაც" (ძველი „ვირქ", „ვირქ" - ქართველ
რასაც ახლაც ჩვენ გვეძახიან. აქედანვე მოდის საქართველოს სომხური სახელიც „ვრასტან", რ
„ქართველთა ქვეყანას" ნიშნავს. მოგვიანებით, თვით სპარსულ ენაში მომხდარი ცვლილებების გამ
„ვირკ"-ი და „ვირკანი" „გურგმა" და „გურგანმა" შეცვალა. არაბებმა, ვინაიდან მათ ენაში „გ"
არსებობს, ეს სახელი „ჯ...ჯ"-ად და „ჯურჯანად" შეითვისეს. „გურგის" და „ჯურჯის" ნაზავია სახელ
„გურჯი" - „ქართველი" და გურჯისტანი - „საქართველო", რომელსაც აღმოსავლეთის ხალხები, მ
შორის თურქები და სპარსელები გვიწოდებენ.

„ჯურჯი", „გურჯი" და „გურგი", იგივე „გორგი" ევროპელებმა ადრევე „გეორგ"-ად გადაიღეს
ძირიდან წარმოსდგება ქართველის და საქართველოს აღმნიშვნელი ყველა დასავლეთ ევროპული სახელ
რუსული „გრუზ"-ინი, აგრეთვე „გურჯის", იგივე ძველი რუსული „გურზინ"-ის სახეცვლილება
საინტერესოა ვიცოდეთ, რომ „იბერიას" ძველი ბერძნები პირინეის ნახევარკუნძულსაც (დღევანდე
ესპანეთი და პორტუგალია) უწოდებდნენ, იქ მოსახლე ხალხს კი - „იბერებს". გარდა სახელთა ამგ
დამთხვევისა, ძველი ბერძნები კავკასიაში ადრევე გაიგნენ ზეპირ გადმოცემას ქართველთა ანუ იბერი
გადმოსახლებისა და თავიანთ ახალ სამშობლოში მოსვლის შესახებ, რომელიც, სინამდვილეშ
წინაზიაში ხეთურ-ინდოევროპული ტომების მოძრაობას ასახავდა. ამ ორი ინფორმაცი
გაერთიანებით ბერძენ სწავლულებში წარმოიქმნა თვალსაზრისი, რომ პირინეის ნახევარკუნძული
და კავკასიის იბერები მონათესავე ხალხები იყვნენ და ერთმანეთის განაყოფს წარმოადგენდნენ. ზოგ
ფიქრობდა, რომ კავკასიის იბერები პირინეის ნახევარკუნძულიდან გადმოსახლდნენ, ზოგი კი პირიქი
პირინეის ნახევარკუნძულის იბერების თავდაპირველ სამშობლოდ კავკასიას მიიჩნევდა. პირინე
იბერებისა და ქართველთა ანუ კავკასიის იბერების ნათესაობის შესახებ თვალსაზრისი ბერძნულ
მწერლობიდან ძველ საქართველოშიც დამკვიდრდა. ის ჩვენს წინაპრებში ერთხანად იმდენა
გავრცელებული იყო, რომ ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი, X-XI საუკუნეების დო
ხაგლეხით მოღვაწე იოანე მთაწმინდელი ესპანეთში გამგზავრებასაც კი აპირებდა: „სმენოდა
მოგვითხრობს იოანე მთაწმინდელის ცხოვრების მემატიანე, - რომ ქართველთა არცა თუ მცირე ტომი
მოდგმა და ერი ხასრობს იქ".

[illegible]ირინეს ნახევარკუნძულის იბერებისა და ქართველთა ნათესაობის თეორიას ძველ ბერძენ [illegible] ისტორიკოსებშივე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი. ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ისტორიკოსი აპიანე აღნიშნავდა, რომ „იბერებს, რომლებიც აზიაში არიან (იგულისხმება ქართლის მცხოვრებლები), ზოგი მათგანი [illegible] ევროპელი იბერების (იგულისხმება ესპანეთის ნახევარკუნძულის იბერები) წინაპრებად, ზოგი [illegible] ახალმოსახლეებად, სხვები კი მხოლოდ თანამოსახელეებად, რადგან არც ზნე აქვთ არაფრით მსგავსი, არც ენა".

მიუხედავად ამისა, ქართველთა და პირინეის იბერთა ნათესაობის შესახებ თვალსაზრისი ფრიად [illegible]ლმეცნიერული აღმოჩნდა. XIX-XX სს-ში ესპანეთის იბერების მემკვიდრეების ბასკების და ქართველების ენობრივი ნათესაობის საკითხი მეცნიერთა სპეციალური შესწავლის საგანი გახდა. [illegible], როგორც მოსალოდნელი იყო, ბასკურ და ქართულ ენებს შორის ნათესაობა ვერ დაადგინა.

[illegible]ელმა ევროპელმა სწავლულებმა სახელწოდება „გეორგიის" (საქართველო) სპარსული „გურგ"-[illegible] (მგელი) წარმომავლობის შესახებ არაფერი იცოდნენ. ამიტომ ისინი საქართველოს ამ სახელწოდების თავისებურ ახსნას შეეცადნენ: ზოგი სწავლული მას საქართველოში წმინდა გიორგის [illegible]უთრებული პატივისცემით ხსნიდა, ზოგი კი ბერძნულ სიტყვა „გეორგ"-ს უკავშირებდა, რაც ამ [illegible] „მიწათმოქმედს" აღნიშნავს. სახელწოდება „გეორგიის" ევროპელ სწავლულთა მიერ მოცემულ [illegible] ქართველი მეცნიერებიც გაეცნენ და ერთხანს, ამ საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე, იზიარებდნენ [illegible].

ჩვენი თვითსახელწოდება „ქართველი", საიდანაც წარმოსდგება სახელი სა-ქართველ-ო(ც), [illegible]ნარეობს ძველი აღმოსავლურ ქართული სამეფოს სახელიდან – „ქართლი". ეს სახელი [illegible]პირველად მცხეთის მიდამოებში მტკვრის მარჯვენა ნაპირზე აღმართულ მთას და ამ მთაზე [illegible] ციხე-ქალაქს ერქვა. ამ ციხე-ქალაქს მოგვიანებით „არმაზი" ეწოდა, ხოლო მთას სახელი „ქართლი" დღემდე შემორჩა. ციხე-ქალაქი ქართლი უძველეს ხანაში, მცხეთის გადექალაქებამდე [illegible]ლურ ქართული სახელმწიფოს მეფეთა მთავარ სამყოფელს წარმოადგენდა. ამიტომ მისი სახელი [illegible] სამეფოს სახელად იქცა. როგორც ფიქრობენ, თვით სახელი „ქართ-ლი" „ქართ" ძირიდან [illegible]ნარეობს, რომელიც ძველ ინდოევროპულ ენებში გამაგრებულ, მოზღუდულ ადგილს აღნიშნავს. [illegible]ეთ: „გრად" – ციხე, ქალაქი – სლავურ ენებში; „გარდ-ენ"//„გარტ-ენ" – ბაღი – გერმანულ ენებში...

[illegible]ის სახელიდან „ქართ-ლი" მივიღეთ მისი მოსახლის სახელი „ქართუ-ელი", იგივე „ქართველი", რომელიც ზოგადად, ტომობრივი წარმოშობის მიუხედავად, ქართლის სამეფოს მცხოვრებს აღნიშნავდა.

საქართველოს სხვადასხვა მხარეები უძველესი დროიდან მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. ამიტომ მათმა მცხოვრებლებმა თანდათანობით თავიანთი თავი ერთ ხალხად – ქართველად [illegible]. თავის ქართველად გააზრებამ აუცილებელი გახადა, პოლიტიკური დაქუცმაცებულობის [illegible]ავად, ქვეყნის საერთო სახელის წარმოშობაც. თავდაპირველად ასეთი მნიშვნელობა „ქართლმა" [illegible]. ქვეყნის ერთიანი სახელის გაჩენა წინ უსწრებდა ქვეყნის ერთ სამეფოდ გაერთიანებას. ჯერ [illegible] საქართველოს გაერთიანებამდე, X ს-ის სინას მთაზე მცხოვრები ქართველი ბერები თავის დღის [illegible]ში მათი საერთო, თუმცა მრავალ სამთავრო-სამეფოდ დანაწილებული სამშობლოს – ქართლის – [illegible]ობას შესთხოვდნენ ღმერთს: „ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განვრცობისა, მეფეთა და [illegible]თა დაწყნარებისა, ქრისტიანობისა დამტკიცებისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ."

XI ს-დან მოყოლებული ქართველთა ერთიანი ქვეყნის სახელი „საქართველო"-მ დაიმკვიდრა, რაც, [illegible] ვიცით, ქართველებით დასახლებულ ქვეყანას აღნიშნავს. ამ სახელთან ერთად ჩვენი წინაპრები [illegible] ქვეყანას „ყოველ საქართველოსაც" უწოდებდნენ. ამით ისინი კიდევ ერთხელ უსვამდნენ ხაზს [illegible], რომ გაერთიანებამდე არსებული სამეფო-სამთავროები ერთიანი ქართული ქვეყნის ცალკეული [illegible] იყვნენ.

სახელწოდება საქართველომ გაუძლო იმ ძნელბედობას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გამოიარა. ამ [illegible] უწოდებდნენ ჩვენს სამშობლოს ჩვენი წინაპრები მაშინაც, როდესაც იგი ცალკეული გუბერნიების [illegible] რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა [illegible] ჩვენს ქვეყანას 1918-1921 წლებში, როდესაც მან სულ მოკლე ხნით რუსეთის იმპერიიდან [illegible]ულება შეძლო.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით შედიოდა ის საბჭოთა კავშირის [illegible]ლობაში, საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ხელახლა დაპყრობის შემდეგ.

[illegible] საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა და მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი [illegible].

## § 5. საქართველოს მხარეები დღეს და ძველად

ჩვენი სამშობლო უძველესი დროიდან ცალკეულ მხარეებად იყოფოდა, რომელთაც ჩვენი წინაპრებ სულ ადრე „ქვეყნებს", მოგვიანებით „ხევს" და „ქვეყანას" უწოდებდნენ. ქართლი, კახეთი, სამცხ ჯავახეთი, იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, აჭარა, გურია, სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ხევი, მთიულეთ ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი საქართველოს ძირითადი მხარეებია.

ქართლი საქართველოს შუაგულია. დღეს ის მდინარე მტკვრის ორივე ნაპირას ლიხის ქედიდა აზერბაიჯანის და სომხეთის საზღვრებამდეა გადაჭიმული. ქართლში მდებარეობს ჩვენი სამშობლო დედაქალაქი თბილისი. ცალკე გამოყოფენ ქართლის სამხრეთ ნაწილს, რომელსაც ქვემო ქართლ უწოდებენ. ქვემო ქართლში მდებარეობს ქალაქები: მარნეული, ბოლნისი, დმანისი, აგრეთვე მტკვრი მარცხენა სანაპიროზე რუსთავი და გარდაბანი....

ძველად ქვემო ქართლი მხოლოდ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ეწოდებოდა. ის ბევრად უფრ სამხრეთით ვრცელდებოდა და დღევანდელი სომხეთის ჩრდილოეთ ნაწილსა და მტკვრის მარჯვენ სანაპიროს აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილსაც მოიცავდა. ქვემო ქართლის ისტორიული საზღვარ აზერბაიჯანთან მდინარე ბერდუჯზე, დღევანდელ მდინარე ძეგამ-ჩაიზე (აზერბაიჯანში) გადიოდა სომხეთთან კი ისტორიული საზღვარი ბამბაკ-ფამბაკის ქედს მიუყვებოდა. უძველეს ხანაში ქვემო ქართლ ორ ქვეყნად გარდაბანად და გაჩიანად იყოფოდა. ძველი გარდაბანი მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე ქვეყანა იყო და ძირითადად ქვემო ქართლის დაბლობ ნაწილს მოიცავდა. გარდაბანი თბილისის ქვემოთ, მტკვრის მარჯვენა ნაპირას იწყებოდა და მდ. ძეგამ-ჩაიმდე ვრცელდებოდა. მისი მთავარი ციხე-ქალაქ ხუნანიც მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მტკვართან მდ. თაუზ-ჩაის შერთვის ადგილას (ამჟამად აზერბაიჯანშია) მდებარეობდა. ამიტომ ძველი ქართლის სამეფოს იმ საერისთავოს, რომელიც გარდაბნის ქვეყანას მოიცავდა, ხუნანის საერისთავო ეწოდებოდა. ეს ქალაქი XIII ს-დან აღარ არსებობს. გაჩიანის ქვეყანა ძირითადად ქვემო ქართლის მთიან ნაწილს, მდინარეების: ქციის, ალგეთის, ხრამისა და დებედას ხეობებს მოიცავდა. ქართლის სამეფოს წარმოშობის შემდეგ გაჩიანში სამშვილდის საერისთავო შეიქმნა. მოგვიანებით გაჩიანს ტაშირი ეწოდა. სამშვილდის საერისთავო კიდევ ერთ, შედარებით პატარა ისტორიულ ქვეყანას აბოცს, სომხურად აშოცს მოიცავდა. აბოცი ერთადერთი ძველი ქართული ისტორიული მხარეა, რომელიც ბამბაკ-ფამბაკის წყალგამყოფი ქედის სამხრეთით, მდ. არაქსის შენაკადის, ახურიანის ზემო წელზე მდებარეობდა. ქვემო ქართლის ძველ ციხე-სიმაგრეებსა და ეკლესია-მონასტრებს შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ სამშვილდისა და ბირთვისის ციხეები, ბოლნისის სიონი, რომლის კედლებმა უძველესი ქართული წარწერები შემოგვინახა.

ქვემო ქართლს შიდა ქართლისაგან ისტორიულად თრიალეთის ქედი გამოჰყოფდა. შიდა ქართლში მდებარეობს ქალაქები: ცხინვალი, გორი, ხაშური ... აგრეთვე ძველი ქართლის სამეფოს დედაქალაქი და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ცენტრი მცხეთა, თავისი დიდებული სვეტიცხოვლის ტაძრით. მცხეთაშივეა აღმართული სამთავროს ტაძარი, სადაც ჩვენი პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი და მისი მეუღლე ნანა ასვენია. აქვეა უფლისციხის ძველი ნაქალაქარიც. თანამედროვე სამხარეო დაყოფით, შიდა ქართლი განსხვავდება ისტორიული შიდა ქართლისაგან. დღეს ის ხაშურის, კასპის, ქარელის, გორის რაიონებს მოიცავს. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყორნისის (ზნაურის) და ცხინვალის რაიონების ქართული სოფლები ადმინისტრაციულად მიერთებულია ქარელის და გორის რაიონებს. მცხეთისა და ახალგორის რაიონები, რომლებიც ისტორიულად შიდა ქართლს ეკუთვნოდნენ, თანამედროვე დაყოფით, მცხეთა-მთიანეთის მხარეს მიეკუთვნება.

ძველად ზემო ქართლიც არსებობდა, რომელშიც მტკვრის აუზის ზემო წელი, ჭოროხის აუზი და მდ. არაქსის სათავეები შედიოდა. მტკვრის ზემო წელში მდებარეობდა საქართველოს ისტორიული მხარეები: თორი – დღევანდელი ბორჯომის რაიონი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი და კოლა. ჭოროხის აუზში მდებარეობდა: სპერი, პარხალი, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, ნიგალის ხევი იგივე ლივანა, და აჭარა. დღეს თორის, სამცხის, ჯავახეთის და აჭარის გარდა ყველა ეს ისტორიული ქვეყანა თურქეთის საზღვრებშია. ჯავახეთი ამჟამად მხოლოდ ნინოწმინდის და ახალქალაქის რაიონებს და ასპინძის რაიონის ერთ ნაწილს მოიცავს. ძველად ჯავახეთში მტკვრის მარცხენა სანაპიროც შედიოდა. აქ ცალკე გამოყოფდნენ ერუშეთის ქვეყანას. მას ძირითადად ერუშეთის წყლის ხეობა ეჭირა. ერუშეთი დღეს თურქეთის საზღვრებშია. ასპინძის რაიონის მეორე ნაწილი ახალციხისა და ადიგენის რაიონებთან ერთად სამცხეა. სამცხე-ჯავახეთშია საქართველოს სიამაყე, ქართული არქიტექტურის მშვენება კლდეში ამოკვეთილი ვარძიის მონასტერი, აგრეთვე ქუმურდოს, საფარის, ზარზმის მონასტრები... აჭარის დიდი ნაწილი აჭარის წყალზე მდებარეობს. აჭარას შავშეთიდან კარჩხალის მთა გამოჰყოფს. შავშეთი მდ.

ჭოროხის მარჯვენა შენაკადის შავშეთის წყლის ზემო დინებას და მისი შენაკადის იმერხევის ხეობას მოიცავდა. მოგვიანებით შავშეთის წყალს ბერთის წყალი ეწოდა. შავშეთში შედიოდა მდ. მაჭახელას ხეობაც, რომელიც ჭოროხის მარჯვენა შენაკადია. ამ ხეობას ძველად მიჭახიანი ეწოდებოდა. დღეს ზემო მაჭახელა თურქეთის საზღვრებშია, ქვემო მაჭახელა კი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში. შავშეთის წყლის შუა დინებაზე და მის მარცხენა შენაკადზე, არტანუჯის წყალზე კლარჯეთი იყო. შავშეთის წყლის ჭოროხთან შეერთების ქვემოთ, ჭოროხის ქვემო დინებაზე ნიგალის ხევი, იგივე ლიგანა იყო. ლივანაში ზოგჯერ ცალკე გამოჰყოფენ მურღულს, რომელიც ჭოროხის ამავე სახელწოდების მარცხენა შენაკადის ხეობას მოიცავს.

მდ. არაქსის სათავეებში ბასიანის ქვეყანა მდებარეობდა, მდ. ჭოროხის ზემო წელი სპერს ეჭირა. მდ. ჭოროხის შუა წელზე მარცხენა მხარეს პარხალი, მარჯვენა მხარეს კი ტაოს ერცელი ქვეყანა იყო. მდ. ოლთისის წყალი და მისი შენაკადი ბანას წყალი ტაოს იმიერ და ამიერტაოდ ყოფდა. იმიერტაოში, ჭოროხის მარჯვენა შენაკადზე, თორთუმის წყალზე თორთუმის მხარე მდებარეობდა.

სპერს, პარხალს და ნიგალის ხევს შავი ზღვის სანაპიროდან ჭანეთის, იგივე ლაზეთის ანუ პონტოს ქედი გამოჰყოფდა. შავი ზღვის სანაპიროზე, ჭოროხის მარცხენა ნაპირიდან ლაზეთი იწყებოდა, რომელიც ტრაპიზონამდე ვრცელდებოდა. ტრაპიზონის შემდეგ, შავი ზღვის სანაპირო დღევანდელი სამსუნის ჩათვლით ჭანეთს ეჭირა. ეს ქვეყანა ძველი წელთაღრიცხვის VIII-VI სს-ის შემდეგ ქართული სახელმწიფო-სამთავროების ფარგლებში არასოდეს ყოფილა. ლაზეთი კი XVI ს-ის მეორე ნახევრამდე პერიოდულად სხვადასხვა ქართულ სახელმწიფოებში ერთიანდებოდა. თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიულ ზემო ქართლში შემორჩენილია ულამაზესი ოშკის, ხახულის, ტბეთის, პატბერდის, ბანას, იშხნის .... საყდრები.

საქართველოს ყველაზე აღმოსავლეთი მხარე კახეთია. დღევანდელი კახეთი სამი უძველესი ქართული მხარის: საკუთრივ კახეთის, კუხეთის და ჰერეთის გაერთიანების შედეგია. ძველი კახეთი კავკასიონის, ცივგომბორის ანუ კახეთის მთების და არაგვს შორის მდებარეობდა. მისი საზღვარი ჰერეთთან თელავის ხევით (ტურტბა) სამხრეთით გადიოდა. თავდაპირველად კახეთის ცენტრი ჩელეთი იგივე ჟალეთი იყო. ისტორიული კუხეთი მტკვარსა და ცივგომბორის მთებს შორის მდებარეობდა და მთიულეთის არაგვიდან ვიდრე იორ-ალაზნის შესართავამდე ვრცელდებოდა. კუხეთის ცენტრს ბოსტან-ქალაქი იგივე რუსთავი წარმოადგენდა. ჰერეთი კავკასიონის მთავარ ქედსა და ცივგომბორის მთებს შორის მდებარეობდა და [illegible] სამხრეთით იორ-ალაზნის შესართავამდე ვრცელდებოდა. ჰერეთის ცენტრი თავდაპირველად იორ-ალაზნის შესართავში მდებარე ხორანთა იყო. მოგვიანებით ჰერეთის ცენტრი შაქი (ნუხა დღევანდელ აზერბაიჯანში) გახდა. კამბეჩოვანის, გვიანდელი ქიზიყის დიდი ნაწილი ჰერეთში შედიოდა. ამჟამად ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელსაც ქართველები საინგილოს უწოდებენ, აზერბაიჯანის საზღვრებშია.

XV ს-ის 70-იანი წლებიდან, კახეთის ახალი სამეფოს წარმოქმნის შემდეგ, თანდათანობით კახეთის [illegible] დამკვიდრდა. ძველი კუხეთის ძირითად ნაწილს, მდ. იორის შუა წელს „გარეთ კახეთი" ეწოდა, იორის ქვემო წელს, ძველ კამბეჩოვანს საბოლოოდ ქიზიყის სახელი დაუმკვიდრდა. მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპიროს „შიგნით კახეთი" ეწოდა, ხოლო მარცხენა სანაპიროს – „გაღმა მხარე". უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჰერეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში, დღევანდელ საინგილოში კაკი და [illegible] მდებარეობდა.

კახეთში ბევრი ძველი და ლამაზი ქალაქია. მათ შორისაა კახეთის სამეფოს დედაქალაქი თელავი, [illegible] სიღნაღი — კახეთშია ულამაზესი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი და საქართველოს [illegible] შორის ყველაზე მაღალი ალავერდის ტაძარი, კახეთის ძველი დედაქალაქის გრემის [illegible] ქართლის და კახეთის ისტორიული საზღვარი მდ. არაგვს მიუყვებოდა.

[illegible] საქართველოს მთიან მხარეებს კავკასიონის ულამაზესი ხეობები უკავიათ. მათ შორის [illegible]-დასავლეთით, კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა, მდინარე თერგის ზემო წელში [illegible] არის ხევი - დღევანდელი ყაზბეგის რაიონი. თეთრ არაგვზე მთიულეთი მდებარეობს, [illegible] - გუდამაყარი; ფშავის არაგვზე ამავე სახელწოდების მხარე ფშავია. მის მარჯვენა [illegible] ხევსურეთის არაგვზე კი ხევსურეთის ერთი ნაწილი პირაქეთა ხევსურეთია. ხევსურეთის [illegible] კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა, მდინარეების ასასა და არგუნის ხეობებშია, მას [illegible] ეწოდება. მდ. არგუნზე და მის შენაკადზე მდებარეობენ ხევსურეთის ულამაზესი [illegible] და მუცო. XIII-XIV საუკუნეებამდე ფშავს და ხევსურეთს ფხოვი ეწოდებოდა. ფშავის [illegible], მდინარე იორის მარჯვენა შენაკადებზე ერწო და თიანეთია.

საქართველოს მთიან მხარეებს შორის ყველაზე აღმოსავლეთით, კავკასიონის ქედის გადა
თუშეთია. თუშეთი წოვათ, გომეწრით, ჩაღმა და პირიქითის ხევად იყოფოდა. თუშებს ძველთავა
თავიანთი სამოსახლო სოფლები კახეთის ბარშიც გააჩნდათ. ამიტომ საკუთრივ თუშეთს ამჟა
მთათუშეთსაც უწოდებენ.

თუშეთის აღმოსავლეთით ძველად კიდევ ერთი ისტორიული ქვეყანა წუქეთი მდებარეობდა.
კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდ. სამურის სათავეები, ხოლო სამხრეთით მდ. ქურმუ
(საინგილოში, აზერბაიჯანში) ხეობა ეჭირა. წუქეთი საქართველოს ჯერ კიდევ V ს-ის II ნახევ
ვახტანგ გორგასალმა შემოუერთა. ეს მხარე საქართველოს ფარგლებში (კახეთის სამეფოში) XVI
ის დასაწყისამდე შედიოდა.

ხევი, მთიულეთი და გუდამაყარი ისტორიულად ქართლს ეკუთვნოდა; ფშავი, ხევსურეთი, ერწ
თიანეთი და თუშეთი კახეთში შედიოდა.

კავკასიონის ქედის გადაღმა, მამისონის უღელტეხილსა და დარიალის ხეობას შორის, მდ. არდო
სათავეებში მდებარეობს დვალეთი. დვალები ქართული მოდგმის ტომი იყო. XVI ს-ში მათი ადგი
თანდათანობით ოსებმა დაიკავეს. მიუხედავად ამისა დვალეთი, როგორც მხარე XIX ს-ის 50-
წლებამდე საქართველოში შედიოდა. დღეს ის რუსეთის ფედერაციის, ალანიის (ოსეთის) რესპუბლ
საზღვრებშია. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ამ ძველი ისტორიული მხარიდან წარმოსდგება ის
ქართული გვარები, როგორიცაა დვალი, დვალიშვილი ....

დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს დღეს იმერეთი ეწოდება. ეს სახელი დაახლოე
*XI-XII* სს-დან [illegible] ლიხის ქედის იმიერ ანუ გადაღმა მდებარე საქართველოს აღნიშნავ
მოგვიანებით, დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელი ეს ზოგადი გეოგრაფიული ტერმინი, ერთ-ერ
ვრცელი ქართული ქვეყნის სახელად იქცა.

იმერეთის ქვეყანა ლიხის ქედიდან მდინარე ცხენისწყლამდე ვრცელდება. იმერეთში მდებარეო
საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქი ქუთაისი (ქუთათისი), რომელიც იმერეთის სამეფოს დედაქალა
იყო. ერთ დროს, როდესაც მტერს თბილისი ჰქონდა დაპყრობილი, საქართველოს მეფეები ქუთაისიდ
მართავდნენ ქვეყანას. ისტორიულად იმერეთი ცალკეულ მხარეებად იყოფოდა. ლიხის ქედსა და ქუთაი
შორის ქვეყანას არგვეთი ეწოდებოდა. XVI ს-დან ძველი არგვეთის დიდ ნაწილს მდ. ძირულასა
ზემო მხარე შეერქვა. ამის შემდეგ სახელწოდება არგვეთი მხოლოდ დღევანდელ თერჯოლის რაიონ
ვრცელდებოდა. მდ. წყალწითელას ხეობა ოკრიბას ეჭირა. იმერეთის დაბლობ ნაწილს ქაქ ანუ ქ
იმერეთი ეწოდებოდა. მდინარეების ყვირილისა, რიონის და ფერსათის მთებს შორის ლომისაძ
გადმართი, სალომინაო და საჩინო მდებარეობდა. საჩინოს დასავლეთით, მდ. ხევისწყლის ხეობა
საჯავახო იყო, რომელიც გურიის სამთავროსა და იმერეთის სამეფოს შორის სადავო ტერიტორი
წარმოადგენდა. მდ. ცხენისწყლის ორივე ნაპირზე, რიონის შესართავთან საჭილაო მდებარეობ
რომელიც იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს შორის ცილობის საგანი იყო.

ქუთაისში და ქუთაისთან ახლოს მდებარეობს ქართული ხუროთმოძღვრების უბრწყინვალ
ძეგლები: ბაგრატის ტაძარი, გელათის მონასტერი, გეგუთის სამეფო ციხე-დარბაზი .... იმერე
ქალაქებია: ჭიათურა, ზესტაფონი, ხონი, სამტრედია, ტყიბული ...

იმერეთს ცხენისწყალი სამეგრელოდან საზღვრავს. სამეგრელოს უჭირავს ზღვისპირეთი მდ. რიო
და ენგურს შორის. სახელწოდება სამეგრელო დასავლეთ საქართველოს ძველი ქართული სახელი
ეგრისიდან წარმოსდგება. სამეგრელოს ოდიშიც ეწოდებოდა. ეს სახელი ოდიშის საერისთავოს სახელ
მოდის, რომელიც თავდაპირველად მდინარეების კოდორისა და ტეხურის შორის მდებარეობდა.
საუკუნეებში ოდიში, იგივე სამეგრელო ბევრად მეტი ტერიტორია ეკავა, ვიდრე დღეს. მის საზღვრ
ქალაქი სოხუმიც შედიოდა. დღეს სამეგრელო-აფხაზეთის საზღვარი მდ. ენგურზე გადის. სამეგრელ
მდ. ტეხურის პირას ნოქალაქევში ბორცვებზე შეფენილია ეგრისის ძველი დედაქალაქის ციხე-გო
კარგად შემორჩენილი ნაგებობები. სამეგრელოშია მარტვილის, ხობის, ცაიშის, წალენჯი
ბრწყინვალე ტაძრები. სამეგრელოს ქალაქებია: ზუგდიდი, ფოთი, სენაკი ...

მდ. ენგური სამეგრელოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისგან ჰყოფს. აფხაზეთი საქართველ
უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში, მდინარეებს ენგურსა და ფსოუს შორის მდებარეობს. ის საქართვე
ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა. აქ მთა ძალზე ახლოს მიდის ზღვასთან. ზღვის ნაპირიდან ჩანს კავკასი
მუდმივთოვლიანი მთები. სოხუმის გარდა აფხაზეთის მნიშვნელოვანი ქალაქებია: ტყვარჩელი, ოჩამ
გუდაუთა და გაგრა. დღევანდელ აფხაზეთში მდებარე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებ
აღსანიშნავია: ბედიის, მოქვის, დრანდის, ლიხნის და ბიჭვინთის დიდებული ტაძრები.

თავდაპირველად აფხაზეთი ანაკოფიიდან (დღევანდელი ახალი ათონი) ჩრდილო-დასავლეთით მდ. მზიმთამდე (რუსეთის მდ. ნეგეფსუხომდე) მდებარე ტერიტორიას ეწოდებოდა. ამ მდინარის იქით, შავი ზღვის პირას ყირიმის ნახევარკუნძულამდე ჯიქეთი მდებარეობდა, რომელიც ქაშაგეთთან (ჩერქეზეთი) ერთად XV საუკუნემდე საქართველოს ვასალურ მხარეს წარმოადგენდა. მოგვიანებით, ჯიქეთი ბევრად უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით დღევანდელი სოჭისა და ადლერის მხარეს გაგრამდე ვრცელდა. XVI ს-ის დასაწყისში აფხაზეთი მხოლოდ დღევანდელი გაგრისა და გუდაუთის რაიონებს მოიცავდა და მას ზუფუც ეწოდებოდა. აფხაზეთი ამჟამინდელ საზღვრებში ძირითადად XVII-XVIII ს-ის მიჯნაზე, აფხაზთა მიერ სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის დაპყრობის შედეგად ჩამოყალიბდა. ახლად დაპყრობილ ტერიტორიაზე აფხაზეთის რამდენიმე მხარე შეიქმნა. ტერიტორიას ანაკოფიიდან მდ. კოდორამდე „გუმი" ეწოდა. მდინარეებს კოდორსა და ღალიძგას შორის – „აბჟუა". „აბჟუა" ქართული „შუასოფლის" აფხაზური თარგმანია. ტერიტორიას მდინარეებს ენგურსა და ღალიძგას შორის, უმთავრესად გალის რაიონს, XVIII ს-დან „სამურზაყანო" ეწოდება. ეს სახელი მურზაყან შარვაშიძედან მოდის, რომელიც ამ დაპყრობილ მხარეს XVIII ს-ის 20-იან წლებში განაგებდა. სამურზაყანო, როგორც წესი, სამეგრელოს მთავარს ემორჩილებოდა.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით შავი ზღვის პირას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და გურია მდებარეობს. მათ ერთმანეთისაგან მდ. ჩოლოქი ჰყოფს.

მთისა და ზღვის სიახლოვე აჭარა-გურიასაც მომხიბვლელობას ანიჭებს. აჭარის ქალაქებიდან ბათუმს გარდა აღსანიშნავია ქობულეთი. ამ მხარეში განსაკუთრებით ბევრი ძველი ქართული ხიდია შემორჩენილი. აჭარაში ზღვის პირას ბათუმის ახლოს დგას გონიოსა და ციხისძირის ძველი ციხე-სიმაგრეები. აჭარაშია სხალთის და ხინოწმინდის პრწყინვალე ტაძრები. გურიის ქალაქებია ოზურგეთი, ლანჩხუთი და ჩოხატაური. გურიაში შემორჩენილი ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია შემოქმედის და ჯუმათის მონასტრები.

დასავლეთ საქართველოს მთიანი მხარეებია: სვანეთი, ლეჩხუმი და რაჭა. დღეს სვანეთი ქვემო, ზემო და აფხაზეთის სვანეთად იყოფა. ქვემო სვანეთი მდინარე ცხენისწყლის ზემო წელში, ხოლო ზემო სვანეთი მდინარე ენგურის ზემო წელში მდებარეობს. აფხაზეთის სვანეთად მდინარე კოდორის სათავეები იწოდება. XVI ს-დან ზემო სვანეთი ბალის ქედით ორ ბალს ზემო და ბალს ქვემო სვანეთად იყოფოდა. ბალს ზემო სვანეთს უბატონო ანუ თავისუფალი სვანეთი ეწოდებოდა. ბალის ქედის ქვემოთ, ენგურის ხეობაში სადადეშქელიანო სვანეთი, იგივე სვანეთის სამთავრო მდებარეობდა. მდ. ცხენისწყლისა და რიონის შუა წელი ლეჩხუმს უკავია. ცხენისწყლის ხეობის ლეჩხუმს კლდეალმართი, რიონის ხეობის ლეჩხუმს კი კლდედაღმართი ეწოდებოდა.

რიონის ზემო წელში რაჭა მდებარეობს. რაჭა ზემო და ქვემო რაჭად იყოფა. სოფლებს: გლოლას, ჭიორას და ღებს მთის რაჭა ეწოდება. რაჭაში შედის მდ. ჯეჯორას ქვემო წელიც, რომელიც ონთან რიონს მარცხნიდან უერთდება. ძველად რაჭას ამ მდინარის ზემო წელიც ეკუთვნოდა. XVI ს-დან აქ ოსები ჩასახლდნენ და მას კუდარო ეწოდა. თავდაპირველად რაჭა და ლეჩხუმი ერთიან, თაკვერის ქვეყანას ქმნიდა.

დასავლეთ საქართველოს ამ მთიან მხარეებში მრავალი უმშვენიერესი ტაძარი და ციხე-სიმაგრეა. სვანეთშია ევროპაში ზღვის დონიდან ყველაზე მაღალი სოფელი უშგული. სვანეთმა კარგად შემოგვინახა ძველი ქართული საცხოვრებელი სახლები და მრავალსართულიანი კოშკები. სვანეთის ეკლესიები ძველი შუა საუკუნეების ქართული ფრესკული მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშებითაც ანცვიფრებს. რაჭაში დგას ქართული ხუროთმოძღვრების სიამაყე, სახელგანთქმული ნიკორწმინდის ტაძარი **(იხ. ფოტო 2)**.

# თავი II

# ჩვენ და ისტორია

## § 6. ისტორია, ისტორიის დარგები და დამხმარე დისციპლინები

ისტორია წარმოდგება ძველი ბერძნული სიტყვიდან „ისტორია" და გარდასულ ამბავთა თხრ
ნიშნავს. ისტორია ცალკეული ხალხების, ქვეყნების თუ მთელი კაცობრიობის წარსულს შეისწავ
ადამიანებს უძველესი დროიდან სურდათ სცოდნოდათ თავიანთი წარსული და მომავალი თაობებს
გადაეცათ ცნობები მათ მიერ გარდახდილი ძლევამოსილი ლაშქრობების, გრანდიოზული მშენებლო
თუ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მოპოვებული მიღწევების შესახებ. თაობიდან თაობაში გადად
ზეპირი გადმოცემები გამოჩენილ გმირებზე. თანდათანობით ასეთი ცნობები ლეგენდების და მით
სახეს იღებდა, რომელთაც ხალხური მთქმელები ლექსად ან სიმღერით მოუთხრობდნენ მსმენელ

დამწერლობის წარმოშობის შემდეგ ეს ლეგენდები და თქმულებები თანდათანობით ჩაიწერ
შემოგვრჩა ძველი ბერძნული უკვდავი პოემები „ილიადა" და „ოდისეა", რომლებიც ჯერ კიდევ ბერძ
დამწერლობის შექმნამდე უსინათლო პოეტმა და მომღერალმა ჰომეროსმა შეთხზა. მალე ადამია
დაიწყეს მოკლე ჩანაწერების გაკეთება, სადაც მეფეების სახელებს, მათი ზეობის ანუ მეფობის წლ
ხანგრძლივობას თუ სხვა უმნიშვნელოვანეს მოვლენებს გადმოგვცემდნენ. დაახლოებით 2500
წინათ ძველმა ბერძნებმა უკვე შექმნეს ნამდვილი ისტორიული თხზულებები. ისტორიის, რო
მეცნიერების მამად და პირველ ისტორიკოსად ითვლება ძველი ბერძენი სწავლული ჰეროდოტე.

ისტორიკოსი შეისწავლის, თუ როგორ ცხოვრობდა ადამიანთა საზოგადოება ძველად, რო
საცხოვრებლები ჰქონდა, რას იცვამდა, რითი იკვებებოდა, რომელ ღმერთებს სცემდა თაყვანს, რ
იმართებოდა, როგორი რელიგიური წესები, სახელმწიფო კანონები თუ ადათ-ჩვევები წარმართ
მის ცხოვრებას; რა ურთიერთობები ჰქონდათ სხვადასხვა ხალხებს და სახელმწიფოებს ერთმანე
როგორ ვაჭრობდნენ, როგორ ომობდნენ, როგორ თანაარსებობდნენ მშვიდობიან პერიოდებში ...

საზოგადოების ცხოვრება ყოველთვის რთული და მრავალფეროვანი იყო. წარსულის სრული სუ
აღდგენა შეუძლებელია მისი რომელიმე ერთი მხარის შესწავლით. ამიტომაა, რომ ისტორიის ცალკ
დარგები და დამხმარე დისციპლინები გაჩნდა. საკუთრივ ისტორიის გარდა ისტორიის დარ
არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ისტორიული გეოგრაფია, ცივილიზაციის ისტორია, კულტურის ის
... ისტორიის დამხმარე დარგებია: წყაროთმცოდნეობა, პალეოგრაფია, დიპლომატიკა, სფრაგის
ჰერალდიკა, გენეალოგია, ნუმიზმატიკა, ისტორიული მეტროლოგია, ქრონოლოგია....

ისტორიკოსი წარსულს გარკვეული მასალების საფუძველზე აღადგენს, ასეთ მასალას ზო
ისტორიული წყარო ეწოდება. ისტორიული წყაროა ყველაფერი ის, რაც წარსულიდან შემოგვრ

მიწაში დაფლულ ისტორიულ მასალას არქეოლოგია შეისწავლის. არქეოლოგია ორი
ბერძნული სიტყვის „არქაიოს"- ძველი და „ლოგოს"- სიტყვა, ცოდნა შეერთების გზითაა მიღებუ
სიძველეთმცოდნეობას ნიშნავს. მიწაში დაფლული სიძველეებისადმი ინტერესი ადამიანს უძვ
დროიდან გაუჩნდა, მაგრამ ისტორიის ცალკე დარგად არქეოლოგია სულ ხამასიოდე წლის
ჩამოყალიბდა.

არქეოლოგიური გათხრები ისე უნდა ჩაატარონ, რომ არ დაზიანდეს არქეოლოგიური მასალა
ერთი ისტორიული თუ ლიტერატურული თხზულება ვერ აღადგენს წარსულის ყოფით დეტალ
სრულად, როგორც არქეოლოგია. დიდ არქეოლოგიურ აღმოჩენებამდე კაცობრიობამ თავისი მხ
დაახლოებით 3 ათასი წლის ისტორია იცოდა. არქეოლოგიამ მოგვცა საშუალება შევცვ
კაცობრიობის ისტორიის ის მეტად ხანგრძლივი პერიოდი, როდესაც დამწერლობა არ არსე
არქეოლოგიამ ნათელი მოჰფინა იმ ეპოქებსაც, საიდანაც წერილობითი ძეგლები შემოგვრ
გამოავლინა მრავალი ისეთი ქალაქი, რომლის არსებობა მეცნიერებს მხოლოდ მითად და ლეგ
მიაჩნდათ.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ჰომეროსის პოემა „ილიადაში" მოხსენიებული ქალაქის,
რეალურობა, რომლის არსებობაც მეცნიერებს დიდხანს არ სჯეროდათ, მხოლოდ არქეოლოგ
გათხრებმა დაადასტურა, რომელიც გერმანელმა ჰენრიხ შლიმანმა დაიწყო.

დიდი არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად არქეოლოგებმა გამოავლინეს დღეს უკვე გარ



უკრაინა
რუსეთი
ყაზახეთი
რუმინეთი
მოლდოვა
ბულგარეთი
საბერძნეთი
აზოვის ზღვა
შავი ზღვა
კასპიის ზღვა
საქართველო
სომხეთი
აზერბაიჯანი
თურქეთი
თურქმენეთი
ირანი
სირია
ერაყი

რუკა 2

# საქართველოს მხარეები დღეს და ძველად




პირობითი ნიშნები

- საქართველოს თანამედროვე საზღვრები
- ქალაქი
- დღეს აღარ არსებული ქალაქი

რუკაზე წითელი წარწერით ისტორიული მხარეები მოცემულია თავდაპირველ საზღვრებში.

რუკაზე შავი წარწერით ისტორიული მხარეები მოცემულია თანამედროვე ფარგლებში.

[illegible] და სახელმწიფოები. მათი კულტურა, ყოფა და წერილობითი ძეგლები, გაითხარა უძველესი [illegible] თავისი ბიბლიოთეკებით და სახელმწიფო არქივებით, რამაც საშუალება მისცა მეცნიერებს [illegible] ისტორია შეესწავლათ.

პირველი არქეოლოგიური გათხრები საქართველოში, უფლისციხეში 1852 წ. დიმიტრი [illegible]ხუცესიშვილმა ჩაატარა. საქართველოში არქეოლოგიის ფუძემდებლებს შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ დიმიტრი ბაქრაძე და ექვთიმე თაყაიშვილი. დ. ბაქრაძემ თბილისში [illegible] არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება დააფუძნა. ექვთიმე თაყაიშვილმა პირველმა [illegible] ცნობილი ვანის ნაქალაქარის გათხრები. ის პირველი იყო, რომელმაც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ (1918 წ. 26 იანვარი), არქეოლოგიის სალექციო კურსი მიჰყავდა.

არქეოლოგიურმა გათხრებმა საქართველოში განსაკუთრებით ფართო მასშტაბი გაშალა საუკუნის [illegible] წლებიდან მიიღო. ეს გათხრები დიდი არქეოლოგების, ქართული არქეოლოგიის მამამთავრების: ბორის კუფტინის, გიორგი ნიორაძის, ალექსანდრე კალანდაძის, გიორგი ლომთათიძის, გერმანე [illegible]შვილის, ანდრია აფაქიძის, ოთარ ლორთქიფანიძის .... სახელს უკავშირდება.

საქართველოს დიდ არქეოლოგიურ აღმოჩენებს შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ: მტკვარ-არაქსის კულტურა, ყორღანების ბრწყინვალე კულტურა, ვანის და საჩხერის, ბაგინეთის, ხამადლის, [illegible] .... ნაქალაქარები; მცხეთაში, არმაზის ხევში ქართლის პიტიახშების სამაროვანი, აგრეთვე [illegible] ნაპოვნი [illegible] ადამიანი. არმაზის სამაროვანში არქეოლოგებმა მიაკვლიეს ძველ ბერძნულ და არამეულ ენებზე შესრულებულ წარწერებს, რომლებმაც ახალი შუქი მოჰფინეს საქართველოს ისტორიას.

ყველა ხალხს თავისი ზნე-ჩვეულებები და ადათ-წესები გააჩნია, რომლებიც მისი ისტორიის [illegible] ეტაპზე ჩამოყალიბდა და მის ყოფას და ცხოვრებას განუმეორებელ ელფერს ანიჭებს. ასეთი ჩვეულებებისა და ადათ-წესების ცოდნა აუცილებელია ცალკეული ხალხების თუ ეპოქების ისტორიის აღსადგენად. ყოველივე ამას ისტორიის ერთი დარგი, ეთნოგრაფია შეისწავლის. ის ორი ძველი ბერძნული სიტყვის „ეთნოს"- ხალხი და „გრაფოს" - აღწერა შეერთების გზითაა მიღებული და ხალხის აღწერას ნიშნავს. ეს ტერმინი დაახლოებით სამასი წლის წინათ შემოვიდა. თავდაპირველად ეთნოგრაფები იმ დაბალ საფეხურზე მყოფი ხალხების ყოფა-ცხოვრებას აღწერდნენ, რომლებსაც ევროპელები მათვის აქამდე უცნობ კონტინენტებზე (ამერიკის, ავსტრალიის ...) შეხვდნენ. ეთნოგრაფები [illegible] ცხოვრობდნენ ასეთ ხალხებში და მათ ცხოვრებას აკვირდებოდნენ. მათ შორის იყო ამერიკელი [illegible] ლუის მორგანი, რომელმაც ორ ათეულ წელზე მეტი ამერიკელ ინდიელებთან გაატარა. მისმა შრომებმა საშუალება მისცა მეცნიერებს აღედგინათ ადამიანთა საზოგადოების პირველყოფილი [illegible] ეპოქა. მსოფლიოს უდიდესი ეთნოგრაფებიდან შეიძლება დავასახელოთ ედუარდ ტეილორი, ფრიდრიხ რატცელი ...

ქართული მეცნიერული ეთნოგრაფიის ფუძემდებელია გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1756). მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა მოიპოვება ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის შვილიშვილის იოანე ბაგრატიონის (1768-1830) „კალმასობაში". ქართული ეთნოგრაფიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით დიდ ქართველ პოეტებს რაფიელ ერისთავს და ვაჟა-ფშაველას, აგრეთვე ისტორიკოსებს ნიკოლოზ ხიზანიშვილს და მოსე ჯანაშვილს. საბჭოთა [illegible] ქართველი ეთნოგრაფებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ სერგი მაკალათია, გიორგი ჩიტაია, ვერა ბარდაველიძე, ალექსი რობაქიძე, ... მათ დიდი ღვაწლი დასდეს ქართული და [illegible] ეთნოგრაფიული მასალის შეგროვება-შესწავლას და ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ჩამოყალიბებას.

[illegible] ეთნოგრაფები თანაბრად აღწერენ და შეისწავლიან მსოფლიოს ყველა ხალხის ყოფა-ცხოვრებას [illegible] განვითარების დონის მიუხედავად. ეთნოგრაფიისაგან განასხვავებენ ეთნოლოგიას. ეთნოლოგია [illegible] ხალხთმცოდნეობას ნიშნავს. ეთნოლოგები აზოგადებენ და თეორიულად ამუშავებენ ეთნოგრაფიულ მასალას.

ისტორიკოსი, უპირველეს ყოვლისა, წერილობით წყაროებს იყენებს. ჩვენს კომპიუტერულ ეპოქაში [illegible] წარმოსადგენია თუ რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული ძველი ხელნაწერების წაკითხვა. ამ [illegible] პირველ რიგში გვეხმარება პალეოგრაფია. ეს ტერმინი ორი ბერძნული სიტყვის „პალეოს" - [illegible] და „გრაფოს"- წერა, აღწერა შეერთების გზითაა მიღებული და ქართულად [illegible]მცოდნეობას ნიშნავს. პალეოგრაფები სწავლობენ სხვადასხვა ეპოქებში თუ როგორ [illegible] და რას იყენებდა საწერ მასალად ადამიანი, როგორი იყო ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში ასოთა [illegible]ულობა. პალეოგრაფიის შემადგენელი ნაწილია დიპლომატიკა ანუ სიგელთმცოდნეობა, რომელიც

საგანგებოდ იკვლევს ძველ ისტორიულ დოკუმენტებს. აგრეთვე სფრაგისტიკა, რომელიც სწავლობ
ძველ დოკუმენტებზე დასმულ ბეჭდებს და მათ გამოსახულებებს. დიპლომატიკას და სფრაგისტიკა
განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ძველი დოკუმენტების უტყუარობის დადგენაში. საბუთებ
გაყალბებას ადამიანები ძველ ეპოქებშიც არც თუ ისე იშვიათად მიმართავდნენ. ქართულ
პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი დაუდეს: თედო ჟორდანია
ალექსანდრე ცაგარელმა, ივანე ჯავახიშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, სარგის კაკაბაძემ ...

პალეოგრაფიის შემადგენელი ნაწილია აგრეთვე ეპიგრაფიკა, რომელიც მაგარ მასალაზე – ქვ
ლითონი, მინა, კერამიკა – შესრულებულ ძველ წარწერებს იკვლევს.

წერილობითი წყაროების დიდი ნაწილი ნარატიული ანუ თხრობითი წერილობითი წყაროებია. მა
ჩვენი წინაპრები „მატიანეს", „ცხოვრებას" ან „ამბავს" უწოდებდნენ. ასეთ ისტორიულ თხზულებებ
ხშირად ერთი ავტორი იწყებდა და სხვები აგრძელებდნენ, ამიტომ ძალზედ ძნელია ძველი მატიანეებ
დაწერის დროის და მისი შემადგენელი ნაწილების დადგენა. ყოველივე ამას წყაროთმცოდნეობ
შეისწავლის.

ძველი ქართული მატიანეების შესწავლა-გამოცემის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით: გამოჩენი
ფრანგ ქართველოლოგს მარი ბროსეს, თედო ჟორდანიას, ექვთიმე თაყაიშვილს, ივანე ჯავახიშვილ
სიმონ ყაუხჩიშვილს...

ჰერალდიკა – მეცნიერებაა გერბების შესახებ. გერბი არის საგანგებო ნიშანი, განმასხვავებელ
ემბლემა. გერბები ჰქონდათ და აქვთ სახელმწიფოებს, მასში შემავალ მხარეებს, ქალაქებს თ
პროფესიულ გაერთიანებებს. ძველად საკუთარი გერბები ჰქონდათ წარჩინებულ საგვარეულოებ
ამიტომ ჰერალდიკა მჭიდროდაა დაკავშირებული გენეალოგიასთან. გენეალოგია საგანგებოდ სწავლობ
ცალკეულ საგვარეულოთა ისტორიას და ისტორიულ პირთა წარმომავლობას.

ისტორიული მეტროლოგია იკვლევს ძველი დროის სხვადასხვა ხალხების სიგრძის, წონის, ზომ
დროის, მოცულობის ერთეულებს.

ნუმიზმატიკა ლითონის ფულის – მონეტის ისტორიას სწავლობს. დიდი ხნის მანძილზე მხოლო
ლითონის ფული იჭრებოდა. პირველი ასეთი მონეტები დაახლოებით 2700 წლის წინათ ლიდი
სახელმწიფოში და საბერძნეთის ერთ-ერთ კუნძულზე მოჭრეს.

ძვ. წ. VI ს-ის მიწურულში, დაახლოებით ძვ. წ. 517 წელს აქემენიანთა სპარსეთის შაჰმა დარიოს
მოჭრა ოქროს მონეტა, რომელსაც დარიკს უწოდებდნენ. ის 8,4 გრ. ოქროს იწონიდა.

დაახლოებით ამავე ხანებში პირველი მონეტები ვერცხლისაგან საქართველოშიც მოიჭრა.
მონეტებს მეცნიერები „კოლხურ თეთრს" უწოდებენ. ასე რომ, საქართველო ფულის ერთ-ერთ
სამშობლოა. დიდი ხნის მანძილზე საქართველოში მოჭრილ მონეტებს მხოლოდ უცხოენოვან
წარწერები ჰქონდათ. ქართულ წარწერიანი მონეტები ახ. წ. VI ს-იდან გვხვდება.

ქართულ ნუმიზმატიკას XIX ს-ში საფუძველი მიხეილ ბარათოვმა (ბარათაშვილმა) ჩაუყარა. მ
განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით დავით კაპანაძეს, თამარ ლომოურს ....

ისტორიული გეოგრაფია იკვლევს ძველი ტომების განსახლების თუ ცალკეული სახელმწიფოებ
საზღვრებს, ძველ სამიმოსვლო გზებს, ძველი სოფლების თუ ქალაქების მდებარეობას ... ისტორიულ
გეოგრაფიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ისტორიული რუკების შედგენაა. საქართველ
ისტორიული გეოგრაფიის შესწავლას საფუძველი გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა
გეოგრაფმა ვახუშტი ბაგრატიონმა ჩაუყარა. ქართული ისტორიული გეოგრაფიის განვითარებას დიდ
ღვაწლი დაედო ნიკოლოზ ბერძენიშვილმა და მისმა მოწაფეებმა.

ისტორიული მეცნიერების დარგია ცივილიზაციების ისტორია. ცივილიზაცია ლათინურ
„ცივილისიდან" წარმოსდგება, რაც ამ ენაზე ქალაქურს, საზოგადოებრივს, სახელმწიფოებრივ
აღნიშნავდა. დღეს ცივილიზაცია ეწოდება ძველ თუ თანამედროვე საზოგადოებებში არსებუ
პოლიტიკურ-ეკონომიკურ, სოციალურ (საზოგადოებრივ) და კულტურულ ტრადიციათა ერთობლიობა
ერთმანეთისაგან განასხვავებენ ცალკეული ერების, მაგ. ქართველების, სომხების, რუსების ...;
ცალკეული რეგიონების, მაგალითად: ევროპულ, წინააზიურ, ხმელთაშუა ზღვისპირა ...
ცივილიზაციებს. ცივილიზაციებს ერთმანეთისაგან განასხვავებენ რელიგიური ნიშნითაც, მა
ქრისტიანული, ისლამური, ბუდისტური ... მეცნიერთა ერთ ნაწილს ცივილიზაციებს შორის ეთნიკურ
რელიგიური ნიშნით არსებული განსხვავება იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ უარყოფს ერთიან
მსოფლიო ანუ საკაცობრიო ცივილიზაციის არსებობას. სხვები კი ცივილიზაციების ისტორიაში მთავა
როლს აკუთვნებენ არა ამ განსხვავებებს, არამედ იმ ზოგადსაკაცობრიო და უნივერსალუ
ღირებულებებს, რომლებიც მათ აერთიანებს. ასეთი მეცნიერები მომავალში ერთიანი მსოფლი

ცივილიზაციის შექმნის შესაძლებლობას ხედავენ. მათ გლობალისტები ეწოდებათ.

კაცობრიობის თუ ცალკეული ხალხების ისტორიის შესწავლაში მეცნიერების სხვა დარგებიც ეხმარება. ისტორიკოსი ისტორიული წყაროების, ისტორიული მეცნიერების სხვადასხვა დარგების მონაცემების საფუძველზე აღადგენს ადამიანთა საზოგადოების, ერების, ცალკეული რეგიონების თუ მთელი კაცობრიობის წარსულ ცხოვრებას ან ამ წარსული ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთს. სწავლობს ცალკეულ ისტორიულ მოვლენებს და ცდილობს დაადგინოს მათი კანონზომიერება.

როგორც ვხედავთ, ისტორიკოსის პროფესია ძალზე რთულია და დიდ ცოდნასთან ერთად შთაგონებასაც მოითხოვს. ამიტომაც იყო, რომ ძველი ბერძნები მეცნიერების და ხელოვნების მფარველი ცხრა მუზიდან (ქალღმერთიდან) ერთ-ერთს – კლიოს – ისტორიის მფარველად მიიჩნევდნენ და მას ახალგაზრდა შთაგონებული ქალის სახით გამოხატავდნენ ხელში პაპირუსის გრაგნილით ან ეტრატით.

## § 7. ასტრონომიული და ისტორიული დრო

ყოველი ისტორიული მოვლენა გარკვეულ დროს ხდება, ამ დროის დადგენაში ისტორიკოსს ეხმარება ქრონოლოგია. ეს ტერმინი ორი ბერძნული სიტყვის „ქრონოს" - დრო და „ლოგოს" შეერთების გზითაა მიღებული და დროის შესახებ მეცნიერებას ნიშნავს. ქრონოლოგია მათემატიკურ და ისტორიულ ქრონოლოგიად იყოფა. მათემატიკური ქრონოლოგია ციურ სხეულთა მოძრაობაზე დაკვირვებით ადგენს ზუსტ ასტრონომიულ დროს, ისტორიული ქრონოლოგია იყენებს მათემატიკური ქრონოლოგიის მონაცემებს და ადგენს წარსული მოვლენების თანმიმდევრობას. კონკრეტულ დროს, როდესაც მოხდა ესა თუ ის მოვლენა, ისტორიული თარიღი ეწოდება.

ძველად სხვადასხვა ხალხებს დროის აღრიცხვის სხვადასხვა სისტემა ჰქონდათ. ისტორიული ქრონოლოგია სწავლობს თუ როგორ ჩამოყალიბდა და ვითარდებოდა დროის აღრიცხვის ასეთი სისტემები, როგორ აღნიშნავდნენ ისინი თარიღებს და როგორ ხდება ამ თარიღების გადაყვანა დროის აღრიცხვის თანამედროვე სისტემაზე.

თავდაპირველად უძველესმა ადამიანმა დროის მხოლოდ ერთად-ერთი ერთეული - დღე და ღამე იცოდა. ეს არის ის დრო, რომელსაც დედამიწა თავის ღერძის გარშემო ერთხელ შემობრუნებას უნდება და რომელიც, როგორც ვიცით, 24 საათს უდრის. შემდეგ ადამიანმა შეამჩნია, რომ ყოველი ახალი მთვარიდან შემდეგომ ახალ მთვარემდე ყოველთვის ერთიდაიგივე დრო გადიოდა. ასე აღმოაჩინა მან დროის ახალი ერთეული მთვარის თვე, რომელიც ასტრონომიულად დაახლ. 29 დღეს და 12 სთ-ს შეადგენს.

თაობიდან თაობამდე ადამიანებმა დაანახეს, რომ გარკვეული თვეების მანძილზე თბილი სეზონი ცივი სეზონით იცვლება, ცხელი გრილით, გრილი ცივით და სეზონთა ასეთი ცვლა გარკვეული დროის შემდეგ კვლავ მეორდება. ასე აღმოაჩინა ადამიანმა დროის კიდევ ერთი ერთეული - წელიწადი. ეს ის დროა, რომელსაც დედამიწა მზის გარშემო ერთ შემობრუნებას უნდება. ასტრონომიული წელიწადი დაახლოებით 365 დღე-ღამეს და 6 სთ-ს უდრის.

შემდეგ ადამიანმა დრო კიდევ სხვა ერთეულებად დაყო. პირველ რიგში, ესაა კვირა, რომელიც თავდაპირველად ზოგ ხალხებში ხუთ, ზოგან კი ათ დღეს აერთიანებდა. დღეისათვის ყველაზე გავრცელებული შვიდდღიანი კვირაა.

ხოლო ადამიანმა ისტორიული დროის კიდევ ერთი დიდი ერთეული – საუკუნე შემოიღო. თავდაპირველად ამ ტერმინით იმ დროს აღნიშნავდნენ, რომელიც ერთი თაობის მეორე თაობით შეცვლას სჭირდება. ამიტომ საუკუნე ძველ ებრაელებთან ორმოც წელს, ხოლო ძველ რომაელებთან 35 წელს უდრიდა. შემდეგ რომაელები საუკუნედ უკვე 110 წელს ანგარიშობდნენ. ჯერ კიდევ დაახლოებით სამასი წლის წინათ ჩვენი წინაპრები სიტყვა „საუკუნეს" ათასწლეულის აღსანიშნავად ხმარობდნენ. საუკუნე 100 წლის მნიშვნელობით, შედარებით გვიან დამკვიდრდა.

ისტორიული დროის აღრიცხვას ანუ წელთაღრიცხვას საწყისი დრო, ათვლის წერტილი, ანუ ერა სჭირდება, საიდანაც ისტორიული დროის აღრიცხვა დაიწყება. ასეთი ათვლის წერტილის გარეშე ჩვენ ვერ გავიგებდით თუ როდის მოხდა ესა თუ ის ისტორიული მოვლენა და რამდენი წელი აშორებს მას ჩვენს დრომდე.

თავდაპირველად სხვადასხვა ხალხები თავიანთი წელთაღრიცხვის საფუძვლად ანუ დროის ათვლის




საწყის წერტილად ხულ სხვადასხვა ისტორიულ მოვლენას იღებდნენ. ძველი ეგვიპტელები თავიანთ წელთაღრიცხვას ფარაონთა მეფობის წლებით ანგარიშობდნენ, ძველი რომაელები – ქალაქ რომის დაარსების მითიური თარიღიდან, ძველი ბერძნები პირველი ოლიმპიური თამაშების გამართვის დროიდან....

საქართველოში თავდაპირველად, ისევე როგორც სხვა ძველ ქვეყნებში, მოვლენებს მეფეების გახელმწიფების წლიდან ათვლიდნენ. უმეტეს შემთხვევაში ასეთ მეფეებად სპარსეთის შაჰები თუ ბიზანტიის კეისრები გვევლინებიან. ამის კარგი მაგალითია იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება", სადაც თარიღები სპარსეთის შაჰის პეროზის გამეფების წლიდანაა ათვლილი.

დღეისათვის მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, წელთაღრიცხვის ანუ ერის დასაწყისად ქრისტეს დაბადების წელი ითვლება. მას „ქრისტიანული ერა", „ჩვენი ერა" ან კიდევ „ახალი წელთაღრიცხვა" ეწოდება.

ქრისტეს შობიდან დროის ათვლა VI ს-ში ერთმა სკვითური წარმოშობის რომაელმა ბერმა დიონისე მცირემ შემოიტანა. თანდათანობით ეს ერა მთელ მსოფლიოში გავრცელდა. თუმცა ამ მხრივ გამონაკლისს, უპირველეს ყოვლისა, ზოგი მუსლიმური ქვეყანა წარმოადგენს, სადაც წელთაღრიცხვა დღესაც ე. წ. „ჰიჯრით" ანუ მუსლიმური წელთაღრიცხვით ათვლება. ის ჩვენი ერის 622 წლის 16 ივლისიდან იწყება. ამ დღეს მუსლიმთა განმანათლებელი და წინასწარმეტყველი მუჰამედი იძულებული გახდა არაბული ქალაქ მექადან მედინაში გაქცეულიყო. ქრისტეს შობიდან წელთაღრიცხვის შემოღების შემდეგ, მანამდე მომხდარი მოვლენების დასათარიღებლად ისტორიკოსებმა ტერმინები „ქრისტეს შობამდე", „ჩვენ ერამდე" ან კიდევ „ძველი წელთაღრიცხვით" შემოიღეს.

ძველი წელთაღრიცხვით ანუ ჩვენ ერამდე დროის ათვლა შებრუნებულად მაღლიდან დაბლა ხდება – რაც უფრო ახლოა ესა თუ ის მოვლენა ქრისტეს შობიდან მისი თარიღი ნაკლებია და პირიქით. ამ შემთხვევაში ანალოგიად შეიძლება რიცხვითი ღერძი გამოდგეს, სადაც ქრისტეს დაბადება ნულოვან წერტილს შეესაბამება, ახალი ერა დადებით რიცხვებს და ძველი ერა კი უარყოფით რიცხვებს.

საქართველოში ახალი ერა ანუ „ქრისტესით" VIII ს-დან შემოვიდა. ჩვენი წინაპრები შუა საუკუნეებში „ქრისტეს დაბადებიდან" წელთაღრიცხვაზე უფრო, წელთაღრიცხვის ორ სხვა ქრისტიანულ სისტემას „დასაბამითგან" და „ქორონიკონით" იყენებდნენ.

ქრისტეს ერის შემოღებამდე ქრისტიანებს უკვე გააჩნდათ თავიანთი კიდევ ერთი წელთაღრიცხვა, რომელსაც ბიბლიის წიგნებზე დაყრდნობით, ხამყაროს გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე ანგარიშობდნენ. საქართველოში თვლიდნენ, რომ სამყაროს გაჩენიდან ქრისტეს შობამდე 5604 წელი იყო გასული. ამიტომ, თუ ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში „დასაბამითგან" დათარიღება შეგვხვდებათ, ამ თარიღს ჩვენს ერაზე გადმოსაყვანად 5604 წელი უნდა გამოვაკლოთ. ასეთი დიდი ციფრებით ანგარიში იმ დროში ადამიანებისთვის ძალზე რთული იყო, ამიტომაც შეცვალნენ ეს სისტემა გაემარტივებინათ. ძველმა ადამიანებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ყოველი 532 წლის გავლის შემდეგ ერთი და იგივე თვის ერთი და იგივე რიცხვი კვირის ერთსა და იმავე დღეს შეესაბამება, ამიტომ, ანგარიშის გასაიოლებლად, მათ 5604 წლიდან მოყოლებული ისტორიული დრო დაყვეს 532 წლიან ციკლებად – „ქორონიკონებად" ანუ „მოქცევებად".

ძველ ქორონიკონში დროის აღრიცხვა 1-დან 532 წლამდე ხდებოდა. საქართველოში ქორონიკონით წელთაღრიცხვა 780 წლიდან, მე-13 მოქცევის დასაწყისიდან შემოვიდა. შემდგომში მე-14 მოქცევა 1312 წელს დაიწყო და 1844 წ-ს დამთავრდა. მეთოთხმეტე მოქცევის შემდეგ წელთაღრიცხვის ეს სისტემა საქართველოში აღარ გამოიყენებოდა. მიუხედავად ამისა, საინტერესოა ვიცოდეთ, რომ 2003 წ. ქორონიკონით მე-15 მოქცევის 159-ე წელია.

დროის დღე-ღამეებად, კვირეებად, თვეებად, წელიწადებად, საუკუნეებად აღრიცხვის სისტემას კალენდარი ეწოდება. ეს სიტყვა ლათინური კალენდარიუმიდან მოდის, რაც თვის პირველ დღეს ნიშნავს.

პირველი კალენდარი, რომელიც ადამიანმა შექმნა, მთვარის კალენდარი იყო. ამ კალენდარში წელიწადი მთვარის ასტრონომიული თვეების ხანგრძლივობითაა ათვლილი. ხოლო ასეთ კალენდარში 12 თვე იყო. აქედან 6 თვე ოცდაცხრა დღიანი და ექვსიც 30 დღიანი. ასე წელიწადში 354 დღე გამოდის, რაც ასტრონომიულ წელზე 11 დღით ნაკლებია. მთვარის კალენდარი სრულად ვერ ასახავს სეზონთა ცვალებადობას და ნაკლებად მოსახერხებელია, თუმცა მას დღესაც იყენებენ მუსლიმურ სამყაროში. შემდეგში შემოვიდა მთვარე-მზის კალენდარი, რომელიც მთვარის დედამიწის გარშემო ბრუნვასთან ერთად, ასტრონომიულ წელიწადსაც ითვალისწინებდა. დღეს ასეთი კალენდარი ებრაელთა სახელმწიფოში, ისრაელში იხმარება.

ძველი ეგვიპტელები წელიწადის ხანგრძლივობას ასტრონომიული წელიწადით საზღვრავდნენ. კალენდარი, რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე კალენდარს, ძვ. წ. I ს-ში რომის სახელმწიფოს მმართველის ხელისუფლის იულიუს კეისრის დავალებით ეგვიპტელმა ქურუმმა სოზიგენემ ძველ ეგვიპტურ კალენდარზე დაყრდნობით შეიმუშავა.

მას კეისრის სახელის მიხედვით, იულიუსის კალენდარი ეწოდა. ამ კალენდრით წელიწადი პირველ იანვარს იწყება და პირველი სამი წელი 365 დღისგან შედგება, ხოლო მეოთხე „ნაკიან" წელს თებერვალში დამატებით ერთი დღე ემატება. იულიუსის კალენდარი თანდათანობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელდა. ამ კალენდრის წელიწადი ასტრონომიულზე 11 წუთით ნაკლები აღმოჩნდა, რაც ყოველ 128 წელიწადში ერთ დღე-ღამეში განსხვავებას იძლევა. 1582 წლის 28 თებერვალს რომის პაპმა გრიგოლ XIII სპეციალური დადგენილებით კალენდარში ცვლილება შეიტანა. ამ დროს იულიუსის კალენდრის ცდომილება ათ დღეს შეადგენდა. ამიტომ რომის პაპის ბრძანებით, 1582 წლის 5 ოქტომბერი 15 ოქტომბრად გამოცხადდა. ამ ცვლილების გამო ახალ კალენდარს გრიგორიანული კალენდარი ეწოდა. ამ კალენდარმა თანდათანობით აღიარება პოვა. მისი გავრცელების შემდეგ იულიუსის კალენდრით დროის აღნიშვნას ძველი სტილი, ხოლო გრიგორიანული კალენდრით აღნიშვნას ახალი სტილი ეწოდა. ახალ სტილზე საქართველო 1918 წლის მარტიდან გადავიდა. ამ დროს განსხვავება ძველ და ახალ სტილებს შორის უკვე 13 დღეს შეადგენდა. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია კვლავაც ძველ სტილზე დარჩა, ამიტომ შობას 7 იანვარს, ახალ წელს კი 14 იანვარს აღნიშნავს.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ძველი მსოფლიოს სხვა ხალხების მსგავსად ჩვენი წინაპრებიც თავდაპირველად მთვარის კალენდარით სარგებლობდნენ. ამიტომაა, რომ მეგრულში „თუთა" ერთდროულად თვეს და მთვარეს აღნიშნავს. ასეთივე ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა ძველ ქართულ „თუეს". მზის კალენდარი საქართველოში დაახლოებით ძველი და ახალი ერების მიჯნაზე შემოვიდა.

თავდაპირველად საქართველოში თვეებს სხვა სახელები ერქვათ: იანვარს - აპანი, იგივე აპნისა, თებერვალს - სურწყუნისი, მარტს - მირკანი/მიჰრკანი, აპრილს იგრიკა, ან კიდევ ადარი, მაისს - ვარდობისა, ივნისს - მარიალისა, აგრეთვე ივანობისთვე, ივლისს - თიბისა ანუ თიბათვე, აგრეთვე მკათათვე, კვირიკობისთვე, აგვისტოს ქველთობისა, აგრეთვე მარიამობის თვე და ფერისცვალობის თვე, სექტემბერს - ახალწლისა, ენკენობის თვე, ოქტომბერს - სთვლისა, იგივე რთველისა, აგრეთვე ღვინობისთვე, შუაფობისთვე, ნოემბერს - ტირისკნისა, აგრეთვე გიორგობისთვე, დეკემბერს - ტირისზდენი, აგრეთვე ქრისტეშობისთვე. იულიუს კეისრის კალენდრის დამკვიდრების შემდეგ თვეების ქართული სახელები ლათინურით ანუ რომაულით შეიცვალა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ უძველეს ხანაში ახალი წელი საქართველოში 6 აგვისტოს იწყებოდა, შემდეგ 1 სექტემბერს. IX ს. დასაწყისიდან ახალ წელს 1 მარტიდან იწყებდნენ. X ს. დასასრულიდან საქართველოში რომაული კალენდრის მიხედვით ახალი წელი 1 იანვრიდან იწყება.

## § 8. ისტორიის პერიოდიზაცია

კაცობრიობის ისტორიის შესწავლისათვის აუცილებელია მის მიერ განვლილი გზის ეტაპებად – პერიოდებად დაყოფა ანუ პერიოდიზაცია. დიდი ხანია შემჩნეულია, რომ კაცობრიობის ისტორიის თითოეულ ასეთ ეტაპზე მოწინავე ხალხების უმეტესობას აქვს ცხოვრებისა და აზროვნების მსგავსი წესი. მსოფლიოს ხალხებმა, მათ შორის ქართველებმა დღემდე ხანგრძლივი და საინტერესო გზა გაიარეს. საზოგადოების ცხოვრების აღმავლობის ხშირად დაღმავლობა ცვლიდა, რომელსაც უფრო დიდი აღმავლობა მოსდევდა, ასე რომ, კაცობრიობის განვითარება მაინც წინსვლის ანუ პროგრესის გზით მიდიოდა. შედარებით მარტივ ცხოვრების წესს და რწმენა-წარმოდგენებს უფრო რთული ცვლიდა. სულ უფრო და უფრო იხვეწებოდა შრომისა და ბრძოლის იარაღები ანუ ტექნიკა. ადამიანიც სულ უფრო მეტ გამოცდილებას და ცოდნას იძენდა.

სწავლულები უძველესი დროიდან ცდილობდნენ მოეცათ კაცობრიობის ისტორიის პერიოდიზაცია. ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII–VII სს-ში ძველმა ბერძენმა ჰესიოდემ კაცობრიობის ისტორია ხუთ თაობად და ოთხ: ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და რკინის ხანად დაჰყო. მისი აზრით, ოქროს ხანაში ადამიანები ღმერთებს პატივს სცემდნენ. მათთვის უცხო იყო ავადმყოფობა. ისინი ღმერთებივით უდარდელად და ბედნიერად ცხოვრობდნენ. თანდათანობით ადამიანები სულ უფრო და უფრო დაშორდნენ ღმერთებს და ბოროტებასა და ომებში ჩაეფლნენ. ღმერთებმაც მათ სხვადასხვა ავადმყოფობა და უბედურება გამოუგზავნეს. ჰესიოდეს თვალსაზრისით, ადამიანებისათვის ყველაზე მძიმე ბოლო, მეხუთე რკინის ხანა იყო, რომელშიც ის თვითონ ცხოვრობდა.

[illegible]

რომის იმპერიის დაცემის (476 წ.) შემდეგ, საუკუნეთა მანძილზე ჩანდა, რომ ეს იმპერია არსებობას აგრძელებდა. ამიტომ იყო, რომ ფრანკთა ხელმწიფემ კარლოს დიდმა, რომელსაც თითქმის მთელი დასავლეთ ევროპა ემორჩილებოდა, 800 წ. „რომის იმპერატორის" გვირგვინი დაიდგა. მისი იმპერიის დაშლის შემდეგ, X ს. დასაწყისში „რომის იმპერატორის" გვირგვინი გერმანიის ხელმწიფემ დაიჩემა, რომელმაც თავის სახელმწიფოს „გერმანელი ხალხის წმინდა რომის იმპერია" უწოდა. გერმანულში იმპერატორის აღმნიშვნელი სახელიც „კაიზერი" იულიუს კეისრის სახელიდან წარმოსდგება. თვლებოდა აგრეთვე, რომ რომის იმპერია აღმოსავლეთ რომის იმპერიაში, იგივე ბიზანტიაში განაგრძობდა თავის არსებობას. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ, ბიზანტიის დაცემიდან (1453 წ.) თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, მესამე რომად თავი მოსკოვის სამთავრომ გამოაცხადა, რომლის მთავარმა ივანე IV 1549 წ. კეისრის იგივე ცეზარის – რუსულად გამოთქმით „ცარი" ტიტული მიიღო.

გამოჩენილმა რომაელმა სწავლულმა და გეოგრაფმა კლავდიუს პტოლემაიოსმა (ახ. წ. II ს.) კაცობრიობის ისტორია ოთხ დიდ ეტაპად დაყო, თითოეულ ამ ეტაპს იმდროინდელ მსოფლიოში თანმიმდევრულად ოთხი ასეთი დიდი სახელმწიფოს არსებობის ხანა შეესაბამებოდა, როგორებიც იყო ასურეთ-ბაბილონი, მიდია-აქემენიდური სპარსეთი, საბერძნეთ-მაკედონია და რომის იმპერია. მსოფლიო ისტორიის ასეთმა პერიოდიზაციამ დიდი გავლენა იქონია XV საუკუნემდელი ევროპის მემატიანე-ისტორიკოსთა აზროვნებაზე.

მსოფლიოს ისტორიის კიდევ მრავალი პერიოდიზაცია არსებობს. სხვადასხვა ქვეყნის, ეპოქის თუ ისტორიის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, კაცობრიობის გავლილი გზის პერიოდიზაციის განსხვავებულ პრინციპებს გვთავაზობდნენ და გვთავაზობენ.

არქეოლოგები კაცობრიობის ისტორიას იმ მასალის მიხედვით, რომლითაც შრომისა და ბრძოლის იარაღები მზადდებოდა, ქვის, სპილენძ-ქვის, ბრინჯაოს და რკინის ხანად ჰყოფენ. ასეთი პერიოდიზაციის მიხედვით, დღეს კაცობრიობის ისტორიის ახალი ეტაპია, როდესაც შრომისა და ბრძოლის იარაღების დასამზადებლად რკინაზე უფრო სხვა მეტალებს, მინარევებს და პლასტმასებს იყენებენ.

XIX-ს-ის მეორე ნახევარში გერმანელმა ეკონომისტმა კარლ მარქსმა და ფილოსოფოსმა ფრიდრიხ ენგელსმა შექმნეს საზოგადოების განვითარების შესახებ ახალი მოძღვრება. მათ მოძღვრებას მარქსიზმი, ამ მოძღვრების მიმდევრებს კი მარქსისტები ეწოდებათ. მარქსისტული პერიოდიზაციით, კაცობრიობის მთელი წარსული და მომავალი ისტორია ხუთ ეტაპად ანუ ფორმაციად იყოფა: პირველყოფილ-თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და კომუნისტური ფორმაციები. კაცობრიობის ისტორიის დაყოფის ასეთ პრინციპს სხვადასხვა პერიოდებში წარმოების საშუალებებზე საკუთრებისა და წარმოების ანუ შრომის ორგანიზაციის სხვადასხვა წესი უდევს საფუძვლად.

მარქსიზმის მიხედვით, წარმოების საშუალებებში იგულისხმება მიწა, ფაბრიკა-ქარხნები და საერთოდ ყველანაირი იარაღი, რაც შრომისთვისაა საჭირო; წარმოების წესი ესაა ურთიერთობათა წესი წარმოების ანუ შრომის პროცესში მონაწილეებს შორის; საწარმოო ძალები კი გულისხმობს, როგორც წარმოების

საშუალებებს, ისე საკუთრივ მწარმოებელს - მუშახელს ანუ სამუშაო ძალას, მის ცოდნა გამოცდილებას, ფიზიკურ შესაძლებლობებს.

მარქსიზმმა უდიდესი გავლენა მოახდინა XIX ს-ის II ნახევრისა და XX ს-ის მსოფლიოს ეკონომიკურ, ისტორიულ და პოლიტიკურ აზროვნებაზე. ის ოფიციალურ მოძღვრებად იქცა საბჭოთა კავშირსა და ზოგიერთ, აგრეთვე ევროპის, აზიის და ამერიკის რიგ ქვეყნებში.

მარქსისტული მოძღვრების მიხედვით, პირველყოფილ-თემურ საზოგადოებაში წარმოება შრომის იარაღების საზოგადოებრივ, თემურ საკუთრებას ეფუძნებოდა. ამიტომ არ არსებობდა ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლუატაცია ანუ ერთის მიერ მეორის შრომით შექმნილი პროდუქციის მითვისება. მონათმფლობელურ, ფეოდალურ და კაპიტალისტურ ფორმაციებში კი წარმოების წესი ემყარებოდა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას. შესაბამისად, საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც წარმოების საშუალებებს ფლობდა, იყენებდა შრომის იარაღების არმქონე ნაწილის შრომას და ითვისებდა მათი შრომის ნაყოფს ანუ უწევდა მას ექსპლუატაციას. მონათმფლობელურ ფორმაციაში მონათმფლობელების სრული საკუთრება იყო არა მარტო შრომის იარაღები, არამედ თვითონ მწარმოებელი - მონა; ფეოდალურ ფორმაციაში ფეოდალები ფლობდნენ წარმოების ძირითად საშუალებას - მიწას, მიწის მუშაკზე, ყმა-გლეხზე კი ფეოდალის საკუთრება კანონით შეზღუდული იყო, ფეოდალს არ შეეძლო, მონათმფლობელისაგან განსხვავებით, ყმა-გლეხის მოკვლა, დასახიჩრება, ან გაყიდვა; კაპიტალისტურ ფორმაციაში არც მონა არსებობს და არც ყმა-გლეხი. მშრომელები - მუშები თავისუფალი ადამიანები არიან, მაგრამ, ვინაიდან მარქსიზმის მიხედვით, წარმოების საშუალებებს - ფაბრიკა-ქარხნებს კაპიტალისტები იგივე ბურჟუები ფლობენ, ამიტომ პირადად თავისუფალი მუშა-პროლეტარი იძულებულია მიექირაოს კაპიტალისტს და მხოლოდ იმ გასამრჯელოს დასჯერდეს, რასაც მას კაპიტალისტი სთავაზობს. წარმოების საშუალებების ფლობა-არფლობის მიხედვით მარქსისტები განასხვავებენ საზოგადოებაში ორ დაპირისპირებულ ანუ ანტაგონისტურ კლასს: მონათმფლობელი და მონა, ფეოდალი და ყმა-გლეხი, კაპიტალისტი და მუშა. ხოლო კაცობრიობის ისტორიის მამოძრავებელ ძალად ამ ორ კლასს შორის ბრძოლას თვლიან. ბოლო, კომუნისტური ფორმაცია მარქსისტების მიხედვით, მსგავსი იქნება პირველყოფილ-თემური წყობილებისა იმით, რომ ამ ფორმაციაში გაქრება კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე და ეს საშუალებები ისევ მთელი საზოგადოების ერთიან, კოლექტიურ მფლობელობაში გადავა. ეს მოსპობს ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლუატაციას. შესაბამისად, გაქრება დაპირისპირებული კლასებიც. იმ საოცნებო ხანაში ყველა იშრომებს შესაძლებლობის მიხედვით, ანაზღაურებას კი მიიღებს მოთხოვნილების მიხედვით. ამ უტოპიურმა ანუ ზღაპრულმა ისტორიულ-ეკონომიკურმა მოძღვრებამ ცხოვრებაში ვერ გაამართლა. მას კრიზისამდე მიჰყავდა მისი მიმდევარი სახელმწიფოები, რამაც მათი უმეტესობის, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის გაქრობა გამოიწვია.

კაცობრიობის ისტორიის თავისებური პერიოდიზაცია მოგვცეს ცივილიზაციის იმ ისტორიკოსებმა, რომლებიც ერთიანი მსოფლიო ცივილიზაციის არსებობას აღიარებენ. ისინი კაცობრიობის ისტორიას მსოფლიო ცივილიზაციური ციკლების მონაცვლეობის მიხედვით შვიდ ეტაპად ყოფენ. პირველ ეტაპად ნეოლითურ ანუ ახალი ქვის ხანის ცივილიზაციას მიიჩნევენ (ძვ. წ. VIII-IV ათასწლეულები), როდესაც ადამიანმა, როგორც ცნობილია, უმარტივეს დონეზე წარმოება დაიწყო. მეორე ეტაპი სამდინარო ცივილიზაციის ხანაა (ძვ. წ. IV-II ათასწლეულები). მართლაც, პირველი სახელმწიფოები დიდი მდინარეების ნაპირებზე წარმოიქმნა. ასეთი ცივილიზაციების კერები იყო ნილოსი ეგვიპტეში, მდინარეები ტიგროსი და ევფრატი შუამდინარეთში (წინა აზიაში), ინდი და განგი ინდოეთში, ხუანხე და იანძი ჩინეთში. უძველესი ქართული სახელმწიფოებიც სამდინარო ცივილიზაციებს წარმოადგენდნენ, რომლებიც მდინარეების მტკვრის, რიონის და ჭოროხის აუზებში მდებარეობდნენ. მესამე, ანტიკურ ცივილიზაციაში (ძვ. წ. IX- ახ. წ. V სს.) წამყვან როლს ძველი ბერძნები და რომაელები ასრულებდნენ. ანტიკური ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილს ძველი ქართული სახელმწიფოები კოლხიდა, იგივე ეგრისის სამეფო და იბერია - ქართლის სამეფო წარმოადგენდნენ. ანტიკური ცივილიზაციის მთავარი ცენტრები ხმელთაშუაზღვისპირეთის, წინა აზიის, აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის ქვეყნები იყო.

ანტიკური

ანტიკური - ანტიკა ლათინური სიტყვიდან „ანტიკუუს" მოდის და ამ ენაზე ძველს აღნიშნავს.

მეოთხე, ფეოდალური ცივილიზაციის (V-XIV სს.) წამყვანი რეგიონი ევროპა გახდა. ამ ცივილიზაციის ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა საქართველოც წარმოადგენდა. ევროპაშივე წარმოიშვა

### მანუფაქტურა

მანუფაქტურა არის ლათინური სიტყვის „მანუს" - ხელი და „ფაქტურა" - კეთება შეერთების გზით მიღებული და სიტყვასიტყვით „ხელით წარმოებას" ნიშნავს. წვრილმანურისაგან სახელოსნოებისაგან განსხვავებით, სადაც ერთი ხელოსანი თავიდან ბოლომდე ამზადებდა პროდუქციას, მანუფაქტურაში შრომა დანაწილებული იყო. მაგალითად, აქ ერთი მუშაკი თავიდან ბოლომდე კი არ კერავდა წაღს, არამედ ერთი ჭრიდა ტყავს, მეორე ამზადებდა ზონრებს, მესამე ფეხსაცმლის ძირებს და ა. შ. მანუფაქტურული წარმოება ხელის შრომის პირობებში დიდი რაოდენობით საქონლის დამზადების საშუალებას იძლეოდა. პირველი მანუფაქტურები ევროპაში XIV ს-ში წარმოიქმნა.

### ინდუსტრია

ინდუსტრია ლათინური სიტყვაა და საქმიანობას ნიშნავს. ამ ტერმინით საქარხნო წარმოება აღინიშნება.

მეხუთე. წინაინდუსტრიული ცივილიზაცია (XV-XVIII ს. 30-იანი წლები). წინაინდუსტრიული ცივილიზაცია კაპიტალისტური მანუფაქტურების საფუძველზე შეიქმნა. XVIII ს. 30-იანი წლებიდან ხელით შრომა მანქანა-დანადგარებმა შეცვალა. ასე დაიწყო ცივილიზაციების ციკლების თეორიის ავტორთა მიხედვით, ცივილიზაციის ახალი, ინდუსტრიული ციკლი, რომელიც XX ს. 70-იან წლებამდე გაგრძელდა.

დღეს კაცობრიობა ამავე თეორიის მიხედვით, ახალი, ინფორმაციული ცივილიზაციის ხანაში ცხოვრობს, სადაც წამყვან როლს კომპიუტერული ტექნიკა ასრულებს.

შემოთავაზებული პერიოდიზაციები კარგად აჩვენებენ კაცობრიობის ისტორიული განვითარების ცალკეულ მხარეებს, თუმცა სრულად ვერ ასახავენ განვითარების იმ მრავალფეროვნებას, რომელიც კაცობრიობამ გაიარა. აუცილებელია უფრო ზოგადი მიდგომა. ცალკე უნდა გამოიყოს პირველყოფილი საზოგადოების ისტორია ანუ წინარე ისტორიული ხანა და კაცობრიობის ისტორიული ანუ სახელმწიფოებრიობის პერიოდი.

დღეისათვის ყველაზე უფრო მიღებულია ისტორიული ხანის სამ დიდ პერიოდად დაყოფა: ძველ ანუ ანტიკურ პერიოდად, შუა საუკუნეებად და ახალ პერიოდად. კაცობრიობის ისტორიის ასეთ დაყოფას სამწევრიანი დაყოფა ეწოდება. ის XV ს. II ნახევარში შემოვიდა და თანდათანობით დამკვიდრდა.

ამ პერიოდიზაციის მიხედვით, ანტიკური ანუ ძველი ხანის დასასრულად 476 წ. – დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის თარიღია მიჩნეული. ეს თარიღი იმავდროულად შუა საუკუნეების დასაწყისიცაა. თარიღი პირობითია და სიმბოლური აღნიშვნაა მსოფლიო ისტორიის ისეთი დიდი მოვლენისა, რომელსაც „ხალხთა დიდი გადასახლება" ეწოდება. მართლაც, გერმანული, სლავური, ჰუნური, თურქული ტომების ამოძრავებამ და ათასობით კილომეტრით გადასახლებამ წალეკა ძველი სამყარო, აქამდე არსებული ცხოვრების წესი და მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა.

შუა საუკუნეების დასასრული და მსოფლიო ისტორიის ახალი ხანის დასაწყისი XV - XVI საუკუნეების მიჯნას ემთხვევა. ეს პერიოდი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებით (ამერიკის აღმოჩენა, მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობა...) და ევროპის რიგ ქვეყნებში ეკლესიის გარდაქმნის ანუ რეფორმაციის დასაწყისით აღინიშნა. დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა მსოფლიოს ხალხები კიდევ უფრო დააახლოვა. საერთო ისტორიული პროცესის თანამონაწილე გახდა ამერიკის და აფრიკის კონტინენტებზე მოსახლე მრავალი ხალხი, რომელიც აქამდე განცალკევებით ცხოვრობდა. ამავე ხანაში ევროპის მოწინავე ქვეყნებში წარმოიქმნება და ვითარდება წარმოების ახალი, კაპიტალისტური წესი, რომელმაც თანდათანობით მთლიანად შეცვალა შუასაუკუნეობრივი ადამიანის ცხოვრება და აზროვნება.

ახალ ისტორიაში მის უახლეს ეტაპს გამოყოფენ, რომელიც XIX ს. 60-70-იან წლებში იწყება და 1945 წლით, მეორე მსოფლიო ომის დასრულებით მთავრდება. უახლესი ისტორიის დასაწყისი მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის მრავალ ქვეყანაში აგრეთვე უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენებითა და რეფორმებით აღინიშნა. მათ შორის ბატონ-ყმობა გაუქმდა და ბურჟუაზიული რეფორმები გატარდა რუსეთის იმპერიაში, რომლის შემადგენლობაში იმჟამად ევროპისა და აზიის სხვა მრავალ ქვეყანასთან ერთად (პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ფინეთი, ყაზახეთი, შუა აზიის სახელმწიფოები) საქართველოც შედიოდა. ამის შემდეგ საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება სწრაფი ტემპით წარიმართა. ხუთი ათეული წლის შემდეგ საქართველო ძალით საბჭოთა კავშირში გაერთიანდა, რომელიც კაპიტალისტურ და საბაზრო ეკონომიკას უარყოფდა. ამან საქართველო მსოფლიოს განვითარების ძირითად ხაზს შვიდი ათეული წლით ჩამოაშორა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან დღემდე კაცობრიობის ცხოვრებაში ძირეული ცვლილებები მოხდა. თავდაპირველად საბჭოთა კავშირმა თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია. მან მძლავრი სოციალისტური ბანაკი შექმნა, რომელიც კაპიტალისტურ სამყაროს დაუპირისპირდა. ამ ორ ბანაკს შორის დაპირისპირება ისტორიაში ცივი ომის სახელით შევიდა.

XX ს-ის 80-იანი წლების დასასრულს სოციალისტური ბანაკი და საბჭოთა კავშირი დაიშალა. ამით უახლესი ისტორიის კიდევ ერთი ეტაპი დასრულდა. უახლესი ისტორიის მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს ალბათ მომავალი ისტორიკოსები გამოუძებნიან შესაბამის სახელს.

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის პირველი ცდები ჯერ კიდევ უძველესი ქართული საისტორიო კრებულის, „ქართლის ცხოვრების" პირველ შემდგენელ მემატიანეებთან და IX ს-ის ისტორიულ ქრონიკაში „მოქცევაჲ ქართლისაჲში" გვხვდება. ამ თხზულებებში საქართველოს ისტორია ორ დიდ პერიოდად: წარმართულ ანუ კერპთთაყვანისცემის ხანად და ქრისტიანულ პერიოდად იყოფა. თავის მხრივ წარმართული პერიოდიც მეფობის წინა ანუ „მამასახლისობის" და მეფობის ხანადაა გაყოფილი.

ქართველ ისტორიკოსებში ისტორიის სამწევროვანი დაყოფა პირველმა ფაქტობრივად XVIII ს-ის დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ვახუშტი ბაგრატიონმა მოგვცა. მან საქართველოს ისტორია, როგორც ვნახავთ, ძველ და ახალ ხანად დაყო. ძველ ხანაში კი ორი ქვეპერიოდი გამოყო, რომელთაც ორი დინასტიის: ფარნავაზიანთა და ბაგრატიონთა მმართველობა შეუსაბამა.

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციაში შემდგომი ეტაპი დიდ ქართველ ისტორიკოსებს: ივანე ჯავახიშვილს, სიმონ ჯანაშიას და ნიკოლოზ ბერძენიშვილს ეკუთვნის.

მსოფლიოს ყველა ქვეყანას თუ ხალხს თავისი საკუთარი ისტორია გააჩნია, განსხვავებული ისტორიული ბედი ჰქონდა დიდ გეოგრაფიულ რეგიონებს და ცალკეულ კონტინენტებსაც კი. მიუხედავად ამისა, დღეისათვის ნათელია, რომ მსოფლიოს ყველა ხალხი ერთი საერთო საკაცობრიო ისტორიული პროცესის მონაწილეა. ამ ისტორიულ პროცესში ზოგმა ხალხმა საერთოდ გამოტოვა ისტორიული განვითარების მთელი ეტაპები და მსოფლიო ისტორიულ პროცესს შედარებით გვიან დაეწია. ზოგიერთი განვითარებული ხალხები, ქვეყნები და რეგიონებიც კი გარკვეულ პერიოდში ბედუკუღმართობის გამო მსოფლიო ისტორიის მსვლელობას დროებით ჩამორჩა და იძულებული გახდა წინწასულ ხალხებს ხელახლა დაწეოდა. ცალკეულმა ხალხებმა, ქვეყნებმა და მთელმა რეგიონებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს ისტორიის გარკვეულ პერიოდში, მაგრამ შემდგომ მოწინავეობა სხვა ხალხებსა თუ რეგიონებს ხვდათ.

საქართველო და საერთოდ სამხრეთ კავკასია უძველესი დროიდან მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ კერას წარმოადგენდა. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ქართული სახელმწიფოები, შემდგომ კი საქართველოს გაერთიანებული სამეფო მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს შორის იყო. ამიტომ საქართველოს ისტორიის ეს პერიოდები კარგად ჯდება კაცობრიობის ისტორიის იმ პერიოდიზაციაში, რომელიც დღეს ყველაზე უფრო აღიარებულად ითვლება. ანტიკური ხანის დასასრულად და შუა საუკუნეების დასაწყისად საქართველოშიც V-VI საუკუნეების მიჯნა უნდა მივიჩნიოთ, როდესაც ძველი ცხოვრების წესი ახალი, ფეოდალური ურთიერთობით იცვლება. პოლიტიკურად ეს ხანა ქართლში ვახტანგ გორგასლის მეფობის დასრულებას დაემთხვა.

XV ს-ის ბოლოს ერთიანი ქართული სახელმწიფო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ასე რომ, შუა საუკუნეების დასასრულსა და კაცობრიობის ისტორიის ახალ ხანას საქართველოც თავისი ისტორიის ახალ ეტაპზე შეხვდა. მაგრამ ეს ახალი ეტაპი მსოფლიოს მოწინავე ხალხებისა და რეგიონებისაგან განსხვავებით საქართველოსა და საერთოდ სამხრეთ კავკასიისათვის პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების შეფერხებითა და ნაწილობრივ უკასვლითაც კი აღინიშნა. საუკუნეთა განმავლობაში განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ, მომთაბარე ხალხებთან ხანგრძლივმა ბრძოლამ, რაც მიმართული იყო საკუთარი ეროვნულობის, და ცხოვრების ქრისტიანული წესის შენარჩუნებისათვის, ბოლოს და ბოლოს საქართველო წელში გატეხა; ხოლო ახალი ისტორიის პირველ საუკუნეებში ოსმალეთის, ირანისა და კავკასიის მთიელების მხრივ გაუთავებელ თავდასხმებმა და რბევა-აწიოკებამ საქართველოს მოსახლეობის შემცირება და საზოგადოების განვითარების შენელება მოჰყვა. ამან ჩვენ ქვეყანაში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვის შეფერხება და ფეოდალური ურთიერთობების გახანგრძლივება გამოიწვია. ქართული საზოგადოების ცხოვრება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ცხოვრებას ჩამორჩა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ახალი ისტორიაც XVI ს-დან უნდა დავიწყოთ. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ XVI ს-ში წინა აზიაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, სრულიად ახალი გეოპოლიტიკური ვითარება ჩამოყალიბდა, რომლის რღვევა მხოლოდ XIX ს-ის დასაწყისიდან დაიწყო.

მსოფლიოს ისტორიის უახლესი პერიოდის დასაწყისს (1870 წ.), როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეხვდა. ამ დროს საქართველომ ძირითადად დაძლია ფეოდალური ჩამორჩენა და განვითარების კაპიტალისტურ გზას დაადგა. ეს იმედს იძლეოდა, რომ ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგებში ჩადგებოდა, მით უფრო, რომ 1918 წ. საქართველომ დამოუკიდებლობაც

დაიბრუნა. სამწუხაროდ, 1921 წ. საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო და ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამოცდაათი წელი მთელი ისტორიის განვითარების მთავარი ხაზის მიღმა დარჩა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა საბჭოთა კავშირის დაშლა გამოიწვია, რაც ოფიციალურად 1991 წ. დეკემბერში გაფორმდა. ჯერ კიდევ 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა და ხალხთა მსოფლიო თანამეგობრობას დაუბრუნდა.

## § 9. ვინ და რას წერდა ჩვენზე წარსულში

*„აღმოსავლეთში არის ერთი ქრისტიანი ხალხი. ეს ხალხი დიდი მებრძოლია, ომში მამაცი, ტანად ძლიერანი და მრავალრიცხოვანი. ჰყავს ურიცხვი მეომარი, შიშის ზარს სცემს სარკინოზებს.“*

*1184 წ. პალესტინის ქალაქ აკრის კათოლიკე პატრიარქი* ***ჟაკ დე ვიტრი.***

*„ქართველები მიეკუთვნებიან კავკასიურ რასას და ცნობილნი არიან თავიანთი სილამაზით“*

***პიერ ლარუსი***

*დიდი ფრანგული უნივერსალური ლექსიკონი, ტ. XIX, პარიზი, 1872.*

უძველეს ხანაში, სანამ ჩვენი წინაპრები საკუთარი ისტორიის ჩაწერას დაიწყებდნენ, ქართული ტომებისა და ქართული სახელმწიფოების შესახებ ცნობები დამწერლობის მქონე იმ ხალხებმა შემოგვინახა, რომლებიც ან ჩვენი მეზობლად ცხოვრობდნენ ან სხვადასხვა დროს ჩვენთან შეხება ჰქონდათ. ასეთებად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ძველი ბერძნები. სწორედ ძველ ბერძნებში შეიქმნა თქმულება არგონავტთა ლაშქრობის შესახებ, სადაც უხსოვარ დროში იაზონის მეთაურობით ბერძენი გმირების კოლხეთის სანაპიროებთან გემ „არგოთი“ მოსვლისა და კოლხეთიდან ოქროს საწმისის (ჯადოსნური ვერძის ტყავი) გატაცების ამბავი იყო მოთხრობილი. ეს მითი ბერძნული დამწერლობის წარმოქმნისთანავე დაახლ. ძვ. წ. VIII-VII ს-ში ჩაიწერა. ძველ მსოფლიოში ის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სიუჟეტად იქცა და მრავალ ლიტერატურულ ნაწარმოებს, პოემას თუ ტრაგედიას დაედო საფუძვლად. მათ შორის აღსანიშნავია ძველი ბერძენი ტრაგიკოსის ევრიპიდეს ტრაგედია „მედეა“ და ძველი ბერძენი პოეტის აპოლონიოს როდოსელის პოემა „არგონავტიკა“.

ქართულ ტომებზე და სახელმწიფოებზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ქვაზე ამოკვეთილი წარწერები, რომლებიც ძველი მსოფლიოს ცნობილი წინააზიური სახელმწიფოს, ასურეთისა და ჩვენი სამხრეთელი მეზობლის ურარტუს მეფეთა ბრძანებით ამოკვეთეს. ძვ. წ. XII - ძვ. წ. XI სს-ის ასურული წარწერები მოგვითხრობენ კილხაზე, რომელსაც მეცნიერები კოლხასთან იგივე კოლხეთთან აიგივებენ და მუშქებზე, რომლებიც ერთ-ერთი ქართული ტომის მესხების წინაპრებად არიან მიჩნეულნი. ძვ. წ. VIII ს-ის ურარტული წარწერებიც არაერთ საინტერესო ცნობას შეიცავენ უძველესი ქართული სახელმწიფოების დიაოხის და კოლხას შესახებ.

ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძველ ბერძენ და რომაელ ავტორთა თხზულებებს. საინტერესო ცნობები კოლხეთზე მოეპოვება ძვ. წ. V ს-ში მცხოვრებ დიდ ბერძენ ისტორიკოსს ჰეროდოტეს და სახელგანთქმულ ბერძენ ექიმს, „მედიცინის მამად“ წოდებულ ჰიპოკრატეს... საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ჰიპოკრატე საქართველოს ზღვისპირეთშიცაა ნამყოფი და აღწერილი აქვს ჭაობების მავნე გავლენა აქ მოსახლე ჩვენი წინაპრების ჯანმრთელობაზე.

იბერია, აღმოსავლურ ქართული სახელმწიფო, იგივე ქართლის სამეფო, ბერძნულ წყაროებში პირველად ძვ. წ. IV ს-ში მოიხსენიება. განსაკუთრებით ხშირდება იბერიის შესახებ ცნობები რომის სახელმწიფოს მიერ მისი დაქვემდებარების შემდეგ (ძვ. წ. 65 წ.). ამ პერიოდის ბერძენი და ლათინი (რომაელი) მწერლები ბევრს მოგვითხრობენ არა მხოლოდ კოლხეთის, არამედ იბერიის შესახებაც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (ძვ. წ. 40 - ახ. წ. 20), რომელმაც თავის მსოფლიო გეოგრაფიაში დაგვიტოვა კოლხეთის და იბერიის შესანიშნავი აღწერა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოს შესახებ ისეთი დიდი ასტრონომისა და გეოგრაფის ცნობები, როგორიც იყო ძველი ბერძენი კლავდიუს პტოლემაიოსი...

ჩვენი წინაპრების ძველი სპარსეთთან ურთიერთობა აისახა უძველეს სპარსულ ეპოსებში. ამ ეპოსებმა, განსაკუთრებით კი მაზდეანური სარწმუნოების (სპარსთა ძველი სარწმუნოება) წმინდა წიგნმა „ავესტამ", რომელსაც ქართველები „ცეცხლის წიგნს" ეძახდნენ, უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი წინაპრების ისტორიული აზროვნების ჩამოყალიბებაში.

V ს-დან უკვე ქართული დამწერლობის ძეგლებიც მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა, უცხოენოვან ავტორთა ცნობებს არც შემდეგ დაუკარგავთ ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლისათვის თავისი მნიშვნელობა. ელინისტური რომის იმპერიის, ბიზანტიის წარმოშობის შემდეგ XV ს-ის II ნახევრამდე, მისი არსებობის მთელ მანძილზე საქართველოს შესახებ უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან სხვადასხვა დროის ბიზანტიელი ისტორიკოსები: პროკოპი კესარიელი (VI ს.), თეოფანე ჟამთააღმწერელი (VIII-IX სს.), ბიზანტიის კეისარი და ისტორიკოსი კონსტანტინე პორფიროგენეტი (X ს.) ...

უძველესი დროიდან ჩვენი სამხრეთელი მეზობლები იყვნენ და დღესაც არიან სომხები. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ძველ სომეხ ისტორიკოსთა შრომებში ბევრი საინტერესო შეიძლება ამოვიკითხოთ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდების შესახებ. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია V ს-ის ავტორი ლაზარე ფარპეცი, რომელმაც საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ვახტანგ გორგასლის შესახებ; აგრეთვე VII-VIII სს-ის დიდი სომეხი ისტორიკოსი, სომხური ისტორიოგრაფიის „მამად" წოდებული მოვსეს ხორენაცი. შუა საუკუნეებიდან სომხებს ბევრი ისტორიული თხზულება შემორჩათ, ითქმის ყველა ამ ისტორიულ თხზულებაში დაცულია საინტერესო ცნობები ჩვენი ქვეყნის თუ მისი ცალკეული მხარეების შესახებ.

VII ს-ში წინა აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და პირენეის ნახევარკუნძულზეც კი გაბატონდნენ არაბები. სხვა მრავალ სახელმწიფოებთან ერთად მათ საქართველოც დაიმორჩილეს. არაბი ვაჭრები, ისტორიკოსები თუ გეოგრაფოსები მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს მოივლიდნენ. VII-X სს-ში არაბული მუსლიმურ წინააზიაში ერთადერთი ენად იქცა, რომელზედაც სამეცნიერო თხზულებები იწერებოდა. არაბმა მეცნიერებმა ბალაძორიმ (IX ს.), ტაბარიმ (X ს.), იბნ ალ-ასირმა (XII-XIII სს.) ... თავიანთ ისტორიულ თუ გეოგრაფიულ თხზულებებში საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვეს საქართველოს შესახებ. არაბ ავტორებთან ჩვენი სამშობლოს შესახებ ცნობები XIV-XV სს-შიც მოგვეპოვება.

არაბთა მიერ სპარსეთის დაპყრობამ არაბიზმამდელი ძველი სპარსული დამწერლობის ძეგლების სრული განადგურება მოიტანა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართველებს და ძველ სპარსელებს უაღრესად ახლო ურთიერთობები ჰქონდათ, ამის ამსახველი სპარსულენოვანი თხზულებები არ შემოგვრჩა. სპარსული ლიტერატურა X ს-დან კვლავ აღორძინდა. ამავე ხანიდან ახალ სპარსულ ენაზე დაწერილ საისტორიო თუ გეოგრაფიულ ნაწარმოებებში გვხვდება ცნობები საქართველოზე. სპარს ავტორთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ჯუვეინი და რაშიდ-ად-დინი (XIII-XIV სს.), რომლებიც წინააზიის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში მონღოლთა ბატონობას ასახავენ. მომდევნო ხანის სპარსი ისტორიკოსებიდან აღსანიშნავია ჰასან რუმლუ, ისქანდერ მუნში... მათ თხზულებებში ყიზილბაშურ სპარსეთთან ქართველების გმირული ბრძოლის ეპიზოდებია ასახული...

XV ს. II ნახევარში საქართველოს თურქ-ოსმალთა სახელმწიფო გაუმეზობლდა. ოსმალო მოგზაურებმა თუ ისტორიკოსებმა არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვეს ჩვენი სამშობლოს ისტორიის თუ ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია იბრაჰიმ ფეჩევი, ქათიბ ჩელები, ევლია ჩელები...

საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხების კვლევისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ საბუთ-გუჯრებს, რომლებსაც ირანის შაჰები თუ თურქ-ოსმალთა სულთნები ქართველ მეფე-მთავრებზე და ცალკეულ თავადებზე გასცემდნენ. ეს დოკუმენტური მასალა მოიპოვება ჩვენთანაც, მაგრამ განსაკუთრებით უხვად ის, რა თქმა უნდა, ირანის და თურქეთის არქივებშია დაცული. უაღრესად მნიშვნელოვანი მასალა დაგვიტოვეს თურქ-ოსმალთა მიერ შედგენილმა „დავთრებმა", რომლებშიც მათ მიერ დაპყრობილი ქართული მხარეებია დაწვრილებით აღწერილი. უძველესი, 1595 წ-ს შედგენილი ასეთი დავთარი, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" სახელითაა ცნობილი.

დასავლეთ ევროპელთა დაინტერესება ჩვენი ქვეყნით ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობებიდან დაიწყო და განსაკუთრებით გაიზარდა XIII ს. II ნახევრიდან. იმჟამად დასავლეთ ევროპელებმა პლანო-კარპინიმ, რუბრუკვისმა და გამოჩენილმა მარკო-პოლომ დიპლომატიური თუ სავაჭრო მიზნით მონღოლთა საყაენოში იმოგზაურეს და სხვა ამბებთან ერთად საქართველოს შესახებ ცნობები დაგვიტოვეს.

XIII ს. II ნახევრიდან შავიზღვისპირეთში იტალიელთა, ძირითადად, გენუელთა სავაჭრო ფაქტორიები გაარსდა და საქართველოს ზღვისპირეთი XIV-XV სს-ის იტალიურ, ესპანურ და პორტუგალიურ

საზღვაო რუკებზეც დაიტანეს. საქართველოს შესახებ ძალზე საინტერესო ცნობებია დაცული XIII-XV საუკუნეების იტალიურ დოკუმენტებში, რომლებშიც შავ ზღვაზე იტალიელების ვაჭრობაა ასახული.

XVII ს-ის პირველი ნახევრის ევროპელ მოგზაურთა შორის, რომლებმაც ცნობები შემოგვინახეს ჩვენი ქვეყნის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, იტალიელი პიეტრო დე ლა ვალე უნდა დავასახელოთ. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ პიეტრო დე ლა ვალე ერთ-ერთი პირველი ევროპელია, რომელმაც გაამახვილა ყურადღება საქართველოზე, როგორც აბრეშუმის დიდი გზის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთზე.

ჩვენ ქვეყანაზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვეს XVII ს-ში საქართველოში მოღვაწე კათოლიკე ბერებმა. მათ შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც თითქმის მეოთხედი საუკუნე გაატარა საქართველოში. მან დაგვიტოვა „სამეგრელოს აღწერა". ამ წიგნის პირველ, 1654 წ-ის გამოცემას თან ახლავს რუკა, რომელზედაც სამეგრელო, ანუ ოდიშის სამთავროა გამოხაზული. არქანჯელო ლამბერტის კალამს ეკუთვნის აგრეთვე „წმინდა კოლხიდა". თავის ამ თხზულებაში ლამბერტი XVII ს-ის I ნახევრის საქართველოს ისტორიას მოგვითხრობს.

ძალზე საინტერესოა მისივე თანამედროვის, მეორე კათოლიკე ბერის ქრისტეფორე კასტელის ჩანახატები. აქ მოცემულია იმ ხანის საქართველოს გამოჩენილ პირთა, მათ შორის მეფეთა და მთავართა პორტრეტები.

XVIII ს-ის II ნახევარში საქართველოში რუსეთის მეცნიერთა აკადემიის დავალებით იმოგზაურა გერმანელმა იოჰან გიულდენშტედტმა და დაგვიტოვა ჩვენი ქვეყნის და მისი ცალკეული მხარეების დეტალური აღწერა. ამ დროისათვის რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. ჩვენს ქვეყანაში უკვე რუსეთის არაერთი ელჩობა იყო ნამყოფი. ელჩებს პირველ რიგში, მასპინძელი ქვეყნის დაზვერვა-აღწერა ევალებოდათ. ამიტომ რუსი ელჩების თავისი მთავრობისადმი წარდგენილ ანგარიშებში საქართველოს შესახებ ფრიად საინტერესო მასალა მოიპოვება. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ 1651-1652 წწ-ში ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იევლევის იმერეთის სამეფოში ელჩობის ანგარიშები, სადაც დაწვრილებითი ცნობები მოიპოვება ამ სამეფოს სოციალურ-პოლიტიკური აღნაგობის შესახებ. საქართველოს ისტორიის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვან მასალას შეიცავს ის საბუთები, რომლებშიც საუკუნეთა მანძილზე საქართველო-რუსეთის ურთიერთობები აისახა. ამ დოკუმენტების უდიდესი ნაწილი რუსეთის არქივებში ინახება. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია 1783 წ. რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის თანახმადაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის ვასალურ (დაქვემდებარებულ) სახელმწიფოდ იქცა.

## § 10. ჩვენ - ქართველები

„ქართველნი ვართ მოდგმით მხნენი, შემართებად აღზრდილნი და მარად გაჭირვებულ ცხოვრებას ჩვეულნი"

**გრიგოლ ბაკურიანის-ძე XI ს.**

ქართველი ხალხის წარმოშობა, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ხალხის, რთული და ხანგრძლივი პროცესის შედეგია. ხალხი, ერი არ წარმოიქმნება ერთბაშად და სამუდამოდ. სანამ ერი არსებობს და ცოცხლობს, მისი განვითარება უწყვეტად, შეუჩერებლად გრძელდება.

ზოგჯერ ერს მხოლოდ ენას უკავშირებენ და თვლიან, რომ თუ საერთოა ენა, მაშინ ერთ ხალხთან გვაქვს საქმე. ენა, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ერის არსებობისთვის, მაგრამ მისი მნიშვნელობაც არ უნდა შევაფასოთ გადაჭარბებით. დღევანდელ მსოფლიოს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ არის შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ხალხი ერთ ერს ქმნის (მაგალითად, შვეიცარიელები, კანადელები ...). პირიქით არაერთი შემთხვევა ვიცით, რომ ერთ ენაზე მოსაუბრე ხალხი სხვადასხვა ერებს წარმოადგენენ (მაგალითად, ინგლისელები და ამერიკელები, ესპანელები და ესპანურ ენოვანი სამხრეთ ამერიკის ხალხები, გერმანელები და ავსტრიელები...). ამგვარად, როგორც ვხედავთ, მხოლოდ ენა არ ყოფილა ერის ცნებაში გადამწყვეტი.

ძველი თუ თანამედროვე ენების გრამატიკულ აღნაგობას (სტრუქტურას), სიტყვიერ მარაგს ანუ ლექსიკას, მათ წარმოშობას და ენათა შორის ნათესაობას იკვლევს მეცნიერების დარგი, რომელსაც ენათმეცნიერება ანუ ლინგვისტიკა ეწოდება.

ენათმეცნიერთა აზრით, დღეს არსებული ენები ერთიანდებიან დიდ ენათა ოჯახებში. ერთ ოჯახში შემავალ ენებს მონათესავე ენებს უწოდებენ. თითოეულ ასეთ ენათა ოჯახში შედის როგორც დღეს

...ბული, ცოცხალი ენები, ისე უკვე არარსებული – მკვდარი ენები...

დედამიწის მოსახლეობაში გავრცელებული ენათა ოჯახებია ინდოევროპული, სემიტური, თურქულ-ალთაური, ჩინურ-ტიბეტური, უნგრო-ფინური...

**ინდოევროპული** ენათა ოჯახი რამდენიმე დიდი განშტოებისაგან შედგება. მათ შორისაა: 1. რომანული (ლათინური, ფრანგული, ესპანური, იტალიური, რუმინული...), 2. გერმანული (საკუთრივ გერმანული, ...ული ინგლისური, ჰოლანდიური, დანიური, შვედური...), 3. სლავური (რუსული, უკრაინული, ...ორუსული, ჩეხური, პოლონური, სერბული, ბულგარული...), 4. ბალტიკური (ლატვიური, ...ტვური...), 5. ირანული (სპარსული, ტაჯიკური, ქურთული, ოსურ-ალანური...), 6. ინდური (ჰინდი, ...დუ ...) ენები. ინდოევროპული ენების დამოუკიდებელ შტოებს ქმნიან ბერძნული და სომხური.

**სემიტური ენებია:** არაბული, ებრაული, სირიული, ფინიკიური, ასირიული...,

**ჩინურ-ტიბეტური** ენებია: ჩინური, ტიბეტური...,

**თურქულ-ალთაურს** მიეკუთვნებიან: თურქული, აზერბაიჯანული, ყაზახური, თურქმენული, ...ბეკური, მონღოლური...;

**უნგრო-ფინური** ენებია: უნგრული, ფინური, ესტონური ...

ამგვარად, ჩვენი მეზობლების: რუსების, სპარსელების, სომხების, ოსების ენები ინდოევროპულ ენათა ...ჯახს მიეკუთვნებიან. თურქები, აზერბაიჯანელები, ბალყარელები და ყარაჩაელები თურქულ-ალთაურ ...ებზე საუბრობენ.

ქართულ ენას ენათმეცნიერები **ქართველურ ანუ იბერიულ ენათა ოჯახს** მიაკუთვნებენ. ამ ოჯახში შედიან ქართული, ...გრული, სვანური, ლაზური ენები, უფრო ზუსტად დიალექ...ები.

ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრი ხალხების ენების უმეტესი ...ილი ერთმანეთის მონათესავეა. ეს ენები ერთ, კავკასიურ ...ჯახს ქმნიან. ამ ოჯახში შედიან ადიღეურ-ჩერქეზული, ...ინახური (ჩეჩნურ-ინგუშური) და დაღესტნური ენები. ...ღეურ-ჩერქეზულ ენებს მიეკუთვნება აფხაზური. ვაინახურ ...ებს, ჩეჩნურისა და ინგუშურის გარდა, მიეკუთვნება ქისტური, ...მელზედაც კახეთში, პანკისის ხეობაში მცხოვრებ ჩვენ ...ნამემამულეთა ერთი ნაწილი საუბრობს. ძველ ალბანურს კი ...ღესტნურ ენათა ჯგუფს მიაკუთვნებენ.

მეცნიერებში ძალზე პოპულარული იყო თვალსაზრისი, რომ ...რთველური ენები და კავკასიური ენები უძველეს წარსულში ...თ **იბერიულ-კავკასიურ ენათა** ოჯახს ქმნიდნენ და ამ ხალხების ...ნაპრები სისხლით ანუ გენეტიკურად მონათესავე ტომებისაგან ...რმოსდგებოდნენ. იბერიულ-კავკასიური ენების მონათესავედ ...თვლიდნენ ბასკურ ენასაც, რომელზედაც ესპანეთისა და ...საფრანგეთის საზღვარზე პირინეის მთებში მოსახლე ბასკები ...საუბრობენ.

ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე ...რთველური ენების ნათესაობა არ დადასტურდა არც ბასკურთან ... არც კავკასიურ ენებთან. მიუხედავად ამისა, სახელწოდება „იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახი" მაინც დარჩა. ამ ...სახელწოდების ქვეშ დღეს მეცნიერები აერთიანებენ ორ ენათა ...ჯახს, ქართველურს და კავკასიურს, მაგრამ უკვე არა ...თესაობის, არამედ მეზობლურ-ტერიტორიული პრინციპით.

ერის ცნების განმარტებისას ხშირად ხმარობენ ისეთ ...მოთქმას, როგორიცაა „სისხლით ნათესაობა". ზოგჯერ ...გონიათ, რომ თუ ვინმე „სისხლით" ანუ გენეტიკურად, ...წარმოშობით ქართველია, ფრანგია და ა. შ. მაშ ის ამ ერის ...წარმომადგენელი ყოფილა. ასეთ შემთხვევებში ეროვნებას გვარის ...[illegible] და თუ ადამიანი ქართული, სომხური, ფრანგული, ...[illegible] ... – წარმოშობის გვარს ატარებს, მას იმ ეროვნებას ...[illegible] ისტორია და თანამედროვეობა გვიჩვენებს, რომ ენის

ალბანელები და ალბანეთი

ძველ ალბანურ ენაზე დღეს მხოლოდ რამდენიმე ათასი უდიელი საუბრობს. საქართველოში, კახეთში, ყვარლის რაიონში ამჟამად [illegible] – ზინობიანი, რომელიც აზერბაიჯანიდან გადმოსახლებული. საკუთრივ აზერბაიჯანში უდიები ორ სოფელში ვართაშენსა და ნიჯში ცხოვრობენ. ძველად ეს ენა თანამედროვე აზერბაიჯანის თითქმის მთელ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. ანტიკური ხანის ბერძენ და რომაელ ავტორებს შემონახული ცნობები ალბანეთის საზღვრებზე. ქართული და სომხური ცნობები ალბანელების შესახებ V-X საუკუნეებისაა, როდესაც ალბანელებს [illegible] უკვე აღარ [illegible] და [illegible] საზღვარი [illegible]. ამ ხანის ქართული წყაროებით [illegible] მოვაკანს და რანს. მოვაკანი დღევანდელი აზერბაიჯანის მტკვრის მარცხენა სანაპიროს მოიცავდა, სადაც შემდგომში შაქი და შირვანი წარმოიშვა, რანი დღევანდელი აზერბაიჯანის მტკვრის მარჯვენა სანაპირო იყო. საქართველოსთან რანის საზღვარი მდინარე ბერდუჯზე (დღევანდელი ძეგამჩაი) გადიოდა. ალბანელებმა, ისევე როგორც ქართველებმა და სომხებმა, ქრისტიანობა IV ს-ში მიიღეს. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ალბანელები – რანის [illegible] სომხური [illegible]. VII ს-ში რანი და მოვაკანი საქართველოსა და სომხეთთან ერთად არაბებმა დაიპყრეს და აქ ისლამი გავრცელდა. XI ს-დან ძველი ალბანეთის ტერიტორია თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს და მოსახლეობაც [illegible] გაათურქდა.

მაგალითად, „ვისხლით ნათესაობა" ... გვარის წარმომავლობა ცოცხლობს ხელოვნური ნიშნები თუ ენ... ერთადში კუთვნილების. ხშირია შემთხვევა, როცა მონათესავე ტომებს სხვადასხვა ერები შეუქმნიათ და, პირიქით, გენეტიკურად სხვადასხვა წარმოშობის ტომებს ერთი ერისთვის დაუდებიათ სათავე.

საერთო რელიგია ერის ერთიანობისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ არც ესაა გადამწყვეტი. რა თქმა უნდა, ძალზე ხშირად რელიგიები თითქმის მონათესავე და ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს (მაგალითად, მართლმადიდებელი სერბები, კათოლიკე ხორვატები და მუსლიმი ბოსნიელები) მაგრამ მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როცა სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები მაინც ერთ ერს მიაკუთვნებენ თავს: კათოლიკე და პროტესტანტი გერმანელები, ამერიკელები, ინგლისელები; ქართველების უმეტესობა მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ, მაგრამ არიან მუსლიმი, კათოლიკე ... ქართველებიც.

ხშირად ერის წარმოქმნა-არსებობისთვის აუცილებელ პირობად საერთო ტერიტორია და ერთ სახელმწიფოდ ცხოვრება მიაჩნიათ. მაგრამ, როგორც ირკვევა, ესეც არ ყოფილა გადამწყვეტი. ძველადაც და დღესაც ცალკეული ერები გაყოფილნი იყვნენ და არიან სხვადასხვა სახელმწიფოებში. მაგრამ ამით მათ ერთიანი ეროვნული შეგნება არ დაუკარგავთ, უფრო მეტიც, ზოგიერთ ხალხებს, მაგალითად ქურთებს, არასოდეს უცხოვრიათ ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებში, მაგრამ მათ ერთიანობის გრძნობა არა თუ არ დაუკარგავთ, არამედ ბოლო ხანებში გაუცხოველდათ კიდეც. ხანგრძლივად განცალკევებით ცხოვრების მიუხედავად, ერთიანი ეროვნულობის შენარჩუნების საუკეთესო მაგალითს ებრაელები იძლევიან. ისინი ხომ ბედის უკუღმართობის წყალობით ორიათას წელზე მეტი ხანია მთელ მსოფლიოში არიან გაფანტულნი.

კულტურის ერთობა, საერთო ტრადიციები ერის არსებობის აუცილებელი პირობაა, მაგრამ რა უნდა ვიგულისხმოთ ამ ტერმინების ქვეშ? ხშირად ერთი ვრცელი რეგიონის, მაგალითად, დასავლეთ ევროპის, შუა აზიის, ბალტიისპირეთის, კავკასიის ცალკეულ ქვეყნებს კულტურასა და ტრადიციებში ბევრი აქვს საერთო, მაგრამ, ამის მიუხედავად, ეს რეგიონები სხვადასხვა ერებითაა დასახლებული.

საერთო ეკონომიკური ცხოვრებისა და უკეთესი მომავლისკენ საერთო სწრაფვის გარეშე ძნელია ერის წარმოდგენა, მაგრამ არც ეს ყოფილა გადამწყვეტი. ფრანგ ებრაელს ეკონომიკური ერთობა აქვს ფრანგთან, ქართველ ებრაელს ქართველობასთან ... მაგრამ, ამის მიუხედავად, ისინი პირველ რიგში ებრაელები არიან...

ასე რომ, ზემოჩამოთვლილი ნიშან-თვისებებიდან არც ცალ-ცალკე და არც ყველა ერთად აღებული კიდევ არაა საკმარისი ერის წარმოქმნა-არსებობისთვის. ერის ცნების განმარტების ასეთი სირთულის გამოა, რომ დღესაც მეცნიერები ვერ შეთანხმებულან ამ საკითხში. ერთი რამ კი ცხადია – მთავარი ეროვნული თვითშეგნებაა ანუ საკუთარი თავის გარკვეული ერისადმი კუთვნილების მყარი გრძნობა, ხანამ ცალკეული ადამიანი თვლის თავს ქართველად, რუსად, ფრანგად, სომეხად, ... ის იმ ერის წარმომადგენელია.

ისევე როგორც ყოველ ადამიანს აქვს თავისი ინდივიდუალობა, ყოველ ერს, ხალხს აქვს თავისი ეროვნული სული, თავისი განუმეორებლობა, რაც თითქოს ყველაფერში ვლინდება და თანაც მიუხედავად ლოდებელია, ხელშეუხებელი.

ამჟამად დედამიწაზე ხალხების რიცხვი რამდენიმე ათასს აჭარბებს. ზოგიერთი ერი ასობით მილიონი ადამიანისაგან შედგება, ზოგიერთი მილიარდს აღემატებიან, ზოგი კი სულ რამდენიმე ათეულ ათას კაც მოითვლის. დღეს არსებული ხალხების უმეტესობა ერად შედარებით გვიან ჩამოყალიბდა: სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში ამჟამად მოსახლე ერები, ავსტრალიელები, ახალზელანდიელები ... ჩვენ მეზობლებს შორის შედარებით ახლო წარსულში ჩამოყალიბდნენ ერებად რუსები, აზერბაიჯანელები, თურქები. სომეხი და ქართველი ერის არსებობას კი ბევრად ხანგრძლივი ისტორია აქვს.

საქართველო სამხრეთ კავკასიაში, მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გზაჯვარედინზე მდებარეობს. ძველად ის ერთგვარ მიჯნას წარმოადგენდა მომთაბარე-მესაქონლე და ბინადარ მიწათმოქმედ ხალხებს შორის. არქეოლოგების მოწმობით, სამხრეთ კავკასიაში უძველესი დროიდან ერთმანეთს ცვლიდნენ მიწათმოქმედი და მომთაბარე ხალხები. თუ როდის დასახლდნენ სამხრეთ კავკასიაში ჩვენი უძველესი წინაპრები – პროტოქართველები (წინარე ქართველები), ძნელი სათქმელია, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ 4000, 3500 წლის წინ მათ აქ უკვე მტკიცედ აქვთ ფეხი მოკიდებული.

დროთა განმავლობაში პროტო ქართველები რამდენიმე განშტოებად დაიშალნენ: მეგრელ-ჭანებად, სვანებად და იმ ქართველურ ტომებად, რომლებსაც მათი ერთიანი სახელის არარსებობის გამო მეცნიერები დღეს პირობითად „ქართებს" უწოდებენ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ქართველური ენის რამდენიმე ქართველურ ენა-დიალექტად – ქართულ, სვანურ, მეგრულ, ზანურ – დაშლაში გამოიხატა. თავდაპირველად ძველ-ქართველურ ენას სვანური გამოეყო. ამ მოვლენას ზოგი მეცნიერი ძვ. წ.

ათასწლეულით, სხვები კი ძვ. წ. II ათასწლეულით ათარიღებენ. ამის შემდეგ კიდევ კარგა ხანი ერთ ენად განაგრძობდა არსებობას მეგრულ-ზანურ-ქართული. მეგრულ-ზანურ-ქართული ერთიანი ენის დაშლას მეცნიერები ძვ. წ. I ათასწლეულში ვარაუდობენ.

ძვ. წ. IV-III სს-ის მიჯნაზე, ფარნავაზის ხანაში ქართველურ ტომთა უმრავლესობა ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა. ამ დაიწყო მათი ხელახალი შერწყმა-დაახლოება. ეს პროცესი ქრისტიანობის მიღების შემდეგ კიდევ უფრო დაჩქარდა და დაახლოებით VII-IX საუკუნეებში ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებით დასრულდა. ისევე როგორც სხვა ხალხებში, რომელთა ენები ხანგრძლივი ისტორიის გამო რამდენიმე ენად ან დიალექტებად დაყოფილი, სალიტერატურო-სამწერლობო და ქართველთა შორის უნივერსალური საურთიერთო ენის ფუნქცია ჩვენშიც ერთმა, ქართულმა შეითვისა. ქართველური ტომები იმხანად ქართველ ხალხად ჩამოყალიბდნენ და გაერთიანდნენ ერთი საერთო დამწერლობის, ერთი სალიტერატურო-სამწერლობო ენისა და ერთიანი ქართული ქრისტიანული კულტურის საფუძველზე. საკუთრივ ქართველური მოდგმის ტომების გარდა, ქართველ ხალხს იმთავითვე შეერწყა და შემდგომშიც ერწყმოდნენ მეზობლად მცხოვრები თუ შორიდან მოსული ხალხებისა და ტომების ცალკეული ჯგუფები. ამან ჩვენ ერს სიძლიერე და ცხოველმყოფელობა, ჩვენ კულტურას კი განუმეორებელი მრავალფეროვნება შესძინა. იმ ტომებიდან და ხალხებიდან, რომელთა მეტნაკლებად მნიშვნელოვანმა ჯგუფებმა მიიღეს მონაწილეობა ქართველი ხალხის ფორმირებასა და შემდგომ მის ზრდა-განვითარების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ კავკასიური ტომები: ჩერქეზები, ჯიქები, აფხაზები, ოსები, ჩეჩნები, ინგუშები, ქისტები, ალბანელები, ლეკები, ლეზგები ... აგრეთვე კიმერიელები და სკვითები, ურარტუელები და სპარსელები, სომხები, ბერძნები, ებრაელები, ყივჩაყები, თურქები .... ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

ყოველ ერს მისთვის დამახასიათებელი იერ-სახე და ხასიათი გააჩნია. შუა საუკუნეების ქართველის ფიზიკური აღწერა და მისი დახასიათება მოცემული აქვს XVIII საუკუნის დიდ ქართველ ისტორიკოსს ვახუშტი ბაგრატიონს: „...არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი, პირმშვენნი, შავ-თვალ-წარბ-თმოსანნი, თეთრ-ყირმიზნი, იშვიათად შავგვრემანნი და მოყვითალონი, იშვიათად ცისფერ და ჭრელთვალა, მწითური არ ჰყავს; ქალები ატარებენ უკან გადავარცხნილ და დაწნულ თმას; კაცები ყურებამდე შეჭრილს; არიან ტან-წერწეტნი, განსაკუთრებით ქალები და იშვიათად სქელნი; მხნედ მშრომელნი, ჭირთამთმენნი, თამამი ცხენოსნები, მკვირცხლები, სწრაფები... ლაშქრობაში ახოვანნი, საჭურველთა მოყვარულნი. ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი, იმდენად, რომ სახელის გულისათვის არ დაგიდევენ არც ქვეყანას და არც მეფეს; სტუმართა და უცხოთა მოყვარულნი, მხიარულნი: თუ ორნი და სამნი ერთად არიან, ლაღადფერს იმაღლიან, უხვნი - არც თავისი და არც სხვისი არ ენანებათ; სიმდიდრის არ მომხვეჭელნი, გონიერნი, სწრაფად მიმხვედრნი, ცოდნის დამწყაბელნი, სწავლის მოყვარენი ... ერთიერთის ამყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, ნამუსის მქონენი, კეთილ-ბოროტზე ოლად მიმდრეკნი, თავხედნი, თვალმჩენი (დაკვირვებული) და მოთაკილენი". როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბაგრატიონი ჩვენ ბევრ დადებით თვისებასთან ერთად უარყოფითსაც წარმოაჩენს. ეროვნული ხასიათი იმდენად მრავალფეროვანი და რთული ფენომენია, რომ ცალკეული ადამიანის ხასიათისაგან განსხვავებით, ის არ შეიძლება იყოს ცუდი და კარგი. ასევე არ არსებობენ კარგი და ცუდი ერები. ეროვნული ხასიათის თავისებურებები, უპირველეს ყოვლისა, ტრადიციებსა და ზნეჩვეულებებში ვლინდება, რაც თითოეული ერის კულტურას თავის განუმეორებლობას ანიჭებს.

ყოველი ერი, მათ შორის ქართველი ერი, ცოცხალი ორგანიზმია. მის შემადგენლობაში ახალ-ახალი ეროვნული ჯგუფები შედიან. დღევანდელი მსოფლიო ძალიან გახსნილი, მობილური – მოძრავია. თვითმფრინავებმა, სწრაფმა ავტომანქანებმა ადამიანებისთვის მსოფლიოს ნებისმიერი წერტილი იოლად ხელმისაწვდომი გახადა. კომპიუტერის, იმეილის, ფაქსის და ინტერნეტის მეშვეობით ყველანაირი ინფორმაცია დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან იოლად ვრცელდება. დღეს ჩვეულებრივი ამბავია, რომ ქართველი ახალგაზრდები, სხვა ქვეყნების ახალგაზრდების მსგავსად, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მიდიან სასწავლად და სამუშაოდ. ეს ნორმალური და ბუნებრივი პროცესია. საერთოდ დედამიწაზე ცხოვრების ტემპი არნახულად დაჩქარდა. ძველად ენაში და საზოგადოების ცხოვრებაში რაიმე ცვლილებას ათეულობით წელი სჭირდებოდა. დღეს ენები და ხალხები აქტიური კონტაქტების წყალობით სწრაფად ვითარდებიან. სხვა ენებისა და ხალხების მსგავსად, დროის მოთხოვნილებების შესაბამისად ვითარდება ქართული საზოგადოება, მისი აზროვნება, კულტურა, ვითარდება და მდიდრდება უძველესი ქართული ენა. ზოგი ფიქრობს, რომ პატარა ხალხის თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის აუცილებელია მისი სხვა ხალხებისგან იზოლაცია, გამოყოფა. ეს შეუძლებელია და თანაც ძალზე საშიში. ისტორიის გამოცდილებამ აჩვენა, რომ მსოფლიოს მოწინავე ხალხებისგან გამიჯვნას მხოლოდ ჩამორჩენა და გადაშენება მოაქვს. ყოველი ერის გადარჩენის ერთადერთი გზაა ფეხი აუწყოს ეპოქის მოთხოვნებს.

## § 11. როდის შეიქმნა ქართული დამწერლობა?

ცოდნის დაგროვების გარკვეული ეტაპიდან ადამიანს გაუჩნდა საჭიროება თავისი გამოცდილება უფრო ხანმედეგ გზით გადაეცა, ვიდრე ამის საშუალებას ზეპირსიტყვიერება იძლეოდა. ამან გამოიწვია დამწერლობის წარმოშობა. თავდაპირველად ადამიანმა უმარტივესი ხატოვანი დამწერლობა, ანუ პიქტოგრაფია შექმნა. ხატოვანი დამწერლობის განვითარებამ იეროგლიფური დამწერლობა წარმოქმნა, სადაც გარკვეული ხატოვანი გამოსახულება ერთ სიტყვას შეესაბამება. იეროგლიფური დამწერლობა ძვ. წ. III ათასწლეულში წარმოიშვა. მას იყენებდნენ ისეთი უძველესი ხალხები, როგორიც იყვნენ ძველი ეგვიპტელები, ჩინელები და სხვ. ჩინეთსა და იაპონიაში იეროგლიფური დამწერლობა დღემდე შემორჩა. ძველი ეგვიპტელები იეროგლიფებით წერდნენ როგორც ქვაზე, ისე პაპირუსზე. ეს დამწერლობა XIX ს-ის I ნახევარში დიდმა ფრანგმა მეცნიერმა ფრანსუა შამპოლიონმა გაშიფრა, რაც იმ დროს მეცნიერების უდიდეს მიღწევად ჩაითვალა.

დამწერლობის განვითარების შემდგომ საფეხურს ლურსმული დამწერლობა წარმოადგენს. ასეთ დამწერლობას იყენებდნენ წინა აზიის ხალხები - ძველი შუმერები, ასურელები, ხეთები ... ჩვენი წინაპრების სამხრეთელი მეზობლები ურარტუელები. ეს დამწერლობაც ძირითადად XIX ს.-ში გაიშიფრა. ლურსმული დამწერლობის წაკითხვაში განსაკუთრებული დამსახურება ინგლისელ ჰენრი როულინსონს მიუძღვის. ლურსმულ დამწერლობაში ცალკეული ნიშნით უკვე ცალკეული მარცვალია გადმოცემული. ლურსმულით წერდნენ როგორც ქვაზე, ისე თიხის ფირფიტებზე. დღეს ასეთი თიხის ფირფიტების მთელი ბიბლიოთეკებია აღმოჩენილი.

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებმა ძველმა ფინიკიელებმა ლურსმული დამწერლობიდან ანბანური დამწერლობა შექმნეს, სადაც თითოეულ ბგერას თითო ასო-ნიშანი შეესაბამება. ფინიკიური დამწერლობის პირველი ნიმუშები ძვ. წ. XII - ძვ. წ. XI სს-დან შემოგვრჩა. ფინიკიელებმა ასეთი ასო-ნიშნები მხოლოდ თანხმოვნებს მიუსადაგეს. დასრულებული სახე ანბანურ დამწერლობას ძველმა ბერძნებმა მისცეს, რომლებმაც ფინიკიურ ანბანს ხმოვნების აღმნიშვნელი ასო-ნიშნებიც დაუმატეს. ძველი ბერძნული დამწერლობის პირველი ნიმუშები ძვ. წ. IX-VIII სს-დან შემოგვრჩა. თავდაპირველად ძველი ბერძნები ფინიკიელების მსგავსად მარჯვნიდან მარცხნივ წერდნენ, შემდგომ კი მარცხნიდან მარჯვნივ წერაზე გადავიდნენ. ბერძნულიდან ანბანი ბევრმა ძველმა ხალხმა გადაიღო, მათ შორის ლათინებმა (რომაელებმა). ლათინური ანბანი საფუძვლად დაედო თანამედროვე დასავლეთ ევროპული ქვეყნების ანბანებს. ბერძნულიდან მოდის ძველი სლავური ანბანი, რომელიც IX ს-ში შეიქმნა. მისი განვითარებაა დღევანდელი რუსული ანბანი.

ფინიკიურმა ანბანმა საფუძველი დაუდო წინა და მცირე აზიაში ძველად გავრცელებულ არამეულ დამწერლობას, რომელიც ასევე არ შეიცავდა ხმოვან ასო-ნიშნებს და მარჯვნიდან მარცხნივ იწერებოდა. არამეულით შესრულებული პირველი წერილობითი ძეგლები ძვ. წ. IX ს-ითაა დამოწმებული. არამეულიდან განვითარდა არაბული დამწერლობა, რომელსაც არამეულის ეს ორივე ნიშანი ახასიათებს. არაბული დამწერლობა ძველად ყველა მუსლიმურ ქვეყანაში იყო გავრცელებული. დღეს ამ ანბანს ძირითადად არაბული ქვეყნები და ირანი იყენებს. სულ მსოფლიოში დღეისათვის 14 ანბანური სისტემა არსებობს. მათ შორისაა ქართული და სომხური ანბანები.

არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ, რომ ჩვენი წინაპრები უძველესი დროიდან განათლებული და მწიგნობარი ერების რიცხვს მიეკუთვნებოდნენ. ისინი კარგად ფლობდნენ ბერძნულ და არამეულ ენებს და ცხოვრებაში ორივე დამწერლობას იყენებდნენ. დღეისათვის არქეოლოგების მიერ გამოვლენილი უძველესი ბერძნული წარწერები საქართველოში ძვ. წ. VI ს-დან გვხვდება. უძველესი არამეული დამწერლობის ძეგლები კი ახ. წ. I ს-ით თარიღდება.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, შეიქმნა ქრისტიანული ლიტერატურის ქართულად თარგმნის საჭიროება, რამაც ქართული დამწერლობა წარმოშვა. მეცნიერთა უმეტესობის აზრით, ქართული ანბანი IV ს-ის I ნახევარში ბერძნული ანბანის საფუძველზეა შექმნილი.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ ორი უძველესი ცნობაა შემორჩენილი. ძველი ქართული მატიანე - „ქართლის ცხოვრება", ქართული ანბანის შექმნას ქართლის პირველ მეფეს ფარნავაზს მიაწერს (ძვ. წ. IV-III ს.). თანამედროვე მეცნიერები ამ ცნობას ნაკლებად დამაჯერებლად მიიჩნევენ, რადგან დღემდე არაა ნაპოვნი გაქრისტიანებაზე ადრინდელი ხანის ქართული წარწერები. მეორე ცნობა ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაშია დაცული. ის ქართული და ალბანური დამწერლობის შემქმნელად IV ს-ის II ნახევრის სომეხ სწავლულს მაშტოცს, იგივე მესროპს ასახელებს.

ეს ცნობა კიდევ უფრო ნაკლებად დამაჯერებელია. საქმე ისაა, რომ თვით სომხური წყაროების ცნობით, მაშტოცმა ქართული არ იცოდა, მაშინ როდესაც ანბანის შექმნა პირველ რიგში ენის სრულყოფილ ცოდნას მოითხოვს. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ქართული ანბანის შემდგენელზე, რომელიც ენის შესანიშნავ ცოდნას ამჟღავნებს.

რუკა 3 სამხრეთ კავკასია და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნები

ა)
ძვ. წ. IV–III ათასწლეულები




— ეგვიპტის სამეფო
— მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალი
— შუმერული ცივილიზაცია
— შუმერული ქალაქ-სახელმწიფოები
— ქალაქი

ბ)
ძვ.წ. III ათასწ. ბოლო – II ათასწ. I ნახევარი




— ეგვიპტის სამეფო
— ყორღანული კულტურის გავრცელების არეალი
— ხეთების სამეფო
— ეგეოსური ცივილიზაცია
— ბაბილონის სამეფოს საზღვრები
— ქალაქი

გ)
ძვ. წ. XV–XIII საუკუნეები




— არგონავტების კოლხეთში მოგზაურობის მარშრუტი
— აღმოსავლურ ქართული გვიან ბრინჯაოს კულტურის გავრცელების არეალი
— ეგეოსური ცივილიზაცია
— კოლხეთის ( ეგრისის ) სამეფო
— კოლხური კულტურის გავრცელების არეალი
— ასურეთისადმი დაქვემდებარებული ელამის სამეფო

დ)
ძვ.წ. VIII საუკუნე




— კოლხეთის ( ეგრისის ) სამეფო
— აქეური სახელმწიფო
— ურარტუს სამეფო
— ასურეთისადმი დაქვემდებარებული ქვეყნები

1 — კვიპროსი 2 — ფინიკია 3 — ბაბილონის სამეფო 4 — ელამი

რუკა 4

# ფინიკიური და დიდი ბერძნული კოლონიზაცია ძვ.წ. XI–VI საუკუნეებში




პირობითი ნიშნები

I — ლიკია

○ — ქალაქი

— დიდი ბერძნული კოლონიზაციით მოცული ტერიტორია და ამ დროს დაარსებული ბერძნული ქალაქები

— ფინიკიური კოლონიზაციით მოცული ტერიტორია და ამ დროს დაარსებული ქალაქები

— დიდი ბერძნული კოლონიზაციის შედეგად კოლხეთის მიერ დაკარგული ტერიტორია

ალბანური ანბანიც ქართული და სომხური ანბანების მსგავსად IV ს-ში შეიქმნა. ის 52 ასო-ნიშნისაგან შედგება. ეს ანბანი მეცნიერებისთვის დიდი ხნის ცნობილი იყო. ამ ანბანით შესრულებული რამდენიმე ეპიგრაფიკული წარწერაც აღმოჩნდა, მაგრამ მათი წაკითხვა ვერ მოხერხდა. სულ ახლახანს ქართველმა მეცნიერებმა სინას მთის წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში აღმოაჩინეს ძველი ქართული ხელნაწერი-პალიმფსესტი, რომლის უძველესი, პირველი ფენა ალბანური დამწერლობით იყო შესრულებული. ამჟამად ამ ტექსტის ერთი ნაწილი გაშიფრულია.

სომხური ანბანი 38 ასო-ნიშნისაგან შედგება. ამ დამწერლობით შესრულებული პირველი ნიმუშები V ს-დან გვხვდება.

## სინა ნახევარკუნძული

სინის ნახევარკუნძული მდებარეობს წითელი ზღვის სუეცისა და აკაბის ყურეებს შორის. წმინდა ეკატერინეს მონასტერი დგას მაღალ მთაზე ზღვის დონიდან 1523 მ-ზე. მონასტერი IV ს-ში დაარსდა. მონასტრის ბიბლიოთეკა ხელნაწერების სიძველით და სიმდიდრით ... X ს-ში ამ მონასტერში ქართველი ბერები მნიშვნელოვან ... აქ შექმნილ ... ქართული ... სამეცნიერო ...

ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები ქართულმა ეპიგრაფიკულმა ძეგლებმა შემოგვინახა. პირველ რიგში, ესაა იერუსალიმის ქართული მონასტრის მოზაიკის წარწერა, რომელიც V ს-ის I ნახევრით თარიღდება. საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილ წარწერებს შორის ყველაზე ძველია ბოლნისის ტაძრის სამშენებლო წარწერა, რომელიც მკვლევართა უმრავლესობის მიერ 494 წლით თარიღდება. ბოლო წლებში ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები აღმოჩნდა ნეკრესისა და დმანისის ნაქალაქარების არქეოლოგიური შესწავლის დროს. მათი ზუსტი დათარიღება მომავლის საქმეა.

ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები VI ს-ის II ნახევარში მოჭრილმა ქართულმა მონეტებმაც შემოგვინახა. უძველესი ქართული წარწერებია მცხეთის ჯვრის დიდებულ ტაძარზეც, სადაც ამ ეკლესიის აღმშენებლების სახელებია მოხსენებული. პირველი ზუსტად დათარიღებული წარწერა ატენის ტაძარზე მოიპოვება. ის ქართლის ერისმთავრის სტეფანოზ III გარდაცვალებას ეხება. საინტერესოა, რომ წარწერაში ეს თარიღი – 738 წ. არაბული წელთაღრიცხვითაა მოცემული.

ისტორიის სიღრმიდან ჩვენამდე ათი ათასზე მეტმა ქართულმა ხელნაწერმა წიგნმა ან მისმა ცალკეულმა ფრაგმენტმა მოაღწია. მათი უმეტესობა მაღალ მხატვრულ დონეზეა გაფორმებული. მათგან უძველესები VI-VII სს-ით თარიღდება. იმხანად ჩვენი წინაპრები ქაღალდს ჯერ კიდევ არ იცნობდნენ და საწერ მასალად სპეციალურად დამუშავებულ ტყავს – ეტრატს ხმარობდნენ. თითოეულ ხელნაწერ წიგნს ათეული და ზოგჯერ ასეული ხბოს ან ცხვრის ტყავი სჭირდებოდა. ამიტომ ასეთი ძვირფასი მასალის ეკონომიის მიზნით, ხშირად ძველ ნაწერებს შლიდნენ და მათზე ახალს ათავსებდნენ. ასეთ ხელნაწერებს პალიმფსესტები ეწოდება. წაშლის მიუხედავად, ეტრატზე ძველი ტექსტის კვალი მაინც შემორჩა, ამიტომ პალიმფსესტებმა შემოგვინახეს უძველესი ქართული ტექსტები. ის მეცნიერებმა აღადგინეს.

პირველი ქართული თარიღიანი ხელნაწერი 864 წლის საეკლესიო წიგნი ე. წ. სინური მრავალთავია, სადაც ვკითხულობთ: „დაიწერა წმიდა ესე წიგნი დასაბამითგან წელთა ხუჲჱ (6468), ქორონიკონი იყო პდ (84)“.

„სინურს“ ამ ხელნაწერს იმიტომ უწოდებენ, რომ ის დაცულია სინას მთის მონასტრის წიგნთსაცავში. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ეს ხელნაწერი მისი შექმნიდან დაახლოებით 100 წლის შემდეგ დიდმა ქართველმა ჰიმნოგრაფმა იოანე-ზოსიმემ შეამკო და ხელნაწერის ბოლო ცარიელ გვერდზე თავისი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ – ქართული ენისადმი მიძღვნილი დიდებული საგალობელი მოათავსა. უძველესი ქართული ხელნაწერი წიგნებია აგრეთვე ადიშის, ოპიზის, ჯრუჭის, პარხლის ოთხთავები – სახარებები.

ქართულმა დამწერლობამ თავისი განვითარების გრძელი გზა გაიარა. უძველეს ქართულ ანბანს თავისი მოხაზულობის გამო მრგვლოვანს უწოდებენ. მრგვლოვანში ყველა ასო ერთი სიმაღლისაა. ეს ანბანი ჩქარი წერისათვის მოუხერხებელი იყო და თანდათან ის ქართული ანბანის მეორე სახეობამ ნუსხურმა შეცვალა. ნუსხურის ყველაზე ადრეული ნიმუში ატენის ტაძრის კედლის 835 წლის წარწერამ შემოგვინახა. ნუსხურმა ეპიგრაფიკულ ძეგლებში მრგვლოვანი ვერ გამოდევნა, სამაგიეროდ ხელნაწერებში თანდათანობით მისი ადგილი თითქმის მთლიანად დაიკავა. აქ მრგვლოვანს სათაურების თუ წინადადების საწყის ასოებად იყენებდნენ, ამიტომ მას მეორე სახელი ასომთავრული ეწოდა.

ნუსხურის პარალელურად ჩამოყალიბდა ქართული დამწერლობის კიდევ ერთი სახეობა – მხედრული. მისი პირველი ნიმუში ისევ ატენის სიონის ტაძარმა შემოგვინახა, ის 980-იანი წლებით თარიღდება.

თანდათანობით მხედრულმა საერო დამწერლობიდან ნუსხური თითქმის მთლიანად გამოდევნა. ამის შემდეგ ნუსხურით ძირითადად საეკლესიო შინაარსის წიგნები იწერებოდა, რის გამოც მას მოგვიანებით ხუცური ან ნუსხა-ხუცური ეწოდა.

მხედრულის განვითარებაა დღევანდელი ქართული ანბანი.

## § 12. როგორ იწერებოდა საქართველოს ისტორია

ქართველმა ხალხმა 2000, 2300 წ-ის წინათ მატიანეების და ქრონიკების სახით დაიწყო თავისი ისტორიის ჩაწერა. თავდაპირველად ასეთი მატიანეები მხოლოდ მეფეთა სახელებზე, მათი მეფობის წლებზე, ნათესაურ კავშირებზე, ძლევამოსილ ბრძოლებზე თუ აღმშენებლობით საქმიანობაზე მოგვითხრობდნენ. ამასთან ერთად, ცალკე იწერებოდა თქმულებები და გადმოცემები ისტორიულ გმირებზე და განსაკუთრებით გამორჩეულ მეფეებზე. ქართული ანბანის წარმოშობამდე ყოველივე ეს ძველ ბერძნულ თუ არამეულ ენებზე იქმნებოდა. ქართული დამწერლობის წარმოქმნის შემდეგ ასეთი ისტორიული ლიტერატურა ამ ენებიდან ქართულად ითარგმნა. დროთა განმავლობაში მათ საკუთრივ ქართულად დაწერილი ცალკეულ მეფეთა ცხოვრების ვრცელი აღწერილობა თუ ქრონიკა-მატიანეები შეემატა. ამ თხზულებათა ავტორების სახელები ისტორიამ ვერ შემოგვინახა. ერთ-ერთი გამონაკლისს VI ს-ის II ნახევრის ქართლის ერისმთავარი ჯუანშერ ჯუანშერიანი წარმოადგენს, რომელმაც ეს ცალკეული მატიანე-ქრონიკები, თუ მეფეთა „ცხოვრებები" გააერთიანა, ქრონოლოგიურად განალაგა და მათ ჩვენი სახელოვანი მეფის ვახტანგ გორგასლის ეპოქის ისტორია დაურთო. მის მიერ შედგენილ საისტორიო კრებულს ჯუანშერ-ჯუანშერიანმა თავის ანდერძ-მინაწერში „ქართლის ცხოვრება", იგივე „ქართველთა ცხოვრება" უწოდა. საფიქრებელია, რომ მან ეს სახელწოდება თავის კრებულში შეტანილი ერთ-ერთი ქრონიკიდან აიღო. VII-VIII სს-ის მიჯნაზე დღესათვის უცნობმა ქართველმა ისტორიკოსმა „ქართლის ცხოვრებას" წინ შესავლის სახით ქართველთა წინაპრების სხვა ხალხებთან – „ძმებთან" ერთად კავკასიაში მოსვლის ამბავი დაუმატა და თანაც თხრობა VII ს-მდე მოიყვანა. ვინაიდან მან მისი დროისათვის კავკასიაში არსებული პოლიტიკური ვითარება, უძველესი ხანიდან უცვლელად წარმოიდგინა, ამიტომ ამ „ძმების" განსახლების სახით ფაქტობრივად თავისი დროის კავკასიის პოლიტიკური რუკა მოგვცა. რაც წარმოაჩენს კიდევ ამ შესავალი ნაწილის ავტორს VII-VIII სს-ის მოღვაწედ.

საქართველოს ისტორიის ამსახველი თხზულებები, ბუნებრივია, VII-VIII სს-ის შემდგომაც იქმნებოდა. თანდათანობით ისინიც შემოკლებული თუ შედარებით მთლიანი სახით „ქართლის ცხოვრებაში" შეჰქონდათ და ძველ ნაწილებსაც ზოგჯერ თავისი დროისა და ცოდნის შესაბამისად გადააკეთებდნენ ხოლმე, რათა მათი თანამედროვე მკითხველისათვის ადვილად გასაგები გაეხადათ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა XI ს-ის II ნახევრის ისტორიკოსი, რუისის ეპისკოპოსი ლეონტი მროველი, რომელმაც „ქართლის ცხოვრების" ძველი ტექსტი ახლებურად გამართა და მას თავისი ახალი თხზულება „მატიანე ქართლისაი" დაუმატა. ამით მან „ქართლის ცხოვრება" დავით აღმაშენებლის ხანამდე გააგრძელა. XII ს-ის 20 იან წლებში „ქართლის ცხოვრებას" კიდევ ერთი, დავით აღმაშენებლის მეფობის ამსახველი თხზულება „ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისა" დაემატა. XII ს-ის შუა ხანებში „ქართლის ცხოვრება" სომხურად ითარგმნა. ვინაიდან იმჟამად ის დავით აღმაშენებლის „ცხოვრებით" სრულდებოდა, ამიტომ, ცხადია, სომხური თარგმანი დავით აღმაშენებლის „ცხოვრების" შემდეგ დამატებულ თხზულებებს არ შეიცავს.

XI ს-ის დასაწყისში სუმბატ დავითის-ძე ბაგრატიონმა საქართველოს სამეფო დინასტიის, ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორია – „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა" – დაწერა. მოგვიანებით ეს საისტორიო თხზულებაც „ქართლის ცხოვრებაში" შევიდა.

თამარ მეფის გარდაცვალების შემდგომ, ახლო ხანებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაიწერა თამარის მეფობის ამსახველი ორი თხზულება: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" და „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", რომლებშიც მოკლედ აღწერილია აგრეთვე თამარის მამის გიორგი III-ის ცხოვრება. ამ ორი ნაწარმოებიდან შემდგომში „ქართლის ცხოვრების" ზოგ ხელნაწერში ერთი შეიტანეს, ზოგში კი – მეორე. „ქართლის ცხოვრებაშივე" შევიდა 1222-1224 წლებში შექმნილი კიდევ ერთი საისტორიო თხზულება, რომელსაც პირობითად „ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე" ეწოდება.

XIV ს-ის შუა წლების უცნობმა ჟამთააღმწერელმა მოგვითხრო საქართველოს ისტორია თამარის ძის, ლაშა გიორგის მეფობიდან გიორგი V-ის (ბრწყინვალის) გამეფებამდე ანუ დაახლოებით 1318 წლამდე. ამ თხზულებას პირობითად „ასწლოვან მატიანეს" უწოდებენ. მოგვიანებით ჟამთააღმწერლის თხზულებაც „ქართლის ცხოვრებაში" შეიტანეს. ამის შემდეგ „ქართლის ცხოვრებას" თითქმის სამი საუკუნე არაფერი შემატებია.

„ქართლის ცხოვრებას" ანუ „ქართველთა ცხოვრებას" ეს სახელწოდება ბოლომდე შემორჩა. მას იცნობს „ქართლის ცხოვრების" XII ს-ის სომხურად მთარგმნელი, რომელიც ამ სახელწოდებას მკითხველს როგორც „ქართლის ისტორიას" განუმარტავს. „ქართლის ცხოვრება" მოხსენებულია 1260-იანი წლების

საქართველოს მეფედმთავრების იბოვნა-წერილში მეფე დავით გიორგის ძისადმი. აღსანიშნავია, რომ ამ წერილში მეფე დავით გიორგის ძე 75-ე მეფედაა ნათვლილი. მეფეთა ეს რიცხვი სწორედ „ქართლის ცხოვრებაში" დასახელებული ქართლის წარმართი და ქრისტიანი მეფეების, ერისმთავრების, „ქართველთა", „აფხაზთა" და ერთიანი საქართველოს მეფეების შეკრებითაა მიღებული.

„ქართლის ცხოვრებას", აღნიშნული სახელწოდების გარდა, თვით ამავე თხზულებაში ზოგჯერ „მეფეთა ცხოვრება", ან კიდევ „მეფეთა წიგნი" ეწოდება.

„ქართლის ცხოვრება" უბრალოდ ისტორიულ მოვლენათა აღმნუსხველი მატიანე როდია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ცალკეული ნაწილები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში და სხვადასხვა ავტორთა მიერ იქმნებოდა. მას ახასიათებს ერთიანი, მწყობრი მსოფლაღქმა, რომელიც მაღალ მორალურ-ზნეობრივ კატეგორიებს ეფუძნება.

ქართველი ხალხის ისტორია ურიცხვ მტერთა წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაა. სამშობლოს დაცვის, მისთვის თავგანწირვის მაღალი გრძნობა „ქართლის ცხოვრებაში" არ გადადის მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილში. „ქართლის ცხოვრება" შეძლებისდაგვარად ცდილობს დაგვიხატოს ისტორიული მოვლენის ამსახველი პირუთვნელი სურათი. ცალკეული ადამიანის დახასიათების დროს, ის ნაკლებ ყურადღებას აქცევს მის ეთნიკურ წარმოშობას. ადამიანი კარგია და კეთილი ან ცუდი და „მეხიხლე" მიუხედავად მისი ეთნიკურ-რელიგიური კუთვნილებისა.

განსაკუთრებით თბილადაა განწყობილი „ქართლის ცხოვრება" საქართველოს მეზობელი, კავკასიელი ხალხების მიმართ. ამ მხრივ თხზულებას გამოკვეთილი პოზიცია აქვს: როდესაც ქართველები, სომხები, ალბანელები და სხვა კავკასიელი ხალხები ერთად იბრძვიან, მათ მტერი ძნელად თუ დაამარცხებს.

აღსანიშნავია ის სულისკვეთება, რომლითაც გამსჭვალულია „ქართლის ცხოვრება". ქართული კულტურის ეს ღირსშესანიშნავი ძეგლი მეფის, მმართველის საქმიანობას აფასებს, უპირველეს ყოვლისა, არა მის მიერ მოგებული ომების ოდენობით, არამედ აშენებული ეკლესიების, ხიდების, ციხეების, ქალაქების მიხედვით. „კარგი მეფეები" არიან „დიდად მორწმუნენი" და „მაშენებელნი ეკლესიათა", მეფეთა „სიცუდის", „უღირსობის" ძირითადი მახასიათებელი კი ისაა, რომ „მან არსად არ აღაშენა ეკლესია, არცა შეამატა რამე უკვე შენებულთა....".

„ქართლის ცხოვრების" ცალკეული მონაკვეთები ქართული მწერლობის შედევრებად უნდა ჩაითვალოს. ძველი ქართველი ისტორიკოსები მარტო დიდ მოაზროვნეებად როდი გვევლინებიან, ისინი ქართული სიტყვის დიდი ოსტატებიც იყვნენ, მშვენივრად ფლობდნენ მხატვრული მწერლობის სხვადასხვა ხერხებს და მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით, მათ მარჯვედ იყენებდნენ.

„ქართლის ცხოვრება" უძვირფასესი ძეგლია, როგორც ქართველი ხალხის, ისე კავკასიის ხალხების ისტორიის შესასწავლად. ის საქართველოს ისტორიის პირველი სახელმძღვანელოცაა, რომლითაც საუკუნეთა მანძილზე ჩვენს წინაპრებს თავისი სამშობლოს ისტორიას ასწავლიდნენ. „ქართლის ცხოვრება" „ვეფხისტყაოსანთან" და სახარებასთან ერთად ქართველი ერის სულიერ საზრდოს წარმოადგენდა. მან უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში, ეროვნული სიამაყისა და სამშობლოს სიყვარულის, ქართველთა შორის ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური იდეალების დამკვიდრების საქმეში.

ვინაიდან „ქართლის ცხოვრება" XIV ს-ის შუა წლების შემდეგ აღარ გაუგრძელებიათ და ის საქართველოს ისტორიის XIV ს-ის დასაწყისის ამბების თხრობაზე წყდებოდა, ქართული საზოგადოება შემდეგი საუკუნეების საქართველოს ისტორიის ამსახველი ერთიანი თხზულების გარეშე რჩებოდა. ასეთი თხზულების საჭიროება კი უეჭველია დიდი იყო. მისი დაწერა პირველმა XVII ს-ის ქართველმა ისტორიკოსმა ფარსადან გორგიჯანიძემ (1626-1696) იცადა. ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ხელნაწერებმა ჩვენამდე არ მოაღწია. ამიტომ მას პირობითად „საქართველოს ისტორია", ან კიდევ „საქართველოს

### ფარსადან გორგიჯანიძე

XVIII ს-ის გამოჩენილი ქართველი მოღვაწე, ფარსადანი ქართლის მეფის როსტომ ხანის კარზე გაიზარდა. 1656 წ. ის როსტომ მეფემ სპარსეთში გაგზავნა, აქ ფარსადანი ერთხანს ქართლის მეფის ნაცვლად სპარსეთის დედაქალაქის ისპაჰანის ტარუღის (მოურავის) მოვალეობას ასრულებდა. შემდეგშიც მას სპარსეთში სხვადასხვა დიდი თანამდებობები ეკავა.

სპარსეთში ფარსადან გორგიჯანიძე სიკვდილამდე დარჩა. აქვე დაწერა მან თავისი ისტორიული თხზულებაც. ფარსადანმა ზედმიწევნით იცოდა სპარსული ენა. ამან საშუალება მისცა მას სპარსულიდან ქართულად მრავალი თხზულება ეთარგმნა. მათ შორის X ს-ის დიდი სპარსი პოეტის ფირდოუსის „შაჰ-ნამეს" ქართული პოეტური ვერსია. ფარსადანმა შეადგინა აგრეთვე ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი და ქართველთა [illegible]

„ქართლის ცხოვრების" ძველი ციკლი

„ქართლის ცხოვრების" ძველი ციკლი ჩვენამდე ხუთი ნუსხითაა მოღწეული: „ანასეული", „მარიამისეული", „ჭალაშვილისეული", „მაჩაბლისეული" და „მცხეთური". „ანასეული" ეწოდება იმ ნუსხას, რომელიც გადაწერილია კახთა მეფის ალექსანდრე I-ის (1476-1511) თანამეცხედრის ანა დედოფლის ბრძანებით 1479-1495 წლებში; „მარიამისეული" ეწოდება იმ ნუსხას, რომელიც გადაწერილია ქართლის მეფის როსტომის (1632-1658) თანამეცხედრის, ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის დის მარიამ დედოფლის ბრძანებით 1633-1646 წლებში; „ჭალაშვილისეული" პირობითად ეწოდება XVI ს-ში უცნობი გადამწერის მიერ გადაწერილ ხელნაწერს, რომლის ნაკლული, დაკარგული თავი და ბოლო შეავსო ვიღაც 1731 წ. ვინმე ჭალაშვილმა; „მაჩაბლისეული" ხელნაწერიც შედგება ორი ნაწილისაგან: 1736 წ. [illegible] გადაწერა არჩილ მეფის (XVII ს-ის II ნახევარი) ნაქონი თავ-ბოლო ნაკლული ხელნაწერი და შეავსო ის XVIII ს-ის ანუ „ახალი ციკლის" ნუსხიდან; „მცხეთური" ნუსხა გადაწერილია ქართლის კათოლიკოსის ბრძანებით 1697 წ.

ცხოვრება" ეწოდება. აქ მოცემულია ჩვენი ქვეყნის ისტორია ქართლის სამეფოს გაქრისტიანებიდან 1694 წლამდე. საქართველოს IV-XIII სს-ის ისტორია ძირითადად ემყარება „ქართლის ცხოვრებას", მაგრამ ავტორი აგრეთვე იყენებს ზეპირ გადმოცემებს და სხვა წყაროებს. XIV-XVII სს-ის საქართველოს ისტორიის თხრობისას ფარსადან გორგიჯანიძე სრულიად ორიგინალურია. ამ ნაწილის წერისას ის უხვად სარგებლობს სპარსი ისტორიკოსების თხზულებებით, რომლებსაც კარგად იცნობდა.

XVIII ს-ის დასაწყისში ქართლის მეფემ, ქართული კულტურის დიდმა მოამაგემ ვახტანგ VI „ქართლის ცხოვრების" შეკრება და გაგრძელება გადაწყვიტა. მან ამ მიზნით შექმნა „სწავლულ კაცთა კომისია" ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით. კომისიამ მოიძია „ქართლის ცხოვრების" სხვადასხვა ხელნაწერები, სხვა ისტორიული თხზულებები თუ ქრონიკები, სიგელ-გუჯრები ანუ დოკუმენტური მასალა და მათ საფუძველზე გააგრძელა „ქართლის ცხოვრება". ასე შეიქმნა თხზულება, რომელსაც თვით კომისიამ „ახალი ქართლის ცხოვრება" უწოდა. ამ თხზულებაში ახლებურად გაიმართა და შეივსო „ქართლის ცხოვრების" ძველი ნაწილი და მას XIV-XVII სს-ის საქართველოს ისტორია დაემატა.

ბერი ეგნატაშვილის XIV-XVII სს-ის საქართველოს ისტორიით იმდროინდელი ქართული საზოგადოება მთლად კმაყოფილი ვერ დარჩა. ამიტომ მის დროსვე შეიქმნა „ქართლის ცხოვრების" კიდევ ორი გაგრძელება.

ტრადიციულად მიღებულია „ქართლის ცხოვრების" დაყოფა ძველ და ახალ ციკლებად. „ქართლის ცხოვრების" ძველ ციკლში იგულისხმება ის ნუსხები, რომლებსაც „სწავლულ კაცთა კომისიის" მხრივ გადამუშავება-შეკრება არ განუცდიათ, ხოლო „ქართლის ცხოვრების" ახალი ციკლი მოიცავს „ახალ ქართლის ცხოვრებას".

„ქართლის ცხოვრება" შუა საუკუნეების ისტორიული აზროვნების ნაყოფია. ახალი ეპოქა და ახალი აზროვნება საქართველოს ისტორიის ახლებურად გამართვას მოითხოვდა. ეს დიდი ამოცანა პირველმა ვახუშტი ბაგრატიონმა იტვირთა.

ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1756) ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის შვილი იყო. ის თავის მამას რუსეთში გაჰყვა და ცხოვრების ბოლო 30 წელი იქ გაატარა. ვახუშტი ბაგრატიონმა დიდი როლი ითამაშა რუსეთში პირველი, მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. რუსეთშივე დაასრულა მან თავისი დიდი თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", სადაც გადმოცა ჩვენი ქვეყნის ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით. ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება ორ ნაწილად იყოფა. ნაშრომის პირველ ნაწილში მოცემულია ჩვენი სამშობლოს ზოგადი გეოგრაფიული, ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული აღწერა და მისი ისტორია უძველესი ხანიდან XV ს-ის 70-იან წლებამდე. თხზულების მეორე ნაწილში გადმოცემულია საქართველოს „ახალი ისტორია" XV ს-ის 70-იანი წლებიდან XVIII ს-ის 40-იანი წლების ჩათვლით. აქ ცალ-ცალკე მოთხრობილია ახლად წარმოქმნილი პოლიტიკური ერთეულების ისტორია, მათ გეოგრაფიულ და ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერილობასთან ერთად. ვახუშტი ბაგრატიონმა თავის ნაშრომს დაურთო საკანგებო ქრონოლოგიური ცხრილი და საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ და გეოგრაფიულ რუკათა ქართულ ენაზე შედგენილი ორი ატლასი. მანვე რუსეთის არმიის გენერალური შტაბის დავალებით შეადგინა საქართველოს და მისი მომიჯნავე ქვეყნების რუკათა ატლასი რუსულ ენაზე. ვახუშტი ბაგრატიონის რუკები XIX ს-ის 20-იან წლებამდე სამხრეთ კავკასიის უზუსტეს რუკებს წარმოადგენდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ მისი პირველი ატლასის პირველ რუკაზე ერთიანი საქართველოს გვერდით მოცემულია საქართველოს სამეფო-სამთავროების გერბები. ამავე ატლასის მეორე რუკას თან ერთვის XVIII ს-ის 20-იანი წლების თბილისის გეგმა. ვახუშტი ბაგრატიონი თანაბრად ფლობდა ქართული ისტორიული ქრონოლოგიის, გენეალოგიის, ჰერალდიკის, გეოგრაფიის და ისტორიული გეოგრაფიის ფუძემდებელია. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ჩვენი ქვეყნის XIV-XVIII სს-ის ისტორიის გამართვისა და შევსების საქმეში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ვახუშტი ბაგრატიონი შესანიშნავად ფლობდა მისი ხანის

ევროპული მეცნიერების მიღწევებს და მისი უზარმაზარი ისტორიული და გეოგრაფიული თხზულება იმდროინდელი მსოფლიო მეცნიერების დონეს არა თუ არ ჩამოუვარდება, რიგ შემთხვევებში აღემატება კიდეც.

საქართველოს ძველი ისტორიის თავისებური გააზრება მოგვცა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილმა თეიმურაზ ბაგრატიონმა (1782-1846). მას ეკუთვნის თხზულება: „ისტორია დაწყებითგან ივერიისა ესე იგი გეორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველო". ეს თხზულება მოიცავს ჩვენი ქვეყნის ისტორიას უძველესი დროიდან ქრისტიანობის დამკვიდრებამდე. მასვე ეკუთვნის „საქართველოს ახალი ისტორია", სადაც თხრობა 1744-1819 წლებს მოიცავს.

1837 წ. თეიმურაზ ბაგრატიონი აღმოსავლეთმცოდნეობაში დიდი დამსახურებისათვის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პირველ ქართველ ნამდვილ წევრად აირჩიეს.

იმავე 1837 წ. რუსეთის იმპერიის დედაქალაქ პეტერბურგში რუსეთის აკადემიის მოწვევით ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე მარი ბროსე (1802-1880) ჩამოვიდა. ეს მოწვევა საქართველოსა და სომხეთის ისტორიის შესწავლაში ამ ფრანგი სწავლულის ჯერ კიდევ სამშობლოში მოპოვებულმა მიღწევებმა განაპირობეს. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ მარი ბროსე ქართველოლოგიაში თავს თეიმურაზ ბაგრატიონის მოწაფედ თვლიდა. პეტერბურგში მარი ბროსემ პირველად დაბეჭდა „ქართლის ცხოვრება" და გამოაქვეყნა მისი ფრანგული თარგმანი. „ქართლის ცხოვრების" ტექსტის გამოცემას მან დაურთო კომენტარები, სადაც უცხოური წერილობითი წყაროებიც მოიშველია. მარი ბროსეს „ქართლის ცხოვრების" ფრანგულმა თარგმანმა ჩვენი კულტურის ეს ღირსშესანიშნავი ძეგლი მსოფლიოს გააცნო. მარი ბროსემ იმოგზაურა საქართველოში და დიდძალი დოკუმენტური, ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალა შეკრიბა. მანვე დაწერა საქართველოს ისტორია ორ ტომად.




თეიმურაზ ბაგრატიონი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მიერ ანექსიის შემდეგ, 1803 წ. სპარსეთში გაიქცა. იქ ის სპარსეთის არტილერიის მეთაურობდა.

1810 წ. თეიმურაზი რუსეთის ხელისუფლებას შეურიგდა და პეტერბურგში გადასახლდა. იქ მან დიდი სამეცნიერო მოღვაწეობა გაშალა. თეიმურაზ ბაგრატიონი კარგად იცნობდა „ქართლის ცხოვრებას". შემონახულია „ქართლის ცხოვრების" მისეული ნუსხა.

თეიმურაზ ბაგრატიონი იყო საფრანგეთის აზიური საზოგადოების წევრი. ეს საზოგადოება საფრანგეთის და საერთოდ ევროპის გამოჩენილ აღმოსავლეთმცოდნეებს აერთიანებდა.

მარი ბროსეს უმცროსი თანამედროვე დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890) იყო. დიმიტრი ბაქრაძემ შესანიშნავად იცოდა საქართველოს ისტორიის ქართული თუ უცხოური წყაროები. მან საგანგებოდ შეისწავლა საქართველოს ისტორიის ძველი ხანა და ცალკე წიგნად გამოსცა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან X ს-ის ჩათვლით.

საქართველოს ისტორიის შესწავლას დიდი ღვაწლი დადო ექვთიმე თაყაიშვილმა (1863-1953). მან გამოავლინა და გამოაქვეყნა ერთ-ერთი უძველესი ქართული საისტორიო თხზულება „მოქცევაი ქართლისაი", სადაც წმინდა ნინოს მიერ ქართლის სამეფოს ქრისტეს რჯულზე მოქცევის ამბავია გადმოცემული. მანვე უამრავი ძველი ქართული დოკუმენტი შეისწავლა და გამოაქვეყნა. ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს მრავალ ისტორიულ მხარეში იმოგზაურა და დაწვრილებით აღწერა იქ შემორჩენილი ქართული ეკლესია-მონასტრები და მის დროს იქ დაცული სიძველეები. ამ მოგზაურობებში მას თან დაჰყავდა მხატვრები და ფოტოგრაფები. მათ ჩანახატებმა და ფოტომასალამ დღეს უკვე დანგრეულ ან დაკარგულ ძველი ქართული ხელოვნების მრავალ ძეგლზე უნიკალური მასალა შემოგვინახა. ექვთიმე თაყაიშვილმა ორ ათეულ წელიწადზე მეტი ხანი ემიგრაციაში, საფრანგეთში გაატარა, სადაც საქართველოდან გატანილ ისტორიულ საგანძურს პატრონობდა. 1945 წ. ექვთიმე თაყაიშვილი საგანძურთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ცნობილი ქართველი ისტორიკოსები თედო ჟორდანია (1854-1916) და სარგის კაკაბაძე (1886-1967) და მათი დამსახურება ქართული საისტორიო დოკუმენტების შესწავლა-გამოქვეყნების საქმეში.

დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს ისტორიის შესწავლის თანამედროვე ეტაპი. მან საფუძველი დაუდო ქართული ისტორიული მეცნიერების მრავალ დარგს: ქართულ პალეოგრაფიას, ეპიგრაფიკას, ქართულ სიგელთმცოდნეობას, მეტროლოგიას, ... გარდა ისტორიული დარგებისა ივ. ჯავახიშვილმა საფუძველი ჩაუყარა ქართული მეცნიერების ისეთ დარგებს როგორიცაა: ქართული მუსიკის ისტორია, ქართული სამართლის ისტორია, ქართული ეკონომიკის ისტორია ... განსაკუთრებით აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის მრავალტომიანი „ქართველი ერის ისტორია".

ივანე ჯავახიშვილის საქმე გააგრძელეს დიდმა ქართველმა ისტორიკოსებმა: სიმონ ჯანაშიამ (1900-1947), ნიკოლოზ ბერძენიშვილმა (1894-1965), გიორგი მელიქიშვილმა (1918-2002)...

# თავი III

# პირველყოფილი საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე

## § 13. ქვის ხანა საქართველოს ტერიტორიაზე

დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარის გათხრების დროს არქეოლოგებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ ძალზე დიდი ხნის წინათ ამ მიდამოებში უძველესი ადამიანი ცხოვრობდა. მართლაც, 1983 წ. ასეთი ადამიანის ქვის იარაღები აღმოაჩინეს. მას შემდეგ ძველი ადამიანის ნაკვალევის ძებნას დმანისის მიდამოებში გეგმაზომიერი ხასიათი მიეცა, რასაც სულ უფრო და უფრო ახალი და მნიშვნელოვანი აღმოჩენები მოჰყვა. ჯერ არქეოლოგებმა იპოვეს ძველი ადამიანის ქვედა ყბა, შემდეგ მისი ტერფის ძვალი. განსაკუთრებით სენსაციური 1999 წლის ზაფხული გამოდგა, როდესაც ძველი ადამიანის ორი თავის ქალა აღმოაჩინეს. ამჟამად უკვე სულ ოთხი თავის ქალაა გამოვლენილი.

**ანთროპოლოგია**

„ანთროპოლოგია" ორი ბერძნული სიტყვის „ანთროპოს" - ადამიანი და „ლოგოს" - სიტყვა შეერთების გზითაა მიღებული. ეს მეცნიერება შეისწავლის ძველი და თანამედროვე ადამიანის აღნაგობას.

კვლევაში ანთროპოლოგებიც ჩაერთნენ. ანთროპოლოგებმა გამოიკვლიეს დმანისელ ადამიანთა ნაშთები და მათ ჰომინიდების (ადამიანისებრების) შესაბამისი ადგილი მიუჩინეს.

დღეისათვის ითვლება, რომ უძველესი ადამიანი აფრიკის კონტინენტზე დაახლოებით 4 მილიონი წლის წინათ გაჩნდა. ითვლება, აგრეთვე, რომ ის ევრაზიის სუბკონტინენტზე ბევრად უფრო გვიან გამსახლდა. აქამდე ევროპაში უძველესი ადამიანის ყველაზე ადრეული ნაშთები 800 ათასი წლით თარიღდებოდა. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი ინტერესი და განცვიფრება გამოიწვია დმანისელი ადამიანის აღმოჩენამ, რომელიც, როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, მილიონ 700 - 800 ათასი წლის წინათ ცხოვრობდა. ამით ხომ ევრაზიაში ადამიანის გამსახლება სულ ცოტა ორჯერ დაძველდა. დმანისელი ადამიანი დღეისათვის ევრაზიის კონტინენტზე აღმოჩენილი უძველესი ადამიანია. გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ევრაზიის კონტინენტზე თავდაპირველად სწორედ დმანისელი ადამიანი გამსახლდა.

დმანისის უძველესი ადამიანის სადგომი თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით 95 კმ. დაშორებით მდებარეობს. დღეს დმანისსა და საერთოდ სამხრეთ საქართველოში საკმაოდ მკაცრი, კონტინენტური ჰავაა. იმ შორეულ წარსულში კი აქ კლიმატი ძალზე წააგავდა თანამედროვე აფრიკის ჰავას. როგორც დმანისელი ადამიანის სადგომში აღმოჩენილი ცხოველების ძვლები მოწმობს, იმჟამად სამხრეთ კავკასიაში თბილი კლიმატის მოყვარული ჟირაფები, მარტორქები, სირაქლემები, ეშვიანი ვეფხვები, სპილოები და სხვ. ბინადრობდნენ. თვით ეს სადგომი პატარა ვულკანური წარმოშობის ტბის პირას მდებარეობდა. დმანისში აღმოჩენილია ადამიანთა ორივე სქესის, როგორც ქალის, ისე მამაკაცის ნაშთები. ქალის სიმაღლე მისი ტერფის ძვლის მიხედვით ერთნახევარ მეტრამდე აღწევდა. მამაკაცი უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო. დმანისელი ადამიანი მისდევდა შემგროვებლობას და მცირე ზომის ცხოველებზე ნადირობდა. ფიქრობენ, რომ მან, შესაძლოა, ცეცხლის გამოყენებაც იცოდა. თავის შრომის იარაღებს ეს ადამიანი ქვისაგან ამზადებდა.

ქვა ის პირველი ძირითადი მასალაა, რომელსაც უძველესი ადამიანი შრომისა და ბრძოლის იარაღის დასამზადებლად იყენებდა. საზოგადოების განვითარების შედეგად ადამიანმა შრომის თუ ბრძოლის იარაღების დასამზადებლად ქვა თანდათანობით მეტალით (სპილენძი, ბრინჯაო, რკინა) შეცვალა. შრომის იარაღების დასამზადებელი მასალის ასეთი ცვლა უძველესი ადამიანის განვითარების უმთავრესი მაჩვენებელია. ამიტომ არქეოლოგებმა, როგორც უკვე ვიცით, კაცობრიობის პირველყოფილი ისტორიის პერიოდიზაციას საფუძვლად სწორედ მასალათა ასეთი მონაცვლეობა დაუდეს. ამის მიხედვით პირველყოფილი საზოგადოების ისტორია ორ დიდ პერიოდად ქვის ხანად და მეტალის ხანად იყოფა. ქვის ხანა ყველაზე ხანგრძლივი ხანაა კაცობრიობის ისტორიაში. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ აღვნიშნავთ, რომ მისი დასასრული ძვ. წ. VII-VI ათასწლეულით თარიღდება.

დროის ასეთ ხანგრძლივ პერიოდში ადამიანთა საზოგადოება ერთ ადგილას არ იდგა, ის მუდმივად პროგრესირებდა, ეს უპირველეს ყოვლისა ქვის იარაღის დამზადების ტექნიკისა და ხარისხის გაუმჯობესებაში აისახებოდა. თუ ქვის ხანის ადრეულ საფეხურზე ქვის იარაღი იმდენად უხეშად იყო დამუშავებული, რომ მისი გარჩევა ბუნებრივი ქვისაგან ხშირად მხოლოდ არქეოლოგის გამოცდილ თვალს შეეძლო, ქვის ხანის ბოლო პერიოდის საბრძოლო თუ შრომის იარაღს თავისი დახვეწილობით განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. ამიტომაა, რომ არქეოლოგები ქვის ხანას ძირითადად ქვის

დამუშავების ტექნიკის მიხედვით, სამ დიდ ქვაპერიოდად: ძველ ქვის ხანად ანუ პალეოლითად, შუა ქვის ხანად - მეზოლითად და ახალ ქვის ხანად - ნეოლითად ყოფენ: „ლითოს" ბერძნულად ქვას, „პალეოს" - ძველს, „მეზოს" - შუას და „ნეოს" - ახალს ნიშნავს.

პალეოლითი თავის მხრივ ქვედა და ზედა პალეოლითად იყოფა. დმანისელი ადამიანი ქვედა პალეოლითის ყველაზე ადრეულ საფეხურზე ანუ ოლდოვაის ეპოქაში ცხოვრობდა. ქვედა პალეოლითის შემდგომი საფეხურები საქართველოში ორას ოთხმოცზე მეტი არქეოლოგიური ძეგლითაა წარმოდგენილი და საქართველოს მრავალ კუთხეში გვხვდება. ქვედა პალეოლითის ადამიანი თავისი იერით და ცხოვრების წესით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თანამედროვე ადამიანისაგან. იმ ხანის ადამიანი პირველყოფილ ჯოგებად ცხოვრობდა. აგროვებდა მცენარეთა ნაყოფს და ძირხვენების ძირებს, ნადირობდა, ზოგჯერ თევზაობდა კიდეც. თანდათანობით მან ცეცხლის შენახვა და ხელოვნური გზით მიღება ისწავლა. ცეცხლის დამორჩილება იმდენად დიდი და შთამბეჭდავი მოვლენა იყო კაცობრიობის ისტორიაში, რომ ეს ფაქტი მრავალი ხალხების თქმულებებში და ლეგენდებში აისახა.

120-100 ათასი წლის წინათ სამხრეთ აფრიკის ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე თანამედროვე ადამიანის წინაპარი - კრომანიონელი ადამიანი გაჩნდა, რომელმაც თანდათან ჩრდილოეთით გადაინაცვლა, სუეცის ყელზე გავლით წინა აზიაში გადმოვიდა და აქედან მთელ დედამიწაზე გავრცელდა. კრომანიონელი თავისი იერით და გონებრივი შესაძლებლობით არ განსხვავდებოდა თანამედროვე ადამიანის - ჰომო საპიენსის ანუ გონიერი ადამიანისაგან (ლათინურად „ჰომო" - ადამიანს, „საპიენსი" - გონიერს ნიშნავს).

ქვედა პალეოლითი 40-35 ათასი წლის წინათ დასრულდა. ზედა პალეოლითის დადგომა დაემთხვა დედამიწაზე ერთ-ერთ ძლიერ გამყინვარებას, როდესაც მუდმივი თოვლის და ყინულის საფარი ზღვის დონიდან ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაეშვა. ამიტომ იყო, რომ ამ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი ცხოველი გამოჩნდა, როგორიცაა მამონტი. დღეისათვის არქეოლოგებმა და პალეონტოლოგებმა საქართველოში ზედა პალეოლითის ხანის 80-მდე ძეგლი გამოავლინეს. ყველა მათგანი დასავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი, რაც იმ დროისათვის დასავლეთ საქართველოში აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით უფრო თბილი ჰავით შეიძლება აიხსნას. ამ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია დევის ხვრელის მღვიმე (მდ. ჩხერიმელაზე, ხარაგაულთან), სადაც კრომანიონელის ყბის ნაწილი აღმოჩნდა, აგრეთვე საგვარჯილეს (თერჯოლის რაიონის სოფ. ძევრში) და საკაჟიას (მდ. წყალწითელაზე ქუთაისთან) მღვიმეები.

### პალეონტოლოგია

„პალეონტოლოგია" სამი ბერძნული სიტყვის „პალეოს" - ძველი, „ონტოს" - არსებული და „ლოგოს" - ცოდნა, მოძღვრება, შეერთების გზითაა მიღებული და სიტყვასიტყვით ძველად არსებულის შესახებ მოძღვრებას ნიშნავს. მეცნიერების ეს დარგი ცოცხალი ბუნების ისტორიას ანუ ნამარხ ცხოველებსა და მცენარეებს შეისწავლის.

ზედა პალეოლითის ადამიანი გვაროვნულ თემებად ცხოვრობდა. გვაროვნული თემი ისეთი საზოგადოებრივი ერთობა იყო, რომელიც სისხლით მონათესავე ადამიანებისაგან შედგებოდა. ქვის ხანაში გვარი მატრიარქალური ანუ დედამთავრული იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ნათესაობა დედის ხაზით გადადიოდა. ამის მიზეზი ძირითადად იყო ის, რომ იმხანად ოჯახი ჯერ კიდევ არ იყო მონოგამური ანუ ერთპარტნიორული და როგორც ქალს, ისე კაცს ერთდროულად რამდენიმე მეუღლე შეიძლებოდა ჰყოლოდა. ამას პოლიგამია ეწოდება. ასეთ ვითარებაში წარმომავლობა დედის ხაზით უფრო ადვილად დასადგენი იყო. რამდენიმე გვაროვნული თემი ტომებად ერთიანდებოდა.

### მონოგამია და პოლიგამია

„მონოგამია" ორი ბერძნული სიტყვისაგან „მონოს" - ერთი, ერთიანი, ერთადერთი და „გამოს" - ქორწინება შედგება. ამ სიტყვით აღინიშნება ადამიანთა საზოგადოებაში ისეთი საქორწინო ურთიერთობა, როდესაც ქალსა და კაცს თითო მეუღლე ჰყავს. ამის საპირისპირო ცნებაა „პოლიგამია", სადაც „პოლი" მრავალს ნიშნავს.

ზედა პალეოლითელ ადამიანს უკვე გაუჩნდა პრიმიტიული რწმენა-წარმოდგენები ანუ უმარტივესი რელიგია. მან დაიწყო თავისი მიცვალებულის დამარხვა გარკვეული წესის მიხედვით. იმ ხანის ადამიანი აღმერთებდა უსულო საგნებს. მას ეგონა, რომ საკუთარი თავის მსგავსად ქვას, ხეს, წყალს, მთას ... თავისი სული გააჩნდა. ასეთ რწმენა-წარმოდგენებს მეცნიერები ანიმიზმს უწოდებენ. პირველყოფილი ადამიანი თაყვანს სცემდა აგრეთვე ცხოველებს. ცალკეულ გვარს და ტომს თავისი სათაყვანო ცხოველი ჰყავდა, რომელზედაც აკრძალული იყო ნადირობა. ასეთ ცხოველებს „ტოტემური ცხოველები" ეწოდებოდათ. მაგალითად, ავსტრალიაში ადგილობრივი ტომებისათვის ტოტემური ცხოველი იყო კენგურუ. ფიქრობენ, რომ ჩვენი წინაპრებისთვის ტოტემური ცხოველები უნდა ყოფილიყო მგელი, ტახი — გავრცელებული იყო აგრეთვე ხეთა თაყვანისცემა. ასეთ სათაყვანო ხეებად ჩვენში ითვლებოდა ნაძვი,

მუხა, ცაცხვი, ალვა, ურთხმელი ... ამავე დროიდან შემოდის შელოცვები ავი თვალისაგან დასაცავად, ავადმყოფობის განსაკურნებლად, აგრეთვე რწმენა იმისა, რომ სხვადასხვა შელოცვილ საგანს ადამიანის დაცვა შეუძლია. ასეთ რწმენა-წარმოდგენას მეცნიერები მაგიას ეძახიან.

ზედა პალეოლითში ჩაისახა ხელოვნების სხვადასხვა დარგი. უძველესი რელიგიური რიტუალები ხშირად რიტმული, თანმიმდევრული მოძრაობებით და „მუსიკალური" თანხლებით სრულდებოდა, რამაც თანდათან საფუძველი ჩაუყარა ცეკვას და სიმღერას. ზედა პალეოლითიდან მოდის მხატვრობაც. იმდამინდელი ადამიანი პირველ რიგში ცხოველებს და ნადირობის სცენებს ხატავდა. ზედა პალეოლითელი ადამიანის მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშები შემოგვინახა პირინეის მთებისა და საჰარის უდაბნოს გამოქვაბულებმა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ალტამირას (ესპანეთში) და ლასკოს (საფრანგეთში) გამოქვაბულების ფერწერა. ზედა პალეოლითის ხელოვნების რამდენიმე ნიმუში საქართველოშიცაა აღმოჩენილი. სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში დაბა წალკის ახლოს არქეოლოგებმა კლდეზე ამოკაწრული ირმები, ცხენები, აქლემები, გველები, ფრინველები და მშვილდისრიანი კაცუნები აღმოაჩინეს. ამ ნახატებს არქეოლოგები უკვე მეზოლითის ხანას მიაკუთვნებენ, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. XII-IX ათასწლეულებით თარიღდება. უძველესი ადამიანის ისტორიაში მეზოლითი ანუ შუა ქვის ხანა უპირველეს ყოვლისა მშვილდისრის გამოგონებითაა ცნობილი. მშვილდისრის გამოგონებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ადამიანი საბოლოოდ გაბატონდა ცხოველთა სამყაროზე: ახლა მას შეეძლო შორი მანძილიდან განეგმირა თავისი მსხვერპლი.

მეზოლითის ეპოქა ახალმა ქვის ხანამ ანუ ნეოლითმა შეცვალა. ნეოლითი კაცობრიობის ისტორიაში ძირეული გარდატეხის ეპოქაა. ამ პერიოდს ნეოლითურ რევოლუციასაც უწოდებენ: ადამიანი შემგროვებელი და მიმთვისებელი არსებიდან მწარმოებელ არსებად გადაიქცა. ნეოლითის ხანაში ჩაეყარა საფუძველი მიწათმოქმედებას და მეცხოველეობას. ამავე პერიოდში ადამიანი იწყებს კერვას, ქსოვას და მეთუნეობას ანუ თიხის ჭურჭლის დამზადებას. საქართველოში ნეოლითური ნამოსახლარები ბევრაა შემორჩენილი, მათი უმრავლესობა დასავლეთ საქართველოდანაა. ასეთებია: კისტრიკში, გურიანთაში, ანასეულში, მამათში, ღუმურიშში, თეთრამიწეში, ზემო ალვანში (კახეთში) ... ნეოლითი საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. VIII – VI ათასწლეულის პირველ ნახევარს მოიცავს. ნეოლითი მატრიარქალური გვარის გაფურჩქვნის პერიოდია, მატრიარქატის „ოქროს ხანა", ამავე დროს მისი დასასრულიც. მეტალის გამოგონებით პირველყოფილი საზოგადოების ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება.

## § 14. ბრინჯაოს ხანა საქართველოს ტერიტორიაზე

პირველი მეტალი, რომელიც ადამიანმა გამოიყენა, სპილენძი იყო. სპილენძი შენარევების გარეშე რბილი მეტალია, მან ვერ გამოაძევა ხმარებიდან ქვის იარაღი, ამიტომ საზოგადოების ისტორიის ამ ხანას სპილენძ-ქვის ხანას ანუ ენეოლითს (ენეის – ლათინურად სპილენძს აღნიშნავს) უწოდებენ. ენეოლითი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ძვ. წ. VI – ძვ. წ. IV ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება. მეცნიერთა უმრავლესობა ამჟამად ენეოლითს განიხილავს არა როგორც ცალკე ხანას, არამედ, როგორც ბრინჯაოს ეპოქის საწყის ეტაპს. ბრინჯაო რთული შენარევია. მის მისაღებად საჭიროა სპილენძს გარკვეული დოზით სხვა მეტალები: სტიბიუმი, იგივე ანთიმონი, დარიშხანი ან კალა შეერიოს. სანამ მეტალურგიის საწყისებს დაეუფლებოდა, ადამიანი სპილენძს ცივად, ჭედვით დამუშავების გზით იყენებდა. სპილენძის მოპოვებამ და დამუშავებამ მნიშვნელოვნად შეცვალა პირველყოფილი საზოგადოების ცხოვრება. უპირველეს ყოვლისა, გაიზარდა მამაკაცის როლი გვაროვნულ თემში, რასაც მატრიარქატის პატრიარქატით ანუ მამამთავრული გვარით შეცვლა მოჰყვა.

ჩვენს ტერიტორიაზე ენეოლითი ყველაზე კარგად არქეოლოგთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ე. წ. „ადრესამიწათმოქმედო კულტურის" სახითაა წარმოდგენილი. მას „გორა ნამოსახლარების კულტურასაც" უწოდებენ.

**არქეოლოგიური კულტურა**

არქეოლოგიური კულტურა ერთ გარკვეულ დროში, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე არქეოლოგთა მიერ გამოვლენილი ერთგვაროვანი მატერიალური ნაშთების ერთობლიობას ეწოდება. ჩვეულებრივ ასეთი ერთგვაროვნება აისახება კერამიკის, ანუ თიხის ჭურჭლის მოყვანილობასა და მოხატულობაში, სამკაულსა და საბრძოლო იარაღის ფორმებში, საცხოვრებელთა არქიტექტურასა და სამარხების ტიპებში, საერთო რწმენა-წარმოდგენებში, რომლებიც პირველ რიგში დაკრძალვის წესში გამოიხატება.

ენეოლითის ხანის გორა ნამოსახლარების კულტურის ძეგლები ძირითადად შიდა და ქვემო ქართლში და მის მომიჯნავე დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გვხვდება. ეს გორები ხელოვნური ბორცვებია, რომლებიც მრავალი თაობის ერთ ადგილას ხანგრძლივი ცხოვრების შედეგადაა წარმოქმნილი. ასეთ გორაზე (იმირის გორა, შულავერის გორა, წითელი სოფლის გორა, ხრამის დიდი გორა...) ცალკეული სამოსახლოების მთელი კომპლექსია აღმოჩენილი. ამ სამოსახლოებში თითოეულ ოჯახს თითო საცხოვრებელი ეკუთვნოდა, რომლის კედელთან თიხისგან ნაძერწი ცეცხლის კერა იდგა, სადაც ცეცხლი მუდმივად ენთო. საცხოვრებლები ალიზით (გამოუმწვარი თიხა) იყო ნაგები და თავისი ფორმით თივის ზვინს წააგავდა. ამ კულტურის მატარებელი მოსახლეობა ბინადარ ცხოვრებას ეწეოდა და მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდა. არქეოლოგებმა მათ ნამოსახლარებზე მარცვლეულის ათამდე ჯიში დააფიქსირეს, მათ შორის ხორბალი, ქერი, შვრია... უპირატესად აშენებდნენ მსხვილფეხა პირუტყვს. განვითარებული იყო მეღორეობაც. აღმოსავლეთ საქართველოს გორა ნამოსახლარების ენეოლითური კულტურა ძვ. წ. VI-IV ათასწლეულებით თარიღდება.

თანდათანობით ადამიანი სპილენძთან სხვა მეტალების შერევას, მის გამოდნობას, ყალიბებში ჩასხმას, ანუ მეტალურგიას დაეუფლა. ასე დაიწყო ბრინჯაოს ხანა. საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანის დასაწყისად ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი ითვლება. ეს ხანა ჩვენში სამ ათასწლეულს მოიცავს და, ისევე როგორც სხვაგან, ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს ხანად იყოფა. ადრე ბრინჯაოს პერიოდი გამოირჩევა ბრინჯაოს ნაწარმის სიმცირით, შუა ბრინჯაოს ხანაში ბრინჯაოს მეტალურგია დიდ აყვავებას განიცდის, გვიან ბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპზე კი ადამიანი უკვე რკინასაც ეცნობა.

ბრინჯაოს ხანა პირველყოფილი საზოგადოების ცხოვრებაში დიდი ძვრებით აღინიშნა. ბრინჯაოს იარაღის გამოყენებამ კაცობრიობის ისტორიაში პირველად წარმოქმნა ჭარბი პროდუქტი, რადგანაც ადამიანმა შეძლო უფრო მეტი დოვლათი შეექმნა, ვიდრე მის გამოკვებას სჭირდებოდა. ამან საფუძველი ჩაუყარა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას ანუ ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის შრომის მითვისებას. ასე წარმოიშვა პირველყოფილი მონობა. ომები გვარტომობრივ თემებს შორის ადრეც ხდებოდა ტერიტორიისა და დოვლათის ხელში ჩაგდების მიზნით, მაგრამ ბრინჯაოს ხანაში ომები უფრო გახშირდა. თუ ადრე ტყვეებს უბრალოდ კლავდნენ, რათა თავიდან მოეცილებინათ ზედმეტი მჭამელი, ახლა მათ მონებად აქცევდნენ და მეურნეობაში იყენებდნენ: მათ ხომ უკვე მეტი შეეძლოთ ეწარმოებინათ ვიდრე მათი გამოკვებისთვის იყო აუცილებელი. ადრეული ბრინჯაოს ხანა დედამიწაზე საზოგადოებრივი შრომის პირველი დიდი დანაწილებით აღინიშნა: ბინადარ, მიწათმოქმედ ტომებსა და ხალხებს გამოეყვნენ მომთაბარე-მესაქონლეობის მიმდევარი ტომები და ხალხები. მომთაბარეებსა და ბინადარ ცხოვრების მიმდევარ ტომებში გახშირდა ომები და თავდასხმები. მეორე მხრივ, ამ განსხვავებული მეურნეობის ხალხებს შორის დიდი აღებ-მიცემობა განვითარდა.

ადრებრინჯაოს ხანა საქართველოს ტერიტორიაზე უმთავრესად მტკვარ-არაქსის კულტურითაა წარმოდგენილი, რომელიც ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით და მესამე ათასწლეულის ბოლოთი თარიღდება. ეს სახელწოდება ამ კულტურას იმიტომ ეწოდა, რომ მისთვის დამახასიათებელი არქეოლოგიური ძეგლები თავდაპირველად მდინარეების მტკვრისა და არაქსის შუამდინარეთში აღმოჩნდა. დღეისათვის დადგენილია, რომ ეს კულტურა გავრცელებული იყო სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის დიდ ნაწილში, დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ აზერბაიჯანის გამოკლებით. გარდა კავკასიისა „მტკვარ-არაქსის კულტურა" მოიცავდა ჩრდილოეთ ირანს, თანამედროვე თურქეთის სირიისა და პალესტინის დიდ ნაწილს. აქ ის ცნობილია „ხირბეტ-კერაკის არქეოლოგიური კულტურის" სახელით (**იხ. რუკა 3, ა**).

მტკვარ-არაქსის კულტურა [illegible]

სარწმუნოა ვარაუდი, რომ „მტკვარ-არაქსის კულტურისთვის" დამახასიათებელი ნიშნები არქეოლოგებმა აღმოაჩინეს აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, დღევანდელი [illegible], ჩვენი ტერიტორიაზე და [illegible] [illegible], [illegible], [illegible] ქალაქ [illegible] აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. [illegible] [illegible] ძვ. წ. III ათასწლეულში [illegible] მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომთა ნაწილი ჩრდილო კავკასიის ველების გავლით გადავიდა აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში.

მტკვარ-არაქსის კულტურას ენეოლითური გორა ნამოსახლარების კულტურის გაგრძელებად მიიჩნევენ. ამ კულტურის მატარებელი საზოგადოება ბინადარ და მიწათმოქმედ ცხოვრებას მისდევდა. ის სპეციალურად გამაგრებულ ბუნებრივ გორებზე ცხოვრობდა. გორაზე სამოსახლოები

ტერასებად იყო განლაგებული. საცხოვრებლის შუაში თიხის მრგვალი კერა იყო მოთავსებული. აქვ იყო პატარა სამლოცველო თიხის კერპებით, რომლებიც ძირითადად ვერძის თავებს და ადამიანთ სიმბოლურ გამოსახულებებს წარმოადგენდნენ. საცხოვრებელ სახლს მიშენებული ჰქონდა პირუტყვის სადგომები. მტკვარ-არაქსის კულტურის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია მოწითალო, რუხი წაბლისფერი ან შავი პრიალა ზედაპირიანი, ვარდისფერ სარჩულიანი ხელით ნაძერწი კერამიკა რომელიც ზოგჯერ გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული.

ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულიდან – ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანამდე საქართველოში შუაბრინჯაოს ხანაა. შუა ბრინჯაო ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოდგენილია დიდი ყორღანებით ბრწყინვალე კულტურით, რომელმაც ისტორიული საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი მოიცვ **(იხ. რუკა 3, ბ)**. ამ კულტურის მატარებელი ხალხი მომთაბარულ მესაქონლეობას მისდევდა, ამიტომ მათი სამოსახლოები დღემდე არაა მიკვლეული. გამოირჩევა მარტყოფის, ბედენის, თრიალეთის ალაზნისა და იორის ველების ყორღანები. ყორღანები მიწითა და ქვა-ღორღით დაფარული ხელოვნური გორებია. სიმაღლით ისინი ხანდახან 8-10 მეტრს, ფართობით კი ერთ ჰექტარს აღწევენ. ყორღანების ცენტრალურ ნაწილს კვადრატული ფორმის დასაკრძალავი დარბაზი წარმოადგენდა, რომელიც ქვით იყო ამოშენებული და ხის მორების ორმაგი რიგით გადახურული. მიცვალებული ან მისი ფერფლი ასეთ ყორღანში საგანგებო ხარებით შებმული ოთხთვალა ურმით შეჰქონდათ. ხშირად მიცვალებულს თან აყოლებდნენ დახოცილ მსახურებს და ცოლებსაც, თან ატანდნენ იმ სამკაულისა და საბრძოლო იარაღის დიდ ნაწილს, რომლითაც ის ცხოვრებაში სარგებლობდა. ამიტომ საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ და შესწავლილ ყორღანებში ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მრავალი ნაკეთობა აღმოჩნდა. მათ შორის მსოფლიოს ხელოვნების საგანძურში შევიდა ამ ყორღანებში აღმოჩენილი ხელოვნების ისეთი უნიკალური ნიმუშები, როგორიცაა ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს თასი თრიალეთის ყორღანიდან და წნორის ყორღანში აღმოჩენილი ლომის ოქროს ქანდაკება. განსაკუთრებით დახვეწილი და ლამაზია ყორღანებში აღმოჩენილი კერამიკა. თრიალეთის ყორღანებში აღმოჩენილი კერამიკა კონტრასტული ფერებით გამოირჩევა და შემკულია მდიდრული მცენარეული ორნამენტით. ხელით ნაძერწი ეს თიხის ჭურჭელი იმდენად ნატიფია, რომ სამეთუნეო მორგვზე დამზადებულისაგან ძნელად გაირჩევა.

დასავლეთ საქართველოში ბრინჯაოს მეტალურგიის მთავარ ცენტრს მდ. რიონის სათავეები, ზემო რაჭაში ბრილის მიდამოები წარმოადგენდა. რაჭაში, მაღლა მთებში სპილენძის, ანთიმონის (სტიბიუმის) და დარიშხანის საბადოებია, რომლებსაც ჩვენი წინაპრები ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანიდან ამუშავებდნენ. საგანგებოდ მოწყობილ მაღაროებიდან სპილენძის მადანი ურმებით ქვემოთ ჩამოჰქონდათ, სადაც მას ღუმელებში აღნობდნენ. სუფთა სპილენძის ნაწილი უცხოეთში გაჰქონდათ, ნაწილს კი ადგილზევე დარიშხანს და ანთიმონს უმატებდნენ და ბრინჯაოს იღებდნენ. მეტალურგიის ერთ-ერთ ასეთ კერას ბრილის ნამოსახლარი წარმოადგენს. დარიშხანი მომწამვლელი ნივთიერებაა, მაგრამ რადგან ის ადგილზე მოიპოვებოდა, ხოლო კალის შემოზიდვა ძალზე ძვირი ჯდებოდა, ბრინჯაოს ხანის ხანგრძლივ მონაკვეთში ჩვენში უმთავრესად დარიშხნიან ბრინჯაოს იყენებდნენ. კალიანი ბრინჯაოს მიღება ჩვენმა წინაპრებმა მხოლოდ ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში დაიწყეს.

შუა ბრინჯაოს ხანის ბოლო პერიოდი ჩვენი წინაპრების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სიახლეებით აღინიშნა. ამ დროისათვის მათ დაიწყეს თიხის ჭურჭლის სპეციალურ სამეთუნეო მორგვზე დამზადება ამავე დროს იწყება ცხენის ფართოდ გამოყენება როგორც სამიმოსვლოდ, ისე ბრძოლაში. შუა ბრინჯაოს ხანაზე მოდის შრომის მეორე დიდი საზოგადოებრივი დანაწილება. მიწათმოქმედ და მესაქონლე ტომებმ ცალკე გამოყვნენ ბრინჯაოს იარაღის დამამზადებელი ხელოსნები, რომლებიც ერთად სახლდებოდნენ და ქალაქის ტიპის პირველ დასახლებებს ქმნიდნენ.

ამავე ხანებში გვაროვნული თემი იწყებს დაშლას. ბრინჯაოს იარაღის გაუმჯობესებამ მოამრავლა გვაროვნულ თემში დოვლათი. ახლა უკვე აღარ იყო მთელი გვარის ძალისხმევა საჭირო ცხოვრების უზრუნველსაყოფად, ამას ცალკეული ოჯახიც აუდიოდა. დიდი, მძლავრი ოჯახები ტოვებენ გვარს და

ცალკე სახლდებიან. სხვადასხვა გვარებიდან გამოსული და მეზობლად დასახლებული ოჯახები სამეზობლო თემს ქმნიან. სამეზობლო თემში მიწა, კარმიდამო და სამეურნეო იარაღი უკვე არა მთელი თემის, არამედ ერთი დიდი ოჯახის საკუთრებად იქცა. ასე ჩაეყარა საფუძველი კერძო საკუთრებას, განსაკუთრებით კერძო საკუთრებას მიწაზე, რომელიც ძველი ადამიანისათვის წარმოების ძირითად საშუალებას წარმოადგენდა. ამავე დროს საძოვრები, წყალი, ტყე მთელი თემის საკუთრებაში დარჩა. კერძო საკუთრების წარმოქმნამ დააჩქარა საზოგადოების ქონებრივი დიფერენციაცია ანუ მისი დაშლა მდიდრებად და ღარიბებად. ყოველივე ამან სამხრეთ კავკასიაში და მათ შორის ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები სახელმწიფოს წარმოქმნის ზღურბლზე მიიყვანა.

სახელმწიფოს პირველი ნიშნები ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე უკვე „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის" მატარებელ მოსახლეობაში შეიმჩნევა, სადაც წარჩინებულები, სავარაუდოთ ტომის და ტომთა გაერთიანების ბელადები, რიგითი წევრებისგან განსხვავებით განსაკუთრებულად მდიდრულ ყორღანებში არიან დაკრძალულნი. ასეთი ყორღანების მშენებლობა ხანგრძლივ და ორგანიზებულ შრომას ითხოვდა.

გვიანი ბრინჯაოს ხანა საქართველოს ტერიტორიაზე დაახლ ძვ. წ. XV - ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებს მოიცავს. გვიანი ბრინჯაო საქართველოში ორი ბრწყინვალე არქეოლოგიური კულტურით - დასავლურ ქართული, პირობითად კოლხური და აღმოსავლურ ქართულითაა წარმოდგენილი. კოლხური კულტურა დასავლეთ კავკასიიდან, ყუბანისპირეთიდან თანამედროვე თურქეთის ქალაქ სამსუნამდე ვრცელდებოდა. ის ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლსაც მოიცავდა (**იხ. რუკა № 3, 3**). კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელია ბრინჯაოს ნატიფი სამეურნეო და საბრძოლო იარაღი, პირველ რიგში კოლხური ცულები. კოლხური კულტურის ბრინჯაოს ნაწარმი იმდროინდელ მსოფლიოში არსებული სხვა მეტალურგიული კერების ნაწარმისაგან თავისი მაღალმხატვრული დონით საგრძნობლად გამოირჩევა.

ძვ წ. I ათასწლეულის დასაწყისში ადამიანმა რკინის გამოყენებაც დაიწყო. ამიტომ გვიან ბრინჯაოს ხანის ბოლო პერიოდს, ძვ. წ. X-VIII საუკუნეებს გვიან ბრინჯაო-ადრეული რკინის ხანასაც უწოდებენ. თანდათანობით რკინამ ბრინჯაო მთლიანად გამოდევნა და დაიწყო რკინის ხანა. გვიან ბრინჯაოს ხანა და რკინის ხანის დასაწყისი ბევრგან და მათ შორის საქართველოში პირველი სახელმწიფოების წარმოშობით აღინიშნა.

# თავი IV

## საქართველო ანტიკურ ხანაში

### § 15. პირველი ქართული სახელმწიფოები და ძველი მსოფლიო

უძველესმა ხალხებმა პირველი სახელმწიფოები ჯერ კიდევ ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში შექმნეს. ეს სახელმწიფოები ძირითადად აზიისა და აფრიკის ცალკეულ რეგიონებში ჩამოყალიბდნენ. ამიტომ ისტორიკოსები მათ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებს უწოდებენ **(იხ. რუკა № 3).** მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ძველი ეგვიპტე, რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში მდ. ნილოსის შუა და ქვემო წელი ეკავა. ძველ მსოფლიოში ცნობილი იყო ეგვიპტის მთავარი ქალაქები თებე და მემფისი. ეგვიპტის მეფეებს ფარაონები ეწოდებოდათ. ისინი საგანგებოდ აგებულ პირამიდებში იმარხებოდნენ. მათ შორის უმაღლესია ფარაონ ხუფუს ანუ ხეოფსის პირამიდა, რომლის სიმაღლე 146,5 მეტრია. ეგვიპტელები იეროგლიფურ დამწერლობას იყენებდნენ და პაპირუსზე და ქვაზე წერდნენ.

ძველი სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ კერას შუამდინარეთიც წარმოადგენდა. ასე ეწოდება ორი დიდი წინააზიური მდინარის, ტიგროსისა და ევფრატის შორის მდებარე ტერიტორიას. მას მესოპოტამიასაც ეძახიან, რაც ძველ ბერძნულში შუამდინარეთს ნიშნავდა. აქ ადრებრინჯაოს ხანაში შუმერებმა პირველი ქალაქ-სახელმწიფოები შექმნეს. შუმერებმა დიდი კვალი დაამჩნიეს მსოფლიო კულტურის განვითარებას. მათი ენიდან ცალკეული სიტყვები წინა აზიის მრავალი ხალხის ენაში, მათ შორის ძველ ქართულშიც შევიდა. ასეთებია შუმერული „დუქ" და ქართული დოქ-ი, შუმერული „ბარ" (ცეცხლის გაჩაღება) და ქართული ბრიალი; შუმერული „გიიზი" (ჩირაღდანი) და ქართული გიზგიზი ... შუმერებმა შექმნეს ლურსმული დამწერლობა, რომელიც მრავალმა ხალხმა გადაიღო. საწერ მასალად ისინი ძირითადად თიხის ფირფიტებს იყენებდნენ. შუმერები დახელოვნებულები იყვნენ მშენებლობაში. აგურით აშენებდნენ საუცხოო ტაძრებს - ზიქურატებს.

შუა ბრინჯაოს ხანაში შუამდინარეთში წარმოიქმნა ძველი მსოფლიოს ისეთი ცნობილი სახელმწიფოები, როგორიც იყო ასურეთი და ბაბილონი. ამ ქვეყნების სახელები მათივე დედაქალაქების ასურისა (დღევანდელი ქ. მოსულის ახლოს) და ბაბილონის (დღევანდელი ქ. ბაღდადის ახლოს) სახელებიდან წარმოსდგება. ასური ასურეთის მთავარი ღვთაების სახელი იყო, ხოლო ბაბილონი სემიტურ ენაზე „ღვთის ჭიშკარს" აღნიშნავდა. ბაბილონის მეფეებიდან ისტორიაში ცნობილია მეფე ჰამურაბი (ძვ. წ. XVIII ს.), რომელმაც ჩვენამდე მოღწეული უძველესი კანონთა კრებული შეადგინა. ეს კანონები საგანგებო სტელაზე იყო ამოკვეთილი. საუკუნეთა მანძილზე ასურეთი ძლევამოსილ ქვეყანას წარმოადგენდა. ის თავისი სიძლიერის მწვერვალზე წინა აზიის მრავალ ქვეყანაზე და ეგვიპტეზე ბატონობდა. I ათასწლეულის დასაწყისში ასურეთის დედაქალაქი ნინევია (დღევანდელ ერაყში, მდ. ტიგროსის ნაპირას) გახდა. ამ ნაქალაქარის გათხრების დროს არქეოლოგებმა მიაკვლიეს ასურეთის მეფის ასურბანიფალის ლურსმული დამწერლობით შესრულებულ, თიხის ფირფიტებისგან შემდგარ ბიბლიოთეკას, რომელმაც მეცნიერებას გააცნო

აზია და ევროპა

აზია დედამიწის უდიდესი კონტინენტიდან ერთ-ერთია. „აზია" ძველი ბერძნული ტერმინია, ფინიკიური, რომის ასირიული „ასუ"-დან წარმოსდგება, რაც ამ ენაზე „აღმოსავლეთს" აღნიშნავდა.
მცირე აზია ნახევარკუნძულია. ის ხმელთაშუა, ეგეოსის, მარმარილოს და შავ ზღვებს შორის მდებარეობს. ეს ტერიტორია დღევანდელ თურქეთს უჭირავს.
მცირე აზია წინა აზიის ერთ-ერთი ნაწილია. მის გარდა წინა აზიაში არაბეთის ნახევარკუნძული, ეგრეთვე თანამედროვე ირანის, ერაყის, სირიის, ლიბანის და ისრაელის ტერიტორიებიც შედის. ამჟამად წინა აზიას სამხრეთ კავკასიასაც აკუთვნებენ. წინა აზიას ზოგჯერ „ახლო აღმოსავლეთს" უწოდებენ. ამით მას განასხვავებენ აღმოსავლეთ აზიისგან, რომელშიც შედის რუსეთის შორეული აღმოსავლეთი, ჩინეთის დიდი ნაწილი, კორეა და იაპონია. დასავლეთ აზიას ანუ წინა აზიას და აღმოსავლეთ აზიას შორის ცენტრალური აზია მდებარეობს. ცენტრალურ აზიაში შედის მონღოლეთი, ყაზახეთი, ტიბეტი, შუა აზია... შუა აზია კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაა. მისი ისტორიული ფარგლები ძირითადად დღევანდელი თურქმენეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის და ტაჯიკეთის ტერიტორიას თანხვდება. ცალკე გამოყოფენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, რომელშიც სამხრეთი პაკისტანი, ინდოეთი, ვიეტნამი ... შედის.
მეცნიერების აზრით ცნობილია „ევრაზია". ის ორი გეოგრაფიული ტერმინის - „ევროპისა" და „აზიის" გაერთიანების შედეგად შეიქმნა. ევროპის კონტინენტის სახელიც ძველი ბერძნული „ევროპედან" მომდინარეობს, რაც ძველ ასურულ სიტყვიდან „ერებ//ირიბ" - „დასავლეთი" - წარმოსდგება.

შუამდინარეთის ბრწყინვალე კულტურა და ისტორია. ასურელები და ბაბილონელები ხეთებს იცნობდნენ. მცირე აზიაში დაახლოებით ამავე პერიოდში (ძვ. წ. XVIII ს.) სახელმწიფოს შემქმნელი ხეთები კი ინდოევროპულ ხალხებს ეკუთვნოდნენ. ხეთებს ჩვენი წინაპრები ქეტებს უწოდებდნენ. მათი დედაქალაქი ხათუსა იყო. ამ ქალაქის ნანგრევები აღმოჩნდა ბოღაზქიოიში (თურქეთში). ხეთები ლურსმულ დამწერლობას იცნობდნენ. აქაც ძირითად საწერ მასალას თიხის ფირფიტები წარმოადგენდა. თავისი სიძლიერის ხანაში ხეთების სახელმწიფომ მცირე აზიის უდიდესი ნაწილი მოიცვა და შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე გადაიჭიმა. ამ დროს მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით ხეთებს ურთიერთობა ჰქონდათ იქ მოსახლე ტომებთან, პირველ რიგში ქაშქებთან. მეცნიერთა ნაწილი ქაშქებს ამ სახელის ჩერქეზთა ძველ სახელთან - ქაშაგები - მსგავსების გამო, ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმის ტომად მიიჩნევს, მეცნიერთა მეორე ნაწილი კი მათ, მეიდარი ონომასტიკური მასალის ანალიზის საფუძველზე, ქართული მოდგმის ტომებად თვლის. ხეთური ენიდან ქართულში ცალკეული სიტყვები შემოვიდა. ასეთია, მაგალითად, ამინდის და ჭექა-ქუხილის ღმერთის სახელი თარხუნთასი, რომელიც ქართულში „ტარ-ოსის" ფორმით დამკვიდრდა და ამინდს აღნიშნავს.

### ონომასტიკა

ონომასტიკა ბერძნული სიტყვა „ონომა"-დან მომდინარეობს, რაც „სახელს" ნიშნავს. ონომასტიკა ენათმეცნიერების ერთ დარგს, რომელიც ძველ საკუთარ სახელებს შეისწავლის. ენათმეცნიერებს ამ დარგს ონომატოლოგიასაც უწოდებენ.

ხეთების სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ძვ. წ. XIII-XI სს-ში მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში ევფრატის სათავეებთან მუშქების ტომები გამოჩნდნენ, რომლებიც ასურეთს ჩრდილო-ეთიდან უტევდნენ. მუშქებს მეცნიერთა ერთი ნაწილი ინდოევროპული ენის მატარებელ ტომებად მიიჩნევს. სხვები კი მათ ქართული მოდგმის ტომებად თვლიან და სახელწოდება „მუშქ" ერთ-ერთ ძველ ქართულ სატომო სახელს - მესხს უკავშირებენ. მოგვიანებით მუშქებმა ინდოევროპულ ფრიგიელებთან ერთად ხეთების ტერიტორიაზე მძლავრი ფრიგიულ-მუშქური სახელმწიფო დააარსეს.

შუა ბრინჯაოს ხანიდან მსოფლიო კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზი წარმოადგენდა. აქ წარმოქმნილ კულტურას კრეტა-მიკენის კულტურა ეწოდება, ის ძველმა ბერძენმა ტომებმა შექმნეს. ამ კულტურის თავდაპირველი ცენტრი კუნძულ კრეტაზე მდებარეობდა. აქ ნაქალაქარ კნოსოსის გათხრების დროს არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მეფის სასახლე, რომელიც მათ ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი ცნობილი პერსონაჟის კნოსოსის მეფე მინოსის ცნობილ სასახლედ - ლაბირინთად მიიჩნიეს, სადაც თქმულების თანახმად, ურჩხული მინოტავრი ცხოვრობდა. ამ სასახლის სახელიდან მომდინარეობს მსოფლიოს სხვადასხვა ენებში და მათ შორის ქართულში შემოსული სიტყვა ლაბირინთი, რაც დახლართულ, დაბურდულ დერეფნებიან ნაგებობას ნიშნავს.

ძვ. წ. XVI ს-ში კრეტა-მიკენის კულტურის ცენტრმა საკუთრივ მატერიკულ საბერძნეთში, პელოპონესის ნახევარკუნძულზე ქალაქ მიკენში გადაინაცვლა. მიკენა მსოფლიო ვაჭრობის ცენტრად გადაიქცა. მიკენელებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ შორეულ ბალტიისპირეთთანაც კი, საიდანაც ქარვას უზიდებოდნენ. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ მათ სახელთანაა დაკავშირებული ერთ-ერთი პირველი საზღვაო-სავაჭრო ექსპედიცია ეგეოსის ზღვიდან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსაკენ. ამ ლაშქრობაზე ცნობა არგონავტების შესახებ ჩვენამდე მოღწეულმა გადმოცემულმა ძველბერძნულმა მითმა შემოგვინახა. ამ მითის მიხედვით, იაზონის მეთაურობით ბერძენი გმირები გემ „არგოთი" კოლხეთის სანაპიროებს მოადგნენ, რათა აქედან იმჟამად სახელგანთქმული ოქროს საწმისი (ჯადოსნური ცხვრის ტყავი) გაეტაცათ. მრავალი სიძნელის გადალახვის შემდეგ, იაზონმა ხელში ჩაიგდო სანუკვარი ოქროს საწმისი. ამაში მას კოლხეთის მეფის ასული მედეა დაეხმარა, რომელსაც იაზონი თავდავიწყებით შეუყვარდა, იაზონმა მედეაც თან წაიყვანა და სამშობლოში გამარჯვებული დაბრუნდა. გემის სახელის მიხედვით, მოლაშქრეებს „არგონავტები" ეწოდათ. მითში დიდი ადგილი უჭირავს კოლხეთის, იგივე ეგრისის სამეფოს აღწერას. ფიქრობენ რომ, ძველი ბერძნების ეს ლაშქრობა შორეულ კოლხეთში მოეწყო მათ მიერ მცირეაზიული ქალაქის ილიონის იგივე ტროას წინააღმდეგ ომის დაწყებამდე ანუ არა უგვიანეს ძვ. წ. 1265 წლისა. კოლხეთის სამეფოს წარმოქმნის ხანად კი, ძვ. წ. XIII ს-ის დასაწყისი უნდა მივიჩნიოთ. არგონავტების მითმა კოლხეთის მეფის სახელი - აიეტი - შემოგვინახა. ბევრად უფრო გვიანაც ძველ ბერძნულ საისტორიო წყაროთა მიხედვით ეგრისის ანუ კოლხეთის მეფეები თავს ამ აიეტის შთამომავლად თვლიდნენ. ამიტომ კოლხეთის სამეფოს პირველ დინასტიას, რომელიც კოლხეთს ძვ. წ. II ს-ის ბოლომდე განაგებდა, მეცნიერები აიეტიანთა დინასტიას უწოდებენ. აიეტიანები დღემდე ცნობილ პირველ ქართულ სამეფო დინასტიად უნდა ჩაითვალოს.

ძველი ეგრისის ანუ კოლხეთის სამეფო ძვ. წ. II ს-ის დასასრულამდე არსებობდა. თავდაპირველად ის დიდ ტერიტორიას მოიცავდა. მის საზღვრებში შედიოდა დასავლეთ საქართველო, თითქმის მთელი

ჭოროხის აუზი, შავი ზღვის სანაპირო მდ. ჰალისიდან (დღევანდელი ყიზილ-ირმაკი თურქეთში) მდ. ყუბანის (რუსეთში) შესართავამდე. საფიქრებელია, რომ მის ფარგლებში იმჟამად მოქცეული იყო ისტორიული შიდა ქართლის ის ნაწილი, სადაც კოლხური კულტურის ძეგლებია აღმოჩენილი. ძველი კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური ცენტრი მდ. რიონზე ანუ ფაზისზე მდებარეობდა (**იხ. რუკა № 3, ვ**). კოლხეთის მეფის სასახლის სიმდიდრეს განცვიფრებაში მოუყვანია არგონავტები. ბერძენი მოლაშქრეების მიერ კოლხეთიდან ოქროს ვერძის ტყავის გატაცების ამბავიც კოლხეთის სიძლიერისა და სიმდიდრის სიმბოლურ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ. ამ თქმულების მიხედვით, კოლხებს საკუთარი დამწერლობაც ჰქონდათ. დამწერლობის ამ ნიშნებს ძველი ბერძნები „კირბებს" უწოდებენ.

ძვ. წ. XIII-XII სს-ში კოლხეთი „კილხის" სახელწოდებით ასურულ მეფეთა იმ ლურსმულ წარწერებში გვხვდება, რომლებშიც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მათი ლაშქრობებია აღწერილი. ამავე ხანებში ასურული ლურსმული წარწერები კოლხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოიხსენიებენ მეორე ქართულ სახელმწიფოს დაიაენის. ამ ქვეყანას ურარტუელები დიაოხს უწოდებდნენ, ძველი ბერძნები კი მის მცხოვრებლებს - ტაოხებს. ეს სახელწოდება ისტორიული ქართული მხარის ტაოს სახელმა შემოგვინახა.

ურარტუს ძლიერი სახელმწიფო დიაოხის სამხრეთით, ვანის ტბის (თურქეთში) მიდამოებში ძვ. წ. IX ს-ში შეიქმნა. მისი დედაქალაქი ამავე ტბის ნაპირზე მდებარე ტუშპა იყო (**იხ. რუკა № 3, დ**). ურარტუელები ლურსმულ დამწერლობას იცნობდნენ. დღემდე მოაღწია კლდეზე ამოკვეთილმა ასეთმა წარწერებმა, სადაც მათი მეფეები არგიშთი, მენუა, სარდური ... თავიანთ მეზობლების, მათ შორის კოლხეთისა და დიაოხის წინააღმდეგ ლაშქრობებზე მოგვითხრობენ. ამ წარწერებიდან კარგად ჩანს, რომ როგორც დიაოხში, ისე კოლხეთში „სამეფო ქალაქები" არსებობდა, განვითარებული იყო მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მათ შორის მეცხენეობა. მაღალ დონეზე იდგა მეტალურგიაც. ყოველივე ეს ჩვენთვის ცხადი ხდება იმ ხარკიდან, რომელიც ურარტუელ მეფეებს, ლურსმული წარწერების თანახმად, გამარჯვების შემდეგ ამ ქვეყნებიდან მიჰქონდათ.

ქართულ ტომებში მეტალურგიის განვითარების მაღალ დონეს ძველი ბერძნული საისტორიო წყაროებიც ადასტურებენ. ძველი ბერძნები შავი ზღვის ახლოს მცხოვრებ ერთ-ერთ ქართულ ტომს - ხალიბებს „რკინის გამომგონებლებს" უწოდებდნენ. მათ მეზობლად მცხოვრებ მეორე ქართულ ტომს მოსინიკებს კი იმ განსაკუთრებული მაღალი ხარისხის ფოლადის გამომგონებლად მიიჩნევდნენ, რომელსაც ისინი „მოსინიკურ ფოლადს" ეძახდნენ.

სწორედ რკინის მეტალურგიის მაღალი დონე და მდიდარი რკინის საბადოები იზიდავდა ამ „ჩრდილოეთის ქვეყნების" დასაპყრობად ჯერ ასურეთს, ხოლო შემდგომ ურარტუს.

ძვ. წ. VIII ს-ის პირველ ნახევარში ურარტუელი მეფეები გამუდმებით თავს ესხმიან დიაოხს. ჩრდილოეთიდან კი დიაოხს კოლხეთი ავიწროებს. საბოლოოდ ეს ქვეყანა ამ ორმა დიდმა მეზობელმა გაინაწილა. ამის შემდეგ კოლხეთი და ურარტუ ერთმანეთს უშუალოდ გაუმეზობლდნენ. ძვ. წ. VIII ს-ის შუა წლებში ურარტუს მეფემ სარდურ II კოლხეთის წინააღმდეგ რამდენჯერმე ილაშქრა. ამავე დროს ურარტუელი მეფეები წარმატებით იბრძვიან სამხრეთელი ძლიერი მეზობლის ასურეთის წინააღმდეგაც. ურარტუ თავის საზღვრებს დასავლეთით მცირე აზიაშიც აფართოებს. ურარტუს შემდგომ გაძლიერებას ბოლო მოუღეს კავკასიონის გადმოსასვლელებით წინა აზიაში შემოჭრილმა - კიმერიელებმა და სკვითებმა. მათ შემოსევებმა წინა აზიაში მოსახლე ხალხების დიდი აყრა-გადასახლება გამოიწვია, რამაც მკვეთრად შეცვალა ეთნო-პოლიტიკური რუკა ამ რეგიონში.

## § 16. ძველი მსოფლიო და საქართველო ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებში

ძვ. წ. VIII ს-ის 30-იან წლებში კავკასიის გადმოსასვლელებით წინა აზიას მომთაბარე მესაქონლეობის მიმდევარი ირანული მოდგმის კიმერიელი ტომები შემოესივნენ. შემდეგ კი მათ ასევე ირანული მოდგმის მომთაბარე-მესაქონლე სკვითები მოჰყვნენ. კიმერიელები და სკვითები თავიანთი ცხოვრების წესით წინა აზიის ბინადარი ხალხებისაგან ძალზე განსხვავდებოდნენ: არც სახნავ-სათესები და ბაღ-ვენახები გააჩნდათ და არც მკვიდრი საცხოვრებლები. მათ „სახლებს" გადახურული ოთხთვალები წარმოადგენდნენ, რომლითაც ბავშვები და მოხუცები გადაჰყავდათ და ავლა-დიდება გადაჰქონდათ. კიმერიელებს და სკვითებს თან მიჰყვებოდა საქონლის ჯოგები. ეს ჯოგები მათი ძირითადი ქონება და სიმდიდრე იყო. საქონლის ჯოგებისთვის უკეთესი საძოვრების ძიებაში ისინი ხშირად ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ. ასეთ ცხოვრებას მიჩვეული ტომებისათვის ასეულობით კილომეტრით გადაადგილება

არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მით უფრო, როდესაც მათ წინ საძარცვად და სარბევად მიმზიდველი, სიმდიდრით სახელგანთქმული წინააზიური სახელმწიფოები ეგულებოდათ. კიმერიელებს და სკვითებს არც ქალაქები გააჩნდათ, არც სახელმწიფოებრიობა ჰქონდათ, არც დამწერლობას იცნობდნენ. ამიტომ ისინი წინა აზიის ბინადარი ხალხების თვალში ველურებად გამოიყურებოდნენ. სინამდვილეში არც ისე იყო საქმე. როგორც სკვითური ყორღანების გათხრებმა აჩვენა, ისინი მშვენიერი ხელოსნებიც იყვნენ და ოქრო-ვერცხლისა თუ რკინა-ბრინჯაოსაგან საუცხოო იარაღს და სამკაულს ამზადებდნენ. მაგრამ, მომთაბარულ ცხოვრებას მიჩვეული კიმერიელები და სკვითები შესანიშნავი მეომრები იყვნენ. ამას თუნდაც ქართული სიტყვა „გმირი" და სომხური „გიმარი" მოწმობს, რომელიც კიმერიელის სატომო სახელიდან წარმოსდგება. კიმერიელები და სკვითები მეცხენეობას მისდევდნენ და საუკეთესო ცხენებს აშენებდნენ. მათი მთელი ლაშქარი მშვილდოსანი მხედრებისგან შედგებოდა, რომლებიც თავბრუდამხვევი სისწრაფით ესხმოდნენ მტერს. ბრძოლის წარმოების ასეთი წესი უცხო იყო წინა აზიის ხალხებისათვის, რომელთა ლაშქრის უდიდეს ნაწილს შუბებით შეიარაღებული ქვეითები შეადგენდნენ. კიმერიელებმა და სკვითებმა სამხრეთ კავკასია, მცირე აზია და საერთოდ წინა აზიის დიდი ნაწილი ააოხრეს და თავიანთი ლაშქრით ეგვიპტის საზღვრებამდეც კი მიაღწიეს. მცირე აზიაში მათ დაამარცხეს ფრიგიულ-მუშქური სახელმწიფო, ასურეთი და ურარტუც ძალზე დაასუსტეს. ისინი წინა აზიის მრავალ რეგიონში დასახლდნენ. სამხრეთ კავკასიაში, მტკვრისა და არაქსის შუამდინარეთში ერთხანს მათი „სამეფოც" კი არსებობდა. ერთ-ერთი კიმერიული ტომის თრერების სახელი ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდება თრიალეთში შემორჩა. სამხრეთ კავკასიასა და წინა აზიაში დასახლებულ კიმერიელთა და სკვითთა მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობას, მათ შორის ჩვენ წინაპრებს შეერია და მათში გაითქვიფა, ერთი ნაწილი კი მოგვიანებით ისევ კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ველებს დაუბრუნდა.

ასურეთის დასუსტებით, უპირველეს ყოვლისა, მიდიელებმა ისარგებლეს. კასპიის ზღვის სამხრეთით მოსახლე ეს ირანული მოდგმის ტომები სკვითების დახმარებით ასურელთა დამოკიდებულებისაგან განთავისუფლდნენ და ძვ. წ. VIII ს-ის ბოლოსა და VII ს-ში თანდათან დიდი და ძლიერი სახელმწიფო შექმნეს. მიდიის დედაქალაქი ეკბატანა (დღევანდელი ქ. ჰამადანი ირანში) იყო. მიდიასთან ერთად ასურეთისაგან ბაბილონის სამეფოც განთავისუფლდა. ძვ. წ. VII ს-ის მიწურულში მიდიამ და ბაბილონმა ამ მომთაბარე ხალხების დახმარებით ბოლო მოუღეს ერთ დროს ძლევამოსილ ასურეთს. ამ დროს ბაბილონში გამეფდა ნაბუქოდონოსორი, რომელმაც თავი ხალხების აყრა-გადასახლებით გამოიჩინა. მან იერუსალიმიდან ბაბილონში გადაასახლა ებრაელები, რაც ამ ხალხის ისტორიაში „ბაბილონის ტყვეობის" სახელითაა ცნობილი. განსაკუთრებით გაძლიერდა მიდია მეფე კიაქსარის დროს, რომელმაც ძვ. წ. 590 წ. ურარტუს სახელმწიფოც კი გაანადგურა. ურარტუელთა ნაწილი აყარა, ჩრდილოეთით ქართული ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე გადმოსახლდა და თანდათანობით ქართულ ტომებში გაითქვიფა. ამის შემდეგ ქართულ ენაში შემოვიდა ურარტული სიტყვები. ასეთებია: ყირა, რომელიც ურარტულად მიწას აღნიშნავდა. აქედან მომდინარეობს ქართული თავდაყირა, ყირამალა, ყირაზე გადასვლა. ქართული სიტყვა შარშან აგრეთვე ურარტული შალიშანიდან წარმოსდგება, რომელიც ამ ენაზე გასულ წელს აღნიშნავდა. ქართულ ხალხურ სიმღერებში გავრცელებული მისამღერები: თარი არალე, არი არალე, იერი არალეც ურარტული ენის მეშვეობით იხსნება. არალე იგივე ალალე ურარტული მოსავლის ღვთაების სახელია. თარი არალე - ძლევამოსილი არალე, იერი არალე - უფალი არალე, არი არალე - მომეცი არალეს ნიშნავს. ქართულში დამოწმებულია გვარები, რომლებსაც ქართული გვარის მაწარმოებლების (ია, ძე) დართვამდე ურარტულ-ხურიტული დაბოლოებები (უხი, ახი) ჰქონდათ, მაგალითად: კაქ-ა-ხი-ძე, ფურთ-უ-ხ(ი)-ია, კუმ-უ-ხი-ძე.... ასეთივე დაბოლოება აქვს ზოგიერთ ქართულ სატომო სახელსაც კოლ-ხი ... მეს-ხი, ჯავა-ხი....

ურარტუს ტერიტორიაზე უპირველეს ყოვლისა სკვითური ტომები დასახლდნენ. მისი ძირითადი მოსახლეობა კი მცირე აზიის ცენტრალური მხარეებიდან აყრილ-გადმოსახლებულმა ფრიგიულ-ინდოევროპული ენის მატარებელმა სომეხთა წინაპარმა ტომებმა შეადგინეს. ურარტუელებისა და მათი ქვეყნის სახელი ბიბლიიდან ცნობილმა მთამ არარატმა (თურქეთში) შემოგვინახა. სომეხთა წინაპარ ტომებთან ერთად დასავლეთისაკენ მუშქების ერთმა ნაწილმაც გადმოინაცვლა და სამხრეთ კავკასიაში – თავის ძველ სამშობლოს დაუბრუნდა. ისინი საქართველოს ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთში კოლხებისათვის წართმეულ ტერიტორიაზე დასახლდნენ და ძველთაგან აქ მცხოვრებ თავის განაყოფ ტომებთან გაერთიანდნენ. მოგვიანებით მათ ქვეყანას ძველი ბერძნები „მოსხიკეს" უწოდებდნენ. „ქართლის ცხოვრებაში" ეს ძველი ქართული მხარე, „ოძრხის" და „კლარჯეთის" საერისთავოების სახელით ფიგურირებს. „ოძრხის საერისთავო" მესხეთს და აჭარას, „კლარჯეთის საერისთავო" კი საკუთრივ კლარჯეთის, შავშეთისა და ნიგალის ხეობის გარდა დროდადრო ტაოს, ჰარზალს და ლაზეთის ნაწილსაც მოიცავდა.

სკვითებისა და კიმერიელების შემოსევებმა მნიშვნელოვნად დაასუსტა კოლხეთის სამეფო, რომელმაც მუშქების, იგივე მესხების მოწოლას ვერ გაუძლო და გარკვეული დროით ჭოროხის აუზში მდებარე ტერიტორიები დაკარგა. მცირე აზიის ქვეყნების განადგურებითა და კოლხეთის დასუსტებით ისარგებლეს ბერძნებმა. მათ თანდათანობით მცირე აზიისა და შავი ზღვის სანაპირო ზოლი თავიანთი ქალაქ-სახელმწიფოებით დაფარეს და ეგეოსის, ხმელთაშუა და შავ ზღვებში გაბატონდნენ.

ძველი ბერძნები, რომელთა კულტურა ძველი მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთ უბრწყინვალეს და უმაღლეს მწვერვალადაა მიჩნეული, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე სახლობდნენ. კრეტა-მიკენის ხანის ბერძნები თავს აქაველებს უწოდებდნენ. ძვ. წ. XIII-XII სს-ში ეს ტომები ჩრდილოეთიდან შემოსეულმა, განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მდგომმა ბერძნულივე მოდგმის ტომებმა - დორიელებმა გაანადგურეს. ამის შემდეგ ბერძნული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის ახალი აღმავლობა ძვ. წ. IX-VIII სს-ში იწყება. ამ პერიოდის ბერძნები უკვე თავს ელინებს უწოდებდნენ, თავიან ქვეყანას კი - ელადას.

ძველი ბერძნების სახელთანაა დაკავშირებული ძვ. წ. VIII - ძვ. წ. V სს-ის მსოფლიო ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც იყო „დიდი ბერძნული კოლონიზაცია“.

კოლონიზაცია ადამიანთა დიდი მასის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადასახლებას და იქ მუდმივად დასახლებას ნიშნავს. თავდაპირველად ძვ. წ. XI - ძვ. წ. IX სს-ში ძველმა ბერძნებმა მცირე აზიის სანაპირო ზოლი აითვისეს და მას იონია უწოდეს. იონიის ერთ-ერთი უმთავრესი ქალაქი-ახალშენი მილეტი იყო. მილეტელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩრდილოეთის მიმართულებით „დიდ ბერძნულ კოლონიზაციაში“ და მარმარილოსა და შავი ზღვის სანაპიროებზე 80-ზე მეტი ქალაქი - ახალშენი დააარსეს.

ფინიკიური კოლონიზაცია

ხმელთაშუაზღვისპირეთში „დიდ ბერძნულ კოლონიზაციას“ წინ უსწრებდა ფინიკიური კოლონიზაცია. ფინიკიას ხმელთაშუა ზღვის პირას დღევანდელი ლიბანის სანაპიროს ვიწრო ზოლი ეკავა და ცალკეული ქალაქ-სახელმწიფოებისაგან შედგებოდა. მათგან ყველაზე სახელგანთქმული ბიბლოსი და ტვიროსი იყო. ფინიკიელები საზღვაო ვაჭრობას მისდევდნენ და მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთს დაეუფლნენ. როგორც ვაჭრებს, მათ ანბანური დამწერლობა გამოიგონეს. ძვ. წ. X-VIII სს-ში ფინიკიელებმა ძირითადად დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში თავიანთი ახალი ქალაქები დააარსეს. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩრდილოეთ აფრიკაში, დღევანდელ ქალაქ ტუნისის მიდამოებში, მათ მიერ დაარსებული კართაგენი. „კართაგენი“ - ფინიკიურად „კარტ-ხადაშტ“ - ახალ ქალაქს ნიშნავს. მალე კართაგენი ძლიერ ქალაქ-სახელმწიფოდ გადაიქცა, რომელიც ძვ. წ. II საუკუნეში ძლევამოსილ რომსაც უწევდა მეტოქეობას.

საერთოდ, ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებში დიდი ბერძნული კოლონიზაცია სამი მიმართულებით ვითარდებოდა. დასავლეთით ძველმა ბერძნებმა აითვისეს სამხრეთ იტალია, სიცილია, დღევანდელი საფრანგეთის და ესპანეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპირო. სამხრეთ იტალიას მათ მიერ აქ დაარსებული ქალაქების სიმრავლის გამო ერთხანს „დიდი ელადა“ ანუ „დიდი საბერძნეთი“ ეწოდებოდა. სიცილიაში დაარსებულ ქალაქებს შორის აღსანიშნავია სირაკუზი, საიდანაც იყო გამოჩენილი ძველი ბერძენი მეცნიერი არქიმედე. საფრანგეთის სანაპიროზე ძველი ბერძნების დაარსებულია მარსილია, დღევანდელი მარსელი. სამხრეთ-დასავლეთით ძველმა ბერძნებმა თავიანთი ქალაქი ეგვიპტეში, მდინარე ნილოსის შესართავშიც დააარსეს.

ძვ. წ. VII - ძვ. წ. VI სს-ში ბერძნებმა დასუსტებულ ეგრისს (კოლხეთს) სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დიდი ნაწილი წაართვეს, სადაც ბერძნული ახალშენები: ამისო, კერასუნტი, კოტიორა და ტრაპეზუნტი წარმოიქმნა.

შემდეგში ბერძნებმა სავაჭრო ახალშენები კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც შექმნეს. ესენია ფაზისი (ფოთი), გიენოსი (ოჩამჩირე), დიოსკურია (სოხუმი), პიტიუნტი (ბიჭვინთა). ბერძნული დასახლებები იყო აგრეთვე სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით, დღევანდელ ეშერაში და დღევანდელი ქობულეთის მიდამოებში.

ამავე ხანებში ბერძნული ქალაქები ჩრდილო შავიზღვისპირეთში - ყირიმის ნახევარკუნძულსა და მის მეზობელ მხარეებშიც წარმოიქმნა. მათ შორის აღსანიშნავია ბოსფორი, პანტიკაპეიონი, ხერსონესი, ოლვია, ფანაგორია.... შავიზღვისპირეთში ბერძნული ქალაქ-ახალშენების ისტორია სულ სხვადასხვანაირად წარიმართა: სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კოლხებისთვის წართმეულ ტერიტორიაზე დაარსებული ბერძნული ახალშენები სხვა მრავალი ბერძნული ქალაქ-კოლონიების მსგავსად, დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოებად - პოლისებად ჩამოყალიბდნენ; ყირიმსა და მის მიმდებარე მხარეებში წარმოქმნილი ბერძნული ქალაქები ძვ. წ. V ს-ში ერთ, ბოსფორის სამეფოში გაერთიანდნენ. ბერძნული ახალშენები კი, რომლებიც კოლხეთის სამეფოს საზღვრებში დარჩნენ, ეგრისის მეფეებს დაემორჩილნენ და მხოლოდ თვითმმართველობით დაკმაყოფილდნენ **(იხ. რუკა 4)**.

## ქართლის სამეფო და ელინისტური სამყარო ძვ.წ. III საუკუნეში



# ქართლის სამეფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება ფარნავაზის ხანაში



შავიზღვისპირეთში ბერძნული ახალშენების დაარსების შემდეგ კოლხეთი ბერძნულ სამყაროსეულ ცივილიზაციასა და ბერძნული კულტურის მიღწევებს ეზიარა. ეგრისისა და საბერძნეთის ნავსადგურებს შორის მუდმივი მიმოსვლა დამყარდა. კოლხეთის საზღვაო ვაჭრობა მთელი საზღვაო ალებ-მიცემობის შემადგენელ ნაწილად იქცა. ძველ ბერძნებს კოლხეთიდან გაჰქონდათ თაფლი, ცვილი... კოლხეთის იმპორტს საბერძნეთში განსაკუთრებით გემთსაშენი ხე-ტყე, კუპრი, რკინა, რკინის ნაწარმი, მინერალური საღებავები, ღვინო ... და ტყავ-მონები შეადგენდა.

საბერძნეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს მიაკვლიეს თიხის ხურებს, რომლებსაც ბერძნულად აწერია: „კოლხმა გამაკეთა", „კოლხმა მომხატა". განსაკუთრებით აღიარებული იყო კოლხური ხელის ნაწარმი, რომელიც, როგორც გვახსოვს, ბერძნებისვე ცნობით, არაფრით ჩამოუვარდებოდა ეგვიპტურს. ეგვიპტე კი იმჟამად მთელ ბაზარს ისეთი მაღალი ხარისხის ხელს აწვდიდა, რომ მას არქეოლოგები აბრეშუმის ქსოვილისაგან ძლივს ასხვავებენ. ბერძნებს ეგრისიდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ოქრო. ამიტომ მას „ოქრომრავალ კოლხეთს" უწოდებენ. ძველი ბერძნები ყვებიან, თუ როგორ მოიპოვებდნენ ოქროს ჩვენი წინაპრები. კოლხეთის მდინარეებს კავკასიონის მთებიდან ოქროს მადნის ნარეცხი ქვიშა ჩამოჰქონდა. მოსახლეობა მდინარეებში ცხვრის ტყავებს ფენდა და ამაგრებდა. გარკვეული დროის განმავლობაში ცხვრის ბეწვში ოქროს ქვიშა ილექებოდა. ზოგი ძველი ბერძენი ისტორიკოსი თქმულებას ოქროს საწმისზე კოლხებში ოქროს მოპოვების აღნიშნულ წესს უკავშირებს. ამ წესით ოქროს მოპოვებას სვანეთში ბოლო ხანებამდე მისდევდნენ. საქართველოში პირველად გაეცნენ ძველი ბერძნები ხოხობს. ხოხბისგან დამზადებული კერძები განსაკუთრებულ დელიკატესად ითვლებოდა. ამიტომ ეს ფრინველი კოლხეთიდან დიდი რაოდენობით გაჰყავდათ. ძველმა ბერძნებმა მას კოლხეთის მთავარი საზღვაო ქალაქის ფაზისის მიხედვით, „ფასიანოსი" (ფაზისური) უწოდეს, ბერძნებისაგან ის ლათინებმა (რომაელებმა) გადაიღეს, საიდანაც ევროპულ ენებში გავრცელდა. მაგალითად, გერმანულსა და რუსულში „ფაზან", ინგლისური „ფეზ".

კოლხეთში ბერძნული სამყაროდან ძირითადად შემოჰქონდათ მაღალი ხარისხის, მდიდრულად მოხატული თიხის ჭურჭელი, ღვინო, ზეითუნის ზეთი, მარილი, ნელსაცხებლები, ფუფუნების საგნები და საერთოდ ყოველივე ის, რასაც იმ დროს ბერძნული სამყარო ამზადებდა და რასაც იმხანად განვითარებული საზოგადოება მოითხოვდა. აღსანიშნავია, რომ უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს შორის იყო ნავთობიც, რომელიც ბოსფორის სამეფოდან შემოჰქონდათ. იმჟამად ხითხე, მარცვლეული თუ სხვა მსგავსი საქონელი საგანგებო თიხის ჭურჭლით - ამფორებით გადაჰქონდათ. ამფორა ვიწრო ყელიანი ორყურა ჭურჭელი იყო. ასეთი ამფორები კოლხეთშიც დიდი რაოდენობით მზადდებოდა. კოლხური ამფორები საქართველოს საზღვრებს გარეთ, ყირიმშიცაა ნაპოვნი. გაცხოველებულ ალებ-მიცემობას კოლხეთში ქალაქების მომრავლება მოჰყვა. არქეოლოგებმა დასავლეთ საქართველოში მიაკვლიეს და გათხარეს რამდენიმე კოლხური ქალაქი, მათ შორის საირხის და ვანის ბრწყინვალე ნაქალაქარები, სადაც აღმოჩენილი ვერცხლისა და ოქროსაგან დამზადებული სამკაულები მთელი ხელოვნების საგანძურში შევიდა.

ვანს ძველი ბერძნები „სურიუმს", იგივე „სურიონს" უწოდებდნენ. ეს სახელი მდინარე სულორის სახელიდან წარმოსდგება, რომლის მარცხენა ნაპირზე ეს ქალაქი იყო გაშენებული. ვანის გათხრების დროს არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ბერძნულ წარწერიანი ქვის ფილა, სადაც ამ ქალაქის სახელი „სური" არის მოხსენიებული. ძველი ბერძნები ხშირად იხსენიებენ მდ. ფაზისის (რიონის) აყოლებით დაახლოებით მდ. ტეხურას რიონთან შეერთების ახლოს მდებარე „დიდ ბარბაროსულ ქალაქს, საიდანაც იყო მედეა".

ეს ქალაქი, რომელიც კოლხეთის უმთავრესი ქალაქი და სამეფოს ცენტრი იყო, სამწუხაროდ, ჯერ არაა მიკვლეული. ძველი კოლხური ქალაქების გათხრებისას მოპოვებული მასალა კარგ წარმოდგენას გვიქმნის კოლხეთის საქალაქო ცხოვრებაზე. ვაჭრობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებამ საკუთარი ფულის საჭიროება წარმოშვა. ამიტომ კოლხეთის მეფეები ძვ. წ. VI ს-ში იწყებენ ფულის მოჭრას. ვერცხლისაგან მოჭრილ ამ მონეტებს მეცნიერები „კოლხურ თეთრს" უწოდებენ.

**ბარბაროსი**

თავდაპირველად ბერძნები ბარბაროსს ყველა არაბერძენს ანუ არაბერძნებს უწოდებდნენ. უცხოტომელთა ხალხების საუბარი ბერძნებს, როგორც ჩანს, არ ესმოდათ და მათი ხმოვანება გაუგებრად ანუ „ბარ-ბარ"-ად აღიქმებოდა. აქედან წარმოიშვა სიტყვა „ბარბაროსი". დროთა განმავლობაში ძველმა ბერძნებმა მაღალ განვითარებული კულტურის ხალხებს ბარბაროსებად აღარ თვლიდნენ. ამიტომ თანდათან ტერმინი „ბარბაროსი" კულტურის სინონიმი გახდა.

კოლხეთის დაბლობი ჭაობიან მხარეს წარმოადგენდა. მისი საცხოვრებლად ათვისება სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ ძალისხმევას და სახსრებს მოითხოვდა. კოლხეთის სამეფოს ეკონომიკურ

სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ გვიანბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული მთელი ეს მხარე ხელოვნური არხებით იყო დაჩქრილი. მიწაყრილებით შექმნილ ხელოვნურ გორაკებზე – „დიხა-გუძუბებზე" კი მოსახლეობა ცხოვრობდა. დიდი ბერძენი ექიმი ჰიპოკრატე, რომელმაც ძვ. წ. V ს-ში მოინახულა კოლხეთი, ასე აღგვიწერს ამ ქვეყანას: „ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს აქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ და მათი ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავსადგურებში, არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა მოლიანი ხიდან გამოთლილი ნავებით, რადგან არხები ბევრია".

დიდი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე კოლხებს „შავგვრემან და ხუჭუჭთმიან" ხალხად წარმოაჩენს, ის ძალიან მაღალი აზრისაა მათზე. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ჰეროდოტე კოლხებს ძველი ეგვიპტელებიდან წარმომდგარად მიიჩნევს. ის მათ იმ ეგვიპტელი მოლაშქრეების შთამომავლებად თვლის, რომლებიც ოდესღაც უხსოვარ დროში, ამ მხარის ეგვიპტის ერთ-ერთი ფარაონის მიერ დალაშქვრის შემდეგ, სამშობლოში აღარ დაბრუნდნენ და აქ დარჩნენ. ეგვიპტელებს კი ძველი ბერძნები განსაკუთრებით პატივს სცემდნენ და თავიანთ მასწავლებლებად მიიჩნევდნენ.

## § 17. აქემენიანთა ხანიდან ალექსანდრე მაკედონელამდე

ლიდიის მეფე კროისოსი

სპარსეთის შაჰმა კიროსმა მცირე აზიაში დიდი და ძლიერი სახელმწიფო ლიდია დაიპყრო, რომელსაც იმჟამად სახელგანთქმული მეფე კროისოსი განაგებდა. აქედან შემორჩა გამოთქმა „კროისოსივით მდიდარი", რადგან მეფისის განსაკუთრებული სიმდიდრის ლეგენდებად ხმაურობდნენ. კროისოსის დამარცხებისა და აქემენიანთა მიერ ლიდიის დაპყრობის შესახებ ლამაზი მოთხრობა შემოგვინახა ჰეროდოტემ. ისტორიკოსის მიხედვით, სპარსეთთან ომის დაწყების წინ კროისოსს მოციქულები გაუგზავნია საბერძნეთში იმხანად მისნობით ანუ წინასწარმეტყველებით განთქმულ დელფოს ტაძარში და ღმერთებისათვის კროისოსის წინადადება ომის წამოწყების მიზანშეწონილობის უცნობებია. სამისნომ კროისოსის წარგზავნილებს შემდეგი პასუხი გასცა: „თუ კროისოსი ილაშქრებს სპარსელებზე, დიდ სახელმწიფოს დაანგრევსო". მისნობით დაიმედებულმა კროისოსმა კიროსის წინააღმდეგ ილაშქრა, მაგრამ სასტიკად დამარცხდა. კროისოსი ტყვედ ჩავარდა. მისი სამეფო კი სპარსელებმა დაიპყრეს. მისნობა ამ შემთხვევაშიაც სწორი გამოდგა. დიდი სახელმწიფო ლიდია, მართლაც, განადგურდა.

ძვ. წ. VI ს-ის შუა წლებში მიდიის სამეფო ტახტზე ფარსის პროვინციიდან (თანამედროვე ირანის სამხრეთში) გამოსული ახალი აქემენიანთა დინასტია ავიდა. ამის შემდეგ ამ ქვეყანას ისტორიკოსები სპარსეთს, უფრო ზუსტად აქემენიანთა სპარსეთს უწოდებენ. ახალი დინასტიის მეფეებმა თავისი სახელმწიფოს დედაქალაქად თავდა-პირველად სუზა აქციეს, მოგვიანებით კი, დედაქალაქი ა... მიზნით საგანგებოდ აგებულ პერსეპოლში გადაიტანე... („პერსეპოლი" „სპარსთა ქალაქს" ნიშნავს).

აქემენიანთა სპარსეთის პირველი მეფე იყო კიროსი, რომელმაც თავიდანვე დაადგა დაპყრობების გზას. მალე სპარსეთმა წინა აზიის თითქმის ყველა ქვეყანა დაიპყრო და პირველი ნამდვილი მსოფლიო იმპერია ჩამოაყალიბა, რომელიც სამხრეთ კავკასიას, შუა, წინა და მცირე აზიას გარდა აფრიკაში ეგვიპტესაც მოიცავდა.

სპარსელებმა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველ... ტომებიც: სასპერები, მოსხები, ტიბარენები, მაკრონები... მოსინიკები დაიმორჩილეს და თავის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში - XVIII და XIX სატრაპიებში გააერთიანეს. სატრაპიებს სპარსი სატრაპები განაგებდნენ. კოლხეთის სამეფო გადაურჩა სპარსელთა მიერ უშუალო დაპყრობას, მაგრამ იძულებული გახდა ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ სპარსეთში „ძღვენის" სახით ას... ქალწული და ასი ვაჟი გაეგზავნა. ომის შემთხვევაში გ... სპარსელების მხარეზე ჯარიც გამოეყვანა. იმჟამად ქარ... თველ მოლაშქრეებს თავზე ხის მუზარადები ეხურათ და გამოუქნელი ტყავგადაკრული ხის პატარა ფარებით, მოკლე შუბებითა და დანებით იყვნენ შეია-რაღებულნი. ძვ. წ. V ს-ის II ნახევარში სპარსეთის უშუალო მმართველობა აღმოსავლეთ საქარ-თველოზეც დამყარდა.

„ქართლის ცხოვრების" მიხედვით, სპარსეთმა აღმოსავლეთ საქართველოში თავისი გამგებელი „ერისთავი" დანიშნა. პირველი ასეთი ერისთავი არდამი იყო. აქემენიანთა ბატონობის ხანაში ქართლში ხულ ხუთი სპარსელი გამგებელი გამოიცვალა. ჩვენი წინაპრები თავგამოდებით იბრძოდნენ სპარსთაგა...

თავის დასაღწევად. ამ ბრძოლაში ისინი დახმარებისათვის ხშირად ჩრდილო კავკასიელ ტომებსაც მიმართავდნენ. მიუხედავად ცალკეული წარმატებებისა, სპარსთაგან სრული განთავისუფლება მათ ბოლომდე მაინც ვერ შეძლეს.

სპარსელებთან ურთიერთობას თავისი დადებითი შედეგებიც ჰქონდა. ამ პერიოდში ჩვენი წინაპრები ეზიარნენ იმ დროისათვის ერთ-ერთ მოწინავე სპარსულ კულტურას, გადაიღეს მისი მიღწევები. ძველი სპარსელები ცეცხლთაყვანისმცემლები იყვნენ. მათი მთავარი ღვთაება აჰურამაზდა იყო. მასთან ერთად აქემენიანთა სპარსეთში ეთაყვანებოდნენ აგრეთვე მითრას - მზეს, რომელიც მეომარი მხედრის სახეს ატარებდა. სპარსელების რწმენა-წარმოდგენები, აქემენიანთა სახელმწიფოს ტერიტორიის ზრდასთან ერთად, მთელ წინა აზიაში გავრცელდა. ის ჩვენმა წინაპრებმაც შეითვისეს.

ჩვენ სამშობლოში, თავდაპირველად დასავლეთ საქართველოში ძველი ბერძნული რწმენა-წარმოდგენებიც შემოვიდა და გავრცელდა.

აქემენიანთა იმპერიასა და ბერძნულ სამყაროს შორის დაპირისპირება სპარსეთის სახელმწიფოს შექმნისთანავე წარმოიშვა. თავდაპირველად სპარსელებმა მცირე აზიის სანაპიროზე იონიის ქალაქ-სახელმწიფოები დაიპყრეს, ხოლო ძვ. წ. V ს-ის დასაწყისში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე - ელადაში მდებარე ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების დაპყრობას შეეცადნენ. ამას ბერძნებსა და სპარსელებს შორის მრავალწლიანი ომი მოჰყვა, რაც ისტორიაში ბერძენ-სპარსელთა ომის სახელითაა ცნობილი. ომში ბერძნებმა გაიმარჯვეს და უპირატესობა თანდათან მათ მხარეზე გადავიდა.

## მაკედონიის სამეფო და ალექსანდრე მაკედონელი

მაკედონია ბერძნული სამეფო იყო, რომელიც ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთში მდებარეობდა. ძვ. წ. IV ს-ის შუა წლებში ალექსანდრეს მამამ მაკედონიის მეფემ ფილიპე II ელადის ანუ ბალკანეთის სამხრეთის ქალაქ-სახელმწიფოების დიდი ნაწილი გააერთიანა და სპარსეთზე სალაშქროდ მოემზადა. ძვ. წ. 336 წ. ის შეთქმულების მსხვერპლი გახდა და ტახტი მისმა ოცი წლის ვაჟმა ალექსანდრემ (336-323) დაიკავა. ალექსანდრემ ბრწყინვალე განათლება მიიღო, ხოლო მისი აღმზრდელი იყო ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სწავლული - არისტოტელე.

ძვ. წ. 334 წ. მცირე აზიაში ბერძენ-მაკედონელთა ლაშქარი შეიჭრა, რომელსაც მაკედონიის მეფე ალექსანდრე მიუძღოდა.

ალექსანდრე მაკედონელმა მოკლე ხანში გაანადგურა აქემენიანთა იმპერია, მთლიანად დაიპყრო მისი ტერიტორია და შუა აზიიდან ინდოეთშიც კი ილაშქრა. ასე შეიქმნა ძველი მსოფლიოს უდიდესი იმპერია, რომელმაც მსოფლიო ისტორიაში პირველად სამი კონტინენტის - ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნები გააერთიანა. ამ იმპერიაში ბალკანეთის ნახევარკუნძული, ეგეოსის ზღვის კუნძულები, მცირე აზია და საერთოდ მთელი წინა აზია, ეგვიპტე, შუა აზია, ცენტრალური აზიისა და ინდოეთის ერთი ნაწილი შედიოდა. ალექსანდრე მაკედონელის იმპერია მდ. ინდიდან ნილოსამდე და ნილოსიდან მდ. დუნაიმდე გადაიჭიმა. თავისი იმპერიის დედაქალაქად მან ბაბილონი აირჩია **(იხ. რუკა 5)**.

ალექსანდრე მაკედონელი მსოფლიოს ყველა დროის უდიდეს მხედართმთავრად ითვლება. შუა აზიაში ლაშქრობის დროს ალექსანდრე მაკედონელმა კასპიის ზღვას სამხრეთით შემოუარა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მას ქართლშიც ულაშქრია და ქართლის ციხე-სიმაგრეებიც „დაურღვევია“. სინამდვილეში, როგორც ეს მეცნიერებმა დაადგინეს, ალექსანდრე მაკედონელს სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში არ ულაშქრია. მიუხედავად ამისა, მისი ქართლში ლაშქრობის შესახებ ცნობა ქართველ მემატიანეს, რა თქმა უნდა, თვითონ არ შეუთხზავს. საქმე ისაა, რომ ძველ ბერძნულ-რომაულ სამყაროში ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობის შესახებ მცდარი თვალსაზრისი ძალზე პოპულარული იყო და ის არაერთი ავტორის თხზულებაში აისახა. ქართველმა მემატიანემაც ეს ინფორმაცია ამ ძველი ბერძენი და რომაელი ავტორებისგან გადმოიღო.

ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობებით მსოფლიოს ისტორიაში ახალი, „ელინიზმის ხანა“ დაიწყო. ეს ტერმინი სიტყვა „ელინიდან“ - ბერძენი წარმოსდგება. ის ბერძენთა მეთაურობით დასავლური და აღმოსავლური სამყაროს ერთ კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში გაერთიანებას გულისხმობს. ელინისტურ ხანაში აღმოსავლეთში გავრცელდა ბერძნული ენა და კულტურა. დიდი გაქანება მიიღო საერთაშორისო საზღვაო და სახმელეთო ვაჭრობამ. ქართული ქვეყნებიც ელინისტური სამყაროს შემადგენელი ნაწილი გახდა. ძვ. წ. IV-I საუკუნეებში საქართველოზე გადიოდა დიდი სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც შორეულ ინდოეთს საქართველოს ნავსადგურების მეშვეობით ევროპასთან აკავშირებდა. ეს გზა ჩრდილოეთ ინდოეთში იწყებოდა და დღევანდელი ავღანეთისა და შუა აზიის გავლით კასპიის ზღვამდე აღწევდა. კასპიის ზღვის გადალახვის შემდეგ აღმოსავლელი ვაჭრები მდ. მტკვრის ხეობას მიუყვებოდნენ, ლიხის ქედს გადალახავდნენ და მდ. ყვირილას ხეობაში ეშვებოდნენ, საიდანაც, როგორც

ხმელეთით ისე მდინარით, იმ დროს ზღვისპირა დიდ სავაჭრო ქალაქში ფაზისში ჩადიოდნენ. აქედან აღმოსავლური საქონელი საზღვაო გემებით ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებში გადაჰქონდათ.

ძვ. წ. 323 წელს სრულიად ახალგაზრდა, 33 წლის ალექსანდრე მაკედონელი მოულოდნელად გარდაიცვალა. ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ მის მემკვიდრე-მხედართმთავრებს, იგივე დიადოხოსებსა და მათ შთამომავლებს ანუ ეპიგონებს შორის ხანგრძლივი ომი გაიმართა. ამ ომების შედეგად ამ მსოფლიო იმპერიის ტერიტორიაზე რამდენიმე დიდი სახელმწიფო წარმოიშვა.

პტოლემაიოსიანთა ეგვიპტე

პტოლემაიოსიანთა დინასტია ეგვიპტის სამეფოს ძვ. წ. 30 წლამდე, რომის მიერ მის დაპყრობამდე მართავდა. ამ დინასტიის ბოლო წარმომადგენელი და ელინისტური ეგვიპტის უკანასკნელი მეფე სილამაზითა და რომანტიული თავგადასავლებით განთქმული კლეოპატრა იყო, რომელმაც თვითმკვლელობით დაასრულა თავისი სიცოცხლე.

ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავარმა პტოლემაიოსმა ელინისტური ხანის ეგვიპტის სამეფოს ანუ პტოლემაიოსიანთა ეგვიპტეს ჩაუყარა საფუძველი. საკუთრივ მაკედონიის სამეფოში ანტიგონე გამეფდა.

ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეობის ძირითადი ნაწილი მის ერთ-ერთ მხედართმთავარს სელევკეს ხვდა, რომელმაც ისტორიული საქართველოს სამხრეთით დიდი სახელმწიფო ჩამოაყალიბა. თავდაპირველად ამ სახელმწიფოში თითქმის მთელი წინა აზია, შუა აზია და ჩრდილოეთ ინდოეთი გაერთიანდა. მას მისი დამაარსებლის სახელის მიხედვით, სელევკიანების სამეფოს ან „დიდ სირიას" უწოდებენ. „ქართლის ცხოვრებაში" სელევკიანთა სახელმწიფო „ასურასტანის სამეფოს" სახელით მოიხსენიება. სელევკმა თავისი სამეფოს ერთ-ერთ დედაქალაქად მის მიერ მდ. ორონტზე დაარსებული ქალაქი აირჩია, რომელსაც მამის სახელი – ანტიოქია – უწოდა (დღევანდელი ქალაქი ანტაქია თურქეთში, სირიის საზღვართან).

ძვ. წ. IV ს-ის დასასრულს სელევკიანების სახელმწიფოს ჩრდილო-აღმოსავლეთით პონტოს სამეფო გამოეყო. ეს სამეფო თავდაპირველად სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდებარე ბერძნულ ქალაქებს და მათ მეზობლად მოსახლე ქართულ ტომებს: კოლხებს, ტიბარენებს, მოსინიკებს აერთიანებდა. მოგვიანებით მის შემადგენლობაში მთელი კაპადოკია ანუ მცირე აზიის აღმოსავლეთი მოექცა. პონტოს სამეფოს სამხრეთ აღმოსავლეთით, მდინარეების ჰალისის (ყიზილ ირმაკის), ევფრატის და ჭოროხის სათავეებში ბიერიტიანთა ნახევრად დამოუკიდებელი სამფლობელო არსებობდა, რომელიც ძირითადად ქართული ტომებით: სასპერებით, მაკრონებით, ხალიბებით, ლაზებით ... იყო დასახლებული. იმ ხანათ ბიერიტიანები ტაოს, კლარჯეთს და იმერხევსაც განაგებდნენ. ამგვარად, როგორც უხედავთ, ისინი ფაქტობრივად ძველი ქართული ქვეყნის „მოსხიკის" მმართველები იყვნენ. ძვ. წ. III ს-ის შუა წლებში სელევკიანების სამეფოს კასპიის სამხრეთით მდებარე სპარსული ქვეყანა პართია გამოეყო. ჩვენი წინაპრები მას, აქემენიანთა სპარსეთის ანალოგიით, ისევ სპარსეთს უწოდნენ. კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე სელევკიანებისაგან ფაქტობრივად დამოუკიდებელი სახელმწიფო – ატროპატაკანი წარმოიქმნა. ყველა ამ სახელმწიფომ დიდი როლი ითამაშა ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიაში **(იხ. რუკა 5).**

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა და აქემენიანთა სპარსეთის დაცემამ ხელი შეუწყო აღმოსავლეთ საქართველოში ახალი ქართული სახელმწიფოს – ქართლის სამეფოს წარმოქმნას.

## § 18. ფარნავაზი და ქართლის სამეფოს წარმოქმნა

„ქართლის ცხოვრების" მიხედვით, უხსოვარ დროს, ბაბილონის გოდოლის დანგრევის შემდეგ, შუამდინარეთიდან კავკასიაში მოვიდა ბიბლიური ნოეს შვილის იაფეტის შთამომავალი თარგამოსი თავისი რვა ვაჟით.

კავკასიაში მოსული რვა ძმა თავ-თავიანთი გამრავლებული ოჯახებით მამის მიერ გამოყოფილ ახალ სამფლობელოებში დამკვიდრდა. ესენია: ქართველთა ლეგენდარული მამამთავრები ქართლოსი, ეგროსი და კავკასი; სომეხთა მამამთავარი ჰაოსი, ძველი ალბანელების მამამთავრები ბარდოსი და მოვაკანი, ჩრდილო-ადიღეელთა და ჩეჩენ-ინგუშთა მამამთავარი კავკასი და დაღესტნელ ხალხთა მამამთავარი ლეკანი.

ქართველთა მამამთავრებიდან „ქართლის ცხოვრება" მხოლოდ მათ შორის უფროსის, ქართლოსის და მისი „ოჯახის" ისტორიას გადმოგვცემს. ამ გადმოცემის თანახმად, ქართლოსის სიკვდილის შემდეგ

ის მთამომავლებს შორის მტრობამ და ქიშპმა დაისადგურა. ქვეყანა ცალკეულ უფლებს ანუ მთავრებს შორის განაწილდა. მიუხედავად ამისა, ისინი უპირველესად ქართლოსის უფროსი ვაჟის მცხეთოსის მემკვიდრეებს აღიარებდნენ. მას „არ ეწოდებოდა მეფე, არცა ერისთავი, არამედ მამასახლისი და ის იყო მაზავებელი და მსაჯული ყოველთა ქართლოსიანთა".

ძველი ქართული საისტორიო ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ" კავკასიაში ქართველთა წინაპრების მოსვლას აზოს სახელს უკავშირებს, რომელმაც ისინი „არიან ქართლიდან" ანუ „ჰპარსეთის ქართლიდან" გამოიყვანა.

ძველი ბერძნული საისტორიო მწერლობის მიხედვით, იბერიელების ანუ აღმოსავლეთ ქართველების წინაპრები სამხრეთ კავკასიაში ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა ესპანეთიდან გადმოასახლა. კოლხები ანუ ეგრისელები კი თითქოსდა ეგვიპტის ფარაონის (სესოსტრისის, იგივე რამზეს XII-ის) კოლხეთში ლაშქრობის დროს აქ დარჩენილი ეგვიპტელი მოლაშქრეების შთამომავლები არიან. ყველა ეს ცნობა ერთი გადმოცემის სხვადასხვა ვარიანტია. ამ გადმოცემაში მოთხრობილი იყო ძვ. წ. VI ს-ის დასაწყისში, ლეგენდარული აზოს მეთაურობით, მიდიის და ბაბილონის საზღვრებიდან აყრილ-გამოძევებული ინდოევროპულ-სკვითური ტომების სამხრეთ კავკასიაში მოსვლა-დამკვიდრების ამბავი.

ამ ნახევრად მომთაბარული ტომების საქართველოში მოსვლის ხანისათვის (ძვ. წ. VI ს-ის დასაწყისი), აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფოებრიობა უკვე არსებობდა. ის მტკვრის მარცხენა სანაპიროს ოთხი ქალაქის: კასპის, ურბნისის, სარკინეს და ოძრხეს გაერთიანების შედეგად შეიქმნა. უფრო ადრე თითოეულ ამ ქალაქს თავისი გამგებელი – უფალი ჰყავდა, თავისი უფლის ციხე გააჩნდა და თავის ირგვლივ ტერიტორიას „დაბნებს" ანუ „დაბებს" აერთიანებდა. შემდგომში ისინი ერთ მმართველს – ქართლის მამასახლისს დაემორჩილნენ. უძველეს ხანაში მამასახლისი „სახლის" ანუ გვარიკნული თემის მეთაურს ნიშნავდა, მაგრამ შემდგომ მან ქართლის გამგებლის შინაარსი შეიძინა. მოგვიანებით „უფლის ციხე" მხოლოდ ქართლის მამასახლისის მთავარ რეზიდენციას ეწოდა. საფიქრებელია, ეს რეზიდენცია გორთან, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე კლდეში გამოკვეთილი უძველესი ციხე-ქალაქი უფლისციხე იყო. საქართველოში მოსული ინდოევროპულ-სკვითური ტომები ქართლში დამკვიდრდნენ და ქართლის მამასახლისის ძალაუფლებას დაექვემდებარნენ. თანდათან მოსულები ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ბევრად უფრო გვიანაც ქართული ფეოდალური საგვარეულოების ერთი ნაწილი თავის წარმოშობას სწორედ მათ მოსვლას უკავშირებდა.

როგორც ვიცით, ძვ. წ. V ს-ის II ნახევარში აღმოსავლეთ საქართველო აქემენიანთა სპარსეთმა დაიპყრო, რამაც აღმოსავლურ ქართული სახელმწიფოებრიობა ფაქტობრივად მოშალა. აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფოებრიობის აღდგენა მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის მიერ აქემენიანთა იმპერიის განადგურების შემდეგ გახდა შესაძლებელი. ეს ახლად წარმოქმნილი აღმოსავლურ ქართული სახელმწიფო „ქართლის სამეფოს" სახელითაა ცნობილი.

„ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ქართლის სამეფო ფარნავაზმა დააარსა, რომელმაც ალექსანდრე მაკედონელის მიერ ვითომდა აზონის მეთაურობით ქართლში დატოვებული ბერძნები დაამარცხა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალექსანდრე მაკედონელს სინამდვილეში ქართლში არ ულაშქრია. მან ჩვენს სამშობლოს სამხრეთით ჩაუარა. გზად ამ ძლევამოსილმა დამპყრობელმა მის მხარეზე გადასული და მის სამსახურში ჩამდგარი სპარსეთის მეფის ყოფილი სატრაპები კვლავ მათი საგამგებლო ქვეყნების მმართველებად დაამტკიცა. ერთი მათგანი იყო ატროპატე, საიდანაც მოდის ქვეყნის სახელი „ატროპატაკანი", შემდგომი ხანის „ადარბადაგანი", იგივე „აზერბაიჯანი"; მეორე კი, მითრანე, რომელიც არმენიას ანუ სომხეთს განაგებდა. ფიქრობენ, რომ ალექსანდრე მაკედონელის დავალებით და ბერძნულ-მაკედონურ რაზმებზე დაყრდნობით საქართველოში, შესაძლოა, სწორედ ეს სატრაპები

### წარღვნა და ბაბილონის გოდოლი

ებრაული და ქრისტიანული წმინდა წიგნის, ბიბლიის პირველი ნაწილის, ძველი აღთქმის მიხედვით, ნოე წმინდა კაცი იყო, ამიტომ, როდესაც ღმერთმა მთელი ცოდვილის გამო წარღვნით ანუ მსოფლიო წყალდიდობით ადამიანთა მოდგმის განადგურება გადაწყვიტა, ამის შესახებ ნოეს წინასწარ აცნობა. ღმერთის ბრძანებით ნოემ ხომალდი კიდობანი (ნოეს კიდობანი) ააგო და თავისი ოჯახით ღმერთის მიერ განწესებულ წარღვნას გადაურჩა. ასე რომ, ბიბლიის მიხედვით, თანამედროვე ადამიანები ნოეს შთამომავლები არიან.

ბაბილონის გოდოლი ნიშნავს ქალაქ ბაბილონის კოშკს. გადმოცემა ბაბილონის კოშკის შესახებ ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულში გაჩნდა, შემდეგ კი ის ძველ აღთქმაში შევიდა. ამ თქმულების მიხედვით, თავდაპირველად ყველა ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობდა. ერთხელაც ადამიანებმა ქალაქ ბაბილონში და ამ ქალაქში ცამდე ამაღლებული კოშკის აგება გადაწყვიტეს, რათა ღმერთამდე მიეღწიათ. კოშკის აგებისათვის რომ ხელი შეეშალა, ღმერთმა ისინი სხვადასხვა ენაზე აალაპარაკა. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებმა ერთმანეთის ვეღარ გაუგეს და სხვადასხვა ქვეყნებში მიმოიფანტნენ.

### ფარნავაზი და დიდი განძი

„ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ერთხელ ნადირობისას ყრმა ფარნავაზს [illegible] წვიმამ მოუსწრო. [illegible] (მეფის წესისამებრ) [illegible] გამოქვაბულში შევიდა. [illegible] ოქრო [illegible] ხელით მოჭედილი". [illegible] ფარნავაზმა [illegible] ოქროსა და ვერცხლ[illegible] (ქვევრები) [illegible] შენ ხარ შვილი გაბრწყინებული ქართლისა და შენ [illegible] შენ, რათა გაუმარჯვებელი იქნები და, თუ [illegible] და [illegible] გაუმარჯვებელი ხარ".

### ალექსანდრე მაკედონელი და ფარსმან-ფარნავაზი

ბერძნულ წყაროებში დაცულია საინტერესო ცნობა იმის თაობაზე, რომ დაახლ. ძვ. წ. 327 წ. ინდოეთში შეჭრის წინ შუა აზიაში მყოფ ალექსანდრე მაკედონელს კოლხეთის მეზობელი ქვეყნის მეფე ფარასმანი ეახლა და მას კოლხეთზე საერთო ლაშქრობა შესთავაზა. ეს ლაშქრობა ალექსანდრე მაკედონელის მოულოდნელობის გამო გადაიდო, ხოლო მისი ნაადრევი გარდაცვალების შემდეგ, ვერ განხორციელდა. ვფიქრობთ, რომ ფარსმანად წოდებული ეს მეფე სწორედ ქართლის პირველი მეფე ფარნავაზი იყო. მით უფრო, რომ მეფე ფარნავაზის მეორე, საკუთარი სახელიც უცნობია, ვინაიდან, როგორც ვნახეთ, ფარნავაზი ზოგადად მეფის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. საგულისხმოა ისიც, რომ ფარნავაზიანთა დინასტიაში ფარსმანი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელი იყო.

შემოიჭრნენ. რაც შეეხება „აზონს", ეს სახელი სკვითური ტომების ქართლში მომყვანი, ჩვენთვის უკვე ცნობილი ლეგენდარული „აზონა" და არგონავტების მითის გმირის „იაზონის" სახელების შერწყმის შედეგად წარმოიშვა. „ქართლის ცხოვრებაში" „აზონი" ზოგადად ბერძენი დამპყრობლის სინონიმად იქცა. ფარნავაზის აზონთან ბრძოლაში ასახა ქართლის მეფის ბრძოლა ბიერიტიანთა საგვარეულოსთან. ძვ. წ. III ს-ის შუა წლებში ამ საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელი ბაგადატ ბიერატი იყო. მისი სახელი ჩვენამდე მოღწეულმა მის მიერ მოჭრილმა რამდენიმე მონეტამ შემოგვინახა. ბაგადატ ბიერატიდან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, წარმოსდგება ბაგრატიონთა სამეფო დინასტია.

ფარნავაზი ქართლის მამასახლისთა საგვარეულოს ეკუთვნოდა, რომელთაგან ისტორიამ მხოლოდ უკანასკნელის, ფარნავაზის ბიძის - სამარას სახელი შემოგვინახა. „ფარნავაზი" ორი სპარსული სიტყვისაგან: „ფარნ" - ბრწყინვალე, მანათობელი, „ბაზა" - ხელი წარმოსდგება და ნათელი, ბრწყინვალე ხელის მქონეს ანუ „ბრწყინვალე ხელისუფალს" აღნიშნავს. ამგვარად, ეს სახელი თავდაპირველად მეფის, ხელმწიფის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი იყო და მან საკუთარი სახელის მნიშვნელობა ბევრად უფრო გვიან შეიძინა. „ფარნაბაზა" მაზდეანთა სარწმუნოების მთავარი ღვთაების აჰურამაზდას ერთ-ერთი ეპითეტიც იყო - „ხელ-ნათელი", „ხელ-ბრწყინვალე". ამიტომაცაა, რომ „ქართლის ცხოვრება", როდესაც ფარნავაზის მიერ ქალაქ ქართლში (გვიანდელი არმაზი) არმაზის კერპის აღმართვაზე საუბრობს, აღნიშნავს: „ამან ფარნავაზ თავის სახელზე შექმნა დიდი კერპი. ეს არის არმაზი, რადგან ფარნავაზს სპარსულად არმაზი ჰქვია". არმაზი იგივე არმაზდი, ურმიზდი და აჰურამაზდაა. აჰურამაზდასთან თავის გაიგივებით ფარნავაზი და მისი საგვარეულო თავის ღვთაებრივ წარმოშობას უსვამდა ხაზს. აღმოსავლეთსა და კერძოდ, სპარსულ სამყაროში მეფეების და სამეფო საგვარეულოების გაღმერთების დიდი ხნის ტრადიცია არსებობდა. ძვ. წ. IV ს-ის 20-იან წლებში წარმოქმნილი ქართლის სამეფოც ამ სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო.

„ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ფარნავაზმა 65 წელი იმეფა. მისი მეფობა დაახლოებით ძვ. წ. 328-263 წწ-ით თარიღდება.

ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის საბოლოოდ დაშლის შემდეგ ახლად შექმნილმა პონტოს სამეფომ ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი შავიზღვისპირეთი წაართვა. ამავე ხანებში მისდამი დაქვემდებარებულმა ბიერიტიანმა გამგებელმა ქართლის დიდი ნაწილი დაიპყრო. რთულ ვითარებაში ქართლის მეფემ დიდი გამჭრიახობა და პოლიტიკური ალღო გამოიჩინა. მან პონტოსა და მისი მოკავშირე ბიერიტიანების წინააღმდეგ გადაწყვიტა ძლიერი მფარველი ეშოვა. ასეთი სახელმწიფო კი საქართველოს სამხრეთელი მეზობელი სელევკიანების სამეფო იყო. ფარნავაზმა „გაგზავნა მოციქულები ასურასტანის მეფის ანტიოქოსის წინაშე, გაუგზავნა

დიდძალი ძღვენი და სთხოვა მას დახმარება ბერძენთა წინააღმდეგ. ანტიოქოსმა მიიღო მისი ძღვენი, უწოდა მას თავისი შვილი, გამოუგზავნა გვირგვინი და უბრძანა სომხეთის ერისთავებს დახმარებოდნენ ფარნავაზს".

ფარნავაზმა პონტოს მიერ შევიწროებულ ეგრისთან და მის მეფე ქუჯისთან დაამყარა კავშირი, რაც ქუჯიზე თავისი დის დაქორწინებითაც განამტკიცა. ასევე მოკავშირეებად გაიხადა ჩრდილოეთ კავკასიაში იმჟამად მომთაბარე ხვითურ-სარმატული ტომები, რომლებსაც „ქართლის ცხოვრება" „ოვსების" სახელით მოიხსენიებს. ეს კავშირიც ქორწინებით იქნა გამაგრებული: მათ გამგებელს ფარნავაზმა თავისი მეორე და მიათხოვა. ძლიერი მოკავშირეებით ზურგშემაგრებულმა ფარნავაზმა არტაანში ბიურატიანს გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა. ბრძოლა მისი ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ ქართლის მეფეს „კლარჯეთის საერისთავო" დაექვემდებარა. გაძლიერებულმა ფარნავაზმა ახლა დანარჩენი ქართული მიწების გაერთიანება გადაწყვიტა. ის ეგრისში შევიდა და არგვეთი დაიკავა. არგვეთში მან თავისი ხელისუფლების განსამტკიცებლად შორაპნისა და დიმნის (დღევანდელი სოფ. ზემო დიმი ბაღდადის ახლოს) ციხეები ააგო. ამის შემდეგ ქუჯი იძულებული გახდა ფარნავაზის უზენაესობა ეღიარებინა. ქუჯის გამგებლობაში მხოლოდ შიდა ეგრისი და სვანეთი დარჩა. რაც შეეხება კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, ანუ ტერიტორიას „ეგრის წყალს ქვემოთ", ის კვლავ პონტოს სამეფომ შეინარჩუნა. ფარნავაზმა არ მოშალა ეგრისის სახელმწიფოებრიობა, მაგრამ ქუჯი მასზე დაქვემდებარებულ გამგებლად იქცა. ასეთი ვასალი-მეფე ბევრად არ განსხვავდებოდა ქართლის სამეფოს პროვინციების – ქვეყნების გამგებელი ერისთავებისაგან. ამიტომ „ქართლის ცხოვრება" მას უბრალოდ „ეგრისის ერისთავს" უწოდებს. ასე რომ, ფარნავაზის ხელქვეით, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად, ქართული მიწების დიდი ნაწილი გაერთიანდა.

ფარნავაზის შექმნილი ქართლის სამეფო სამხედრო პრინციპზე აგებული ქვეყანა იყო. ტერიტორიას, საიდანაც ათასი მოლაშქრე გამოდიოდა, ათასისთავი განაგებდა. რამდენიმე ათასისთავი თავისი ჯარით სპასალარს ექვემდებარებოდა. სპასალარი სპარსული სიტყვებისაგან „სპა" – ლაშქარი და „სარ" – თავი შედგება და მხედართმთავარს ნიშნავს. რამდენიმე სპასალარი თავისი ლაშქრით საერისთავოს ლაშქარს ქმნიდა, რომელსაც უკვე ერისთავი ედგა სათავეში. ფარნავაზმა ახლად შექმნილი სამეფო მხედრულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად – საერისთავოებად დაყო. „ერისთავი" ძველი ქართული სიტყვაა და ერის ანუ ჯარის უფროსს ნიშნავს. ეს საერისთავოები ქართლის სამეფოს წარმოქმნამდე ბევრად ადრე ჩამოყალიბებულ ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყნებს მოიცავდნენ და მათ, როგორც წესი, ადგილობრივი წარჩინებული საგვარეულოებიდან გამოსული ერისთავები მართავდნენ. ერისთავების ხელისუფლება ფაქტობრივად მემკვიდრეობითი იყო, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მეფეს მათი გადაყენება-გამოცვლაც შეეძლო. ეგრისის საერისთავოს იგივე ვასალური სამეფოს გარდა „ქართლის ცხოვრება" კიდევ შვიდ საერისთავოს ჩამოთვლის: არგვეთის ანუ მარგვის, კახეთის, რომელიც კუხეთსაც მოიცავდა, ხუნანის იგივე გარდაბნის, სამშვილდის იგივე გაჩიანის, წუნდის ანუ ჯავახეთის, რომელშიც ჯავახეთთან ერთად კოლა და არტაანი შედიოდა; ოძრხის, რომელიც სამცხეს და აჭარას აერთიანებდა და ბიურატიანთა ერთი განშტოება ედგა სათავეში და კლარჯეთის, რომელიც შავშეთისა და საკუთრივ კლარჯეთის გარდა, ტაოსაც მოიცავდა. „ქართლის ცხოვრების" მონაცემებს კიდევ უფრო აზუსტებენ ძველი ბერძენი ავტორები, რომელთა მიხედვით ფარნავაზის ხანაში ქართლის სამეფოში მდ. არაქსამდე სომხური მიწებიც შემოდიოდა და ამგვარად ქართლის სამეფოს საზღვარი სელევკიანთა სამეფოს შემადგენლობაში მყოფ სომხეთთან მდ. არაქსზე გადიოდა. **(იხ. რუკა 6).**

ერისთავები ქართლის ჯარების საერთო მეთაურის სპასპეტის დროშის ქვეშ ერთიანდებოდნენ. გარდა უმაღლესი მხედართმთავრობისა სპასპეტს დიდი უფლებები ჰქონდა. ის მეფის შემდეგ ქვეყანაში მეორე პირი იყო და მეფის სამეფოში არყოფნის ან მცირეწლოვანების დროს სამეფოს მართავდა. ჩვეულებრივ, სპასპეტი ტახტის მემკვიდრის „მამამძუძე" ანუ აღმზრდელი იყო. სპასპეტი ქართლის სამეფოს მტკვარს, არაგვსა და ხურამის ქედს შორის მდებარე ცენტრალურ ტერიტორიას ზენა-სოფელს იგივე შიდა ქართლს განაგებდა.

ქართლის მეფე მთელი თავისი ამალით ხშირად გადაადგილდებოდა. წლის განმავლობაში ის რამდენჯერმე იცვლიდა ადგილს, ასე ინარჩუნებდა ქვეყნის ერთიანობას, კრეფდა სხვადასხვა სახის გადასახადებს, ინახავდა თავის დიდ ოჯახს, მსახურებს და ამალას: „გაზაფხულისა და შემოდგომის თვეებს დაყოფდა მცხეთაში, სამეუფო ქალაქში, ზამთრის თვეებს დაყოფდა გაჩიანში, ხოლო ზაფხულის თვეებს – წუნდას. დროდადრო მივიდოდა ეგრისს და კლარჯეთს და მოიკითხავდა მეგრელთა და კლარჯთა და განაგებდა ყოველთა საქმეთა".

ფარნავაზმა „გაავრცო" ქართული ენა სამეფოს მთელ ტერიტორიაზე და „აღარ საუბრობდნენ სხვა ენაზე ქართლში გარდა ქართულისა" – წერს ძველი მემატიანე.

ქვეყნის ერთიანობის განმტკიცებისათვის აუცილებელი იყო ერთიანი სარწმუნოება. ამ თვალსაზრისით ფარნავაზმა მნიშვნელოვანი რეფორმა ჩაატარა. მან მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ქართლის მთავ როგორც გვახსოვს, აღმართა არმაზის სალოცავის (?) გამოსახულება და დაადგა ამ კერპის აღმართვ დღესასწაული, რომელსაც ქართლის მთელი მოსახლეობა ზეიმობდა. „ქართლის ცხოვრების" ცნობი გარდაცვალების შემდეგ ფარნავაზი მის მიერ აღმართული არმაზის ბრწყინვალე კერპის წინ დაკრძალავ

## § 19. ქართული სახელმწიფოები ფარნავაზისა და ქუჯის უახლოესი მემკვიდრეების ხანაში

ფარნავაზის სიკვდილის შემდეგ ქართლში მისი ვაჟი საურმაგი (ძვ. წ. 263-230) გამეფდა. სახელ „საურმაგი", იგივე „საგ-არმაგი" ძველ სპარსულ ენაზე „მავმკლავის" ნიშნავს. მისი მეფობის დასაწყისშ ქართლის სამეფოს დაშლის საფრთხე დაემუქრა. ერისთავები განუდგნენ მეფეს. მათ მეფობის გაუქმ და თავიანთი საერისთავო ქვეყნების მკვიდრებურად შეუზღუდავი მართვა-გამგეობა მოისურვ შეთქმულებმა მეფის მოკვლაც კი გადაწყვიტეს. საურმაგმა შეიტყო ეს და დედასთან ერთად ჩრდილოე კავკასიაში დურძუკეთში - თავის ბიძებთან გაიქცა. აქედან ის თავის მამიდაშვილს „ოვსთა" მეფეს ან სკვითთა გამგებელს დაუკავშირდა. მანაც თავის ბიძაშვილს დახმარების ხელი გაუწოდა. ჩრდილოეთ მოკავშირეების დახმარებით საურმაგი ადვილად გაუმკლავდა გამდგარ ერისთავებს და მეფობა დაიბრუნ სამსახურის სანაცვლოდ საურმაგმა დურძუკთა ერთ ნაწილს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთ დასახლების უფლება მისცა და თავის საყრდენ სამხედრო ძალად აქცია. დროთა განმავლობაში ჩამოსახლებულები ადგილობრივ ქართულ ტომებში გაითქვიფნენ.

საგარეო პოლიტიკაში საურმაგი მამის, ფარნავაზის კვალს მისდევდა. ის ფორმალურად სელევკიდებ სამეფოს უზენაესობას აღიარებდა ანუ „მსახურებდა იგი მეფესა ასურასტანისასა". საურმაგის ცოლ სპარსელი იყო. ვინაიდან მას მემკვიდრე ვაჟი არ ჰყავდა, ამიტომ, როგორც ჩვენი წინაპრები ასე შემთხვევებში იქცეოდნენ ხოლმე, საურმაგმა ცოლის ნათესავი მირიანი იგივე მირვანი თავის ასულ დააქორწინა და ქართლის მეფედ განამზადა. „ქართლის ცხოვრება" მირიანს ნებროთიანად ან აქემენიანთა საგვარეულოს წარმომადგენლად მიიჩნევს. მისი ცნობით, ის ქალის ხაზით ატროპატე (ბარდაველი ერისთავი) შთამომავალი იყო. ატროპატე კი აქემენიანთა საგვარეულოს ეკუთვნოდა.

საურმაგმა მეორე ასული ეგრისის მეფის ქუჯის ვაჟზე დააქორწინა. ამ პერიოდში ეგრისი კვლავ ქართლისადმი დაქვემდებარებულ, ვასალურ სამეფოდ რჩებოდა.

საურმაგმა თავის სამეფოში არაერთი ახალი ციხე-სიმაგრე ააგო, მანვე აღმართა ორი კერპი აინი და დანანა.

[illegible]

„დარიალის კარი" [illegible]

მირიან მეფის მიერ ძვ. წ. III-II სს-ის მიჯნაზე დარიალის გასასვლელში [illegible]

საურმაგის შემდეგ ქართლში საურმაგის სიძე დ შვილობილი მირიან I (ძვ. წ. 230-180) მეფობდა. ის იყ „ტანითა სრული, მშვენიერი, ძლიერი, მხნე და ქუელი". მ მეფობაში დარიალის ხეობით ქართლში ჩრდილ კავკასიიდან დურძუკები შემოიჭრნენ. ქართლის მეფე დიდ ჯარით გაემართა მათ წინააღმდეგ. მისი ლაშქრის ერთ ნაწილ ადრე ქართლში ჩამოსახლებული დურძუკებიც შეადგენდნ რომლებიც გაჭირვების ჟამს თავიანთი ახალი სამშობლო ერთგულები დარჩნენ. გადამწყვეტი ბრძოლა მტერთა დარიალის ვიწროებში მოხდა. ქართლის მეფე ჩამოქვეითე და ასე წარუძღვა ლაშქარს: „და იყო ვითარცა ჯიქ სიფიცხითა, ვითარცა ვეფხვი სიმხნითა, ვითარცა ლომ ძახილითა. იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი. ხოლ მირვანს ვერ ჰკვეთდა მახვილი დურძუკთა, ვითარცა კლდე სიმსა (?) და იდგა უძრავად, ვითარცა კოშკი მტკიცე". ბრძოლ ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. შემდ ქართველები დურძუკეთში შეიჭრნენ და დურძუკები მათი ქვეყანაშიც დაამარცხეს. ამის შემდეგ ქართლის მეფ დარიალი ჩაკეტა - „შეაბა კარები ქვიტკირისა".

ამ ამბების თანადროულად მსოფლიოში მნიშვნელოვანი მოვლენები ვითარდებოდა, რომლებმაც სულ ცოტა ხანში მთლიანად შეცვალეს პოლიტიკური რუკა და ძალთა განლაგება წინა აზიაში.

ძვ. წ. 190 წ. მცირე აზიაში ქალაქ მაგნეზიასთან რომის ჯარებმა სასტიკად დაამარცხა სელევკიანების სახელმწიფო, რომელმაც მთელი მცირე აზია დაკარგა და ძალზე დასუსტდა.

სელევკიანების დამარცხებით, უპირველეს ყოვლისა, სომხებმა ისარგებლეს და თავიანთი სამეფო დააარსეს. ისტორიაში ეს სამეფო „დიდი სომხეთის" სახელითაა ცნობილი. დიდ სომხეთს ძირითადად ვანის ტბის ირგვლივ მდებარე ტერიტორია ეკავა. იმჟამად მას სელევკიანების სატრაპი არტაშესი განაგებდა, რომელმაც თავი მეფედ გამოაცხადა. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გაძლიერდა პონტოს სამეფოც. ის მის სამხრეთით და დასავლეთით მდებარე სელევკიანების სამფლობელოებს დაეპატრონა. გაძლიერდა პართიაც, რომელმაც სელევკიანების ხელში მყოფი ძველი სპარსული ქვეყნების უდიდესი ნაწილი შეიერთა.

არტაშეს I-ის მეფობაში (ძვ. წ. 189-161) სომხეთმა დიდ წარმატებებს მიაღწია. მან განსაკუთრებით გააფართოვა თავისი სამფლობელოები ჩრდილოეთით და დასავლეთით. ძვ. წ. 180-იან წლებში არტაშესი ქართლის სამეფოს საზღვრებს მიადგა. ქართლის მეფე მირიანი იძულებული გახდა მას დამორჩილებოდა. არტაშესმა თავის ვაჟს ცოლად მირიანის ასული შერთო და ამგვარად ქართლის მიერ მისი უზენაესობის აღიარებით დაკმაყოფილდა. ამის შემდეგ მეფე მირიანი მალე გარდაიცვალა. ტახტზე მისი ვაჟი ფარნაჯომი ავიდა.

### [illegible]

ძვ. წ. VIII ს-ში [illegible] ძვ. წ. VI ს. [illegible] 300, 600, [illegible] 900 [illegible] ძვ. წ. II ს-ის [illegible]

ქართლის მეორე მეფე ფარნაჯომმა მცხეთაში ზადენის ციხე ააგო და ზადენის კერპი აღმართა. ფიქრობენ, რომ კერპი ზედაზნის მთაზე უნდა ყოფილიყო აღმართული. ეს გეოგრაფიული სახელი ხომ სწორედ ზადენიდან წარმოსდგება. ამ მეფესვე აუგია კახეთში ქალაქი ნეკრესი. ფარნაჯომს დიდხანს არ უმეფია. სომხეთის მეფემ ფარნაჯომის წინააღმდეგ ქართლის ერისთავების ერთი ნაწილი გადაიბირა. მისი მოკავშირე ეგრისის მეფე აკე (ძვ. წ. 180-160) იყო, რომელსაც დამოუკიდებლობის დაბრუნება სურდა.

ქართლის მეფე დამარცხდა სომხებთან ბრძოლაში. თვითონ ფარნაჯომი ბრძოლაში დაიღუპა, მისი ერთი წლის ვაჟი მირიანი მსახურებმა მალულად პართიაში წაიყვანეს. ქართლში კი სომხეთის მეფის ვაჟი, ფარნაჯომის სიძე (დის ქმარი) არშაკ I („ქართლის ცხოვრების" არშაკი) გამეფდა (ძვ. წ. 170-145). არშაკის შემდეგ ქართლს მცირე ხნით მისი ვაჟი არტაგ I („ქართლის ცხოვრების" არტაგი) განაგებდა.

კოლხეთმა დამოუკიდებლობა აღიდგინა და არგვეთი და კლარჯეთი შეიერთა. მეფე აკე ისე გაძლიერდა, რომ საკუთარი ოქროს მონეტაც მოჭრა, რომელზედაც ბერძნულად მისი სახელია ამოტვიფრული. ის გვევლინება შავიზღვისპირა ორ ქვეყანას შორის დადებული ერთი საზავო ხელშეკრულების გარანტად. ხელშეკრულების ტექსტი მოწმობს, რომ კოლხეთი იმჟამად შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყანას წარმოადგენდა. მალე ეგრისი შეტევაზე გადავიდა და დასუსტებულ ქართლის სამეფოს ზემო სოფლის ნაწილი ქალაქ უფლისციხითურთ წაართვა. ამ პერიოდის ეგრისის საშინაო ვითარებაზე ცოტა რამაა ცნობილი. ვიცით, რომ ქვეყანა საერისთავოებად (ბერძნულად სკეპტუხიებად) იყოფოდა. როგორც ფიქრობენ, ასეთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა ჯერ კიდევ ძველი კოლხეთის სამეფოს დაარსების ხანიდან ჩამოყალიბდა.

ძვ. წ. 143-125 წწ-ში ქართლში ბრატმან I („ქართლის ცხოვრების" ბარტომი) მეფობდა. მისი მეფობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ მან დაიწყო მტკვრისა და არაგვის შესართავში ქალაქ მცხეთის მშენებლობა. ბრატმანმა ეგრისის სიძლიერეს ანგარიში გაუწია და ეგრისის მეფის ვაჟი ქარძამი [illegible]. ეგრისელი უფლისწული ბრატმანმა თავის მემკვიდრედ გამოაცხადა.

ძვ. წ. 125 წლისათვის ქართლში პართული ჯარით ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრე, მოკლული ქართლის მეფის ფარნაჯომის ვაჟი მირიანი შემოიჭრა. სასტიკი ბრძოლა ბრატმანსა და მირიანს შორის [illegible] (დღევანდ. ძეგამ-ჩაი აზერბაიჯანში) გაიმართა. ბრატმანს სომხეთი და ეგრისი დაეხმარა,

მიუხედავად ამისა, მირიანმა გაიმარჯვა. მასთან ბრძოლაში დაიღუპნენ მეფე ბრატმანი და მისი სიძე, ეგრისელი უფლისწული ქარძამი. ქარძამის ორსულმა მეუღლემ თავს სომხეთში გაქცევით უშველა, რაც შეეხება დედოფალს, ბრატმანის ქვრივს, სომხეთის მეფის ასულს არტაშანს, ის მირიანმა სამშვილდის ციხიდან გამოიყვანა და ცოლად შეირთო. ამით მან ხაზი გაუსვა თავის სურვილს კარგი ურთიერთობები შეენარჩუნებინა იმჟამად ძლიერ სომხეთთან. მირიან II ქართლს ძვ. წ. 125-110 წწ-ში განაგებდა.

ძვ. წ. 110 წლისათვის ქართლის ტახტზე მირიან II-ის ვაჟი არშაკ II ავიდა. იმჟამად ქართლის სამხრეთ-დასავლეთით მნიშვნელოვნად გაძლიერდა პონტოს სამეფო, რომელმაც თავისი სიძლიერის მწვერვალს პონტოს მეფის მითრიდატე VI-ის დროს (ძვ. წ. 111-63) მიაღწია. მითრიდატემ დაიმორჩილა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ბოსფორის სამეფო და იქ სამართავად თავისი ერთ-ერთი ვაჟი გაგზავნა. ამის შემდეგ მან თავისი აგრესია კოლხეთის წინააღმდეგ წარმართა. კოლხეთთან ბრძოლაში მითრიდატეს მოკავშირე ქართლის სამეფო იყო, რომლისთვისაც კოლხეთს მნიშვნელოვანი ტერიტორიები ჰქონდა წართმეული. იბერიელმა არშაკმა და მითრიდატემ საერთო ძალებით შეუტიეს კოლხეთს: არშაკმა ეგრისელთა მიერ დაპყრობილი „ზენა სოფლის" ნაწილი ქალაქი უფლისციხითურთ უკან დაიბრუნა. დანარჩენ კოლხეთს მითრიდატე პონტოელი დაეუფლა. ასე ძვ. წ. II ს-ში კოლხეთის ძლიერების ხანა, სამწუხაროდ, ამავე საუკუნის მიწურულს მის მიერ სახელმწიფოებრიობის დაკარგვით დასრულდა. მითრიდატემ კოლხეთში მეფობა გააუქმა, მაგრამ მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ხელუხლებელი დატოვა. კოლხეთის ხელში ჩაგდებით მითრიდატე დაეპატრონა მის საზღვაო ფლოტს, ის კი იმჟამად მნიშვნელოვან სამხედრო ძალას წარმოადგენდა შავ ზღვაზე.

ძვ. წ. 95 წ. სომხეთის ტახტზე ტიგრან II ავიდა. ამ ნიჭიერი მეფის ხელში სომხეთმა არნახულ აღმავლობას და სიძლიერეს მიაღწია. ტიგრან II უპირველეს ყოვლისა, თავისი აგრესია ქართლის წინააღმდეგ მიმართა. მისი დახმარებით ქართლის მეფის ბრატმანის შვილიშვილმა, სომხეთში გაზრდილმა არტოკმა ქართლის მეფე არშაკი ბრძოლაში მოკლა და სამეფო ტახტს დაეუფლა. არტოკ II (ძვ. წ. 95-60) „ქართლის ცხოვრებაში" ადერკის სახელითაა ცნობილი.

ტიგრანმა და მითრიდატემ რომის წინააღმდეგ კავშირი შეკრეს. ეს კავშირი ქორწინებითაც განამტკიცეს: ტიგრანმა მითრიდატეს ასულზე იქორწინა. ამის შემდეგ მოკავშირეებმა აღმოსავლეთ და ცენტრალურ მცირე აზიაში მთელი რიგი სახელმწიფოები დაიპყრეს და თავიანთი სამფლობელოები ძალზე გააფართოვეს. პონტოს სამეფომ სამხრეთ შავიზღვისპირეთში მდებარე ბერძნული ქალაქებიც დაიქვემდებარა. ასეთ ვითარებაში რომსა და მოკავშირეებს შორის შეტაკება გარდაუვალი გახდა. მართლაც, მალე, ერთი მხრივ, რომსა და, მეორე მხრივ, სომხეთსა და პონტოს სამეფოებს შორის, ხანგრძლივი ომი გაჩაღდა. ამ ომში ტიგრანის მემკვეობით ქართლში გამეფებული არტოკი, რა თქმა უნდა, მის მხარეზე იბრძოდა. იბერიელი მშვილდოსნები, რომლებიც იმჟამად საუკეთესოებად იყვნენ აღიარებულნი, ტიგრანის ლაშქრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძალას წარმოადგენდნენ. რომმა სამი ომი გადაიხადა პონტოსა და სომხეთის წინააღმდეგ. ეს ომები ისტორიაში „მითრიდატეს" ომების სახელს ატარებენ. ბოლოს რომაელთა ლაშქარს ცნობილი რომაელი სარდალი პომპეუსი მეთაურობდა. მოკავშირეები სასტიკად დამარცხდნენ. მითრიდატე კოლხეთის გავლით ბოსფორის სამეფოში თავის ვაჟთან გაიქცა, სადაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. სომხეთი კი ფრიად შემცირებულ საზღვრებში, რომზე დამოკიდებულ სახელმწიფოდ იქცა.

ქართლი და ეგრისი უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფოს - რომის პირისპირ სრულიად მარტონი აღმოჩნდნენ.

## § 20. პომპეუსის ლაშქრობა საქართველოში

ძვ. წ. 65 წ. პომპეუსი ომის გამოუცხადებლად ქართლის სამეფოში შემოიჭრა და ისე სწრაფად მიადგა ქართლის დედაქალაქ არმაზს, რომ ქართლის მეფე არტოკმა მტრის დასახვედრად მომზადება ვერ მოასწრო. მან ქალაქი სწრაფად დაცალა, მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და ხიდი დაწვა. პომპეუსმა არმაზის ციხე აიღო და მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლის მთელი ტერიტორია დაიმორჩილა. არტოკმა რომაელებს ელჩები გაუგზავნა და თავდაუსხმელობის შემთხვევაში ხიდის აღდგენა და სურსათით მომარაგება აღუთქვა. ქართლის მეფემ ეს პირობა შეასრულა, მაგრამ პომპეუსი ხიდზე მაინც გადავიდა და არტოკს ბრძოლა გაუმართა. ქართველები დამარცხდნენ. 9 ათასი მეომარი

დაიღუპა, 10 ათასი კი ტყვედ ჩავარდა. ბრძოლაში დაცემულ მეომართა შორის ქალებიც იყვნენ. ეს სამშობლოს თავდასაცავად ჩვენი წინაპრების საოცარ თავგანწირვაზე მეტყველებს. დამარცხებამაც ვერ გატეხა ქვეყნის დამცველთა სულისკვეთება. მოლაშქრეებმა ახლა ტყეს შეაფარეს თავი, საიდანაც ისრებით რომაელები ძალზე დააზარალეს. ამიტომ პომპეუსმა ბრძანება გასცა, ირგვლივ ტყე გაეკაფათ. არტოკი ახლა აღიდებულ არაგვზე გადავიდა და ხიდი დაწვა. ბოლოს, როდესაც არაგვში წყალმა იკლო და რომაელთა ლაშქრისათვის იოლად გადასალახი გახდა, ქართლის მეფემ პომპეუსს ოქროს ტახტი, მაგიდა და საწოლი მიართვა და ზავი ითხოვა. რომაელი სარდალი ზავზე მხოლოდ მაშინ დაეთანხმდა, როდესაც არტოკმა მას მძევლად თავისი შვილები გაუგზავნა. პომპეუსმა ქართლის მეფე რომაელთა „მეგობრად და მოკავშირედ" გამოაცხადა, რაც რომის ქვეშევრდომობას ნიშნავდა.

რომაელთა სარდალი ქართლიდან კოლხეთში გადავიდა. იმ დროისათვის ეგრისში ცენტრალური ხელისუფლება უკვე აღარ იყო, ამიტომ პომპეუსს წინააღმდეგობა მხოლოდ ცალკეულმა ერისთავებმა გაუწიეს. ერთ-ერთი ასეთი ერისთავი იყო ოლთაკე, რომელიც პომპეუსმა სხვა დამარცხებულ მეფე-მთავრებს შორის რომში ძლევამოსილი დაბრუნების ჟამს მის საპატივცემულოდ გამართულ საზეიმო მსვლელობაზე"- ტრიუმფზე ჩამოატარა. ოლთაკე არტაგის ლათინიზირებული ფორმა უნდა იყოს, რაც ამ ქართული სახელის დასავლეთ საქართველოში გავრცელებაზეც მეტყველებს.

პომპეუსმა ეგრისის სამეფო აღადგინა და მის დინასტად მეფედ არისტარქე დააყენა. საფიქრებელია, ის ძველი ეგრისული სამეფო საგვარეულოდან იყო. არისტარქესაგან მის მიერ მოჭრილი ვერცხლის მონეტა შემოგვრჩა, რომელზედაც ის მეფის გვირგვინითაა გამოხატული. მონეტაზე ბერძნული წარწერა კი გვამცნობს: „არისტარქესია, რომელიც კოლხიდას განაგებს, მართავს მას 12 წელი".

### იულიუს კეისარი

იულიუს კეისარი (ძვ. წ. 100 – 44) გამოჩენილი რომაელი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი იყო. როგორც მხედართმთავარმა, მან სახელი გაითქვა იმით, რომ დაიპყრო გალია (დღევანდელი საფრანგეთი), აგრეთვე დღევანდელი გერმანიის და ინგლისის ერთი ნაწილი. იულიუს კეისარი შეეცადა, რომში რესპუბლიკის ნაცვლად ერთპიროვნული მმართველობა შემოეღო, მაგრამ ის ძვ. წ. 44 წ. რესპუბლიკის მომხრე შეთქმულთა ხელით დაიღუპა. მიუხედავად ამისა, რომში რესპუბლიკური წყობის შენარჩუნება ვერ მოხერხდა. დაახლოებით 15 წლის შემდეგ რომში რესპუბლიკა საბოლოოდ დაეცა და იულიუს კეისრის მემკვიდრემ ოქტავიანემ თავი რომის ერთპიროვნულ მმართველად გამოაცხადა. ასე დაიწყო რომის ისტორიაში ახალი – იმპერიის ხანა.

კოლხეთში მშვიდობა დიდ ხანს არ გაგრძელდა. ძვ. წ. 40-იან წლებში ის ბოსფორის მეფემ მითრიდატე პონტოელის შვილმა ფარნაკემ გაძარცვა, როდესაც ის კოლხეთის გავლით პონტოს სამეფოს დასაბრუნებლად მიემართებოდა. ფარნაკე მამისეული სამეფოს რომაელთაგან გამოხსნას შეეცადა. ის მცირე აზიაში შეიჭრა. მაშინ ფარნაკეს წინააღმდეგ იმჟამად რომის გამგებელმა იულიუს კეისარმა გაილაშქრა. ბრძოლა ძვ. წ. 47 წ-ს მოხდა. ფარნაკე დამარცხდა და ბრძოლაში დაიღუპა. ცნობილია ამ ბრძოლასთან დაკავშირებული იულიუს კეისრის გამონათქვამი: „მოვედი, ვნახე, გავიმარჯვე". ამის შემდეგ იულიუს კეისარმა ბოსფორის სამეფო და კოლხეთი ერთი მცირეაზიული სამეფოს, პერგამონის მეფეს მითრიდატეს გადასცა. მითრიდატემ მცირე აზია გაიარა, პონტოდან კოლხეთში შეიჭრა და სასტიკად ააოხრა. მითრიდატე პერგამონელის ბატონობა კოლხეთში ხანმოკლე აღმოჩნდა. იმავე ძვ. წ. 47 წ. ის ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპა.

### პიტიახში

„პიტიახში" სომხურ-ბერძნული „პიტი-ახშ"-იდან მიღებული და ქვეყნის პროვინციის თავს, განმგებელს ნიშნავს. ეს ტერმინი ერისთავის მნიშვნელობით ანტიკური ხანის საქართველოშიც გავრცელდა.

უცხო დამპყრობლების თარეშის შედეგად ქვეყანა სასტიკად აოხრდა. ძვ. წ. I ს-ის 30-იან წლებში რომაელებმა ეგრისი მათ მიერ აღდგენილ პონტოს სამეფოს შეუერთეს. ამის შემდეგ ეგრისი დაახლოებით რვა ათეული წელი ამ სამეფოს შემადგენლობაში დარჩა.

პომპეუსის მიერ ტიგრან II-სა და მისი მოკავშირე არტოკის დამარცხებას ქართლის სამეფოსთვისაც მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. ძვ. წ. 60 წლისათვის არტოკის მიერ ბრძოლაში მოკლული მეფე არტოკის ვაჟი ბრატმან II მტკვრის ჩრდილოეთით გამეფდა და თავის სატახტო ქალაქად მცხეთა გაიხადა. არტოკის ვაჟი ქართამი კი ძველ დედაქალაქში არმაზში დარჩა. ასეთნაირად ქართლის სამეფო ორად გაიყო. მალე სომხეთმა შეძლო არმაზელი მეფეების დამორჩილება. ვინაიდან სომხები იმჟამად ქართლს არუ გუგარქს ეძახდნენ, ამიტომ ისინი მათდამი დაქვემდებარებულ არმაზელ მეფეებს არუ გუგარქის პიტიახშებს უწოდებდნენ. ასეთმა ვითარებამ დაახლოებით 7–8 ათეული წელი გასტანა (იხ. რუკა 7). ქართლის მეფეები არაერთხელ შეეცადნენ არმაზის ქართლის სომხეთიდან განთავისუფლებას. ამას ძვ. წ. 31-21 წწ-ში ქართლის მეფეებსა და სომხეთს შორის დიდი ომი მოჰყვა.

ქართლის მეფეებმა ჩრდილო კავკასიიდან დახმარებლად ალან-ოსებსაც კი მოუხმეს და წარმატებასაც მიაღწიეს. მიუხედავად ამისა, არმაზელ მეფეთა სომხეთის დამოკიდებულებისაგან ხრული განთავისუფლება და ქართლის სამეფოს ერთიანობის აღდგენა იმჯამად მაინც ვერ მოხერხდა.

ძვ. წ. 63 წ. რომმა იუდეა – ებრაელთა სამეფო თავის ქვემევრდომ ქვეყნად აქცია. ებრაელთა სამეფოში რომაელთა ბატონობის დამყარებას მოსახლეობის ერთი ნაწილის უცხო ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში გადმოსახლება მოჰყვა. ებრაელები ქართლის სამეფოში ძვ. წ. I ს-ის 50-იან წლებში ორმეფობის ხანაში მეფეების ბრატმან II-ის და ქარძამ I-ის დროს მოვიდნენ.

ძველი და ახალი ერების მიჯნაზე წინა აზიაში ერთმანეთს ორი დიდი ძალა – რომი და პართია დაუპირისპირდა. რომი იულიუს კეისრისა და მისი მემკვიდრეების ხანაში ტერიტორიულად ძალზედ გაიზარდა და კიდევ უფრო გაძლიერდა.

მისი ტერიტორია ახლა უკვე ჩრდილოეთით და დასავლეთით ინგლისს, გალიას (საფრანგეთი), ესპანეთს, სამხრეთით და აღმოსავლეთით კი ეგვიპტესა და შუამდინარეთის ნაწილს მოიცავდა **(იხ. რუკა 8).** რომის მიერ სელევკიანების, პონტოს სამეფოსა და სომხეთის დამარცხების შემდეგ პართია წინა აზიაში მისი ერთადერთი ძლიერი მეტოქე გახდა. პართიისა და რომის ინტერესები ერთმანეთს სომხეთშიც შეეჯახა, რომელიც ამ ორ დიდ დამპყრობელს შორის მოექცა. რომისა და პართიის სომხეთისათვის ბრძოლამ ეს ქვეყანა თანდათან დაასუსტა. სომხეთის დასუსტებამ ქართლის სამეფოს ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. ახ. წ. I ს-ში ქართლის სამეფოს გაძლიერებას თვით რომი უწყობდა ხელს. საქმე ისაა, რომ იმჟამად ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარე მრავალრიცხოვანი ტომები დარიალის გზით სამხრეთ კავკასიას უტევდნენ. მათი შემოსევები კი წინა აზიაში რომის პროვინციებსაც დიდ ზარალს აყენებდა. დარიალის გზის ჩაკეტვა და მისი კონტროლი მხოლოდ ძლიერ ქართლის სამეფოს შეეძლო.

## § 21. ქართლი და ეგრისი I - II საუკუნეებში

### I. ქართლის სამეფო I-II საუკუნეებში

ახ. წ. I ს-ის 20-30-იან წლებში ქართლში მირდატ I (ბერძნულ-რომაული მითრიდატე) მეფობდა. ქართლის მეფეს ორი ვაჟი – ტახტის მემკვიდრე ფარსმანი და მირდატი ჰყავდა. იმჟამად რომსა და პართიას შორის სომხეთისათვის ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა. მეფე მირდატმა ეს დაპირისპირება თავის სასარგებლოდ გამოიყენა და სომხეთის მიერ მიტაცებული მტკვრის მარჯვენა სანაპირო ქართლი, ისევე გოგარენა დაიკავა. ქართლის მეფემ რომაელთა მხარე დაიჭირა და რომის კეისრის თანხმობით დაახლ. 35 წ. თავისი ვაჟი მირდატი (მითრიდატე) სომხეთში გაამეფა. ქართველი უფლისწულის სომხეთში მეფობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მირდატმა მამის გავლენისა და მორჩილებისაგან თავის დაღწევად, პართიასთან დაახლოება გადაწყვიტა. ამ მიზნით მან პართიის სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელზე იქორწინა. ეს რომმა თავის საწინააღმდეგო მოქმედებად მიიჩნია. რომის ახალმა იმპერატორმა კალიგულამ (37-41) პართიასთან დამოყვრებული სომხეთში გამეფებული ქართველი უფლისწული რომში გაიწვია და ბორკილები დაადო.

ალანები და ოსები

ალანები [illegible] შტოს [illegible]. ადრე ისინი შუა აზიაში, არალისა და კასპიის ზღვის მიდამოებში მომთაბარეობდნენ. ძველი და ახალი ერების მიჯნაზე ალანებმა უკვე ჩრდილოეთ კავკასიაში, კასპიისა და აზოვის ზღვებს შორის გადმოინაცვლეს. ალანებს ქართული საისტორიო წყაროები მათი ერთ-ერთი ტომის სახელის მიხედვით „ოვსებს" ანუ „ოსებს" უწოდებენ. [illegible] [illegible] „ირონებს" უწოდებენ, [illegible]. [illegible] შუა საუკუნეებში ალანების [illegible] [illegible] ქართველი [illegible] ალანებს [illegible] ერთ-ერთი ქართული გვარი „ალანია".

მამის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ფარსმან II „ქველად" წოდებული (38-68) ავიდა. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ფარსმან ქველი იყო „კაცი კეთილი, უხვი, შემწეობი, ტანითა მშვენიერი, უშიში ვითარცა უხორცო და ყოვლითურთ უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა".

ქართლის ახალი მეფე, უპირველეს ყოვლისა, სომხეთის საკითხის გადაჭრას შეეცადა, სადაც ამ დროს პართიელი უფლისწული მეფობდა. ფარსმან ქველი შეიჭრა სომხეთში, დაიკავა მისი დედაქალაქი არტაშატა და რომაელთა მიერ იმხანად უკვე განთავისუფლებული თავისი ძმა მირდატი სომხეთის სამეფო ტახტზე ხელმეორედ აიყვანა. განრისხებულმა პართიის მეფემ ქართველთა დასასჯელად უფლისწული ოროდის სარდლობით დიდი ლაშქარი გამოგზავნა. ქართლის მეფემ დახმარება ალბანელებს და ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარე ალან-ოსებს თხოვა.

ფარსმანი თავისი მოკავშირეებით პართელებს რკინის ხევის ვიწროებში შეეგება. ბრძოლის წინ ქართლის მეფემ თავის ლაშქარს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „სპარსთა ბატონობა არასოდეს ვიწვნევია, თუ გავიმარჯვებთ სახელს მოვიხვეჭთ, ხოლო თუ მტერს ზურგს ვუჩვენებთ, სირცხვილს ვჭამთ". ამ სიტყვების შემდეგ ფარსმან ქველმა თავის მეომრებს მოოქროვილ საჭურველში ჩამჯდარ მტერზე მიუთითა და შესძახა: „აჰა, ლომნო მძვინვარენო, ცხვრის ფარა დახეტქილი".

ბრძოლის ბედი ფარსმან ქველის და პართიელი უფლისწულის ორთაბრძოლამ გადაწყვიტა. გაცხარებულ ომში ქართლის მეფე და პართიის ჯარის სარდალი, უფლისწული ოროდი ერთმანეთს შეხვდნენ: „და შეუძახეს ორთავემ ხმითა სასტიკითა და შეუტიეს ურთიერთს და იწყეს ბრძოლა ხმლითა და ხმა ბრძოლისა მათისა ემსგავსა ხმასა ქუხილისა და მეხის ტეხისას. აკუა ფარსმან" და ხმლით თავი გაუჩეხა. ამის დამნახავი პართიელები დაფრთხნენ და გაქცევით უშველეს თავს. ბრძოლა ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

მეორე წელს პართიის შაჰი მთელი სამეფოს ლაშქრით წამოვიდა ფარსმანის დასასჯელად. მტრის ლაშქარი იმდენად დიდი იყო, რომ ქართლის მეფემ მტერთან პირდაპირ შებმა მიზანშეუწონლად ჩათვალა და ციხეთაში გამაგრდა. აქედან ის მოულოდნელი და წარმატებული თავდასხმებით მტერს დიდ ზიანს აყენებდა. ომი გაჭიანურდა. ამასობაში რომაელებმა ხმა გაავრცელეს ვითომდა შუამდინარეთში, პართიის საზღვრებში შეჭრას აპირებდნენ. ამით შეშინებული პართიის შაჰი თავის ქვეყანაში გაბრუნდა. იმჯერად პართია იძულებული გახდა სომხეთში მირდატის მეფობას შეგუებოდა.

მალე ფარსმან ქველსა და მის ძმას სომხეთის მეფე მირდატს შორის ურთიერთობა ძალზე დაიძაბა. ქართლის მეფე თავისი უმცროსი ძმისაგან მორჩილებას მოითხოვდა, მირდატი კი ძველებურად დამოუკიდებელი მმართველობისაკენ მიისწრაფოდა. მაშინ ფარსმან ქველმა სომხეთის მეფეს თავისი ვაჟი ლადამი (ლათინურად რადამ-ისტი) დაუპირისპირა. ძმისწული ბიძას, როგორც მამისაგან ლტოლვილი, ეწვია და მოკლე ხანში მისი სრული ნდობა დაიმსახურა. ამის შემდეგ ფარსმან ქველმა ლადამს ქართლის ლაშქარი მიაშველა. მანაც ბიძა და მთელი მისი ოჯახი ამოწყვიტა და 51 წ-ს სომხეთის ტახტი დაეპატრონა.

ლადამმა სომხეთში სულ სამი წელი იმეფა. მისი მეფობა სისასტიკით გამოირჩეოდა. სომხებმა ასეთ მმართველობას ვერ გაუძლეს, აჯანყდნენ და პართიელთა დახმარებით ის ტახტიდან ჩამოაგდეს. ლადამმა თავს ქართლში გამოქცევით უშველა. შემდგომში ის წლების მანძილზე თავს ესხმოდა, არბევდა სომხეთს და ტახტის დაბრუნებას ცდილობდა. როდესაც უფლისწულს სომხეთის ტახტის დაბრუნების იმედი გადაეწურა, მან მამის სიცოცხლეშივე ქართლის სამეფო ტახტის დაპატრონება მოინდომა, რისთვისაც ფარსმანმა [illegible] შვილი სიკვდილით დასაჯა.

რომი და პართია დარწმუნდნენ, რომ სომხეთისთვის მათი გაუთავებელი ბრძოლიდან მხოლოდ ქართლის მეფე იღებდა სარგებლობას. ამიტომ 63 წ. ეს ორი დამპყრობელი ერთმანეთში შეთანხმდა: სომხეთის ტახტზე პართიელი უფლისწულები – პართიის შაჰების უმცროსი ძმები ავიდოდნენ, მაგრამ სამეფო ნიშნებს რომისაგან მიიღებდნენ. ასე დამკვიდრდა სომხეთში პართული წარმოშობის არშაკიანთა, სომხური გამოთქმით, არშაკუნიანთა დინასტია. ქართლის მეფის დასაშოშმინებლად და სომხეთზე მისი პრეტენზიების სანაცვლოდ რომის იმპერიამ, რომაელი ისტორიკოსის ტაციტუსის თანახმად, ფარსმან ქველს ქართლთან მომიჯნავე სომხური მიწები გადასცა.

ამგვარად მირდატ I-ისა და მისი ვაჟის ფარსმან II ქველის დროს ქართლის სამეფო ძალზე გაიზარდა. მან სომხების მიერ მიტაცებული ქართული მიწები მთლიანად დაიბრუნა და ქართლსა და სომხეთს შორის საზღვარი მდინარე არაქსის ზედა წელი გახდა. სამხრეთ-დასავლეთით ქართლის სამეფო

### რადამისტი და ზენობია

რომაელი ისტორიკოსის ტაციტუსის (I-II სს.) ცნობით, ქართლში გამოქცეულ რადამისტს თავის ლადამს თან ორსული მეუღლე, მისი ბიძის მითრიდატეს (მირდატის) ასული ზენობია ახლდა. როდესაც ლტოლვილები მდინარე არაქსის ნაპირს მიუდგნენ, რომელიც ამ დროს სომხეთსა და ქართლის სამეფოს შორის საზღვრად ითვლებოდა, აშკარა გახდა, რომ ზენობია მდინარეს ვერ გადაცურავდა. ასეთ ვითარებაში ზენობიამ ქმარს სთხოვა თავი გადაერჩინა, ის კი მოეკლა, რათა მტრის ხელში არ ჩავარდნილიყო. რადამისტს ცოლი მოსაკლავად არ ემეტებოდა, მაგრამ ურჩიოდან სხვა გზა არ იყო და მსუბუქად მოწყვლა ზურგზე ეცემა. ჭრილობით ნაწყვეტი ქალი მდინარეში გადააგდო. რადამისტმა არაქსი გადაცურა და სამშობლოს მიაშურა. დაჭრილი ზენობია გადარჩა. ცოტა ხნის შემდეგ ის მწყემსებმა დაინახეს, მდინარიდან ამოიყვანეს და პართიის შაჰ ტირიდატს მიჰგვარეს, რომელმაც დიდი პატივით მიიღო. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ჩანს, რომ ზენობიას ლადამისაგან ვაჟი შეეძინა, რომელიც მოგვიანებით, ფარსმან ქველის გარდაცვალების შემდეგ, მეორე ხნით ქართლის მეფე კი იყო.

კლარჯეთსა და ტაოსაც დაეუფლა და შავ ზღვაზე გავიდა. ამავე ხანებში ქართლის სამეფომ ლიხის ქედის დასავლეთით მდებარე არგვეთიც შეიერთა **(იხ. რუკა 8).**

ფარსმან ქველის გარდაცვალების შემდეგ ქართლის სამეფოში ტახტისათვის შინა ომი ატყდა. საბოლოოდ მეფობა ფარსმან ქველის უმცროსმა ვაჟმა მირდატ II (75-125) დაიმკვიდრა. ქართლის ახალმა მეფემ რომაელებთან მეგობრული ურთიერთობა განამტკიცა.

ამ დროისათვის ალანები რომის იმპერიას ძალზე დაემუქრნენ. როგორც ვიცით, ჩრდილოელ მომთაბარეთა ერთ-ერთი მთავარი გზა სამხრეთ კავკასიისაკენ დარიალის ხეობით სწორედ მცხეთასთან გადიოდა. ამიტომ რომი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო მცხეთის მიდამოების გამაგრებით. ის ქართლში ციხე-სიმაგრეთა ასაგებად და ქართლის მეფეთა მოსახიბლად საჩუქრებს და საზღვრებს არ ზოგავდა. მირდატ II-ის დროს ჩატარებული ასეთი სამუშაოების შესახებ მოგვითხრობს მცხეთის მიდამოებში აღმოჩენილი ერთი ბერძნული წარწერა, რომლის თანახმადაც რომაელებმა ქართლის მოსახლეობას და მის მეფეს მითრიდატეს „კეისრის მოყვარულს და რომაელთა მეგობარს" „კედლები განუმტკიცეს".

განსაკუთრებულ სიძლიერეს ქართლის სამეფომ მირდატ II-ის ვაჟის, ფარსმან III-ის (125-150-იანი წლები) მეფობის ხანაში მიაღწია. ქართლის მეფე კარგად სარგებლობდა იმით, რომ მას ალანებთან შეთანხმება და მათთვის დარიალის კარების გახსნა შეეძლო და რომს არ ეპუებოდა. 130-იანი წლების დასაწყისში მცირე აზიის რომის აღმოსავლეთის პროვინციების მონახულების მიზნით რომის კეისარი ადრიანე (117-138) ეწვია. კეისარმა მეფე ფარსმანს ძვირფასი საჩუქრები, მათ შორის საბრძოლო სპილო და 500 ქვეითისაგან შემდგარი რაზმი – კოჰორტა - გამოუგზავნა და წინა აზიის სხვა მეფეებთან ერთად თავისთან მიიწვია. ქართლის მეფეს საჩუქრად გამოგზავნილი ეს რაზმი, უპირველეს ყოვლისა, კავკასიის გადმოსასვლელების დასაცავად და ქალაქ მცხეთის გასამაგრებლად უნდა გამოეყენებინა. ასეთი გულუხვი საჩუქრის მიუხედავად ფარსმანი ადრიანეს არ ეახლა და თავის მხრივ კეისარს საპასუხო ოქრომკედით ნაქსოვი მოსასხამი და სხვა ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა. ამით მან ფაქტობრივად რომს აგრძნობინა, რომ თავს მის მორჩილად არ თვლიდა. ფარსმანის საქციელმა რომის კეისარი ძლიერ განარისხა. ადრიანეს ბრძანებით, ქართლის მეფის დასამცირებლად, მის მიერ გამოგზავნილი მოსასხამები არენაზე საასპარეზოდ გამოსულ გლადიატორებს (მონები, რომლებიც მაყურებლის გასართობად ნამდვილ საბრძოლო ასპარეზობებს მართავდნენ) ჩააცვეს. ამან ფარსმანსა და რომს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა. მაშინ ფარსმანმა რომს თავისი ძალა უჩვენა. მან 134 წ. ალანებს დარიალის გადმოსასვლელი გაუხსნა და მათაც ხანგრძლივად დაარბიეს როგორც რომის პროვინციები, ასევე პართია. რომის კეისარი ადრიანე ისე გარდაიცვალა, რომ ქართლის მეფე ვერ შემოირიგა. ამ მხრივ უფრო წარმატებული რომის მომდევნო კეისარი ანტონინე პიუსი (138-161) აღმოჩნდა. იგი ფარსმანს მეზობელი ქვეყნების ხარჯზე ტერიტორიების გაფართოებას შეპირდა და ქართლის მეფეც კეისარს ვაჟთან, მეუღლესთან და დიდ ამალასთან ერთად იტალიაში, რომში ეწვია. ქართლის მეფის ეს ვიზიტი რომის იმპერიისათვის იმ წლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად ჩაითვალა. კეისარმა ფარსმანს დაპირებისამებრ სამფლობელო გაუფართოვა. ქართლის მეფეს განსაკუთრებული პატივის ნიშნად უფლება მისცა კაპიტოლიუმის ბორცვზე, რომაელთა ერთ-ერთ მთავარ ტაძარში ღმერთებისათვის მსხვერპლი შეეწირა. მისივე ბრძანებით, ფარსმანის ცხენზე ამხედრებული ქანდაკება რომში ომის ღმერთის მარსის ტაძარში აღმართა. ქართლის სამეფოსადმი განსაკუთრებული პატივისცემის გამოსახატავად ანტონინე პიუსი პირადად დაესწრო იპოდრომზე ფარსმან მეფის, მისი ვაჟის და მეფის ამალის სამხედრო ასპარეზობას. ფარსმან მეფის რომში სტუმრობის შესახებ რომაელ ავტორებთან დაცული ეს ცნობა დაადასტურა რომის ძველ ნავსადგურში არქეოლოგების მიერ აღმოჩენილმა მარმარილოს ფილის წარწერამ, სადაც, რომისათვის უმნიშვნელოვანეს სხვა ამბებს შორის, მოთხრობილია იბერთა მეფის ფარსმანის ჩასვლა რომში, ვაჟითა და მეუღლით.

ქართლის ძველ მეფეთა „ქრონიკა", რომელსაც პირობითად „არმაზულს" ვუწოდებთ, იმიტომ, რომ ის არმაზში, ანუ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მცხოვრები პიროვნების პოზიციიდანაა დაწერილი, ფარსმან III-ის ამბის გადმოცემაზე მთავრდებოდა. მეორე ქრონიკა კი, რომელსაც, იმავე მიზეზის გამო, პირობითად „მცხეთურს" ვუწოდებთ, III ს-ის შუა წლების ქართლის მეფის ამაზასპის „ცხოვრების" თხრობით იწყებოდა. შედარებით გვიანი ხანის მემატიანემ, რომელმაც ეს ორი ქრონიკა ერთმანეთს გადააბა, ამაზასპი ფარსმან III-ის უშუალო მემკვიდრედ და, შესაბამისად, მის შვილად მიიჩნია და ასეც წარმოაჩინა „ქართლის ცხოვრებაში". სინამდვილეში ფარსმან III-ის მეფობა 150-იანი წლების დასასრულს ვერ გადასცილდება, ამაზასპის მეფობის დასაწყისი კი 230 წლის ახლო ხანებზე მოდის. ამგვარად, გვრჩება დაახლოებით 80 წლიანი პერიოდი, რომელიც „ქართლის ცხოვრების" შემდგენელ მემატიანეს ზემოთ დასახელებული ქრონიკების არასწორი გადაბმის შედეგად საერთოდ ამოუვარდა

წყაროებიდან. შესაბამისად, ამ პერიოდის მეფეებზე „ქართლის ცხოვრება" ინფორმაციას ვერ გვაწვდის. ეს ხარვეზი ერთგვარად შეავსო არქეოლოგიურმა მონაპოვრებმა.

ახალი მიგნებით გაირკვა, რომ ფარსმან III-ის შემდგომი და, შესაბამისად, II ს-ის II ნახევრის ქართლის მეფე იყო ქსეფარნუგი. მის შესახებ ცნობა მხოლოდ მცხეთაში, არმაზში, პიტიახშთა სამაროვანზე აღმოჩენილმა ეპიგრაფიკულმა წარწერამ შემოგვინახა. ამ წარწერას არმაზის ბილინგვა (ლათინურად „ბი" – ორს, „ლინგვა" – ენას აღნიშნავს) ეწოდება, იმიტომ რომ ის ორ, არამეულ და ბერძნულ ენებზეა შესრულებული. ეს არის ეპიტაფია (საფლავის ქვის წარწერა), რომელიც მოთავსებული იყო პიტიახშ ზევახის 21 წლის ასულის სერაფიტას საფლავზე. წარწერიდან ვგებულობთ, რომ სერაფიტას მეუღლე იყო ქართლის მეფის ქსეფარნუგის დიდ-მოხელე – ეზოსმოძღვარი, ბრძოლებში მრავალგზის გამარჯვებული იოდმანგანი. საინტერესოა, რომ იოდმანგანის მამას აგრიპას ქსეფარნუგის წინა მეფის ფარსმანის კარზე იგივე თანამდებობა ეკავა. სასახლის კარზე თანამდებობების მემკვიდრეობით გადაცემა ანტიკურ ხანაში და შუა საუკუნეებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. სერაფიტას ეპიტაფია შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „ის, ვინც იყო ახალგაზრდა და იმდენად კეთილი და მშვენიერი, რომ არავინ იყო მისი მსგავსი სილამაზით, გარდაიცვალა ოცდაერთი წლისა".

სულ ახლახან, სვეტიცხოვლის ტერიტორიაზე არქეოლოგებმა გათხარეს სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ოქროს საწერი მოწყობილობა – პენალი. პენალზე მრავლად მოიპოვება ბერძნულ ენაზე შესრულებული წარწერები (ბერძნულ ღვთაებათა თუ გამოჩენილ პირთა სახელები). აქვე აღმოჩნდა წარწერა, სადაც ვკითხულობთ: „მეფე უსტამისისა და ევგენიოსისა". წარწერა მთლად ნათელი არაა. გაურკვეველია, ეს ორი სახელი ერთ მეფეს ეკუთვნის, თუ ორ სხვადასხვა პიროვნებას. ერთი რამ კი ცხადია: აღმოჩენილია ჩვენთვის აქამდე უცნობი ქართლის მეფე, რომელიც მეფობდა ქსეფარნუგის შემდეგ II-III სს-ის მიჯნაზე, ან III ს-ის I მესამედში.

**2. ეგრისი I-II საუკუნეებში.**

63 წ. პართიასთან ზავის დადების შემდეგ, რომის იმპერიამ პონტოს სამეფო გააუქმა. ამან უპირველეს ყოვლისა, პონტოს არისტოკრატია დააზარალა, რომელიც თანამდებობების გარეშე დარჩა. ამიტომ 69 წ. პონტოში დიდმა აჯანყებამ იფეთქა. მას სათავეში გაუქმებული სამეფოს ფლოტის სარდალი – ანიკეტე ჩაუდგა. რომის კეისარმა ვესპასიანემ მცირე აზიაში დამატებითი ძალები გადმოისროლა და აჯანყებულები დაამარცხა. ანიკეტემ თავი მდ. ხობის შესართავთან ეგრისის ერთ-ერთ ერისთავს შეაფარა, რომელსაც რომაული წყაროები „სედოხეზების მეფედ" მოიხსენიებენ. რომაელებმა ამ გამგებელს ანიკეტეს გაცემის შემთხვევაში ჯილდოს შეჰპირდნენ, თუ არა და ომით დაემუქრნენ. მანაც ანიკეტე რომაელებს გადასცა. საქმე ისაა, რომ აჯანყებულთა წარმატებით და პონტოს სამეფოს აღდგენით ეგრისის ერისთავები სულაც არ იყვნენ დაინტერესებულნი. მართლაც, პონტოს სამეფოს გაუქმებით, უპირველეს ყოვლისა, ეგრისმა ისარგებლა. მან მალევე აღიდგინა თავისი სახელმწიფოებრიობა. II ს-ის დასაწყისისათვის რომაელი ავტორები უკვე მოიხსენიებენ კოლხეთის მეფეს.

ახლად აღდგენილ დასავლეთ ქართულ სახელმწიფოს ქართველები და სომხები კვლავაც „ეგრისს" და „ეგერს" ეძახდნენ. რომაელები და ბერძნები მას ძველებურად „კოლხეთს" ან ახალ სახელს – „ლაზიკეს", ხოლო მის მცხოვრებლებს „ლაზებს" უწოდებდნენ.

„ლაზიკე" ლაზების ქვეყანას ანუ ლაზეთს აღნიშნავს. ეს ქართული ტომი საისტორიო წყაროებში პირველად ძვ. წ. I ს-ის 70-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით გვხვდება. ლაზეთი კოლხეთის სამეფოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში ცალკე საერისთავოს წარმოადგენდა. ლაზების ერისთავები სათავეში ჩაუდგნენ ახლად აღდგენილ ეგრისის სამეფოს. ამიტომ ქვეყნის ძველი ბერძნულ-რომაული სახელწოდება „კოლხიდა" „ლაზიკით" და „კოლხები" „ლაზებით" შეიცვალა.

ახალი ეგრისის სამეფო რომის იმპერიის ქვეშევრდომ ქვეყანას წარმოადგენდა. რომაელები ამ სამეფოზე თავის გავლენას, პირველ რიგში, საქართველოს ზღვისპირეთის ციხე-სიმაგრეებში ჩაყენებული მეციხოვნეების მეშვეობით ახორციელებდნენ.

პირველი რომაული გარნიზონები საქართველოს ზღვისპირეთში ჯერ კიდევ ანიკეტეს აჯანყების დამარცხების შემდეგ იმპერატორ ვესპასიანეს ბრძანებით ჩადგნენ. რომაელი მეციხოვნეები იდგნენ

**მამა-შვილი ვესპასიანე და ტიტუსი**

ვესპასიანე (69-79) თავდაპირველად რომაელთა სარდალი იყო. მან სახელი პალესტინაში აჯანყებულ იუდეველებთან, იგივე ებრაელებთან ბრძოლით გაითქვა. რომის კეისრად გახდომის შემდეგ იუდეველებთან ბრძოლა მისმა ვაჟმა ტიტუსმა გააგრძელა. ტიტუსმა 70 წ. ებრაელთა აჯანყება სასტიკად ჩაახშო და მათი დედაქალაქი იერუსალიმი მთლიანად დაანგრია. ამ დროს დაანგრიეს იერუსალიმში ებრაელთა მთავარი ტაძარი. ამის შემდეგ დაიწყო ებრაელთა სამყაროში გაფანტვა სხვადასხვა ქვეყნებში.

აფსაროსში (გონიო), ფაზისში (ფოთი), ძიგანეოსში (გუდავა), სებასტოპოლისში (სოხუმი) და ბიჭვინთაში. რომაელების და მათი მემკვიდრე ბიზანტიელების ხანაში ამ ციხე-სიმაგრეებში ჩაყენებული მეციხოვნეების რიცხვი დროდადრო იცვლებოდა.

ახალი ერისას იგივე ლაზთა სამეფოს დედაქალაქი მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირას მდებარე ციხეგოჯი იყო. ბერძნულ-რომაულ წყაროებში მას არქეოპოლისი ანუ ძველი ქალაქი ეწოდება. ლაზეთს თავდაპირველად ბევრად ნაკლები ტერიტორია ეკავა ვიდრე კოლხეთს მითრიდატე VI პონტოელის მიერ მისი დაპყრობის წინ. ამ სამეფოს საზღვრები აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე ვერ აღწევდა, რადგან არგვეთი ფარსმან ქველის ხანიდან ქართლის სამეფოს საზღვრებში შედიოდა. ქართლის სამეფოს ეკუთვნოდა ამავე ხანებში შავი ზღვისპირეთი მდ. ჭოროხიდან არქაბემდე. უფრო სამხრეთით ძველი კოლხეთის სამეფოს ყოფილ ტერიტორიაზე კიდევ ერთი ქართული - ჰენიოხთა და მაკრონთა სამეფო მდებარეობდა. საკუთრივ ეგრისის სამეფოს ზღვისპირეთში მდინარეებს ჭოროხსა და კოდორს შორის მოქცეული ტერიტორია ეჭირა. უფრო ჩრდილო დასავლეთით აფშილები, აბაზგები, სანიგები ცხოვრობდნენ, რომელთაც რომაელების მიერ დამტკიცებული „მეფეები" ჰყავდათ.

აფშილები პირველად ახ. წ. I ს-ში რომაელ ავტორთან პლინიუს უფროსთან გვხვდებიან. ისინი იმჟამად დაახლოებით დღევანდელი სოხუმის რაიონში ცხოვრობდნენ. აფშილებს მეცნიერთა ერთი ნაწილი ადიღეურ-ჩერქეზული მოდგმის ტომად მიიჩნევს და დღევანდელი აფხაზების ერთ-ერთ წინაპრად თვლის. მეორე ნაწილს კი ისინი ქართული მოდგმის ტომად მიაჩნია.

აფხაზური ენისა

ძველი აფხაზების და აფშილების ენისა და კულტურის [illegible] მხოლოდ [illegible] და არავითარი [illegible] თანამედროვე აფხაზთა [illegible] კულტურასთან.
თანამედროვე აფხაზური ენისა XIX-XX სს-ში ჩამოყალიბდა. მის მეორე ნაწილს აფხაზურ-ადიღეური მოდგმის გვარები, [illegible] ნაწილს კი დასავლურ ქართული: იმერული, გურული, სვანური — [illegible] წარმომავლობის გვარები შეადგენს. XIX-XX სს-ში [illegible] კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში რუსეთის ბატონობის ხანაში, რუსეთის იმპერიული მიზნების სასარგებლოდ, მეთოდურად ხდებოდა აფხაზეთის მოსახლეობის [illegible] თვითშეგნებაზე ზეწოლა. რუსეთის მიზანი [illegible] საქართველოდან აფხაზთა გაუცხოება და მათში ქართველობისა და ქართული კულტურისადმი (რომლის განუყოფელ ნაწილს საუკუნეები აფხაზები და აფხაზური კულტურა წარმოადგენს) სიძულვილის ჩანერგვა იყო. ამავე მიზანს ემსახურებოდა ქართული ენისა და კულტურის გამოდევნა ამ ძირძველი ქართული [illegible] და მასში რუსული ენისა და კულტურის დანერგვა. აფხაზთა უმრავლესობისათვის დღესაც ერთ-ერთი ქართული დიალექტი, კერძოდ, მეგრული მშობლიური ენაა. მათ არც [illegible] ქართული წარმოშობაში [illegible], [illegible] ქართველებთან [illegible], აფხაზურ [illegible]

აბაზგები პირველად II ს-ში ბერძენი ავტორის ფლავიუს არიანეს თხზულებაში გვხვდებიან. მათ ტომობრივ კუთვნილებაზეც მეცნიერთა შორის არაა თანხმობა. ერთნი აბაზგებს ადიღეურ-ჩერქეზული მოდგმის ტომებს მიაკუთვნებენ და დღევანდელი აფხაზების წინაპრად თვლიან. სხვები კი მათაც ქართულ ტომად მიიჩნევენ, რომლის თვითსახელწოდება მოგვიანებით აქ ჩამოსახლებულ ადიღეურ-ჩერქეზული წარმომავლობის აფსუას ტომებზეც გავრცელდა. მათი თვალსაზრისით, აფხაზები (აბაზგები) განირჩეოდნენ და გაირჩევიან ქართული წარმოშობის აფხაზებად და ადიღეურ-ჩერქეზული წარმოშობის აფსუებად.

ერთი რამ სრულიად ცხადია: უძველესი საისტორიო წყაროების მონაცემებით, ჩვენი ერის დასაწყისამდე დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ქართული მოდგმის ტომები (კოლხები, კოლები, კორაქსები, ჰენიოხები, სანიგები) ჩანან. კოლხეთის სამეფოს დაცემის შემდეგ, როდესაც ქვეყნის საზღვრების დაცვა შესუსტდა, ადიღეურ-ჩერქეზული მოდგმის ტომებმა მოახერხეს საქართველოს ზღვისპირეთში შემოსახლება. ეს ტომები ადრე ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდნენ. საქართველოს ზღვისპირეთში მათი გადმოსახლება მნიშვნელოვანწილად ჩრდილოეთ კავკასიაში ალან-ოსების გამოჩენამ განაპირობა, რომლებმაც იქ მოსახლე მრავალი ტომი აიძულეს ახალი სამოსახლო ეძებნათ.

II ს-ის ლაზეთის მეფეებიდან ცნობილია მალასა და პაკორი, იგივე ბაკური, მათ მეფობაში ლაზთა სამეფო თანდათანობით გაძლიერდა და ამავე საუკუნის მეორე ნახევარში მცირე ხნით რომის იმპერიის მორჩილებიდან თავის დაღწევაც კი შეძლო.

რუკა 7

## სამხრეთ კავკასია რომის ხელქვეით ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარში – ახ.წ. I ს-ის 30-იან წლებში



# ქართული სახელმწიფოები, რომის იმპერია და პართია I ს-ის II ნახ. და II საუკუნეში



## § 22. ქართული სახელმწიფოები III საუკუნეში

224-226 წლებში სპარსეთში სამეფო დინასტია შეიცვალა. არშაკიანთა ნაცვლად ტახტზე ახალი სასანიანთა დინასტია ავიდა. ახალი დინასტია სპარსეთის ერთ-ერთი სამხრეთული პროვინციიდან ფარსიდან იყო, საიდანაც დაახლოებით ცხრა საუკუნის წინ აქემენიანთა სამეფო დინასტიაც გამოვიდა. სასანიანები ზოროასტრ ქურუმთა უმაღლეს საგვარეულოს ეკუთვნოდნენ. მათი გამეფებით სპარსეთი თვისებრივად ახალ სახელმწიფოდ გარდაიქმნა. ნახევრად დაშლილი, პართიის ნაცვლად ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფო წარმოიშვა, რომელიც ძველ ირანულ კულტურულ ტრადიციებსა და მაზდეანობას ეყრდნობოდა. მმართველი დინასტიის მიხედვით, ისტორიკოსები ამ ხანის სპარსეთს „სასანურ სპარსეთს“ უწოდებენ.

პირველი სასანიანი შაჰი არდაშირ პაპაკის ძე საკუთრივ სპარსეთის პროვინციების შემომტკიცებით იყო დაკავებული და სხვა ქვეყნებისათვის ნაკლებად იცლიდა. მდგომარეობა შეიცვალა მისი ვაჟის შაპურ I-ის (241-272) მეფობაში. პართიიდან სასანიანთა სპარსეთმა მემკვიდრეობით რომთან მეტოქეობა მიიღო. დავა ძირითადად შუამდინარეთის, სომხეთისა და მთელი სამხრეთ კავკასიისათვის მიმდინარეობდა. ეს მარტო ტერიტორიული ქიშპი როდი იყო. ბრძოლა იმდროინდელი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-საქარავნო გზების დაუფლებისათვისაც წარმოებდა. უფრო ზუსტად, იმ შემოსავლისათვის (ბაჟი, სხვადასხვა გადასახადები), რაც ამ გზებზე გაბატონებულ ქვეყანას ერგებოდა. შაპური თავიდანვე დაპყრობების გზას დაადგა. რომთან ბრძოლაში სპარსეთის ბუნებრივი მოკავშირეები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მომთაბარე ალან-ოსები, ბოსფორის სამეფო და ოსტგოთები, იგივე აღმოსავლეთის გოთები იყვნენ.

გერმანული მოდგმის გოთებმა III ს-ის I ნახევარში ბალტიისპირეთიდან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ყირიმის ნახევარკუნძულისა და აზოვის ზღვის სანაპიროზე გადმოინაცვლეს. აქ მათ ბოსფორის სამეფოსთან შეკრეს კავშირი და ბოსფორელთა ხომალდებით რომის იმპერიის შავი ზღვისპირა ქალაქების რბევა დაიწყეს. 252 წ. გოთები თავს დაესხნენ ბიჭვინთას, რომელიც უზარმაზარი კედლით იყო მოზღუდული. იმჯერად გოთებმა მისი აღება ვერ შეძლეს და მის კედლებთან სასტიკად დამარცხდნენ. შემდეგ გოთები ეგრისის მთავარ ნავსადგურს ფაზისს (ფოთს) დაესხნენ თავს. იქ მათ არტემიდას მდიდარი ტაძარი და „აიეტის სასახლე“ ეგულებოდათ. დიდი მცდელობისდა მიუხედავად გოთებმა ვერც ფაზისის აღება შეძლეს. მაშინ ისინი ისევ ბიჭვინთისაკენ გაემართნენ. ამ ჯერზე მათ აიღეს, სასტიკად დაარბიეს და გადაწვეს ქალაქი. ქალაქის გარნიზონი კი ამოხოცეს. მალე რომაელებმა გოთების ტომთა კავშირი გაანადგურეს და შავიზღვისპირეთის მოსახლეობას, მათ შორის ეგრისელებს, საფრთხე თავიდან აცილეს. IV ს-ში გოთები შავიზღვისპირა ველებიდან მომთაბარე ჰუნებმა გააძევეს. მიუხედავად ამისა, გოთების ერთი ნაწილი ყირიმში და აზოვისპირეთში დარჩა. მათი შთამომავლები ყირიმში XVI ს-ში ჯერ კიდევ გერმანულად ლაპარაკობდნენ.

**არტემიდა**

ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ნადირობის მფარველი ქალღმერთია. ბერძნული რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ის მათი პანთეონის მთავარი ღვთაების ზევსის ასული და ზღვაოს-ნების მფარველი ღვთაების აპოლონის ტყუპის ცალი იყო. ახ. წ. V ს-ის რომაელი ავტორის ზოსიმეს აღნიშნული ცნობიდან კარგად ჩანს, რომ ფაზისში არტემიდას სახელზე აგებული ყოფილა ტაძარი, რომელიც იმხანად მდიდარი და სახელგანთქმული იყო.

**აიეტის სასახლე**

აიეტი, როგორც გვახსოვს, კოლხეთის ის მეფეა, რომელიც არგონავტების მითშია მოხსენიებული. ამ მითის თანახმად მისი სასახლე არნახული სიმდიდრით გამოირჩეოდა.

230-265 წწ-ში ქართლში ამაზასპი მეფობდა: „ამაზასპი იყო კაცი ძლიერი და გოლიათი, მსგავსი ფარსმან ქველისა“. იმჟამად ქართული სამეფოები და სომხეთი რომის ქვეშევრდომი ქვეყნები იყვნენ. ამაზასპს ცოლად ჰყავდა სომხეთის მეფის ხოსრო I-ის და ღრაკონტესა და სომხეთის მეფესთან, თავის ცოლის ძმასთან მეგობრული და სამოკავშირეო ურთიერთობა ჰქონდა.

III ს-ის 40-იან წლებში ალან-ოსები სპარსელთა წაქეზებით ქართლს თავს დაესხნენ. ისინი მალულად დვალეთის გზით გადმოვიდნენ და ლიახვის პირას დადგნენ. ამჯერად მათ მოსახლეობის რბევა-აწიოკება არ დაუწყიათ, ვინაიდან საკუთრივ ქართლის დედაქალაქის მცხეთის აღება ჰქონდათ განზრახული.

ამაზასპმა დახმარებლად ეგრისისა და სომხეთის მეფეებს მოუხმო. მათ მოსვლამდე კი დედაქალაქის დაცვა გადაწყვიტა. ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. მის ლაშქარი სულ 30 ათასი ქვეითისა და 10 ათასი მხედრისაგან შედგებოდა. ოსების ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი ლაშქარი მუხრანში დადგა. ამაზასპმა ქვეითები მცხეთის მიდამოებში ციხე-სიმაგრეებში გაამაგრა, თვითონ კი დახმარების

მოლოდინში ცხენოსანი ჯარით ქალაქს იცავდა და თან ოსებს პერიოდულად თავს ესხმოდა. ამასობაში ეგრისისა და სომხეთის მეფეები თავიანთი ლაშქრით ამაზასპის ლაშქარს შეუერთდნენ. ძალამოკრებილი ამაზასპი გაპთიადისის შეტევაზე გადავიდა. ბრძოლა მოკავშირეთა გამარჯვებით და ოსთა მეფის მოკვლით დასრულდა.

ერთი წლის შემდეგ ქართლის მეფემ სომეხთა მეფესთან ერთად ოსეთში ილაშქრა. ალან-ოსები მათივე მიწაზე დაამარცხა და გამარჯვებული სამშობლოში დაბრუნდა.

III ს-ის შუა წლებში სპარსეთის შაჰმა შაპურმა რომთან რამდენიმე დიდი ბრძოლა მოიგო. 260 წ. მან ბრძოლაში თვით რომის კეისარი დაატყვევა. ამ გამარჯვების შედეგად სპარსეთის შაჰმა თავისი სამფლობელოები ძალზე გააფართოვა. ჯერ კიდევ 253 წ. შაპურმა სომხეთის მეფე ხოსრო მოკლა და სომხეთის ტახტზე თავისი უფროსი ვაჟი ორმიზდ-არდაშირი აიყვანა. სომხეთის მეფის ერთადერთი მემკვიდრე მცირეწლოვანი თრდატი კი სომეხმა დიდებულებმა რომში გახიზნეს. ასეთ ვითარებაში ქართლის მეფე ამაზასპი იძულებული გახდა თავისი და სომხეთის სასანიანი მეფისათვის მოეხმარებინა და სპარსეთის უზენაესობა ეღიარებინა. როგორც სპარსეთის შაჰის უშუალო ნათესავმა, ამაზასპმა სასანიანთა კარზე ერთ-ერთი უმაღლესი ადგილი დაიკავა. ეს კარგად ჩანს იმდროინდელი სპარსეთის მთავარი მაზდეანური ტაძრის ზოროასტრი ქააბას კედელზე 262 წლისათვის ამოკვეთილი სამენოვანი წარწერიდან, სადაც ამაზასპი საკუთრივ სპარსეთის შაჰის შაპურის შემდეგ რიგით მეხუთედ მოხსენიებული. ამისდა მიუხედავად, ქართლის მეფე რომაელთა მიმართ კეთილგანწყობილი რჩებოდა. როდესაც რომის იმპერატორი სპარსელებმა ტყვედ ჩაიგდეს, ამაზასპმა რომაელთა სარდლებს წერილი გაუგზავნა და კეისრის ტყვეობიდან დასახსნელად ლაშქრით დახმარებას შეპირდა. ამაზასპის ასეთი განწყობა სპარსელებისთვის უცნობი არ დარჩა. 265 წლისათვის ქართლის სამეფოში სომხეთის მეფე და სპარსეთის ტახტის მემკვიდრე ამაზასპის სიძე ორმიზდ-არდაშირი შემოიჭრა. სპარსეთმა ამაზასპის წინააღმდეგ სომხეთთან ერთად ალან-ოსებიც გამოიყენა. გადამწყვეტ ბრძოლაში ამაზასპი დაიღუპა და ორმიზდ-არდაშირმა ქართლის ტახტზე თავისი ვაჟი, ამაზასპის დისწული რევი აიყვანა. ამით ქართლის სამეფო ტახტზე ფარნავაზიანთა სასანური განშტოება ავიდა, რომელსაც „ქართლის ცხოვრება" „ხოსროიანებს" უწოდებს.

ქართლში დამკვიდრებულმა რევმა და მისმა მემკვიდრეებმა შაჰისაგან სამართავად ქართლის სამეფოს გარდა მთელი სამხრეთ კავკასია და სომხეთი მიიღო. რევი ქართლში 265-280 წწ-ში მეფობდა. მან თავის სამეფოში ჩვილი ბავშვების მსხვერპლად შეწირვა აკრძალა, რისთვისაც მას ხალხმა „რევ მართალი" უწოდა.

### მამა აბრაამის ბატკანი

ძველ ებრაელებში ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ცხოველთა შეწირვით შეცვლა თქმულების სახით ბიბლიაში შეგვრჩა და ებრაელების მამამთავრის აბრაამის სახელს დაუკავშირდა. ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა ერთგულების გამოსაცდელად აბრაამს მისი საყვარელი შვილის, ისააკის მსხვერპლად შეწირვა უბრძანა. მანაც ღვთის ნების თანახმად, თავისი შვილი მთის წვერზე აიყვანა და სამსხვერპლოდ გაამზადა. ამ დროს ღმერთის აბრაამს ანგელოზი მოევლინა და დანის დასარტყმელად გამზადებული ხელი შეუჩერა. იმავდროულად ერთი გზააბნეული ვერძი ბუჩქებში გაება. აბრაამმაც ისააკის ნაცვლად ღმერთს ის შესწირა და შვილი გადაარჩინა. აქედან მომდინარეობს გამოთქმა „მამა აბრაამის ბატკანი".

წარმართული კერპებისადმი მსხვერპლშეწირვა მთელ ძველ მსოფლიოში იყო გავრცელებული. წირავდნენ ადამიანებს, ცხოველებს, განსაკუთრებით ხარს, ცხვარს, აგრეთვე ფრინველს.

თანდათანობით სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა დროს სპეციალური დადგენილებებით ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა აიკრძალა და მხოლოდ ცხოველების შეწირვა გახდა ნებადართული. ცხოველთა მსხვერპლად შეწირვის რიტუალი წარმართული სარწმუნოებიდან ქრისტიანობამაც შეითვისა.

ძველ ხალხში და მათ შორის ჩვენს წინაპრებში ადამიანის მსხვერპლად შეწირვის აკრძალვა ცივილიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო.

მეფე რევიც დიდ რეფორმატორად უნდა მივიჩნიოთ. რევმა არმაზის, ზადენისა და ქართლის სამეფოს სხვა მთავარი კერპების გვერდით სიყვარულისა და სილამაზის ბერძნული ქალ-ღმერთის აფროდიტეს კერპიც აღმართა. მოგვიანებით რევი ქრისტიანულ მოძღვრებას გაეცნო და ნაწილობრივ გაიზიარა. „რევ მეფე, თუმცა იყო წარმართი, მაგრამ იყო მოწყალე და შემწე ყოველთა გაჭირვებულთა – წერს „ქართლის ცხოვრება" –, რამეთუ ცოტა რამ ხმენოდა სახარებიდან უფლისა ჩვენისა ქრისტესი და ჰქონდა სიყვარული ქრისტესი".

რევ-მართლის სიკვდილის შემდეგ ქართლის სამეფო ტახტზე მისი ვაჟი შვიდი წლის მირიანი (280-337) ავიდა. მირიანი ფარნავაზიანთა სასანური შტოს ანუ ხოსროიანთა დინასტიის წარმომადგენელი იყო. მან, როგორც „ქართლის ცხოვრება" გვამცნობს, „შეიყვარა ენა ქართული, დაივიწყა ენა სპარსული და ისწავლა ენა ქართული, ამკობდა კერპებს და ბომონებს (წარმართულ ტაძრებს)... და ქართლის ყველა

მეფეზე მეტად აღასრულებდა კერპთა მსახურებას, შეამკო საფლავი ფარნავაზისი. ყოველივე ეს მან ქართველთა სიყვარულით მოიმოქმედა და სწყალობდა ფრიად ქართველთა ნიჭითა და ყოველთა დღეებითა. შეიყვარეს იგი ქართველთა ყველა მეფეზე მეტად. მეფობდა ამგვარად მირიან მცხეთით ყოვლად ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრისს".

III ს-ის 80-იანი წლებიდან სპარსეთისა და რომის ურთიერთობაში გარდატეხა მოხდა. ახლა რომმა დაამარცხა თავისი მეტოქე და წინა აზიაში დაკარგული პოზიციები დაიბრუნა. პირველ რიგში 293 წ. რომმა სომხეთის ტახტზე რომში გაზრდილი უფლისწული თრდატი აიყვანა. ამავე ხანებში მან ეგრისის სამეფოზეც თავისი გავლენა აღადგინა. ამის საპასუხოდ სპარსეთმა ეგრისის წინააღმდეგ თავისი ჩრდილოელი მოკავშირეები წააქეზა. 291-292 წწ-ში ბოსფორის სამეფომ და ალანებმა სასტიკად აიოხრეს საქართველოს ზღვისპირეთი.

ამავე ხანისათვის ჩრდილოეთ კავკასიას ჰუნების სახით აღმოსავლეთიდან მომთაბარეთა ახალი ტალღა მოაწყდა. მირიანმა თავის მეფობაში ჰუნებთან არაერთი ბრძოლა გადაიხადა. ამ ბრძოლებს ადგილი ჰქონდათ როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში. იქ მირიანი ლაშქრობდა ჰუნების მათივე ქვეყანაში დამარცხების მიზნით. განსაკუთრებით ხშირად მოზღვავებულ ჰუნებს მირიანი დარუბანდის მისადგომებთან ებრძოდა. ომი ჰუნებთან მირიანის და ქართული ლაშქრის დიდი წარმატებით დასრულდა: მირიანმა დიდი ხნით საიმედოდ ჩაკეტა კავკასიონის გადმოსასვლელები და ქვეყანას მომთაბარეთა მხრივ სასტიკი აოხრების საფრთხე თავიდან ააცილა.

## ჰუნები

ჰუნები უგრო-ფინური მოდგმის ტომები იყვნენ, რომლებიც თავდაპირველად ჩინეთის მახლობლად და ბაიკალისპირეთში მომთაბარეობდნენ. თანდათანობით მათ დასავლეთისაკენ გადმოინაცვლეს. III ს-ის II ნახევარში ჰუნებმა გაანადგურეს ალანები. IV ს-ში ჰუნებმა შეუერთდნენ აღმოსავლეთ გერმანული მოდგმის ტომი ოსტგოთები გაანადგურეს და ჩრდილოეთ კავკასიის ველებს უპირატესად დაეუფლნენ. ქართული და სომხური საისტორიო წყაროები ჰუნებს ხშირად მოიხსენიებენ ხაზარების სახელით. ხაზარები კი, როგორც ცნობილია, უფრო მოგვიანებით დამკვიდრდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. 451 წ. ჰუნთა უმრავლესობა თავიანთი ბელადის ატილას წინამძღოლობით დასავლეთ ევროპაში შეიჭრა. ჩრდილო კავკასიაში დარჩენილი ჰუნები ნაწილობრივ ჩრდილოკავკასიურ, ნაწილობრივ კი ადგილობრივ თურქულ ტომებში გაითქვიფნენ.

ხანგრძლივი ბრძოლა ჰქონდა მირიანს რომის დახმარებით სომხეთის ტახტზე ასულ თრდატთან. მირიანი ირანის შაჰების ახლო ნათესავი იყო და ირანის ქვეშევრდომი, ამიტომ რომი დაინტერესებული იყო მისი დამარცხებით. სომხეთის მეფე შეეცადა რომის ეს განწყობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და ქართლისთვის მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარე ანუ გოგარენა წაერთმია. თრდატთან ბრძოლაში მირიანი სპარსეთს ეყრდნობოდა. მან სასანიანთა ნათესავი, სახელად ფეროზი ლაშქრით თავისთან მოიწვია, მას ცოლად თავისი ასული შერთო და საგამგებლოდ - საერისთავოდ რანი ჩააბარა.

III ს-ის მიწურულში ირანის შაჰმა ნერსემ სომხეთის დასაბრუნებლად რომის წინააღმდეგ ახალი ომი წამოიწყო. 298 წ-ს ნისიბინთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა სპარსეთსა და რომს შორის. ამ ბრძოლაში სპარსეთის შაჰის მხარეზე თავისი ლაშქრით მირიანიც მონაწილეობდა. რომის მხარეზე კი ეგრისის სამეფო იბრძოდა. სპარსელები სასტიკად დამარცხდნენ. ქ. ნისიბინში დაიდო 40 წლიანი საზავო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით, სპარსეთმა არათუ სომხეთი ვერ დაიბრუნა, არამედ იძულებული იყო ქართლის სამეფოზეც რომის უზენაესობა ეცნო. რომის გამარჯვება განსაკუთრებით სასარგებლო ეგრისისათვის აღმოჩნდა. რომმა უხვად დააჯილდოვა თავისი ერთგული მოკავშირე და ეგრისის სამეფოს, სამხრეთით მდებარე მაკრონთა და ჰენიოხთა სამეფოს, ისევე ბიჭვინთიანთა სამფლობელოს ზღვისპირა ტერიტორია გადასცა.

მირიანმა კარგი პოლიტიკური ალღო გამოიჩინა. ის განუდგა სპარსეთს, რომს მორჩილება და სამსახური აღუთქვა და ერთგულების დასამტკიცებლად რომის კეისარს თავისი უმცროსი ვაჟი ბაკური მძევლად აახლა. გახარებული კეისარი მირიანს სომხეთის მეფე თრდატთან ურთიერთობის მოგვარებაში დაეხმარა. მისი შუამდგომლობით თრდატმა შეწყვიტა ბრძოლა ქართლის წინააღმდეგ. მირიანი და თრდატი დაუმეგობრდნენ ერთმანეთს: მირიანის უფროსმა ვაჟმა რევმა თრდატის ასული სალომე მოიყვანა ცოლად. ქართლსა და სომხეთს შორის საზღვარი კი კვლავაც ბამბაკ-ერუშეთის წყალგამყოფ ქედზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, რომში მძევლობის დროს უფლისწულმა ბაკურმა ქრისტიანობა მიიღო და კეისრის სამხედრო სამსახურშიც დიდ წარმატებას მიაღწია.

სამხედრო და პოლიტიკური წარმატებების მიუხედავად, მირიანი საქართველოს ისტორიაში ალბათ მაინც ერთ-ერთი რიგით მეფედ შევიდოდა, მის დროს ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად რომ არ გამოცხადებულიყო.

## § 23. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში

რელიგია ადამიანთა რწმენა-წარმოდგენების ერთობლიობაა. თავდაპირველად ასეთი რწმენა-წარმოდგენები შედარებით მარტივ სახეს ატარებდა. ადამიანთა საზოგადოების განვითარებასთან ერთად ეს რწმენა-წარმოდგენები გართულდა, წერილობით, საღვთო წიგნების სახით გაფორმდა და რთულ რელიგიურ-ფილოსოფიურ სისტემებად ჩამოყალიბდა. იმ რელიგიებს, რომლებსაც მილიონობით ადამიანი მისდევს, მსოფლიო რელიგიები ეწოდება. ისინი მრავალი საუკუნის წინათ წარმოიშვნენ. ქრისტიანობის გარდა, მსოფლიოში გავრცელებულ რელიგიებს შორის უნდა დასახელდეს ინდუიზმი (ინდოეთში), ბუდიზმი (ჩინეთში, იაპონიაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში), კონფუციანიზმი (ჩინეთში), იუდაიზმი (ებრაელებში), ისლამი (აზიისა და აფრიკის მრავალ ქვეყანაში).

რელიგიას ისტორიკოსები და თეოლოგები სწავლობენ. თეოლოგია ძველი ბერძნული სიტყვების „თეოს" (ღმერთი) და „ლოგოს" (სიტყვა) შეერთების გზითაა მიღებული და ღვთისმეტყველებას ნიშნავს. ძველი და თანამედროვე რელიგიების წარმოშობა-განვითარებას და მის ცალკეულ მიმდინარეობებს რელიგიის ისტორია შეისწავლის.

ქრისტიანობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგიაა. ამ რელიგიას დღეისათვის დაახლოებით ორი მილიარდი ადამიანი მისდევს. ქრისტიანობა ძველი და ახალი ერების მიჯნაზე, პალესტინაში ებრაელთა მიწაზე ჩაისახა. ებრაელებმა პირველებმა შექმნეს ერთღმერთიანი ანუ მონოთეისტური რელიგია (მონო ბერძნულად ერთს, თეოს – ღმერთს ნიშნავს). ის მოსე წინასწარმეტყველმა იქადაგა, რომელმაც ებრაელები ეგვიპტელთა ტყვეობიდან გამოიყვანა და სამშობლოში დააბრუნა. მოსემ თავისი მოძღვრება, რომელიც ღმერთის მიერ იყო ნაკარნახები, ხუთ წიგნად ჩამოაყალიბა. მას ხუთწიგნეული ანუ ებრაულად „თორა" ეწოდება. თორამ სხვა მოგვიანებით შექმნილ ებრაულ რელიგიურ წიგნებთან ერთად ბიბლიის პირველი ნაწილი ანუ ძველი აღთქმა შეადგინა. „ბიბლია" ძველი ბერძნული სიტყვაა და „წიგნებს" ნიშნავს. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ამავე ბერძნული სიტყვიდან წარმოსდგება „ბიბლიოთეკა".

როგორც გვახსოვს, ძვ. წ. 63 წ. ებრაელთა სახელმწიფო რომაელებმა დაიქვემდებარეს. ებრაელები დამოუკიდებლობის დაკარგვას ძალზე განიცდიდნენ და მესიას – მხსნელს ელოდნენ, რომელიც მათი რწმენის მიხედვით, ღმერთს იახვეს (იაღოვას) უნდა გამოეგზავნა. მართლაც უფალმა ებრაელებს და საერთოდ კაცობრიობას მხსნელად თავისი ძე იესო ქრისტე მოუვლინა. ის ქალაქ ბეთლემში ებრაულ ოჯახში გაჩნდა. მისი დედა მარიამი, შემდგომში მარიამ ღვთისმშობლად წოდებული, ებრაელთა პირველი მეფისა და წინასწარმეტყველის, დავითის შთამომავალი იყო. ბიბლიის თანახმად, მარიამმა იესო ღმერთისაგან უბიწოდ ჩაისახა. მარიამის ქმარი და იესოს აღმზრდელი მამა იოსები იყო. ქრისტემ ნათლობა მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემლისაგან მიიღო. ძე ღმერთისა მოწოდებული იყო ღვთის სიტყვა და ღვთის ნება ეცნობებინა ადამიანებისათვის. ებრაელებმა არ გაიზიარეს მისი მოძღვრება და არც მისი ღვთიური წარმოშობა ირწმუნეს. ებრაელმა სამღვდელოებამ ქრისტეს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. ეს გადაწყვეტილება ებრაელთა ქვეყნის რომაელმა გამგებელმა პილატე პონტოელმა დაადასტურა, რის შემდეგაც ქრისტე ჯვარს აცვეს. სიკვდილით დასჯიდან მესამე დღეს ქრისტე აღდგა და ზეცაში მამა-ღმერთთან ამაღლდა.

ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ქრისტეს ჯვარცმას ელიოზი და სხვა მცხეთელი ებრაელები ესწრებოდნენ. ელიოზმა ჯვარცმის შემდეგ რომაელი ჯარისკაცისაგან ქრისტეს სამოსელი – კვართი – შეისყიდა და სამშობლოში წამოიღო. საეკლესიო ტრადიციის თანახმად, ქრისტეს კვართი დღეს სვეტიცხოვლის ტაძარშია დაკრძალული. საქართველოში ხობის მონასტერში ინახებოდა ღვთისმშობლის კვართიც, რომელიც დღეს ზუგდიდის მუზეუმშია დაცული.

ქრისტიანობა ჰუმანურ იდეალებს და მაღალ ზნეობას ქადაგებს. ის ადამიანთა შორის ურთიერთ სიყვარულსა და შეწყნარებას ამკვიდრებს. ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მის მოძღვრებას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. ქრისტეს ცხოვრება ოთხ თავადაა გადმოცემული, რომლებიც მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს მიერაა დაწერილი. თავდაპირველად ქრისტეს მოწაფეები – მოციქულები ქრისტეს ცხოვრება-მოღვაწეობას და მის მოძღვრებას ხალხს აცნობდნენ ანუ „ახარებდნენ". ამიტომ ოთხთავის თითოეულ თავს, ისევე როგორც მთლიანად ოთხთავს, „სახარება" ეწოდება, ხოლო მის ავტორებს – მახარობლები. სახარება, „საქმე მოციქულთა" და მოციქულების ეპისტოლეები (წერილები) შეადგენენ ბიბლიის მეორე ნაწილს – ახალ აღთქმას, რომელიც ძველ აღთქმასთან ერთად ქრისტიანების წმიდა წიგნია.

ტრადიციის მიხედვით, მოციქულებმა ქრისტეს ზეცაში ამაღლების დღეს კენჭი ყარეს, თუ ვის, რომელ

ქვეყანაში უნდა ექადაგა ახალი რჯული. საქართველო მარიამ ღვთისმშობელს ერგო წილად, ამიტომაც ვუწოდებთ ქართველები ჩვენს ქვეყანას „ღვთისმშობლის წილხვედრს". ამავე გადმოცემის მიხედვით, ღვთისმშობელი საქართველოში არ ყოფილა. იესო ქრისტეს ნების თანახმად, მარიამის ნაცვლად ჩვენს სამშობლოში ანდრია პირველწოდებული გამოემგზავრა, რომელმაც თან ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი წამოიღო. ქართული საეკლესიო ტრადიციით, ეს ხატი აწყურის ღვთისმშობლის ხატია, რომელიც დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება. ითვლება, რომ ლუკა მახარობლის დახატულია წილკნის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ასევე ხელოვნების მუზეუმშია დაცული. მისი ასლი კი წილკნის ეკლესიაში ასვენია.

ანდრიას თან ახლდნენ სხვა მოციქულებიც - სვიმონ კანანელი და მატათა. საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობას დაახლოებით I ს-ის 50-70-იანი წლებით ათარიღებენ.

მოციქულებმა წარმატებით იქადაგეს ქრისტეს რჯული და სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ნაწილი ახალ სარწმუნოებაზე მოაქციეს. ამის შემდეგ ანდრია პირველწოდებულმა დატოვა საქართველო, ხოლო ორი სხვა მოციქული საქართველოში გარდაიცვალა. მატათა დაკრძალეს აფსაროსში (გონიოში), ხოლო სვიმონ კანანელი – ნიკოფსიაში (ნოვაია მიხაილოვკაში, ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით. ამჟამად რუსეთშია). XIV-XV სს-ში ნიკოფსიიდან სვიმონ კანანელის ნეშტი ანაკოფიაში, დღევანდელ ახალ ათონში გადმოასვენეს.

მოციქულების ქადაგებას საქართველოში იმჟამად ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება არ მოჰყოლია, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მოციქულთა მოღვაწეობის ფაქტმა დიდად შეუწყო ხელი მართლმადიდებლურ სამყაროში ქართული ეკლესიის მიერ საპატიო ადგილის დამკვიდრებას.

ებრაელთა ქვეყანა რომის იმპერიაში შედიოდა. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ახალი რჯული პირველ რიგში საკუთრივ ქალაქ რომში და რომის იმპერიაში შემავალ ქვეყნებში გავრცელდა. ქრისტიანთა პირველი თემები არქეოლოგების მიხედვით, საქართველოში II-III სს-შია დამოწმებული. ქრისტიანობას III ს-ის II ნახევარში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართლის მეფე რევ-მართალიც იცნობდა და თანაუგრძნობდა.

ქრისტიანობის გავრცელებას რომის იმპერიაში დიდი სიძნელეები შეხვდა. მას წარმართი ქურუმობა და საიმპერატორო ხელისუფლება დაუპირისპირდა. ქურუმებს ახალი რელიგიის დამკვიდრებით, თავიანთი გავლენისა და ქონების დაკარგვის ეშინოდათ, კეისრის კარი კი ახალი რელიგიის მიმდევრებში სახელმწიფოს შიგნით სიმშვიდის დამრღვევებს ხედავდა. ამიტომ I-IV სს-ში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე, რომის კეისრები დროდადრო აწყობდნენ ქრისტიანთა დევნას. ასეთი დევნის დროს მრავალმა ქრისტიანმა მათ შორის მოციქულებმაც მოწამეობრივად დაასრულეს თავიანთი სიცოცხლე. რომის იმპერიაში ქრისტიანთა ბოლო დევნა დიოკლეტიანე კეისრის (284-305) ხანში დაიწყო. ამ დროს ეწამა რომაელთა ჯარის სარდალი წარმოშობით კაპადოკიელი (აღმოსავლეთ მცირე აზია) გიორგი, რომელიც თავისი მოწამეობრივი სიკვდილის შემდეგ წმინდანად შერაცხა. წმინდა გიორგი საქართველოში განსაკუთრებით დიდი თაყვანისცემით სარგებლობს. მის სახელზე ჩვენს სამშობლოში ყველაზე მეტი ეკლესიაა აგებული.

დიოკლეტიანეს ხანაში დაწყებული ქრისტიანების დევნის დროს რომის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციებიდან სომხეთს თავი შეაფარა ქრისტიან ქალთა ერთმა ჯგუფმა, რომელსაც მათთან მყოფი ქალწულის რიფსიმეს სახელის მიხედვით, „რიფსიმიანებს" უწოდებენ. ამ ქალებში იყო საქართველოს მომავალი განმანათლებელი წმინდა ნინო.

წმინდა ნინო წარმოშობით კაპადოკიელია. მისი მამა, ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, რომაელთა ცნობილი სარდალი ზაბილონი, ხოლო დედა იერუსალიმის პატრიარქის და სუსანა იყო. როდესაც ნინო 12 წლის გახდა, მშობლებმა უარი თქვეს საერო ცხოვრებაზე და თავი საეკლესიო მოღვაწეობისათვის გადადეს. ნინომაც გადაწყვიტა, თავისი სიცოცხლე ქრისტეს რჯულის გავრცელებისათვის მიეძღვნა. ასე აღმოჩნდა ის რიფსიმესა და მის მხლებლებთან ერთად ჯერ რომის ერთ-ერთ მონასტერში, შემდეგ კი სომხეთში. სომხეთში რიფსიმე და მისი თანმხლები ქალწულები სომხეთის მეფე თრდატმა ქრისტიანობის ერთგულებისათვის სიკვდილით დასაჯა. წმინდა ნინო კი ღვთის ნებით გადარჩა და ღვთისავე მითითებით ქართლის სამეფოსაკენ გაემგზავრა.

წმინდა ნინო საქართველოში 303-311 წწ-ში მოვიდა და ქართლის სამეფოს დედაქალაქში მცხეთაში დამკვიდრდა. იგი ავადმყოფებს კურნავდა და თანაც ქრისტიანობას ქადაგებდა. მისი პირველი მოწაფეები და მიმდევრები ქართლის სამეფოში მცხოვრები ებრაელები იყვნენ. მათ შორის აღსანიშნავია ებრაელთა მღვდელი აბიათარი, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა და ქრისტიანობის ქადაგებაში ისეთ წარმატებას

## [illegible] სავლე და წმინდა პავლე

წმინდა პავლე ქრისტეს უშუალო მოწაფე არ იყო და სიცოცხლეში ქრისტე არ უნახავს. თავდაპირველად პავლე სავლედ იწოდებოდა. ის მორწმუნე ებრაელი იყო და ქრისტიანებს ძალზე დევნიდა. ერთხელაც გზაში მიმავალი სავლე ანაზდეულად ნათელმა მოიცვა. ის მიწაზე დაეცა და დაბრმავდა. ამ დროს [illegible] ამის შემდეგ სავლემ იწამა ქრისტე [illegible] პავლე [illegible] და ქრისტეს [illegible] ქრისტეს [illegible] შორის უმთავრესად პეტრეს შემდეგ და პეტრესთან ერთად.

## სვეტიცხოვლის პირველი ტაძრის მშენებლობა

სვეტიცხოვლის ხის ეკლესიის მშენებლობის დაკავშირებით, „ქართლის ცხოვრებაში" ლამაზი ლეგენდა შემოგვრჩა. ეკლესიის ასაშენებლად სამეფო ბაღში მდგარი ნაძვი მოჭრეს და მისგან შვიდი სვეტი შეამზადეს. [illegible] ... [illegible] ... წმინდა ნინო [illegible] ... [illegible] მყარად დაეფუძნა".

მიაღწია, რომ „ახალ პავლედაც" იწოდა. წმინდა ნინო ქართლის მეფის მირიანის მეუღლეს ნანა დედოფალს დაუახლოვდა, რომელიც მძიმე სენისაგან განკურნა. დედოფალმა ნინოს გავლენით, ქრისტე იწამა, თუმცა მირიანი ჯერ კიდევ ყოყმანობდა.

ნისიბინის ზავის შემდეგ ქართლის სამეფო რომის ქვეშევრდომი ქვეყანა გახდა. რომში კი საიმპერატორო ხელისუფლებას ქრისტიანობის მიმართ დამოკიდებულება ჯერ კიდევ ბოლომდე გარკვეული არ ჰქონდა. ქრისტიანების დევნა კეისარ დიოკლეტიანეს ტახტიდან გადადგომის შემდეგაც გრძელდებოდა. ის მხოლოდ 313 წელს ქალაქ მილანში გამოცემული საიმპერატორო ბრძანებულების ანუ ედიქტის თანახმად შეწყდა. მილანის ედიქტით, ქრისტიანობა რომის იმპერიაში წარმართობასთან ერთად ოფიციალურად ნებადართული რელიგია გახდა. 324 წელს კი კეისარ კონსტანტინე დიდის (306–337) ბრძანებულებით, ქრისტიანობა რომის იმპერიაში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. 325 წ. ქალაქ ნიკეაში ქრისტიანთა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება გაიმართა, სადაც ქრისტიანული რელიგიის კანონები ძირითადად ჩამოყალიბდა. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ნიკეის საეკლესიო კრებას ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილეც ესწრებოდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ეგრისში ქრისტიანული თემების სიმრავლეზე მეტყველებს. დაახლოებით ამავე ხანებში ეგრისში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია გახდა.

მირიან მეფის გაქრისტიანება, საისტორიო ტრადიციის მიხედვით, ერთმა შემთხვევამ დააჩქარა. მცხეთის ახლოს თხოთის მთაზე სანადიროდ წასულ მეფეს მზის დაბნელებამ მოუსწრო. ირგვლივ უკუნი სიბნელე ჩამოწვა და მხოლოდ მაშინ ინათა, როდესაც მირიანმა ნინოს ღმერთს სთხოვა დახმარება. ამის შემდეგ მირიანმა ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება გადაწყვიტა.

შესაძლებელია ზემოთმოთხრობილ ამბავს მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ მირიანის გადაწყვეტილება უმთავრესად მაინც მისმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ განაპირობა. ქართლის მეფემ ფაქტობრივად არჩევანი გააკეთა დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროს, ქრისტიანულ რომსა და მაზდეანურ სპარსეთს შორის და ერთხელ და სამუდამოდ ქართველი ხალხი დასავლურ კულტურასა და ცივილიზაციას დაუკავშირა.

თავისი გადაწყვეტილება ქართლის მეფემ უპირველეს ყოვლისა რომის კეისარს კონსტანტინეს აცნობა და მოსახლეობის მოსანათლავად მღვდლები გამოითხოვა. თვითონ კი სამეფო ბაღში – სამოთხეში ხის ეკლესიის მშენებლობას შეუდგა. ამ ტაძარს შემდგომში „სვეტიცხოველი" ეწოდა. იმპერატორმა კონსტანტინემ ქართლის სამეფოში რამდენიმე მღვდელი და დიაკონი გამოაგზავნა. მათ იოანე ეპისკოპოსი მოუძღოდა. მირიანის გაქრისტიანებით გახარებულმა რომის კეისარმა მის კარზე დიდი ხნით მძევლად მყოფი და აღზრდილი უფლისწული ბაკური მამას უკან მოუბრუნა.

მირიან მეფემ ნათელი თვით წმინდა ნინოსაგან მიიღო. დედოფალი და უფლისწულები მღვდლებმა და დიაკვნებმა მონათლეს. ამის შემდეგ აკურთხეს მდინარე მტკვარი. იოანე ეპისკოპოსმა მტკვრის ნაპირას საგანგებო ადგილას ქართლის წარჩინებულები მონათლა, უფრო ქვემოთ მტკვარში მღვდლებმა და დიაკვნებმა უბრალო ხალხი მონათლეს. ქართველებთან ერთად ქრისტიანობა მცხეთაში მცხოვრებ ებრაელთა დიდმა ნაწილმაც მიიღო. გაქრისტიანებული ებრაელები თანდათან ქართველებს შეერწყნენ.

ამის შემდეგ მირიანმა გადაწყვიტა თავისი სამეფოს მთის მოსახლეობაც მოენათლა. ამ მიზნით მეფემ აქ წმინდა ნინო და იოანე ეპისკოპოსი გააგზავნა. მათ ლაშქრით ერისთავი გააყოლა, რათა დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მთიელები ძალით მოექციათ. წმინდა ნინო წობენს დადგა, სადაც წილკნელებს, გუდამაყრელებს, ჭართალელებს, ფხოველებს (ფშავ-ხევსურებს) მოუწოდა. მთიელებმა თავდაპირველად რჯულის გამოცვლაზე უარი თქვეს. მაშინ მეფის ერისთავმა მათი კერპები დაამსხვრია. ამის შემდეგ წმინდა ნინო ფშავის არაგვს აჰყვა და თიანეთით კახეთ-კუხეთის სასაზღვრო ქალაქ ჩელეთში (ძველი ჩელეთი) ჩავიდა. ჩელეთში მან ერწო-თიანეთელებს მოუწოდა, რომლებიც სწრაფად მოინათლნენ. ფხოველებმა ქრისტეს რჯული არ მიიღეს და მეფის რისხვის შიშით თუშეთში გადაიხვეწნენ. საერთოდ ამჯერად მთიელთა უმრავლესობა ძველ სარწმუნოებაზე დარჩა და მირიან მეფემ მათ სამეფო გადასახადი - ხარკი დაუმძიმა.

ჩელეთიდან წმინდა ნინო კუხეთის, დაბა ბოდბეში მივიდა, სადაც დასნეულდა და გარდაიცვალა.

ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად 326 წ. გამოცხადდა, მიუხედავად ამისა, ქართლის სამეფოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ წარმართად და მაზდეანად რჩებოდა.

დაახლოებით იმავე ხანებში ქრისტიანობა ეგრისის სამეფოშიც სახელმწიფო რელიგიად იქცა. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ დასნეულებულმა წმინდა ნინომ თავისი ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ბოდბეში ქართლის ორ დიდებულ მანდილოსანს, მეფე მირიანის ვაჟის რევის მეუღლეს სალომე უჯარმელს და პეროჟავრი სივნელს მოუთხრო. მათი ჩანაწერი წმინდა ნინოს სხვა უახლოეს თანამოაზრეთა (მღვდელი აბიათარი, მისი ასული სიდონია) ჩანაწერებთან ერთად, საფუძვლად დაედო მოთხრობას წმინდა ნინოს შესახებ.

## § 24. ყოფა და კულტურა ანტიკური ხანის საქართველოში

სიტყვა კულტურა ლათინურად თავდაპირველად ადამიანის მიერ „დამუშავებულ მიწას" ნიშნავდა. ძვ. წ. I ს-ში გამოჩენილმა რომაელმა სწავლულმა და ორატორმა მარკუს ციცერონმა „კულტურა" ადამიანის სულიერების მნიშვნელობით გამოიყენა. „კულტურის" ასეთი განმარტება თანდათანობით დამკვიდრდა.

ყოველდღიურ ცხოვრებაში კულტურა განათლებულობის და ზრდილობის მნიშვნელობით იხმარება და ადამიანის მიერ ქცევის ნორმების ფლობასაც გულისხმობს. როდესაც ეროვნულ კულტურაზე ვსაუბრობთ აქ, რა თქმა უნდა, მარტო განათლებულობა და ქცევის საზოგადოებრივი ნორმების ფლობა არ იგულისხმება. ასეთი გაგებით, კულტურა, უპირველეს ყოვლისა, ამა თუ იმ ხალხის მიერ ისტორიის ხანგრძლივ პერიოდში სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში შექმნილ ფასეულობათა ერთობლიობაა. კულტურის ისტორია მეცნიერების შედარებით ახალი დარგია. ის საკაცობრიო თუ ეროვნული კულტურების წარმოქმნა-განვითარებას შეისწავლის. საზოგადოების კულტურას დიდად განაპირობებს მისი რელიგიური შეხედულებები, აგრეთვე საუკუნეებით განმტკიცებული ადათ-წესები და ტრადიციები, ამიტომ ამა თუ იმ საზოგადოების კულტურული ცხოვრების აღსადგენად კულტურის მკვლევართა გვერდით საჭიროა არქეოლოგების, ეთნოგრაფების, რელიგიის ისტორიკოსთა ... ერთობლივი მუშაობა.

ნებისმიერი საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში მოპოვებული მიღწევები მხოლოდ მეცნიერებასა და ხელოვნებაში როდი აისახება. ის, უპირველეს ყოვლისა, საცხოვრებელი თუ საზოგადო ნაგებობების, ქალაქების თუ დაბების დაგეგმარებასა და მათ გარეგნულ იერსახეში, ადამიანთა ჩაცმულობაში, კვების, დღესასწაულების, ქორწინების, გლოვის, დამარხვის, ბრძოლის, ნადირობის .... ტრადიციებში, ანუ ყოფით კულტურაში გამოიხატება. ისტორიკოსი ძველი საზოგადოებების როგორც სულიერ, ისე ყოფით კულტურის ერთობლიობაში შეისწავლის.

ანტიკური ხანის ქალაქები ქართლსა და ეგრისში

„ქართლის ცხოვრებაში" მდინარე მტკვრის იუზში დასახელებულია ანტიკური ქალაქები: არმაზი, სარკინე, მცხეთა, ურბნისი, კასპი, უფლისციხე, ნასტაკისი, ხერთვისი, ოძრხე (მდ. აბასთუმნის წყალზე), არტაანი, წუნდა, ბოსტან-ქალაქი, იგივე რუსთავი, მტკვრის ციხე-ქალაქი, იგივე მუხნარი, ორბის ციხე-ქალაქი, იგივე სამშვილდე მდინარე ხრამზე, ჩელეთი, კასპიში მდ. იორზე, თუხარისი, შორისხის ..., დასავლეთ საქართველოში ქალაქ ეგრისის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში" მოხსენიებულია ციხე-გოჯი. ამ ქალაქს ბიზანტიელები „არქეოპოლისს" ანუ „ძველ ქალაქს" უწოდებენ.

ძველი ბერძენი და რომაელი ავტორები ანტიკური ხანის საქართველოს სხვა ქალაქებსაც მოიხსენიებენ. მათგან დასავლეთ საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, აია, რომელიც იყო ლეგენდარული მეფის აიეტის (დღევანდელი ქუთაისი), ფაზისი (ფოთი), გიენოსი (ოჩამჩირე), დიოსკურია-სებასტოპოლისი (სოხუმი), დიდი პიტიუნტი (ბიჭვინთა), ზიგანეუსი-მოგარეუსი (გუდავა), რომლის ბოლო სახელი ქართული სიტყვიდან „ძგა" - კიდე, ძგიდე წარმოსდგება (ბერძნული გამოთქმით „მოგა"); სურიონი, იგივე ვანი, სარაკე (შორაპნის ციხე), კუტაია, იგივე ქუთაისი... ქართლის სამეფოში ძველ ბერძენ-რომაელ ავტორებთან დასახელებული არმოზიკე, იგივე არმაზი, სეუსამორა-წიწამური, ზუგი (ზუგანი), ზალისა, იგივე ძალისა, იგანა, იგივე ძალისა მდ. ფცის ხეობაში; ტბილისი, იგივე თელავი.

ცნობილი ავტორები ანტიკური ხანის ქართლის და ეგრისის ქალაქების შესახებ

„ამერია გარგადია დასახელებული ქალაქებიდან და დამტკიცდა, რომ აქ არის კოლხეთის გახუროვნა და არქიტექტურულად დაგეგმილი სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი" - სტრაბონი (ძვ. წ. 40-ახ. წ. 20). „ეს ქალაქი - წერს ანტიკური ხანის ქალაქ არქეოპოლისზე (გრიკი) VI საუკ. ბიზანტიელი ავტორი აგათია სქოლასტიკოსი - ძველად მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. მის გარშემო ულამაზესი გალავანი და შემკული იყო თავისი ტაძრებით და მრავალი სხვაც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდეს მიაწვდენს. ამჟამად ამ ნაგებობათაგან ხსენებული ... გარდა არაფერი დარჩენილა".

### 1. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ანტიკური ხანის ქართლსა და ეგრისში

ანტიკური ხანის ცივილიზაცია საქართველოში, ისევე როგორც იმდროინდელი მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა, ქალაქური ცივილიზაცია იყო. თავდაპირველად ქალაქები ბატონობდნენ მათ ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე - დაბებზე. ასეთ ქალაქებს საკუთარი პოლიტიკური მმართველობა ჰქონდათ, ამიტომ მათ მეცნიერები ქალაქ-სახელმწიფოებს უწოდებენ. ქალაქ-სახელმწიფოებმა ყველაზე განვითარებული სახე მიიღეს ძველ ბერძნულ სამყაროში, რომელიც ხშირად ასეთი დამოუკიდებელი ქალაქებისაგან - პოლისებისაგან შედგებოდა.

ბევრგან ქალაქ-სახელმწიფოები ერთმა უფრო მძლავრმა ქალაქ-სახელმწიფომ დაიპყრო. ამ გზით ჩამოყალიბდა ანტიკური ხანის მრავალი დიდი სახელმწიფო, რომელთა სახელებიც მათი მთავარი ქალაქებისაგან მომდინარეობდა. მაგალითად, ქალაქი ასური და ასურეთი, ქალაქი ბაბილონი და ბაბილონის სამეფო. ასევე იყო საქართველოშიც ქართლის სამეფოს სახელწოდება ქალაქმა ქართლმა (გვიანდელი არმაზი) მისცა, ეგრისის სამეფოს - ქალაქმა ეგრისმა, ხოლო ჰერეთს კი - ჰერეთმა, იგივე ხორანთამ.

ანტიკურ ხანაში ქალაქები, უპირველეს ყოვლისა, ხელოსნობის და ვაჭრობის ცენტრებს წარმოადგენდნენ. ამიტომ ისინი დიდი მდინარეების, მათი შენაკადების ან ზღვის სანაპიროზე წარმოიშვნენ, სადაც სავაჭრო სახმელეთო თუ საზღვაო გზები გადიოდა. ასევე იყო ანტიკური ხანის საქართველოში. აქაც ქალაქები შავი ზღვის სანაპიროზე, მდინარეების: მტკვრის, რიონის, ჭოროხის თუ მათი შენაკადების ნაპირებზე დაარსდა.

საქართველოს უძველესი ქალაქების შესახებ ცნობებს ქართული და ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროები გვაწვდიან. ქართლის სამეფოს ანტიკური ქალაქებიდან დღეისათვის არქეოლოგიურად შედარებით კარგად შესწავლილია არმაზი, წიწამური, ძალისა, სარკინე, უფლისციხე, ურბნისი, ნასტაკისი მდ. ქსნის მტკვართან შეერთების ადგილას, მის მოპირდაპირე მხარეს არსებული ანტიკური ხანის საქალაქო არი ახლანდელი სამადლოს ტერიტორიაზე ....

ეგრისის სამეფოს ქალაქებიდან არქეოლოგიურად უკეთ შესწავლილია ხაიჩხე, ციხე-გოჯი, ბიჭვინთა, ხოხუმა, გონიო-აფსაროსი, ვანი-სურიონი ....

არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულმა მდიდარმა მასალამ წერილობით წყაროთა მონაცემებთან ერთად მეცნიერებს საშუალება მისცა აღედგინათ ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქების დაგეგმარება, შენობათა იერი და მათი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება.

ანტიკური ქალაქები, საქართველოში, მტრის თავდასხმისაგან უკეთ დაცვის მიზნით, როგორც წესი, ბორცვებზე და მის კალთებზე ტერასებად შენდებოდა. ქალაქის ყველაზე მაღალ და გამაგრებულ ნაწილს დედაციხე ანუ აკროპოლისი წარმოადგენდა. აქ მეფის ან

ურნისთავის სასახლე და ქალაქის მთავარი წარმართული ტაძარი, იგივე ბომონი იდგა. აქვე ყველაზე მნიშვნელოვანი კერპები იყო აღმართული. ქალაქი დაბიდან ანუ სოფლის ტიპის დასახლებიდან პირველ რიგში მოზღუდული გალავნით გამოირჩეოდა, რომელშიც ხის მორებით შეკრული და რკინით აჭედილი კარიბჭეები იყო დატანებული. ქალაქის გალავნის სიგანე ორიდან ოთხ მეტრამდე აღწევდა. ხშირად გალავანს ღრმა თხრილი უვლიდა. ამ თხრილებზე საგანგებო ასაწევი ხიდებით გადადიოდნენ. კარიბჭეების რაოდენობა ქალაქის სიდიდეზე და აქ შემავალ გზებზე იყო დამოკიდებული. საქართველოში გალავნის კედლებს ოთხკუთხა თლილი ქვებით, კვადრებით, ან კიდევ ალიზით (გამოუმწვარი აგური) აგებდნენ. ჩვენი ერის დასაწყისამდე საქართველოში ქვითკირის დუღაბი არ იცოდნენ. ამიტომ თავდაპირველად კვადრებს თიხის ხსნარით ამაგრებდნენ. მოგვიანებით თლილ ქვებს ერთმანეთთან სპეციალური ლითონის სამაგრებით აბავდნენ, რომლებსაც ამ ქვებში წინასწარ მომზადებულ ბუდეებში ჩასვამდნენ. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან ჩვენმა წინაპრებმა ქვითკირის დუღაბის გამოყენებაც დაიწყეს. გალავნის კედლის ალიზით აგების შემთხვევაში, ჯერ ხის მორებით კარკასს კრავდნენ, ხოლო შემდეგ ორივე მხრივ ან ალიზით ლესავდნენ, ან ალიზის აგურებით ამოაშენებდნენ. ასეთი კედელი განსაკუთრებით განიერი და მტკიცე იყო და ქვის კედელზე უკეთ უძლებდა კედლის მნგრეველი მანქანების დარტყმებს. სასახლეებს, ტაძრებს და სხვა საზოგადოებრივ შენობებს ძირითადად ქვის კვადრებით აგებდნენ. შენობების და ციხე-გალავნების გადასახურად ფართოდ გამოიყენებოდა კრამიტი, რომელსაც მაღალი ხარისხის კარგად გამომწვარი თიხისაგან ამზადებდნენ და სილამაზისათვის ზოგჯერ სპეციალური მინერალური საღებავებით კაშკაშა ფერებით ღებავდნენ. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ანტიკურ ხანაში საქართველოში დამზადებულმა ასეთმა კრამიტებმა შემოგვინახეს ძველი ბერძნული წარწერები, როგორც ცალკეული ასო ნიშნები, ისე საკუთარი სახელები.

ქალაქებს საზოგადო დანიშნულების ნაგებობები: ბაზარი, აბანო, თეატრი ..... გააჩნდა. ზოგიერთ ქალაქში მთავარი ქუჩები მოკირწყლული იყო. დიდი ყურადღება ექცეოდა საზოგადოებრივი შენობების, ტაძრების, სასახლეების გარეგნულ სახეს, მათ დაგეგმარებას და კეთილმოწყობას. ქართლის მეფის სასახლეში მხატვართუხუცეს-ხუროთმოძღვრის სპეციალური თანამდებობაც კი არსებობდა. ერთ-ერთი ასეთი პიროვნების სახელი შემოგვინახა არქეოლოგების მიერ მცხეთაში, სამთავროს ველზე აღმოჩენილმა საფლავის ქვის წარწერამ, რომელშიც მოხსენებულია ქართლის მეფის მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი ავრელიოს აქოლისი.

ქალაქის ცენტრში ჩვეულებრივ წყარო იყო გამოყვანილი ან საგანგებო ჭა იყო გათხრილი, საიდანაც სასმელი წყალი სახლებში დიდი ხურებით, ამფორებით მიჰქონდათ. წყალი მდინარეებიდანაც ამოჰქონდათ. დიდი ქალაქების ცალკეულ უბნებში წყალსადენები და კანალიზაცია იყო მოწყობილი, ამისათვის მილები თიხისაგან მზადდებოდა. ქალაქის აბანოების წყლით მომარაგება და გაცხელება-გათბობა სპეციალურ საინჟინრო ცოდნას მოითხოვდა.

ანტიკური აბანო რთული ნაგებობა იყო. ორ ასეთ აბანოს არქეოლოგებმა ძალისის ნაქალაქარში მიაკვლიეს. ორივე აბანო თბილი, ცხელი და ცივი წყლების აუზებისაგან შედგებოდა. იატაკები მოფენილი იყო თლილი ტუფის ქვით. კედლებს ვერტიკალურად მიუყვებოდა თიხის ან ტყვიის მილები, რომლებიც დაფარული იყო კერამიკული ფილებით (კაფელით) ფილებსა და კედელს შორის რამდენიმე სანტიმეტრიანი სიცარიელე იყო დარჩენილი. ცხელი ჰაერის სამოძრაოდ, რომელიც მიედინებოდა ოთახების გასათბობად. აბანოებთან არსებობდა სპეციალური საცურაო აუზებიც.

აბანო მოქალაქეთა თავშეყრის ადგილიც იყო, სადაც დროს ატარებდნენ და ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს არჩევდნენ.

ანტიკური ხანის თეატრის ნაშთები მხოლოდ უფლისციხეშია შემორჩენილი. ეს ქალაქი განსაკუთრებით აღსანიშნავია იმითაც, რომ მთლიანად კლდეშია ნაკვეთი. ამიტომაც აქ ყველაზე კარგად შემოგვრჩა სასიმაგრო ნაგებობების, საცხოვრებელი სახლების თუ საზოგადო შენობების ნაშთები. უფლისციხე დღესაც მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ეს ქალაქი ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. ის ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ს-ში არსებობდა. უფლისციხე ანტიკური ხანის საქართველოს იმ ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც თავიანთი მნიშვნელობა შუა საუკუნეებშიც შეინარჩუნეს.

საქართველოს ქალაქები, ისევე როგორც სხვაგან, ეთნიკური სიჭრელით გამოირჩეოდა. აქ ქართველებთან ერთად სახლობდნენ ებრაელები, ბერძნები, სომხები, სპარსელები ... ისინი თემებად ან უბნებად ცხოვრობდნენ. ასეთი უბნები სახელს იქ მოსახლე ხალხისაგან იღებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ქართლის სამეფოს დედაქალაქი „დიდი მცხეთა" გამოირჩეოდა. დიდი მცხეთა ადრე არსებული პატარა ქალაქების გაერთიანების შედეგად წარმოიშვა, რომლებიც შემდეგ ქალაქის უბნებად იქცნენ. ამ უბნებს თავიანთი გალავანი ერტყათ და ერთმანეთთან ხიდებითა და შემაერთებელი ქუჩებით იყვნენ დაკავშირებულნი. მცხეთის ასეთი უბნები იყო სარკინე, ზანავი, არმაზი, წიწამური, ურიათუბანი,

მოგვთაუბანი ... მცხეთის ღედაციხე არმაზში იყო, მოგვთა უბანი ხარისხელებით იყო დასახლებული, ურიათუბანში ებრაელები ცხოვრობდნენ. ასეთ ეთნიკურ თემებს ცალ-ცალკე სასაფლაოები, განსხვავებული დღესასწაულები ჰქონდათ და თავიანთი კანონებით და წესებით იმართებოდნენ. მათ საკუთრებას და სიცოცხლეს ქართლის მეფე იცავდა, მაგრამ ისინი მკვიდრი მოსახლეობის უფლებებით მაინც არ სარგებლობდნენ. „მკვიდრობა" ქალაქის ძირძველი მოსახლეობის პრივილეგია იყო. უცხოელს „მკვიდრობას" მეფე მხოლოდ განსაკუთრებული დამსახურების სანაცვლოდ ანიჭებდა, რაც მიწის, მამულის მიცემას უკავშირდებოდა. „მკვიდრობის" მიღება მისულის „გაქართველებას" ნიშნავდა. ეს წარმართობის ხანაში ქართული წარმართული ღვთაებების, ქრისტიანობის მიღების შემდეგ კი, ქრისტეს რჯულის აღიარებაში გამოიხატებოდა. განსაკუთრებით დაუცველი ის უცხოელები იყვნენ, რომლებიც ქალაქის ეთნიკურ თემებსაც არ ეკუთვნოდნენ. ასეთებს „მწირი", „ტყვე", „უცხო" ეწოდებოდა და მათი მდგომარეობა ფრიად სავალალო იყო.

დაბა-სოფლების მიწათმოქმედი მოსახლეობა გვაროვნულ თემებად ცხოვრობდა. მიწა გვაროვნული თემის საკუთრება იყო და მთელი გვარი ერთად ამუშავებდა, თუმცა საცხოვრებელი სახლები და კარმიდამო თითოეულ კომლს (დიდი ოჯახი, რომელიც რამდენიმე თაობას აერთიანებს) თავისი ჰქონდა. ასეთ საცხოვრებლებს დასავლეთ საქართველოში ხისგან, აღმოსავლეთში კი ქვისგან აშენებდნენ. კოლხური სახლების აღწერილობა დიდმა რომაელმა არქიტექტორმა ვიტრუვიუსმა დაგვიტოვა. ეს იყო ძელებით შეკრული და ალიზით შელესილი შეუელკედლებიანი სახლები, რომლებსაც ძელებითვე შეკრული პირამიდული გადახურვა ჰქონდათ. როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ვიტრუვიუსის მიერ აღწერილი კოლხური სახლის გადახურვის ეს უძველესი ფორმა საფუძვლად დაედო შემდგომი ხანის ქართულ ხალხურ ხუროთმოძღვრებას.

## 2. საზოგადოების სტრუქტურა ანტიკური ხანის ქართლსა და ეგრისში.

ანტიკური ხანის ქართლის სამეფოში მიწისა და ქალაქების პატრონად სამეფო საგვარეულო ითვლებოდა. ამ საგვარეულოს მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები თავიანთი დიდი ოჯახებით და მხედრობით ქალაქის უმნიშვნელოვანეს დასახლებას ქმნიდნენ. ასეთი დასახლების ცენტრი მეფის, უფლისწულის, ერისთავის ... ტაძარი ანუ სასახლე იყო, კარის დიდი თუ მცირე მოხელეებით – ტაძრეულებით. ამ მრავალრიცხოვანი სამეფო დასახლების გამოკვებას დიდი მეურნეობა სჭირდებოდა. ამიტომ ქალაქის ირგვლივ მიწების უდიდეს ნაწილს სამეფო მიწები შეადგენდნენ, რომლებსაც ქართლის სამეფოს ყველაზე დაბალი, მეოთხე წოდება, „სამეფო მონები" ამუშავებდნენ. „სამეფო მონების" უდიდესი ნაწილი დამორჩილებულ-დაპყრობილი მიწათმოქმედები იყვნენ, რომლებიც მამა-პაპეულ მიწებზე გვაროვნულ თემებად – სოფლებად ცხოვრობდნენ და თავიანთ მეურნეობასაც მისდევდნენ. მათ გარდა სამეფო მიწებზე ნამდვილი მონებიც მუშაობდნენ. მათი ნაწილი ომებში ხელში ჩაგდებული ტყვეები, ნაწილი კი მონათა ბაზრებზე შეძენილი მონები იყვნენ.

მოქალაქეთა მთავარ საქმიანობას ვაჭრობა და ხელოსნობა წარმოადგენდა. სახელოსნოებში მძიმე სამუშაოებისათვის მონებიც ჰყავდათ. ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქებში ხელოსნობის მრავალი დარგი იყო განვითარებული. ერთი დარგის ხელოსნები ჩვეულებრივ ერთ ქუჩაზე ცხოვრობდნენ. ვაჭარ-ხელოსნებიც, უპირველეს ყოვლისა, სამეფო დასახლების საჭიროებებს ემსახურებოდნენ. ქალაქის „მკვიდრ" ვაჭარ-ხელოსნებს გალავნის იქით საკუთარი მიწის ნაკვეთები გააჩნდათ, რომლებსაც ისინი ან თვითონ, ან კიდევ მონების მეშვეობით ამუშავებდნენ.

### სტრაბონი ქართლის საზოგადოების აღნაგობის შესახებ

ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში. ერთი და პირველია სამეფო საგვარეულო, საიდანაც მეფეებს აყენებენ ახლო ნათესაობისა და უხუცესობის მიხედვით. სხვა პირი ამავე საგვარეულოდან მოსამართლეობს და მხედართმთავრობს.
მეორე გვარი არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე.
მესამე გვარია მეომართა და მიწისმოქმედთა;
მეოთხე გვარია ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და ემსახურებიან ყველაფერში, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო.
მათ საერთო აქვთ ქონება ნათესაობის მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულს უხუცესი.

ქალაქის მოსახლეობას თავისი საქონელიც ჰყავდა, რომელიც ყოველ დილას მწყემსებს ქალაქგარეთ საძოვრებზე გაჰყავდათ. საღამოს ნახირი უკან ბრუნდებოდა, ქალაქის კარიბჭეები იკეტებოდა და ქალაქში შესვლა-გამოსვლა ფაქტობრივად მთლიანად წყდებოდა.

ქართლის სამეფოს საზოგადოების აღნაგობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაძლევს დიდი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი. მისი მიხედვით, სამეფო საგვარეულოსა და მის მრავალრიცხოვან ოჯახებს შემდეგ, რომლებიც ქართლის სამეფოს ყველაზე პრივილეგირებულ, პირველ წოდებას ქმნიდა, თავისი მნიშვნელობით გამოირჩეოდა ქურუმთა

წოდება. ქურუმები ღმერთების – კერპების მსახურებს ეწოდებოდათ. ქურუმობა მემკვიდრეობითი იყო და მხოლოდ გარკვეულ წარჩინებულ საგვარეულოთა პრივილეგიას წარმოადგენდა. ქართლში, ეგრისში, ჰერეთში მრავლად იყო სხვადასხვა წარმართული ღვთაებების სახელზე აგებული ტაძრები და სამლოცველოები. ტაძრებს დიდი მეურნეობა, მიწები და ქონება გააჩნდათ, რომელთა უმრავლესობა მოსახლეობის მიერ იყო შეწირული. ამგვარად ქურუმები არა მარტო დიდი გავლენით სარგებლობდნენ, არამედ დიდ ქონებასაც ფლობდნენ. მათი მოვალეობა იყო სხვადასხვა ეთნიკურ-რელიგიურ თემებს შორის დავის გადაწყვეტაც.

ქართლის სამეფოს მესამე პრივილეგირებულ წოდებას სამეფო სასახლის მსახური-მოხელეები, ტაძრეულები და მხედრობა წარმოადგენდა. მათ ერთ ნაწილს ქართლის წარჩინებული საგვარეულოებიდან - აზნაურებიდან გამოსული მოლაშქრეები შეადგენდნენ, მეორე უფრო დიდ ნაწილს კი თავისუფალი მიწათმოქმედები იგივე ერისნები წარმოადგენდნენ, რომლებიც მეფის ან სამეფო საგვარეულოს სხვა წევრების მუდმივ სამხედრო სამსახურში დგებოდნენ და დიდებისა და სიმდიდრის მოსაპოვებლად მათ ამალას, მხედრობას ქმნიდნენ.

წოდებრივ განსხვავებასთან ერთად, სტრაბონი ქართლის სამეფოში ბარისა და მთის მოსახლეობის განსხვავებულ ყოფა-ცხოვრებასაც აღნიშნავს. მისი ცნობით, მთიელები თავისი ზნე-ჩვეულებებით კავკასიის ჩრდილოეთით მომთაბარე სკვითებს და სარმატებს წააგავდნენ, თუმცა მათგან განსხვავებით, მჯდომარე ცხოვრებას მისდევდნენ და მიწათმოქმედებასაც ეწეოდნენ. ეს არცაა გასაკვირი. მთის და ბარის მოსახლეობის ცხოვრების წესი საქართველოში ახლო წარსულშიც ძალზე განსხვავდებოდა. მთა ძირითადად მესაქონლეობას მისდევდა რაც მის ყოფას თავისებურ ელფერს აძლევდა.

ქართლის სამეფოს ბარის მოსახლეობა თავისი ცხოვრების წესით სპარსელებს წააგავდა და სპარსელთა მსგავსად იმოსებოდა. სპარსელებს კი იმჟამად თავზე ტიარა (თავსაბური, რომელიც თავისი ფორმით მამლის ბიბილოს მოჰგავს) ან ნაბდის ქუდები ეხურათ, ტანზე კვართი ანუ სახელოებიანი გრძელი პერანგი ეცვათ და კვართის ქვემოთ შარვლები ეცვათ. ცივ ამინდში სპეციალურ დაბოლოებულ გრძელ მოსასხამებს – ჯუბებს ატარებდნენ.

წარჩინებულები მაღალი ოსტატობით დამზადებულ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს ხმარობდნენ: ბეჭდებს, საყურეებს, ყელსაბამებს, სამაჯურებს.... სასახლეებში მრავლად იყო ძვირფასი ოქროს, ვერცხლის, მინის, მაღალ-მხატვრულად მოხატული თიხის .... ჭურჭელი, ავეჯი, სხვადასხვა მოხმარების საგნები, ძვირფასი საჭურველი და საბრძოლო იარაღი ... რომელთა დიდ ნაწილს ადგილობრივი ხელოსნები ამზადებდნენ.

ქალები ფართოდ იყენებდნენ ხელსაცხებლებს. ისინი სასახლის მათვის განკუთვნილ ნაწილში ცხოვრობდნენ და საჭმელს ცალკე მიირთმევდნენ. ოჯახის უფროსის თანხმობისა და ამალის გარეშე წარჩინებული ქალის სახლიდან გასვლა სირცხვილად ითვლებოდა.

### 3. სწავლა-განათლება ანტიკური ხანის ქართლსა და ეგრისში

ანტიკური ხანის ქართლსა და ეგრისში დიდ მოხმარებაში იყო სპეციალური საბეჭდავები, რომლითაც სხვადასხვა დოკუმენტებს ამოწმებდნენ. წარწერები ასეთ საბეჭდავებზე არამეულად ან ბერძნულად იყო შესრულებული. როგორც გახსოვთ, საქართველოში ეს დამწერლობები გამოიყენებოდა, ქართული დამწერლობის შექმნამდე.

ბერძნულ და არამეულ წარწერებს აკეთებდნენ სამკაულის ქვებზე, საჩუქრად გაცემულ ნივთებზე, ჭურჭლებზე, თასებზე... სხვადასხვა შენობებზე, რომლებსაც ყიდიდნენ ან აჩუქებდნენ... სპეციალური სასახლის მდივან-მწიგნობრები და ჟამთაამწერლები ადგენდნენ მეფეთა „ცხოვრებებს" - ქრონიკებს, სადაც ქართლის ამა თუ იმ მეფის ხანაში მომხდარი ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ამბების მოკლე აღნუსხვასთან, საგანგებოდ აღნიშნავდნენ მისი ზეობის ანუ მეფობის წლებს, ნათესაურ კავშირებს, ქართლის მეფეთა თანმიმდევრობას.

სულ ახლახან სვეტიცხოვლის საძირკვლის შესწავლისას აღმოჩენილი ანტიკური ხანის სამარხში არქეოლოგებმა მიაკვლიეს ქართლის მეფის ერთ-ერთი ასეთი მდივან-მწიგნობრის საწერ მოწყობილობას – [illegible] ვერცხლის კალამ-კალმისტრებითა და ოქროს სამელნით. პენალი მოოქროვილია და ოქროს ფირფიტებითა და რელიეფებით შემკული. მის ერთ მხარეს გამოსახულია ცხრა მუზა მათი სახელების აღმნიშვნელი ბერძნული წარწერებით. მეორე მხარეს კი მოთავსებულია ბერძნული კულტურის დიდი მოღვაწეების: მენანდრეს (ძვ. წ. IV-III სს-ის კომედიოგრაფი), ჰომეროსის (ძვ. წ. VIII ს.), დემოსთენეს (ძვ. წ. IV ს-ის რიტორი) პორტრეტული გამოსახულებები შესაბამისი წარწერებით. ყოველივე ეს იმხანად ქართული საზოგადოების განათლებულობაზე და ანტიკური კულტურის ღრმა ცოდნაზე მეტყველებს.

წარჩინებული საზოგადოება, როგორც ქართლში ისე ეგრისში, კარგად ფლობდა ბერძნულ და

### თემისტიოსი ფაზისის აკადემიის შესახებ

„ეს ჩემი კარგი ახალგაზრდა ვრიტორიკის ნაყოფი მოვწყვიტე გაცილებით უფრო უწინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა წყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად – ასეთ – ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ გახადა ელინური და აქცია მუზების ტაძრად. ამ ერთი კაცის, რომელიც დამკვიდრდა კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში და ასწავლიდა არა ესოდენ ტყორცნას და მშვილდის ხმარებას და ჯირითს შეზიზღებულ ბარბაროსთა წესებისადმი მიზეზით, არამედ იმას, თუ როგორ დაშელოვნდე მჭევრმეტყველებაში და როგორ ბრწყინავდე ელინთა დღესასწაულზე — მე აქ ნაყოფი არა სავსეთარი ზურგილთა და გადაწყვეტილებით, არამედ გამაგ ხაგნა ისეთმა კეთილშობილმა კაცმა, როგორიც შეიძლება იყოს მამა და ისეთმა სწორად მოაზროვნემ, როგორიც შეიძლება იყოს ფილოსოფოსი... მართლაც თავისი განძლიერებული ფილოსოფია სწორედ აქ შეიქმნა".

არამეულ ენებს და დამწერლობას. სწავლა-განათლებას ახალგაზრდები ძირითადად ოჯახებში იძენდნენ, მაგრამ სპეციალური სასწავლებლებიც არსებობდა, სადაც ანტიკური ეპოქის შესაბამის განათლებას იღებდნენ. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, ანტიკური ფილოსოფია, ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა, ხელოვნება ... ერთ-ერთ ასეთ, ბერძნების მიერ ფაზისში დაარსებულ რიტორიკულ (მჭევრმეტყველების მეცნიერება) სკოლაში, განათლება მიიღო III-IV სს-ის გამოჩენილმა ბერძენმა ფილოსოფოსმა ევგენიოსმა და შემდგომ მისივე რეკომენდაციით, მისმა ვაჟმა მომავალში აგრეთვე ცნობილმა ფილოსოფოსმა თემის-ტიოსმა.

#### 4. ანტიკური ხანის საქართველო – მრავალი ღმერთების ქვეყანა.

ჩვენი წინაპრები მიწათმოქმედი ხალხების რიცხვს განეკუთვნებოდნენ, ამიტომ მათი რწმენა-წარმოდგენები მიწათმოქმედებასთან იყო დაკავშირებული. ისინი თაყვანს სცემდნენ ბუნების ძალებს და მრავალრიცხოვან ღვთაებებს, რომელთა ქანდაკებებს ქვისაგან, თიხისაგან ან მეტალისაგან ამზადებდნენ. ასეთ რელიგიას პოლითეიზმი ანუ მრავალღმერთიანობა ეწოდება („პოლი" – ბერძნულად მრავალს, „თეოს" – ღმერთს ნიშნავს). მოგვიანებით ძველმა ქართველებმა, ისევე როგორც, სხვა მიწათმოქმედმა ხალხებმა, თავიანთი ღმერთები ციურ სხეულებს მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს... დაუკავშირეს. ასეთ რწმენა-წარმოდგენებს მეცნიერები ასტრალურს (ციური სხეულთა თაყვანისცემა) უწოდებენ. ძველი ქართველები განსაკუთრებით თაყვანს სცემდნენ მზეს, მთვარეს, რომლებსაც მრავალი ქართული ხალხური ლექსი ეძღვნება. ქართული წარმართული ღვთაებებიდან აღსანიშნავია ნადირობისა და მონადირეთა მფარველი ღვთაებები: ანატორი, ვობი, ოჩოპინტრე, ბოჩი, დალი.... როგორც გვახსოვს, ადრევე შემოვიდა ხეთური ამინდის ღვთაება თარხუნთისი, იგივე ტარხი ... ურარტული არალე ...

ძველი საქართველო იმჟამინდელი მსოფლიოს ორი დიდი ცივილიზაციის – სპარსულის და ბერძნულ-რომაულის შესაყარზე მდებარეობდა, ამიტომ ჩვენი წინაპრები ადრევე გაეცნენ ამ დაწინაურებული ხალხების რწმენა-წარმოდგენებს.

ძველი სპარსელები, როგორც გვახსოვს, ცეცხლთაყვანისმცემლები იყვნენ. ამ სარწმუნოებას სამყარო ნათელი და ბოროტი ძალების ბრძოლის ასპარეზად წარმოედგინა. ნათელ სულებს მეუფე ცეცხლისა და კაშკაშა სინათლის განსახიერება უმაღლესი ღმერთი აჰურამაზდა ედგა სათავეში, რომელიც ბოროტ დევებს ებრძოდა. ამ დევებიდან მოდიან ქართული ზღაპრების დევები. აჰურამაზდას სახელიდან წარმოსდგა ამ სარწმუნოების სახელწოდება მაზდეანობა. მის დამაარსებლად ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში მცხოვრები ზოროასტრი ითვლება. ამიტომ მაზდეანობას ზოროასტრიზმიც ეწოდება. მაზდეანთა წმინდა წიგნია ავესტა, რომელსაც, როგორც გვახსოვს, ძველი ქართველები „ნებროთის წიგნს"ეძახდნენ. მაზდეანობა სპარსეთიდან საქართველოშიც შემოვიდა. ქართლის სამეფოში მაზდეანურ ანუ ცეცხლის ტაძრებს მრავლად აგებდნენ. არქეოლოგებმა არაერთი ასეთი ტაძარი გათხარეს. ზოგიერთმა მაზდეანურმა ტრადიციამ თითქმის დღემდე მოაღწია. საქართველოში ეთნოგრაფებმა შენიშნეს, რომ ხოგულად ქალები კერიასთან, ცეცხლთან მიახლოებისას პირბადეს იფარებდნენ. ეს ტრადიცია იმ შორეული დროიდან მოდის, როდესაც ცეცხლს თაყვანს სცემდნენ და თავისი სუნთქვით წმინდა ცეცხლის შებილწვა არ უნდოდათ.

მაზდეანურ სარწმუნოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მითრას ღვთაება და მითრას კულტი. ის მზის დისკოს და მზის სიკაშკაშეს განასახიერებდა.

მითრა, იგივე მზე ინდოევროპელი ხალხების უძველესი ღვთაება იყო. მას თაყვანს სცემდნენ როგორც ძველი ინდოელები, ისე მცირეაზიელი ხეთები. ხეთებთან ეს ღვთაება მითრასილის სახელით იყო ცნობილი. ბევრად უფრო გვიან, რომის იმპერიის ხანაში მითრას კულტი დასავლეთშიც გავრცელდა. მას თაყვანს სცემდნენ რომის კეისრებიც. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ერთ ხანს მითრაიზმი ანუ მითრას კულტი და ქრისტიანობა რომის იმპერიაში ერთმანეთის მეტოქეობის ეტაპზე(?) ეჯიბრებოდნენ.

სარწმუნო ცეცხლთაყვანისმცემლობა საქართველოში თავისებურად გარდაიქმნა. ჩვენში აჰურამაზდა მითრას შეერწყა და ამ ღვთაების გამოსახულება შეიძინა. მითრას ჩვეულებრივ უსამართლობასთან და სიცრუესთან მებრძოლი უძლეველი მხედრის სახით გამოხატავდნენ, რომელიც შუბით ხარს გმირავდა. ასევე თავისებურად გარდაიქმნენ მაზდეანური ბოროტი დაევები, რომლებმაც ხუცების ნაცვლად მრავალთავიან, ბოროტ, ბუმბერაზ ადამიანთა მსგავსი არსებების – დევების სახე მიიღეს. აჰურამაზდა-მითრას თაყვანისცემა ქართლში განსაკუთრებით მაშინ გაძლიერდა, როდესაც, როგორც გვახსოვს, ქართლის მეფემ ფარნავაზმა ქალაქი ქართლის დედაციხეში არმაზის, იგივე მითრა-აჰურამაზდის კერპი აღმართა, ის თავის სამეფოში მთავარ ღვთაებად აქცია და არმაზის კერპისადმი მიძღვნილი დღესასწაული დააწესა. ამ დღესასწაულს მეფე-დედოფალთან და სამეფო ოჯახთან ერთად მთელი სამეფო დიდი ზეიმით აღნიშნავდა.

„ქართლის ცხოვრება" და „მოქცევაჲ ქართლისაჲ" არმაზის გვერდით სხვა ღვთაებათა კერპებსაც ასახელებს. ესენია: ზადენი, რომელიც დღევანდელი ზედაზნის მთამოებში იდგა, აგრეთვე გაცი და გაიმი, აინინა და დანანა. ამ ღვთაებათა წარმომავლობა და ფუნქციები ჯერჯერობით დაუდგენელია.

მითრას კულტი ანტიკური ხანის მთელ სიგრძეზე წინა აზიასა და მათ შორის საქართველოშიც ძალზე პოპულარული იყო. მითრადან მომდინარეობს ძველ საქართველოში გავრცელებული სახელები „მიჰრი", იგივე „მირიანი" (მითრა), „მირდატი" ანუ „მითრიდატე" (მითრას მოცემული), „მირვანი", იგივე „მურვანი" (მითრას მოყვარული), „ბუზმირი" (დიდი მითრა). მითრადან, ქალის სახელის მაწარმოებელი ბოლოსართის „დუხტის" დამატებით კი მიღებულია სახელი „მირანდუხტი".

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ძველი მეფეები, ისევე, როგორც მითრას სახელის მატარებელი წინა აზიის სხვა სახელმწიფოების (პართიის, პონტოს...) მეფეები, თავს ამ ქვეყნად მითრას წარმომადგენლებად განიხილავდნენ.

მითრას კულტს უკავშირდება ქართული თქმულება ამირანის შესახებ. ამირანი იგივე ამიჰრანი მითრა ანუ მზეა, რომელიც ებრძვის დევებს, იტაცებს ქამარს (ცის-კამარას), [illegible] ხალხს ცეცხლს, მისი ძმაა ბადრი, იგივე მთვარე.... მოგვიანებით მითრაზე ამ მითს სხვა მრავალი თქმულება შეერწყა. მითრას კულტმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ადრეულ ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებზეც. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ საქართველოში გავრცელებული ღორის კულტი, ახალი წლის ღორით აღნიშვნა და სხვ. მითრას თაყვანისცემიდან მომდინარეობს. ღორი სწორედ მითრას სამსხვერპლო ცხოველი იყო. მოგვიანებით, ქრისტიანობის გავლენით, ჩვენში ღორის მსხვერპლად შეწირვა ბატკნის მსხვერპლად შეწირვით შეიცვალა. მითრას კულტს კი წმინდა გიორგის კულტი ჩაენაცვლა, რომელიც ისევე, როგორც მითრა, თეთრ ცხენზე ამხედრებული ბოროტ ძალებთან მებრძოლი ახალგაზრდა შუბოსანი მხედრის სახეს ატარებს.

### არმაზი, მითრა და [illegible]

[illegible]

### „ქართლის ცხოვრება" არმაზის კერპისა და არმაზის დღესასწაულის შესახებ

[illegible]

მაზდეანური რწმენა-წარმოდგენები ყოფის სხვა მხარეებშიც ვლინდებოდა. ცნობილია, რომ ეს სარწმუნოება ახლო ნათესავებს შორის ქორწინებას არ კრძალავდა. ასეთი ახლო ნათესაური ქორწინებები გავრცელებული იყო როგორც ანტიკური ხანის, ისე ადრეშუასაუკუნეების საქართველოს დიდებულთა საგვარეულოებში. მაზდეანებისთვის მიცვალებულის მიწაში დამარხვა დიდ ცოდვად ითვლებოდა, რადგან მათი რწმენით, ეს მიცვალებულის სულის ხსნისაგან განთავისუფლებას აფერხებდა. ამიტომ ისინი მიცვალებულებს ფრინველების და ცხოველების საჯიჯგნად სპეციალურ მინდვრებზე ყრიდნენ, ან კიდევ ხეებზე კიდებდნენ, მოგვიანებით კი ძვლებს მიწაში მარხავდნენ. დაკრძალვის ასეთი წესი ანტიკური ხანის საქართველოშიც იყო გავრცელებული. ძველი ბერძენი და რომაელი მწერლების ცნობით, კოლხები თავიანთ მიცვალებულებს ტყავებში ახვევდნენ და ხეებზე კიდებდნენ. ასეთი ტრადიციების გვერდით საქართველოს სხვა სარწმუნოების მიმდევრებს შორის დაკრძალვის სულ სხვადასხვა წესი არსებობდა: მიცვალებულებს მარხავდნენ ორმო-სამარხებში, ქვევრ-სამარხებში, სპეციალურად აგებულ სარკოფაგებში თუ აკლდამებში (დასამარხად განკუთვნილ შენობებში). მიცვალებულებს ატანდნენ ყველაფერს, რასაც ის ჩვეულებრივ ცხოვრებაში მოიხმარდა, რადგან მიაჩნდათ, რომ მიცვალებულს იმ ქვეყნად ესაჭიროებოდა ყველაფერი ის, რასაც ამქვეყნად ხმარობდა. ამიტომ წარჩინებულთა სამარხები ძალზე მდიდრული იყო. ასეთ სამარხებს, ჩვეულებრივ, მალევე ძარცვავდნენ. მიუხედავად ამისა, არქეოლოგებმა საქართველოში ანტიკური ხანის წარჩინებულთა გაუძარცვავი სამარხებიც მიაკვლიეს, სადაც ძვირფასი ლითონებისა და ქვებისაგან დამზადებული მრავალი უნიკალური სამკაული თუ ნივთი იპოვეს.

ჩვენ სამშობლოში, თავდაპირველად დასავლეთ საქართველოში, ძველი ბერძნული რწმენა-წარმოდგენებიც ვრცელდებოდა. ძველი ბერძნების სარწმუნოება ასტრალური და პოლითეისტური იყო. მათი წარმოდგენით, ღმერთები საბერძნეთის ყველაზე მაღალ მთაზე - ოლიმპოზე ცხოვრობდნენ. მთავარი ღმერთი იყო ზევსი, რომელიც იქ თავის დიდ ოჯახთან და-ძმებთან, ცოლთან და მრავალრიცხოვან შვილებთან ერთად სახლობდა.

### პანთეონი

პანთეონი ორი ბერძნული სიტყვა - „პან" - ყველა, „თეოს" - ღმერთი - შეერთების გზითაა მიღებული და ამა თუ იმ სარწმუნოების ღმერთების ერთობლიობას აღნიშნავს.

განსაკუთრებით მძლავრად ბერძნულმა კულტურამ, დამწერლობამ და რწმენა-წარმოდგენებმა ძველ საქართველოში ელინისტურ ხანაში დაიწყო დამკვიდრება. თანდათანობით ბერძნული ღვთაებები არმაზის კულტსა და მაზდეანურ რწმენა-წარმოდგენებს შეერწყა. ქართველების უმაღლესი ღვთაება არმაზმა ბერძნების უმაღლესი ღვთაების ზევსის თვისებებიც შეიძინა. ამ ბერძნულ-ქართულ პანთეონს ჩვენი წინაპრები „შვიდთა ვარსკვლავთა თაყვანისცემას" უწოდებდნენ. ძველ ბერძნებს თავიანთი ღმერთების შესახებ მრავალი მითი ჰქონდათ. მათ შორისაა მითი პრომეთეზე, რომელმაც ღმერთებს ცეცხლი მოჰპარა და ადამიანებს გადასცა. ამის გამო ზევსმა ის დასაჯა და კავკასიონის მიუდგომელ მთას მიაჯაჭვა. ეს მითი ძალზე წააგავს ზეპირად მოთხრობილ ქართულ მითს ამირანის შესახებ, რომელიც საბოლოოდ ურჩობისათვის ღმერთმა ასევე კავკასიონის მაღალ მთაზე მიაჯაჭვა. ამ ორ მითს შორის მსგავსება ელინისტურ ხანაში ბერძნული და ქართული რწმენა-წარმოდგენების შერწყმაზე მიგვითითებს. ცნობილია, რომ მარტო წინა აზიის ხალხები კი არ ეზიარნენ ბერძნულ კულტურას, არამედ ძველმა ბერძნებმაც ბევრი რამ გადაიღეს მათგან.

ქალაქ ფაზისში იდგა ბერძნული ღვთაებების აპოლონის და მისი დის არტემიდას სახელზე აგებული ტაძრები. მიუხედავად ამისა, ქალაქ ფაზისის მთავარი ღვთაება მაინც ამავე სახელის მატარებელი ადგილობრივი ქალღმერთი იყო, რომელიც ზღვის მხრიდან ქალაქის შესასვლელში რიონის მარცხენა ნაპირზე ყოფილა აღმართული.

ბერძნები მესხეთში აღწერენ ადგილობრივ ქალღმერთს, დიდ ქანდაკებას, ამავე ქალღმერთის სახელზე აგებულ ტაძარს და სამისნოს. სამისნოს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა ანტიკური ხანის ადამიანის, მათ შორის ჩვენი ძველი წინაპრის ცხოვრებაში. ეს იყო სპეციალური შენობა, სადაც ღვთაებას კითხვით მიმართავდნენ და მისგან მისნობას, წინასწარმეტყველებას შეიტყობდნენ. ამ მესხურ ქალღმერთს ძველი ბერძნები თავიანთ ღვთაებას - ლევკოთეას („ლევკოთეა" ბერძნულად „თეთრ ღვთაებას" ნიშნავს) ამსგავსებდნენ და მასთან აიგივებდნენ.

ზევსის ასულის, სიყვარულისა და სილამაზის ბერძნული ქალღმერთის აფროდიტეს კერპი, როგორც გვამცნობს, ახ. წ. III ს-ში ქართლის მეფე რევ-მართალმა აღმართა არმაზისა და სხვა კერპების გვერდით. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ აფროდიტე პლანეტა ვენერას, ანუ ცისკრის ვარსკვლავს შეესაბამებოდა. ძველი ქართული წარმოდგენების თანახმად კი ცისკრის ვარსკვლავი იყო ქალღმერთი დალი, რომელიც

აგრეთვე მონადირეებთან სასიყვარულო რომანებით გამოირჩეოდა. ამავე დროს ქალღმერთი დალი ქართული მითოლოგიით, ამირანის ანუ მითრას, მზის მშობელია. დალიმ ამირანი ხეკნეთის მთებში, მიუვალ გამოქვაბულში დაბადა, თვითონ კი მშობიარობას გადაჰყვა. მართლაც, ცისკრის ვარსკვლავს ცაზე მზის ამოსვლა მოსდევს.

ქართლის სამეფოსა და ალბანეთის საზღვარზე, თანამედროვე კახეთის ტერიტორიაზე სტრაბონი მოგვითხრობს მთვარის ტაძრის არსებობის შესახებაც.

ჩვენი წინაპრების წარმოდგენით, სამყარო ქვესკნელად და ზესკნელად იყოფოდა. ზესკნელს კი თავზე ცა ედგა. ცას ცის კარი ჰქონდა, საიდანაც დილით მზე გამოდიოდა.

ქართული ზღაპრების გმირები სხვადასხვა საგმირო საქმეების ჩადენის მიზნით ზესკნელიდან ქვესკნელში მოგზაურობენ, საიდანაც ზემოთ ისინი ორბს, არწივს ან კიდევ ჯადოსნურ ფრინველს ზურგზე ამოჰყავს.

ძვ. წ. I ს-ის შუა წლებში, როგორც ვიცით, ქართლში ძველი ებრაელებიც დასახლდნენ. მცხეთაში ებრაელების მთელი უბანი არსებობდა. ებრაელების სარწმუნოება, როგორც გვახსოვს, პირველი მონოთეისტური სარწმუნოება იყო. საფიქრებელია, მან თავისი გავლენა ანტიკური ხანის ქართველთა რწმენებზეც მოახდინა.

## § 25. ქართული სახელმწიფოები IV საუკუნის II ნახევარსა და V საუკუნის I ნახევარში

337 წ. სპარსეთის შაჰმა შაპურ II რომის იმპერიასთან ბრძოლა განაახლა. შაჰმა რომის მოკავშირე ქართლის და სომხეთის სამეფოებს ჩრდილოეთ კავკასიიდან ჰუნები შემოუსია. ჰუნებთან ერთ-ერთ ბრძოლაში მეფე მირიანი დაიღუპა.

მირიანის უფროსი ვაჟი რევი მამის სიცოცხლეშივე გარდაიცვალა. არსებული წესის თანახმად, ქართლში მეფის სიკვდილის შემდეგ ტახტი სამეფო ოჯახში ასაკით უფროსზე გადადიოდა. ამიტომ მირიანის სიკვდილის შემდეგ ქართლის ტახტზე მისი უმცროსი ძე ბაკური ავიდა (337-357).

მეფე ბაკურს მისი ძმის რევის ქვრივი სალომე უჯარმელი დაუპირისპირდა, რომელიც სომხეთის ლაშქრის დახმარებით ქართლის სამეფო ტახტზე თავისი ვაჟის მირიანის აყვანას შეეცადა. ბრძოლა დიდი სისასტიკით წარიმართა. სომხეთის ლაშქარი ქართლში შემოიჭრა და ქვემო ქართლი დალაშქრა. ამ დროს სომხებმა ქართლის პიტიახშთა ძველი საგვარეულო თითქმის მთლიანად ამოწყვიტეს. ბაკურ მეფემ დახმარებისათვის თავის სიძეს რანის გამგებელს ფეროზს მიმართა და გაწეული დახმარების სანაცვლოდ სამშვილდის საერისთავო გადასცა. ფეროზი ქვემო ქართლში, დამკვიდრდა. მან დასაბამი მისცა ქართლის პიტიახშთა ახალ, ფეროზიანთა საგვარეულოს. ამ საგვარეულოს წარმომადგენლებმა დიდი როლი ითამაშეს V-VIII სს-ის ქართლის სამეფოს ისტორიაში. ამათგან არშუშა და მისი ვაჟი ვარსქენი კარგად არიან ცნობილნი იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებიდან". მეფე ბაკურმა ტახტი შეინარჩუნა, სალომეს და მის შვილებს კი საგამგებლოდ კუხეთი და ქალაქი რუსთავი გადასცა. ამ ბრძოლას საფუძველი ჩაეყარა ქართლის სამეფო საგვარეულოს ორ შტოს: ბაკურის და რევის შთამომავლებს: ბაკურიანებს და რევიანებს, იგივე რუისთაველებს. „ქართლის ცხოვრება" ბაკურ მეფეს დიდად მორწმუნედ და ქრისტიანობის დიდ გამავრცელებლად მიიჩნევს. საფიქრებელია, რომ ქრისტიანობა მან მამაზე ადრე ჯერ კიდევ რომის კეისრის კარზე მძევლად ყოფნის დროს მიიღო. მეფე ბაკურმა მონათლა ქართლის მთიულთა ის ნაწილი, რომელმაც მირიან მეფისა და წმინდა ნინოს ხანაში ქრისტიანობის მიღებაზე უარი განაცხადა. მისივე დროს მოინათლა ფეროზი და მისი საგამგებლო ქვეყანა რანი ანუ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ალბანეთი.

მეფე ბაკურის შემდეგ ქართლში რევის ვაჟი მირიანი მეფობდა (357-366). მას რომაელი ისტორიკოსი ამიანე მარცელინი მერიბანს, „ქართლის ცხოვრება" კი მირდატს უწოდებს. ის იყო დიდი ქართველი ფილოსოფოსისა და საეკლესიო მოღვაწის პეტრე იბერის პაპა მამის მხრივ. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ პეტრე იბერის „ასურული ცხოვრება" მას „ბუზმარიოსის" სახელით მოიხსენიებს, რაც სპარსული „დიდი მირის", იგივე „დიდი მირიანის" შესატყვისია. მისი მეფობის ბოლო წლებში სპარსეთ-რომის ომები მიმდინარეობდა, რომელიც 363 წ. რომაელთა დამარცხებით დამთავრდა. საზავო ხელშეკრულებით, რომი იძულებული გახდა სომხეთზე უარი ეთქვა. ამის შემდეგ სპარსეთმა სომხეთის დაპყრობა დაიწყო. ქართლში ამ დროს უკვე საურმაგი მეფობდა. მან კარგად იცოდა, რომ სომხეთის

შემდეგ ქართლის სამეფოს ჯერი დადგებოდა. ამიტომ სომხეთს დახმარების ხელი გაუწოდა. ამის საპასუხოდ 368 წ. სპარსელები ქართლის სამეფოში შემოიჭრნენ ქართლის მეფე, რომაელთა მოკავშირე საურმაგი გააძევეს და ტახტზე მათი მომხრე ასფაგური აიყვანეს.

საურმაგს რომი დაეხმარა. საბოლოოდ მოვლენები ისე წარიმართა, რომ სპარსეთმა და რომმა ქართლის სამეფო ორად გაყვეს. მტკვრის ჩრდილოეთით სპარსეთის მომხრე ასფაგური, ხოლო სამხრეთით – გოგარენაში – რომაელთა მომხრე საურმაგი გამეფდა. ქართლის სამეფოს ორად გაყოფა დიდხანს არ გაგრძელებულა. IV ს-ის 70-იან წლებში სპარსეთმა თავისი უზენაესობა მთელ ქართლის სამეფოზე გაავრცელა. რომის ხელში მხოლოდ კლარჯეთის საერისთავო დარჩა, რომელიც მან ეგრისის სამეფოს გადასცა.

ამავე ხანებში ქართლში დროებით სპარსეთის მოხელე – პიტიახში შემოვიდა და ქართლის მოსახლეობას სპარსეთის სასარგებლოდ დიდი ხარკი დააკისრა. პიტიახშმა ქართლის მეფეებს ადრე მათ დაქვემდებარებაში მყოფი რანი და მოვაკანი იგივე ალბანეთი, ანუ დღევანდელი აზერბაიჯანი ჩამოართვა. რანი სპარსეთმა უშუალოდ შეიერთა, მას სპარსეთის მოხელე-პიტიახში განაგებდა. რანის პიტიახში ამის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში სპარსეთის ხელისუფლებას განასახიერებდა. ის ქართლის, სომხეთის და ალბანეთის სამეფოებს ზედამხედველობას უწევდა.

**ეგრისის სამეფო** ქართლისაგან განსხვავებით ბევრად უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ნისიბინის ზავის შემდეგ მიწების მიერთებამ ეს სამეფო ძალზე გააძლიერა. ეგრისი რომის კეისრის კონსტანტინე დიდის (305-337) მმართველობის ბოლო პერიოდში რომის დაქვემდებარებიდან გამოვიდა. მხოლოდ IV ს-ის 90-იან წლებში მოახერხეს რომაელებმა ეგრისის ისევ მორჩილებაში მოყვანა. ამის შემდეგ ეგრისის ყოველ ახალ მეფეს კეისარი ამტკიცებდა და სამეფო ნიშნებს უგზავნიდა. ეგრისი ვალდებული იყო მის საზღვრებში მდებარე კავკასიონის გადასასვლელები დაეცვა და რომის იმპერიის აღმოსავლური პროვინციებისათვის ჩრდილოელ კავკასიელ მომთაბარეთა შემოსევების საფრთხე აეცილებინა. ეგრისის სამეფოს რომის წინაშე საზღვაო ვალდებულებაც გააჩნდა. ამ ვალდებულების მიხედვით, ეგრისელებს რომის საზღვაო ფლოტისათვის უნდა მიეწოდებინათ საზღვაო ხომალდები, მათი ცალკეული ნაწილები და აღჭურვილობა. ეგრისის სამეფო ფლოტს საჭიროების შემთხვევაში რომაელთა მხარეზე უნდა ებრძოლა.

ახალი ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფო არასოდეს არ ყოფილა ისეთი ვრცელი როგორც IV ს-ის 70-იან წლებში. შავიზღვისპირეთში ის ქალაქ რიზედან (თურქეთში) გაგრის ჩრდილო-დასავლეთით ვრცელდებოდა. ეგრისის საზღვრებში აფშილეთი, აფხაზეთი, სვანეთი და თაკვერი შედიოდა. აფშილეთს უშუალოდ სამეფო ადმინისტრაცია მართავდა. თაკვერს ანუ დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმს, სვანეთს და აფხაზეთს ეგრისის მეფის მიერ დამტკიცებული ერისთავები განაგებდნენ. მათ შორის აფხაზებს, იგივე აბაზგებს ორი ერისთავი ჰყავდათ. ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში ამ დროს, როგორც ჩანს, ჭოროხის აუზის დიდი ნაწილი ანუ კლარჯეთის საერისთავოც შედიოდა. იმჟამად ეგრისის სამეფოს ქართლიდან ლიხის ქედი გამოჰყოფდა და არგვეთის საერისთავოც მას ექვემდებარებოდა.

ჯერ კიდევ 330 წლის 11 მაისს რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა ძველი ბერძნული ქალაქის ბიზანტიონის ადგილას, მარმარილოს ზღვის სანაპიროზე, საზეიმოდ გახსნა ახალი ქალაქი, რომელსაც ძალზე მალე „კონსტანტინეს ქალაქი" ანუ „კონსტანტინოპოლი" ეწოდა. ეს ქალაქი ერთიანი რომის იმპერიის დედაქალაქად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ დაახლოებით შვიდი ათეული წლის შემდეგ მხოლოდ ამ იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის დედაქალაქად იქცა. 395 წელს რომის იმპერატორმა თეოდოსიმ სიკვდილის წინ სამეფო ორ თავის ვაჟს არკადიუს და ჰონორიუსს გაუყო. ამის შემდეგ რომის იმპერია აღარ გაერთიანებულა. 410 წ. რომი თავის ისტორიაში პირველად გერმანელთა წინამძღოლმა ალარიხმა აიღო, ხოლო 476 წ. გერმანელთა დაქირავებული ჯარის მეთაურმა ოდოაკრმა დასავლეთ რომის იმპერიის უკანასკნელი იმპერატორი რომულუსი გადააყენა. ისტორიის ირონიით, ქალაქ რომის ლეგენდარულ დამაარსებელს, პირველ მეფეს და რომის იმპერიის ბოლო კეისარს ერთიდაიგივე სახელი „რომულუსი" ერქვათ. დასავლეთ რომის იმპერიამ ამით თავისი არსებობა შეწყვიტა. აღმოსავლეთ რომის იმპერიამ კი კიდევ თითქმის 1000 წელი იარსება. აღმოსავლეთ რომის იმპერია უფრო ბიზანტიის სახელით მოიხსენიება, თუმცა საკუთრივ ბიზანტიელები მრავალი საუკუნის მანძილზე თავიანთ ქვეყანას ისევ რომს უწოდებდნენ, თავიანთ თავს კი რომაელებს. ქართული წყაროები ბიზანტიას ჩვეულებრივ „საბერძნეთს", ბიზანტიელებს „ბერძნებს", ხოლო ბიზანტიის იმპერატორებს „ბერძენთა მეფეებს" ან კიდევ „კეისრებს" ეძახდნენ **(იხ. რუკა 9).**

IV ს-ის ბოლოსა და V ს-ის დასაწყისის ქართლის მეფეებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ბაკურის ძე ფარსმან IV, რომელიც ბიზანტიის დახმარებით სპარსეთის უზენაესობისაგან ქართლის სამეფოს განთავისუფლებას შეეცადა. სპარსელებთან ომში ქართლის მეფემ ჰუნები გამოიყენა და ერთ ხან


პირობითი ნიშნები
1 — ქართლის სამეფო
2
3
4
საქართველოს საეკლესიო ცენტრები
VI-ის ბოლო – VIII-ის დასაწყისი
ბიზანტია

სპარსეთს ხარკიც კი შეუწყვიტა. V ს-ის დასაწყისში ქართლში პეტრე იბერის მამა მეფობდა, რომელსაც [illegible] „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, მირდატი, იგივე „მითრას მოცემული", პეტრე იბერის „ასურული ცხოვრებით" კი ბუზმარიოსი, იგივე ბუზმირი ერქვა.

IV ს-ის ბოლოს რომსა და სპარსეთს შორის სომხეთისათვის ხანგრძლივი ბრძოლა სპარსეთის გამარჯვებით დამთავრდა, რომელიც ამ ქვეყნის უდიდეს ნაწილს უშუალოდ დაეუფლა. 428 წ. სპარსეთმა სომხეთში მეფობა გააუქმა. V ს-ის დასაწყისიდან სპარსეთის უღელი ქართლშიც ძალზე დამძიმდა. სპარსელები ქართველებისაგან ქრისტიანობის უარყოფას და მაზდეანობაზე გადასვლას მოითხოვდნენ. ისტორიკოსის ცნობით, სპარსელების შიშით ქართველებს ერთ ხანს ჯვრების დამალვაც კი დაუწყიათ, ხოლო ბევრ ქრისტიანულ ტაძარში მაზდეანთა ცეცხლი აგიზგიზდა.

V ს-ის დასაწყისის ქართლის მეფეები (ბაკურ II, არჩილ I) თავგამოდებით იბრძოდნენ დამოუკიდებლობისა და ქრისტიანობის შესანარჩუნებლად. ისინი მოხერხებულად იყენებდნენ სპარსეთის ყოველგვარ საგარეო გართულებას და დროდადრო რამს და მოუკანს არბევდნენ.

## § 26. ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა

V ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში ქართლის მეფე მირდატი. მისი მეუღლე და ქართლის დედოფალი რანის პიტიახშის ასული საგდუხტი იყო. მირდატის მეფობაში სპარსეთთან შედარებით მშვიდობიანი ურთიერთობა სუფევდა. გათხოვების შემდეგ საგდუხტი მალევე ქართულ ენას, კულტურას და ქრისტიანულ მრწამსს ეზიარა. დედოფალმა საგდუხტმა სამშვილდის სიონის ტაძარი ააშენა.

### სიონი

„სიონი" ებრაული სიტყვაა და [illegible]

მირდატს და საგდუხტს ორი ასული ხვარამზე (მზეთა-მზე; „ხვარა", „ხუარა" სპარსულად ნიშნავს მზეს) და მირანდუხტი და ერთი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე ვახტანგი ჰყავდათ. ძველი ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობით, სახელი „ვახტანგი" მისთვის შერქმეული სამი სახელის „ვარან", „ხოსრო" და „თანგ"-ის შერწყმის შედეგადაა მიღებული. „ვარან", იგივე „ბარამ" - ძველი სპარსული ღვთაების სახელია. აქედან მოდის ქართული „ვეშაპი". „ხუსრო" ანუ „ხოსრო" კი სპარსულ ენაზე სახელოვანს, სახელგანთქმულს ნიშნავს. ქართლის სამეფოში არსებული წესის თანახმად, უფლისწულებს დაბადებისთანავე ქართლის დიდებულთა ოჯახებში აბარებდნენ. ასეთ აღმზრდელ-მშობლებს „მამამძუძე" და „დედამძუძე", მათ შვილებს კი „ძუძუმტეები" ეწოდებოდათ. ვახტანგი, როგორც ტახტის მემკვიდრე, ქართლის სპასპეტის ოჯახში გაიზარდა.

ქართლის მეფე მირდატი მალე გარდაიცვალა. შვიდი წლის ვახტანგი მამამძუძის ოჯახიდან წამოიყვანეს და სამეფო ტახტზე აიყვანეს (442-502). ახალი მეფე სპარსეთს უნდა დაემტკიცებინა. სპარსეთის შაჰის ხელისუფლებას კი სამხრეთ კავკასიაში რანის პიტიახში განასახიერებდა. ამიტომ დედოფალი საგდუხტი თავის მამას, რანის პიტიახშს ეწვია და, მცირეწლოვანებისდა მიუხედავად, ქართლის მეფედ ვახტანგის დამტკიცება სთხოვა. პიტიახშმა თავის ასულს თხოვნა შეუსრულა, მაგრამ სამაგიეროდ ქართლის სამეფოში მობიდან-მობედი ანუ მაზდეანთა მთავარეპისკოპოსი „ქართლის ცხოვრების" ბინქარანი, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ელონოქორი გამოაგზავნა და მას მეფის მცირეწლოვანებაში ქართლის სამეფოსა და იმავამად ქართლზე დაქვემდებარებული ჰერეთის გამგებლობა მიეცა. ბინქარანს ქართლში მაზდეანი ქურუმები - მოგვები მოჰყვნენ, რომლებიც ქართლში მაზდეანობის საქმეს წარმატებით ქადაგებდნენ.

დედოფალმა საგდუხტმა მცირეწლოვანი მეფის აღსაზრდელად და ქრისტიანობის განსამტკიცებლად ანტიოქიიდან „მღვდელი ჭეშმარიტი", მიქაელი მოიწვია. მიქაელი მთავარეპისკოპოსად აკურთხა და ქართლის ეკლესიის წინამძღოლი გახდა. ის წინ აღუდგა ბინქარანის მოღვაწეობას, რისთვისაც ქართლის სამეფოში დიდი სახელი მოიხვეჭა.

ვახტანგის მცირეწლოვანებით ალან-ოსებმა ისარგებლეს. 40-იან წლებში ისინი არაგვის ხეობით ქართლში შემოიჭრნენ და ქვეყანა დაარბიეს. ოსები ქალაქ კასპს დაესხნენ თავს. ამ ქალაქში იმავამად ვახტანგის უმცროსი

და მირანდუხტი იყო გამოკეტილი, რაც, რა თქმა უნდა, თავდამსხმელებს კარგად მოეხსენებოდათ. ოსებმა ქალაქი აიღეს, მირანდუხტი ტყვედ წაიყვანეს და დიდი ნადავლით უკან გაბრუნდნენ.

თხუთმეტი წლის ვახტანგ მეფემ თავისი პირველი სამეფო თათბირი მოიწვია, რისთვისაც მცხეთაში საგანგებო შენობა გამზადდა. სამეფოში ასეთი თათბირები ჩვეულებრივ უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად იმართებოდა. წინასწარ იყო განსაზღვრული, თუ მოწვეულნი მეფის რომელ მხარეს და მისგან რა დაშორებით დამსხდარიყვნენ. თათბირზე ვახტანგ მეფე მაღალ ტახტზე – საყდარზე დაჯდა. უფრო დაბალ ტახტებზე, მეფის მარჯვნივ და მარცხნივ ქართლის სპასპეტი, მიქაელ მთავარეპისკოპოსი და მობედან მობედი ანუ მაზდეანთა მთავარეპისკოპოსი ბინქარანი დასხდნენ. ერისთავები სელებზე – სკამებზე განლაგდნენ. ათასისთავები, ასისთავები და მხედრობა ფეხზე დამდგარი უსმენდა მეფის სიტყვას. მეფემ თათბირის მონაწილეებს მის მიერ ქვეყნის უშუალო მართვა-გამგეობის დაწყება აცნობა და ოსეთზე ლაშქრობისათვის მომზადება უბრძანა. ახალგაზრდა მეფე გამორჩეული აღნაგობის ყოფილა. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ვახტანგი იყო „უმშვენიერესი სახითა და ძლიერი ძალითა, ისე, რომ შეჭურვილი ქვეითად ირემს მიეწეოდა, ჩასჭიდებდა რქებში ხელს და დაიჭერდა; შეჭურვილ ცხენს გაიდებდა მხრებზე და ასე ავიდოდა მცხეთიდან არმაზის ციხემდე". მისი სიმაღლე 12 მტკაველი ანუ ორ მეტრზე მეტი იყო. ვახტანგ მეფე ისტორიაში „გორგასლის" სახელითაა ცნობილი. „გორგ-ასალ" სპარსულად „მგლის თავს" ნიშნავს. ეს სახელი მას იმიტომ ეწოდა, რომ მის მუზარადზე მგელი – ფარნავაზიანთა საგვარეულო ემბლემა იყო გამოსახული.

453-56 წწ-ში სპარსეთსა და ბიზანტიას შორის მორიგი ომი მიმდინარეობდა. ვახტანგ მეფემ საერთაშორისო ვითარება კარგად შეაფასა. ის ხედავდა, რომ ბიზანტიის მიერ მიტაცებული ტერიტორიის დაბრუნება მხოლოდ სპარსეთის ლაშქრის დახმარებით შეიძლებოდა. ამიტომ ვახტანგი თავისი მეფობის დასაწყისში სპარსეთს ერთგულებდა. ოსეთზე სალაშქროდ ვახტანგ მეფემ ბიძის, რანის პიტიახშის ლაშქარი დაიხმარა. მეფე ოსეთისაკენ არაგვის ხეობით გაემართა. წინ „ცხენოსან-თოროსანნი" და „ჯაჭვ-ჩაბალახოსანნი" ანუ მძიმედ შეჭურვილი მხედრობა მიდიოდა. მას უკან ასევე მძიმედ შეჭურვილი ქვეითები მიჰყვებოდნენ, რომელსაც მსუბუქად შეიარაღებული მხედრობა მისდევდა. მეფე თავისი რჩეული მეომრებით ლაშქარს უკან მიჰყვებოდა. თერგის პირას დარიალის ციხის ქვემოთ ქარაფებიდან ოსებმა და მათმა მოკავშირე ჰუნებმა ქართველებს ისრები წვიმასავით დაუშინეს. ქართველებმა მტერს შეუტიეს. აღმართი ჯერ მძიმედ შეჭურვილმა მხედრობამ აიარა, რომელსაც მთელი ლაშქარი მიჰყვა. დაიწყო ძლიერი ბრძოლა, სადაც პირველ რიგში მეფე გამოირჩეოდა. მემატიანის ხატოვანი თქმით: „ვახტანგი თუ მარცხენა მხარეს იბრძოდა, მარჯვენა მხარეს მრწოდნენ და თუ მარცხენა მხარეს იბრძოდა, მარჯვენა მხარეს მრწოდნენ". ბრძოლა ქართველების გამარჯვებით დასრულდა. გამარჯვების შემდეგ ქართლის მეფემ მთელი ოსეთი დაარბია და მათი მოკავშირე ჰუნებიც დალაშქრა. ვახტანგმა გაანთავისუფლა ქართლიდან ოსთა მიერ წაყვანილი ტყვეები, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, თავისი და მირანდუხტი. შემდეგ ვახტანგი ოსეთიდან კოდორის ხეობით აფხაზეთში გადავიდა და დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის წინააღმდეგ გაილაშქრა.

იმხანად ეგრისში გუბაზ I (450-470) მეფობდა. მისი მეფობის წლებში ეგრისი თავისი სიძლიერის მწვერვალზე იმყოფებოდა. გუბაზმა ბიზანტიისაგან სრული განთავისუფლება მოინდომა, ამიტომ მან სიცოცხლეშივე თავისი ვაჟი თანამოსაყდრედ გაიხადა. ძველ საქართველოში გავრცელებული ტრადიციის თანახმად, მეფეებს ხშირად ტახტის მემკვიდრეები თავიანთ სიცოცხლეშივე ტახტზე აჰყავდათ. ასეთ მეფე-უფლისწულს „თანამოსაყდრე" ეწოდებოდა. გუბაზის ეს საქციელი ბიზანტიაში ეგრისის სამეფოს მორჩილებიდან გამოსვლად იქნა აღქმული, რადგან ეგრისის ახალი მეფეების დამტკიცებას ბიზანტია მხოლოდ თავის უფლებად მიიჩნევდა. ბიზანტიის კეისარმა ეგრისში ჯარები შეიყვანა. ამ დროს ეგრისის მეფეს ბიზანტიელთა წინააღმდეგ თავისი ლაშქრით ვახტანგი დაეხმარა. ამ ჯერზე ბიზანტიის ჯარმა ვერ მიაღწია წარმატებას და მალე უკანვე გაბრუნდა. ვახტანგმა ეგრისს თაკვერის, არგვეთის და კლარჯეთის საერისთავოები ჩამოართვა და უშუალოდ ქართლის სამეფოს შეუერთა. ეგრისის მეფე კი ვახტანგის ვასალად იქცა. ამგვარად, ფარნავაზის შემდეგ, ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების შესაყარზე, ვახტანგ გორგასალმა ქართული ქვეყნები მცირე ხნით კიდევ ერთხელ ერთიანი სამეფოს საზღვრებში მოაქცია. ამავე ხანებში გორგასალმა ცოლად მოიყვანა სპარსეთის მეფის ასული ბალანდუხტი. ამით მან თავისი ახლო ნათესაური და მეგობრული ურთიერთობა სპარსეთის შაჰის კართან კიდევ უფრო განამტკიცა. ბალანდუხტმა ტყუპი ქალ-ვაჟი შვა და მშობიარობას გადაჰყვა. ამ ქორწინებიდან ვახტანგს ტახტის მემკვიდრე დარჩილი, იგივე არჩილი შეეძინა. იმხანად ვახტანგი სპარსეთის შაჰის ბრძანებით, რანის, სომხეთის და სპარსეთზე დაქვემდებარებულ სხვა სამხრეთ კავკასიელ მეფე-მთავრებთან ერთად ბიზანტიაში შეიჭრა და ქალაქ ტრაპეზუნტს ალყა შემოარტყა. ალყის დროს ვახტანგი დაუახლოვდა ორ ბერძენ ბერს, პეტრესა და სამუელს, რომელთა მეშვეობით ტრაპეზუნტის

მხედრად მოსულ ბიზანტიის იმპერატორთან საიდუმლო მოლაპარაკება გამართა. ვახტანგს ამ ხანისთვის ქართლის ტერიტორიები უკვე დაბრუნებული ჰქონდა. ასეთ ვითარებაში მას ბიზანტიასთან კავშირი უფრო აწყობდა. კეისრის დაპირება ვახტანგს სპარსეთისგან განთავისუფლებაში ეხმარებოდა. ბიზანტიისაგან დაიმედებული ვახტანგი ქართლში დაბრუნებისთანავე შაჰს აუჯანყდა. მან ქართლის ტერიტორიაზე დაყენებული მაზდეანთა ეპისკოპოსი ბინქარანი შეიპყრო და საპყრობილეში ჩააგდო. აგრეთვე „მოსრა და გააძევა ყოველნი ცეცხლის მსახურნი ქართლის ტერიტორიიდან". ახლად გამეფებულმა სპარსეთის შაჰმა პეროზმა ვახტანგის წინააღმდეგ გამოილაშქრა. ვახტანგს ბიზანტია დაეხმარა, მაგრამ ეს ქართლიდან სპარსეთის სრულიად განდევნად საკმარისი არ აღმოჩნდა. თავის მხრივ სპარსეთის შაჰიც იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. პეროზმა ვახტანგს აღუთქვა, რომ მაზდეანობას ქართლში აღარ გაავრცელებდა და ბინქარანის შემცვლელს არ გამოაგზავნიდა. სამაგიეროდ ქართლის მეფემ სპარსეთის შაჰი კვლავაც თავის პატრონად – სიუზერენად აღიარა და ხარკის ანგარიშში ათასობით ცხვარი, ხარი, ცხენი და მონა-მხევალი საჩუქრად მიართვა.

460-იან წლებში სპარსეთი შუა აზიაში მის აღმოსავლეთის საზღვრებში შემოჭრის მოსურნე ჰუნებთან მძიმე ომებს აწარმოებდა. პეროზმა ვახტანგს მისი დის მირანდუხტის ხელი თხოვა და შორეულ ქვეყნებში სალაშქროდ მოუხმო. მაშინ ვახტანგ მეფემ თავის ხუთი წლის ვაჟს დარჩილს სამეფო გვირგვინი დაადგა და ქართლში მეფედ დატოვა. მცირეწლოვან მეფეს საალერსო სახელად „დაჩის" უწოდებდნენ. ამ სახელით შევიდა ის ისტორიაში. მეფე დაჩის წყაროები „დაჩი უჯარმელის" სახელითაც მოიხსენიებენ, ვინაიდან თბილისის დედაქალაქად გადაქცევამდე, მისი მთავარი რეზიდენცია უჯარმის ციხე-ქალაქი იყო. პეროზმა მირანდუხტთან ქორწილი თავის დედაქალაქ ქტეზიფონში დიდი ზეიმით გადაიხადა. ქორწილამდე ვახტანგ მეფემ დედასთან და უფროს დასთან ერთად იერუსალიმი მოილოცა. ქორწილის შემდეგ კი ვახტანგი სპარსეთის შაჰს თავისი ლაშქრით, რომელშიც ქართველებთან ერთად სომხებიც შედიოდნენ, შორეულ ლაშქრობაში გაჰყვა. ჰუნების შემოსევებით ბიზანტიაც იყო შეწუხებული. ამიტომ ბიზანტიის კეისარმა სპარსეთის შაჰს ფულადი შემწეობაც აღმოუჩინა. „ქართლის ცხოვრებით", პეროზს ამ ლაშქრობაში ბიზანტიელთა ლაშქარიც ახლდა.

პეროზი ვახტანგ გორგასლის თანხლებით ჯერ კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე გურგანში, იგივე ჯორჯანეთში მივიდა და ეს გამდგარი მხარე დაიმორჩილა. შემდეგ კი აღმოსავლეთით გაემართა, ამუ-დარიის სათავეებთან ჰინდუკუშის მთაგრეხილი გადალახა და მდინარე ინდის შუა წელზე „ჰინდოეთში" დაეშვა. მისი დალაშქვრის შემდეგ პეროზ მეფემ და ვახტანგ გორგასალმა მდ. ინდის ქვემო დინებაზე სინდეთი დაიმორჩილეს. სინდეთიდან ისინი დასავლეთით, სეჯისთანში ანუ სისტანში შეიჭრნენ. სისტანის დამორჩილების შემდეგ პეროზი და ვახტანგი ხორასნისაკენ გაემართნენ და ქტეზიფონში დაბრუნდნენ. ამ ლაშქრობას ვახტანგ გორგასალმა [illegible] წელი მოანდომა. ვახტანგი ქართლში მხოლოდ 468 წლისათვის დაბრუნდა **(იხ. რუკა 9).**

ლაშქრობიდან ვახტანგის შორს ყოფნით ბიზანტიამ ისარგებლა და ეგრისის სამეფოზე თავისი ხელისუფლება ისევ აღადგინა. გუბაზ მეფე იძულებული გახდა 465 წლისათვის კონსტანტინოპოლში კეისართან ჩასულიყო და ბიზანტიის უზენაესობა კვლავ ეცნო, თანაც ზღვის სანაპირო რიზედან ხუფათის ციხემდე ბიზანტიისათვის დაეთმო. კონსტანტინოპოლში გუბაზი სპარსულ ტანსაცმელში გამოწყობილი და სპარსული წესისამებრ შუბოსანი მხლებლებით გარშემორტყმული ჩავიდა. კეისრის კარი გუბაზს მოხერხებული სიტყვა-პასუხით და „საქრისტიანო ნიშნების ტარებით" მოუხიბლავს.

ქართლში დაბრუნებულმა ვახტანგ გორგასალმა სპარსეთის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის სამზადისი დაიწყო. მან კარგად იცოდა, რომ დამოუკიდებლობის მისაღწევად სპარსეთთან ხანგრძლივი ომი ელოდა. ამიტომ ქართლის სამეფოს გასაძლიერებლად მრავალმხრივი მოღვაწეობა გააჩაღა. ვახტანგი პირველ რიგში ბიზანტიას დაუახლოვდა და ბიზანტიასთან კავშირის განსამტკიცებლად კეისრის ასული ელენე ცოლად მოიყვანა.

### ႱႠႱႠႬႨႣႨ ႸႠჀႨ ႮႤႰႭႦႨ

სასანიდთა სპარსეთის ისტორიაში პეროზი (459–484) ერთ-ერთი დიდი შაჰი იყო. ის მრავალი წლის მანძილზე შუა აზიაში წარმატებით ებრძოდა მომთაბარე ჰუნ-ეფთალიტებს. პეროზმა სპარსეთი და მთელი წინა აზია მოსალოდნელი შიმშილობისაგან გადაარჩინა, თუმცა იგი ეფთალიტებთან ბრძოლას შეეწირა. შაჰ პეროზი ცნობილია ჩვენთვის „შუშანიკის წამებიდან". საინტერესოა ისიც, რომ პეროზის მეფობის წლებით დათარიღებულია ერთ-ერთი უძველესი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი, ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა: „შეწევნითა წმიდისა სამებისაითა ოც წელსა პეროზ მეფისა ზე იწყო შენებაი ამის ეკლესიისაი და ათხუთმეტ წელსა შემდგომად განასრულა. ვინ აქა შინა თაყუანი სცეს ღმერთმან შეიწყალენ. და ვინ ამის მაშენებელთა დავით ეპისკოპოსისათჳს ულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალოს". როგორც ვხედავთ, ბოლნისის სიონის მშენებლობა პეროზის მეფობის მეოცე წელს ანუ 479 წ. დაწყებულა და მშენებლობის მეთხუთმეტე წელს ანუ 494 წ. დასრულებულა.

ქვეყნისა და ქართული ქრისტიანული ეკლესიის გაძლიერების მიზნით, მეფემ საეკლესიო რეფორმა განიზრახა, მით უფრო, რომ მიქაელ მთავარეპისკოპოსი თავს თითქმის მეფის ტოლად თვლიდა და თავის გაზრდილს არ ეპუებოდა. ვახტანგმა კონსტანტინოპოლიდან ქართლის ეკლესიის სათავეში კათალიკოსის დაყენების უფლება მიიღო, რაც ქართლის ეკლესიისათვის თვითმმართველობის მინიჭებას ნიშნავდა. მიქაელმა კათალიკოსობის დაწესებაში თავისი ძალაუფლების ხელყოფა დაინახა, სასტიკად განრისხდა და მასთან ხელზე საამბოროდ დაჩოქილ მეფეს ფეხით წინა კბილი ჩაულეწა. ჩატეხილი კბილი, მიქაელის მამხილებელ წერილთან ერთად, ვახტანგ მეფემ კონსტანტინოპოლის პატრიარქს გაუგზავნა, თვით მიქაელი კი ქართლიდან გააძევა. ქართლის ეკლესიის სათავეში პირველი კათალიკოსი პეტრე ჩაუდგა.

ვახტანგ გორგასალმა ქართლის სამეფოს სხვადასხვა მხარეებში თავისი ხელისუფლების განსამტკიცებლად ახალი სამეფო ქალაქები დააარსა. გორგასლის დაარსებულად ითვლება ხორნაბუჯი (ჰერეთში), ჭერემი (კახეთში), არტანუჯი (კლარჯეთში). მანვე დაიწყო ქალაქ თბილისის მშენებლობა, რომელიც იმთავითვე დედაქალაქად ჰქონდა ჩაფიქრებული. მეფემ განსაკუთრებით გაამაგრა უჯარმის ციხე-ქალაქი, რომელიც თბილისის აშენებამდე ფაქტობრივად თავის მთავარ რეზიდენციად აქცია.

V ს-ის 70-იან წლებში ვახტანგ გორგასალმა გამდგარი ეგრისი ხელახლა დაიმორჩილა. იმხანად ეგრისის საზღვარი (**ხაზი-ღორი**), ისევე ბიზანტიური წყაროების ზამბაზე (**ზამბა-ზე**) გადავიდა.

ქვეყნები და საერისთავოები ვახტანგ გორგასლის ხანაში

„ქართლის ცხოვრებამ" ვახტანგ გორგასლის ხანის საერისთავოებისა და მათი გამგებელი ერისთავების შესახებ ასეთი ცნობები შემოგვინახა: [illegible] - ერისთავი კახეთისა და კუხეთისა, [illegible] - ერისთავი ჰერეთისა, [illegible] - ერისთავი ზღუდისა, [illegible] - ერისთავი სამშვილდისა, სამძივარი - ერისთავი შიდა ეგრისისა და სვანეთისა, ბაკურ - ერისთავი მარგვეთისა და თაკვერისა, არტავაზ - ერისთავი კლარჯეთისა, [illegible] - ერისთავი წუნდისა და [illegible] - ერისთავი [illegible]. სამძივარი „ერისთავი შიდა ეგრისისა და სვანეთისა" ვახტანგ გორგასლის ვასალი ეგრისის მეფე იყო, რომელიც [illegible] 470-იან წლებში [illegible] ეგრისის და ბიზანტიურ წყაროებში დამოუკიდებლად მოიხსენიება.

ვახტანგ გორგასალმა დიდ წარმატებას საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთითაც მიაღწია. მან ქართლის სამეფოს ისტორიაში პირველმა ულაშქრა სამხრეთ დაღესტანში და აქ მდ. სამურის სათავეებში მცხოვრები წუქეთი დაიმორჩილა. წუქეთი მან ჰერეთის საერისთავოს შეუერთა.

ვახტანგ გორგასლის სწრაფვა ქვეყნის გაერთიანებისა და გაძლიერებისაკენ წარჩინებულთა დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ქვემო ქართლის გამგებელი ქართლის პიტიახში ვარსქენი გამოირჩეოდა, რომელიც მეფისაგან დამოუკიდებლობის მიღწევის მიზნით, მაზდეანობაზეც კი გადავიდა. 482 წელს ვახტანგ გორგასალმა ვარსქენ პიტიახში მოაკვლევინა, რაც სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყების დაწყებას ნიშნავდა. აჯანყების დრო თითქმის კარგად იყო შერჩეული, სპარსეთს აღმოსავლეთიდან კვლავ ჰუნები უტევდნენ. ამიტომ ვახტანგს ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარე ჰუნების იმედი ჰქონდა. მას სომხები და ბიზანტიელებიც თავის მოკავშირედ ეგულებოდა. ვახტანგ გორგასლის ომი სპარსეთთან დიდხანს გაგრძელდა. მოკავშირეთა დახმარება საკმარისი არ აღმოჩნდა, მიუხედავად ამისა, ვახტანგმა სპარსელებზე არაერთხელ გაიმარჯვა, მაგრამ სპარსეთი სულ ახალ და ახალ ლაშქარს აგზავნიდა.

სპარსელებთან ვახტანგ გორგასლის უკანასკნელი ბრძოლა 502 წელს უჯარმის ახლოს იორის პირზე გაიმართა. ბრძოლის წინ ვახტანგმა ასე მიმართა თავის ლაშქარს: „სიკვდილს გადარჩენილი ყოველი კაცი ბრძოლის ველიდან მტრის თავს ან ხელს თუ არ გამოიტანს, ჩვენს შორის სიკვდილით დაისჯება".

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ მტრისათვის ხელის მოჭრის ტრადიცია საქართველოში ძალზე დიდხანს შემორჩა. ამას თუნდაც ვაჟა-ფშაველას ცნობილი პოემა „ალუდა ქეთელაური" მოწმობს.

„ქართლის ცხოვრების" ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ მტრისათვის ხელის მოკვეთის ტრადიცია ანტიკური ხანის საქართველოს ბარშიც იყო გავრცელებული.

გათენების ჟამს ქართველებმა მტრის ბანაკს მოულოდნელად შეუტიეს. ვახტანგი სპარსეთის შაჰის კარავში შეიჭრა. შაჰმა ცხენზე შეჯდომა და გაქცევა მოასწრო, ქართლის მეფემ კი სპარსელი უფლისწული განგმირა. ამ დროს ვახტანგი იარით დაიჭრა. მეფემ ისრისპირი მკერდიდან არ ამოაღებინა და ბრძოლა გააგრძელა. მოწინააღმდეგენი მხოლოდ ბინდბუნდმა განაშორა. დაჭრილი მეფე უჯარმაში წაიყვანეს, სადაც ჭრილობისაგან გარდაიცვალა. დიდი მეფე მისივე აგებულ სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს. გადმოცემით, საფლავის ქვაზე ვახტანგ გორგასალი მთელი ზრდით იყო გამოსახული.

ვახტანგ გორგასალმა ქართველი ხალხის მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დატოვა. ჯერ კიდევ XI საუკუნეში საქართველოში ხატივით ინახავდნენ ამ მეფის აბჯარს და სამოსელს, რომელიც მნახველს თავისი ზომებით აკვირვებდა. საუკუნეთა მანძილზე ქართველები სამეფო დროშას „გორგასლიანს" უწოდებდნენ. ვახტანგ გორგასლის მეფობით დასრულდა საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდი და დაიწყო შუა საუკუნეების ხანა.

# თავი V

## საქართველო შუა საუკუნეებში

### § 27. რა არის ფეოდალიზმი

შუა საუკუნეები მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ფეოდალური წყობილების ხანაა. „ფეოდალიზმი" ლათინური სიტყვა „ფეოდუმიდან" მოდის. ასე ეწოდებოდა დასავლეთ ევროპაში მიწის ნაკვეთს, რომელსაც ხელმწიფეები თავიანთ მოლაშქრეებს სამხედრო სამსახურის პირობით აძლევდნენ. თავდაპირველად ეს მიწები მათ დროებით სარგებლობაში ჰქონდათ, ხოლო მოგვიანებით - მემკვიდრეობით მფლობელობაში. ფეოდების მფლობელებს „ფეოდალები" ერქვათ. საქართველოში ფეოდალურ ეპოქას სამ პერიოდად ყოფენ: ადრე - VI-IX, განვითარებული - X-XV და გვიან ფეოდალურ ხანად - XVI-XIX სს-ის I ნახევარი. ადრე და განვითარებულფეოდალურ ხანაში საქართველოში ფეოდალებს „აზნაურები" ეწოდებოდათ. მათ მფლობელობაში მყოფ მიწას კი - „მამული", რაც მამეულს ანუ მამისაგან - წინაპრისაგან მემკვიდრეობით მიღებულს ნიშნავს. წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული ასეთი მიწების უმეტესობა სხვადასხვა დროს მეფეების მიერ აზნაურის ოჯახის წევრთათვის განსაკუთრებული დამსახურების სანაცვლოდ იყო ბოძებული.

ანტიკურ ხანაში ქართლის სამეფოში, როგორც გვახსოვს, მიწის უდიდესი ნაწილი მეფეს და სამეფო ოჯახს ეკუთვნოდა. მეფეები საკუთარ ვაჟებს, ძმებს, ძმისწულებს, ქვეყნის ამა თუ იმ მხარეში ერისთავებად, ციხისთავებად, სპასალარებად აგზავნიდნენ. როგორც წესი, ისინი იქ მკვიდრად იკიდებდნენ ფეხს და თანდათანობით მსხვილ აზნაურულ საგვარეულოებს უდებდნენ სათავეს. თავის მხრივ ეს წარჩინებული საგვარეულოები ვაჟებს აგზავნიდნენ სამეფო სამსახურში. განსაკუთრებული წარმატების შემთხვევაში ისინიც მეფისაგან სოფლებით, ციხეებით, მიწებით ჯილდოვდებოდნენ და ახალ აზნაურულ საგვარეულოებს წარმოქმნიდნენ. მსხვილი მამულების მფლობელ აზნაურებს „მთავრები" ერქვათ.

ქართლის სამეფოს მესამე წოდებას ანტიკურ ხანაში მხედრობა ანუ თავისუფალი მიწათმოქმედები შეადგენდნენ, რომელსაც „ერი" ეწოდებოდა. ერი უძველესი დროიდან თემებად ცხოვრობდა. მისი უმთავრესი მოვალეობა სამხედრო სამსახური იყო. აზნაურებთან ერთად ისინი, როგორც გვახსოვს, ქართული ლაშქრის უმთავრეს ნაწილს, მხედრობას შეადგენდნენ. ამიტომაც ძველ ქართულში „ერი" ერთდროულად ხალხს და ჯარს აღნიშნავდა. სამხედრო სამსახური იოლი როდი იყო. სრულ სამხედრო აღჭურვილობას: აბჯარს, ხმალს, შუბს, მუზარადს, ცხენს, განსაკუთრებით შეჯავშნულ ცხენს დიდი ქონებრივი შეძლება სჭირდებოდა. ერის დიდი ნაწილი აღჭურვისათვის საჭირო თანხებს ვერ შოულობდა და სამხედრო სამსახურის მიღმა რჩებოდა. სამაგიეროდ უფრო შეძლებული ერისნები გამარჯვებების შემთხვევებში ნაალაფარით მდიდრდებოდნენ. წარმატებული ბრძოლების შემდეგ მეფე მხედრებს ხშირად მიწებით ასაჩუქრებდა. ეს მიწები, ძირითადად, მათ მშობლიურ მხარეებში ეძლეოდათ. ასეთი გამდიდრებული ერისნები თავიანთ თემს თუ სოფელს უკვე უფალ-პატრონებად ებრუნდებოდნენ.

ფეოდალური საზოგადოება, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო სამსახურის პრინციპზე იყო დაფუძნებული. ამიტომ მისი ცხოვრების წესი ხშირი ომიანობა, ურთიერთ მიხდომა, ურთიერთ ქიშპი იყო. ასეთ ვითარებაში მცირე მამულის მფლობელი აზნაურები მთავრებში დამცველ ძალას ხედავდნენ და მათ მფარველობაში შედიოდნენ. მფარველს ევროპაში „სიუზერენი", ქართულად „უფალი", „პატრონი", მოგვიანებით „ბატონი" ეწოდებოდა. მფარველობაში შესულს ევროპაში „ვასალი", საქართველოში კი „ყმა" ერქვა. ასეთ ყმას, როგორც წესი, თვითონაც ჰყავდა საკუთარი ყმები - მსახურები, რომლებისთვისაც ის თავის მხრივ უფალი-პატრონი იყო. ამიტომ ქართული ფეოდალური საზოგადოება, ისევე როგორც სხვაგან, იერარქიული კიბის პრინციპზე იყო აგებული. ამ კიბის სათავეში მეფე იდგა, მის ქვემოთ მთავრები ანუ დიდებული აზნაურები, მეფესთან განსაკუთრებით დაახლოებულები, მეფის „კარისანი" და „წინაშემდგომელნი". მათ ქვემოთ აზნაურები, ამ უკანასკნელებს კი - მსახურები მისდევდნენ.

ფეოდალებს ქართლის სამეფოში ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში წარმოქმნილი მეოთხე წოდება - „სამეფო მონები" ანუ დაქვემდებარებული, გამოქცეული მიწის მუშაკი ინახავდა. შუა საუკუნეების საქართველოში ასეთ მიწის მუშაკს გლეხი ეწოდებოდა. მას თავისი საგლეხო მამული გააჩნდა, რომელზეც მეურნეობა ჰქონდა მოწყობილი. მიწის მესაკუთრედ პატრონი-აზნაური ითვლებოდა, ამიტომ გლეხი თავისი მამულით სარგებლობისათვის პატრონის წინაშე გადასახადს - ხარკს ანუ ბეგარას

იხდიდა და მის მიწას ამუშავებდა. გლეხობის ერთ ნაწილს გადატაკებული ერისთვები წარმოადგენდ
რომლებიც თანდათანობით სამხედრო სამსახურს ჩამოშორდნენ და უფალ-პატრონის წინაშე თავიან
სამსახურს მიწის მუშაკობით ანუ მიწის დამუშავებითა და ბეგარა-გადასახადებით იხდიდნენ. ეკლესია
ფეოდალური ურთიერთობის საფუძველზე მოეწყო. ეკლესია-მონასტრებს საქართველოს სხვადასხ
მხარეში მრავალი სოფელი და მამული გააჩნდათ, რომლებიც მათ ძირითადად მეფე-მთავართაგ
შეწირულობის გზით ჰქონდათ მიღებული. ხშირად მთავრები ბერებს სამონასტროდ ისეთ მიწე
უბოძებდნენ, რომელზედაც ჯერ კიდევ თავისუფალი მეთემეები სახლობდნენ. მონასტრის აგების შემდ
მის მიწაზე მცხოვრები თავისუფალი სოფლის, თემის ხალხი მონასტრის ყმა-გლეხებად იქცეოდნე
ამიტომ თემების – „ძმობების" მოსახლეობა მათი სოფლის მონასტრის თუ საეკლესიო მამულ
საზღვრებში მოქცევას ეწინააღმდეგებოდა. ამის კარგი მაგალითი შემოგვინახა ძველმა ქართულ
ჰაგიოგრაფიულმა თხზულებამ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებამ". მის მიხედვით მესხეთში იმ მხარ
ერთ მთავართან ჩორჩანელთან მისულმა ბერებმა მისგან მონასტრის ასაგებად და სამონასტრ
მეურნეობის მოსაწყობად მიწა ითხოვეს. მანაც მათ იმდენი მიწა გამოუყო, რამდენსაც ბერები გაივლიდნე
დილამდე შემოირბენდნენ. ამ მსვლელობის დროს ბერები ერთ სოფელს და წისქვილს მიადგნ
რომლის სამონასტრო მფლობელობაში მოქცევა გადაწყვიტეს. მაშინ ბერებს მოსახლეობამ ხანჯი
წინააღმდეგობა გაუწია: „იწყეს ჩვენი დაკავება – წერს თხზულების ავტორი ბასილ ზარზმელი –
ვითარცა ცოფნი წინა რბოდნენ". იმავმად სოფელმა ბერები უკუაგდო, მაგრამ, როგორც თხზულებ
ტექსტიდანვე ჩანს, სოფელს ცუდი დღე დაადგა და განადგურდა.

მეფისაგან მამულები არა მარტო მოლაშქრეებმა, არამედ მეფის სასახლის, ივივე ტაძრის მსახურე
- ტაძრეულებმაც მიიღეს და აზნაურთა ანუ წარჩინებულთა წოდებას შეუერთდნენ. ისინი ახლა უკ
თავიანთ მამულებში ცხოვრობდნენ და მეფესთან სამსახურად შვილებს აგზავნიდნენ. მოლაშქრეთა
ტაძრეულთა თავთავიანთ მამულებში დასახლებამ მნიშვნელოვნად შეამცირა სამეფო ქალაქებ
მცხოვრებთა რიცხვი. ამას დაემატა ისიც, რომ ამ ხანაში დროებით თავისი მნიშვნელობა დაკარგე
მსოფლიო სავაჭრო-საქარავნო გზებმა, რომლებიც საქართველოში გადიოდა. ყოველივე ამან ად
ფეოდალურ ეპოქაში თავდაპირველად საქართველოში ქალაქების დაკნინება და ზოგიერთის სრუ
გაქრობა გამოიწვია. ქალაქების დაკნინებას ვაჭრობის და ხელოსნობის დაქვეითება მოჰყვა. ვაჭრო
შემცირებასთან ერთად ფულის ბრუნვაც შემცირდა. ფულის შოვნა წარჩინებულებსაც კი უჭირდ
ამიტომ ადამიანები ალებ-მიცემობას უმრავლეს შემთხვევაში პროდუქტის პროდუქტზე გაცვლით
ნატურით აწარმოებდნენ. ასეთ მეურნეობას „ნატურალურ მეურნეობას" უწოდებენ. ფეოდალუ
მეურნეობა კარჩაკეტილობითაც ხასიათდება. თითოეული მამული, ძირითადად, თვითონ აწარმოე
ცხოვრებისათვის საჭირო პროდუქტებს თუ ნივთებს, ამიტომ ქვეყნის სხვა მხარეებზე ნაკლებად
დამოკიდებული. მსხვილ ფეოდალებს – მთავრებს – მეფის მსგავსად საკუთარი სასახლე, ციხე
მონასტრები და კარის ეკლესიები ჰქონდათ, თავისი სასახლის მოხელეები და ლაშქარი ჰყავდათ. ის
ხშირად მეფეებს აღარ ეპუებოდნენ. თითოეულ ფეოდალს თავისი საზღვრები ჰქონდა და ვაჭ
ერთი სამფლობელოდან მეორეში შესვლისას ბაჟი უნდა გადაეხადა. ეს კიდევ უფრო ართულებდა ისე
დაკნინებულ ვაჭრობას. ცალკეულ ფეოდალებს ხშირად თავიანთი ზომა-წონის და მოცულო
ერთეულები გააჩნდათ.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ფეოდალურ საზოგადოებაში ქონებაზე მეტად სამსახური ფასობ
სამსახური შეიძლებოდა ყოფილიყო საპატიო და ნაკლებად საპატიო ან სულაც სამარცხვი
დამამცირებელი. ყველაზე დამამცირებელ სამსახურად მიწის მუშაკობა ანუ გლეხური სამსახ
ითვლებოდა. ყველაზე საპატიო აზნაურული სამსახური იყო, აზნაური ხომ მძიმედ შეჭურვილი მხედ
სახით ემსახურებოდა პატრონს. კიდევ უფრო საპატიოდ ითვლებოდა აზნაურის მიერ მეფის კა
თანამდებობის – სახელის ფლობა. ჩვეულებრივ, მეფის ან მთავრის კარზე თანამდებობები მამ
შვილზე მემკვიდრეობით გადადიოდა და სხვა საგვარეულოსათვის მისი გადაცემა ხანდახან შინა
მიზეზი ხდებოდა.

X ს-დან, საქართველოში განვითარებული ფეოდალური ხანა დაიწყო. საქართველ
განვითარებული ფეოდალური ხანის უდიდესი მონაპოვარი ერთიანი ქართული სამეფოს არსებობის ხ
დაემთხვა. საქართველოში ამ ხანისათვის დამახასიათებელია ის, რომ საეკლესიო თუ საერო ფეოდალ
თავისუფალი მიწის მუშაკი თითქმის მთლიანად დაიქვემდებარეს და ყმა-გლეხად აქციეს.

მუშახელი და გადასახადები რომ არ დაკლებოდათ, ფეოდალები გლეხების ერთი ბატონის
მეორესთან წასვლას ზღუდავდნენ. ასეთ შეზღუდვებს მეფეები დროდადრო კანონის სახეს აძლევდ
საბოლოოდ გლეხს ბატონისაგან წასვლა აეკრძალა, გაქცევის შემთხვევაში კი, მისი ძებნა დაწ
სხვადასხვა ქვეყნებში გლეხის ძებნისა და უკან დაბრუნების სხვადასხვა ვადები არსებობდა. რომ

გლეხის გაქცევის შემთხვევაში მუდმივად ეძებდნენ და მის შვილებსა და შვილიშვილებსაც კი ძველ პატრონს უბრუნებდნენ. საქართველოში გლეხს ყველაზე უმეტეს 30 წელი ეძებდნენ. ქართველი გლეხი საგლეხო მამულს – ფუძეს იყო მიმაგრებული. მისი გაყიდვა-გასხვისება მამულთან ერთად ხდებოდა. ასეთ შემთხვევაში გლეხი თავისი ოჯახით ერთიანად პატრონს იცვლიდა მისი ბეგარა-ვალდებულებები კი იგივე რჩებოდა. გლეხის ოჯახის წევრების ცალ-ცალკე და უმიწოდ გაყიდვას საქართველოში კანონი კრძალავდა. ამის გარდა, ყმა-გლეხის გაჩუქება, მზითვში მიცემა, ეკლესია-მონასტრებისათვის შეწირვა ხდებოდა. ყოველივე ეს ყოველთვის გლეხის თავისი მამულით გასხვისებას გულისხმობდა.

ფეოდალური საზოგადოება მკაცრად წოდებრივი საზოგადოება იყო. განვითარებული ფეოდალური ხანისათვის საქართველოში ფეოდალები უკვე რამდენიმე წოდებად იყოფოდნენ. მათ წოდებრივ უფლებებს და პრივილეგიებს ქართული ფეოდალური სამართალი იცავდა. ამ სამართლის მიხედვით, საქართველოში დიდებულის, აზნაურის, მსახურის და გლეხის წოდებები არსებობდა. აზნაურის წოდებაც არ იყო ერთგვაროვანი. შეძლებული, ციხე-სიმაგრის, სასახლისა და მონასტრის მფლობელ აზნაურთა გვერდით ბევრად ღარიბი, უციხო-უმონასტრო აზნაურებიც მრავლად იყვნენ. იყვნენ ისეთი აზნაურებიც, რომლებსაც მეფისაგან აზნაურული წოდება არ ჰქონდათ მინიჭებული, მაგრამ თავის პატრონთან აზნაურულ სამსახურს ასრულებდნენ, ანუ მის მიერ მიცემულ მამულს ფლობდნენ და მის ლაშქარში შეკაზმულ ცხენზე ამხედრებულნი და მძიმედ შეჭურვილნი გამოდიოდნენ. აზნაური პატრონის წინაშე ლაშქრობაში თავისი რაზმით – ცხენოსანი მსახურებით მონაწილეობდა. ბრძოლის ველზე დაბანაკებისას აზნაურები საკუთარ კარვებს შლიდნენ, ამიტომ მათ „კარვისნებიც" ეწოდებოდათ. მსახურებიც რამდენიმე ფენად იყოფოდნენ. უფრო მაღლა იდგა ის მსახური, რომელიც პატრონის სასახლეში თანამდებობას ფლობდა. საზოგადოების ასეთი დანაწილება, ქართველების ყოფილისა, სპეციალურ კანონთა კრებულებში – „სამართლის წიგნებში" განსხვავებულ „სისხლის ფასში" აისახა. „სისხლის ფასი" სხვადასხვა დანაშაულის შემთხვევაში დაწესებული ჯარიმა-გადასახადი იყო.

ფეოდალური საზოგადოების ცხოვრების ნერვი პატრონსა და ყმას შორის პირად ურთიერთობებს ემყარებოდა. ყმას პატრონის მიმართ თავგამოდებით სამსახური ევალებოდა, ის პატრონისთვის სიცოცხლესაც არ უნდა მორიდებოდა. პატრონი კი, მოვალე იყო ასეთი „ერთგულად ნამსახური" ყმა წყალობით აევსო ანუ „პატივი" „ნიჭი" ებოძა. აქედან მოდის ქართულში სიტყვა მო-ნიჭ-ება. თუ პატრონს წყალობა „დაავიწყდებოდა" ყმას შეეძლო შეეხსენებინა თავისი დამსახურება და სამსახურის სანაცვლოდ მიწა, მამული ან სხვა რამ მოეთხოვა. პატრონთან რაიმე თხოვნით მისვლა აუცილებლად ძღვენის მირთმევასაც გულისხმობდა. ასეთ ძღვენს „ქრთამიც" ეწოდებოდა.

ფეოდალები თავიანთ ვაჟებს ადრეული ბავშვობიდანვე ან საერო-სამხედრო ან საეკლესიო-სასულიერო კარიერისათვის ამზადებდნენ და მათ შესაბამის აღზრდა-განათლებას აძლევდნენ. სასულიერო კიბეზე წინსვლას ამა თუ იმ საეკლესიო თანამდებობაზე გარკვეული წლების სამსახური სჭირდებოდა. ამიტომ ფეოდალები სასულიერო სამსახურისათვის გამიზნულ შვილებს პატარაობისავე უდაბლეს საეკლესიო თანამდებობებზე აკურთხებინებდნენ, რათა სრულწლოვანებას მიღწეულებს იმთავითვე მღვდლის ან ეპისკოპოსის საპატიო წოდებები მიეპოვებინათ. საერო-სამხედრო სამსახურისათვის განკუთვნილი შვილებს სრულწლოვანების მიღწევისთანავე მეფეს წარუდგენდნენ. ის მათ დალოცავდა, და „რაინდად" აკურთხებდა, რაც მათი სრულწლოვანების ოფიციალურ აღიარებას ნიშნავდა და ყმად – ერთგულად ითავსებდა. ყოველივე ეს გარკვეული წესის დაცვითა და საზეიმო ვითარებაში ხდებოდა. თანამდებობა, რომელიც სამეფო კარზე ფეოდალს ეკავა, როგორც ვიცით, მემკვიდრეობით, ძირითადად, უფროს ვაჟზე გადადიოდა. დანარჩენ შვილებს მეფე სასახლის ანუ „დარბაზის ყმებად" ითავსებდა. ეს მეფის წინაშე მათი სამსახურის დასაწყისს ნიშნავდა.

### სისხლის ფასი „ბექა-აღბუღას" სამართლის წიგნის მიხედვით

„ბექა-აღბუღას" სამართლის წიგნი XIII-XIV სს-ში შედგენილი, მან ეს სახელი მისი შემდგენლების, სამცხის ერისთავთ-ერისთავის ბექა ჯაყელისა და მისი შვილიშვილის აღბუღას სახელების მიხედვით უწოდეს.

ამ სამართალში დიდებულის მოკვლის შემთხვევაში მისი „სისხლის ფასი", ანუ თანხა, რომელიც მკვლელს უნდა გადაეხადა დაზარალებული ოჯახისათვის, 40 ათას თეთრს შეადგენდა (თეთრი ვერცხლის წვრილ ფულს ერქვა). ციხოსან-მონასტროსანი ანუ ციხეების და მონასტრის მფლობელი აზნაურის მოკვლის შემთხვევაში - 20 ათასს. უციხო-უმონასტრო აზნაურის „სისხლის ფასი" 12 ათასი იყო. ასეთივე იყო პატრონთან აზნაურული წესით მომსახურეთა „სისხლის ფასიც". პატრონის სასახლეში თანამდებობის მქონე მსახურის „სისხლის ფასი" 6 ათასს შეადგენდა, უბრალო მსახურისა - ათასს. ასეთივე იყო „ვარგი" ანუ მდიდარი და პატრონის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე გლეხის „სისხლის ფასი". ჩვეულებრივი გლეხისა კი – 400 თეთრი. 400 თეთრი ის თანხა იყო, რაც XIII-XIV სს-ში მთლიანი ბაზარზე ძროხა ღირდა.

ფეოდალების ციხე-დარბაზები მნიშვნელოვან სამიმოსვლო გზებზე იდგა და ამ გზებს კონტროლს უწევდა. აქ ფეოდალებს სასახლეებთან ერთად კარის ეკლესიაც ჰქონდათ. ასეთი ციხე-დარბაზების ირგვლივ სახლდებოდა მიმდებარე სოფლების მოსახლეობაც, ვინაიდან შუა საუკუნეებში ხშირი ომიანობის ვითარებაში ციხე-სიმაგრე მათი თავშესაფარი იყო. თანდათანობით ფეოდალთა და მთავართა ყველაზე მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეების ირგვლივ დიდი დასახლებები შეიქმნა. ასეთი დასახლებების უკეთ დაცვის მიზნით მათ გალავანს შემოარტყამდნენ, რის შემდეგაც ისინი ქალაქებად იქცეოდნენ. ფეოდალური ქალაქების წარმოქმნამ ვაჭრობა-ხელოსნობაც ააღორძინა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ თანდათანობით საქართველოს ტერიტორიაზე გამავალმა ძველმა სავაჭრო-საქარავნო გზებმა თავისი მნიშვნელობა დაიბრუნა. ვაჭრობა-ხელოსნობის გაცხოველებამ ფულის მიმოქცევაც გააძლიერა. IX-XII საუკუნეებს საქართველოში მეცნიერები „ახალქალაქების ხანას" უწოდებენ. ძველი, ანტიკური ხანიდან შემორჩენილი თითო-ოროლა განახლებული და გამოცოცხლებული ქალაქის გვერდით, მრავალი ახალი ქალაქი გაჩნდა. ამ დროს ახლად დაარსებული თუ განახლებული ქალაქებია დმანისი, არტანუჯი, ახალქალაქი, თმოგვი, ოლთისი, ახალციხე, თელავი, ლორე, გორი ...

ქალაქების ზრდამ, ვაჭრობისა და ფულის მიმოქცევის გაძლიერებამ ვაჭართა ფენის გამდიდრებას და გაძლიერებას შეუწყო ხელი. განვითარებულ ფეოდალურ ხანაში ვაჭართა ფენას დიდ-ვაჭრები გამოეყვნენ, რომლებიც ქვეყანაში სულ უფრო მეტი გავლენით სარგებლობდნენ. მიუხედავად ამისა, მხედრული ცხოვრების წესის მოტრფიალე ფეოდალური საზოგადოებისათვის ვაჭრობა მაინც სათაკილო საქმიანობად რჩებოდა, ვაჭრები კი „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, რომელიც XII ს-ის ძეგლია და, შესაბამისად, იმ ეპოქის თვალსაზრისს გამოხატავს, „ჯაბანებად" ანუ მხდალებად იწოდებიან. ამიტომაც იყო, რომ დიდვაჭრის სისხლის ფასი, რომელიც შესაძლოა ბევრ დიდებულს ქონებით აღემატებოდა, ღარიბი, უციხო-უმონასტრო აზნაურის „სისხლის ფასს" უტოლდებოდა.

ფეოდალურ საზოგადოებას ქცევის თავისი ნორმები გააჩნდა, რომელიც ფეოდალებს როგორც აღზრდით, ისე ერთად ლაშქრობებისა და საერთო სამხედრო წვრთნების დროს ჩამოუყალიბდათ და თანდათანობით მათ ზნეობრივ კოდექსად იქცა. ამ საზოგადოებაში საამაყოდ ითვლებოდა მეგობრის ერთგულება და მისადმი თავდადება, პატრონისადმი თავდადებული სამსახური, ქალისადმი პატივისცემა .... აზნაური, უპირველეს ყოვლისა, თავისი ღირსებითა და ზრდილობით გამოირჩეოდა. მის მიერ მიცემული სიტყვის გატეხა დიდი სირცხვილი იყო. ის პირდაპირი, გულ-მართალი, მოწყალე, ქვრივთა და ობოლთა შემწყნარებელი, ბერმონოზვნების მიმართ პატივის მიმგებელი; საზოგადოებაში და განსაკუთრებით ქალთან ურთიერობაში მორიდებული, სიტყვაძუნწი და ზრდილი უნდა ყოფილიყო. ამავე დროს ბრძოლის ველზე - უშიში „ვითარცა უხორცო", უდრეკი და ჭირთა მთმენი ....

მსოფლიოს მრავალ ქვეყანას ფეოდალიზმი არ გაუვლია. იმ ქვეყნებში, სადაც ეს წყობილება ჩამოყალიბდა, ის სხვადასხვა სახით არსებობდა. დასრულებული სახე ფეოდალურმა წყობილებამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მიიღო. ქართული ფეოდალიზმი ძალზე წააგავს დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმს.

## § 28. ქართლი და ეგრისი VI საუკუნეში

ვახტანგ გორგასლის სიკვდილის შემდეგ სამეფო ტახტზე მისი უფროსი ვაჟი დარჩილი, იგივე არჩილ II ავიდა, რომელიც ისტორიაში, როგორც გახსოვს, დაჩის სახელით შევიდა. სიკვდილის წინ ვახტანგ მეფემ წუნდის, ოძრხის და კლარჯეთის საერისთავოები თავის მეორე მეუღლეს, ელენეს და მის შვილებს საუფლისწულოდ გადასცა. ვახტანგის ვაჟი ლეონი მალე გარდაიცვალა და ამ მხარეს მისი მემკვიდრე ძმა მირდატი, იგივე მირი ჩაუდგა სათავეში. წყაროები მას მიაწერენ ჯავახეთში წყაროსთავის ეკლესიის აგებას. მირდატი მეფის ტიტულს არ ატარებდა და თავისი უფროსი ძმის ქართლის მეფის დაჩის უზენაესობას აღიარებდა. მისი საგამგებლო ქვეყნის სახით, ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთში ფაქტობრივად ნახევრად დამოუკიდებელი სამთავრო წარმოიქმნა და ფარნავაზიანთა კიდევ ერთი, კლარჯული შტო დაფუძნდა.

არჩილ II დაასრულა ქალაქ თბილისის მშენებლობა და ის ქართლის სამეფოს დედაქალაქად აქცია. ამის შემდეგ მცხეთა მხოლოდ ქართლის კათალიკოსის რეზიდენციად დარჩა. არჩილ II-ის ხანაში ქართლის სამეფოში ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. სპარსეთი ქართლის მაზდეანობაში გადაყვანას ცდილობდა. შაჰი განსაკუთრებით დაჟინებით მაზდეანობას ფარნავაზიანთა კლარჯული შტოსაგან ითხოვდა, რომელიც ბიზანტიის მომიჯნავე ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს ფლობდა და ვახტანგის მეორე მეუღლის, ბიზანტიის კეისრის ასულის ელენეს წყალობით ბიზანტიასთან კავშირი ჰქონდა.

იმხანად ეგრისში წათე მეფობდა. ის სპარსეთის შაჰს ექვემდებარებოდა და სამეფო ნიშნებიც მისგან ჰქონდა მიღებული. მეფობის მისაპოვებლად წათეს მაზდეანობაზე გადასვლაც კი მოუხდა. მიუხედავად ამისა, სპარსეთს ეგრისის უფრო მეტად დაქვემდებარება სურდა. ქართლის სამხრეთ-დასავლეთში ახლად წარმოქმნილ სამთავროში მირდატის შემდეგ მისი ვაჟი გურგენი ერისმთავრობდა. „ქართლის ცხოვრების" ცნობით, ფარნავაზიანთა კლარჯული შტოს წარმომადგენლები თავს მეფეს არ უწოდებდნენ და ქართლის მეფეს ექვემდებარებოდნენ. მიუხედავად ამისა, VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი გურგენს იბერიის მეფედ მოიხსენიებს. სპარსეთის შაჰის კავად I-ის (488-531) მიერ შევიწროებულმა გურგენმა და ეგრისის მეფე წათემ ადვილად გამონახეს საერთო ენა და სპარსელების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა გადაწყვიტეს. პირველი ნაბიჯი მეფე წათემ გადადგა. 523 წ. ის კონსტანტინოპოლს ეწვია და ბიზანტიის კეისრისაგან ქრისტიანული წესით მეფედ კურთხევა ითხოვა, რაც ქრისტიანობაში და რომის ქვეშევრდომობაში დაბრუნებას ნიშნავდა. იმპერატორმა ეგრისის მეფე ხელახლა მონათლა, მეფედ აკურთხა, ცოლად ბიზანტიელი დიდებულის ასული შერთო და დიდი პატივით სამშობლოში გამოისტუმრა. იმავე წელს ბიზანტიელებისაგან დაიმედებული სამხრეთ-დასავლეთ ქართლის მთავარი გურგენიც აჯანყდა. გურგენს ბიზანტიელებმა სათანადო დახმარება ვერ აღმოუჩინეს, ამიტომ ის სპარსელებთან ბრძოლაში დამარცხდა და თავის ოჯახთან ერთად ჯერ თავის მოკავშირე ეგრისის მეფეს წათეს შეაფარა თავი, შემდეგ კი კონსტანტინოპოლში გადავიდა. სპარსეთის შაჰმა მეფე წათეს დასჯაც გადაწყვიტა. ამიტომ 528 წელს სპარსელთა ლაშქარი დასავლეთ საქართველოში შეიჭრა. ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანე I-მა წათეს ლაშქარი გამოუგზავნა. ეგრისელებმა ბიზანტიელთა დახმარებით სპარსელები დაამარცხეს. ამას სპარსეთ-ბიზანტიის 532 წლის „უვადო ზავი" მოჰყვა. ცოტა ხნით ადრე სპარსეთის ტახტზე ხოსრო I ანუშირვანი (531-579) ავიდა. ის ბიზანტიასთან ახალი ომის მზადებას შეუდგა.

სპარსეთმა ქართლის მეფის უფლებები კიდევ უფრო შეზღუდა. ამან ქართლის მეფე ფარსმან VI-ს ბიზანტიისკენ უბიძგა. ქართლის მეფე კეისარს ჯერ ჩრდილო კავკასიაში ჩერქეზული მოდგმის ხასკენებთან ბრძოლაში დაეხმარა, შემდეგ 535 წ. თავის მეუღლესთან ერთად კონსტანტინოპოლს ეწვია. აქ ის კეისარმა იუსტინიანემ დიდი პატივით მიიღო. ფარსმანსა და კეისარს შორის სამეგობრო ხელშეკრულება

**იუსტინიანე I**

იუსტინიანე I (527-565) ბიზანტიის გამოჩენილი კეისარი იყო. მის დროს ბიზანტიამ მთელი ჩრდილოეთ აფრიკა და სამხრეთ იტალია დაიპყრო. მაინც იუსტინიანეს სახელი მისმა კულტურულმა მოღვაწეობამ უკვდავყო. მის დროს კონსტანტინოპოლში აგებულ იქნა მთელი ქრისტიანობის შედევრი წმინდა სოფიის სახელობის ტაძარი (აია სოფიის ტაძარი). იუსტინიანეს დავალებით, სისტემურად გაფორმდა რომაული სამოქალაქო სამართალი და შედგა ვრცელი კრებული, რომელსაც მოგვიანებით „კორპუს იურის ცივილის" („სამოქალაქო სამართლის კორპუსი") ეწოდა. უნდა ვაღიაროთ, რომ სამართლის ამ ძეგლმა უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე დასავლური სამართლის ჩამოყალიბებაში.

## ხოსრო I ანუშირვანი

ხოსრო I ანუშირვანი სასანური სპარსეთის ერთ-ერთი უდიდესი შაჰი იყო. ხოსრომ დიდი რეფორმები ჩაატარა. მან [illegible] სახელმწიფო [illegible], სამხედრო, [illegible] და [illegible] [illegible] [illegible]. მის [illegible] მარზპანი [illegible]. მარზპანი [illegible] სამხედრო საქმეს განაგებდა, [illegible] [illegible]. [illegible] მარზპანის [illegible]. სომხეთში მეფობა სპარსელებმა 428 წ. ალბანეთში კი 510 წ. გააუქმეს [illegible] მარზპანი მართავდა. ქართლის სამეფო [illegible] სამარზპანოში არ შედიოდა, [illegible] ქართლის მეფე მარზპანს ექვემდებარებოდა. ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, მეორე ხნით ერისმთავრობის დაწესებამდე, ქართლსაც [illegible] მარზპანი განაგებდა. ქართლში მისი რეზიდენცია თბილისში იყო.

## „ევსტათე მცხეთელის მარტვილობა"

ქართლში გადმოხვეწილი ევსტათე ქრისტიანობას აშკარად მისდევდა. მან ქრისტიანი ქალი მოიყვანა ცოლად და ეკლესიაში დაიწერა ჯვარი. მცხეთელმა სპარსელებმა ევსტათე ქართლის მარზპანთან დაასმინეს. მარზპანის ბრძანებით, ევსტათე შეიპყრეს და მარზპანმა მოკვლევს [illegible] მას ქრისტიანობის დაგმობა და კვლავ მაზდეანობაში დაბრუნება მოსთხოვა. ევსტათემ ქრისტეს რჯული არ უარყო და მოწამებრივი სიკვდილი მიიღო.

დადო. ამის შემდეგ უხვად დასაჩუქრებული ქართლის მეფე სამშობლოში დაბრუნდა. ფარსმან VI ეკლესია-მონასტრებს ძალზე მფარველობდა. მან ახლად დაარსებულ შიომღვიმის მონასტერს აგარაკები და დიდძალი ოქრო შესწირა.

ბიზანტიასთან ფარსმან მეფის მოკავშირეობამ სპარსეთის შაჰი ხოსრო I განარისხა, მაგრამ ის იმჟამად ბიზანტიასთან ომისათვის ემზადებოდა და ქართლში მეფობის გაუქმებას მოერიდა. ამისათვის ხელსაყრელი ვითარება ხოსრო ანუშირვანს მხოლოდ VI ს-ის 50-იანი წლების ბოლოს დაუდგა. ამ დროს ფარსმანის ძე, ქართლის მეფე ბაკური გარდაიცვალა, რომელსაც მცირეწლოვანი შვილები დარჩა. სპარსეთის შაჰმა ამით ისარგებლა და ქართლში მეფობა გააუქმა. მეფე ბაკურის შთამომავლობა კახეთში დამკვიდრდა და ფარნავაზიანთა კიდევ ერთ - კახურ შტოს დაუდო სათავე. ფარნავაზიანთა ეს შტო საისტორიო მწერლობაში „ბაკურის-ძეთა" ან „ბაკურიანთა" სახელითაა ცნობილი. ქართლის სამეფოში სპარსეთის უშუალო მმართველობა დამყარდა. ქვეყანას შაჰის მარზპანი - ერისთავი განაგებდა, რომელსაც ქართლის ციხე-სიმაგრეებში განლაგებული სპარსული გარნიზონების ციხისთავები ემორჩილებოდნენ. სპარსელები ცდილობდნენ მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდათ ადგილობრივ წარჩინებულებთან. სპარსელების უშუალო გამგებლობა კარგად ასახა VI ს-ის II ნახევრის ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში - „ევსტათე მცხეთელის მარტვილობა". ამ თხზულებიდან აშკარა ხდება, რომ სპარსელები იმჟამად საკუთრივ ქართველთა ქრისტიანობას არ ებრძოდნენ, სამაგიეროდ მაზდეანებს ქრისტიანობაში გადასვლისათვის სიკვდილით სჯიდნენ. მიუხედავად ასეთი მკაცრი სასჯელისა, V ს-ის დამდეგიდან ქრისტიანობა მთელ სპარსეთში ძალზე ფართოდ გავრცელდა. VI ს-ში სპარსეთში ქრისტიანული საეპისკოპოსოები არსებობდა მრავალრიცხოვანი მრევლით. დროდადრო ბიზანტიელებთან ომის დროს სპარსელები ქრისტიანულ თემებს დიდი სისასტიკით არბევდნენ. ევსტათეც ქრისტიანთა ერთ-ერთი ასეთი მორიგი დარბევის დროს სპარსეთიდან იყო ქართლში გამოქცეული.

„უვადო ზავის" შემდეგ სპარსეთის მსგავსად ბიზანტიის კეისარი იუსტინიანეც ახალი ომისათვის მზადებას შეუდგა. ბიზანტიელებმა ეგრისში დამატებითი ძალები შეიყვანეს და ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ციხე-სიმაგრეებში განალაგეს. ბიზანტიელებმა აფხაზეთში ეგრისის მეფის ორივე ერისთავი, რომელთაგან ერთ-ერთი გუბაზ მეფის ბიძა აფშილტე იყო, გადააყენეს და ეგრისის სამეფოს ამ მხარეში თავისი უშუალო მმართველობა შემოიღეს. ბიზანტიელთა ჯარების სარდალმა ანუ სტრატეგოსმა ეგრისის სამეფოს საქმეებში უშუალო ჩარევა დაიწყო. ყოველივე ამან ბიზანტიელებსა და ეგრისს შორის ურთიერთობა დაძაბა.

ბიზანტიელებმა ეგრისის საზღვაო ვაჭრობის კონტროლის მიზნით, ღღვანდელი ციხისძირის მიდამოებში ციხე-ქალაქი პეტრა ააგეს. ამის შემდეგ უცხოური სავაჭრო ხომალდები აუცილებლად ამ ნავსადგურში უნდა შესულიყვნენ. ბიზანტიელები მთლიანად ყიდულობდნენ უცხოურ საქონელს და შემდგომ ადგილობრივ მოსახლეობაზე ბევრად ძვირად ჰყიდნენ. ეგრისელებს არ ჰქონდათ უფლება უცხოელებთან სავაჭრო გარიგება დაედოთ. ისინი ვალდებულნი იყვნენ თავიანთი საქონელი ბიზანტიელებისათვის მათ მიერვე დაწესებულ ფასებში დაეთმოთ. ბიზანტიელების მიერ ეგრისის მთელი საზღვაო ვაჭრობის ხელში ჩაგდებამ ანუ მასზე მონოპოლიის დაწესებამ ეგრისელთა უკმაყოფილება უკიდურესად გაზარდა.

540 წ. სპარსეთის შაჰი ხოსრო ანუშირვანი სირიაში შეიჭრა და ბიზანტიასთან მორიგი ომი წამოიწყო. ეგრისის მეფემ გუბაზ II (530-554) გადაწყვიტა ამით ესარგებლა და სპარსეთის დახმარებით ბიზანტიის

ელლისაგან თავი დაეღწია. მან სპარსეთში ელჩები გაგზავნა და ისინი ბიზანტიელების წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში მოიწვია. თანაც შაჰ ზღვაზე ხომალდების აგება და კონსტანტინოპოლის ზღვით დალაშქვრა შესთავაზა.

542 წელს სპარსეთის შაჰი ეგრისელების დახმარებით თავისი ლაშქრით დასავლეთ საქართველოში შემოიჭრა. პეტრას ციხე-ქალაქი აიღო და შიგ თავისი მეციხოვნეები ჩააყენა. სპარსელების შიშით ბიზანტიელებმა ეგრისის ზღვისპირეთში სებასტოპოლისის (სოხუმი), პიტიუნტის და სხვა ციხე-სიმაგრეები მიატოვეს და სპარსელებს რომ ხელში არ ჩავარდნოდათ, მიწასთან გაასწორეს. სპარსელებმა მთელი დასავლეთ საქართველო დაიკავეს. გუბაზ მეფემ ბიზანტიელთა განდევნით ისარგებლა და აფხაზეთში თავისი ერისთავები აღადგინა, აფშილეთში კი ერისთავად თავისი დიდებული ტერიდატი, იგივე თერდატი დანიშნა.

ამის შემდეგ ბიზანტია-სპარსეთის ომის ერთ-ერთ ასპარეზად დასავლეთ საქართველო გადაიქცა. ეგრისში სპარსელების გაბატონებას ბიზანტიელებმა დასავლეთ საქართველოს საზღვაო ბლოკადით უპასუხეს. ეგრისელებისათვის საზღვაო ვაჭრობას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მათ ხომ მარილი ზღვით შემოჰქონდათ. ამიტომ მოსახლეობა მძიმე დღეში ჩავარდა და ბიზანტიის მხარეზე გადაიხარა. ეგრისელთა ასეთი განწყობილება სპარსეთის შაჰს მხედველობიდან არ გამორჩენია. ხოსრო ანუშირვანმა დასწრება გადაწყვიტა და გუბაზის თავიდან მოშორება განიზრახა. შაჰმა გუბაზის მოკვლა ერთ მასზე გადამტერებულ ეგრისელ დიდებულს ფარსანსს დაავალა. პირადი მტრობის მიუხედავად, ეგრისელმა დიდებულმა მეფეს და ქვეყანას მაინც არ უღალატა და ყოველივე ეგრისის მეფეს შეატყობინა. ამის შემდეგ მეფე გუბაზმა იუსტინიანე კეისარს მიმართა და სამეფოდან სპარსელების გაძევებაში დახმარება სთხოვა. გახარებულმა კეისარმა 549 წ. ეგრისში ბიზანტიელებთან ერთად ჭანების ათასეულიც გამოგზავნა. ბიზანტიელებმა პეტრას ალყა შემოარტყეს, მაგრამ მისი სწრაფად აღება ვერ მოახერხეს.

გუბაზის მიერ ბიზანტიელების ეგრისში დაბრუნებამ აფხაზეთის და აფშილეთის ერისთავები აღაშფოთა, რომლებმაც ამაში თავიანთი ხელისუფლებისათვის საფრთხე დაინახეს. ამიტომ ისინი სპარსეთის მხარეზე გადავიდნენ. 550 წ. ბიზანტიელებმა ჯარი გააგზავნეს და აფშილეთი და აფხაზეთი დაიმორჩილეს.

551 წელს ბიზანტიელებმა პეტრას ციხე-სიმაგრე დაიბრუნეს და, სპარსელებს კვლავაც ხელში რომ არ ჩავარდნოდა, მიწასთან გაასწორეს. სპარსელებმა ომის ბედის თავის სასარგებლოდ შემოტრიალება გუბაზთან დაახლოებით სცადეს. სპარსეთის სარდალმა ეგრისის მეფეს წერილი გაუგზავნა, რომელშიც შაჰის სახელით სპარსეთის მხარეზე დაბრუნების შემთხვევაში განდგომის პატიება აღუთქვა და გარანტიისათვის მძევლად სპარსელი წარჩინებულების შვილები შესთავაზა. გუბაზმა სპარსელების წინადადებაზე უარი განაცხადა. სპარსელების წინააღმდეგ ბიზანტიელებისა და ეგრისელების ერთობლივი ბრძოლისა მიუხედავად, ომი გაჭიანურდა. სპარსელების ხელში ეგრისის ერთი ნაწილი, თაკვერი და სვანეთი რჩებოდა. ომის გაჭიანურებაში გუბაზ II ბრალს ბიზანტიელთა სარდლობას დებდა და კეისრისაგან მათ დასჯას ითხოვდა. თავის მხრივ ბიზანტიელმა სარდლებმა კეისარი იუსტინიანე ეგრისის მეფის წინააღმდეგ განაწყვეს და მისგან გუბაზის მოკვლის უფლება გამოითხოვეს. 554 წ. ბიზანტიელებმა ეგრისის მეფე მდინარე ხობის პირას ვერაგულად მოკლეს.

ბიზანტიელთა ვერაგობამ ეგრისში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ეგრისის დიდებულები საგანგებოდ შეკრიბნენ და თავიანთი სამეფოს მომავალზე მსჯელობა გამართეს. სიტყვით ორი დიდებული, აიეტი და ფარტაძე გამოვიდა. აიეტმა ეგრისელებს გუბაზისათვის შურისძიების მიზნით, სპარსელების მხარეზე გადასვლისაკენ მოუწოდა. ფარტაძემ კი ეგრისელებს მაინც თანამორწმუნე ქრისტიან ბიზანტიელებთან შერიგება ურჩია, იმ პირობით, თუ კეისარი მკვლელებს დასჯიდა და გუბაზის ნაცვლად იმჟამად კონსტანტინოპოლში მყოფ გუბაზის ძმას წათეს მეფედ დაამტკიცებდა. ეგრისელები ფარტაძეს დაეთანხმნენ და თავიანთი მოთხოვნა ელჩების მეშვეობით ბიზანტიის კეისარს შეუთვალეს. იუსტინიანემ ეგრისელებს ორივე პირობა შეუსრულა: წათე II ეგრისში მეფედ გამოაგზავნა, გუბაზის მკვლელები კი გაასამართლა და სიკვდილით დასაჯა.

555 წ. სპარსეთმა ეგრისში დამატებით 60 ათასიანი ლაშქარი შემოიყვანა. მისი მთავარი მიზანი ფაზისის (ფოთის) აღება იყო. ამით გამხნევებული კოდორის ხეობაში მოსახლე მისიმიელთა სახელით ცნობილი ერთი ხეობური ტომი ბიზანტიელებს აუჯანყდა. მაგრამ სპარსელები ფაზისთან სასტიკად დამარცხდნენ, ხოლო ბიზანტიელებმა მისიმიელები ხელახლა დაიმორჩილეს. ამის შემდეგ ეგრისში ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის საომარი მოქმედება შეწყდა.

562 წ. სპარსეთსა და ბიზანტიას შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო. ამ ზავით, მხარეებს ერთმანეთისათვის წართმეული ტერიტორიები უნდა დაებრუნებინათ. პირობის თანახმად, სპარსეთმა ეგრისის სამეფოს დიდი ნაწილი დატოვა, მაგრამ სვანეთიდან და თაკვერიდან თავისი ჯარების გაყვანას არ ჩქარობდა.

უმეფობა ქართლში დიდხანს არ გაგრძელებულა. 571 წ. სპარსეთის წინააღმდეგ ქართლსა და სომხეთში აჯანყება დაიწყო. ქართლში აჯანყების სათავეში ვახტანგ გორგასლის შვილიშვილი (ასულის წული) გურგენ ბაგრატიონი ჩაუდგა, რომელსაც საისტორიო ტრადიცია „გუარამ კურაპალატის" სახელით იცნობს. გურგენ ბაგრატიონი დედით გორგასლიან-ფარნავაზიანთა კლარჯული შტოს წარმომადგენელი, მამით კი, ოძრხის ერისთავთა ბივრიტიან-ბაგრატიონთა საგვარეულოდან იყო.

**ბაგრატიონები** ერთ-ერთი უძველესი და უწარჩინებულესი ქართული საგვარეულოა. ეს საგვარეულო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძვ. წ. III ს-ის შუა წლებში მოღვაწე ბაგადატ ბივრატიდან მოდის. ბაგადატი ორი სპარსული სიტყვის „ბაგა" – „ღმერთი" და „დატ//დად" – „მიცემა, ბოძება" – წარმოსდგება და „ღმერთის ბოძებულს" ნიშნავს. თავდაპირველად „ბაგადატი" ბივრიტიანთა (ბივრიტის სახლის შვილთა) საგვარეულოს წარმომადგენელთა წოდება იყო, რომელიც მათი ხელისუფლების ღვთაებრივ წარმოშობას უსვამდა ხაზს. იმ შორეულ ხანაში, ბივრიტიანები მაზდეანები და ცეცხლის ქურუმები იყვნენ და მათი ღვთაებრივი წარმოშობა აჰურამაზდადან წარმომავლობას გულისხმობდა. ბივრიტიანები, მრავალი სხვა წარჩინებული ქართული საგვარეულოს მსგავსად, თავს საქართველოში მოსულად მიიჩნევდნენ. საგვარეულოში არსებული გადმოცემა წინაპრების საქართველოში მოსვლის შესახებ, ხინამდვილეში „ქალდეველთაგან დევნილი ჰონების", ანუ მიდიის მეფის ყიაქსარის მიერ გამოძევებული ხეთურ-ანდოეურობული ტომების სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში მოსვლა-გადმოსახლების, ჩვენთვის უკვე ცნობილ ამბავს ასახავდა. ქრისტიანობის მიღების შემდეგ ბივრიტიანთა ღვთაებრივი წარმოშობა უკვე ქრისტესა და ძველი წინასწარმეტყველს დაუკავშირდა. შესაბამისად, „ქალდეველთაგან დევნილი ჰონების" ამბავი უკვე ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის ხანაში ტყვე ებრაელთა, ანუ ჰურიათა („ჰონნი" „ჰურიანის" ქარაგმად იქნა გააზრებული) მოსვლად იქცა. ბივრიტიანები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ სპერ-ტაო-კლარჯეთსა და აჭარა-შუახევს, ანუ ძველი მეგრული წყაროების „მოსხიკეს" განაგებდნენ. მათი ერთი შტო, ოძრხის ერისთავების სახით, ფარნავაზის ხანიდან ქართლის მეფეს ემორჩილებოდა. ოძრხის ერისთავი ბივრიტიანი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ვახტანგ გორგასლის სამეფო კარზე. ის იმ ოთხ დიდებულს შორის იყო, რომელიც ვახტანგ გორგასალს შორეულ ინდოეთში სალაშქროდ გაჰყვა. ბივრიტიანი იყო იმ ხამ ერისთავთაგან ერთ-ერთი, რომელსაც სიკვდილის წინ ვახტანგ გორგასალმა თავისი მეორე მეუღლე ელენე და მასთან შეძენილი შვილები ჩააბარა.

ბაგადადი ბაღდადი და ბაღდადი

ბაგრატიონთა საგვარეულო წოდება-სახელის უძველესი „ბაგადატ//ბაგადადიან" ახლო მდგომი ფორმა – „ბაღდადი" – შემოგვინახა „მოქცევაჲ ქართლისაჲ", სადაც ფარნავაზ ბაგრატიონი და მისი შვილე-[illegible] [illegible]

მოგვიანებით „ბაგადატ//ბაგდად-იდან" ამ სახელ-წოდების დამახინჯებული ფორმა „ბაგრატი" წარმოსდგა. აქედან კი სომხური სუფიქსის „უნის" მიმატებით საგვარეულო სახელი ბაგრატ-უნი, რაც სომხურად ბაგრატის ჩამომავლებს აღნიშნავს. საქმე ისაა, რომ ძვ. წ. II ს-ის დასაწყისში ჩვენთვის უკვე ცნობილმა სომხეთის მეფე არტაშესმა ბივრიტიანთა საგამგებლო ტერიტორიის ერთი ნაწილი დაიმორჩილა. ამის შემდეგ ბივრიტიანთა მეორე შტო – ბაგრატუნები – სომხეთის ცაგალი-პატიახშები გახდნენ. საუკუნეების მანძილზე ბაგრატუნთა სომხურ შტოს სომეხთა მეფის გვირგვინის დადგმის საპატიო მოვალეობა გააჩნდა. VIII-IX სს-ში ეს საგვარეულო სომხეთში განსაკუთრებით გაძლიერდა და სომხეთის სამეფო დინასტიად გადაიქცა.

ოძრხის ერისთავი ბივრიტიან-ბაგადატი VI ს-ის დასაწყისში გორგასლიანთა კლარჯულ შტოს ნათესავს. ამის შემდეგ ვახტანგ გორგასლის შვილიშვილის (ასულის წული) გურგენ-გუარამისა და მისი ოჯახის სახით ბივრიტიან-ფარნავაზიანთა შტო ჩამოყალიბდა. ისინი „ქართლის ცხოვრებაში" „ძენი გუარამ კურაპალატისანის" სახელით არიან ცნობილნი. ამავე ხანებში ტაო-სპერის გამგებელ სომეხ ბაგრატუნთა ერთი წარმომადგენელი ქართლის ერისმთავარს სტეფანოზ I-ს ეუმო და მას დაემძახლა: მისმა ვაჟმა იქორწინა სტეფანოზ I-ის ასულზე ლატავრაზე. ასე ჩაეყარა საფუძველი უკვე ბაგრატუნთა ქართულ შტოს, იგივე ბაგრატიონიან-ბაგრატიონებს. ლატავრას პირდაპირი შთამომავალია ქართლის ერისმთავარი აშოტ ადარნასეს ძე კურაპალატი (787-826) რომლისგანაც, როგორც ვნახავთ, მომდინარეობს საქართველოს სამეფო ბაგრატიონთა დინასტია.

გურგენ ერისმთავრის მეთაურობით ქართველებმა დაამარცხეს სპარსელი სარდალი და დახმარება ბიზანტიის კეისარს სთხოვეს. ბიზანტია აჯანყებულებს პირველ რიგში ფულით დაეხმარა. ამ ფულით ქართველებმა ჩრდილო კავკასიელი ტომები დაიქირავეს და ადარბადაგანში (დღევანდ. ჩრდილოეთ ირანი) შეიჭრნენ. ამას სპარსეთ-ბიზანტიის ახალი ომი მოჰყვა. ქართლის აჯანყებით ეგრისელებმა და ბიზანტიელებმა ისარგებლეს. მათ 575 წ. სვანეთი და თაკვერი დაიკავეს და დასავლეთ საქართველოდან სპარსელები საბოლოოდ გააძევეს. ქართლის ერისთავებმა ბიზანტიას ქართლში სახელმწიფოებრიობის აღდგენა სთხოვეს. ბიზანტიამ ეს თხოვნა შეასრულა, გურგენ-გუარამი ქართლის გამგებლად აღიარა და მას მაღალი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული „პატრიკიოსობა“ უბოძა. ქართლის ამ ახალ მმართველს „ქართლის ერისთავი“ ან კიდევ „ერისთავთა მთავარი“, ივივე „ერისმთავარი“ ეწოდა, რაც ბიზანტიური „პატრიკიოსის“ ქართულ თარგმანს წარმოადგენს. გურგენის დროიდან შემოგვრჩა პირველი ქართული ასომთავრულწარწერიანი მონეტა, რომელზედაც ამ ერისმთავრის სახელია ამოტვიფრული. ამის შემდეგ ისტორიკოსები ყოფილ ქართლის სამეფოს „ქართლის საერისმთავროს“ უწოდებენ.

ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ქართლის მეფის ხელისუფლებისაგან. თუ ქართლში მეფობის გაუქმებამდე ქართლის ერისთავები მეფის მოხელე-ებად ითვლებოდნენ, რომლებიც მეფეს განსაკუთრებულ შემთხვევებში შეეძლო გამოეცვალა კიდეც, მეფობის გაუქმების შემდეგ, სპარსეთის შაჰებმა ქართლის ერისთავებს მათი საგამგებლო მხარეები მემკვიდრეობით დაუმტკიცეს. VI ს-ის ბოლოს ქართლის საერისმთავრო სამემკვიდრეო სამთავროთა კავშირს წარმოადგენდა, რომელსაც სათავეში სპარსეთისაგან ან ბიზანტიისაგან დამტკიცებული ქართლის ერისმთავარი ედგა.

ამხანად სპარსეთი თურქების წინააღმდეგ შუა აზიაში მძიმე ომებს აწარმოებდა, ამიტომ ქართლისა და კავკასიისათვის არ ეცალა. ასეთ ვითარებაში სპარსეთის შაჰი იძულებული გახდა ქართლის მიმართ დათმობაზე წასულიყო. მან 579 წ. გურგენი ქართლის გამგებლად ცნო. ამით კმაყოფილმა ქართლის დიდებულებმა აჯანყება შეწყვიტეს და კვლავ შაჰის უზენაესობა აღიარეს. ამასობაში სპარსთა სარდალმა ბაჰრამ ჩუბინმა 588 წ. თურქი მომთაბარეები სასტიკად დაამარცხა. ამის შემდეგ სპარსეთმა ქართლისათვის მოიცალა. შაჰმა გურგენის გარდაცვალების შემდეგ ქართლის ერისმთავრობა მის ვაჟს სტეფანოზს აღარ უბოძა, რადგან ამ საგვარეულოს ბიზანტიის საიმპერატორო კართან ნათესაური კავშირის გამო ნაკლებად ენდობოდა. ამჯერად სპარსელებმა ქართლის ერისმთავრობა მათთვის უფრო სანდო, ფარნავაზიანთა საგვარეულოს რევიანთა შტოს (რევ მირიანის ძის შთამომავლები) წარმომადგენელს, ჯუანშერ ჯუანშერიანს (588–591) უბოძეს.

589 წელს სპარსეთის შაჰს მისი სარდალი, თურქებთან გამარჯვებით სახელგანთქმული ბაჰრამ ჩუბინი აუჯანყდა. ახალგაზრდა შაჰმა ხოსრო II (591–628) თავს ბიზანტიაში გაქცევით უშველა. ბიზანტიის კეისარმა მავრიკიოსმა (582–602) კარგად გამოიყენა შექმნილი ვითარება. ხოსროს თავისი ასული შერთო ცოლად, თანხით და ჯარით დაეხმარა და ბაჰრამ ჩუბინის წინააღმდეგ საბრძოლველად გააგზავნა. ხოსრო II ბაჰრამ ჩუბინი დაამარცხა და სპარსეთის ტახტი დაიბრუნა, ამგვარად, სპარსეთის ტახტზე ქრისტიანი დედოფალი აღმოჩნდა. ხოსრო II-ს სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ თავის სიმამრს დაზავებოდა და მადლობის ნიშნად ქართლის და სომხეთის დიდ ნაწილზე ბიზანტიის უზენაესობა ეღიარებინა. ზავის პირობების თანახმად, სპარსელების ხელში მხოლოდ თბილისი და მის აღმოსავლეთით მდებარე ქართლის ტერიტორია რჩებოდა. სპარსეთი იძულებული გახდა ქართლის ერისმთავრობა კვლავაც პრობიზანტიურად განწყობილი ფარნავაზიანთა კლარჯული შტოს წარმომადგენლისათვის გადაეცა. ამგვარად, 591 წლისათვის ქართლის ერისმთავარი გურგენის ძე სტეფანოზ I გახდა.

591 წ-ის სპარსეთ-ბიზანტიის ზავის პირობები ქართლის საერისმთავროს მთლიან ძალაში არ შესულა. სტეფანოზ I თბილისში იჯდა და მთელ ქართლის საერისმთავროს განაგებდა. ის ერთდროულად როგორც ბიზანტიის, ისე სპარსეთის უზენაესობას აღიარებდა, თუმცა, ფაქტობრივად თავს დამოუკიდებლად გრძნობდა.

სტეფანოზ ერისმთავარი და მისი [illegible]

[illegible]

სტეფანოზ I-ის ხანაში, 591-604 წლებში აშენდა მცხეთაში ქართული ხუროთმოძღვრების საამაყო მცხეთის ჯვრის დიდებული ტაძარი. ჩვენამდე მოაღწია ჯუანშერის და სტეფანოზ I-ის სახელზე მოჭრილმა ქართულმა მონეტებმა.

## § 29. ქართლი და ეგრისი VII საუკუნეში

602 წელს ბიზანტიაში სამეფო გადატრიალება მოხდა. სპარსეთის შაჰის ხოსრო II-ის სიმამრი კეისარი მავრიკიოსი მისსავე სარდალმა ფოკამ ტახტიდან ჩამოაგდო და სიკვდილით დასაჯა. ამის შემდეგ ფოკა კეისარი გახდა (602-610). სპარსეთის შაჰს ხელსაყრელი მომენტი დაუდგა სპარსეთისათვის ძალიან მძიმე 591 წლის საზავო პირობების დარღვევისათვის. მანაც სიმამრისათვის შურისძიების საბაბით, არ დააყოვნა ბიზანტიის საზღვრებში შეჭრა. ასე დაიწყო სპარსეთ-ბიზანტიის უკანასკნელი ომი, რომელიც 604-628 წწ-ში მიმდინარეობდა.

ომის პირველ ეტაპზე სპარსელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს დაიპყრეს მთელი სომხეთი, ქართლი, ზემო შუამდინარეთი, სირია. ქართლში ხოსრომ სტეფანოზ I-ის, ესე ბიზანტიის მომხრე ადარნასეს ერისმთავრობა ჩამოართვა და ფეროზიანთა საგვარეულოს წარმომადგენელს, ქართლის პიტიახშ არშუშას გადასცა. ქართლის ეს ერისმთავარი ბიზანტიელ ისტორიკოსთან თეოფანე ჟამთააღმწერელთან „ვარსამუზა"-ს სახელით მოიხსენიება, რაც „ვარაზ//ვარზ" არშუშას დამახინჯებაა. ვინაიდან ბერძნებს „შ" ასო ნიშანი არ გააჩნდათ, მის ნაცვლად „ს" ასო ნიშანი გამოიყენებოდა. „ვარაზი" სპარსულად „ტახს" ნიშნავს. იმხანად ის „დიდის", „მძლავრის" მნიშვნელობით იხმარებოდა და საქართველოში, სომხეთსა და ალბანეთში ძალიან გავრცელებული ეპითეტი იყო, რომელიც ყველა სახელს ერთვოდა. წერილობით წყაროებში იხსენიებიან: ვარაზ-გრიგოლი, ვარაზ-ბაკური, ვარაზ-თრდატი ....

### თურქთა სახაკანი და ხაზარები

თურქული ენა თურქულ-ალთაურ ენათა ოჯახს განეკუთვნება. ამ ენაზე მოსაუბრე ტომები VI ს-ში მომთაბარეობდნენ ცენტრალური აზიის ველებში, მონღოლეთისა და ჩინეთის საზღვრებიდან ვოლგისპირეთამდე. თურქულ ტომთა უმრავლესობა იმჟამად მომთაბარულ სახელმწიფოში, თურქულ სახაკანოში იყო გაერთიანებული, რომელსაც ხაკანი განაგებდა. 588 წ. სახაკანო ორ – აღმოსავლეთის და დასავლეთის სახაკანოდ გაიყო. დასავლეთის სახაკანო დუნაისპირეთიდან და ვოლგისპირეთის ტერიტორიებს მოიცავდა. მასვე ექვემდებარებოდა ჩრდილო კავკასიაში მომთაბარე ხაზართა თურქულენოვანი ტომები. ხაზარები ჩრდილო კავკასიის ველებს მას შემდეგ დაეპატრონნენ, რაც ეს მხარე ჰუნებმა დატოვეს. VII ს-ის შუა წლებში მდ. ვოლგასა და დონს შორის ხაზართა სახაკანო წარმოიქმნა. მისი დედაქალაქი ვოლგის შესართავში მდებარე იტილი იყო. მალე ხაზარებმა იუდაური ანუ ებრაული სარწმუნოება მიიღეს. ხაზართა სახელმწიფო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე მდებარეობდა. მისი ძირითადი შემოსავალი სატრანზიტო ვაჭრობა ანუ საქონლის საკუთარ ტერიტორიაზე გატარებიდან მიღებული შემოსავალი იყო. ხაზართა სახაკანო კიევის რუსეთის მთავარმა სვიატოსლავმა (969-972) დაამარცხა და გაანადგურა.

ბიზანტიის მდგომარეობა თავდაპირველად არც გამოცდილი მხედართმთავრის ჰერაკლე კეისრის (610-641) ტახტზე ასვლის შემდეგ გამოსწორდა. ქრისტიანული სამყაროსთვის განსაკუთრებით თავზარდამცემი იყო ხოსრო II-ის მიერ 614 წელს იერუსალიმის აღება და იქიდან ქრისტიანთა უწმინდესი რელიკვიის „ძელი ცხოვრებისას" (ძელის ჯვარი, რომელზედაც გადმოცემის თანახმად ჯვარს აცვეს ქრისტე) წამოღება. სპარსელებმა დაიპყრეს ეგვიპტე, მცირე აზია, სამჯერ მარმარილოს ზღვაზე გავიდნენ და კონსტანტინოპოლსაც კი დაემუქრნენ. მათ ბიზანტიის დაპყრობილი პროვინციებიდან და ქალაქებიდან აურაცხელი სიმდიდრე გამოზიდეს. შაჰის ხაზინა იმჟამად 1600 მილიონ ოქროს დირჰემს ითვლიდა, რაც გრანდიოზულ სიმდიდრეს წარმოადგენდა. მაგრამ ხოსრომ ვერ შეძლო ამ სიმდიდრის ეფექტურად გამოყენება. სამაგიეროდ ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ აჯანყების დროს ქვეყნის მეთაურობის კარგი ნიჭი გამოამჟღავნა. მან სამხედრო კავშირი შეკრა დასავლეთის თურქთა სახაკანოსთან და სახაკანოს ქვეშევრდომ ჩრდილო კავკასიაში მომთაბარე ხაზარებთან და მათ სამხრეთ კავკასიაში ირანის წინააღმდეგ მოუხმო. ჰერაკლე ზღვით მოადგა ტრაპეზუნტს. იქიდან აღმოსავლეთ საქართველოში შემოვიდა და ხაზართა ლაშქართან ერთად 627 წ. თბილისს ალყა შემოარტყა. აქ ბიზანტიელებს ეგრისელთა დამხმარე ლაშქარი მოუვიდა. ჰერაკლეს ლაშქარი იმ პერიოდისთვის საუკეთესოდ იყო შეიარაღებული. ბერძნებს ჰქონდათ ოთხთვლიანი ლოდსატყორცნი მანქანები, რომლებიც ქალაქის კედლებს

უზარმაზარ ლოდებს უშენდნენ და ანგრევდნენ. ბიზანტიელებმა და ხაზარებმა მტკვარი გადალახეს და ქალაქის კედლებზე მიუშვეს. თბილისი ქართველებისა და სპარსელების მიერ კარგად იყო გამაგრებული. მას ძლიერი გარნიზონი იცავდა. ქართველებს ქართლის პიტიახში ერისმთავარი არშუშა ხელმძღვანელობდა, სპარსელების ათასეული კი სპარსეთის შაჰის პირადი მცველებისაგან შედგებოდა. მას გამოცდილი სპარსელი სარდალი ედგა სათავეში. თბილისის დამცველები ისე იყვნენ დარწმუნებული ქალაქის მიუვალობაში, რომ ბიზანტიის კეისარს და ხაზართა ხაკანს – ჯიბღუს – დაცინვაც კი დაუწყეს. ძველი ისტორიკოსების ცნობით, თბილისელებმა უზარმაზარ გოგრას ხაზართა ხაკანის სახე დაახატეს და ქალაქის გალავანზე გამოსდეს. ისინი გოგრას შუბებით ჩხვლეტდნენ და იძახდნენ: „ეს ჯიბღუ ხაკანიაო". ჰერაკლე კეისარს კი გასძახოდნენ: „ვაცის წვერი გასხია და ვაცმოტის (მამალი თხა) კისერი გაქვსო". მოკავშირეებმა თბილისი ვერ აიღეს. ჰერაკლე სპარსეთისაკენ გაემართა. მას ხაზართა ლაშქრის ერთი ნაწილიც გაჰყვა, ნაწილი კი სამშობლოში გაბრუნდა. ეგრისელებმა უარი თქვეს სპარსეთში ლაშქრობაზე და უკან დაბრუნდნენ. 627 წ. სპარსეთის დედაქალაქის ქტეზიფონის ახლოს ნინევიასთან ხოსრო II-სა და ჰერაკლე კეისარს შორის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა, რომელიც სპარსელთა სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. ამ ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა ქართლის ერისმთავარი არშუშა, რომელიც სპარსელების მხარეზე იბრძოდა. განცდილი მარცხის შემდეგ სპარსეთში აჯანყებამ იფეთქა. ხოსრო II მისივე შვილმა შეიპყრო და საპყრობილეში ჩააგდო, სადაც ის გარდაიცვალა. სპარსელებმა ბიზანტიასთან სასწრაფოდ ზავი შეკრეს. ამ ზავმა ქართლის მიმართ ისევ 591 წლის პირობები გაიმეორა. 628 წელს, შემოდგომაზე ხაზართა ლაშქარი ხელახლა მოადგა ქართლის დედაქალაქს. სპარსეთი ამჯერად თბილისის მეციხოვნეებს ვეღარ დაეხმარა. ხაზარებმა აიღეს და სასტიკად დაარბიეს ქალაქი, გაზიდეს აურაცხელი ძვირფასეულობა, ოქრო და ვერცხლი. ხაზარებმა ტყვედ ჩაიგდეს თბილისის ქართველი ციხისთავი და სპარსელთა ლაშქრის სარდალი. ტყვეებს ჯერ თვალები დათხარეს და შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. მათი ტყავები თივით გამოტენეს და გალავნის ზემოთ გამოფინეს. ასეთ ვითარებაში ჰერაკლე კეისარმა ქართლის ერისმთავრობა ხელმეორედ თავის დროზე სპარსელების მიერ გაძევებულ ადარნასე სტეფანოზის ძეს (604-614; 628-651) უბოძა.

სპარსეთში საშინელი ანარქია (განუკითხაობა, არეულობა) დაიწყო. ოთხ წელიწადში ათზე მეტი შაჰი გამოიცვალა. 632 წ. ტახტზე ავიდა ხოსრო II-ის შვილიშვილი სასანური ირანის უკანასკნელი შაჰი იეზდიგერდ III (632-652).

ამავე 632 წ. ქალაქ მედინაში გარდაიცვალა ახლად წარმოქმნილი არაბული სახელმწიფოს დამაარსებელი, ახალი სარწმუნოების, ისლამის ფუძემდებელი და ისლამის მიმდევართა, მუსლიმთა ღმერთის – ალაჰის მოციქული მუჰამედი. არაბთა სამშობლო არაბეთის ნახევარკუნძულია. არაბები მომთაბარულ მესაქონლეობას, მეაქლემეობას და მეცხენეობას მისდევდნენ. არაბ მწყემსებს „ბედუინებს" უწოდებდნენ. არაბეთის ნახევარკუნძული ძირითადად უდაბნოა. მის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში კი მდიდარი ოაზისებია. წითელი ზღვის სანაპიროზე უძველესი დროიდან ორი არაბული ქალაქი მექა და მედინა მდებარეობს. მუჰამედი მექიდან იყო, ყურაიშიტების გვარის ჰაშიმიანთა საგვარეულოდან. მექაში, დიდ სავაჭრო ქალაქში, ერთმანეთს სხვადასხვა სარწმუნოების და ეროვნების ხალხი ხვდებოდა. მათგან გაეცნო მუჰამედი იუდაიზმს, ქრისტიანობას, ზოროასტრიზმს .... მუჰამედს სურდა თავისი ხალხი სალვთო წიგნის მქონე ხალხად ექცია. მის მიერ შექმნილ სარწმუნოებას „ისლამი" ეწოდება, რაც ალაჰისადმი (ღმერთისადმი) თავის მიცემას, დამორჩილებას ნიშნავს, მუსლიმი კი – მორჩილს, მორწმუნეს. მუსლიმთა წმინდა წიგნს „ყურანი" ჰქვია. არაბებმა ერთდროულად შეუტიეს ბიზანტიას და სპარსეთს. ორივე ეს ქვეყანა ერთმანეთთან სულ ახლახან დამთავრებული 25-წლიანი ომით ფრიად დასუსტებული იყო, რამაც არაბთა სწრაფი გამარჯვება განაპირობა. არაბებმა ბიზანტიას წაართვეს სირია, პალესტინა, ეგვიპტე და მთელი ჩრდილოეთ აფრიკა. 711 წ. არაბები

### მშვიდობით შუამდინარეთო და პალესტინავ!

634 წ. არაბებმა გადამწყვეტ ბრძოლაში ჰერაკლე კეისრის [illegible] კეისარმა ხოსროს [illegible] და ქვეყანა [illegible]. ხოსროს [illegible] ქალაქის [illegible] ბიზანტიელი ისტორიკოსის ცნობით, კეისარმა წამოიძახა: „მშვიდობით სირიავ"! [illegible] „ქართლის ცხოვრების" [illegible] ცნობით, „ჰერაკლე კეისარს მოახსენეს, რომ [illegible] (არაბები) [illegible] [illegible] „მშვიდობით შუამდინარეთო და ფილისტიმო (პალესტინავ)!"

ჯაბრაილის მხედართმთავრობით აფრიკიდან პირინეის ნახევარკუნძულზე გადავიდნენ და ესპანეთის უდიდეს ნაწილს დაეუფლნენ. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ამ არაბი სარდლის სახელიდან მოდის გიბრალტარის სრუტის სახელწოდება.

არაბებს ქრისტიანი ხალხები, მათ შორის ქართველები „ისმაიტელებს", „აგარიანებს" და „სარკინოზებსაც" ეძახდნენ. ხშირად ეს სახელი ბიბლიიდან მოდის. ბიბლიის მიხედვით, არაბები სათავეს იღებენ ებრაელთა მამამთავრის აბრაამის ვაჟის ისმაელისაგან. ის აბრაამს ეგვიპტელი მხევალი აგარისაგან. ისმაელის სახელიდან წარმოსდგა „ისმაიტელები", ხოლო მისი დედის სახელიდან – „აგარიანნი". „სარკინოზი", იგივე „სარაცინი" ერთ-ერთი არაბული ტომის სახელის ბერძნული გააზრებაა: „კან" ბერძნულად ძაღლს ნიშნავს. „სარკინოზი" ბერძნებში ესმოდათ როგორც სარას ძაღლი. ძაღლში კი, სარას მხევალი - აგარი იგულისხმებოდა.

არაბებმა მალე უზარმაზარი იმპერია - სახალიფო შექმნეს, რომელიც პირინეის ნახევარკუნძულიდან ინდოეთამდე იყო გადაჭიმული **(იხ. რუკა 10)**. მას ხალიფა ედგა სათავეში. ხალიფა ამ ქვეყნად მუჰამედის მოადგილეს ნიშნავს. არაბთა სახელმწიფო თეოკრატიული სახელმწიფო იყო. ეს სიტყვა ორი ბერძნული სიტყვისაგან – „თეო" – ღმერთი და „კრატია" – მართვა, გამგებლობა შედგება. თეოკრატულია სახელმწიფო, როდესაც ქვეყნის გამგებელი თავის ხელში აერთიანებს როგორც უმაღლეს საერო, ისე უმაღლეს სასულიერო ხელისუფლებას. არაბთა დაპყრობების კვალდაკვალ ისლამი მათ მიერ დაპყრობილ ხალხებშიც გავრცელდა და ერთ-ერთ მსოფლიო რელიგიად გადაიქცა. სასანიანთა სპარსეთის უკანასკნელმა შაჰმა იეზდიგერდ III მეფობა არაბებთან წარუმატებელ ბრძოლას შეალია. 633-652 წლებში არაბებმა მთელი სპარსეთი დაიპყრეს.

სამხრეთ კავკასიაში არაბთა პირველი მარბიელი რაზმები 640-იან წლებში გამოჩნდნენ. 654 წ. კი სომხეთის გავლით ქართლში არაბი სარდალი ჰაბიბ იბნ მასლამა ანუ ჰაბიბი მასლამის ძე შემოიჭრა. ამ დროს ქართლში ერისმთავრად სტეფანოზ II ადარნასეს ძე იყო. ერისმთავარმა არაბთა სარდალს მორჩილება გამოუცხადა, ელჩების ხელით საჩუქრები გაუგზავნა და მისგან ზავი და მშვიდობა ითხოვა. ჰაბიბ იბნ მასლამა ერისთავებს საქციელით კმაყოფილი დარჩა. მან ქართველებს უვნებლობის სიგელი უბოძა, რომელიც „დაცვის სიგელის" სახელითაა ცნობილი. სიგელის მიხედვით, ქართველები აღიარებდნენ არაბთა მორჩილებას და იხდიდნენ არამუსლიმებზე დაწესებულ სპეციალურ გადასახადს – ჯიზიას – კომლზე ერთ დინარს. მათ ეკრძალებოდათ გადასახადის შემცირებისათვის კომლების ხელოვნური გაერთიანება. არც არაბებს ჰქონდათ უფლება დაეყოთ კომლები ჯიზიის გაზრდის მიზნით. ქართველები ვალდებულნი იყვნენ დახმარებოდნენ არაბებს. თავის მხრივ არაბებიც ვალდებულებას იღებდნენ დახმარებოდნენ ქართველებს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. სიგელის მიხედვით, ქრისტიანობა არ იდევნებოდა, მაგრამ გამუსლიმებული ქართველი არაბთა თანასწორად ცხადდებოდა და შესაბამისად ჯიზიის გადახდისაგან თავისუფლდებოდა.

### დინარი

დინარი არაბული ოქროს მონეტაა. მისი სახელწოდება რომაული ოქროს „დენარიუს"-დან მოდის. [illegible] (685-705) [illegible] 4,25 გრამი.

### მეფეები და სულთნები

მუჰამედის სიკვდილის შემდეგ არაბებმა პირველ ხალიფად აბუ-ბექრი (632-634) აირჩიეს. შემდეგ – ომარი (634-644), ოსმანი (644-656) და ალი (661). [illegible] 661 წ. [illegible] 750 წლამდე [illegible]

მალე სახალიფოში შინაომი ატყდა. არაბებმა ქართლი მიატოვეს და VII ს-ის 70-იან წლებამდე სამხრეთ კავკასიისთვის ვერ მოიცალეს. შემდგომ კი მათ ქართლზე და სომხეთზე თავდასხმები ისევ განაახლეს. არც ბიზანტია თმობდა სამხრეთ კავკასიაში თავის პოზიციებს. ის კარგად იყენებდა ფარნავაზიანთა სხვადასხვა შტოების ბრძოლას პირველობისთვის და პატრიკიოსის ანუ ქართლის ერისმთავრის ტიტულს ხან ერთ საგვარეულოს უბოძებდა და ხან მეორეს.

ბიზანტიამ სტეფანოზ II-ს არაბებისადმი დამორჩილება არ აპატია. 660-იანი წლების ბოლოს მან ქართლის ერისმთავრობა მის ვაჟს გუარამს ჩამოართვა და ფარნავაზიანთა კახური შტოს წარმომადგენელს ნერსე ბაკურის-ძეს (იგივე ნერსე ბაკურიანს) გადასცა.


პირობითი ნიშნები
1 — თბილისის საამირო
— აფხაზთა სამეფოს საზღვრები
— აფხაზთა სამეფოში XI-ში შესული ტერიტორიის საზღვრები
— აფხაზთა სამთავროს იმ ტერიტორიის საზღვრები რომელიც არ შედიოდა აფხაზთა სამეფოში
— აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია
— ქართლის კათალიკოსის რეზიდენცია
— კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებული ლაზეთის მიტროპოლიტის რეზიდენცია
— კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებული საარქიეპისკოპოსოს რეზიდენცია
— ლაზეთის მიტროპოლიისადმი დაქვემდებარებული საეპისკოპოსო კათედრალი
— აფხაზეთის კათალიკოსისადმი დაქვემდებარებული საეპისკოპოსო კათედრალი
ქართლის კათალიკოსისადმი დაქვემდებარებული საეპისკოპოსო კათედრალი
— ეკლესია
— მონასტერი
— დედაქალაქი
— დასახლებული პუნქტი
— ციხე-სიმაგრე
შ ა ვ ი
ზ ღ ვ ა

# კახეთ-ჰერეთი X-XI საუკუნეებში



ერისმთავარმა ნერსე I (668-685) 670-იან წლებში ქართლში შემოჭრილი არაბთა ლაშქარი დაამარცხა. ქართველთა ამ გამარჯვების შესახებ IX-X სს-ის სომეხთა კათალიკოსი და ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტელი მოგვითხრობს. შემდგომში ნერსე იძულებული გახდა არაბთა უზენაესობა ეცნო. ამიტომ ბიზანტიის კეისარმა ახლა ქართლის ერისმთავრობა ქართლის პიტიახშთა, იგივე ძეროზიანთა საგვარეულოს წარმომადგენელს არშუშა II-ს (685-700) გადასცა. არშუშას შემდეგ ვარაზ-ბაკური (700-709) ერისმთავრობდა, რომელიც აგრეთვე ბაკურიანთა საგვარეულოდან უნდა ყოფილიყო.

680-იან წლებში ვერც არაბებმა და ვერც ბიზანტიელებმა სომხეთსა და ქართლში გადამწყვეტ უპირატესობას ვერ მიაღწიეს. ამიტომ ამ ქვეყნებში აკრეფილი ხარკი შუაზე გაიყვეს. ქართლზე პრეტენზია ხაზარებმაც განაცხადეს. საბოლოოდ წარმატება მაინც არაბებს ხვდათ, რომლებიც ეგრისშიც გადავიდნენ.

ძალზე ცოტა რამაა ცნობილი VII ს-ის ეგრისის შესახებ. ამ საუკუნის 60-იან წლებში ეგრისის მეფე, ქართლის ერისმთავრების მსგავსად, პატრიკიოსის ბიზანტიურ ტიტულს ატარებდა. ეგრისის სამეფოს საზღვრები თითქმის უცვლელი დარჩა. ეგრისის პატრიკიოსს აფხაზთა ორი ერისთავი კვლავაც ემორჩილებოდა, მაგრამ ადრეულ ხანასთან შედარებით მათ მეტი დამოუკიდებლობა ჰქონდათ. ამ დროს ეგრისში შინაომი მძვინვარებდა. პატრიკიოსის ტახტისათვის ერთმანეთს ორი პრეტენდენტი გრიგოლი და ლე-**ბარნუკიოსი**, იგივე ბარნუკი ებრძოდა. საბოლოოდ გამარჯვება ბარნუკს დარჩა. 697 წელს მისი ვაჟი სერგი ბარნუკის ძე ბიზანტიელებს აუჯანყდა და მათ წინააღმდეგ არაბები თავის სამფლობელოში მოიწვია. მალე არაბებმა ფაქტობრივად მთელი დასავლეთ საქართველო დაიპყრეს და თავიანთი მეციხოვნეები ეგრისის უმნიშვნელოვანეს ციხე-სიმაგრეებში, პირველ რიგში ციხე-გოჯში ჩააყენეს. ბიზანტიელებმა მხოლოდ ფოთი და კიდევ რამდენიმე ზღვისპირა პუნქტი შეინარჩუნეს.

## § 30. არაბთა ბატონობა საქართველოში

ეგრისის დაქვემდებარების მიუხედავად, VIII ს-ის დასაწყისში არაბთა პოზიციები აღმოსავლეთ საქართველოშიც კი არ იყო მყარი. ბიზანტია ცდილობდა ქართლის საერისმთავროზე თავისი გავლენა აღედგინა. ქართლის ერისმთავრები ძველებურად ატარებდნენ ბიზანტიის კეისართა მიერ მინიჭებულ პატრიკიოსის ტიტულს და ხელსაყრელ მომენტს ეძებდნენ არაბთა ბატონობისაგან თავის დასახსნელად. მით უფრო, რომ არაბებმა დაპყრობილ ხალხებს VIII საუკუნის დამდეგიდან ხარკი კიდევ უფრო დაუმძიმეს. ადრევე დაწესებული საკომლო გადასახადი ჯიზია მათ ახლა სულადობრივად აქციეს, რამაც თითოეული კომლიდან აკრეფილი ჯიზიის ოდენობა საგრძნობლად გაზარდა.

710 წ. ქართლის ერისმთავრის ტახტზე ფარნავაზიანთა კახური შტოს ბაკურიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი ქართლის ერისმთავრის ნერსე I-ის ძე სტეფანოზ III ავიდა. მას ორი ვაჟი მირი, იგივე მირიანი და არჩილი ჰყავდა.

ბიზანტია არ შეურიგდა ეგრისის სამეფოში არაბების გაბატონებას და იქიდან მათ გასაძევებლად ყოველ ღონეს ხმარობდა. 711 წ. კეისარმა ვარდან ფილიპიკოსმა დასავლეთ საქართველოში საგანგებო დავალებით თავისი ელჩი, ბიზანტიის მომავალი კეისარი ლეონ ისავრიელი გამოგზავნა. ლეონი დასავლეთ საქართველოდან კოდორის ხეობით ჩრდილოეთ კავკასიაში უნდა გადასულიყო და ეგრისში გამაგრებული არაბების წინააღმდეგ ალან-ოსები მოემხრო. ელჩს მალე ფოთის გზით ბიზანტიელთა ლაშქარიც მოჰყვა. ბიზანტიელებმა ციხე-გოჯს ალყა შემოარტყეს. კეისარმა ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ III დასავლეთ საქართველოში არაბებთან საბრძოლველად მოიწვია და ჯერ კიდევ არაბებისაგან გასანთავისუფლებელი ეგრისი უბოძა. სტეფანოზ III-ც თავის უფროს შვილთან მირთან ერთად ეგრისში ჩავიდა და ბიზანტიელთა ლაშქარს შეუერთდა, უმცროსი ვაჟი არჩილი კი ქართლში დატოვა. 714 წ. ქართლში დარუბანდის გზით არაბთა ლაშქარი შემოიჭრა, რომელიც მანამდე ჩრდილოეთ კავკასიაში ხაზარებს ებრძოდა. ამ ლაშქარს ცნობილი სარდალი ხალიფა აბდ ალ-მალიქის ძე მასლამა მოუძღოდა. არჩილი ურიცხვ მტერთან შებმას მოერიდა და თავი ეგრისს შეაფარა. არაბებმა ქართლი აიკლეს, ეგრისში გადავიდნენ

ბიზანტიის კეისარი ლეონ III ისავრიელი

ლეონ III ისავრიელი (717-741) ერთ-ერთი დიდი ფიგურაა ბიზანტიის ისტორიაში. ის სამხედრო პირი იყო. მის სახელს უკავშირდება არაბებთან წარმატებული ბრძოლა, აგრეთვე ერთ-ერთი ქრისტიანული მწვალებლური მიმდინარეობა – ხატმებრძოლეობა.

და ციხე-გოჯში გამაგრებული თავიანთი შეკვიხოვნეების დასახმარებლად გაეშურნენ. მათი გამოჩენით შეშინებულმა ბიზანტიელებმა ციხე-გოჯს ალყა მოხსნეს და ფოთისკენ დაიხიეს. მირი და არჩილი აფშილეთში გამაგრდნენ.

ბიზანტიელთა მარცხის მიუხედავად, კეისრის ელჩმა ლეონმა დაკისრებული მისიის თავი ნაწილობრივ მაინც გაართვა და ალან-ოსების დახმარებით აფხაზეთი უშუალოდ იმპერიას დაუმორჩილა. ამის შემდეგ ის ალან-ოსებიდან ისევ ეგრისში, აფშილეთში მოვიდა. ლეონმა ეგრისიდან სამშობლოსაკენ გაღწევა არაბების გამო გაუჭირდა, სამაგიეროდ აფშილეთის და ოსეთის საზღვარზე მდგომი ხოფრის, იგივე რკინის ციხე აიღო და იქ გამაგრდა. რკინის ციხეში გამაგრებულ ლეონს ქართლის ერისმთავრის სტეფანოზ III-ის ვაჟი მირი, ბიზანტიელი ისტორიკოსის თეოფანე ჟამთააღმწერლის მიხედვით, მარინე (მარი/მირიანი ლათინურად მარინედ გამოითქმოდა, ამიტომ უწოდებს მირიანს თეოფანე მარინეს) უახლოვდა და შავი ზღვისპირას უვნებლად გაიყვანა, საიდანაც კეისრის ელჩი სამშობლოში გაემგზავრა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ლეონ ისავრიელი მალე კეისარი გახდა. მან მირს და არჩილს სამსახური დაუფასა და სამეფო გვირგვინები გამოუგზავნა. მირს ეგრისის პატრიკიოსობაც უბოძა. ამის შემდეგ „ქართლის ცხოვრება" მათ მეფეებად მოიხსენიებს. კეისარმა აფხაზთა ერისთავს ლეონს ერისთაობა მემკვიდრეობით დაუმტკიცა და ქართლის და ეგრისის მეფეთა ქვეშევრდომობა და სამსახური უბრძანა.

კეისრის წყალობის მიუხედავად სტეფანოზ III და მისი ვაჟები არაბთა ძლიერების გამო ვერც ქართლსა და ვერც ეგრისში თავს მყარად ვერ გრძნობდნენ.

მით უფრო, რომ სამხრეთ კავკასია ფაქტობრივად არაბთა და ხაზართა შორის ხშირი ლაშქრობების ასპარეზად იქცა. არაბები იმხანად სავაჭრო გზების ხელში ჩაგდების მიზნით, კავკასიის ჩრდილოეთით ხაზართა სახაკანოს ეომებოდნენ, თანაც გზად ქართლსა და ეგრისს არბევდნენ, რომლებსაც ხან ბიზანტიელთა, ხანაც ხაზართა მოკავშირეობაში სდებდნენ ბრალს.

725 წ. არაბთა სახალიფოს ტახტზე ახლად ასულმა ხალიფა ჰიშამმა (724-743) კავკასიაში ხაზარების წინააღმდეგ საბრძოლველად არაბი სარდალი ჯარაჰ იბნ აბდ ალ-ლაჰი (აბდ ალ-ლაჰის ძე ჯარაჰი) გამოგზავნა. ხაზარეთისაკენ მიმავალი ჯარაჰი ჯერ ქართლში შემოვიდა. მან ქართლის მოსახლეობას ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ გაცემული „დაცვის სიგელი" განუახლა. ამავე დროს სრულიად ახალი გადასახადი „ხარაჯა" დააკისრა. „ხარაჯა" საადგილმამულო გადასახადი იყო და მოსავლიდან აიღებოდა. აქედან მოდის ქართული სიტყვები: „ხარკი", „ხორაგი", „ხარჯი". ახალმა გადასახადმა ქართლში არაბთა უღელი კიდევ უფრო დაამძიმა.

728-730 წლებში ხაზარეთში კვლავ ილაშქრეს ჯერ მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქმა და შემდგომ ჯარაჰ იბნ აბდ ალ-ლაჰმა. ამავე დროს მათ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველო დალაშქრეს და ქვეყანა ააოხრეს.

არაბებს ქართველებმა ხაზარები დაუპირისპირეს. 730 წ. სტეფანოზ III-ის მოწვევით, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ხაზარები შემოიჭრნენ და გადამწყვეტ ბრძოლაში არაბები სასტიკად დაამარცხეს. ამის შემდეგ სტეფანოზ III და მისი ვაჟების ძალაუფლება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, შედარებით განმტკიცდა. სტეფანოზ III უკვე „ქართველთა და მეგრელთა ერისთავ-ერისთავთა უფლის" ტიტულს ატარებდა. აქ „ქართველი" ქართლის საერისმთავროს, „მეგრელი" კი ეგრისის საერისმთავროს მოსახლეს ნიშნავდა.

ამგვარად, ჩვენმა წინაპრებმა არაბების, ბიზანტიელების და ხაზარების დაპირისპირება კარგად გამოიყენეს და VIII ს-ის I ნახევარში საქართველოს გაერთიანება დროებით მაინც მოახერხეს.

ქართველთა ამ დიდ წარმატებას არაბთა ახალი დამსჯელი ლაშქრობა მოჰყვა. 735-738 წლებში ხაზარებთან და მათ მოკავშირე ქართლისა და ეგრისის ერისმთავარ სტეფანოზ III-თან საბრძოლველად არაბთა ხალიფამ თავისი ნათესავი მუჰამედის ძე მურვანი გამოგზავნა. ეს არაბი სარდალი საქართველოში მურვან ყრუს სახელითაა ცნობილი. ქართველი მემატიანის ცნობით, მას „ყრუ" მისი სისასტიკისა და დაუნდობლობის გამო ეწოდა. მურვან ყრუ ქართლში 120 ათასიანი ლაშქრით შემოიჭრა. სტეფანოზ III არჩილთან ერთად კვლავ ეგრისში გადავიდა. ქართლის ერისმთავარს არაბთა სარდალი დაედევნა. არაბთა ლაშქარი ჯერ არგვეთს მიადგა. არგვეთის ერისთავებმა ძმებმა დავითმა და კონსტანტინემ მტერს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. მიუხედავად ამისა, ქართველები დამარცხდნენ, ტყვედ ჩავარდნილ ერისთავებს არაბებმა

ომაიანები და აბასიანები

661 წლიდან არაბთა სახალიფოს ომაიანთა დინასტია განაგებდა. მურვან ყრუ ამ დინასტიიდან გამოსული უკანასკნელი ხალიფა იყო. 749 წ. სახალიფოს სათავეში ახალი აბასიანთა დინასტია ჩაუდგა. აბასიანებმა [illegible] ხალიფებს ხარკი კიდევ უფრო გაუზარდეს. [illegible] შედარებით შეუწყნარებლობით გამოირჩეოდნენ.

ისლამში გადასვლა მოსთხოვეს. მათ კი, ქრისტიანობისათვის მოწამებრივი სიკვდილი არჩიეს. ქართულმა ეკლესიამ დავითი და კონსტანტინე წმინდანებად შერაცხა. მათი ნეშტი მოწამეთას ეკლესიაშია დაკრძალული.

ანაკოფიიდან არაბები ციხე-გოჯისაკენ დაიძრნენ, რომელიც იმჟამად ქართველებს ეკავათ. არაბებმა აიღეს ეს კარგად გამაგრებული, სასაზღვრო ციხე-ქალაქი და შიდა ეგრისი მთლიანად მოაოხრეს. შემდეგ მტრის ლაშქარი ანაკოფიის ციხეს მიადგა, სადაც მირი, არჩილი და აფხაზეთის ერისთავი ლეონი იყვნენ გამაგრებულები. ბრძოლის წინ არაბთა ლაშქარში ეპიდემიამ იფეთქა, რამაც 35 ათასი არაბი იმსხვერპლა. ქართველები ციხიდან გამოვიდნენ და მტერი სასტიკად დაამარცხეს. ამ ბრძოლაში მირი დაიჭრა და ჭრილობისაგან გარდაიცვალა. ამგვარად არაბთა ლაშქარი იძულებული გახდა უკან დაეხია. 738 წ. არაბებმა კლდორის ხეობაში რკინის (ხობლის) ციხე აიღეს, სადაც მირის ვაჟი ევსტატე შეიპყრეს და აწამეს. ამავე წელს სტეფანოზ III გარდაიცვალა. მისი ცხედარი ეგრისიდან გადმოასვენეს და ატენის სიონში დაკრძალეს. მირს მემკვიდრე აღარ დარჩა. ქართლსა და ეგრისში მისი ძმა არჩილ III გამეფდა (738-762). 744 წელს მურვან ყრუმ სამხრეთ კავკასია დატოვა და ხალიფის ტახტი დაიკავა.

მურვან ყრუს სახალიფოში გამგზავრების შემდეგ არჩილმა ეგრისში თავისი უფროსი ვაჟი იოანე დატოვა, თვითონ კი უმცროს შვილთან ჯუანშერთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა. მემატიანის ცნობით, თბილისი და საერთოდ ქართლი ისე იყო აოხრებული, რომ არჩილ მეფე აქ ვერ გაჩერდა და კახეთში გადავიდა. 762 წ. აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა ახალი ლაშქარი შემოიჭრა და კახეთს მიადგა. არჩილმა გადაწყვიტა ქვეყანა აოხრებისაგან ეხსნა. ამიტომ არაბთა სარდალს ეახლა. სარდალმა არჩილი თავდაპირველად დიდი პატივით მიიღო, მაგრამ მალე მუსლიმობაში გადასვლა მოსთხოვა, მეფემ რჯულის დათმობას სიკვდილი არჩია. ქართულმა ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა. კახელმა აზნაურებმა გოდერძიანთა თაოსნობით არაბთა მიერ წამებული არჩილ მეფის ცხედარი ღამით მოიპარეს და ერწოში მის მიერვე აგებულ ნოტკორის ტაძარში დაკრძალეს.

არჩილ მეფის სიკვდილის შემდეგ არაბთა უღელი აღმოსავლეთ საქართველოში ძალზე დამძიმდა. თბილისში არაბი ამირა დაჯდა და არაბთა უშუალო გამგებლობა დამყარდა. „ამირა" არაბულად „მხედართმთავარს", „მთავარს" აღნიშნავს. მას ევალებოდა ადგილზე ჯარების ხელმძღვანელობა, გადასახადის აკრეფა, სამართლის წარმოება. ამირები დიდი უფლებებით სარგებლობდნენ და თავიანთი სახელით არაბულ მონეტებსაც ჭრიდნენ. არაბი ამირები თბილისში VIII ს-ის პირველ ნახევარშიც იმყოფებოდნენ, მაგრამ ეს უფრო დროებით, ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. VIII ს-ის 60-იანი წლებიდან კი, თბილისი მათი მუდმივი სამყოფელი ხდება. ამირა თავდაპირველად მთელ ქართლის საერისმთავროს განაგებდა და „ქართლის ამირად" იწოდებოდა. მოგვიანებით არაბ ამირას მხოლოდ თბილისი და მისი მიმჯნავე ტერიტორია ემორჩილებოდა ამიტომ „ქართლის ცხოვრებაში" ის „ტფილელ ამირად" ან კიდევ „ტფილისის ამირად" მოიხსენიება. სამეფოს დარბევის შემდეგ არაბებს ქართლში ერისმთავრობა არ გაუუქმებიათ. მათ ერისმთავარი ქართული ქრისტიანულ-ფეოდალური საზოგადოების მართვისათვის სჭირდებოდათ. თუმცა ერისმთავრის ხელისუფლება ძალზე შეიზღუდა. მას ძირითადად ქართული ლაშქრის გამოყვანის და არაბების სასარგებლოდ გადასახადის აკრეფის ფუნქცია რჩებოდა.

ქართლში არაბი ამირების ხელისუფლების განმტკიცებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ხაზართა მიერ არჩილის ვაჟის ქართლის ერისმთავრის ჯუანშერის დატყვევებამ.

ხაზართა ხაკანმა ქართლის ერისმთავარს ჯუანშერ II-ს (762-764) მოციქულები გამოუგზავნა და თავისი დის, სილამაზით განთქმული შუშანის ხელი სთხოვა, რაზეც უარი მიიღო. ცხადია, ხაზართა მბრძანებელს მხოლოდ შუშანის სილამაზე არ აინტერესებდა. მას არაბთა წინააღმდეგ ქართლის საერისმთავროს მოკავშირეობა სურდა. დამოყვრებაზე უარი ფაქტობრივად ხაზართა მოკავშირეობაზე უარის თქმას ნიშნავდა. საქმე ისაა, რომ ჯუანშერმა მშვენივრად იცოდა, ხაზართა მოკავშირეობას და მათთან ერთად არაბთა წინააღმდეგ ლაშქრობას, არაბთა მხრივ ქვეყნის მორიგი სასტიკი დარბევა მოჰყვებოდა. არაბთა საბოლოოდ განდევნის იმედი კი, თუნდაც ხაზართა მეშვეობით, მას იმჟამად არ ჰქონდა.

განრისხებულმა ხაკანმა 764 წელს აღმოსავლეთ საქართველოში დიდი ლაშქარი გამოგზავნა. ხაზარებმა კახეთი და ქართლი დაარბიეს, თბილისი შემუსრეს, კახეთის ერთ-ერთ ციხეში გამაგრებული ჯუანშერი და მისი და შუშანა დაატყვევეს და დარიალის გზით ხაზარეთისაკენ გზას გაუყვნენ. შუშანამ „ურჯულო" ხაკანის ცოლობას სიკვდილი ამჯობინა. მან ბეჭედში შენახული საწამლავი დალია და სული განუტევა. მემატიანის ცნობით, ხაკანმა, განრისხებულმა იმით, რომ შუშანა ვერც ცოცხალი და ვერც მკვდარი ვერ იხილა, თავისი სარდალი სიკვდილით დასაჯა. ჯუანშერმა ხაზართა ტყვეობაში შვიდი წელი გაატარა.

ჯუანშერის შემდეგ ქართლის ერისმთავარი მისი ნათესავი ნერსე I-ის შვილიშვილი, ნერსე II ადარნასეს ძე გახდა. ეს ერისმთავარი იოანე საბანისძის „აბო ტფილელის მარტვილობიდან" ცნობილი. 773 წ. ნერსე ანტიარაბული საქმიანობისათვის ხალიფა ალ-მანსურმა მის მიერვე აგებულ სახალიფოს ახალ

ქალაქი ბაღდადი

ბაღდადი მდ. ტიგრისის ნაპირას მდებარეობს. ის არაბთა სახალიფოს დედაქალაქად 762 წ. სავანგებოდ ააშენა ხალიფა ალ-მანსურმა. „ბაღდადი" ხმარებულად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ღვთის საჩუქარს" ნიშნავს. დღეს ბაღდადი ერაყის დედაქალაქია.

დედაქალაქში ბაღდადში დაიბარა და საპყრობილეში ჩააგდო. სამი წლის შემდეგ ახალმა ხალიფამ ნერსე საპყრობილედან გაანთავისუფლა და სამშობლოში გამოგზავნა.

სამშობლოში დაბრუნებული ნერსე ერისმთავარი მაინც არაბებთან ბრძოლას განაგრძობდა. როცა ის დარწმუნდა, რომ საკუთარი ძალებით არაბებს ვერ დაამარცხებდა, დახმარების სათხოვნელად თავისი ამალით ხაზართა ხაკანის კარზე გაემგზავრა. ხაზარებიდან მან რეალური დახმარება ვერ მიიღო და ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში ლეონ II-თან გადავიდა. არაბებმა მის ნაცვლად ერისმთავრად მისი დისწული სტეფანოზ IV დანიშნეს, რომელიც იმავდროულად ნერსე I-ის შვილიშვილი, მისი უმცროსი ვაჟის გურგენის ძე იყო. სტეფანოზ IV ქართლის ტახტზე გორგასლიანთა კახური შტოს, ბაკურიანთა უკანასკნელი წარმომადგენელია.

ჯუანშერის ჯერ კიდევ ხაზართა ტყვეობაში ყოფნის დროს მისი ძმა ეგრისის ერისმთავარი იოანე უძეოდ გარდაიცვალა. ასეთ ვითარებაში ეგრისის ტახტი აფხაზთა ერისთავს ეკუთვნოდა, რომელიც, როგორც გვახსოვს, ეგრისის მეფის გუბაზ II-ის ბიძის აფსარტეს შთამომავალი და ეგრისის სამეფო დინასტიის გვერდითი შტოს წარმომადგენელი იყო. აფხაზთა ერისთავს ლეონ I-ს მირის ასული გურანდუხტი ჰყავდა ცოლად, რაც აფხაზთა ერისთავების პრეტენზიას დასავლეთ საქართველოს ტახტზე კიდევ უფრო ამლიერებდა. ასეთ ვითარებაში აფხაზეთის ერისთავმა ეგრისის სამეფო ტახტზე თავისი კანონიერი უფლება გამოიყენა და მთელი დასავლეთ საქართველო გააერთიანა. ლეონ II სამეფოს დედაქალაქად ქუთაისი აქცია. თავდაპირველად ის მოავრის ტიტულს ატარებდა და ბიზანტიის კეისრის ქვეშევრდომად ცნობდა თავს. VIII ს-ის 90-იან წლებში ხაზართა ხაკანის დახმარებით, რომლის ასულის წულიც ის იყო, ლეონ II თავი ბიზანტიისაგან დამოუკიდებლად გამოაცხადა და აფხაზთა მეფის ტიტული მიიღო. ამის შემდეგ ქართულ წყაროებში დასავლეთ საქართველო საუკუნეთა მანძილზე „აფხაზეთად" იწოდება. ახლადწარმოქმნილი აფხაზთა სამეფო ვრცელი ქვეყანა იყო. მას დასავლეთით შავი ზღვა ესაზღვრებოდა, ჩრდილო-დასავლეთით მისი საზღვარი მდ. ნიკოფსისამდე (დღევანდელი მდ. ნეჩეფსუხო) აღწევდა. მდ. ნიკოფსიის შესართავთან, შარცხენა ნაპირზე, დღევანდელი ქალაქ ტუაფსის ჩრდილო-დასავლეთით დაახლ. 40 კმ-ის დაშორებით, ზღვის ნაპირას მდებარეობდა ქალაქი ნიკოფსიაი, იგივე ნიკოფსია. დღეს ამ ადგილს „ნოვაია მიხაილოვკა" ეწოდება. ძველი ნაქალაქარიდან დღეისათვის აქ მხოლოდ ციხე-სიმაგრის ნანგრევებია შემორჩენილი. ამ ნანგრევების კედლის ქვის წყობა ძალზე წააგავს VIII-X ს-ის ქართული ციხე-სიმაგრეების კედლების წყობას. ჩრდილოეთით აფხაზთა სამეფოს კავკასიონის მთავარი ქედი ესაზღვრებოდა, აღმოსავლეთით - ლიხის ქედი, სამხრეთით - ფერსათის ანუ ლაღის ქედი. უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთით აფხაზთა სამთავროს საზღვარი ქალაქ ტრაპეზუნტსაც მოიცავდა. აფხაზთა სამეფოს ბიზანტიის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების შემდეგ, ამ სამეფოს საზღვარმა ბიზანტიასთან მდინარე ჭოროხზე გადაინაცვლა.

VIII ს-ის II ნახევრის ქართველი მწერალი იოანე საბანისძე აფხაზთა სამეფოს საზღვრების შესახებ

„ქვეყანა იგი ხოლო ქართველთა სარწმუნოებისა და არავინ უცხოთესლი არ ცხოვრობს მკვიდრად მის საზღვრებში. ამ ქვეყნის საზღვრებია: პონტოს ზღვა ... ქალდეის საზღვრამდე. აქ არის ტრაპეზუნტი, ნაქალაქარი აფსარეასი (გონიო) და ნიფსის (ნიკოფსიის) ნავსადგური. ეს ქალაქები და ადგილები სარწმუნოებით ქრისტეს მახვილის იოანე (ბერძენთა) მეფისა, რომელიც ტახტზე ზის დიდ ქალაქ კონსტანტინოპოლში". ქალდეა იგივე ხალდეა ანუ ისტორიული ჭანეთი ეწოდებოდა დღევანდელი თურქეთის შავი ზღვის სანაპიროს, ტრაპიზონის სამხრეთ-დასავლეთით მდ. ყიზილ ირმაკამდე. თუმცა საბანისძეს აფხაზეთის სამთავრო იმხანად საზღვრებში წარმოდგენილი, როგორც ლეონ II ჯერ კიდევ ბიზანტიის კეისარს ემორჩილებოდა.

ლეონ II აფხაზთა მეფემ სამეფო რვა საერისთავოდ დაჰყო. საკუთრივ აფხაზთა საერისთავო მოიცავდა შავი ზღვისპირა ტერიტორიას მდ. ნიკოფსიიდან ანაკოფიის ციხე-სიმაგრემდე, ცხუმის საერისთავო ვრცელდებოდა ანაკოფიიდან მდ. კელასურამდე, ოდიშის საერისთავო - მდ. კელასურიდან მდ. ტეხურამდე, გურიის საერისთავო - პალიასტომის ტბიდან მდ. ჭოროხის შესართავამდე, თაკვერის საერისთავოს გეოგრაფიული რაჭა-ლეჩხუმი ეჭირა, სვანეთის საერისთავო ძირითადად დღევანდელი ზემო და ქვემო სვანეთს მოიცავდა, არგვეთის, იგივე შორაპნის საერისთავო - ლიხის ქედიდან ქუთაისამდე ვრცელდებოდა, ქალაქი ქუთაისი და კოლხეთის დაბლობი მდ. ტეხურამდე სამოქალაქოს საერისთავოში შედიოდა **(იხ. რუკა 11)**.

ბიზანტიის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებელ სამეფოდ ჩამოყალიბებას ადვილად არ შეეგუება. ბიზანტიელებმა 832 წ. და 840-იან წლებში ზღვით ორჯერ ილაშქრეს აფხაზთა სამეფოს წინააღმდეგ, ქართველებმა მტერი ორჯერვე დაამარცხეს და დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს.

## § 31. ქართული სამეფო-სამთავროები IX საუკუნეში

VIII ს-ის მიწურულიდან ქართველი ხალხის ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა ქართლის ერისმთავარი აშოტ ბაგრატიონი, რომელმაც საერისმთავრო ტახტზე ფარნავაზიანთა კახური შტო, ბაკურიანები შეცვალა. აშოტ ბაგრატიონი ადარნასეს ძე ქალის ხაზით ბივრიტიან-ფარნავაზიანთა კლარჯული შტოს წარმომადგენელი იყო: მისმა წინაპარმა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, VI-VII სს-ის მიჯნაზე ცოლად მოიყვანა გურგენ-გუარამ ერისმთავრის ასული, სტეფანოზ I-ის და ლატავრა. აშოტ ბაგრატიონის უფროსი და ლატავრა კი ცოლად ჰყავდა ქართლის ერისმთავარს ჯუანშერ II-ს.

არაბთა საამიროს ჩამოყალიბებამ და ერისმთავრის ხელისუფლების დაკნინებამ ქართლის საერისმთავროში ადგილობრივ მთავართა ხელისუფლება გააძლიერა, რამაც ქართლის საერისმთავროს ფაქტობრივად ცალკეულ სამთავროებად დაშლა მოჰყვა. აშოტს კახეთი და ჰერეთი უკვე აღარ ემორჩილებოდა.

ჰერეთის სამთავრო VIII ს-ის 60-იან წლებში შეიქმნა. ის ძირითადად ისტორიულ კამბეჩოვანს ანუ ქიზიყს, გვიანდელ საინგილოს და აგრეთვე ქალაქ შაქს (დღევანდ. ნუხა აზერბაიჯანში) და მის ქვეყანას მოიცავდა. მისი აღმოსავლეთი საზღვარი დღევანდელ მდ. ალჯიგან-ჩაიზე გადიოდა. აქ მდინარის სათავეში მდებარე კავკასიონის ქედიდან ჩამომავალ შტოს დღესაც გურჯი-დაღი ანუ ქართველთა ქედი ეწოდება. ჰერეთის მთავრები თავდაპირველად პატრიკიოსის ბიზანტიურ ტიტულს ატარებდნენ, 893 წლიდან კი მათ მეფის ტიტული მიიღეს. ქართველები არაბობის ხანიდან ჰერეთს რანსაც უძახდნენ, რადგან ჰერეთის ძირითადი ნაწილი – კამბეჩოვანი VII ს-ის ბოლოდან ერთ ხანს რანის ანუ მტკვრის მარჯვენა ნაპირის ალბანეთის სამთავროსთან იყო მიერთებული. ჰერთა, იგივე რანთა პირველი მეფე იყო გრიგოლ-ჰამამი. ჰერთა სამეფო ოთხი საერისთავოსაგან შედგებოდა: შტორისა და შაქის (მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროზე), ვეჟინისა და ხორნაბუჯის (მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე) სამეფოს დედაქალაქი იყო შაქი.

კახეთის დამოუკიდებელი სამთავრო VIII ს-ის 80-იან წლებში შეიქმნა. კახეთის პირველი მთავარი იყო გრიგოლი, რომელიც ფარნავაზიანთა კახურ შტოს ეკუთვნოდა. ერთხანს გრიგოლი ისე გაძლიერდა, რომ კახეთთან ერთად შიდა ქართლიც დაიკავა. გრიგოლის ეს წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა. აშოტ კურაპალატმა თავისი სიძის აფხაზთა მეფის თეოდოსის დახმარებით ის დაამარცხა და შიდა ქართლი ქსნამდე წაართვა. გრიგოლი თავის სამხედრო ძალად ძირითადად მთიულებს და წანარებს იყენებდა. წანარები, ისტორიულ ხევში მოსახლე ქართულ ტომს ეწოდებოდა. წანართა ერთი ნაწილი ამ დროისათვის თავიდან კახეთში ჩამოსახლდა. გრიგოლის სიკვდილის შემდეგ კახეთის სამთავროს ტახტზე წანართა დინასტია ავიდა. ამიტომ კახელებს VIII-X საუკუნეების წყაროებში წანარებსაც უწოდებენ. ახალი დინასტიის მთავრები ქორეპისკოპოსის ტიტულს ატარებდნენ, რაც დაბა-ქვეყნის, სოფლების ეპისკოპოსს ნიშნავს (**იხ. რუკა 12**).

ქართლის ერისმთავრის აშოტის წინაშე ორი ამოცანა იდგა: არაბთა განდევნა და ქართლის საერისმთავროს ერთიანობის აღდგენა. არაბთა წინააღმდეგ ის პირველ რიგში აფხაზთა სამეფოს დაუკავშირდა და თავისი ასული აფხაზთა მეფის ლეონ II-ის მემკვიდრეს, აფხაზთა მეფე თეოდოს I-ს მიათხოვა. აშოტმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ბიზანტიის იმპერიასთანაც და კეისრისაგან ერთ-ერთი უმაღლესი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული – „კურაპალატობა" მიიღო. ქართლის ერისმთავარმა ისარგებლა სახალიფოში გაჩაღებული შინა ომით და არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავდაპირველად დიდ წარმატებას მიაღწია. როგორც ქართველი მემატიანე მოგვითხრობს, აშოტ კურაპალატმა თბილისი და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის უდიდესი ქალაქი ბარდავი „სახლად თვისად გაიხადა" და მათ შორის მდებარე ტერიტორიაც დაიჭირა.

სახალიფოში შინა ომის დასრულების შემდეგ არაბებმა აშოტ კურაპალატს დიდი ძალებით შეუტიეს. აშოტი იძულებული გახდა ოჯახთან და ამალასთან ერთად ბრძოლით გაეკაფა გზა და შიდა ქართლიდან თავის სამკვიდრო მამულში შავშეთ-კლარჯეთში გადახვეწილიყო. იმჟამად შავშეთ-კლარჯეთი არაბებისაგან ძალზე აოხრებული იყო. აშოტ კურაპალატის აქ დამკვიდრებით დაიწყო ამ მხარის აღორძინება. ქვეყანა ხელახლა მოშენდა. აშოტმა თავის რეზიდენციად ჯერ კიდევ ვაჰტანგ

გორგასლის დროს აშენებული, მაგრამ იმჟამად ნანგრევებად ქცეული არტანუჯის ციხე-ქალაქი გაიხადა, რომელიც ხელახლა ააშენა. მალე ეს ქალაქი სამხრეთ კავკასიის უდიდეს სავაჭრო ცენტრად გადაიქცა.

ამ დროისათვის ქართლის საერისმთავროს ცენტრალური ნაწილი თბილისითურთ არაბებს ეკავათ, ჰერეთი და კახეთი დამოუკიდებელ სამთავროებს წარმოადგენდნენ, რომელზედაც ქართლის ერისმთავარს ხელი აღარ მიუწვდებოდა. ამიტომ იმჟამად ქართლის ანუ ქართველთა საერისმთავრო ფაქტობრივად ძველი ქართველთა საერისმთავროს მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიებს - სამცხე-ჯავახეთ-კოლა-არტაანს მტკვრის ხეობაში; შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალის ხევსა და ტაოს ჭოროხის ხეობაში - მოიცავდა **(იხ. რუკა 13)**. ამისდა მიუხედავად, როგორც აშოტ კურაპალატს, ისე მის თანამედროვეებს ეს ფაქტობრივად ახლადშექმნილი პოლიტიკური ერთეული - ქართველთა საკურაპალატო - ძველი ქართლის სამეფოსა და ქართლის საერისმთავროს მემკვიდრედ მიაჩნდათ და აშოტს „ქართველთა ზედა მთავარს“ უწოდებდნენ.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით პოლიტიკური ცენტრის გადანაცვლებას ამ მხარეში ქვეყნის კულტურული ცენტრის გადანაცვლებაც მოჰყვა. აშოტ ბაგრატიონისა და მისი მემკვიდრეების კარზე თავი მოიყარეს ჩვენი სამშობლოს დიდმა პატრიოტებმა და ქართული კულტურის მოამაგეებმა. მათ შორის პირველ რიგში გამორჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფეები უნდა დავასახელოთ, რომლებმაც აქ დიდი სამონასტრო მშენებლობა გააჩაღეს. ეს დიდი სამონასტრო მშენებლობა არაბებთან ბრძოლის ფონზე მიმდინარეობდა. ამ ბრძოლაში აშოტ კურაპალატი დიდ წარმატებასაც აღწევდა და დროდადრო შიდა და ქვემო ქართლსაც ეუფლებოდა. 826 წელს იგი არაბთა წინააღმდეგ ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობის მომზადების დროს არაბთა მიერ მოსყიდულ შეთქმულთა ხელით დაიღუპა. აშოტს სამი ვაჟი - ადარნასე, ბაგრატი და გუარამი დარჩა. მისი გარდაცვალების შემდეგ კურაპალატის ტიტული ბიზანტიის კეისარმა მის შუათანა ვაჟს ბაგრატ I-ს (დაახლ. 830-იანი-876) უბოძა. ამავე პერიოდში ქართლი არაბთა მორიგი შემოსევის ასპარეზად იქცა. ბაგრატმა და მისმა ძმებმა მამის სამფლობელოს მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგეს და ერთ ხანს არაბებს ხარკსაც კი უხდიდნენ.

IX ს-ის შუა წლებში არაბთა სახალიფოს დაშლა დაიწყო. სახალიფოს ცალკეული პროვინციები და მათი ამირები განდგომის გზას დაადგნენ. ამ მხრივ გამონაკლისს არც თბილისის ამირა წარმოადგენდა, რომელიც ქართლში სახალიფოსათვის აკრეფილი ხარკის დიდ ნაწილს თვითონ ითვისებდა. სახალიფოსთან ბრძოლაში თბილისის ამირა ქართველ მეფე-მთავრებსაც ეყრდნობოდა. ხალიფამ ამირას საგანგებოდ დასჯა გადაწყვიტა და მის წინააღმდეგ 853 წ. ბუღა-თურქის მეთაურობით ასოცათასიანი ლაშქარი გამოგზავნა. ბუღამ ჯერ სომხეთი დალაშქრა და შემდეგ თბილისს მიადგა. არაბთა სარდალმა თბილისი აიღო და ამირა საჰაკი სიკვდილით დასაჯა. ამავე დროს მისმა ერთ-ერთმა სარდალმა ზირაქმა ქართლის სხვადასხვა მხარეები მოარბია. ბუღა თურქის საქართველოში ლაშქრობის შესახებ ცნობა ატენის სიონის ერთ-ერთმა ეპიგრაფიკულმა წარწერამაც შემოგვინახა: „თვესა აგვისტოსა ხუთსა, დღესა შაბათსა, ქორონიკონსა 73-სა (853 წ.) ... ქალაქი ტფილისი დაწვა ბუღამ და შეიპყრა ამირაი საჰაკ და მოკლა და მასვე თუესა აგვისტოსა 25-სა, დღესა შაბათსავე ზირაქ შეიპყრა კახაი და ძეი მისი თარხუჯი.“

წარწერაში მოხსენებული კახა იგივე ქართველი მთავარი კოსტანტი-კახაა, რომელიც არაბმა სარდალმა ქრისტეს რჯულის ერთგულებისათვის აწამა. კოსტანტი-კახას მოწამეობრივი ცხოვრების აღწერა უცნობი ავტორის თხზულებამ „კოსტანტი კახის წამებამ“ შემოგვინახა.

ბუღა-თურქის ლაშქრობამ ქართლში თბილისის ამირას ხელისუფლება დაასუსტა. ამით პირველ რიგში აშოტის შვილებმა ბაგრატ კურაპალატმა და მისმა ძმებმა ისარგებლეს. მათ მამის სიკვდილის შემდეგ დაკარგული ტერიტორიების დიდი ნაწილი დაიბრუნეს. ბაგრატის უმცროსმა ძმამ გუარამ მამფალმა (მამა-უფალი) თბილისის ამირას ქვემო ქართლის ერთი ნაწილი გამოსტაცა. თბილისის ამირასთან ბრძოლაში გუარამს მისი ცოლის ძმა ერთ-ერთი სომხური სამთავროს, შირაქის მთავარი აშოტ I ბაგრატუნი ეხმარებოდა. ამ დახმარების სანაცვლოდ გუარამი იძულებული გახდა ამირასათვის წართმეული ტერიტორიიდან მიწები თავისი სომეხი მოკავშირისათვისაც ეწილადა. თანდათან სომეხთა მთავარმა ქვემო ქართლში თავისი სამფლობელო გააფართოვა. ქართული მიწების მიტაცების გამო აშოტი თავს „სომეხთა და ქართველთა მთავარს“, 885 წ. მეფის ტიტულის მიღების შემდეგ კი „სომეხთა და ქართველთა მეფეს“ უწოდებდა.

IX ს-ის 80-იან წლებში არგვეთიდან თრიალეთში დიდებული აზნაური ლიპარიტ ბაღვაში გადმოვიდა. მან თრიალეთისა და შიდა ქართლის გამყოფ ქედზე კლდეკარის ძლიერი ციხე-სიმაგრე ააგო და თავი ბაგრატ კურაპალატის ვაჟისა და მემკვიდრის დავით I კურაპალატის (876-881) ყმად გამოაცხადა. ლიპარიტ ბაღვაში იმთავითვე ჩაება ქართველ მეფე-მთავართა მიერ წარმოებულ ბრძოლაში თბილისის საამიროს წინააღმდეგ, რომელიც მის ახლად შეძენილ მამულს ემიჯნებოდა. ბაგრატიონების

მეარველობით თანდათანობით ბაღვაშებმა თრიალეთი და მისი მომიჯნავე ტერიტორია დაიკავეს, კლდეკარის საერისთავო შექმნეს და საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს ფეოდალურ საგვარეულოდ გადაიქცნენ **(იხ. რუკა 14)**.

888 წ. დავით I კურაპალატის ვაჟმა ადარნასე II ბაგრატიონმა (888-923) ბიზანტიის კეისრის კურთხევით, „ქართველთა მეფის" ტიტული მიიღო. ამით მან ფაქტობრივად ძველი ქართლის სამეფოს აღდგენა და მის ყოფილ ტერიტორიაზე პრეტენზია გამოაცხადა. თუმცა ძველი ქართლის სამეფოს მიწების შეკრებას და მით უფრო ისტორიული საქართველოს საბოლოო გაერთიანებას ორ საუკუნეზე მეტი ხანი დასჭირდა.

## § 32. საქართველოს ეკლესია ადრეფეოდალურ ხანაში

### 1. ქრისტიანული სამყარო IV-VI სს-ში და ქართული ეკლესია.

რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ქრისტიანული რწმენის სიმბოლოს ერთხელ და სამუდამოდ დადგენა, ანუ იმ უმთავრესი და ზუსტი დებულებების ჩამოყალიბება, რომლებიც გადმოსცემდნენ ქრისტიანული რწმენის ძირეულ არსს.

რწმენის სიმბოლო განსაზღვრა 325 წ. ქალაქ ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებამ. 381 წ. კონსტანტინოპოლში მოწვეულმა II მსოფლიო საეკლესიო კრებამ ეს განსაზღვრება მთელი რიგი დამატებებით შეავსო.

ქრისტიანული რწმენის სიმბოლოს დადგენისას მთავარი იყო ქრისტიანული სარწმუნოების სამ საწყისს - მამა ღმერთს, ძე ღმერთს - ქრისტესა და სული წმინდას შორის ურთიერთ მიმართების დადგენა, ანუ წმინდა სამების გაგების საკითხი. იმჟამად ზოგი ღვთისმეტყველი ქრისტეს მამა ღმერთის ტოლად არ თვლიდა, ზოგიც სული წმინდას დამოუკიდებელ საწყისად არ მიიჩნევდა. ნიკეის და კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრებებმა ერთხელ და სამუდამოდ დაადგინეს, რომ მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა დამოუკიდებელი და თანაბარი საწყისებია და არსებობენ ერთობაში. ამიტომ ვუწოდებთ ჩვენ ღმერთს სამება-ერთარსებას. პირველ ორ მსოფლიო კრებაზე შემუშავებულ რწმენის სიმბოლოს ნიკეა-კონსტანტინოპოლის რწმენის სიმბოლო ეწოდება.

ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებას, როგორც გვახსოვს, ეგრისის სამეფოდან ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე ესწრებოდა. II მსოფლიო საეკლესიო კრებაში მონაწილეობდა ქართლის ეპისკოპოსი პანტოფილე. ამგვარად, ქრისტიანული რწმენის სიმბოლოს ჩამოყალიბებაში ჩვენ წინაპრებს უშუალო მონაწილეობა აქვთ მიღებული.

ამავე კრებებზე დაგმეს იმჟამად გავრცელებული ერთ-ერთი ქრისტიანული ცრუ სწავლება - არიანობა. ეს მიმდინარეობა ეპისკოპოს არიოზიდან მომდინარეობდა და ამბობდა, რომ იყო დრო, როდესაც ქრისტე არ არსებობდა, დადგა დრო, როდესაც ის გაჩნდა. მაშასადამე, ქრისტეში ჭარბობს ადამიანური საწყისი. ის უფრო ადამიანია, ვიდრე ღმერთი. ნიკეა-კონსტანტინოპოლის კრებებზე შემუშავებულმა რწმენის სიმბოლომ აღიარა სამება ერთარსების - მამა ღმერთის, ძე ღმერთის და სული წმინდის თანაბრობა, შესაბამისად, დაგმობილ იქნა არიანობა და ის მწვალებლობად ანუ ეკლესიის მიერ დადგენილ კანონთა საწინააღმდეგო მიმდევრებად გამოცხადდა.

### ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსის სიმბოლო

„მრწამს ერთი ღმერთი მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცისა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა. და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, მხოლოდ-შობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, თანაარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა; რომელი ჩვენთვის, კაცთათვის, და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცდა, და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატეს ზე, და ივნო და დაეფლა; და აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა; და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა, და კვალად მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრული; და სულისა წმიდისა, უფლისა და ცხოველსმყოფელისა, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყვანისცემული და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ; ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია; აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მიტევებად ცოდვათა; მოველი აღდგომასა მკვდართასა და ცხოვრებასა მერმისა საუკუნისასა. ამინ".

რწმენის სიმბოლოს დადგენის შემდეგ საეკლესიო კრებებზე დავა მიმდინარეობდა უკვე არა სამება-ერთარსების ირგვლივ, არამედ ქრისტეში, როგორც ძე ღმერთში ღვთაებრივი და ადამიანური ბუნების ურთიერთ თანაფარდობის შესახებ. მოძღვრებას ძე ღვთისას ანუ ქრისტეს ბუნების შესახებ „ქრისტოლოგია" ეწოდება. მომდევნო მსოფლიო კრებებზე ქრისტოლოგიური საკითხების ირგვლივ შემუშავებულ კანონებს (დოგმატს) სარწმუნოების განსაზღვრება ანუ მრწამსი ეწოდება.

ჯერ რწმენის სიმბოლოს, ხოლო შემდეგ ქრისტიანული სარწმუნოების მრწამსის განსაზღვრა და მისი დაცვა ადრეულ შუა საუკუნეებში ქრისტიანული ეკლესიის ძირითადი ამოცანა იყო. ამ საკითხს მიეძღვნა კიდევ ხუთი მსოფლიო საეკლესიო კრება. ასე რომ, სულ შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება ჩატარდა, რომელიც ჯერ რომის, ხოლო შემდეგ ბიზანტიის კეისრების მოწვევით IV–VIII საუკუნეებში გაიმართა. ამ კრებების დადგენილებებმა დაიცვეს ქრისტიანული რწმენის სიმბოლო და სარწმუნოების მრწამსი სხვადასხვა სახის მწვალებლობისაგან.

ადრეულ ქრისტიანობაში მრავალი ცრუ სწავლება არსებობდა. თითოეულ ასეთ მწვალებლობას ამ ხანის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწეები, ღვთისმეტყველები და ეპისკოპოსები ედგნენ სათავეში. ამიტომ ხშირად ასეთი მწვალებლობები ქრისტიანული სამყაროს მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა და პოლიტიკურ ბრძოლაშიც კი გადადიოდა. სამხრეთ კავკასიის ქრისტიანული ქვეყნები, მათ შორის ქართლი და ეგრისი იმთავითვე აქტიურად ჩაებნენ მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის ცხოვრებაში, მით უფრო, რომ იმჟამად სასულიერო და საერო ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან და გადახლართული ცალკეული ქვეყნების თუ მთელი რეგიონების პოლიტიკურ ცხოვრებასთან.

395 წლიდან რომის იმპერიის ორად, დასავლეთის და აღმოსავლეთის იმპერიებად გაყოფის შემდეგ, ქრისტიანული სამყაროც პოლიტიკურად ორ სახელმწიფოში აღმოჩნდა განაწილებული. აქედან დასავლეთ რომის იმპერიაში მხოლოდ ერთი, რომის სამთავარეპისკოპოსო არსებობდა, რომელსაც ემორჩილებოდნენ ამ სახელმწიფოში შემავალი ყველა საეპისკოპოსოები. აღმოსავლეთ რომის იმპერიაში კი თავდაპირველად ყველაზე დიდი გავლენით და უფლებებით ალექსანდრიის და ანტიოქიის სამთავარეპისკოპოსოები სარგებლობდნენ. ანტიოქიის ანუ სირიის სამთავარეპისკოპოსო აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში უდიდესი და უძლიერესი იყო. ის აღმოსავლეთ რომის იმპერიის აღმოსავლეთში მდებარეობდა და სასანურ სპარსეთს ესაზღვრებოდა. ანტიოქიის საპატრიარქოს სამწყსო თავდაპირველად იყო მთელი მცირე აზია კონსტანტინოპოლის გარეუბნიდან ხმელთაშუა ზღვამდე, პალესტინა იერუსალიმითურთ, შავიზღვისპირეთი და მის ირგვლივ მდებარე ქვეყნები. ქართლის ეკლესია იერარქიულად უშუალოდ ანტიოქიის საყდარს ექვემდებარებოდა, ეგრისის ეკლესია კი ბიზანტიის საეპისკოპოსოს სახით ყოფილი პონტოს სამეფოს ეპარქიაში შედიოდა, რომელიც თავის მხრივ ასევე ანტიოქიის პატრიარქს ემორჩილებოდა.

არიანობის დაგმობის შემდეგ აღმოსავლეთის ეკლესია ახალმა მწვალებლობამ, ნესტორიანობამ მოიცვა, რომელიც კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის ნესტორისაგან მომდინარეობდა. ნესტორის მოძღვრების არსი შემდეგში მდგომარეობდა. ქრისტეში იყო ორი ბუნება ადამიანური, წმინდა მარიამისაგან და ღვთიური - სულიწმიდისაგან და მამა ღმერთისაგან, მაგრამ ეს ორი ბუნება მასში გათიშულად, ცალ-ცალკე თანაარსებობდა.

ნესტორიანთა აზრით, როდესაც საუბარია ქრისტეს შობაზე, ეს მხოლოდ ეხება ქრისტეს, როგორც ადამიანს, ვინაიდან ქრისტე, როგორც ძე ღვთისა, ერთხელ იშვა მამისაგან „უწინარეს ყოველთა საუკუნეთა". შესაბამისად, წმინდა მარიამი ღვთისმშობელი არაა, ის მხოლოდ ქრისტეს, როგორც ადამიანის მშობელია. ასევე განიხილავდნენ ისინი ქრისტეს ჯვარცმისა და განცდილი ვნების საკითხს. მათი აზრით, ამ შემთხვევაშიც ივნო და ეწამა ქრისტეში ადამიანი და არა ღმერთი, ვინაიდან ღვთიურ საწყისს არ შეიძლება განეცადა ვნება და წამება.

ნესტორიანობის მთავარი კერა ანტიოქიის საეპისკოპოსო იყო. თავად კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსი ნესტორი ანტიოქიიდან იყო. მართლმადიდებლურ მხარეს იმჟამად ალექსანდრიის ეპისკოპოსი და რომის პაპი განასახიერებდნენ. ქრისტიანული სამყარო კვლავ ორად გაიყო.

ამავე ხანაში ქრისტიანობამ მძლავრად მოიკიდა ფეხი სპარსეთშიც. ძირითადად ის იქ ბიზანტიის მომიჯნავე ტერიტორიიდან ვრცელდებოდა. ამიტომ ანტიოქიის ღვთისმეტყველი სკოლის გავლენა სპარსეთის ქრისტიანებში ძალზე დიდი იყო.

სპარსეთის შაჰ იეზდიგერდ II (399-420) მიხვდა, რომ სპარსეთში მომრავლებულ ქრისტიანთა რბევა-ჟლეტა მის ქვეყანას მხოლოდ ზიანს აყენებდა, ამიტომ გადაწყვიტა ხელი არ შეეშალა სპარსული ქრისტიანული ეკლესიის ჩამოყალიბებისათვის. ეს სპარსეთისათვის სასარგებლო ჩანდა იმ თვალსაზრისითაც, რომ სპარსეთზე დაქვემდებარებული სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ქართლი, სომხეთი, ალბანეთი უკვე კარგა ხანია გაქრისტიანდნენ და ამიტომ აღმოსავლეთ რომის იმპერიისაკენ ანუ

ბიზანტიისკენ მიისწრაფოდნენ. სპარსეთში ქრისტიანული ეკლესიის ჩამოყალიბება სპარსეთის შაჰს ამ ქვეყნების სასულიერო ცხოვრებაზე მეტი კონტროლის საშუალებას მისცემდა. ამ მიზნით, სპარსეთის შაჰმა 410 წ. სპარსეთის ქრისტიანთა I საეკლესიო კრება მოიწვია, რომელზედაც სპარსეთის ეკლესია იურიდიულად ჩამოყალიბდა. იმავე შაჰმა 420 წ. სპარსეთის II საეკლესიო კრება მოიწვია. ამ დროისათვის ქართლის სამეფოში, ისევე როგორც მის მეზობელ სომხეთში და ალბანეთში, სპარსეთის ბატონობა განსაკუთრებით გაძლიერდა. ამიტომ ამ საეკლესიო კრებას სომხეთისა და ალბანეთის წარმომადგენლებთან ერთად ქართლის ეკლესიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

431 წ. ეფესოში III მსოფლიო საეკლესიო კრება ჩატარდა, რომელიც ნესტორიანობის საკითხს მიეძღვნა. ამ საეკლესიო კრებაზე მონაწილეობის მისაღებად ქართლის ეპისკოპოსი იერემიაც გაემგზავრა. ქართლის საეპისკოპოსო ანტიოქიაზე დამოკიდებულ საეპისკოპოსოებიდან ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც ნესტორიანობა არ გაიზიარა. ეპისკოპოსი იერემია ეფესოში ვერ ჩავიდა და უშუალოდ III მსოფლიო საეკლესიო კრებაში მონაწილეობა ვერ მიიღო. ის კონსტანტინოპოლში დარჩა და ბიზანტიის დედაქალაქში ანტინესტორიანული მოღვაწეობა გააჩაღა.

ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრებას ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსი კირილე ედგა სათავეში. მისი მეთაურობით ეფესოს კრებამ გადააყენა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი ნესტორი, დაგმო ნესტორიანობა და ის მწვალებლობად გამოაცხადა. ამავე დროს ეფესოში ანტიოქიის მთავარეპისკოპოსის მეთაურობით ნესტორიანული მღვდელმთავრობა შეიკრიბა, რომელმაც, თავის მხრივ, დაგმო ალექსანდრიისა და ეგვიპტის მღვდელმთავრები. ამგვარად, ეფესოს კრების შემდეგ ქრისტიანული ეკლესია ორად გახლეჩილი დარჩა. მაშინ ბიზანტიის იმპერატორმა ანტიოქიის პატრიარქს მოსთხოვა ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსთან ურთიერთობის აღდგენა და ეკლესიის გაერთიანება. საბოლოოდ 433 წლისათვის ამ ორ დიდ და გავლენიან საპატრიარქოს შორის კავშირი – უნია შეიკრა. ანტიოქიელებმა დაგმეს ნესტორი და ცნეს კონსტანტინოპოლის ახალი პატრიარქი. დოგმატური თვალსაზრისით მათ აღიარეს, რომ ქრისტეში „შეურწყმელადაა გაერთიანებული ორი ბუნება ადამიანური და ღვთაებრივი". შესაბამისად, მარიამი ღმრთისმშობელია, ანუ ის ერთდროულად მშობელია ღმერთკაცისა. ამგვარად, ანტიოქიის საპატრიარქო გადავიდა იმ პოზიციებზე, რომელზეც ქართლის ეკლესია იმთავითვე იდგა.

მიუხედავად ამისა, ვნებები მაინც არ ჩაცხრა. როდესაც ალექსანდრიის პატრიარქი უნიის სულისჩამდგმელი კირილე გარდაიცვალა (444 წ.) ალექსანდრიის საპატრიარქოში ანტიოქიის და უნიის საწინააღმდეგო განწყობილებებმა იმძლავრა. ალექსანდრიელები უნიაში ნესტორიანელების მიმართ დათმობას ხედავდნენ. ამიტომ მათ უნია უარყვეს და მალე შეუმჩნევლად მეორე უკიდურესობაში გადავარდნენ: ისინი არ ცნობდნენ ქრისტეში, როგორც ღმერთში, ორი ბუნების ერთობას. მათი თვალსაზრისით, ქრისტეს ორი ბუნება გააჩნდა შეერთებამდე, ხოლო შეერთების, უფრო ზუსტად, მათი გაგებით, შერწყმის შემდეგ ის იყო მხოლოდ ღვთაებრივი ბუნების მატარებელი. აქედან მომდინარეობს ამ თვალსაზრისის მიმდევართა სახელწოდება მონოფიზიტი ანუ ერთბუნებოვანი, განსხვავებით უნიის მიმდევრებისაგან – დიოფიზიტების ანუ ორბუნებოვანებისაგან.

მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის საკითხს მიეძღვნა 451 წ. ბიზანტიის იმპერატორის ბრძანებით მოწვეული IV მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელიც კონსტანტინოპოლის მახლობლად ქალაქ ქალკედონში გაიმართა. IV მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დარბაზში მოწინააღმდეგე მხარეები იმთავითვე ორ ბანაკად დასხდნენ. მარცხნივ დიოფიზიტური მრწამსის აღმსარებლები: ანტიოქიის, კონსტანტინოპოლისა და რომის პაპის წარგზავნილები განლაგდნენ, მარჯვნივ კი ალექსანდრიის და იერუსალიმის მღვდელმთავრები და მათი მომხრეები ისხდნენ. ხანგრძლივი კამათი გაიმართა, ორივე მხარე ხმაურობდა, ყვიროდა, მოითხოვდა მათთვის განსაკუთრებით მიუღებელი პირების კრებიდან გაძევებას. საბოლოოდ დიოფიზიტურმა მრწამსმა გაიმარჯვა და მონოფიზიტები მწვალებლებად გამოცხადდნენ. კრების სახელის გამო დიოფიზიტებს ქალკედონიტებიც ეწოდა. მიუხედავად ამისა, ალექსანდრიის საპატრიარქო მონოფიზიტურ მრწამსზე დარჩა. მონოფიზიტებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო რწმენის სიმბოლოს ნიკეის კრებაზე მიღებული განსაზღვრების გაზიარება და კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრებაზე მიღებული დამატებების უგულებელყოფა.

ჯერ კიდევ 381 წ. კონსტანტინოპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრებამ კონსტანტინოპოლის პატრიარქი აღმოსავლეთში რომის პაპის ტოლად აღიარა. მაგრამ იმჟამად საკუთრივ ქალაქ კონსტანტინოპოლის გარდა მას სამწყსოდ სხვა ტერიტორია არ გადაეცა. ქალკედონის IV საეკლესიო კრებამ ხელმეორედ დაამტკიცა კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრების ეს გადაწყვეტილება და კონსტანტინოპოლის პატრიარქს ანტიოქიის საპატრიარქოს ხარჯზე მცირე აზიასა და შავიზღვისპირეთში სამწყსოდ დიდი ტერიტორია გადასცა. ამავე კრებაზე ცალკე საპატრიარქოდ გამოეყო იერუსალიმის საეპისკოპოსოც, რომელსაც ასევე ანტიოქიის ხარჯზე სამწყსოდ მთელი

პალესტინა გადაეცა. ასე ჩამოყალიბდა ქრისტიანულ სამყაროში ხუთი – რომის, კონსტანტინოპოლის, ანტიოქიის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის საპატრიარქო.

ქალკედონის კრების შემდეგ ქართლის ეკლესია ძველებურად ანტიოქიის დაქვემდებარებაში დარჩა, ეგრისის ეკლესია კი კონსტანტინოპოლის პატრიარქს დაექვემდებარა.

450-იან წლებში ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი ეგრისის მეფე გუბაზთან ერთად, როგორც გვახსოვს, ბიზანტიას ებრძოდა. სომხეთსა და ალბანეთში კი, ანტისპარსული აჯანყება მძვინვარებდა, ამიტომ სამხრეთ კავკასიის ეკლესიების წარმომადგენლებმა ქალკედონის კრებაზე მონაწილეობა ვერ მიიღეს და მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის მიმართ თავიანთი პოზიცია ვერ გამოხატეს. მიუხედავად ამისა, ქართლი და ეგრისიც დიოფიზიტურ მრწამსზე იდგნენ. ეს აშკარაა იქიდან, რომ მიქაელი, რომელიც როგორც გვახსოვს, დედოფალმა საგდუხტმა ვახტანგის მცირეწლოვანებაში ქართლის მთავარეპისკოპოსად მოიწვია, დიოფიზიტი ანუ მართლმადიდებელი იყო. ასევე მართლმადიდებელი იყო ქართლის პირველი კათალიკოსი პეტრეც (470-505).

506 წ. სომხეთში, დვინში მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის მიმართ თავისი პოზიციის გამოსახატავად ქართლის, სომხეთის და ალბანეთის მღვდელმთავრები შეიკრიბნენ. ქართლიდან დვინის კრებას სხვა ეპისკოპოსებთან ერთად ბოლნისის სიონის 494 წ-ის საშენებლო წარწერიდან ცნობილი დავით ეპისკოპოსიც ესწრებოდა. საეკლესიო კრებამ ერთხმად აღიარა დიოფიზიტობა.

519 წ. სპარსეთის შაჰმა ბიზანტიის საპირისპიროდ მონოფიზიტობას დაუჭირა მხარი, მით უფრო, რომ აქამდეც სპარსეთის ქრისტიანები მონოფიზიტურ პოზიციაზე იდგნენ. სომხეთი, როგორც გვახსოვს, ჯერ კიდევ 428 წლიდან უშუალოდ სპარსეთის შემადგენლობაში შედიოდა, ამიტომ სომხეთის ეკლესია იძულებული გახდა მონოფიზიტობაზე გადასულიყო. ქართლის ეკლესია კი დიოფიზიტობაზე დარჩა. ამიტომაც არის, რომ VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი ქართლის სამეფოს ქრისტიანების შესახებ საგანგებოდ აღნიშნავს: „რომ ისინი ... ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, ვისაც ჩვენ ვიცნობთ“.

ქალკედონის კრების მიერ მონოფიზიტობის დაგმობის მიუხედავად, ეს მოძღვრება მაინც არ გამქრალა. პირიქით, ის უფრო გაძლიერდა და ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთი და სამხრეთი პროვინციები მოიცვა. მონოფიზიტები განსაკუთრებით უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ ქალკედონის კრებამ საგანგებოდ არ დაგმო და არ შეაჩვენა სამი მღვდელმთავარი, რომელთა ნაწარმოებების ერთი ნაწილი ნესტორიანული ბუნებისა იყო. ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანე I (527-565) საეკლესიო განხეთქილების აღმოფხვრისა და იმპერიაში ეკლესიის კვლავ გაერთიანების მიზნით, გადაწყვიტა მონოფიზიტების შემოსარიგებლად ნაბიჯი გადაედგა. მან გამოსცა დადგენილება, რომელიც ქრისტიანულ ეკლესიას ამ სამი მღვდელმთავრის შეჩვენებას ავალდებულებდა. ეს მღვდელმთავრები იყვნენ თეოდორე, ქალაქ მოფსუესტის ეპისკოპოსი, თეოდორიტე და იბა, ედესის ეპისკოპოსი. ამიტომ მათი განქიქების საკითხს „სამი მამამთავრის საკითხი“ ეწოდება. იუსტინიანეს მოწოდებამ და დადგენილებამ, დაეგმოთ ისინი, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მართლმადიდებლებს ანუ ქალკედონიტებს განსაკუთრებით აღშფოთებდათ ის, რომ ამ მამათავართა დაგმობა მონოფიზიტთა მოთხოვნით ხდებოდა. მღვდელთმთავართა ნაწილი საერთოდ არასწორად მიიჩნევდა საუკუნის წინ გარდაცვლილ მამათა საქმიანობის დაგმობას და მათ მწვალებლებად გამოცხადებას.

ამ მამამთავრების ნესტორიანული ხასიათის შრომები დაგმო 553 წ. კეისარ იუსტინიანე I-ის ბრძანებით, კონსტანტინოპოლში გამართულმა V მსოფლიო საეკლესიო კრებამ. კრებას რომის პაპი და მისი წარგზავნილები არ ესწრებოდნენ. მიუხედავად ამისა, შემდგომში რომის პაპმა ცნო V მსოფლიო საეკლესიო კრება და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროს მიეღო ამ მსოფლიო კრების დადგენილება.

### 2. ქართულ-სომხური საეკლესიო განხეთქილება.

V მსოფლიო საეკლესიო კრებამ მონოფიზიტები ვერ შემოირიგა. აღმოსავლეთის ქრისტიანობა ორ ბანაკად გათიშული დარჩა. ქართლის და ალბანეთის ეკლესია დიოფიზიტობას იცავდა, ხოლო სომხეთი კი, როგორც გვახსოვს, სპარსეთის ზეგავლენით ჯერ კიდევ VI ს-ის 20-იანი წლებიდან მონოფიზიტურ მრწამსს იზიარებდა. სპარსეთში დიოფიზიტობასთან დამოკიდებულება მჭიდროდ უკავშირდებოდა სპარსეთ-ბიზანტიის ურთიერთობას. მშვიდობიანობის დროს სპარსეთის შაჰი მასზე დაქვემდებარებულ ქრისტიანულ ქვეყნებში დიოფიზიტობას მეტ-ნაკლებად ითმენდა, ხოლო ბიზანტიასთან მორიგი ომის დროს მათ სასტიკად დევნიდა და მათგან მონოფიზიტურ მრწამსზე გადასვლას ითხოვდა. 602 წ., როგორც გვახსოვს, სპარსეთ-ბიზანტიის ბოლო ომი დაიწყო, რომელშიც თავდაპირველად სპარსეთი იმარჯვებდა. სომხეთის ეკლესიამ გადაწყვიტა ამით ესარგებლა და ქართლის ეკლესიაზე თავისი გავლენა

გავრცელებინა. საქმე ისაა, რომ სომხეთის კათალიკოსი სამხრეთ კავკასიაში მონოფიზიტობის აღიარებული მეთაური იყო. ქართლის მონოფიზიტობაზე გადასვლის შემთხვევაში ქართლის კათალიკოსი მას უნდა დამორჩილებოდა. ამ დროს სომხეთის ეკლესიას ქართლის ეკლესიის საქმეებში ჩარევის კარგი საბაბი გამოუჩნდა. ქვემო ქართლის ქალაქ ცურტავის ეპისკოპოსი სომხეთში გაიქცა და ქართლის კათალიკოსი კირიონი დიოფიზიტობაში დაადანაშაულა.

კირიონ ქართლის კათალიკოსი VI-VII სს-ის გამოჩენილი ქართველი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე იყო. ის ჯავახეთის ერთ-ერთ სოფელში წარჩინებულ ოჯახში 560-იან წლებში დაიბადა. მან საეკლესიო სწავლა-განათლება ბიზანტიის ქალაქ ნიკოპოლში მიიღო, სადაც მძევლად იყო წაყვანილი. კირიონმა ქართულთან ერთად კარგად იცოდა ბერძნული, სპარსული და სომხური ენები.

ქართლის ეკლესიის დიოფიზიტობა სომხური ეკლესიისათვის აქამდეც ცნობილი იყო, მაგრამ ახლა ბიზანტიასთან ომში სპარსეთის წარმატებები ქართლის ეკლესიის მონოფიზიტობაზე გადასაყვანად ხელსაყრელ დროდ მიიჩნიეს. მონოფიზიტობა-დიოფიზიტობის თაობაზე ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის დიდი კამათი გაჩაღდა, რომლის შესახებ ცნობები სომხურმა საეკლესიო მიმოწერათა კრებულმა ანუ „ეპისტოლეთა წიგნმა" შემოგვინახა. სომხური ეკლესია ქართლის კათალიკოსს კირიონს მონოფიზიტობის ღალატში ედებდა ბრალს. კირიონი კი პასუხობდა, რომ ქართლის ეკლესიას თავისი მრწამსი არ შეუცვლია და ჭეშმარიტი სარწმუნოებიდან გადახვევაში სომხურ ეკლესიას ადანაშაულებდა. სომხურმა ეკლესიამ თავისი მიზნის მისაღწევად ყველა გზას მიმართა. პირველ რიგში ის შეეცადა ქართველ მღვდელმთავრებს შორის განხეთქილება შეეტანა და ისინი კირიონისათვის დაეპირისპირებინა. როდესაც ეს ცდა ამაო აღმოჩნდა, სომხეთის ეკლესიამ ქართლის ერისმთავარ ადარნასეს და ქართველ წარჩინებულებს მიმართა. მათ მან ქართველ და სომეხ წარჩინებულთა შორის ახლო ნათესაური კავშირები შეახსენა, რომელსაც საეკლესიო განხეთქილება დიდ ზიანს მოუტანდა. ასეთი მიმართვის მიუხედავად, ქართლის ერისმთავარმა ადარნასემ და წარჩინებულებმა მაინც კირიონ კათალიკოსს დაუჭირეს მხარი. ამის შემდეგ სომხეთის ეკლესიამ თავისი ზრახვები ვეღარ დამალა და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ქართლს სპარსეთის შაჰის რისხვით დაემუქრა.

იმხანად სპარსეთის შაჰს სამხრეთ კავკასიისთვის არ ეცალა და ქართველ-სომეხთა საეკლესიო დავაში ვერ ჩაერია. მაშინ სომხეთის ახლად დანიშნულ კათალიკოსს აბრაამს ქართლის ეკლესიის დამორჩილების იმედი გადაეწურა და 608 წ. „საყოველთაო ეპისტოლე" (წერილი-მიმართვა) გამოსცა. „ეპისტოლემ" სომხებს ვაჭრობის გარდა ქართველებთან ყოველგვარი ურთიერთობა აუკრძალა. ეს აკრძალვა ალბანელებზეც ვრცელდებოდა.

„საყოველთაო ეპისტოლე" სომეხ მონოფიზიტების სრულ მარცხს ნიშნავდა. ქართული ეკლესია მართლმადიდებლურ მრწამსზე დარჩა და თავისი დამოუკიდებლობაც შეინარჩუნა.

616 წ. სპარსეთის შაჰმა თავისი ხელქვეითი ქრისტიანების საეკლესიო კრება მოიწვია და ყველას „სომხურ ქრისტიანობაზე" ანუ მონოფიზიტობაზე გადასვლა უბრძანა. კრებას ქართლის ეკლესიის წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ. ალბანეთის კათალიკოსი ქრისტიანული ეკლესიების იქ მყოფ სხვა მამამთავრებთან ერთად იძულებული გახდა მონოფიზიტობაზე გადასულიყო. ქართლის კათალიკოსს კირიონს ამის შემდეგ ქართლში აღარ ედგომებოდა. ქართლის საკათალიკოსო საყდარი, სავარაუდოა, მონოფიზიტმა კათალიკოსმა დაიკავა. მაგრამ ასეთმა ვითარებამ სულ ათიოდე წელი გასტანა. 628 წ. ხაზარების მიერ თბილისის აღების და ბიზანტიასთან ომში სპარსეთის დამარცხების შემდეგ, ქართლი სპარსეთის ბატონობისაგან ფაქტობრივად განთავისუფლდა. ქართლის ეკლესიაც ჩვეულ მრწამსს და ცხოვრებას დაუბრუნდა.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ მონოფიზიტობაზე გადასვლას ალბანეთის ეკლესიის სომეხთა კათალიკოსზე დაქვემდებარება, ალბანეთის ეკლესიაში სომხური ენისა და დამწერლობის გაბატონება მოჰყვა. ამან კი მტკვრის მარჯვენა ნაწილის ალბანეთის, იგივე რანის თანდათანობით გასომხება გამოიწვია.

ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილებას ორივე მხარე განიცდიდა. განხეთქილების მიზეზებს იმთავითვე იკვლევდნენ როგორც ქართველი, ისე სომეხი საეკლესიო მოღვაწეები. ისტორიამ შემოგვინახა X ს-ის სომეხი ეპისკოპოსის უხტანესის ნაწარმოები „ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან" და XI ს-ის ქართველი საეკლესიო პირის არსენ საფარელის თხზულება: „განყოფისათვის სომეხთა ქართველთაგან", რომელშიც უფრო ადრეულ ავტორთა ამ საკითხისადმი მიძღვნილი შრომებიც ასახა. განხეთქილების შემდეგ მრავალი სომეხი დიოფიზიტობაში დარჩა და გაქართველდა, ისევე როგორც სომხეთის საზღვრებში მცხოვრები ქართული მოსახლეობის ერთმა ნაწილმა მონოფიზიტობა მიიღო და გასომხდა, მაგრამ ქართველთა უმრავლესობამ, მაგალითად, ტაოს ქვეყანაში ქალკედონიტობა და ქართლის ეკლესიისადმი დაქვემდებარება შეინარჩუნა.

XI-XIII სს-ში ბაგრატ IV-ის, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ხანაში სომხების დიოფიზიტობაზე გადმოსაყვანად და ამის საფუძველზე ქართულ-სომხური ეკლესიების გაერთიანების მისაღწევად არაერთი საეკლესიო კრება იყო მოწვეული. მიუხედავად ამისა, ამ ორი ეკლესიის გაერთიანება ვერ მოხერხდა.

### 3. ქართული ეკლესია VII-IX სს-ში.

602-627 წწ-ის ბიზანტია-სპარსეთის ომის დროს ჰერაკლე კეისარს იმპერიის სამხრეთსა და აღმოსავლეთში მონოფიზიტური პროვინციების ერთგულება ძალზე სჭირდებოდა. ამიტომ მან გადაწყვიტა მათ მიმართ დათმობაზე წასულიყო. ასე ჩაისახა ახალი მწვალებლობა - მონოთელიტობა. მონოთელიტობა ფაქტობრივად მონოფიზიტობასა და დიოფიზიტობას შორის კავშირის - უნიის მცდელობა იყო. დიოფიზიტების მსგავსად, მონოთელიტები ქრისტეში ორ, ადამიანურ და ღვთიურ ბუნებას აღიარებდნენ, მაგრამ მასში მხოლოდ ერთ ღვთიურ ნებასა და ქმედებას ცნობდნენ. მონოთელიტობაში ბიზანტიის კეისარი განსაკუთრებით მაშინ განმტკიცდა, როდესაც სპარსეთზე ლაშქრობის დროს ტრაპიზონში ჩამოსულმა ფაზისის მიტროპოლიტი კირონი გაიცნო და მასთან ქრისტეს ბუნების შესახებ ხანგრძლივი საუბრები გამართა. მონოთელიტმა კირონ ფაზისელმა თავისი მჭევრმეტყველებით, ცოდნით და განათლებით ბიზანტიის კეისარი მოხიბლა. ამიტომ ჰერაკლემ სპარსეთზე გამარჯვების შემდეგ მას ალექსანდრიის პატრიარქობა და ეგვიპტეში კეისრის ნაცვლობა უბოძა. კირონმა მოკლე ხანში მრავალი ათასი მონოფიზიტი მონოთელიტობაში მოაქცია, რითაც ბიზანტიის კეისრისა და კონსტანტინოპოლის მონოთელიტი პატრიარქის წინაშე დიდი სახელი მოიხვეჭა.

წმინდა მარტინი და წმინდა მაქსიმე აღმსარებელი

იმხანად ბიზანტიის კეისარს იტალიის დიდი ნაწილიც ემორჩილებოდა. ბიზანტიის კეისრის კონსტანტი III-ის (641-668) ბრძანებით, დიოფიზიტობის ერთგული რომის პაპი მარტინი შეიპყრეს და კონსტანტინოპოლში ჩამოიყვანეს. წამების შემდეგ ის ყირიმში გადაასახლეს, სადაც მალევე გარდაიცვალა.
მაქსიმე აღმსარებელი 662 წ. კონსტანტინოპოლში გაასამართლეს, ენა და მარჯვენა ხელი მოკვეთეს და თავის ორ მოწაფესთან ერთად ეგრისში გადმოასახლეს, სადაც იმავე წელს ლეჩხუმში, ხიხარის ციხე-სიმაგრეში გარდაიცვალა. მისი ნეშტი აქვე წმინდა არსენის მონასტერში დაიკრძალა. ამ მონასტერს შემდეგ წმინდა მაქსიმეს სახელი ეწოდა. [illegible] [illegible] ცაგერის [illegible] [illegible] [illegible], სადაც შემორჩენილია [illegible] შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრის ნანგრევები თავისი [illegible] ბაზილიკით. ცაგერის მახლობლად მდ. ცხენისწყლის ნაპირას წმინდა მაქსიმეს სახელობის პატარა ეკლესიაც იდგა, რომლის ნანგრევებმა დღემდე მოაღწია.

ბიზანტიის კეისრებისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქების მონოთელიტობისადმი მხარდაჭერამ მთელი დიოფიზიტური სამყარო ალაშფოთა. ისინი მონოთელიტობაში მონოფიზიტების გამარჯვებას ხედავდნენ. ბიზანტიის ხელისუფლებას და ეკლესიას მონოთელიტობის გავრცელება იმპერიაში ძალით უხდებოდა. VII ს-ის შუა წლებში მონოთელიტობის წინააღმდეგ ყველაზე უფრო რომის პაპმა მარტინიმ და ბიზანტიელმა ბერმა, გამოჩენილმა ღვთისმეტყველმა მაქსიმე აღმსარებელმა გაილაშქრეს. ამის გამო ორივემ მოწამებრივად დაასრულა თავისი სიცოცხლე.

მონოთელიტობის საკითხს მიეძღვნა VI მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელიც კონსტანტინოპოლში 681 წ. გაიმართა. კრებამ დაგმო მონოთელიტობა და ის მწვალებლობად გამოაცხადა.

V და VI მსოფლიო საეკლესიო კრებებს წინა საეკლესიო კრებებისაგან განსხვავებით, საეკლესიო ცხოვრების კანონები არ შეუმუშავებია. ამ კანონების შემუშავებას მიეძღვნა სპეციალური 692 წლის კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრება, რომელიც ბიზანტიის კეისრის იუსტინიანე II-ის მოწვევით საიმპერატორო სასახლის ტრულის დარბაზში ჩატარდა, ამიტომ მას ტრულის V-VI მსოფლიო საეკლესიო კრებასაც უწოდებენ. ჩვენი წინაპრები მას „გუმბათსა შინა სამეუფოსა პალატისასა" ჩატარებულ კრებას უძახდნენ. ამ კრების დადგენილებებს რომის პაპმა ხელი არ მოაწერა, ვინაიდან კრებაზე მიღებული 85 კანონიდან დასავლეთის ეკლესიამ მხოლოდ 50 გაიზიარა. ეს იყო პირველი განხეთქილება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის. მართლმადიდებლური სამყარო ტრულის კრებას მსოფლიო კრებების თანაბრად მიიჩნევს. საინტერესოა ფაქტი, რომ ტრულის საეკლესიო კრებას ეგრისის სამეფოდან ესწრებოდნენ: ფაზისის ეპისკოპოსი თეოდორე, პეტრას (ციხის ძირის) ეპისკოპოსი იოანე და სებასტოპოლის (სოხუმის) ეპისკოპოსი ეგრეთ. ამავე კრებას ქართული ისტორიული მხარე ტაოდან, ციხე-ქალაქ კალმახის ეპისკოპოსი გიორგი ესწრებოდა.

630-იანი წლებიდან მოყოლებული წინა აზიაში სპარსელები არაბებმა შეცვალეს. არაბებმა ბიზანტიელებს წაართვეს აღმოსავლეთისა და სამხრეთის პროვინციები - ჩრდილოეთ აფრიკა, პალესტინა,

სირია. ეს ბიზანტიის სწორედ ის მხარეები იყო, სადაც მონოფიზიტობა ყველაზე უფრო იყო გავრცელებული. თანდათანობით არაბთა სახალიფოში მოქცეულ ქრისტიანთა დიდმა ნაწილმა როგორც ბიზანტიის ყოფილ პროვინციებში, ისე სპარსეთში ისლამი მიიღო. ამიტომ მონოფიზიტთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. დღეს მონოფიზიტურია ეგვიპტის ეკლესია. სამხრეთ კავკასიაში მონოფიზიტობის ბურჯად სომხეთი დარჩა. სომხებში ქრისტიანობის გამავრცელებელი ანუ მათი განმანათლებელი III ს-ის II ნახევრის დიდი სასულიერო მოღვაწე გრიგოლ პართელი იყო. ვინაიდან სომხები თვლიან, რომ უცვლელად მისდევენ გრიგოლ პართელის მოძღვრებას, ამიტომ თავს „გრიგორიანებს" უწოდებენ, რაც გრიგორის მიმდევრებს ნიშნავს.

არაბებიც ბიზანტიას უპირისპირდებოდნენ, ამიტომ სამხრეთ კავკასიის ქრისტიანული ქვეყნების მიმართ სპარსეთის პოლიტიკას აგრძელებდნენ, რაც მონოფიზიტობის მხარდაჭერაში გამოიხატებოდა. ასეთ ვითარებაში VIII ს-ის I ნახევარში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში რანის ანუ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ალბანეთისა და ისტორიული ჰერეთის მოსახლეობა აღმოჩნდა, სადაც სომხეთის ეკლესია არაბთა სამხედრო ძალის წყალობით მონოფიზიტობას და სომხურ ღვთისმსახურებას ნერგავდა.

VII-VIII სს-ის მიჯნაზე რანსა და ჰერეთში დიდმა ქალკედონურმა აჯანყებამ იფეთქა. მას სათავეში რანის მართლმადიდებელი დედოფალი ქართველი სპრამი, იგივე სპრამი და რანის კათალიკოსი, ფარული ქალკედონიტი, ბაკურ-ნერსე ედგა. მათ გააძევეს მონოფიზიტი მღვდელმთავრები და ქალკედონური მრწამსი აღადგინეს. მაშინ სომხეთის კათალიკოსმა არაბებს მოუხმო. არაბთა ხალიფამ აბდ-ალ მალიქმა რანში დიდი ლაშქარი გამოაგზავნა. აჯანყებულები დამარცხდნენ. არაბებმა დედოფალი სპრამი და რანის კათალიკოსი ბაკურ-ნერსე შეიპყრეს, ბორკილები დაადეს და ცხენით ათრიეს. ამის შემდეგ არაბებმა რანისა და ჰერეთის მთავრებს ფიცის პირობა ჩამოართვეს, რომ ისინი მონოფიზიტობას არ გადაუხვევდნენ და ქალკედონიტობას არასოდეს აღიარებდნენ. მიუხედავად ამისა, VIII ს-ის 30-იან წლებში რანის მთავარმა ვარაზმა ქალკედონიტობა აღიარა და თავისი სამთავროს ეკლესია ქართლის კათალიკოსს თალალეს დაუქვემდებარა. ამჯერადაც მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ალბანეთში ქალკედონიტობის გამარჯვება ხანმოკლე აღმოჩნდა. არაბები სასტიკად გაუსწორდნენ ვარაზს და მის ოჯახს.

არაბების ასეთი ზეწოლის მიუხედავად, ჰერეთის მოსახლეობის ერთმა, ქართლის სამეფოსთან მოსაზღვრე ნაწილმა, მღვდელმთავარ ფარსმანის თაოსნობით 821 წ. მაინც შეძლო ქალკედონიტური მრწამსის აღდგენა და კვლავაც ქართლის ეკლესიის წიაღში დაბრუნება.

VIII ს-ის 20-იან წლებში აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყარო ახალმა მწვალებლობამ მოიცვა, რომელიც ჩვენთვის უკვე ცნობილი ბიზანტიის კეისრის ლეონ III ისავრიელის სახელს უკავშირდება. 726 წ. ლეონ ისავრიელმა ხატების თაყვანისცემა აკრძალა. ასე დაიწყო ხატმებრძოლეობა. ბიზანტიის იმპერიაში დაიწყეს ეკლესიებში ხატების, ფრესკული თუ მოზაიკური გამოსახულებების განადგურება.

აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის ქართული ეკლესია ერთადერთი აღმოჩნდა, რომელსაც ხატმებრძოლეობა არ შეხებია. ამიტომ VIII ს-ის I ნახევარში ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, ყირიმში მოსახლე გერმანული წარმოშობის გუთების ეპისკოპოსი იოანე გუთი კონსტანტინოპოლის მწვალებელ პატრიარქთან არ ჩავიდა და ეპისკოპოსად კურთხევა ქართლის კათალიკოსისაგან მიიღო.

ხატმებრძოლეობა 787 წელს ნიკეის VII და უკანასკნელმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ უარყო. მიუხედავად ამისა, ხატმებრძოლეობა ნიკეის კრების შემდეგ ერთხელ კიდევ აღდგა და საბოლოოდ მხოლოდ 843 წ. დაიგმო.

## 4. ქართული ეკლესია საეპისკოპოსოდან საპატრიარქომდე.

326 წ. ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ქართლის პირველი ეპისკოპოსი იოანე გახდა. თანდათანობით ქართლში სხვა საეპისკოპოსოებიც შეიქმნა, ამიტომ ქართლის ეკლესიის მეთაური უკვე მთავარეპისკოპოსად იწოდებოდა. ქართლის მთავარეპისკოპოსის საყდარი ჯერ კიდევ მირიანის დროს აგებული პირველი ქვის „ზემო ეკლესია" ანუ სამთავროს ტაძარი იყო. ის პირვანდელი სახით არ შემორჩა, რადგან XI საუკუნეში საფუძვლიანად გადააკეთეს.

ქართული ეკლესიის ისტორიაში ახალი ერა ქართლის დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება. ვახტანგს კარგად ესმოდა, რომ სპარსეთთან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ქართულ ეკლესიას უდიდესი როლი ეკისრებოდა. ამიტომ ვახტანგ გორგასალმა კარგად გამოიყენა ბიზანტიის კეისრის კეთილგანწყობა და ქართლის ეკლესიის ავტორიტეტის უფრო გაზრდის მიზნით, მისთვის თვითმმართველობის ანუ ავტოკეფალიის მინიჭება ითხოვა. „ავტოკეფალია" ორი ბერძნული სიტყვის „აუთოს" - „თვითონ" და „კეფალე" - „თავი" შეერთებისაგანაა მიღებული და თავისთავადობას,

დამოუკიდებლობას ნიშნავს. ბიზანტიის კეისარმა სპარსეთის წინააღმდეგ ახლადშეძენილი მოკავშირე არ გაანაწყენა და ანტიოქიის პატრიარქი ქართლის ეკლესიისათვის თვითმმართველობის მიცემაზე დაითანხმა. ამის შემდეგ, ქართლის მეფის თხოვნით, ანტიოქიის პატრიარქმა ვახტანგ გორგასლის მიერ კათალიკოსად შერჩეული მისივე მეგობარი ბიზანტიელი ბერი პეტრე და კიდევ თორმეტი ახალი ეპისკოპოსი საგანგებოდ აკურთხა და ქართლში გამოუშვა. ეს 470-იან წლებში მოხდა. ამის შემდეგ ქართლის ეკლესიის მეთაური კათალიკოსის ტიტულს ატარებდა. მთავარეპისკოპოსისაგან განსხვავებით, ქართლის კათალიკოსს უფლება ჰქონდა საეკლესიო კრებები მოეწვია და ქართლის ეკლესიის საქმეები თვითონვე გადაეწყვიტა. ასე დაიწყო ქართლის ეკლესიის ავტოკეფალია.

ვახტანგ გორგასალმა დიდი საეკლესიო მშენებლობა გაშალა. მის დროს აშენებულ ეკლესიათა შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სვეტიცხოვლის ტაძარი, რომელიც მან მირიან მეფის მიერ აგებული ხის ტაძრის ადგილას აღმართა. სვეტიცხოვლის ტაძარი იმთავითვე საკათალიკოსო საყდრად აშენდა.

530-იან წლებში ქართლის ეკლესიამ თავისი სრული დამოუკიდებლობისაკენ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. 535 წ. ბიზანტიას ქართლის მეფე ფარსმან VI ესტუმრა, რომელიც კეისარმა იუსტინიანემ დიდი პატივით მიიღო. აქამდე ქართლის კათალიკოსებს ბიზანტიიდან ანტიოქიის პატრიარქი აგზავნიდა. კეისარს ფარსმანმა ქართლის საკათალიკოსო ტახტზე ქართლშივე არჩეული კათალიკოსის დასმის ნებართვა გამოთხოვა. ამის შემდეგ ქართლის ეპისკოპოსები თავიანთ საეკლესიო კრებაზე ქართლის კათალიკოსს თვითონ ირჩევდნენ, მაგრამ ის შემდგომ ანტიოქიაში უნდა წასულიყო და საბოლოოდ მისი კათალიკოსად კურთხევა ანუ ხელდასხმა ანტიოქიაში ხდებოდა. ამგვარად, ქართულმა ეკლესიამ სრული დამოუკიდებლობისაკენ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა.

VI საუკუნისათვის ქართლის ეკლესია უკვე ძალზე დიდი და ძლიერი იყო. ქართლში 32 საეპისკოპოსო არსებობდა. აქედან ოცდახამი ეპისკოპოსი ქართლის კათალიკოს გაბრიელთან ერთად მონაწილეობას იღებდა ჩვენთვის უკვე ცნობილ 506 წ-ის დვინის საეკლესიო კრებაში. ეპისკოპოსები, ქართლის მთავარეპისკოპოსი და კათალიკოსი დიდი მამულების მფლობელები იყვნენ. ეპისკოპოსებს მრავალი სამრევლო ეკლესია ექვემდებარებოდა, რომლებსაც სათავეში ეპისკოპოსთა მიერ ხელდასხმული მღვდლები ედგნენ. მღვდლებზე ქვემოთ დიაკვნები იყვნენ...

ქართლის ეკლესიას სრული დამოუკიდებლობა ანუ ავტოკეფალია, ქართული წყაროების თანახმად, 681 წ. კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ მიანიჭა. ამის შემდეგ ქართლის კათალიკოსი იოანე გაემგზავრა ანტიოქიაში, სადაც ადგილობრივ კრებაზე მსოფლიო კრების ამ დადგენილების დამტკიცებას დაესწრო. იოანე ანტიოქიის პატრიარქის მიერ ხელდასხმული ქართლის ბოლო კათალიკოსია.

IX ს-მდე აღმოსავლეთის ეკლესიები, მათ შორის ქართლის საკათალიკოსო, მირონს იერუსალიმიდან იღებდნენ. IX ს-ში ქართლის ეკლესიამ იერუსალიმის პატრიარქისაგან მირონის საქართველოში მოხარშვის უფლება მიიღო. ამაში დიდი წვლილი მიუძღოდა გრიგოლ ხანძთელის მოწაფეს აწყურის ეპისკოპოსს ეფრემს. ამის შემდეგ ქართლის კათალიკოსი ფაქტობრივად მსოფლიოს ხუთ – რომის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, კონსტანტინეპოლის პატრიარქს გაუთანაბრდა.

**ეგრისის** საეკლესიო ცენტრს თავდაპირველად ბიჭვინთის საეპისკოპოსო წარმოადგენდა. არქეოლოგებმა ციხე-გოჯში გამოავლინეს დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი IV ს-ის I ნახევრის ეკლესია. აქვე აღმოჩნდა V ს-ის კიდევ რამდენიმე ეკლესიის ნაშთი. სავარაუდებელია, რომ V ს-ში ციხე-გოჯი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა. მომდევნო ხანაში ეგრისის სამეფოში რამდენიმე საეპისკოპოსო შეიქმნა: ფაზისის, სებასტოპოლის, პეტრას (ციხის-ძირის), ცაიშის, როდოპოლისის (ვარდციხის). ამის შემდეგ ფაზისის ეპისკოპოსმა მიტროპოლიტის ტიტული მიიღო, რაც ეგრისის ეკლესიისათვის თვითმმართველობის მინიჭებას ნიშნავდა. ფაზისის მიტროპოლიტს პეტრას, ცაიშის, ძიგანიოსის და ვარდციხის, იგივე როდოპოლისის („როდის" ბერძნულად ვარდს ნიშნავს, „პოლისი" კი ქალაქს) ეპისკოპოსები ემორჩილებოდნენ. VII ს-დან აფშილეთის და საკუთრივ აფხაზეთის მწყემსმთავარი – „აბაზგიის", იგივე სებასტოპოლისის არქიეპისკოპოსი – უშუალოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა. პატრიარქს ექვემდებარებოდა აგრეთვე ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო.

ეგრისის ეკლესია კვლავაც კონსტანტინოპოლის პატრიარქს ემორჩილებოდა, ამიტომ საეკლესიო ცენტრები ან უშუალოდ ზღვისპირას მდებარეობდა (ფაზისი, პეტრა, სებასტოპოლისი) ან კიდევ შავ ზღვასთან მდინარეებით იყო დაკავშირებული. ვარდციხის საეპისკოპოსო ტაძარი მდ. ყვირილისა და რიონის შესართავში მდებარეობდა. ვარდციხემდე, როგორც გახსოვთ, ზღვიდან ხომალდები ამოჰყავდათ. ეგრისის ეკლესიაში ქართლის ეკლესიისაგან განსხვავებით, ღვთის მსახურება თავდაპირველად ბერძნულად მიდიოდა. თანდათანობით, განსაკუთრებით აფხაზთა სამეფოს ხანაში, ბერძნული ქართულმა

შეცვალა, ვინაიდან სამეფოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის ქართული მშობლიური ენა იყო.

VIII ს-ის 90-იან წლებში დასავლეთ საქართველო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიზანტიის პოლიტიკური მორჩილებიდან გამოვიდა და დამოუკიდებელ აფხაზთა სამეფოდ ჩამოყალიბდა. აფხაზთა მეფეებისთვის დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის პატრიარქზე დამოკიდებულება მიუღებელი იყო, მით უფრო, რომ ასეთ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს ეკლესიებში წირვა-ლოცვის დროს კონსტანტინოპოლის პატრიარქთან ერთად ბიზანტიის კეისრის სახელიც უნდა მოეხსენებინათ. ბიზანტიელთა ორგზის ლაშქრობის დამარცხების შემდეგ, IX ს-ის II ნახევარში აფხაზეთის სამეფომ დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომლის მთავარი ცენტრები ნიკოფსიისა და სებასტოპოლისის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსოები და ფაზისის სამიტროპოლიტო იყო, კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებიდან გამოიყვანა და ერთ, აფხაზთა საკათალიკოსოში გააერთიანა. ამის შემდეგ სებასტოპოლისის და ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსოები გაუქმდა და მათი სამწყსო უშუალოდ აფხაზთა საკათალიკოსოს სამწყსოდ იქცა. ამ საკათალიკოსოს ცენტრი კი ბიჭვინთაში ღვთისმშობლის ტაძარი გახდა.

## § 33. კულტურა ადრეფეოდალური ხანის საქართველოში

### 1. სასულიერო და საერო მწერლობა.

ქართლისა და ეგრისის სამეფოებში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ძველი წარმართული კულტურა ერთბაშად არ გამქრალა. ქართული კულტურის ისტორიაში თითქმის საუკუნენახევარი გრძელდებოდა გარდამავალი ხანა, რომელსაც პირობითად „გვიანანტიკური" ან კიდევ „ადრექრისტიანული" ხანა შეიძლება ვუწოდოთ. ამ ხანის საქართველოს კულტურისათვის დამახასიათებელია ანტიკურობისა და ქრისტიანობის ელემენტების თანაარსებობა. V-VI სს-ის მიჯნაზე ანტიკური ელემენტები თანდათანობით ქრება. ქვეყნის ცხოვრებაში ფეოდალური ურთიერთობები საბოლოოდ მკვიდრდება და VI-IX სს-ის ქართული კულტურა მთლიანად ფეოდალიზმის და ქრისტიანობის ნიშნით ვითარდება.

ქრისტიანობამ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ერის ჩამოყალიბებაში. ქრისტიანობას უკავშირდება ქართული დამწერლობა. ჩვენი წინაპრები ანტიკურ ხანაშიც წიგნიერ ხალხებს მიეკუთვნებოდნენ, მაგრამ ისინი უცხო, ბერძნულ და არამეულ დამწერლობას იყენებდნენ. ანტიკურ ხანაში კერპთმსახურებას მხოლოდ ქურუმები ასრულებდნენ. მისგან განსხვავებით, ქრისტიანობამ ღვთისმსახურებაში მთელი მოსახლეობა ჩააბა. ამიტომ აუცილებელი გახდა ქრისტიანული ლიტერატურის ქართულად თარგმნა. ამან ხელი შეუწყო ქართული დამწერლობის წარმოქმნასა და ქართული ენის სამწერლობო ენად ჩამოყალიბებას.

IV-V სს-ში ქართულად, უპირველეს ყოვლისა, სახარება ითარგმნა. ამ უძველესი თარგმანის ცალკეული ფრაგმენტები VI-VII სს-ის პალიმფსესტებმა შემოგვინახა. სრული სახით ჩვენამდე მოღწეული ოთხთავებიდან ყველაზე ადრეული 897 წ. ადიშის ოთხთავია. ეს ოთხთავი გრიგოლ ხანძთელის მოწაფის „შატბერდის ეკლესიის განახლებით აღმშენებლის" სოფრონის დაკვეთით და დავალებით შატბერდის მონასტრის ბერს მიქაელს გადაუწერია, ხოლო ყდაში მიქაელ დიაკვანს ჩაუსვამს. XVI ს-ში ოთხთავი შატბერდიდან, იქ თურქთა დამკვიდრების გამო, ჯერ გურიაში, ჯუმათში გადმოუტანიათ, მაგრამ მალევე სვანეთში, ადიშის ეკლესიაში გადაუხვეწებიათ. აქედან მოდის ამ ოთხთავის სახელწოდებაც. ამჟამად ის მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

სახარებასთან ერთად თანდათანობით სხვა ქრისტიანული ლიტერატურაც ითარგმნა. პირველ რიგში, ეს იყო ქრისტიანული ქადაგებები. ასევე ითარგმნა ლიტურგიკული ანუ ღვთისმსახურებითი თხზულებები. ადრევე დაიწყო სხვადასხვა სახის ქრისტიანული კრებულების, მრავალთავებისა და ლექციონარების შედგენა.

**ლექციონარი** ქრისტიანული საკითხავი წიგნია, რომელშიც ძველი და ახალი აღთქმიდან ამოკრეფილ ცალკეულ ნაწყვეტებთან ერთად ღვთისმსახურებითი ლიტერატურაც შედის. ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული ასეთი ლექციონარი VII ს-ის II ნახევარში გადაწერილი ხანმეტი ლექციონარია. ის ამჟამად ავსტრიაში გრაცის ბიბლიოთეკაში ინახება.

**მრავალთავი** თავდაპირველად მხოლოდ ქრისტიანული ქადაგებების კრებული იყო. მოგვიანებით

## მაკარ ლეთეთელი

მაკარ ლეთეთელი ქართლელი, ზოგჯერ ლეთეთელად იყო. ის გრიგოლ ხანძთელის მოწაფე გახლდათ. მან ცხოვრების დიდი ნაწილი იერუსალიმში, საბაწმიდის მონასტერში გაატარა. თავისი და მისი მეგობრების ღვაწლის შესახებ მაკარ ლეთეთელი მოგვითხრობს ხანძთის მრავალთავის ერთ-ერთ ანდერძ-მინაწერში: „მე, მაკარი ლეთეთელი, ძე გიორგი გრძელისა, ცოდვილი ყრმად, ღირს ვიქმენ ლიტრისა ამ წმიდისა წიგნისა - მრავალთავის - შეკაზმვისად. თანაშეეწევნა ჩვენი ზულიერი ძმა პიმენ კაში და გადაწერა ღვთისა ჩემისა ძმისწულმა, ამისა მონაზონსულიპით. დაიწერა ეს წიგნი იერუსალემს, ლავრასა დიდსა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა საბაისა..."

## იბერიელი ბაკური

რუფინუსმა გელასი კესარიელის ცნობა უცილოწული ბაკურის შესახებ შემოგვინახა: „ რომ ეს ყველაფერი ასე მოხდა, **ჩვენ გვაუწყა** ერთგულმა სარწმუნოების კაცმა ბაკურმა, იყო ამ ხალხის მეფე... იგი უდიდესად ზრუნავდა, როგორც სარწმუნოებაზე, ისე ჭეშმარიტებაზე, რომელსაც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა სრული ერთსულოვნებით იერუსალიმში. მაშინ ის იყო პალესტინის საზღვრების სარდალი". საინტერესოა, რომ დაახლოებით საუკუნით წლის შემდეგ გელასი კესარიელი ამ ცნობას თავისი სიტყვით გადმოსცემს და აღნიშნავს, რომ „ეს ჩვენ გვაუწყა ერთგულმა სარწმუნოების ბაკურმა..." საყურადღებოა, რომ რუფინუსმა და გელასი კესარიელის მიხედვით, უცილოწული ბაკურის არც მამა პირველწყაროსთვის, გელასი კესარიელისთვის მიუწვდომია უშუალოდ ქართლის მოქცევის ამბავი. უცილოწულის მონათხრობი გელასი კესარიელსაც უფრო ადრინდელია. IV ს-ის I ნახევრის ჩვენთვის უცნობი ავტორის თხზულებიდან უნდა იყოს. აქ მოხსენებული ასურელი უცილოწული ბაკური, რომელსაც ასე კარგად იცის ქართლის მოქცევის დეტალები და საიმპერატორო [illegible] ზედა, უნდა იყოს ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის უფროსი ვაჟი ბაკური, რომელიც, როგორც ამას უჩვეი „ქართლის ცხოვრებიდან" ვგებულობთ, IV ს-ის 20-იან წლებში მძევლად იმყოფებოდა რომში. რომაელ ავტორთა ცნობით, ირკვევა, რომ კეისრის კარზე მძევლად ყოფნის დროს, ბაკური თავს გამოიჩენდა როგორც ნიჭიერი სარდალი.

ასეთ კრებულებში ჰაგიოგრაფიული, სადღესასწაულო (ქრისტოლოგიური) და ზოგ შემთხვევაში სამეცნიერო-ფილოსოფიური თხზულებებიც შეჰქონდათ. ყველაზე უძველესი მრავალთავი ხანმეტი მრავალთავია, რომელიც VIII ს-ის I ნახევრით თარიღდება. ის თავდაპირველად სვანეთში იყო დაცული, დღეს პეტერბურგში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში ინახება. პირველი თარიღიანი 864 წ-ის მრავალთავი, როგორც გვახსოვს, სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერმა შემოგვინახა, ეს მრავალთავი საბაწმიდის მონასტერში შეიქმნა. ის იმ დროისათვის ქრისტიანულ სამყაროში თვრამეტი სხვადასხვა გამორჩეული ღვთისმეტყველისა და ფილოსოფოსის ქართულად თარგმნილი ორმოცდაათი თხზულებისაგან შედგება. მრავალთავი შეადგინა იერუსალიმის საბაწმიდის მონასტრის ქართველ მონაზონთა კრებულმა, მაკარ ლეთეთელის მეთაურობით, რომელიც იყო „კაცი მშვენიერი, ღირსეული მონაზონი, საბრძნით სრული".

**ჰაგიოგრაფია** ორი ბერძნული სიტყვის - „ჰაგიოს" - წმინდა და „გრაფო" - ვწერ - შეერთების გზითაა მიღებული და ქრისტიან წმინდანთა ცხოვრების აღწერას წარმოადგენს. ქრისტიანულ სამყაროში მრავალი ჰაგიოგრაფიული თხზულება არსებობდა, რომლებშიც ქრისტიანული სარწმუნოებისათვის სხვადასხვა დროს წამებულთა თუ დიდ საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრება იყო აღწერილი. ასეთ თხზულებებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭებოდა. საგანგებოდ იქმნებოდა ამ თხზულებათა შემოკლებული ტექსტები, რომლებსაც მორწმუნეებს ეკლესიაში უკითხავდნენ. ადრე შუა საუკუნეებში საერო მწერლობა ფაქტობრივად არ არსებობდა, ამიტომ ჰაგიოგრაფიული თხზულებები საისტორიო თხზულებებთან ერთად მხატვრული ლიტერატურის როლს ასრულებდა. ჩვენმა წინაპრებმა ბევრი ასეთი თხზულება ადრევე თარგმნეს. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ სწორედ ქართულმა თარგმანებმა შემოგვინახა ზოგიერთი ასეთი ჰაგიოგრაფიული ძეგლი, რომლის დედანი დღეს დაკარგულია. ბერძნულიდან თხზულებათა ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი, რომლის სახელმა ჩვენამდე მოაღწია, იყო საბაწმიდის ლავრაში მოღვაწე ქართველი ბერი სვიმონ.

ჩვენმა წინაპრებმა ქართულ ენაზე ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ლიტერატურაც შექმნეს. უძველეს ქართულ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებად „წმინდა ნინოს ცხოვრებას" ანუ „ქართლის მოქცევას" ის მოთხრობები უნდა ჩაითვალოს, რომელიც წმინდა ნინოს თანამედროვეებმა და მოწაფეებმა: მირიანის ეაჯის რეჯის მეუღლემ სალომე უჯარმელმა, პეროჟავრი სივნელმა, მღვდელმა აბიათარმა, მისმა ასულმა სიდონიამ... ჩაწერეს. ამ თხზულებებმა უძველესი სახით ჩვენამდე ვერ მოაღწია. მათი, ზეპირ თხრობაზე დამყარებული, ბერძნული ვერსია IV ს-ის II ნახევარში, თავისი საეკლესიო ისტორიის წერის დროს, გამოიყენა რომაელმა საეკლესიო ისტორიკოსმა გელასი კესარიელმა. მას წყაროს წარმოადგენდა ჩანაწერი, რომელიც თავის მხრივ რომის სამხედრო სამსახურში მყოფი იბერიელი უფლისწულის ბაკურისაგან მომდინარეობდა. სამწუხაროდ, საკუთრივ გელასი კესარიელის ჩანაწერმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. მისი



პონტოს ზღვა
აფხაზთა სამეფო
ვასპურაკანის სამეფო
პირობითი ნიშნები
– ქართველთა სამეფოს საზღვრები.
– აფხაზთა სამეფოს მიერ X საუკუნეში მიერთებული ტერიტორიის საზღვრები
– დავით კურაპალატის მიერ შემოერთებული ტერიტორიის საზღვრები.
– დედაქალაქი
– დასახლებული პუნქტი
– ციხე-სიმაგრე
– ეკლესია
– საეპისკოპოსო კათედრალი

# ტაშირ - ძორაგეტის სამეფო და თბილისის საამირო X-XI საუკუნეებში



პირობითი ნიშნები

— ციხე - ქალაქი

— ციხე - სიმაგრე

თხზულების ეს ნაწილი შემოგვინახეს შემდგომი ხანის რომაელმა და ბიზანტიელმა საეკლესიო ისტორიკოსებმა. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ გელასი კესარიელის უმცროსი თანამედროვე, რუფინუსი, რომელიც 410 წ. გარდაიცვალა და V ს-ის II ნახევრის რომაელი ავტორი გელასი კვიზიკელი.

მოგვიანებით ნინოს ცხოვრების ანუ ქართლის მოქცევის ამსახველი მოთხრობები ვრცელ თხზულებებად გაერთიანდა. ჩვენამდე მოღწეულ ასეთ თხზულებებს შორის ყველაზე ადრინდელია IX ს-ის „მოქცევაჲ ქართლისაჲ". ეს თხზულება იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ მის შესავალ ანუ პირველ ნაწილში მოკლედ გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან IX ს-ის დასაწყისამდე. თხზულების ამ ნაწილს პირობითად „მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკას" უწოდებს. ეს „ქრონიკა" ერთ ავტორს არ ეკუთვნის. მისი ადრეული ნაწილი VII ს-ის II ნახევრისაა, უფრო გვიანი ნაწილი კი IX ს-ის. „ქრონიკის" ადრეული VII ს-ის ნაწილი შეიცავს „ნინოს ცხოვრების" ანუ „ქართლის მოქცევის" ერთ-ერთ მოკლე თხრობას, რომელიც კიდევ უფრო ადრინდელი, V-VI სს-ის ავტორის გრიგოლ დიაკონის კალამს ეკუთვნის.

უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელმაც ჩვენამდე თავდაპირველი სახით მოაღწია არის V ს-ის 80-იანი წლების იაკობ ცურტაველის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისა დედოფლისაჲ" ან, როგორც მას მოკლედ უწოდებენ „შუშანიკის წამება". ნაწარმოები მაღალმხატვრულია, დიდი ინტერესით იკითხება და აშკარად მეტყველებს V ს-ის ქართული მწერლობის განვითარების მაღალ დონეზე.

## წმინდა შუშანიკი

წმინდა შუშანიკი მამიკონიანთა სომხური წარმომავლობის საგვარეულოდან იყო. ის ცოლად ჰყავდა ქართლის პიტიახშ ვარსქენს. ვარსქენი ვახტანგ გორგასლის მიმართ ორგული გახდა, მაზდეანობა მიიღო და მეორე ცოლად სპარსეთის მეფის ასული მოიყვანა. ღვთისმოსავი შუშანიკი ქმრის მიერ ქრისტეს ღალატის და ცოლქმრული ღალატის ძალზე განიცდის. მან სასახლე მიატოვა და ეკლესიას შეაფარა თავი. სპარსეთიდან ქართლში მობრუნებულმა პიტიახშმა ურჩი მეუღლე სასახლეში ძალით მოათრია, მაგრამ ქრისტიანობის დაგმობა პიტიახშმა შუშანიკს მაინც ვერ შეაძლებინა. ბოლოს ვარსქენმა აწამა შუშანიკი და საპყრობილეში ჩააგდო, სადაც ის გარდაიცვალა.

VI ს-ის მეორე ნახევარში დაიწერა უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა", რომელშიც, როგორც გვახსოვს, ქართლში უმეფობისა და აქ სპარსელი მოხელე-მარზპანის გამგებლობის ხანაა ასახული.

აღსანიშნავია, რომ შინაომებისა და მტრების გაუთავებელი შემოსევების მიუხედავად, VII-IX სს. როგორც ქართული მწერლობის, ისე საერთოდ ადრეფეოდალური ხანის ქართული კულტურის საოცარი აღმავლობის ხანაა. სწორედ ამ საუკუნეებში ყალიბდება ერთიანი ქართული კულტურა. უნდავიცოდეთ, რომ ერთიანი ქართული კულტურის ჩამოყალიბება წინ უსწრებდა ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანებასა და ერთიანი ქართული ფეოდალური სამეფოს წარმოქმნას. ამ საუკუნეების ქართული კულტურა ის ბაძირკველია, რომელზედაც აღმოცენდა განვითარებული ფეოდალური პერიოდის ანუ „ოქროს ხანის" ქართული კულტურა.

არაბთა ბატონობის პერიოდს აახლოვებს VIII-IX სს-ის ჩვენთვის უკვე ცნობილი თხზულებები - არგვეთის მთავრების „დავითისა და კონსტანტინეს წამება" და ქართლელი მთავრის „კონსტანტი კახის მარტვილობა". ამავე ხანებში შეიქმნა აგრეთვე ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", რომელშიც დიდი საეკლესიო მოღვაწის და ზარზმის მონასტრის მაშენებლის სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება და მოღვაწეობაა გადმოცემული.

ამ ხანის ქართული მწერლობის შედევრს „აბო ტფილელის მარტვილობა" წარმოადგენს, რომელიც VIII ს-ის მიწურულში ქართლის კათალიკოსის სამუელის ბრძანებით შეკვეთით საეკლესიო მოღვაწემ იოანე საბანისძემ დაწერა. თხზულების დანიშნულება შესავალშივეა გაცხადებული: ავტორის მიზანია, გაამხნევოს ქართველი ქრისტიანები, რომლებიც არაბთა „მძლავრობით დამონებულნი, უძლურებითა და სიგლახაკით შეკრულნი, მათი ხარკის ქვეშ, ვითარცა რკინით ნაკვეთნი და ნაგვემნი, სასტიკად დასჯილნი, შიშით განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა". მწერალი უმხნევებს მკითხველს, რომ, თუკი „დედით და მამით" ანუ მოდგმით არაბმა აბომ შეიყვარა ქრისტეს რჯული, მუსლიმობიდან ქრისტიანობაში გადმოვიდა და ქრისტესათვის მოწამებრივი სიკვდილიც მიიღო, ჩვენ ქართველებმა მით უფრო გვმართებს გამხნევება და ქრისტეს რჯულის ერთგულება. „აბო ტფილელის წამება" პირველი ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურული ძეგლია, რომელშიც მკაფიოდაა გამოხატული პატრიოტიზმისა და ეროვნული სიამაყის გრძნობა. იოანე საბანისძე არ მალავს აღფრთოვანებას თავისი ქვეყნით, რომელმაც ქრისტესათვის არაერთი წამებული შესძინა ქრისტიანულ სამყაროს. აქვე ჩანს

### იოანე საბანისძე ქრისტიანობის წინაშე ქართველთა ღვაწლის შესახებ

„არა მხოლოდ ბერძნებს აქვთ ქრისტიანული სარწმუნოება, არამედ ჩვენც ამ შორეული ქვეყნის მკვიდრებსაც... ამა ქართლის მკვიდრთაც აქვთ სარწმუნოება და იწოდება ეს ქვეყანა წმინდათა შობილად, რომელთაგან ზოგი აქაურია, ზოგიც უცხოელი და სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული, უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტეს მიერ მოწამედ წარმოჩინებული"

ერთგვარი შეჯიბრის გრძნობა ბერძნებთან და ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ ქართველთა დამსახურების წარმოჩენის სურვილი.

ქრისტიანული ღვთისმსახურების აუცილებელ ელემენტს გალობა წარმოადგენს. თავდაპირველად ამ მიზნით, ბიბლიის ფსალმუნებს - საგალობლებს იყენებდნენ. V-VI საუკუნეებიდან ქრისტიანულ სამყაროში გაჩნდა საგანგებოდ შექმნილი საგალობლები, რომელსაც „ჰიმნებს" უწოდებენ. ჰიმნებში ღრმა რელიგიური გრძნობებია გადმოცემული. ჩვენი წინაპრები თავდაპირველად ბერძნულიდან თარგმნილ ჰიმნებს ასრულებდნენ, VII ს-დან კი, მათ ორიგინალური ჰიმნების შექმნა დაიწყეს. ასე წარმოიშვა ქართული ჰიმნოგრაფია. ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ქართველი ჰიმნოგრაფი იყო ბასილი, რომელიც VII-VIII სს-ში ცხოვრობდა.

ქართული საერო მწერლობა წარმართული ხანიდან იღებს სათავეს. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია საისტორიო მწერლობა. ქართული დამწერლობის წარმოქმნასთან ერთად ქართულად ითარგმნა სპარსულად და ბერძნულად შესრულებული მოკლე ისტორიული ქრონიკები და ქართლის „მეფეთა ცხოვრებაი". V-VII სს-ში ისტორიული თხზულებები უკვე ქართულად იწერებოდა. მათ ავტორთა ვინაობა უმეტეს შემთხვევაში უცნობია. გამონაკლისი VI ს-ის ისტორიკოსი „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების" ავტორი და „ქართლის ცხოვრების" კრებულის პირველი შემდგენელი, ჩვენთვის უკვე ცნობილი, ქართლის ერისმთავარი ჯუანშერ ჯუანშერიანია. სამწუხაროდ ჯუანშერ ჯუანშერიანის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას", ისევე როგორც „ქართლის ცხოვრების" მისეულ კრებულს ჩვენამდე პირველადი სახით არ მოუღწევია. შემდეგ საუკუნეებში მან მნიშვნელოვანი შევსება-გადაკეთება განიცადა.

VIII-IX სს-ის ქართული ისტორიული თხზულებებიდან აღსანიშნავია „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფლის" სტეფანოზ III-ისა და მისი ვაჟების მირისა და არჩილის ცხოვრების ამსახველი ქრონიკა და „აშოტ კურაპალატის ცხოვრება". IX ს-ის მიწურულს შეიქმნა „მოთხრობა ბაგრატიონთა წარმოშობის" შესახებ, რომელიც ბაგრატიონთა დინასტიის ღვთაებრივ, ებრაელთა მეფისა და წინასწარმეტყველის დავითისაგან წარმოშობაზე მოგვითხრობს. ეს „მოთხრობა", რომელიც ადარნასე ბაგრატიონის მიერ „ქართველთა მეფის" ტიტულის მიღების თავისებურ დასაბუთებას წარმოადგენს, „აშოტ კურაპალატის ცხოვრებასთან" ერთად ორი, ოდნავ განსხვავებული ვერსიის სახით XI ს-ის დასაწყისის ისტორიკოსის სუმბატ დავითის-ძის ჩვენთვის უკვე ცნობილმა თხზულებამ - „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთამ" - შემოგვინახა. სტეფანოზ III-ისა და მისი ვაჟების მირისა და არჩილის ცხოვრების ამსახველი თხზულება კი მოგვიანებით ერთგვარად გავრცობილ-გადაკეთებული სახით „ქართლის ცხოვრებაში შეიტანეს".

ადრე შუა საუკუნეებში დიდ წარმატებას მიაღწია ქართულმა გეოგრაფიულმა აზროვნებამ. ამას მოწმობს VII-VIII საუკუნეების დღემდე მოღწეული უძველესი ქართული გეოგრაფიული თხზულება, რომელიც „ქართლის ცხოვრების" შესავალს წარმოადგენს. აქ ლეგენდარული თარგამოსის შვილების წილხვედრი ქვეყნების სახით მოცემულია VII-VIII საუკუნეების კავკასიის პოლიტიკური რუკა. „ქართლის ცხოვრების" აღნიშნული შესავლის ავტორი საქართველოს და კავკასიის ფიზიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის დიდ ცოდნას ამჟღავნებს.

### ნაწყვეტი ატენის სიონის კედელზე შემონახული [illegible] ლექსიდან

„[illegible]
წავი ვითარცა წამი,
[illegible]
მერმეა არა [illegible]"...

„[illegible],
[illegible],
[illegible],
[illegible]"

ქართული დამწერლობის შექმნასთან ერთად დაიწყო ხალხში გავრცელებული სხვადასხვა საგმირო ეპოსების, თქმულებებისა და გადმოცემების ჩაწერა, რითაც საისტორიო თხზულებებს ავსებდნენ და უფრო მიმზიდველად ხდიდნენ. დიდი პოპულარობით სარგებლობდა სპარსული საგმირო ეპოსი, რომელიც ქართულად პირველად ჯერ კიდევ სასანურ ხანაში ითარგმნა. თანდათანობით ჩამოყალიბდა ქართული საერო პოეზია. ქართული საერო რითმიანი ლექსის უნიკალური ნიმუშები შემოგვინახა ატენის სიონის კედლებმა. ეს ლექსები IX ს-ის I ნახევრით თარიღდება.

დიდ წარმატებას მიაღწია ქართულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ, რომელიც გვიან ანტიკური და ქრისტიანული ფილოსოფიის ერთგვარი სინთეზის ანუ შერწყმის შედეგად წარმოიქმნა და რომლის ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელი ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე და ფილოსოფოსი პეტრე იბერი (411-491) იყო.

პეტრე იბერი IV-V სს-ის მიჯნის, ჩვენთვის უკვე ცნობილი ქართლის მეფის ბუზმარის („ქართლის ცხოვრების" მირდატის) ერთადერთი ვაჟი იყო. მას ერისკაცობაში მირვანი, ბერძნული გამოთქმით, მურვანოსი ერქვა. მირვანი 411 წელს დაიბადა. 12 წლის ასაკში ის ბიზანტიის იმპერატორმა თეოდოსიმ მძევლად წაიყვანა. კეისრის კარზე მირვანმა ბრწყინვალე განათლება მიიღო. მალე მან უარი თქვა საერო ცხოვრებაზე და თავის მასწავლებელთან და სულიერ მეგობარ ეგრისელ მითრიდატესთან ერთად იერუსალიმში გაიპარა. იქ, გოლგოთის მთაზე, ქრისტეს საფლავზე მასწავლებელიც და მოწაფეც ბერად აღიკვეცა. ამის შემდეგ მირვანს პეტრე იბერი, მითრიდატეს კი - იოანე ლაზი ეწოდა.

თავისი განსწავლულობის გამო პეტრე იბერი მღვდლად თვით იერუსალიმის პატრიარქმა აკურთხა, რაც იმ დროისათვის უდიდესი პატივი იყო. ბოლოს პეტრე იბერი მრევლის მოთხოვნით ქალაქ მაიუმის (მდებარეობდა პალესტინის დასავლეთით, ქალაქი ღაზას მახლობლად) ეპისკოპოსად აირჩიეს. პეტრე იბერს ეკუთვნის ბერძნულ ენაზე შესრულებული რელიგიურ-ფილოსოფიური თხზულებები, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს შუა საუკუნეების ქრისტიანულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე.

## 2. მონასტრები და სამონასტრო ცხოვრება

შუა საუკუნეების ქრისტიანული კულტურისა და ყოფის შემადგენელ ნაწილს მონასტრები და სამონასტრო ცხოვრება წარმოადგენდა. მონასტერი ბერძნული სიტყვა „მონა-სტერიონი"-დან წარმოსდგება და „განდეგილის სენაკს" ნიშნავს. პირველი ქრისტიანული მონასტრები III-IV სს-ში სირიასა და პალესტინაში გაჩნდა. შემდეგ სამონასტრო მოძრაობა მთელ ქრისტიანულ სამყაროს მოედო. სამონასტრო მოძრაობამ ქრისტიანთა ის ნაწილი მოიცვა, რომლებიც თვლიდნენ, რომ ღმერთთან მიახლოებისათვის მხოლოდ ქრისტიანული ცხოვრების წესის დაცვა არ იყო საკმარისი. საჭირო იყო სულის განწმენდა და ამაღლება, რაც ხორციელი სურვილების მაქსიმალურად დათრგუნვის გზით მიიღწეოდა. მათი აზრით, საჭირო იყო საერო ცხოვრებაზე სრულიად უარის თქმა, მათ შორის ქორწინებაზე და შვილთა ყოლაზე და ცხოვრების მხოლოდ ღვთისათვის მიძღვნა. მონასტერში მონაზვნები და მორჩილები ცხოვრობდნენ. მორჩილი სამონაზვნოდ გამზადებულ პირს ეწოდებოდა, რომელსაც მონაზვნად აღკვეცამდე რამდენიმე გამოსაცდელ წელს აძლევდნენ. ჩვენი წინაპრები სიტყვა „მონაზონის" ხმარებისას სქესს არ განარჩევდნენ. სიტყვა „ბერი" კაცი მონაზვნის აღსანიშნავად ბევრად უფრო გვიან შემოვიდა. ცალ-ცალკე არსებობდა ქალთა და კაცთა მონასტრები. მონაზვნად აღკვეცის წინ სპეციალური ცერემონიალი სრულდებოდა. მონაზვნად აღსაკვეცს სიმბოლურად თმას კრიდნენ, საერო ტანსაცმელს ხდიდნენ და სამონაზვნო, შავ ჩოხას აცმევდნენ, რომელსაც ჩვენი წინაპრები „ფსიკს" და „სქემასაც" უწოდებდნენ. გამონაზვნებულს სახელსაც უცვლიდნენ, რაც იმის მოწმობა იყო, რომ ადამიანი თავის ძველ ცხოვრებაზე უარს ამბობდა და ახალ სულიერ ცხოვრებას იწყებდა. მონაზვნები ცალკე სენაკებში ცხოვრობდნენ. წირვა-ლოცვისათვის მათ საერთო ეკლესია ჰქონდათ. საერთო ჰქონდათ სატრაპეზოც (სასადილო ოთახი). მონასტრებს თავიანთი ბოსტნები, ზვრები, ხეხილის ბაღები, ზეთისხილის ჭალები... გააჩნდა. იქვე იყო ბეღლები. საწნახელში წურავდნენ ყურძენს, ქვევრებში აყენებდნენ ღვინოს. მთელ ამ მეურნეობას თვითონ მონაზვნები უძღვებოდნენ. ადრე შუა საუკუნეების მონასტრები ასკეტური ცხოვრებით გამოირჩეოდნენ, რაც ამქვეყნიურ სიამოვნებაზე სრულ უარის თქმას ნიშნავს. მონაზვნების საჭმელიც ზომიერი იყო. მონასტერს თავისი მეთაური ჰყავდა, რომელსაც ბიზანტიაში „აბას" უძახდნენ, საქართველოში მას „წინამძღვარი" ან „მამასახლისი" ეწოდებოდა. სამონასტრო ცხოვრებას სპეციალური წესდება - ტიპიკონი განსაზღვრავდა.

განსაკუთრებული ასკეტიზმით განდეგილი ბერები გამოირჩეოდნენ. ასეთი ბერები მონასტრებსაც თავს არიდებდნენ და განცალკევებით გამოქვაბულებში, უდაბურ და ძნელად მისადგომ ადგილებში სახლდებოდნენ. ხორცის დათრგუნვის მიზნით ზოგი მათგანი ფეხშიშველი დადიოდა და თანაც ფეხებზე

სამძიმეს ატარებდა. ზოგი მათგანი ისეთ სამოსელს იცვამდა, რომელიც სხეულს ტკივილს აყენებდა. ზოგი განდეგილი ტანს არ იბანდა ან კიდევ თმებს და წვერებს არ იჭრიდა. ზოგი მეუდაბნოე თავისთვის ცხოვრების განსაკუთრებით მძიმე პირობების შესაქმნელად საგანგებოდ აგებულ მაღალ სვეტზე ცხოვრობდა. ასეთ განდეგილს „მესვეტე" ეწოდებოდა.

ერთ-ერთი ასეთი მესვეტის სამყოფელი ჭიათურის მახლობლად სოფ. კაცხის მიდამოებში, კაცხის სვეტზე შემორჩა. აქ მაღალი, ორმოცი მეტრის სიმაღლის კლდის სვეტის თავზე ორი პატარა V-VI სს-ის ერთნავიანი ბაზილიკაა აგებული. ერთ-ერთის ქვეშ თვით მესვეტე მარხია. დღესათვის ამ სვეტზე ასვლა მხოლოდ მთამსვლელებს შეუძლიათ.

ასკეტური და წმინდა ცხოვრების გამო მონაზვნები ქრისტიანებში მოწიწებასა და პატივისცემას იწვევდნენ. გამოჩენილ სამონასტრო მოღვაწეებს, როგორც სხვაგან, ისე საქართველოში მეფე-მთავრების კარზე დიდი პატივი და გავლენა ჰქონდათ.

ქრისტიანებს შორის იმთავითვე განსაკუთრებული პატივისცემით იერუსალიმი და საერთოდ პალესტინა სარგებლობდა, სადაც იესო ქრისტე დაიბადა და ცხოვრობდა. ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანის ოცნება იყო ცხოვრებაში ერთხელ მაინც ამ წმინდა მიწას წვეოდა. ამიტომ იერუსალიმში მლოცველთა უწყვეტი ნაკადი მოედინებოდა. ძველი ქართველებიც სხვა ქრისტიანების მსგავსად იერუსალიმში ჩასვლას და იქ წმინდა ადგილთა მოლოცვას ცდილობდნენ. ეს დიდ სახსრებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ყველა ამას ვერ ახერხებდა. როგორც გვახსოვს, იერუსალიმის წმინდა ადგილები მოინახულა ვახტანგ გორგასალმა, დედა საგდუხტთან და თავის და ხვარამზესთან ერთად. იერუსალიმი მოუნახულებია 853 წ. ქრისტესათვის წამებულ კონსტანტი-კახსაც ....

ქართველები სამონასტრო მოძრაობის სათავეებთან იდგნენ. თავდაპირველად ისინი ეგვიპტესა და პალესტინაში ბერძენ, სირიელ, ეგვიპტელ, სომეხ .... მონაზვნებთან ერთად ეწეოდნენ სამონასტრო ცხოვრებას, მაგრამ ადრევე ამ წმინდა ადგილებში თავისი საკუთარი მონასტრების აგება დაიწყეს. პირველი ქართული სამონასტრო მშენებლობა დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწის პეტრე იბერის სახელს უკავშირდება. ბერად აღკვეცის შემდეგ, პეტრემ და მისმა მოძღვარმა და მეგობარმა იოანე ლაზმა იერუსალიმში ორი ქართული მონასტერი - „იბერთა მონასტერი" და „ლაზთა მონასტერი" დააარსეს. ეს მონასტრები დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანე I კიდევ ორ, ქრისტიანულ სამყაროში სახელგანთქმულ მონასტერთან ერთად საგანგებოდ განაახლა. ქართული მონასტრები პეტრე იბერმა ეგვიპტეში და პალესტინის უდაბნოშიც ააშენა. არქეოლოგებს პეტრე იბერის აშენებულად მიაჩნიათ ქართული მონასტერი, რომელიც ეგვიპტეში ძველ ქალაქ თებეს მიდამოებში გათხარეს. პალესტინაში, იერუსალიმისა და ქრისტეს დაბადების ადგილის, ბეთლემის მახლობლად, იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ 1946 წ. გათხარა პეტრე იბერისა და მისი მასწავლებლის იოანე ლაზის მიერ აშენებული ქართველთა ე. წ. „ლაზთა მონასტერი", სადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული დამწერლობით შესრულებული ყველაზე ადრეული ნიმუშები აღმოჩნდა. ეს წარწერა მონასტრის ეკლესიის მოზაიკურ იატაკზე იყო. ასე მოიკიდეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ფეხი პალესტინის წმინდა მიწაზე.

უცხოეთში ქართული მონასტრების დაარსების მიუხედავად, ქართველი მონაზვნები პალესტინაში სხვა განთქმულ მონასტრებშიც მრავლად მოღვაწეობდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია იერუსალიმის მახლობლად 483 წ. დაარსებული ბერძნული მამათა დიდი მონასტერი, საბას ლავრა, რომელსაც ქართველები საბაწმიდას უძახდნენ. VI ს-ის 30-იან წლებში ამ მონასტერში ქართველებს უკვე საკუთარი ეკლესიაც ჰქონდათ, სადაც ღვთისმსახურებას ქართულად ასრულებდნენ. მალე საბაწმინდა ქართული კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად გადაიქცა. აქ მოღვაწეობდა ჩვენთვის უკვე ცნობილი ჰიმნოგრაფი ბასილი, სინას მრავალთავის შემდგენელი მაკარ ლეთეთელი, უცხოური ჰაგიოგრაფიული მწერლობის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი ხვითი...

საბაწმიდაში შეიქმნა ბიბლიის წიგნების VIII-IX საუკუნისეული ქართული თარგმანიც, ე. წ. „საბაწმიდური რედაქცია", რომელიც ჩვენში XI საუკუნემდე გამოიყენებოდა. აქვე შემუშავდა უძველესი ქართული ტიპიკონი. ადრეფეოდალურ ხანაში უცხოეთში ქართველთა მიერ დაარსებულ

მონასტრებიდან აღსანიშნავია IX ს-ში მცირე აზიის ბიზანტიურ პროვინცია ბითვინიაში ბერძენთა ულუმბოს მონასტრისაგან განცალკავებით აშენებული ქართული სავანე, რომელიც ილარიონ ქართველის სახელს უკავშირდება.

ქრისტიანული სამყაროს მიმართ ილარიონ ქართველის დიდი დამსახურების გამო, მისი გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიის კეისარმა ილარიონის სამი მოხუცი მოწაფე სასახლეში მოიწვია და ქართველებისთვის უკვე მოქმედი მონასტრებიდან მათი არჩევანის მიხედვით, ერთ-ერთის გადაცემა აღუთქვა. ქართველმა ბერებმა სხვათა მიერ აგებული მონასტრის მიღებაზე უარი განაცხადეს და საკუთარი მონასტრის აშენება მოინდომეს. მათ კონსტანტინოპოლის მახლობლად ადგილი შეარჩიეს და 871 წ. ქართული მონასტერი დააარსეს, რომელსაც ქართველები რომანას იგივე პრომანას ქართველთა მონასტერს უწოდებდნენ. ამ მონასტერში ქართველი ბერები 100 წელზე მეტ ხანს მოღვაწეობდნენ, სანამ მას ბერძენი მონაზვნები არ დაეპატრონნენ.

სამონასტრო მშენებლობა საქართველოშიც ძალზე ადრე დაიწყო. ამის შესახებ ერთ-ერთი უძველესი ცნობა „ქართლის ცხოვრებამ" შემოგვინახა. ამ ცნობით, ვახტანგ გორგასლის ბრძანებით, მის ძუძუმტესა და კლარჯეთის ერისთავს არტავაზს არტანუჯის მახლობლად, ოპიზაში მონასტერი დაუარსებია, რომელიც მეფის მიერ ბიზანტიაში ნანახი მონასტრების მსგავსი იყო. ამავე ხანებში, V ს-ის შუა წლებში უნდა იყოს დაარსებული ტანას, იგივე ატენის მონასტერი, რომელიც არქეოლოგებმა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ატენის ტაძრის მიდამოებში გათხარეს.

საქართველოში დიდი სამონასტრო მშენებლობა სირი-იდან იგივე ასურეთიდან VI ს-ის შუა წლებში ქართლში იოანე ზედაზნელის მეთაურობით წმინდა მამების მოს-ვლას უკავშირდება.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ქართლში ცამეტი ასურელი მამა მოვიდა. სინამდვილეში ისინი მეტნი უნდა ყოფილიყვნენ. ესენი არიან: შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, ანტონ მარტყოფელი, აბიბოს ნეკრესელი, იოსებ ალავერდელი, იესე წილკნელი, პიროს ბრეთელი, თათე სტეფანე წმინდელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი, ზენონ იყალთოელი, ელია დიაკონი, სტეფანე ქიზიყელი ანუ ხირსელი... მათი მეორე სახელები წარმოდგა მათ მიერ აგებული ეკლესია-მონასტრებისაგან და იმ ადგილებიდან, სადაც ისინი საქართველოში უმეტესწილად ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. როგორც ფიქრობენ, ასურელი მამები სირიის მონასტრებში მოღვაწე ქართველი ბერები იყვნენ, რომლებიც თავიანთ სამშობლოში ქრისტიანობის განსამტკიცებლად და წარმართობის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად დაბრუნდნენ. მართლაც, მათ ქართლში ქრისტიანობის განსამტკიცებლად დიდი რელიგიურ-კულტურული საქმიანობა გაშალეს. სპარსეთის მხარდაჭერით გაძლიერებულ როგორც ცეცხლთაყვანისცემას, ისე მონოფიზიტობას ბრძოლა გამოუცხადეს და ქალკედონური მრწამსი განამტკიცეს. მათი გარდაცვალების შემდეგ ასურელ მამათა ცხოვრება-მოღვაწეობა აღწერეს. ეს თხზულებები სხვა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებთან ერთად დიდ როლს ასრულებდნენ იმდროინდელი ქართველის ქრისტიანულ აღზრდაში. „ასურელ მამათა ცხოვრებები" ჩვენამდე თავდაპირველი სახით არ მოსულა, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდებოდა ხოლმე, მათაც მოგვიანებით არაერთი გადაკეთება განიცადეს.

### ილარიონ ქართველი

ილარიონ ქართველი (822–875) იყო გამოჩენილი წარმომადგენელი და მოღვაწე ამა ეპოქის შემდეგ. ის სიყრმიდანვე [illegible] ცხოვრებისაკენ განეწყო. თავდაპირველად ილარიონი დავით გარეჯის მონასტერში დამკვიდრდა. შემდეგ კი, იერუსალიმში გაემგზავრა. იერუსალიმიდან მობრუნებულს მას სამშობლოში მამა და ძმები გარდაცვლილი დახვდა. მამის მან დედათა მონასტერი აშენა, სადაც მისი დედა მონაზვნად აღიკვეცა. ამ მონასტერს ილარიონმა თავისი წილი გადასცა და მამულები შესწირა. მამულები შესწირა აგრეთვე მის მიერ აგებულ მამათა მონასტერსაც. ამის შემდეგ ილარიონი ბიზანტიის მცირეაზიულ პროვინციაში ბითვინიაში გაემგზავრა, სადაც ულუმბოს მთაზე ბერძენთა მონასტრის გვერდით ქართველთა მონასტერი დააარსა. აქ მან თავისი მოწაფეები დატოვა, თვითონ კი კონსტანტინოპოლში გადავიდა. კონსტანტინოპოლიდან ის რომში გაემგზავრა, სადაც ორი წელიწადი დაჰყო. [illegible] ილარიონის ნეშტი მისი მოწაფეების მიერ კონსტანტინოპოლის ახლოს დაარსებულ რომანას ქართველთა მონასტერში გადმოასვენეს. [illegible] რომანას ქართველთა მონასტერი იმდენად სახელგანთქმული გახდა, რომ კეისარმა ბასილი I-მა (867–886) [illegible] ილარიონ ქართველის ცხოვრება თავდაპირველად ბერძნულად აღიწერა. ამ ბერძნულ თხზულებაში მას „ილარიონ იბერი" ეწოდება. როდესაც ეს თხზულება ქართულად ითარგმნა, „იბერი" მისი ქართული შესატყვისით – „ქართველით" შეიცვალა.

### ლეგენდა დავით გარეჯის მადლის შესახებ

დავით გარეჯელი რომელიც მონაზვნის ... იერუსალიმში გაეშურა. მაგრამ ... ადგილს მიაღწია, საიდანაც იერუსალიმი ჩანდა. ამ ადგილს „მწუხარების მაღალს" უწოდებდა. დავით გარეჯელმა იერუსალიმში შესვლა თავისი ... ღირსად არ მიიჩნია. ამიტომ აქ მხოლოდ თავისი მოწაფეები გაგზავნა, თვითონ კი „მაღლის მწუხარებიდან" სამი ქვა აიღო და მათი საქართველოში წაღება გადაწყვიტა. ამ დროს იერუსალიმის პატრიარქს სიზმარში ... და აუწყა: „დავით გარეჯელს იერუსალიმის მადლი სამშობლოში მიაქვს, გაგზავნე კაცი და ხელში რომ სამი ქვა უჭირავს, ორი დაიბრუნეო". მაშინ იერუსალიმის პატრიარქმა მალემსრბოლი გაგზავნა, რომელიც დავით გარეჯელს მიეწია და პატრიარქის დავალებით ორი ქვის დაბრუნება სთხოვა, რათა იერუსალიმის მთელი მადლი არ დაკარგულიყო. ამგვარად დავით გარეჯელმა საქართველოში მხოლოდ ერთი ქვა ჩამოიტანა, რომელიც თავის ... მონასტერში დაასვენა. ამით მან იერუსალიმის „მესამედი მადლი" დავით გარეჯის მონასტერს შესძინა.

ასურელ მამათა მიერ დაარსებულ მონასტერთაგან ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს დავით გარეჯის, შიო მღვიმის, ალავერდის, იყალთოს... მონასტრებმა. სამწუხაროდ, იმხანად აშენებულ სამონასტრო შენობათაგან ბევრი აღარ შემორჩა, ზოგი კი, ნანგრევების სახითაა ჩვენამდე მოღწეული. შემორჩენილ ძეგლთაგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ შიო-მღვიმის მონასტრის მცირე ზომის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც თავისი მკაცრი სახადავით დღესაც აღაფრთოვანებს მნახველს. ეკლესია შიო მღვიმელის მიერაა აგებული და თვითონაც იქვეა დაკრძალული.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი კლდეშია ნაკვეთი. ის თავდაპირველად სამი მონასტრისაგან შედგებოდა, რომლებიც დავით გარეჯელის ხანაში დაარსდა. მოგვიანებით მას მრავალი ახალი მონასტერი და ეკლესია შეემატა. ამ მონასტრის შესახებ ლამაზი ლეგენდა არსებობს, რომლის მიხედვით დავით გარეჯის მონასტრის სამჯერ მონახულება-მოლოცვა იერუსალიმში ერთხელ მოლოცვის ტოლფასია.

მონასტრები ადრეფეოდალურ ხანაში სწავლა-განათლების, მწერლობის, ხელოვნების, მეცნიერების და საერთოდ კულტურის ერთადერთ ცენტრებს წარმოადგენდნენ. ქართველი ბერები ყოველდღიურ მძიმე შრომას ეწეოდნენ. ისინი ქართულად თარგმნიდნენ და ქმნიდნენ სხვადასხვა სახის ქრისტიანულ ლიტერატურას, აგრეთვე ისტორიულ, ფილოსოფიურ თუ სხვა სახის მეცნიერულ თხზულებებს. მონასტრებთან არსებობდა სკოლები, სადაც მონასტრის ახლომახლო მცხოვრებთა ბავშვები სწავლობდნენ. მონასტრების ასეთი მნიშვნელობის გამო იყო, რომ VII-IX სს-ში მტრებისაგან შევიწროებულ საქართველოში საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობას ქართველობის გადარჩენისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. VIII საუკუნის I ნახევარში აშენებული მონასტრებიდან აღსანიშნავია სამცხეში ზარზმის მონასტერი, რომელიც დიდმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ სერაპიონ ზარზმელმა ააგო. IX ს-ის დასაწყისიდან აშოტ კურაპალატის ტაო-კლარჯეთში დამკვიდრების შემდეგ, ამ მხარეში სამონასტრო მშენებლობა განსაკუთრებით ფართო მასშტაბებს იძენს. ამას თაოსნად ცნობილი ქართველი სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი გვევლინება.

გრიგოლ ხანძთელი ქართლის ერისმთავრის ნერსე II-ის ცოლის ძმისშვილი იყო. ის მშობლებმა ბავშვობიდანვე საეკლესიო მოღვაწეობისა და ბერობისათვის განამზადეს. გრიგოლმა ნერსე ერისმთავრის კარზე საუკეთესო განათლება მიიღო. მას ბრწყინვალე საეკლესიო კარიერა ელოდა. გრიგოლმა უარი თქვა ეპისკოპოსად კურთხევაზე და თანამოაზრეებთან ერთად ტაო-კლარჯეთში აშოტ კურაპალატთან გადავიდა. აქ მან აშოტისა და მისი მემკვიდრეების დახმარებით დიდი სამონასტრო მშენებლობა გააჩაღა. გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების თაოსნობით ისტორიული საქართველოს ამ მხარეში ხანძთის, შატბერდის, მიჯნაძორის, წყაროსთავის, დოლისყანის, გუნათლის ..... მონასტრები აშენდა; მერეს, ოპიზის, იშხნის... მონასტრები კი ხელმეორედ განახლდა.

### [illegible]

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით, მონაზვნად აღკვეცილი ადარნასეს მეუღლე [illegible]

IV-VIII სს-ში დასავლეთ საქართველოში არსებული მონასტრების შესახებ რაიმე ცნობა არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ IX ს-ის დასაწყისში აფხაზთა სამეფოში ფერსათის მთის ძირას ქალთა მონასტერი არსებობდა, სადაც აშოტ კურაპალატის რძალმა, მისი უფროსი ვაჟის ადარნასეს გაშორებულმა მეუღლემ, თავისი ცხოვრების ბოლო წლები გაატარა. ამ მონასტრიდან დღეს ბაღდადის მიდამოებში, სალხინოს ტაძრის ნანგრევებიღა შემოგვრჩა.

დასავლეთ საქართველოში დემეტრე აფხაზთა მეფის თხოვნით, გრიგოლ ხანძთელმა და მისმა მოწაფეებმა ზესტაფონის აღმოსავლეთით, დაახლოებით 25 კმ-ის დაშორებით, დააარსეს უბისის მონასტერი. ამ მონასტრიდან დღეს მხოლოდ უბისის ბრწყინვალე ეკლესია შემოგვრჩა. ეკლესიის გვერდით დგას XI ს-ის I ნახევარში აგებული საცხოვრებელი კოშკი.

### 3. ადრეფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრება.

დიდი ტაძრებისა და მონასტრების მშენებლობა ადრეფეოდალური ხანის საქართველოში სამშენებლო ტექნიკის და ხუროთმოძღვრების განვითარების მაღალ დონეს ეყრდნობოდა. იმხანად საქართველოში ტაძრები და საერთოდ დიდი შენობები კარგად გათლილი ქვის კვადრებისაგან შენდებოდა, ამ მხრივ გამონაკლისს კახეთი წარმოადგენდა, სადაც მშენებლობაში რიყის ქვას იყენებდნენ. დუღაბად კირის ხსნარს ხმარობდნენ. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამშენი ქვის ფერსა და რაობას. სამშენი ქვა სპეციალურად ირჩეოდა გარემო-შენების გათვალისწინებით. ამის გამო ხშირად ახლო არსებულ სამშენ მასალაზე უარს ამბობდნენ და შერჩეულ ქვას შორიდან ეზიდებოდნენ. ეკლესიის მშენებლობისათვის ჩვენმა წინაპრებმა იმთავითვე გადმოიღეს იმჟამად ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებული ფორმა - ბაზილიკა. ბაზილიკა სიგრძივი, ჰორიზონტალური ღერძის მქონე შენობაა, რომელიც აგებულია სვეტების რიტმული გამეორებით. საქართველოში ძირითადად აშენებდნენ სამნავიან ბაზილიკებს. ასეთ შენობებში ცენტრალური, უფრო განიერი ნავი - დარბაზი, სვეტებითაა გამოყოფილი გვერდითი ნავებისაგან. აშენებდნენ ისეთ ბაზილიკებსაც, სადაც გვერდითი ნავები ბოძებით კი არა, კედლებით იყო გათიშული. ასეთ შემთხვევაში ფაქტობრივად ერთი სახურავის ქვეშ გაერთიანებულ სამ დამოუკიდებელ ეკლესიასთან გვაქვს საქმე, ამიტომ მათ ხელოვნებათმცოდნეები „სამეკლესიან ბაზილიკას" უწოდებენ. ამ ტიპის ბაზილიკებს მხოლოდ საქართველოში ვხვდებით. ისინი შემორჩენილია კახეთში - ნეკრესში, აგრეთვე ზეგანის სამონასტრო კომპლექსში - ზეგანის გველაწმიდა, ქვემო ქართლში - ქვემო ბოლნისში, ნაქალაქარი დმანისის ტერიტორიაზე, ....

სამნავიანი ბაზილიკების გვერდით აგებდნენ „ცალნავიან" ეკლესიებსაც. ესაა სწორკუთხა, წაგრძელებული შენობები, რომელიც აღმოსავლეთის მხარეს ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. ამ ტიპის პატარა ეკლესიებს საქართველოს სოფლებში მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში აშენებდნენ.

V ს. მიწურულიდან საქართველოში იწყება დიდი ბაზილიკების მშენებლობა, ამ ხანაში აგებული ბაზილიკათა უმეტესობამ ჩვენამდე ან სულ ვერ მოაღწია, ან კიდევ მნიშვნელოვანი გადაკეთება განიცადა. შემორჩენილი ტაძრებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ V ს-ის ქართული არქიტექტურის სიამაყე ბოლნისის ტაძარი, რომელიც მშვენიერად გათლილი იშვიათი სილამაზის ფირუზისფერი-მომწვანო ტუფითაა ნაგები. VI ს. ბაზილიკებიდან აღსანიშნავია თბილისის ანჩისხატის ეკლესია და ურბნისის ტაძარი. ორივე მათგანმა მოგვიანებით აღდგენა-გადაკეთება განიცადა, ანჩისხატის ტაძარის პირვანდელი სახე საგრძნობლად შეიცვალა.

ბაზილიკა ქართული საეკლესიო არქიტექტურის წამყვანი ფორმა არ გახდა. ის თანდათანობით დამოკლდა, კვადრატად იქცა, რომლის მკლავები ჯვრის ფორმას იმეორებენ. კვადრატის კედლებს კი ყელი და გუმბათი დაეყრდნა. ასეთ ცენტრალურ-გუმბათოვანი შენობები აგრეთვე დამახასიათებელი იყო იმჟამინდელი ქრისტიანული სამყაროსათვის. ამავე დროს ის კარგად ეხმიანებოდა ქართულ ეროვნულ სამშენებლო ტრადიციებს. ცენტრალურ გუმბათოვანი ნაგებობისათვის, ბაზილიკისაგან განსხვავებით დამახასიათებელია შენობის ვერტიკალური ღერძის ირგვლივ აგება. ქართული ხალხური დარბაზული ტიპის შენობაც ხომ ვერტიკალური ღერძის ირგვლივ იგებოდა. ამიტომ ქართულმა ხუროთმოძღვრულმა გემოვნებამ საბოლოო არჩევანი სწორედ ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობებზე შეაჩერა. ერთ-ერთი პირველი ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია შიო-მღვიმის მონასტრის ტაძარია, რომლის აგება შიო მღვიმელის სახელს უკავშირდება. ამავე ტიპის ძეგლებიდან უნდა დავასახელოთ აგრეთვე კახეთში ნინოწმინდის ტაძარი, რომელიც ნანგრევების სახითაა შემორჩენილი ...

ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრები სრულყოფილ სახეს ქართული არქიტექტურის სიამაყეში - მცხეთის ჯვრის ტაძარში იძენს. ქართული ხუროთმოძღვრების ეს ბრწყინვალე ძეგლი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართლის ერისმთავრის სტეფანოზ I-ის ხანაში, VI-VII სს-ის მიჯნაზე აშენდა. ტაძრის კედლებზე მისი აღმშენებლების სტეფანოზ I-ის, მისი ძმის დემეტრეს, ვაჟის ადარნასეს და შვილიშვილის პატარა ქობულ-სტეფანოზის ბარელიეფებია გამოხატული, შესაბამისი წარწერებით.

VII-VIII სს-ში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხეთის ჯვრის ტაძრის მსგავსი მრავალი ეკლესია აშენდა: წრომის ტაძარი, რომელიც ხუროთმოძღვრული ღირსებებით მცხეთის ჯვრის ტაძარს ტოლს არ უდებს და ატენის სიონი ქართლში, ძველი შუამთის მონასტრის გუმბათოვანი ტაძარი კახეთში,

ჭყონდიდის, იგივე მარტვილის ტაძარი სამეგრელოში ... ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრების თავისებურ ვარიანტს წარმოადგენს ორი - ბანასა და იშხნის გრანდიოზული სეკპისკოპოსო ტაძრები, რომლებიც VII ს-ში ისტორიულ ქართულ პროვინციაში, ტაოში აიგო. ორივე ეს ტაძარი დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა და ნანგრევების სახითაა შემორჩენილი, მაგრამ ნანგრევებიც კი მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. VII-VIII სს-ის ხუროთმოძღვრება კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ ხშვადასხვა ქართული ქვეყნებისა და მხარეების კულტურული ერთობა ბევრად წინ უსწრებდა მათ პოლიტიკურ გაერთიანებას.

VIII-IX სს-ის ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან აღსანიშნავია 759-777 წწ-ის სამშვილდის სიონი სამშვილდის ნაქალაქარში, წირქოლისა და არმაზის ეკლესიები მდინარე ქსნის ხეობაში, კახეთში ვანნაძიანთა და გურჯაანის ყველაწმინდის ეკლესიები ... გურჯაანის ყველაწმინდა ერთადერთი ორგუმბათიანი ეკლესიაა საქართველოში, რომელმაც დღემდე მოაღწია.

ეკლესია-მონასტრებს ჩუქურთმებით, ბარელიეფებით ანუ ადამიანთა და ცხოველთა კედელზე გამოკვეთილი გამოსახულებებითა და ფრესკებით, იგივე კედლის მხატვრობით, ამკობდნენ. იმ ხანის კედლის მხატვრობიდან, სამწუხაროდ, ძალზე ცოტა შემოგვრჩა. VII ს-ის ფრესკების ფრაგმენტები შემოგვინახა ატენის სიონისა და წრომის ტაძრებმა. VIII ს-ის კედლის მხატვრობის ცალკეული ნიმუშები ქსნის ხეობაში თელოვანის ტაძარში შემორჩა. უძველესი ბარელიეფებითაა შემკული ბოლნისის სიონი და მცხეთის ჯვარი.... ქართული ეკლესიების ჩუქურთმები განსაკუთრებული სილამაზითა და ორიგინალობით გამოირჩევა.

ადრეფეოდალური ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება იმხანის მსოფლიო ქრისტიანული არქიტექტურის განუყოფელი ნაწილია. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ქართული ეკლესიები თავისი დაგეგმარებითა და გარეგნული იერით ზოგადად წააგავს თანადროულ რომანულ (დასავლეთევროპის), ბიზანტიურ თუ სომხურ ეკლესიებს. ამისდა მიუხედავად, მათ შორის განსხვავებაც დიდია, რაც ძირითად პროპორციებში, კედლების მოპირკეთებასა და ფერში, ჩუქურთმის რელიეფურ შემკულობაში.... გამოიხატება. ადრეფეოდალური ხანის ქართულმა ხუროთმოძღვრებამ შეძლო თავისი ორიგინალური და მაღალმხატვრული სტილის შემუშავება და ამით საერთო მსოფლიო ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში საპატიო ადგილის დამკვიდრება.

ადრეფეოდალური ხანის საერო ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან დღემდე ცოტამ მოაღწია. მათ შორის ძირითადად ციხე-სიმაგრეები შემოგვრჩა, რომლებმაც შემდგომში მნიშვნელოვანი გადაკეთებები განიცადეს. ვახტანგ გორგასლის ხანაში აგებული ციხე-ქალაქიდან მხოლოდ უჯარმის დედა-ციხის ნანგრევებმა მოაღწია. ურბნისის ნაქალაქარზე არქეოლოგებმა V-VIII სს-ის ქალაქის ფენასაც მიაკვლიეს. აქ აღმოჩნდა ორსართულიანი აბანოსა და ქალაქის წყალსადენის ნაშთები. ადრეფეოდალური ხანიდან ყველაზე კარგად ეგრისის სამეფოს დედაქალაქის ციხე-გოჯის ნანგრევებმა მოაღწიეს, რომელიც დღესაც აღაფრთოვანებს მნახველს.

ციხე-გოჯი

ციხე-გოჯის ნანგრევები [illegible] ცხენის-წყლის მარცხენა ნაპირას და მისი ფართობი [illegible] ჰექტარს მოიცავს. ქალაქი სამი გალავნით იყო დაცული, ამიტომ „ქართლის ცხოვრებაში" ის მოხსენიებულია, როგორც „ქალაქი იგი სამზღუდე, რომელი არს ციხე-გოჯი". ყველაზე მაღალ ადგილას ქალაქის დედა-ციხე მდებარეობდა. [illegible] ციხე-სიმაგრეში ქალაქის გარნიზონი იყო განლაგებული. ქალაქის ძირითადი ნაწილი ვაკეზე იყო გაშენებული. აქ ეგრისის მეფეების სასახლეები, ეკლესიები და აბანოები იდგა. ციხე-გოჯი [illegible] შენაკადი ტეხური [illegible] ამიტომ ქალაქს [illegible] ... [illegible] ქალაქის [illegible] დაცვა [illegible].

## II. საქართველო განვითარებულ ფეოდალურ ხანაში

### § 34. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის

X ს-ის დასაწყისისათვის ისტორიული საქართველოს უდიდესი ნაწილი აფხაზთა, ქართველთა, ჰერთა სამეფოებისა და კახეთის საქორეპისკოპოსოს შორის იყო დანაწილებული. თბილისს, მის შემოგარენს და ქვემო ქართლის ერთ ნაწილს თბილისის ამირა ფლობდა. ქვემო ქართლის უდიდესი ნაწილი, ალგეთის ხეობასა და ბამბაკ-ერევნის ქვეყნებს შორის სომხეთის ბაგრატუნ მეფეებს ეკავათ. X ს-ის 70-იან წლებში ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა შირაქის სომეხთა სამეფოს დაქვემდებარებაში მყოფი ტაშირ-ძორაგეტის სამეფო, რომლის დედაქალაქი სამშვილდე იყო. ამიტომ მისი მეფეები ქართულ წყაროებში „სამშვილდარებად", იგივე „სამშვილდელებად", იწოდებიან **(რუკა 14)**. ტაშირ-ძორაგეტის გამგებელ სომეხ ბაგრატუნთა ეს განშტოება კვირიკიანების სახელითაა ცნობილი. ქვემო ქართლში წარმოქმნილ სომხურ სამეფოს ქართველები სომხითის სამეფოს ეძახდნენ. ეს სახელი ამ მხარეს შემორჩა და მოგვიანებით საქართველოს საზღვრებში დაბრუნების შემდეგაც ჩვენი წინაპრები მას „სომხითს" უწოდებდნენ.

IX-X სს-ში საქართველოს მსგავსად მისი მეზობელი სომხეთი და ალბანეთიც სამეფო-სამთავროებად დაიშალა. თავდაპირველად სომხეთში ბაგრატუნებმა ჩამოაყალიბეს შირაქის იგივე ანისის სამთავრო, რომელსაც აშოტ I (859-890) ბაგრატუნის მიერ 885 წ. მეფის ტიტულის მიღების შემდეგ შირაქის სამეფო ეწოდა. მისი დედაქალაქი ანისი იყო. მოგვიანებით, X ს-ის II ნახევარში ანისის სამეფოს დასავლეთით ვანანდის ანუ ყარსის ვასალური (დაქვემდებარებული) სამეფო გამოეყო, რომლის ცენტრალური ციხე-ქალაქი კარი (ყარსი) იყო; ჩრდილოეთით კი - ზემოთ ნახსენები ტაშირ-ძორაგეტის სომხურ-ქართული სამეფო. ამის შემდეგ შირაქის მეფეები მეფეთა-მეფის ტიტულს ატარებდნენ. შირაქის სამეფოს სამხრეთით, ვანის ტბის ირგვლივ შეიქმნა ვასპურაკანის სომხური სამეფო, რომელსაც არწრუნთა საგვარეულო ედგა სათავეში. მისი მთავარი ციხე-ქალაქი ვანი იყო. ამ სამეფოების გარდა სომხეთის ტერიტორიაზე სხვა უფრო წვრილი სამთავროებიც არსებობდა.

საქართველოსა და სომხეთისაგან განსხვავებით, ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე სახალიფოს დაშლის შემდეგ მუსლიმური სამფლობელოები წარმოიქმნა. დღევანდელი აზერბაიჯანის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით დარუბანდის საამიროს ეჭირა, რომლის ცენტრი ქალაქი დარუბანდი იყო. სამხრეთიდან მას შარვანის სამეფო ესაზღვრებოდა, რომლის გამგებლები შარვანშაჰის (შარვანის მეფე) ტიტულს ატარებდნენ. ამ სამეფოს მთავარი ქალაქი [illegible] და ვაჭრობით სახელგანთქმული ქალაქი შამახია იყო. თანამედროვე აზერბაიჯანის მტკვრის მარჯვენა სანაპირო, შუღანის ველის უდიდესი ნაწილი განჯის საამიროს ეკავა, რომლის მთავარი ქალაქი განძა, იგივე განჯა იყო. IX ს-ის დასასრულიდან მას შადადიანთა საგვარეულო განაგებდა. დღევანდელი ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიაზე (ცენტრით თავრიზი) ჩამოყალიბდა რავადიანთა სამფლობელო, რომელსაც ადარბადაგანის საამირო ეწოდებოდა **(იხ. რუკა 15)**. ამ სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბებისთანავე დაიწყო ბრძოლა როგორც ცალკეული ქვეყნების - საქართველოს, სომხეთის, ალბანეთის, ისე მთელი სამხრეთ კავკასიის გაერთიანებისათვის. გაერთიანებას ორ საუკუნეზე მეტ ხანს ხელს უშლიდა უკიდურესად არახელსაყრელი საგარეო ვითარება - არაბთა, ხაზართა და ბიზანტიელთა ბრძოლა სამხრეთ კავკასიაში ბატონობისათვის. X ს-ში ვითარება მთლიანად შეიცვალა. ამ საუკუნის II ნახევარში ძალზე დასუსტებული ხაზართა სახელმწიფო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კიევის მთავარმა სვიატოსლავმა საბოლოოდ გაანადგურა. არაბთა სახალიფო თანდათან დაიშალა; ბიზანტიას კი, რომელიც აღმოსავლეთ მცირე აზიას არაბებისაგან წარმატებით ათავისუფლებდა, სამხრეთ კავკასიის ქრისტიანული ქვეყნები თავის მოკავშირედ მიაჩნდა და იმჟამად მათი გაძლიერება-გაერთიანების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა.

X ს-ის დასაწყისისათვის ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, თუ რომელი ხალხი ჩაუდგებოდა სათავეში სამხრეთ კავკასიის გაერთიანებას. თანდათანობით ამ საქმეში საქართველოს მოწინავე როლი გამოიკვეთა. ამას ერთი მხრივ ხელი შეუწყო იმან, რომ თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ჩვენი სამშობლო არაბების, ხაზარების თუ ბიზანტიელების შემოსევებისაგან ერთგვარად უფრო დაცული იყო ვიდრე სომხეთი და ალბანეთი. მთავარი მიზეზი კი მაინც ის იყო, რომ ქვეყნის ერთიანობის გრძნობა და საერთო სახელმწიფოებრივი აზროვნება ქართულ საზოგადოებაში იმჟამად უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში. საქართველოში ერთიანობის შეგნება ერთიანი ქართული სამეფოს შექმნამდე ბევრად უფრო ადრე ჩამოყალიბდა.

როგორც გახსოვთ, ერთ სამეფოდ ჩვენი სამშობლო პირველად ფარნავაზის ხანაში გაერთიანდა. ძირითადად ერთიანი იყო საქართველო ვახტანგ გორგასლის, სტეფანოზ III-ისა და მისი შვილების -

მეფეების მირისა და არჩილ III-ის ხანაშიც. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მათი ეპოქის, VIII ს-ის I ნახევრის ამბების გადმოცემის დროს „ქართლის ცხოვრებაში" პირველად გვხვდება ჩვენი სამშობლოს ერთიანი სახელწოდება „საქართველო".

ფარნავაზის ხანის ქართული სახელმწიფო ძირითადად ტომობრივ ანუ სისხლით ნათესაობით ერთობას ემყარებოდა, მაგრამ თანდათანობით მისი გავლენის ქვეშ ქართული მოდგმის ტომებთან ერთად, ჩრდილო თუ სამხრეთ კავკასიური მოდგმის ცალკეული ტომებიც მოექცნენ. ეს ტომები ჩვენ წინაპრებთან პირველ რიგში რელიგიურ-კულტურულმა ერთობამ და საერთო სახელმწიფოებრივმა ინტერესმა დააკავშირა. დროთა განმავლობაში უკან გადაიწია ტომობრივი ანუ სისხლით ნათესაობრივი წარმომავლობის მნიშვნელობამ და ქართველობის ცნებაში საერთო სამწერლობო-სალიტერატურო ენისა და კულტურულ-რელიგიური ერთობის მნიშვნელობამ წამოიწია. აი, როგორ განმარტავს „ქართლს" X ს-ის მწერალი გიორგი მერჩულე თხზულებაში: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება": „ქართლად ფრიად ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების".

„ქართლი" საქართველოს მნიშვნელობით, ჩვენი ქვეყნის გაერთიანების შემდგომაც იხმარებოდა. X-XI სს-ის გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე იოანე ათონელი თავის ვაჟს ექვთიმეს შემდეგნაირად მოძღვრავდა: „შვილო ჩემო, ქართლის ქვეყანაში დიდი სიმცირეა წიგნების და მრავალი წიგნი გვაკლია... აწ იღვაწე, რომ გაამრავლო..."

საბოლოოდ ჩვენი ერთიანი სამშობლოს სახელად, როგორც ვიცით, „საქართველო" დამკვიდრდა.

ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში ჩვენ წინაპრებს უკვე ჰქონდათ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მიეჩნიათ ქართველად. ქართველად ითვლებოდა ყველა ის, ვინც ფლობდა ქართულ ენას, ნაზიარები იყო მის კულტურას, ქართულ ეკლესიაში ლოცულობდა, პატივს სცემდა ქვეყნის ისტორიას და ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის იღწვოდა.

X ს-ის დასაწყისიდან საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში აფხაზთა სამეფო დაწინაურდა. ამ დროისათვის აფხაზთა მეფეებმა შიდა ქართლი შეიერთეს და თავის ერთ-ერთ საერისთავოდ აქციეს. ჩვეულებრივ, ამ საერისთავოს აფხაზთა სამეფოს ტახტის მემკვიდრე განაგებდა. მოგვიანებით აფხაზთა სამეფო ჯავახეთსაც დაეუფლა.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნას აფხაზთა მეფეებმა საფუძველი, პირველ რიგში, დასავლეთ საქართველოში ჩაუყარეს. მათი მოღვაწეობის შედეგია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო და საეკლესიო ენად ქართულის საბოლოოდ დამკვიდრება და კონსტანტინოპოლის ნაცვლად დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ქართლის საკათალიკოსოსადმი დამორჩილება.

X ს-ის დასაწყისში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ქვემო ქართლი აღმოჩნდა. ეს ძირძველი ქართული მხარე სომეხთა მიერ დაპყრობას ვერ ურიგდებოდა და მათ წინააღმდეგ აჯანყებებს აწყობდა. აჯანყებულები დახმარებლად, ჩვეულებრივ, აფხაზთა მეფეებს და კახეთის ქორეპისკოპოსებს მიმართავდნენ. ქართველთა მეფე ადარნასე I-ს ქართლისათვის ბრძოლაში მთავარ მეტოქედ აფხაზთა სამეფო მიაჩნდა, ამიტომ აფხაზთა და სომეხთა მეფეების დაპირისპირების დროს ის ჩვეულებრივ სომეხთა მეფეს უწევდა დახმარებას.

ჯერ კიდევ IX ს-ის ბოლოს ქვემო ქართლის კახეთთან მოსაზღვრე მხარის, გარდაბნის მოსახლეობამ კახეთის ქორეპისკოპოსს ფადლა I-ს სომეხთა წინააღმდეგ საშველად უხმო. მანაც თავისი ლაშქრით მტკვარი გადალახა და ქვემო ქართლის ეს მხარე კახეთს შეუერთა. X ს-ის დასაწყისში ქვემო ქართლის განთავისუფლებას აფხაზთა მეფე კონსტანტინე III (893-922) შეეცადა, მაგრამ მისი ბრძოლა წარუმატებელი აღმოჩნდა. სომხებმა ქართველთა მეფის ადარნასე I-ის დახმარებით უფლისციხე აიღეს და თვით აფხაზთა მეფეც ცრუებით დაატყვევეს.

907-915 წწ-ში საქართველოს არაბი ამირა აბულ-კასიმი შემოესია. არაბებმა აღმოსავლეთ საქართველო ააოხრეს. სამცხეში ყველის ციხის აღების დროს მათ დიდი ბრძოლა გაუმართა ციხისთავმა ჭაბუკმა გობრონმა. არაბებმა გობრონი ტყვედ ჩაიგდეს და ისლამის მიღება მოსთხოვეს. მან კი ქრისტიანობის დათმობას სიკვდილი არჩია.

არაბთა ამირას საქართველოდან წასვლის შემდეგ კონსტანტინე III ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლა გააგრძელა. მან კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკე I-თან ერთად ჰერეთზე ილაშქრა და მისი დიდი ნაწილი დაიმორჩილა. თავისი გამარჯვების აღსანიშნავად მეფემ „ილოცა ალავერდის წმინდის გიორგის წინაშე და შესწირა ხატი მისი ოქროთი". ეს წარმატება დროებითი აღმოჩნდა. კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ აფხაზეთის სამეფოში შინააშლილობა დაიწყო და ჰერეთიც მისი დაქვემდებარებიდან გამოვიდა.

930 წელს არაბები კვლავ შემოესივნენ საქართველოს. ამჯერად მათ მხოლოდ კახეთი მოაოხრეს.

მცხეთა და ჯვრის ტაძარი გადაწვეს. ეს იყო არაბთა უკანასკნელი ლაშქრობა საქართველოში.

ყველაზე დიდ სიძლიერეს აფხაზთა სამეფომ გიორგი II-ის დროს (927-957) მიაღწია. მან მთელი თავისი მეფობა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლას შეალია. მისი მოღვაწეობით აღფრთოვანებული მემატიანე გიორგი მეფეს ასე ახასიათებს: „იყო ის სავსე ყველანაირი სიკეთით, სიმხნით და ახოვნებით; ღვთის მოყვარე, უმეტეს ყოველთა მაშენებელი ეკლესიათა, მოწყალე გლახაკთა, უხვი და მდაბალი და ყოველთა კეთილთა და სათნოებათა სრული".

გიორგი II აფხაზთა მეფე კახეთის და ჰერეთის შემოერთებასაც შეეცადა და დიდ წარმატებასაც მიაღწია. ის საქართველოს მეფე-მთავრებს შორის უპირველესად ითვლებოდა. ეს კარგად გამოჩნდა მისი ვაჟის უფლისწული კონსტანტინეს ამბოხების დროს. ტახტის მემკვიდრე აფხაზთა სამეფოში მიღებული წესის თანახმად, როგორც ვიცით, შიდა ქართლს განაგებდა და მისი რეზიდენცია უფლისციხე იყო. მეფის ძლიერი ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდაზნაურთა წაქეზებით კონსტანტინე მამას აუჯანყდა და უფლისციხეში გამაგრდა. უფლისციხესთან გიორგი მეფის დასახმარებლად თავ-თავიანთი ლაშქრით საქართველოს ყველა მეფე-მთავარი მოვიდა. მათი დახმარებით აფხაზთა მეფემ აჯანყებული უფლისწული ტყვედ ჩაიგდო და სასტიკად დასაჯა.

გიორგი II აფხაზთა მეფის პოლიტიკა მისმა ვაჟმა ლეონ III (957-967) გააგრძელა. ლეონის სიკვდილის შემდეგ აფხაზთა სამეფოში მის ძმებს შორის ბრძოლა გაჩაღდა. ჯერ დემეტრე III (967-975) გამეფდა. ბოლოს სამეფო ტახტზე შინაომში დაბრმავებული თეოდოსი (975-978) აღმოჩნდა, რომელსაც უსინათლობის გამო მეტსახელად „მწუხარე" ეძახდნენ. აფხაზთა სამეფოს დასუსტების შემდეგ საქართველოს ერთიანობისათვის მოღვაწეებმა იმედის თვალი ქართველთა სამეფოსა და ქართველთა კურაპალატს დავით III ბაგრატიონს მიაპყრეს.

## § 35. საქართველოს ერთიანი სამეფოს შექმნა

საქართველოს გაერთიანების საქმეში საუკუნენახევარზე მეტ ხანს აფხაზთა სამეფო მეწინავეობდა. მიუხედავად ამისა, ჩვენი სამშობლოს გაერთიანება ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა მეთაურობით მოხდა. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი ამ სამეფოს აღიარებულმა ლიდერმა ბაგრატიონმა დავით კურაპალატმა შეასრულა.

ქართველთა სამეფო, თავისი სახელმწიფო წყობით, აფხაზთა სამეფოსაგან ძალზე განსხვავდებოდა. აფხაზთა სამეფო მკაცრად ცენტრალიზებული სამეფო იყო, რომელსაც თავისი მეფისა და მისი დანიშნული ერისთავებისა და სამეფო ადმინისტრაციის სხვა მოხელეთა მიერ იმართებოდა. ქართველთა სამეფო ისევე ქართველთა საკურაპალატო კი მთავართა სიმრავლით გამოირჩეოდა. მისი ცალკეული მხარეები აშოტ I ბაგრატიონის შთამომავლებს შორის იყო დანაწილებული. ისინი თავიანთ სამფლობელოებს ერისთავების, ერისთავთ-ერისთავების, მამფალთა, მეფეთა, მაგისტროსების, კურაპალატების ... ტიტულებით განაგებდნენ. მათ შორის პირველობა ბაგრატიონთა იმ წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ, რომლებიც „ქართველთა მეფის" და „ქართველთა კურაპალატის" წოდებას ატარებდნენ. ზემოთ ჩამოთვლილი ტიტულების ერთი ნაწილი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებია. მათი ტარება ქართველ ბაგრატიონთა მიერ ბიზანტიის კეისრის უზენაესობის აღიარებას ნიშნავდა. მათგან განსხვავებით აფხაზთა მეფეები არც ბიზანტიურ ტიტულებს ატარებდნენ და არც კეისრის უზენაესობას ცნობდნენ. ზოგჯერ „ქართველთა მეფის" და „ქართველთა კურაპალატის" წოდებას ერთი პიროვნება ატარებდა, უფრო ხშირად კი ეს წოდებები სხვადასხვა პირებს ეპყრათ. აშოტ I-ის შთამომავლებისაგან ბაგრატიონთა ორი - ტაოსა და კლარჯეთის შტო წარმოიქმნა. როგორც „ქართველთა მეფობა", ისე „ქართველთა კურაპალატობა" გარკვეული პერიოდიდან ადარნასე II ქართველთა მეფის შთამომავლებში, ტაოელ ბაგრატიონებში დამკვიდრდა. ამ შტოს ერთ-ერთი წარმომადგენელი დავით III დიდი კურაპალატი იყო.

დავით III კურაპალატი X ს-ის II ნახევრის გამორჩეული პიროვნებაა, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ წინა აზიაში. „ქართლის ცხოვრება" მას შემდეგნაირად ახასიათებს: „იყო ღმრთის-მოყვარე და გლახაკთ-მოწყალე, მდაბალი, მშვიდი და მკვირის (ცუდის) არმოქმედი, ეკლესიათა მაშენებელი, ტკბილი, უხვი, კაცთმოყვარე და ბერ-მონოზონთა პატივისმცემელი, ყველასთვის კეთილისმყოფელი და სავსე ყველანაირი სიკეთითა. მან ააშენა მონასტერი და საყდარი - წმინდა ეკლესია ხახულისა".

დავითს შვილი არ ჰყავდა და მან ახლო ნათესავი ქართველთა მეფის ბაგრატ II-ის შვილიშვილი,

გურგენის ძე ბაგრატი იშვილა. ბაგრატის დედა გურანდუხტი უშვილო აფხაზთა მეფის თეოდოსი მწუხარის და იყო. ასე რომ, ბედის წყალობით, დავით კურაპალატის შვილობილი სამი ტახტის მემკვიდრე აღმოჩნდა. საქართველოს ერთიანობისათვის მოღვაწე დიდებულებმა გადაწყვიტეს ეს ბედნიერი შემთხვევა გამოეყენებინათ და ქვეყნის გაერთიანება დაეჩქარებინათ, მით უფრო, რომ უსინათლო მეფის ხელქვეით აფხაზთა სამეფო სულ უკან-უკან მიდიოდა. ერთიანობისათვის მებრძოლ დიდებულებს სათავეში შიდა ქართლის აფხაზთა სამეფოს ერისთავი ივანე მარუშისძე, „კაცი ძლიერი და ლაშქარმრავალი ედგა". მან მოციქული გაუგზავნა დავით კურაპალატს, საქართველოს გაერთიანების თავისი გეგმა გაუზიარა და შვილობილთან ერთად შიდა ქართლში მოიწვია. ივანე მარუშისძის ჩანაფიქრის მიხედვით, ბაგრატი ჯერ აფხაზთა სამეფოს ტახტის ოფიციალური მემკვიდრე უნდა გამხდარიყო, რისთვისაც თავდაპირველად უფლისციხე და ქართლის ერისთავობა უნდა მიეღო. ამის შემდეგ ბაგრატი აფხაზთა სამეფო ტახტზე თავის უსინათლო ბიძას შეცვლიდა. მამისა და მამობილის გარდაცვალების შემდეგ ის ქართველთა სამეფოსაც დაეუფლებოდა. ამას კი საქართველოს სხვა მხარეების შემოერთება შედარებით ადვილად მოჰყვებოდა.

975 წ. დავით კურაპალატი გურგენისა და მისი მცირეწლოვანი ვაჟის ბაგრატის თანხლებით შიდა ქართლში მოვიდა და ივანე მარუშისძისაგან უფლისციხე ჩაიბარა. უფლისციხეში შეკრებილ ქართლის აზნაურებს დავით კურაპალატმა თავისი შვილობილი შემდეგი სიტყვებით წარუდგინა: „ეს არის მკვიდრი ტაოსი, ქართლისა (იგულისხმება ქართველთა სამეფო) და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე, ამას დაემორჩილენით ყოველნი". შემდეგ დავითმა შვილობილი უფლისციხეში დატოვა და თვითონ ტაოში დაბრუნდა. 978 წ., მას შემდეგ რაც ბაგრატი სრულწლოვანი გახდა, ივანე მარუშისძემ და სხვა დიდებულებმა დავით კურაპალატის თანხმობით ის დასავლეთ საქართველოში გადაიყვანეს და აფხაზთა სამეფო ტახტზე აიყვანეს. საქართველოს ისტორიაში ის ბაგრატ III-ის (978-1014 ) სახელით შევიდა.

დავით კურაპალატის წარმატებული პოლიტიკა ბაგრატ III-ის აფხაზთა სამეფო ტახტზე აყვანით არ დასრულებულა. „აღმოსავლეთის დიდმა კურაპალატმა", როგორც მას ბიზანტიელები უწოდნენ, თავისი ცხოვრების ბოლო სამი ათეული წელი სამხრეთის მიმართულებით საქართველოს საზღვრების გაფართოებას მოახმარა. 976 წ. ბიზანტიის მცირეწლოვან კეისარ ბასილ II-ს (976-1025) მცირე აზიის, სომხეთისა და ლაზეთის ერთი ნაწილის გამგებელი ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა, რომელმაც მოკლე ხანში მცირე აზიის დიდი ნაწილი დაიმორჩილა და კეისრის ხელისუფლებას დიდი საფრთხე შეუქმნა. ბიზანტიის საიმპერატორო კარმა დახმარებისათვის დავით კურაპალატს მიმართა და დიდ წყალობას დაჰპირდა. დავით კურაპალატმა კეისრის დასახმარებლად თორმეტათასიანი ლაშქარი გაგზავნა. ამ ლაშქარს სათავეში იმჟამად ათონის სახელით მონაზონად აღკვეცილი, წარსულში კი სახელგანთქმული ქართველი მხედართმთავარი „დიდი თორნიკე" ერისთავი ედგა. ქართველებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ბარდა სკლიაროსის დამარცხებაში და კეისარს ტახტი შეუნარჩუნეს. მადლიერმა ბასილი კეისარმა დავით კურაპალატს ბიზანტიის ტერიტორია „ზემო ქვეყნები" გადასცა. „ზემო ქვეყნებში", ბასიანი, კარნუქალაქი და კიდევ უფრო სამხრეთით, მდინარეების არაქსის და ევფრატის სათავეები შედიოდა. ეს მიწები დავითს კეისრისაგან მემკვიდრეობით მფლობელობაში არ მიუღია. დავითის გარდაცვალების შემდეგ ისინი ბიზანტიას უნდა დაბრუნებოდა.

987-89 წწ-ში მცირე აზიაში ბასილ კეისარს გამორჩენილი ბიზანტიელი სარდალი ბარდა ფოკა დაუპირისპირდა, რომელმაც მცირე აზიის უდიდესი ნაწილი დაიჭირა და თავი მეფედაც კი გამოაცხადა. დავით კურაპალატმა გადაწყვიტა ბარდა ფოკასათვის მხარი დაეჭირა, რათა კეისრად მისი გახდომის შემდეგ ბიზანტიისაგან ადრე დროებით მიღებული „ზემო ქვეყნები" მემკვიდრეობით დაემტკიცებინა და საქართველოს საზღვრებში შეეყვანა. ბარდა ფოკა დამარცხდა. კეისარმა ყველა მისი მომხრე სასტიკად დასაჯა. დავით კურაპალატმა სიცოცხლე იმით შეინარჩუნა, რომ ბასილ კეისარს მთელი თავისი სამფლობელო უანდერძა. განცდილი დიდი პოლიტიკური მარცხის მიუხედავად დავით კურაპალატი აღმოსავლეთ მცირე აზიაში არაბებისაგან სომხური მიწების განთავისუფლებას აგრძელებდა და ამ მიწებზე ქართველებსა და სომხებს ასახლებდა. 994 წ. ქართველთა მეფე, ბაგრატ III-ის პაპა, ბაგრატ II გარდაიცვალა და დავით კურაპალატი, როგორც საგვარეულოში უფროსი, ქართველთა მეფე გახდა.

სომხური მიწებიდან მუსლიმი მმართველების განდევნამ, აღმოსავლეთ მცირე აზიის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრების მანაზკერტისა და ხლათის ციხე-ქალაქების დაკავებამ მუსლიმურ სამყაროში დიდი შეშფოთება გამოიწვია. 998 წ. ქალაქ თავრიზში ადარბადაგანის ამირასთან მუსლიმთა დიდი ლაშქარი შეიკრიბა, რომელიც დავით III კურაპალატის წინააღმდეგ გამოემართა. დავითს ბაგრატ III-ის მამა გურგენი და სომეხი მეფეებიც დაეხმარნენ. გურგენმა დავითს

ჯოჯიკის ძის ფერისის მეთაურობით ექვსი ათასი რჩეული მეომარი მოაშველა. დავით კურაპალატმა თავისი მოხუცებულობის გამო ჯარის მთავარსარდლობა გამოჩენილ ქართველ მხედართმთავარს გაბრიელ ორიპანტრეს-ძეს ჩააბარა. ქართველებმა და სომხებმა მტრის ასათასიან ლაშქარზე ბრწყინვალედ გაიმარჯვეს და დიდი ალაფიც წაიგდეს ხელში.

სომხური მიწების გათავისუფლებამ დავით კურაპალატს სომხებშიც დიდი სახელი მოუხვეჭა. ამიტომაცაა, რომ XI ს-ის სომეხი ისტორიკოსი ასოღიკი მას შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „ღმობიერებით და მშვიდობის მოყვარეობით დავითი ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეებს აღემატებოდა. მისი წყალობით დამყარდა მშვიდობა და კეთილდღეობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით სომხეთსა და საქართველოში. მან ბოლო მოუღო ომებს ... გაიმარჯვა ყველა მეზობელ ხალხებზე, ისე რომ ყველა ხელმწიფენი ნებაყოფლობით დამორჩილდნენ მას". ქართველთა სამეფოსათვის არაბებისაგან განთავისუფლებული სომხური ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის შემოერთების გამო სომხურ წყაროებში ის „ქართველთა და სომეხთა კურაპალატადაც" იწოდება. დავით კურაპალატის სახელზე მის მიერ მოჭრილი ვერცხლის მონეტებიც მეტყველებს, რომლებიც ამჟამად ძალზე გავრცელებულ არაბულ მონეტებთან ერთად დღევანდელი გერმანიისა და პოლონეთის ზღვისპირეთშია აღმოჩენილი. „ღმერთო შეიწყალე დავით კურაპალატი" – ვკითხულობთ ამ მონეტების წარწერაში.

სამწუხაროდ, დავით კურაპალატმა ვერ მოახერხა ესარგებლა თავისი ბოლო დიდი გამარჯვებით, ვერც ბიზანტიის კეისარს შეაცვლევინა თავისი ანდერძი საქართველოს სასარგებლოდ. 1001 წ. დავით კურაპალატი გარდაიცვალა.

დავითის გარდაცვალებისთანავე ბასილ კეისარი საქართველოსაკენ დაიძრა, რათა მას მემკვიდრეობა დაუფლებოდა. ბაგრატ III და მისი მამა გურგენი კეისარს ეახლნენ. ქართული სამეფო კარი დავით კურაპალატის მთელი სამფლობელოს უბრძოლველად დათმობას არ აპირებდა, ბასილ კეისარი კი იმჟამად ბულგარელებთან მძიმე ომით იყო დაკავებული და ახალი ომისათვის მზად არ იყო. ამიტომ ამჯერად კეისარმა თავისი სურვილები დაიოკა და დავით კურაპალატის სამფლობელოდან ბიზანტიის კუთვნილი „ზემო ქვეყნების" გარდა, მხოლოდ ერთ ნაწილს – იმიერ ტაოს დასჯერდა. დანარჩენი კი, ვითომდა თავისი კეთილგანწყობილების ნიშნად, ბაგრატ III-ს და გურგენ მეფეს დაუტოვა. კეისარმა მამა-შვილს შორის უკმაყოფილების ჩამოგდების მიზნით, ბაგრატ III-ს კურაპალატობა და ქართველთა მეფობა, მის მამას კი უფრო ნაკლები წოდება – მაგისტროსობა უბოძა. მიუხედავად ამისა, გურგენს შვილის მიმართ შურისა და უნდობლობის გრძნობა არ გასჩენია და კეისრის ფარულ სურვილს, ქვეყანა აეშალა, შედეგი არ მოჰყოლია. აქამდე ბაგრატ III მხოლოდ „აფხაზთა მეფის" ტიტულს ატარებდა, ახლა კი, მან კურაპალატობასთან ერთად „ქართველთა მეფის" ტიტულიც მიიღო. ამის შემდეგ მისი მამა გურგენი „მეფეთა-მეფე" გახდა. ბიზანტიელებმა საქართველოსათვის ჩამორთმეული ტერიტორია საგანგებოდ შექმნილ ივერიის თემში გააერთიანეს და მას სათავეში მოხელე-გამგებელი ჩაუყენეს. ამ თემის სახელი – „ივერია" (საქართველო) ბიზანტიის მიზნებზე ნათლად მეტყველებდა: მას მომავალში ივერიის თემში მთელი საქართველოს გაერთიანება სურდა. უკან გაბრუნებულმა ბასილ კეისარმა საქართველოდან ბიზანტიის კარზე სამსახურად თან წაიყვანა 998 წ. გამარჯვების ერთ-ერთი გმირი ჯოჯიკის ძე ფერისი და მისი ძმა ფევდატე.

1008 წ. ბაგრატ III-ის მამა გურგენ მეფეთა-მეფე გარდაიცვალა და ბაგრატმა თავისი მამის სამფლობელოც შემოიერთა. ამის მიუხედავად, ტაო-კლარჯეთის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი – არტანუჯი – ბაგრატიონთა კლარჯული შტოს – „კლარჯ ხელმწიფეთა" ხელში რჩებოდა. ბაგრატ III კლარჯი ბაგრატიონები, ძმები სუმბატი და გურგენი ფანასკერტის ციხეში დარბაზობაზე მოიწვია, დაატყვევა და ციხეში ჩაყარა. არტანუჯი და დანარჩენი კლარჯეთი კი თვითონ დაიკავა. დატყვევებულ კლარჯ ბაგრატიონთა ვაჟებმა თავს ბიზანტიას შეაფარეს.

1008-1010 წწ-ში ბაგრატ III ჯერ ჰერეთი, იგივე რანი და შემდეგ კახეთიც დაიკავა და კახეთის ქორეპისკოპოსი კვირიკე III თავის კარზე საპატიო ტყვეობაში წამოიყვანა. ახლა უკვე მის ტიტულატურას „აფხაზთა და ქართველთა მეფის" გარდა „რანთა და კახთა მეფის" ტიტულებიც შეემატა. ამით ბაგრატ III ისტორიული საქართველოს უდიდესი ნაწილი გააერთიანა. ქართული ქვეყნებიდან უშუალოდ მისი სამეფოს საზღვრებში მხოლოდ თბილისის საამირო და ქვემო ქართლში ტაშირ-ძორაგეტის იგივე სომხეთის სამეფო არ შედიოდა.

ტაშირ-ძორაგეტის სამეფო განსაკუთრებით XI ს-ის I ნახევარში, რიგით მეორე მეფის, დავითის დროს (989-1048) გაძლიერდა.[1] როგორც გვახსოვს, ეს სამეფო ქვემო ქართლში ქართველებით დასახლებულ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა, ამიტომ ის იმთავითვე ქართული პოლიტიკური ცხოვრების ფერხულმა ჩაითრია და ფაქტობრივად ერთ-ერთი ქართულ პოლიტიკურ ერთეულად გადაიქცა, რომელსაც მონოფიზიტ სომეხ ბაგრატუნთა დინასტია ედგა სათავეში. დავითმა ცოლად კახეთის

ქორეპისკოპოსის კვირიკე III-ის და მოიყვანა და თბილისის ამირას ხელში ჯერ კიდევ დარჩენილი ქართული ტერიტორიების გაერთიანებას შეუდგა. ამ მხრივ მან მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია: დმანისის ციხე-ქალაქი აიღო და მთელი დმანისის ხეობა თავის სამეფოს შეუერთა. დავით მეფის დროსვე აიგო ლორეს ციხე-ქალაქი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში. დავითი სრული დამოუკიდებლობის მოპოვებასაც შეეცადა. მან თავის ბიძასთან შირაქის სომხეთის მეფე გაგიკ I-თან (989-1020) რამდენიმე ომი გადაიხადა, თუმცა სასურველ მიზანს ვერ მიაღწია.

კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ ბაგრატ III-ს განძის შადადიანი ამირა ფადლონი დაუპირისპირდა, რომელმაც კახეთ-ჰერეთის რბევას მიჰყო ხელი. ბაგრატ III ანისის მეფეს გაგიკს დაუკავშირდა და განძის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობა შეხთავაზა. ისიც სიხარულით დასთანხმდა. მოკავშირეები განძის საამიროში შეიჭრნენ და ქალაქი შამქორი აიღეს. ამირა ფადლონი იძულებული გახდა ბაგრატ III-თვის დიდი ძღვენი მიერთმია და საქართველოს სასარგებლოდ ხარკიც ეკისრა. „ქართლის ცხოვრების" ცნობით, ამ დროისათვის საქართველოს მეფის უზენაესობას შარვანშა და აღარბადაგანის მუხლიში გამგებლებიც აღიარებდნენ. ასე რომ, ბაგრატ III ისტორიაში პირველად სამხრეთ კავკასიის უდიდესი ნაწილი გააერთიანა. „დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობით, ჯიქეთითან ვიდრე გურგენამდე (კასპიის ზღვამდე)", მოგვითხრობს ძველი ქართველი ისტორიკოსი **(იხ. რუკა 17).**

ქვეყნის გაერთიანებას, მნიშვნელოვანი ტერიტორიების შემოერთებას საქართველოს ეკონომიკური დაწინაურება მოჰყვა. ბაგრატ III-ის დროს აიგო ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი ბრწყინვალე ძეგლები, როგორებიცაა საეპისკოპოსო საყდრები, ე. წ. ბაგრატის ტაძარი ქუთაისში და ბედიაში. „თუ ვინმეს უნდა ბაგრატ მეფის სიდიადის განცდა და წვდომა, ჯერ იხილოს შემკულობა ბედიის ეკლესიისა. და ამით მიხვდება, რომ არასოდეს ყოფილა ქართლისა და აფხაზეთის ქვეყანაში სხვა მეფე მისი მგავსი", – წერს ბედიის ტაძრის ხილვით აღფრთოვანებული ქართველი მემატიანე.

ბაგრატ III-ს მისი თანამედროვეები დიდ ვახტანგ გორგასალს ადარებდნენ. „შემდგომად დიდისა ვახტანგ გორგასალისა არავინ გამოჩენილა მისი მსგავსი დიდებითა და ძალითა და ყოველთა გონებითა; იყო ეკლესიათა მაშენებელი, გლახაკთა მოწყალე და სამართლიანი ყოვლის მიმართ", – ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში" ბაგრატ III-ის შესახებ.

ბაგრატ III 1014 წ. 7 მაისს ორმოცდათორმეტი წლის ასაკში ტაოში გარდაიცვალა. ის დასავლეთ საქართველოში გადაასვენეს და მის მიერ აგებულ ბედიის ტაძარში დაკრძალეს. ამავე ტაძარმა შემოგვინახა ამ დიდი მეფის ფრესკული გამოსახულება.

## § 36. საქართველო-ბიზანტიის ომები XI საუკუნის I ნახევარში. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის

### 1. საქართველო-ბიზანტიის ომი გიორგი I-ის ხანაში.

ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე მისი თორმეტი წლის ვაჟი გიორგი I (1014-1027) ავიდა. მეფის მცირეწლოვანებით კახეთის ყოფილმა ქორეპისკოპოსმა კვირიკე III ისარგებლა. ის გიორგი I-ის სახახლიდან გაიქცა და ადგილობრივი დიდებულების დახმარებით ჰერეთ-კახეთს დაეუფლა. კვირიკემ „რანთა (ჰერთა) და კახთა მეფის" ტიტული მიიღო. ეს ახლად შექმნილი ქართული სამეფო კახეთის სამეფოს სახელითაა ცნობილი. მისი დედაქალაქი იყო თელავი. მეფე კვირიკემ თავისი სამეფო შვიდ საერისთავოდ დაჰყო. აღრე უკვე არსებულ ჰერეთის ოთხ საერისთავოს მან კახეთის სამი – კვეტერის, პანკისის, და რუსთავის საერისთავოები დაუმატა. თუმცა საკუთრივ ქალაქი რუსთავი და მისი შემოგარენი კვლავ თბილისის ამირას ეპყრა. კვირიკე მეფემ, თავის სამეფოში დიდი აღმშენებლობა გაშალა. მის დროს დასრულდა ალავერდის ბრწყინვალე ტაძრის მშენებლობა. ამიტომაც ქართლის ცხოვრების მემატიანე მას დიდ კვირიკეს უწოდებს. საქართველოს ერთიანი სამეფოდან გამოყოფის მიუხედავად, კვირიკე III საერთო ქართული საქმისათვის არ უღალატია. ეს კარგად გამოჩნდა საქართველო-ბიზანტიის ომის დროს.

იმიერ ტაოს დაკარგვას საქართველო არ შეგუებია და ხელსაყრელ დროს ელოდა მის დასაბრუნებლად. ასეთ დროდ გიორგი I-მა და მისმა სამეფო კარმა ბასილი II კეისრის ბულგარელებთან ომი ჩათვალა. გიორგი I იმიერ ტაოში შეიჭრა და დაკარგული ყველა ციხე დაიკავა. ბიზანტიას იმჟამად მართლაც მძიმე ომი ჰქონდა ბულგარეთთან და ერთხანს საქართველოსათვის არ ეცალა. ბასილ

კეისარმა 1018 წ. ეს ომი წარმატებით დაასრულა და ათასობით ბულგარელის ამოწყვეტის გამო „ბულგართა მმუსვრელის" სახელიც დაიმკვიდრა. ამის შემდეგ კეისარმა საქართველოს საკითხის გადაჭრა გადაწყვიტა. ამ დროს ბიზანტიამ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის ქრისტიანული ქვეყნების – საქართველოსა და სომხური სამეფოების მიმართ მთლიანად შეიცვალა: ბიზანტიას არაბული საამიროების წინააღმდეგ მათი დახმარება უკვე აღარ სჭირდებოდა, ამიტომ მათი გაუქმება და უშუალოდ შეერთება გადაწყვიტა. ბასილი კეისარმა გიორგი I-ს მრისხანე წერილი გამოუგზავნა. წერილში კეისარი საქართველოს მეფეს არა მარტო იმიერ ტაოში მის მიერ დაკავებულ ციხე-სიმაგრეთა დაცლას უბრძანებდა, არამედ დავით კურაპალატის სამფლობელოს იმ ნაწილსაც სთხოვდა, რომელიც თავის დროზე საქართველოს დაუტოვა. ფაქტობრივად კეისარი ყოფილი ქართველთა სამეფოს უდიდეს ნაწილს მოითხოვდა. გიორგი I-ს, ცხადია ასეთი მოთხოვნის შესრულება არ შეეძლო, ამიტომ კეისარს უარი შეუთვალა და ეგვიპტის ფატიმიან ხალიფასთან საიდუმლო მოლაპარაკება გამართა, რათა მასთან ერთად ბიზანტიისათვის შეეტია. მაგრამ ეგვიპტის ხალიფა მოულოდნელად გარდაიცვალა (ფიქრობენ ის შეთქმულების მსხვერპლი გახდა) და საქართველო ბიზანტიასთან პირისპირ მარტოდმარტო დარჩა. კეისარი ბასილი 1021 წ. საქართველოსაკენ დაიძრა. თანაც თვალის ასახვევად ხმას ავრცელებდა, თითქოს სირიის არაბ ამირებთან საბრძოლველად მიემართებოდა. მიუხედავად ამისა, გიორგი I მტერს ხრულ მზადყოფნაში, საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ საზღვართან ბასიანში დახვდა. ბასილ კეისარს მრავალრიცხოვანი ლაშქარი აღმოაჩნდა. გიორგი I გადამწყვეტი ბრძოლის გამართვას მოერიდა და უკან დაიხია. მეფემ გზაზე ციხე-ქალაქი ოლთისი გადაწვა, რათა შიგ მტერი ვერ გამაგრებულიყო. ბიზანტიელთა ლაშქრის მეწინავე ნაწილი ქართული ლაშქრის უკანმავალს ჩრდილის ტბასთან (დღევანდ. ჩილდირის ტბა თურქეთში) მიეწია და სოფელ შირიმთან ბრძოლა გაუმართა. ასეთ ვითარებაში გიორგი I იძულებული შეიქმნა ძირითადი ძალებით ბრძოლაში ჩაბმულიყო.

> ### ეგვიპტის ფატიმიანთა სახალიფო
>
> აბასიანთა სახალიფოს დაშლის ხანაში, ჩრდილოეთ აფრიკაში – ტუნისსა და ალჟირს სანაპიროზე წარმოიშობა ერთი შიიტური მუსლიმანური დაჯგუფება. მან თავი მუჰამედის ქალიშვილის ფატიმასა და მისი მეუღლისა და მოციქულის პირველი ხალიფის – ალის მემკვიდრეებად გამოაცხადა. ამ ჩაგვარად სახელწოდება ფატიმიანთა დინასტიამ. 969 წ. ფატიმიანმა მიიტაცა ხალიფებმა ეგვიპტე დაიპყრეს და დედაქალაქი ახლადაშენებულ ქაიროში (არაბულად გამარჯვებულის ნიშნავს) გადაიტანეს. ფატიმიანთა დინასტია ეგვიპტეში 1071 წლამდე განაგებდნენ, შემდეგომ კი ეგვიპტის გამგებლები სუნიტური სარწმუნოების – აიუბიანთა წარმომადგენლები გახდნენ.

ბრძოლაში მთელი ლაშქრით ბასილი კეისარიც ჩაერთო. თავდაპირველად ქართველები იმარჯვებდნენ და კეისარი გასაქცევადაც კი ემზადებოდა, მაგრამ მტრის სიმრავლემ მაინც თავისი გაიტანა და ქართველები დამარცხდნენ. მრავალი ქართველი დიდებული ბრძოლაში დაიღუპა. გიორგი I უკან დაიხია. ბიზანტიელებმა კოლა-არტაანი და ჯავახეთი სასტიკად ააოხრეს, ბევრი ქართველი ამოხოცეს, ბევრიც დაატყვევეს. ასეთი გაჭირვების ჟამს გიორგი მეფეს კვირიკე III კახთა მეფე დაეხმარა და მან კახთა და ჰერთა ლაშქარი მოაშველა. ომი გაჭიანურდა. ბასილი კეისარმა თავის მიზანს მიაღწია, მან დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოს დიდი ნაწილი დაიკავა, ამიტომ ახლა ის მშვიდობას ესწრაფოდა. გიორგი I კი ზავის დადებას არ ჩქარობდა, ვინაიდან ბიზანტიაში ბასილი კეისრის წინააღმდეგ ახალი შეთქმულების იმედი ჰქონდა. გიორგი პირველს კავშირი ჰქონდა ბასილი კეისრის კარზე მოღვაწე, შეთქმულებაში მონაწილე ქართველებთან. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის უკვე ცნობილ, ფერისი ჯოჯიკის ძესთან. შეთქმულთა გამოსვლა მართლაც მოხდა, მაგრამ მარცხით დამთავრდა. ბასილ კეისარი შეთქმულების მონაწილეებს სასტიკად გაუსწორდა. ფერისი ჯოჯიკის ძეს კი თავი მოჰკვეთა. ამის შემდეგ კეისარი თავისი ლაშქრით კვლავ საქართველოში შემოვიდა. გიორგი ბრძოლაში ისევ დამარცხდა და იძულებული გახდა მძიმე საზავო პირობებს დათანხმებოდა: მას თავისი ვაჟი, სამი წლის ბაგრატი კეისრისათვის მძევლად უნდა ეახლა. გარდა ამისა, დავით კურაპალატის ყოფილი მამულებიდან – ტაოში, ბასიანში, კოლა-არტაანსა და ჯავახეთში ბიზანტიისათვის 12 ციხე-სიმაგრე მათი საგამგებლო ქვეყნებით უნდა გადაეცა.

კეისარმა საქართველოზე გამარჯვებით ისარგებლა, ისევ 1021 წ. სომხეთის ვასპურაკანის სამეფო გააუქმა და უშუალოდ შეიერთა, ხოლო ანისის მეფეს იოანე-სუმბატს (1020-1041) დავით კურაპალატის მსგავსად, ანდერძი დააწერინა, რომლის თანახმად, ამ მეფის სიკვდილის შემდეგ ანისის სამეფოც ბიზანტიას უნდა შეერთებოდა.

1025 წ. [illegible]

გაისტუმრა, რომელსაც ბიზანტიელი კატაპანი – დიემოხელე მეთაურობდა. მიუხედავად ამისა, უფლისწულის სამშობლოში დაბრუნება კინაღამ ჩაიშალა. რამდენიმე დღეში ბასილი კეისარი გარდაიცვალა. მისმა ძმამ, ახალმა კეისარმა კონსტანტინე VIII (1025-1028) ბაგრატ უფლისწულს მოციქული დაადევნა და მისი კონსტანტინოპოლში დაბრუნება ბრძანა. საბედნიეროდ, მოციქული ტახტის მემკვიდრეს მაშინ დაეწია, როდესაც ის საქართველოს საზღვრებში შევიდა. ტაოში, საზღვართან ბაგრატს ქართველთა დიდი ლაშქარი შეეგება. ქართული ლაშქრის სიმრავლით ნირწამხდარმა კატაპანმა კეისრის მოციქულს უთხრა: „შენ თუ გაქვს მაგის ძალა, დააბრუნე, ჩემგან ეს არ გამოვა“.

ამის შემდეგ გიორგი I დიდხანს არ უცოცხლია. იგი 1027 წელს სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. ბიზანტიასთან შეუპოვარი ბრძოლით გიორგი I-მა იმჟამად ფაქტობრივად საქართველოს დამოუკიდებლობა გადაარჩინა. ასეთი საშიშროება კი, სომხური სამეფოების ბედს თუ გავითვალისწინებთ, სავსებით რეალური იყო. ეს კარგად ესმოდათ მის თანამედროვეებს, ამიტომაცაა, რომ „ქართლის ცხოვრება“ გიორგი I-ს შემდეგი სიტყვებით ამკობს: „სიყრმის მიუხედავად იყო ის სავსე ყოველთა სიკეთითა, არავინ იყო მსგავსი მისი წინაპართა შორის ახოვანებით, ბუმბერაზობით და სიქველით, ტანითა და სახით, გონებით და სახელმწიფოს გაძღოლის უნარით“.

## 2. საქართველო-ბიზანტიის ომები ბაგრატ IV-ის ხანაში.

გიორგი I-ის შემდეგ ტახტზე ცხრა წლის ბაგრატ IV (1027-1072) ავიდა. მისი მცირეწლოვანებით განძის ამირამ ფადლონმა ისარგებლა და საქართველოს საზღვრებს რბევა დაუწყო. საქართველოს სამეფო კარმა ფადლონის წინააღმდეგ კახეთ-ჰერეთის მეფის კვირიკეს, ტაშირ-ძორაგეტის მეფის დავითისა და თბილისის ამირა ჯაფარის მონაწილეობით დიდი ლაშქრობა მოაწყო და განძის ამირა სასტიკად დაამარცხა.

მცირეწლოვან მეფეს მემკვიდრეობით ბიზანტიასთან ძალზე გართულებული ურთიერთობა ერგო. გიორგი I-სა და ბასილ კეისარს შორის დადებული ზავით არც ერთი მხარე არ იყო კმაყოფილი. წარმატების მიუხედავად, ბიზანტიელებმა ზავით გათვალისწინებული ყველა ციხე-სიმაგრე ვერ დაიკავეს და იმიერ ტაოს გარდა ფეხი მტკიცედ ვერსად ვერ მოიკიდეს. საქართველოს ხელისუფლება არათუ ამ ციხე-სიმაგრეების დაცლას არ აპირებდა, არამედ დაჟინებით ითხოვდა იმ ციხეების დაბრუნებას, რომლებიც გიორგი I-თან დადებული ზავის თანახმად, ბიზანტიელებს უკვე დაკავებული ჰქონდათ.

ახალი ომის საბაბი ტაოელ დიდებულთა ღალატი გახდა, რომლებიც ბანელი ეპისკოპოსის მეთაურობით ბიზანტიის კეისარს კონსტანტინეს გაზლნენ, ციხეები გადასცეს და ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ დახმარება სთხოვეს. 1028 წ. კეისარმა საქართველოში მრავალრიცხოვანი ლაშქარი გამოგზავნა. ბიზანტიელებმა საქართველოს სამხრეთი მხარეები კიდევ ერთხელ მოაოხრეს და შიდა ქართლისაკენ დაიძრნენ. კლდეკარის ციხესთან ქართველებმა რატი ლიპარიტის ძის ბაღვაშის მეთაურობით, მტერს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და ისიც იძულებული გახდა უკან დაეხია. ამ მძიმე დროს საკუთარი ღირსების მაძიებელი, მეფისა და ქვეყნის ორგული ბევრი გამოჩნდა. შავშეთის ერისთავმა ბიზანტიელებს ციხეები გადასცა და მათ მხარეზე გადავიდა. ბიზანტიელებმა შავშეთ-კლარჯეთის მოსახლეობის მოსამხრობლად ჯერ კიდევ ბაგრატ III-ის ხანაში კონსტანტინოპოლს თავშეფარებული კლარჯი ხელმწიფის გურგენის ძე დემეტრე გამოგზავნეს. მაგრამ ბიზანტიელთა მცდელობა ამაო გამოდგა. ქართველების უმეტესობა სამშობლოსა და მეფის ერთგული დარჩა. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა შავშეთში ტბეთის ეპისკოპოსმა საბამ, რომელმაც ტბეთის ტაძრის მიდამოებში კლდეებში სვეტის ციხე ააგო, სადაც მეფის ერთგულმა აზნაურებმა და ლაშქარმა მოიყარა თავი. მალე ციხეს ბიზანტიელთა მრავალრიცხოვანი ჯარი მოადგა. ქართველებმა მტერს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს და ქვეყნისათვის და მეფისათვის თავი სასიკვდილოდ გადადეს. მემატიანის სიტყვებით, მოლაშქრეებმა ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ „მსწრაფლ წარმავალ ამქვეყნიურ სიკეთეს“ ისინი სიკვდილით მოპოვებულ „ერთგულების მადლსა და ჭეშმარიტების გვირგვინს“ ამჯობინებდნენ. მათმა თავგანწირვამ თავისი შედეგი გამოიღო. ბიზანტიელებმა ვერ სძლიეს ქართველებს და ქვეყნის სიღრმისაკენ გზა ვერ გააგრძელეს. ამასობაში კონსტანტინე კეისარი გარდაიცვალა და ბიზანტიურმა ლაშქარმა უკან დაბრუნების ბრძანება მიიღო.

ქართველთა შეუპოვარმა ბრძოლამ ბიზანტიას კარგად დაანახა, რომ საქართველოს შემოერთებას ვერ შეძლებდა, გაჭიანურებული ომი კი კარგს არაფერს უქადდა. ახალი კეისარი მზად იყო საზავო მოლაპარაკებისათვის, თუ პირველ ნაბიჯს ქართული მხარე გადადგამდა. საქართველოს სამეფო კარმა შექმნილ ვითარებას ალღო აუღო და 1030 წ. კონსტანტინოპოლში ბაგრატ IV-ის დედის, მარიამ

## სამხრეთ კავკასია XI-ის მეორე ნახევარში



რუკა 16 საქართველო და სელჩუკთა იმპერია XI საუკუნის ბოლო მეოთხედში



დედოფლის მეთაურობით დიდი ელჩობა გააგზავნა. დედოფალი კეისრის კარზე კარგად მიიღეს, ბაგრატ IV კურაპალატობა უბოძეს და რაც მთავარია, იმიერ ტაოს გარდა დანარჩენი მიტაცებული ტერიტორია საქართველოს უკან დაუბრუნეს. შეთანხმების თანახმად, მარიამ დედოფალმა ბაგრატ IV-თვის საცოლედ კეისარ რომანოზ III-ის (1028-1034) ძმისშვილი ელენე წამოიყვანა. იმის საჩვენებლად, რომ სადავო ტერიტორიები საქართველოს განუყოფელი ნაწილი გახდა, სრულწლოვანებას მიღწეული ბაგრატის მეფედ კურთხევა და ელენე დედოფალთან ჯვრისწერა ამიერ ტაოში ბანას ტაძარში ჩატარდა. ელენე დედოფალი მალევე გარდაიცვალა. ამის შემდეგ საქართველოს მეფემ მეორე ცოლად ოსთა მეფის ასული ბორენა მოიყვანა.

ბაგრატ IV-ს ნახევარძმა დემეტრე ჰყავდა, რომელსაც საუფლისწულოდ ანაკოფიის ციხე-ქალაქი ეპყრა. დიდებულთა ერთ ნაწილს ბიზანტიის ხელშეწყობით მცირეწლოვანი უფლისწულის ბაგრატ IV-სათვის დაპირისპირება და საქართველოს ტახტისათვის ბრძოლაში ჩაბმა სურდა. როდესაც ეს არ გამოვიდა, დემეტრე უფლისწულმა ბაგრატ IV-ის შიშით ანაკოფია ბიზანტიელებს გადასცა და თავი ბიზანტიას შეაფარა. ყოველივე ამან საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა კვლავ დაძაბა. მიუხედავად ამისა, მარიამ დედოფლის ელჩობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბიზანტიასთან მიღწეულმა დროებითმა შერიგებამ საქართველოს მეფეს სამხრეთ კავკასიაში ხელ-ფეხი გაუხსნა.

1037 წ. კახეთის მეფე დიდი კვირიკე ღალატით დაიღუპა. მას შვილი არ დარჩა, ამიტომ კახეთის ტახტზე მისი შვილობილი, დისშვილი და ტაშირ-ძორაგეტის მეფის დავითის ძე გაგიკი (1037-1058) ავიდა. ამგვარად, კახეთის სამეფოს სომეხ ბაგრატუნთა განშტოება კვირიკიანთა დინასტია დაეუფლა. გაგიკი სრულიად გაქართველებული იყო და ქართული მართლმადიდებლობა ჰქონდა მიღებული. კახეთს კვირიკიანები დავით აღმაშენებლის მიერ ამ სამეფოს ერთიან საქართველოსთან შემოერთებამდე, დაახლოებით სამოცდაათი წელი განაგებდნენ.

ჯერ კიდევ ბაგრატ IV-ის მცირეწლოვანების დროს კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ბაღვაშმა თბილისის ამირა ჯაფარი შეიპყრო და მეფეს მიჰგვარა. ბაგრატ IV იმჟამად თბილისის შემოერთება ვერ გაბედა, ამირა შეიწყალა და თბილისში დააბრუნა. 1037 წ. ბაგრატ IV ლიპარიტ ბაღვაშის რჩევით, თბილისს ალყა შემოარტყა. ალყაში კახეთის მეფე გაგიკიც მონაწილეობდა. ქალაქი კარგად იყო გამაგრებული და მისმა ალყამ ორი წელი გასტანა. თბილისში შიმშილობა დაიწყო. თვედგადაწყვეტილმა ამირამ ღამით განძაში გასაქცევად მტკვარზე ტივები გაამზადა. ამ დროს ლიპარიტის მოწინააღმდეგე დიდებულებმა მეფე დაარწმუნეს, რომ თბილისის აღება ლიპარიტ ბაღვაშს ძალზე გააძლიერებდა. ბაგრატ IV-ს კლდეკარის ერისთავის სიძლიერე აქამდეც აფიქრებდა. საამიროს გაუქმების შემთხვევაში კი ლიპარიტი თავისი საერისთავოს მომიჯნავე თბილისის საამიროს დიდ ნაწილს შეიერთებდა, რაც მას სამეფო ხელისუფლებისათვის კიდევ უფრო საშიშს გახდიდა. ამიტომ ლიპარიტ ბაღვაშთან შეუთანხმებლად ბაგრატ IV ამირას მოურიგდა, თბილისს ალყა მოხსნა და ამირას მხოლოდ ალგეთის ხეობაში ბირთვისის და ფარცხისის ციხეები ჩამოართვა. ასეთმა საქციელმა საქართველოს მეფეს ლიპარიტ ბაღვაში სამუდამოდ გადაამტერა.

მეფეზე განაწყენებული კლდეკარის ერისთავის რეალური დამხმარე ბიზანტია იყო, რომელიც საქართველოს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს კარგა ხანია ფარულად ან აშკარად ეხმარებოდა, თანაც საქართველოდან გაქცეულ მეფისა და ქვეყნის მოღალატეებს თავშესაფარსაც აძლევდა.

ლიპარიტ ბაღვაში კონსტანტინოპოლში ჩავიდა და კეისარს ბაგრატ IV-ის გადაყენება, მის ნაცვლად კი, ბაგრატის ნახევარძმის, ბიზანტიაში თავშეფარებული დემეტრე უფლისწულის ტახტზე აყვანა შესთავაზა. 1042 წ. ლიპარიტ ბაღვაში დემეტრე უფლისწულითა და ბიზანტიელთა დიდი ლაშქრით საქართველოში შემოვიდა. ეს ფაქტობრივად ბიზანტია-საქართველოს ახალი, მესამე ომის დაწყებას ნიშნავდა. საომარი მოქმედება ამ ჯერად დიდხანს არ გაგრძელებულა. საქართველოს მეფემ ლიპარიტ ბაღვაშს შემორიგების მიზნით, ქართლის ერისთავობა უბოძა. ამის შემდეგ ლიპარიტმა დემეტრე უფლისწული და ბიზანტიის ლაშქარი უკან გააბრუნა.

1041 წ. ანისის სომეხთა მეფე იოანე-სუმბატი გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ ანდერძის თანახმად, მისი სამეფო ბიზანტიას უნდა შეერთებოდა. სომხებმა შეერთება არ ისურვეს და ტახტზე გარდაცვლილი მეფის ვაჟი გაგიკ II (1042-1045) აიყვანეს. ბიზანტიელებმა ანისის ბოლო მეფე გაგიკი კონსტანტინოპოლში მოტყუებით გაიწვიეს და დაატყვევეს. მაშინ ბიზანტიის მოწინააღმდეგე ძალებმა ანისში საქართველოს მეფის ბაგრატის დედა მარიამი მოიწვიეს. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ საქართველო წინა აზიაში ერთადერთი ქრისტიანული ქვეყანა იყო, რომელსაც იმჟამად შეეძლო ბიზანტიას დაპირისპირებოდა, თანაც დედოფალი მარიამი სომეხთა სამეფო საგვარეულოების ...

მეფე, დედა კი ბიზანტიელთა მიერ გაუქმებული ანისის ანუ შირაქის ბოლო მეფის გაგიკ II ბაგრატუნის მამიდაშვილი იყო. საქართველოს მეფე ბაგრატ IV სომეხთა წინადადებას დათანხმდა და 1045 წ. ანისში თავის დედასთან ერთად დიდი ლაშქარი გაგზავნა. ამით საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობაში ახალი ეტაპი დაიწყო. საქართველო, ისტორიაში პირველად, ბიზანტიას თავის საზღვრების გარეთ დაუპირისპირდა. ბაგრატ IV ბიზანტიელებს შავი ზღვის სანაპიროზეც შეუტია. მან ერთდროულად ალყა შემოარტყა დემეტრეს მიერ ბიზანტიელებისათვის გადაცემულ ანაკოფიის ციხეს და ლაზეთში მდ. ჭოროხის სამხრეთით მდებარე ხუფათის ციხეს, რომელიც მანამდე საქართველოს საზღვრებში არ შედიოდა.

იმავე ხანებში თბილისის ამირა ჯაფარი გარდაიცვალა. თბილისის თავკაცებმა ჯაფარის მემკვიდრეები ქალაქიდან გააძევეს და ანაკოფიასთან მდგომი ბაგრატ IV თბილისში მოიწვიეს. ბაგრატი თბილისში დიდი ზეიმით შევიდა, საამირო დარბაზში დაჯდა და ქალაქის გამგებლობა ჩაიბარა. თბილისში მდგომ ბაგრატს კახეთის მეფე გაგიკი ეახლა და მორჩილება გამოუცხადა.

სამწუხაროდ, ამჯერად საქართველომ ვერც ანისი და ვერც თბილისი ვერ შეინარჩუნა. ბიზანტიამ ბაგრატ IV-ს კვლავ ლიპარიტ ბაღუაში დაუპირისპირა. ლიპარიტმა ანისიდან ქართველი მხედართმთავრები გამოიტყუა, დაატყვევა და ქალაქი ბიზანტიელებს გადასცა. ამით შეშფოთებულმა ბაგრატ IV თბილისი მიატოვა. ის ჯავახეთში, ღრტილაში გადავიდა და თავის ერთგულ ერისთავთან ბრძოლისათვის გაემზადა. ღრტილაში, რომელიც, ერთი სომეხი თვითმხილველის აღწერით, სამხედრო ბანაკად იყო ქცეული, საქართველოს მეფემ სომეხ-ქართველთა საეკლესიო კრება მოიწვია. კრებას სომეხი დიდებულებიც დაესწრნენ, რომლებიც ბაგრატ IV-თან ქალაქ ანისის ბიზანტიელებისაგან განთავისუფლებისათვის მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. სამწუხაროდ, ქართულ-სომხური ანტიბიზანტიური კოალიციის მოწყობა ვერ მოხერხდა. ამის უმთავრესი მიზეზი კვლავაც ლიპარიტ ბაღვაში იყო. მან ბიზანტიელების დახმარებით საქართველოს მეფეს დემეტრე უფლისწული ხელახლა დაუპირისპირა. უფლისწული მალე გარდაიცვალა, მაგრამ ლიპარიტსა და ბაგრატს შორის ბრძოლა გაგრძელდა. ლიპარიტს ბიზანტიელთა გარდა ტაშირ-ძორაგეტის მეფე დავითი და მისი ვაჟი, კახეთის მეფე გაგიკიც დაეხმარნენ. ბაგრატ IV ზღვით ვარანგები (ვარიაგები), იგივე სკანდინაველი მოქირავნეები მოიყვანა, რომლებსაც იმჟამად კარგი მეომრების სახელი ჰქონდათ გავარდნილი და ბიზანტიის ლაშქარშიც მრავლად იყვნენ. გადამწყვეტი ბრძოლა 1046 წ. ხაშურის სიახლოვეს სასირეთში მოხდა. ლიპარიტმა ომი მოიგო. დამარცხებული ბაგრატ IV იძულებული შეიქნა დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. ამ დროს ბიზანტიას აღმოსავლეთიდან თურქ-სელჩუკებმა შეუტიეს. ლიპარიტ ბაღვაში 1048 წ. ბიზანტიელთა ლაშქართან ერთად მათ წინააღმდეგ გაემართა და ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა. ამით ბაგრატ IV ისარგებლა, აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და თბილისელთა თხოვნით, ქალაქი კვლავ დაიკავა. სამი წლის შემდეგ, როდესაც თურქებისაგან განთავისუფლებული ლიპარიტ ბაღვაში სამშობლოში დაბრუნდა, საქართველოს მეფე იძულებული გახდა თბილისი მიეტოვებინა. ის ჯერ კვლავ დასავლეთ საქართველოში გადავიდა, შემდეგ კი, დიდი ელჩობით ბიზანტიის კეისარს კონსტანტინოპოლში ეახლა. აქ მეფემ სამი წელი დაჰყო. ბიზანტიამ საქართველოს მეფე

### ვარანგები-ვარიაგები

ქართველები, ბიზანტიელები, არაბები, რუსები, სომხები... „ვარანგებს", იგივე „ვარიაგებს" უწოდებდნენ [illegible] სკანდინავიის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ [illegible]. შვედებისა და ნორვეგიელების წინაპრებს. დასავლეთ ევროპელები მათ „ნორმანებს" ანუ „ჩრდილოეთის ადამიანებს" უწოდებდნენ. [illegible] „ვარანგები" [illegible] „ვარანგიის მეფის" [illegible] „ვარანგებსაც" უწოდებდნენ. ვარანგები [illegible] მეზღვაურები და მეომრები იყვნენ. [illegible] ბიზანტიის სამსახურში იმყოფებოდნენ. ბაგრატ IV-ის მოწვეული 3000 ვარანგი თავიანთი [illegible] ჯერ ფოთში შემოვიდა, შემდეგ კი [illegible] რიონის [illegible]. საქართველოს მეფემ ლიპარიტთან ბრძოლაში მათი მხოლოდ ერთი ნაწილი, 700 ვარანგი გამოიყენა. გამარჯვების შემდეგ ლიპარიტ ბაღუაშმა [illegible] სომხეთ-საბერძნეთის [illegible] და [illegible] ვარანგები [illegible].

[illegible]

ვარანგებმა, [illegible] XI ს-ში [illegible]

ვარანგები [illegible] 1000 წელს [illegible]

და მისი ურჩი ვასალი ლიპარიტ ბაღვაში ვითომდა შეარიგა. კეისარმა ბაგრატ IV-ს ბიზანტიის ერთ-ერთი უმაღლესი საკარისკაცო ტიტული „ნოველისიმოსობა“ უბოძა, მის ვაჟს, პატარა გიორგის კი, „კურაპალატობა“. ბიზანტიის კეისარმა ბაგრატ IV ფორმალურად მთელი საქართველოს მეფედ აღიარა, მაგრამ სინამდვილეში ის მხოლოდ დასავლეთ საქართველოს, ყოფილ აფხაზთა სამეფოს მეფედ დარჩა. რაც შეეხება ყოფილ „ქართველთა სამეფოს“, იგივე „მესხეთის“ ამ გეოგრაფიული სახელის ფართო მნიშვნელობით და შიდა ქართლს, აქ ლიპარიტი გაბატონდა. თავისი პოზიციების გასამტკიცებლად ლიპარიტმა ჯერ კიდევ ბიზანტიაში ბაგრატის ყოფნის დროს, თავი უფლისწულის აღმზრდელად გამოაცხადა, მცირეწლოვანი გიორგი ბაგრატის ძე ქართლში გადმოიყვანა და რუისში მეფედ აკურთხა.

ბაგრატ IV 1057 წელს ზღვით საქართველოში დაბრუნდა, სადაც მას ჭართული ლაშქარი დიდი ზეიმით უკვე შემოერთებული ხუფათის ნავსადგურში შეეგება.

ბიზანტიამ თითქოს თავის მიზანს მიაღწია და საქართველოს სამეფო ფაქტობრივად ორ ნაწილად დაშალა, მაგრამ ქვეყნის ერთიანობისაკენ ლტოლვა ბიზანტიის ნება-სურვილზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. სულ მალე ლიპარიტ ბაღვაშს მესხი დიდებულები აუჯანყდნენ, ის შეიპყრეს და საქართველოს მეფეს გადასცეს. ბაგრატ IV სასწრაფოდ აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და ქვეყნის ერთიანობა აღადგინა. ლიპარიტი ანტონის სახელით ბერად აღიკვეცა და დიდი ქონებით უცხოეთში გაემგზავრა. მეფემ ლიპარიტის ვაჟს ივანეს კლდეკარის საერისთავო ჩამოართვა და მხოლოდ არგვეთში ბაღვაშთა საგვარეულო მამული დაუტოვა.

საქართველო-ბიზანტიის ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე მიმდინარეობდა, საქართველოს სრული გამარჯვებით დამთავრდა. ქვეყანამ ის ტერიტორიები, რომელსაც ბიზანტია ედავებოდა, მტერს არ დაანება და თავისი დამოუკიდებლობაც შეინარჩუნა.

საქართველოს გაერთიანების დასრულებისათვის თითქოს ნანატრი დრო დაუდგა. იმხანად თბილისის ვაჭარ-მოქალაქეები ძლიერ მფარველს ეძებდნენ, რომელიც მათ უშიშროებას დაიცავდა. საქართველოს მეფემ მათ იმედი ორჯერ უკვე გაუცრუა. ამიტომ თბილისელებმა ამჯერად ქალაქი განძის ამირას შესთავაზეს. განძის ამირამ ბაგრატ IV-ის შიშით ქალაქის დაკავება ვერ გაბედა. მაშინ მოქალაქეებმა თბილისი კახეთის მეფეს აღსართან გაგიკის ძეს გადასცეს. მალე, 1062 წ. ბაგრატ IV-მ თბილისი კახეთის მეფისაგან გამოიხყიდა და ქალაქში თავისი მეციხოვნეები ჩააყენა. შემდეგ კი, უშუალოდ კახეთის სამეფოს შემოერთებას შეუდგა და ჰერეთ-კახეთის თითქმის ყველა ციხე დაიკავა. სამწუხაროდ, ამ დროს საქართველოს თურქ-სელჩუკები შემოესივნენ და ქვეყნის საბოლოო გაერთიანებამ კიდევ დაახლოებით ექვსი ათეული წლით გადაიწია.

## ლიპარიტ ბაღვაში

ლიპარიტ ბაღვაში იმდენ, როგორც მისი ეპოქა, რთული და წინააღმდეგობრივი ფიგურაა. ის უდავოდ დიდი და ნიჭიერი პოლიტიკოსი იყო. მაგრამ უფრო საწყენია, რომ მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოს მეფეებთან ბრძოლას შეალია. ლიპარიტ ბაღვაშს, შეიძლება და მხედართმთავარს ერთნაირად მიაგებდნენ პატივს, როგორც ბიზანტიელები ისე წინა აზიაში ახლად მოსული თურქ-სელჩუკები. ამიტომაც იყო, რომ, როდესაც სელჩუკთა სულთანმა, თოღრულ ბეგს ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე IX მონომახმა (1042-1055) ტყვეობიდან ლიპარიტის გამოთავისუფლებლად უზარმაზარი თანხა, 400 ათასი დინარი (ტყვის ნახევარზე მეტი ოქრო) შესთავაზა. სულთანმა ასეთი გამოჩენილი მხედართმთავრისთვის თანხის აღება იუკადრისა და ლიპარიტი ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე გაათავისუფლა. ამით გახარებულმა კეისარმა თოღრულ ბეგს, მადლობის ნიშნად, მეფური საჩუქარი გაუგზავნა: 100 ფარჩის და 500 სხვადასხვა სამოსი, 500 ცხენი, 200 ათასი დინარი, 100 ვერცხლის ფიალა, 300 საპალნე ცხენი, 300 ეგვიპტური სახედარი, 1000 თეთრბეწვა, შავთვალა და შავრქიანი თხა. ამ საქმის შუამავლის, ქალაქების დვარნაქარის, მარიზ ეგრეტის და ხლათის გამგებლის იბნ მარვანის კეისარმა (ალდა) გაუგზავნა 10 მანი (მანი უდრის 812,5 გრ.) მუშკი (ბალზე ძვირფასი სურნელოვანი ნივთიერება, რომელიც ჩრდილოეთ და ტიბეტის შვლისგან იღებდნენ). გარდა ამისა, ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინოპოლში აღადგინა მეჩეთი, რომელიც ჯერ კიდევ VIII საუკ დასაწყისში აეშენებინა არაბთა ხალიფა ალ-ვალიდის ძმას, ცნობილ სარდალ მასლამას.

საქართველოსათვის უფრო მეტად მომგებიანი ბერად აღკვეცილი ანტონ ლიპარიტისძე აღმოჩნდა. მან სირიაში ანტიოქიის ახლოს ქართველთა „კალიპოს წმინდის მონასტერი“ დააარსა.

ლიპარიტმა დიდი ფულადი დახმარება გაუწია გიორგი მთაწმინდელს, რომელიც ათონის ქართველთა მონასტერში სახარების ახალ ქართულ თარგმანს ამზადებდა. მანვე დიდი ღვაწლი დადო ამ თარგმანის ხელნაწერების გამრავლებისა და ქართულ მონასტრებში მათ გავრცელებაში.

ლიპარიტ ბაღვაში კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა, საიდანაც დიდი დიდებით საქართველოში წამოასვენეს და ბაღვაშთა საგვარეულო სასაფლაოზე, კაცხის მონასტერში დაკრძალეს.

# § 37. თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოქმნა და სელჩუკთა მიერ საქართველოს დამორჩილება

გრიგოლ მაყმასანის- ძე

[illegible]

თურქული მოდგმის ტომები V ს-დან ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ველებში მომთაბარეობდნენ, სადაც მათივე მონათესავე ჰუნები შეცვალეს. ისინი აქ სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელმწიფოებს ქმნიდნენ. სასანური ირანის დაცემის შემდეგ (VII ს-ის შუა წლები), თურქ მომთაბარეებს გზა გაეხსნათ სამხრეთ შუა აზიისაკენ და მათაც თანდათანობით არალის ზღვაში ჩამდინარე ორი დიდი მდინარის სირ-დარიისა და ამუ-დარიის ველები აითვისეს. IX ს-ში აბასიანმა ხალიფებმა თურქი ტყვეებისაგან – გულამებისაგან შემდგარი სამხედრო რაზმების შექმნა დაიწყეს, რომლებიც მალე სახალიფოს ძირითად სამხედრო ძალად გადაიქცნენ. X ს-ში სახალიფოს დაშლის კვალდაკვალ გულამების რაზმებიდან გამოსულმა მხედართმთავრებმა თავიანთ ლაშქარზე დაყრდნობით, შუა აზიასა და ირანში ახალ სახელმწიფოებს ჩაუყარეს საფუძველი. მათ შორის იყო ღაზნევიანთა სახელმწიფო, რომელიც ირანის, შუა აზიისა და ავღანეთის მნიშვნელოვან ნაწილს აერთიანებდა. 1035 წ. ღაზნევიანთა სულთანმა თურქ-სელჩუკ ტომებს სამხედრო სამსახურის პირობით, ჩრდილოეთ ხორასანი (დღევანდელი თურქმენეთი) გადასცა. ამ თურქული ტომების სახელი მათი პირველი ბელადის, სელჩუკის სახელიდან მომდინარეობდა, რომელიც X საუკუნეში ცხოვრობდა. ხორასანში ჩასახლების დროს სელჩუკებს უკვე მისი შვილიშვილები თოღრულ-ბეგი და ჩაღრი-ბეგი განაგებდნენ. მალე სელჩუკები მათ პატრონებს – ღაზნევიანებს აუჯანყდნენ და 1040 წელს გადამწყვეტ გამარჯვებას მიაღწიეს. ასე ჩაეყარა საფუძველი ახალ თურქულ სახელმწიფოს, რომელიც ისტორიაში „თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს" სახელითაა ცნობილი.

სელჩუკებმა თავიდანვე დაპყრობების გზას დაადგნენ. მათ წინა აზიის დიდი ნაწილი დაიკავეს და ბიზანტიის იმპერიაზე პირველი ლაშქრობები მოაწყვეს. 1055 წ. სელჩუკთა გამგებელი თოღრულ ბეგი ბაღდადში შევიდა. ხალიფამ ის „აღმოსავლეთისა და დასავლეთის" სულთანად, ანუ მსოფლიოს მბრძანებლად გამოაცხადა და ამის სიმბოლოდ ორრქიანი გვირგვინი დაადგა. სელჩუკთა სახელმწიფოს დედაქალაქი სპარსეთის ქალაქი ისპაჰანი. XI ს-ის 50-იან წლებში სელჩუკებმა სამხრეთ კავკასიაში ყველა მუსლიმური სამფლობელო დაიმორჩილეს და საქართველოს უშუალოდ დაემუქრნენ.

1064 წ. სელჩუკთა ახალი სულთანი ალფ-არსლანი (1063-1072) სომხეთის გავლით საქართველოში შემოიჭრა. თურქთა მარბიელმა რაზმებმა ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, თრიალეთი ააოხრეს, ხოლო სელჩუკთა მთავარი ლაშქარი ალფ-არსლანის სარდლობით ჯავახეთში ახალქალაქს მოადგა. ციხე-ქალაქში გამაგრებული ქართველები სამი დღე და ღამე იგერიებდნენ მრავალრიცხოვან მტერს. იმჟამად ახალქალაქის მტკიცე გალავნით მოზღუდვა დამთავრებული არ იყო და ქალაქი დიდხანს მტრის მოწოლას ვერ გაუძლებდა. ამიტომ ქართველები ციხე-ქალაქიდან გამოვიდნენ და პირისპირ შეებნენ თურქებს. ქართველები ბრძოლაში დამარცხდნენ და სელჩუკები ახალქალაქში შეიჭრნენ, სადაც დიდძალი ნადავლი და ტყვე იგდეს ხელთ. ბაგრატ IV თბილისი კიდევ ერთხელ მიატოვა და ქალაქში ამირას ხელისუფლება აღდგა. ამის შემდეგ სულთანი სომხეთში გაბრუნდა, ბიზანტიელებს ანისი წაართვა და მორჩილების

წარმომადგენელს გადასცა. ასე ჩაეყარა საფუძველი ანისის მუსლიმი გამგებლების შადადიანთა დინასტიას, რომლებიც ანისს სომეხ მეფეთა მსგავსად, მეფეთა-მეფის, ანუ შაჰან-შაჰის ტიტულს ატარებდნენ. 1064 წ. ანისის ბედით შეშინებულმა ვანანდის ანუ ყარსის სომხური სამეფოს მეფემ ციხე-ქალაქი კარი (ყარსი) და მთელი თავისი სამეფო ბიზანტიას დაუთმო. ბიზანტიამ ამ სამეფოს ტერიტორია იბერიის თემს შეუერთა და მის მმართველად ბიზანტიაში მოღვაწე ქართველი დიდებული გრიგოლ ბაკურიანის-ძე დანიშნა.

ახალქალაქიდან ალფ-არსლანმა ბაგრატ IV-ს ელჩი გაუგზავნა და ცოლად მას დისწული თხოვა, რომელიც ტაშირ-ძორაგეტის მეფის კვირიკეს ძმისწულიც იყო და კვირიკეს სამეფო კარზე იმყოფებოდა. კვირიკე ძმისწულის სელჩუკ სულთანზე გათხოვებას არ დათანხმდა. მაშინ 1065 წ. ბაგრატ IV ტაშირ-ძორაგეტის მეფე და მისი ძმა დაატყვევა, მას მთავარი რეზიდენცია ციხე-ქალაქი სამშვილდე ჩამოართვა და თავისი დისწული სულთანს ცოლად გაუგზავნა. ამის შემდეგ კვირიკემ თავის სატახტო ქალაქად ლორე გაიხადა. ამიტომ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ლორეს სამეფოსაც უწოდებენ.

დისწულის სელჩუკთა მბრძანებელზე გათხოვების თითქმის თანადროულად, ბაგრატ IV თავისი ასული მართა, იგივე მარიამი ბიზანტიის კეისრის კონსტანტინე X დუკას (1059-1067) ვაჟს და მომავალ კეისარს მიხეილ VII დუკას (1071-1078) მიათხოვა. შემდგომში მარიამ დედოფალმა დიდი როლი შეასრულა, როგორც საკუთრივ ბიზანტიის ისე საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ისტორიაში.

ჯერ კიდევ ალფ-არსლანის პირველი შემოსევის წინ, 1060-1064 წწ-ში საქართველოში ბაგრატ IV-ის მოწვევით იმყოფებოდა ცნობილი ქართველი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღოლი გიორგი მთაწმინდელი. საქართველოში მისი ყოფნა მოუსავლიან და შიმშილობის წლებს დაემთხვა. ბიზანტიიდან მოსული სწავლული ბერი საქართველოში ცხოვრების სიმძიმემ ძალზე შეაძრწუნა. გიორგი მთაწმინდელი განსაკუთრებით უმაღლესი სამღვდელოების საქციელმა აღაშფოთა, რომელიც ეკლესია-მონასტრების მშენებლობასა და მათ გამშვენიერებაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე უბრალო ხალხის დაპურებასა და მათი მძიმე ხვედრის შემსუბუქებაზე. გიორგი მთაწმინდელმა იმჟამად საქართველოში სასწავლო-სამეცნიერო მოღვაწეობის გასაშლელად ასპარეზი ვერ დაინახა, ამიტომ ნიჭიერი ახალგაზრდების გადარჩენისა და სამომავლოდ სამშობლოსათვის მათი მომზადების მიზნით, 80 ყმაწვილი კონსტანტინოპოლში წაიყვანა.

სელჩუკთა პირველი ლაშქრობის შემდეგ საქართველოს კიდევ უფრო მძიმე ხანა დაუდგა. სელჩუკთა ირგვლივ სამხრეთ კავკასიაში საქართველოს საბოლოოდ გაერთიანებისა და გაძლიერების მოწინააღმდეგე ძველი ქრისტიანული თუ მუსლიმური პოლიტიკური ერთეული

## დედოფალი მართა-მარიამი

ბაგრატ IV-ის ასული მართა 1049 დაიბადა. კონსტანტინოპოლში ის პირველად 1056 წ. მოხვდა, როდესაც ბიზანტიის კეისარმა თეოდორამ ბაგრატ IV-ს ის თავის „შვილად აღსაზრდელად" [illegible]. მართა კეისრის სასახლეში მაშინ შეიყვანეს, როდესაც თეოდორა გარდაიცვალა. ამ დროს სასახლეში გიორგი მთაწმინდელი იმყოფებოდა. [illegible] მონოზონმა წამოიძახა: „[illegible], რომ დედა დედოფალი [illegible] (გარდაიცვალა) და [illegible]". იმპერატ. მართა-მარიამს სამშობლოში მალე დააბრუნეს. გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება კი ათხუთმეტი წლის შემდეგ, 1071 წ. ახდა, როდესაც მარიამის მეუღლე მიხეილ VII დუკა კეისარი გახდა. მარიამი არაჩვეულებრივი სილამაზით გამოირჩეოდა. ის იყო: „მაღალი, ტანადი, როგორც კვიპაროსი, თეთრი, როგორც თოვლი, პირისახე [illegible] [illegible], მისი გაზაფხულის [illegible] [illegible]. ახლა [illegible] [illegible]? [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]... [illegible] დაინახავდა დედოფალს. ან [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. ის [illegible] [illegible], რომელიც [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომელიც [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]), რომელსაც [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]" - წერს ბიზანტიელი ისტორიკოსი, ბიზანტიის კეისრის ალექსი I კომნენოსის (1081-1118) ასული ანა.

1078 წ. მარიამ დედოფლის პირველი მეუღლე ტახტიდან ჩამოაგდეს. მაშინ ის ცოლად გაჰყვა ახალ იმპერატორს ნიკიფორე ბოტანიატეს (1078-1081), რომელიც დედოფალს მისი შვილის, კონსტანტინეს ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებას დაჰპირდა. როდესაც ახალმა კეისარმა პირობა დაარღვია, მარიამ დედოფალი გრიგოლ ბაკურიანის-ძესთან ერთად ტახტზე ახალ [illegible] ალექსი კომნენოსს დაეხმარა ტახტზე ასვლაში. ალექსი კეისარმა მარიამის ვაჟი კონსტანტინე თანაკეისრად და თავისი ასულის [illegible] მომავალ ქმრად გამოაცხადა. კონსტანტინე [illegible] გარდაიცვალა. მარიამ დედოფალი [illegible] [illegible], [illegible] მთელი ცხოვრების მანძილზე როგორც საქართველოში, ისე

გარანტად მათ ალფ-არსლანის ქვეშევრდომობა მიიჩნიეს. სელჩუკთა სულთნის ირგვლივ დარაზმნენ ტაშირ-ძორაგეტის მეფე კვირიკე II, კახეთის მეფე აღსართანი, განძის შადადიანი ამირა ფადლონ II და ანისის ახალი შადადიანი შაჰან-შაჰი. 1067 წ. ანისის გამგებელი საქართველოს შემოესია და ქვეყანა ააოხრა. მის წინააღმდეგ მიმართულ ასეთ მძლავრ კოალიციას (კავშირს) ბაგრატ IV არ შეუშინდა. მან ჯერ განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ ილაშქრა და ბარდავი დაარბია, შემდეგ კი აღსართანის დასასჯელად კახეთის სამეფოში შეიჭრა. თავისი ვასალების დაცვის მიზნით, 1068 წ. ალფ-არსლანი საქართველოს ხელმეორედ შემოესია. კახთა მეფე აღსართანი სულთანს ეახლა, ხარკის გადახდა აღუთქვა და ისლამი მიიღო. სულთანმა მას მუსლიმი სამართალმცოდნე გაუგზავნა, რათა მისთვის ისლამის კანონები ესწავლებინა. კახეთიდან ალფ-არსლანი თბილისისაკენ დაიძრა. ამჯერად მას თბილისის ამირა და ბაგრატ IV-ზე გადამტერებული ტაშირ-ძორაგეტის მეფე კვირიკე II ეახლნენ. მტერმა აღმოსავლეთ საქართველო სასტიკად ააოხრა. ბაგრატ IV დასავლეთ საქართველოში გადავიდა. სელჩუკები საქართველოს მეფეს ლიხს იქითაც დაედევნენ. აქ მათ არგვეთში სვერის ციხე აიღეს და მთელი არგვეთი დაარბიეს. ეს იყო სელჩუკთა პირველი ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში. ალფ-არსლანი საქართველოში დიდხანს ვერ გაჩერდა და ზამთრის დადგომისთანავე უკან წასვლა განიზრახა. მანამდე მან ერთგული სამსახურის მიუხედავად, თბილისის ამირას თბილისი ჩამოართვა და განძის ამირას, ფადლონს გადასცა, რომელიც საქართველოს მეფის წინააღმდეგ უფრო ძლიერ ძალად მიიჩნია.

საქართველოდან ალფ-არსლანის წასვლისთანავე ბაგრატ IV აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა. პირველ ყოვლისა, მან განძის ამირა ფადლონი დაამარცხა და დაატყვევა. საქართველოს მეფემ ალფ-არსლანის რიდით თბილისი თვითონ არ დაიკავა, არც ძველ ამირას დაუბრუნა, თუმცა მისივე საგვარეულოს წარმომადგენელს, სითლი არაბს ქვეშევრდომობის პირობით გადასცა და თან 50 ათასი დრაჰკანიც (ოქროს მონეტა) გამოართვა. ბაგრატმა თბილისის გარდა საამირო კუთვნილი დანარჩენი ციხე-ქალაქები რუსთავი, ფარცხისი .... დაიკავა. ამით თბილისის საამირო ფაქტობრივად გაუქმდა. სითლი არაბს ხელში მხოლოდ თბილისი დარჩა.

ბაგრატ IV ამირა ფადლონი სელჩუკთა სულთნის თხოვნით გაათავისუფლა. განძის ამირა მაინც არ დაშოშმინდა და ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებდა. მაშინ საქართველოს მეფემ ფადლონის საგანგებოდ დასჯა გადაწყვიტა. მან თავისი ცოლის ძმა ოსთა მეფე დორღოლელი 40-ათასიანი ლაშქრით გადმოიყვანა და ქართულ ლაშქართან ერთად, რომელსაც მისი ვაჟი გიორგი ხელმძღვანელობდა, განძის ამირას წინააღმდეგ გაგზავნა. ქართველებმა და ოსებმა საამირო დაარბიეს და მრავალრიცხოვანი ტყვეებითა და ნადავლით დატვირთულნი უკან დაბრუნდნენ. ოსეთის მეფემ ბაგრატ IV-ისაგან თავისი დის, ბორენა დედოფლის მონახულების ნებართვა ითხოვა, რომელიც იმჟამად სამეფოს დედაქალაქში ქუთაისში იმყოფებოდა. დის მონახულების შემდეგ ქართლში მობრუნებულ ოსთა მეფეს ბაგრატ IV ნადარბაზევში თორმეტდღიანი ლხინი გაუმართა და უხვად დასაჩუქრებული სამშობლოში გაისტუმრა.

ალფ-არსლანის ბრძოლა ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ ფაქტობრივად საქართველოს მეფის გამარჯვებით დასრულდა. საქართველოს სამეფომ თავისი ტერიტორია და დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. ბაგრატ IV 1072 წ. 24 ნოემბერს გარდაიცვალა. დაახლოებით ამავე დროს სელჩუკთა სულთანი ალფ-არსლანიც შუა აზიაში ერთ-ერთი ციხის აღების დროს დაიღუპა. ისე, რომ, ქართველი მემატიანის ხატოვანი თქმით, მათ ერთმანეთის სიკვდილი ვერც კი გაიგეს. სიცოცხლის ბოლო წლებში მემატიანისავე ცნობით, ბაგრატ IV-სა და ალფ-არსლანს შორის „სიტყვით სიყვარული" სუფევდა: „აახლებდა სულთანი მოციქულთა (ელჩებს) და უგზავნიდა ძღვენს ბაგრატ მეფეს და ამითა ენითა (ტკბილი სიტყვით) თხოვდა ხარაჯას (ხარკს). ხოლო არ დადვა ბაგრატ მეფემან ხარაჯა, არამედ იგიც მიავლენდა მოციქულებს სულთანთან და მიართმევდა ძღვენს".

ბაგრატ IV დიდი პატივით ჭყონდიდის ტაძარში დაკრძალეს. მისი მეფობის ხანა საქართველოსათვის ძალიან რთული და წინააღმდეგობრივი იყო. ამ დროს ჩვენმა ქვეყანამ დიდ გამარჯვებებთან ერთად არაერთი მწარე მარცხიც განიცადა. ყოველივე ეს კარგად აისახა ბაგრატ IV-ის დახასიათებაში, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშია" მოცემული: „ეს მეფე ბაგრატ ცხრა წლისა მეფე იქმნა და აღესრულა წლისა ორმოცდათექვსმეტისა. ... იყო... სახით უშვენიერესი ყოველთა კაცთასა. სრული სიბრძნითა, ფილოსოფოსი ენითა, სვიანი ბედითა, უმდიდრესი ყოველთა მეფეთა აფხაზეთისასა (იგულისხმება საქართველო), მოწყალე ცოდვილთათვის, უხვი ... ხოლო ჟამთა მისთა ქვეყანასა დაწყნარება არა აქონდა, ეკლესიანი და გლეხნი, აზნაურნი და გლახაკნი ვერ განიკითხებოდნენ".

ბაგრატ IV-ის სიკვდილის შემდეგ ტახტზე მისი ვაჟი გიორგი II (1072-1089) ავიდა. გიორგი II მეფედ ჯერ კიდევ ბავშვობაში აკურთხეს და მამის სიცოცხლეშივე „კურაპალატის" ტიტულს ატარებდა. ახლა მან მამისაგან მემკვიდრეობით „ნოველისიმოსის" ტიტული მიიღო, „კურაპალატის" ტიტული კი მის

ერთი წლის ვაჟზე დავითზე გადავიდა. ცოტა ხანში გიორგი II კეისრისაგან ჯერ სევასტოსის, შემდგომ კი, ბიზანტიის საიმპერატორო კარის უმაღლესი ტიტული „კესაროსიც" („კეისარი") მიიღო.

ახალი მეფის მმართველობა დიდებულთა აჯანყებით დაიწყო: ნიანია ქვაბულის-ძემ ქუთაისში მეფის საგანძური გაძარცვა და ქუთაისის ციხე დაიკავა. სვანთა ერისთავმა ვარდანმა საშევრელო მოარბია. ყველაზე საშიში მაინც სამეფო ხელისუფლებისათვის ლიპარიტ ბაღვაშის ძის ივანეს გამოსვლა იყო. გიორგი II იმჟამად სელჩუკთა მორიგ ლაშქრობას ელოდებოდა, ამიტომ აჯანყებულთა დასჯას მოერიდა და ისინი უხვი წყალობით შემოირიგა. მათ შორის ივანე ლიპარიტის ძეს მეფემ კლდეკარი და სამშვილდის ციხე დაუმტკიცა. მალე საქართველოში სელჩუკთა ახალი სულთანი მალიქ-შაჰი (1072-1092) შემოიჭრა. მან სამშვილდის ციხე დაიკავა და ქართლის დიდი ნაწილი სასტიკად მოაოხრა. ამის შემდეგ თითქმის ოთხი ათეული წელი სამშვილდის ციხეში თურქი მეციხოვნეები იდგნენ, რომლებიც ქვემო ქართლს ამ ციხიდან აკონტროლებდნენ. მალიქ-შაჰმა ახლა განძაში ილაშქრა, იქ ახალი ამირა დანიშნა და მას საქართველოს დარბევა დაავალა. 1074 წელს განძის ამირა დიდი ლაშქრით საქართველოში შემოიჭრა. გიორგი II საქართველოს ლაშქარი შეკრიბა, კახთა მეფე აღსართანიც დაიხმარა და მტერი ფარცხისთან სასტიკად დაამარცხა. გამარჯვებული მეფე სასწრაფოდ ტაოში გაემართა, რადგან საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან უმნიშვნელოვანესი მოვლენები განვითარდა, რაც საქართველოს მეფის უშუალო ჩარევას მოითხოვდა.

1071 წ. სომხეთში მანაზკერტთან სელჩუკებმა მათი დიდი სულთნის მელიქ-შაჰის სარდლობით ბიზანტიელებთან გადამწყვეტ ბრძოლაში გაიმარჯვეს და ბიზანტიის კეისარი რომან დიოგენი (1068-1071) ტყვედ ჩაიგდეს. სელჩუკთა ეს გამარჯვება მცირე აზიის ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისად იქცა. თურქული მოდგმის ტომებს გზა გაეხსნათ ანატოლიაში (მცირე აზიაში) დასასახლებლად (**იხ. რუკა 16**).

ბიზანტიელებმა 1074 წელს სელჩუკებთან ზავი დადეს და თურქებს მცირე აზიის უდიდესი ნაწილი დაუთმეს. ზავის თანახმად სელჩუკების ხელში უნდა გადასულიყო იბერიის თემიც მასთან მიერთებულ ყარსის სამეფოსთან ერთად. ასეთ ვითარებაში ბიზანტიელებმა ციხეების დაცლა დაიწყეს. ქართველმა პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს შექმნილი ვითარებით ესარგებლათ და ბიზანტიელების მიერ მიტაცებული ქართული ციხეები და მიწები უკან დაებრუნებინათ. აფხაზეთში ქართველებმა ანაკოფიის ციხე დაიკავეს, ხოლო ტაოში გიორგი II-ს იბერიის თემის გამგებელი გრიგოლ ბაკურიანის-ძე ეახლა და იბერიის თემის ანუ იმიერ ტაოს ციხეებთან ერთად კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ტერიტორია გადასცა. ზოგიერთი ციხე უკვე თურქ-სელჩუკ მეციხოვნეებს ეჭირათ და მათი დაკავება ქართველებს ბრძოლით მოუწიათ.

ქართველთა ასეთ მოქმედებას სელჩუკების მორიგი ლაშქრობა მოჰყვა. მათ ჯერ კარის ციხე-ქალაქი დაიკავეს, შემდეგ საქართველოს სიღრმეში შემოიჭრნენ და გიორგი II-ს ჯავახეთში მძიმე მარცხი აგემეს. გიორგი II დასავლეთ საქართველოში გადავიდა. თურქ-სელჩუკებმა კი საქართველოში ჩამოსახლება დაიწყეს. 1080 წლის გაზაფხულიდან მთელი საქართველო თურქი მომთაბარეებით აივსო. ეს იყო პირველი დიდი თურქობა.

თურქ-სელჩუკობა წინა აზიაში, ისევე როგორც თავის დროზე არაბობა, ხალხთა დიდი გადასახლების ხასიათს ატარებდა. თურქი მომთაბარეები მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე თავიანთი ოჯახებით, საქონლითა და მთელი ავლადიდებით მოდიოდნენ და სახლდებოდნენ. ამ პერიოდისათვის თურქები უკვე მრავლად ჩასახლდნენ აზერბაიჯანში, სომხეთში. მანაზკერტთან გამარჯვების შემდეგ კი, სწრაფად დაიწყეს ჩასახლება მცირე აზიაში. საქართველოს მეფეები 1060-იანი წლებიდან მოყოლებული წარმატებით იგერიებდნენ საქართველოს საზღვრებში შემოსვლისა და დასახლების მსურველ თურქულ ტომებს. მაგრამ ჯავახეთთან დამარცხების შემდეგ გიორგი II უკვე მათი შეჩერება ველარ შეძლო.

დიდი თურქობის პირველივე წელი ქვეყნისათვის ძალზე მძიმე აღმოჩნდა. ქართველი მემატიანის ცნობით: „დღესა იოანობისასა ასისფორნი (აქ იხმარება ტაოს მნიშვნელობით) და კლარჯეთი ზღვამდე, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აივსო თურქითა; გაწყვიტეს და დაატყვევეს ამ მხარეების ყველა მკვიდრი. ერთ დღეს გადაწვეს ქუთაისი, არტანუჯი და კლარჯეთის უდაბნოები (მონასტრები). დარჩნენ თურქები ამ მხარეებში თოვლის მოსვლამდე, ამოწყვიტეს და შეჭამეს ქვეყანა... და გაგრძელდა ასეთი უბედურება ქრისტიანებზე, რადგან თურქები გაზაფხულის პირას მოვიდოდნენ... და ზამთრების ჟამს წავიდოდნენ და აღარ იყო იმჟამად

იოვანობას ანუ იოანე ნათლისმცემლის დღეს ქრისტიანები ორჯერ აღნიშნავენ - 7 ივლისს, რომელიც იოანე ნათლისმცემლის დაბადების დღეა და 11 სექტემბერს, რომელიც მისი თავის

მალიქ-შაჰის დროს სელჩუკთა სახელმწიფომ თავის ძლიერების მწვერვალს მიაღწია, მაშინ როდესაც ბიზანტიის დამარცხებით საქართველო წინა აზიაში მოკავშირის გარეშე დარჩა. მაგრამ მთავარი უბედურება ჩვენი ქვეყნისათვის იმჟამად მაინც ის იყო, რომ მან ვერ მოასწრო ქართული მიწების მთლიანად შემოკრება და საბოლოოდ ერთიან სამეფოდ ჩამოყალიბება.

ასეთ პირობებში საქართველოს მეფემ ისევ სელჩუკებთან მოლაპარაკება გადაწყვიტა. 1083 წ. გიორგი II მალიქ-შაჰს ეახლა, მორჩილება გამოუცხადა და ყოველწლიური ხარკი იკისრა. სულთანმა მეფე სიხარულით მიიღო, დიდად დაასაჩუქრა, მორჩილების და ხარკის სანაცვლოდ მშვიდობა და ქვეყნის რბევის შეწყვეტა აღუთქვა. მელიქ-შაჰმა გიორგის II-ს კახეთის სამეფოც დაუმტკიცა, რომლის ასაღებად დიდი ჯარი გამოაყოლა. იმჟამად კახეთის შემოერთება გიორგი II მაინც ვერ შეძლო, თურქულმა ჯარმაც იერისპირეთი სასტიკად აიოხრა. მალე მელიქ-შაჰს კახეთის მეფე აღსართანიც ეახლა და მორჩილება გამოუცხადა.

გიორგი II-ის სულთანთან შეთანხმებამ საქართველოს ნანატრი მშვიდობა მაინც ვერ მოუტანა. თურქი მომთაბარეები ძველებურად არბევდნენ და აოხრებდნენ ქვეყანას. საქართველო არც სტიქიამ დაინდო - 1089 წ. საშინელი მიწისძვრა მოხდა, რომელიც ერთი წლის მანძილზე რამდენჯერმე განმეორდა და დიდი ნგრევა მოიტანა. ეს უკვე გიორგი II ღვთის რისხვად მიიჩნია. მან გადაწყვიტა ქვეყნის მართვა-გამგეობას ჩამოცილებოდა. მეფემ თავისი თექვსმეტი წლის შვილი დავითი აიყვანა ტახტზე, რომელსაც გვირგვინი საკუთარი ხელით დაადგა. დავით IV ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულის ტარებაზე უარი განაცხადა. ამით ბიზანტიაზე საქართველოს მეფეების ფორმალური დამოკიდებულებაც დასრულდა. გიორგი II ამის შემდეგ კიდევ დიდხანს იცოცხლა და 1112 წლის ახლო ხანებში გარდაიცვალა. დროდადრო ის ხელს აწერდა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო დოკუმენტებს და სამეფო დარბაზობებს ესწრებოდა, მაგრამ სახელმწიფოს დავითი IV განაგებდა. დავითის მეფედ კურთხევის შემდეგ გიორგი II „მეფეთ-მეფის" ტიტული მიიღო. თანაც ის უკვე „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კესაროსის" საპატიო ტიტულსაც ატარებდა. ეს ტიტული ცხადყოფს, რომ საქართველოს სამეფო კარს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული წინა აზიაში მომხდარი ძირეული ეთნო-პოლიტიკური ცვლილება - ბიზანტიამ დაკარგა „ყოვლის დასავლეთის და აღმოსავლეთის მბრძანებელი" ქრისტიანი ქვეყნის მდგომარეობა და მახლობელ აღმოსავლეთში ამ პატივის მემკვიდრედ ახლა თავს საქართველო აცხადებდა. გიორგი II-ის სიკვდილის შემდეგ ეს საპატიო წოდება დავითმა მემკვიდრეობით მიიღო, ოღონდ ბერძნული „კესაროსი" (კეისარი) ქართულმა „ძლიერ მპყრობელმა" შეცვალა.

## § 38. ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. დავით IV აღმაშენებელი და მისი ეპოქა

### 1. ბრძოლა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

სრულიად ახალგაზრდა მეფის წინაშე სამი ურთულესი ამოცანა იდგა: 1. საქართველოდან თურქი მომთაბარეების გაძევება და სელჩუკთა ბატონობისაგან ქვეყნის განთავისუფლება; 2. საქართველოს გაერთიანების დასრულება; 3. სახელმწიფო მმართველობის გარდაქმნა - რეფორმების ჩატარება.

უპირველეს ამოცანას, რა თქმა უნდა, თურქ მომთაბარეებთან ბრძოლა წარმოადგენდა. 1083 წლის ზავის შემდეგ საქართველოს თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოსთან ომი არ ჰქონია, მაგრამ თურქი მომთაბარეები, ზავის მიუხედავად, საქართველოში სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობით შემოდიოდნენ და სახლდებოდნენ. ჩვენი ქვეყანა მათ იზიდავდა უხვი საზამთრო და საზაფხულო საძოვრებით: „შემოდგომას ჩამოიელიდნენ თურქები სომხითს (ქვემო ქართლი), თავიანთი თემის კარვებით ჩამოდგებოდნენ გაჩიანს, მტკვრის პირას, თბილისიდან ბარდავამდე და იორის პირას, - წერს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი - და ყოველთა ამათ მშვენიერთა ადგილთა საზამთროთა, სადაც ზამთარში, ისევე როგორც გაზაფხულზე, ითიბება ბალახი, უხვად არის შეშა და წყალი, მრავლადაა სხვადასხვა ნადირი და ყველაფერი ის, რაც მოჰგვრის კაცს შვებას. ამ ადგილებში ჩადგამდნენ თავის კარვებს და ვერ დაითვლიდი მათ ცხენებს, ჯორებს, ცხვრის ფარებს და აქლემის ჯოგებს და ჰქონდათ სანატრელი ცხოვრება: ნადირობდნენ, ისვენებდნენ და იხარებდნენ, არ აკლდათ არაფერი. თავიანთ ქალაქებში ვაჭრობდნენ, ხოლო ჩვენ მხარეებს არბევდნენ, დიდძალი ტყვე და ალაფი გაჰქონდათ. გაზაფხულზე იწყებდნენ ასვლას სომხითის და არარატის მთებში და ზაფხულშიც ჰქონდათ შვება და

წარმოედგინა, თვით სულთანსაც კი, ოდესმე მათი აქედან გაყვანა ან მათთვის რაიმე ზიანის მიყენება თუ მოხერხდებოდა". თურქებმა აითვისეს ტაო-კლარჯეთი და შიდა ქართლშიც შეაღწიეს, მათგან დაცული მხოლოდ დასავლეთ საქართველო რჩებოდა. მომთაბარეთა თარეშისაგან შეწუხებული მოსახლეობა იყრებოდა, მამა-პაპეულ ადგილებს ტოვებდა და გამოქვაბულებს, მიუვალ მთებს და ციხეებს აფარებდა თავს.

მომთაბარეებთან ბრძოლაში წარმატების მიღწევა მხოლოდ კარგად გაწვრთნილ სამხედრო რაზმებს შეეძლოთ, რომლებიც საქართველოს საზღვრებში შემოსულ თურქებთან განუწყვეტლივ და გამუდმებით იბრძოლებდნენ. ასეთი ამოცანის შესრულება ქართული ტრადიციული ფეოდალური ლაშქრის შესაძლებლობებს აღემატებოდა. ამიტომ დავით IV თავისი ერთგულებისაგან სწრაფად მოძრავი რაზმები შექმნა და მომთაბარეებს ბრძოლა დაუწყო. ამ გზით მან თანდათან თავისი სამეფოს სხვადასხვა მხარეებიდან თურქების განდევნა მოახერხა და ხალხს მიტოვებულ სოფლებში დაბრუნების საშუალება მისცა.

ამასობაში სელჩუკთა უზარმაზარმა იმპერიამ დაშლა დაიწყო. ჯერ კიდევ 1077 წ. ბიზანტიისათვის მცირე აზიაში წართმეულ ტერიტორიაზე წარმოიქმნა რუმის სასულთნო, რომელიც ფორმალურად მალიქ-შაჰს ემორჩილებოდა, მაგრამ 1092 წ. მისი გარდაცვალების შემდეგ დამოუკიდებელ სასულთნოდ იქცა. ამ სასულთნოს სახელწოდება – რუმი – რომიდან მომდინარეობს. ასე ეძახდნენ თურქები ბიზანტიას. მალიქ-შაჰის გარდაცვალებას სელჩუკთა სახელმწიფოში შინაომი მოჰყვა და მას კიდევ რამდენიმე მხარე გამოეყო. ასეთ ვითარებაში საქართველოს თავის გამოხსნის რეალური შანსი გაუჩნდა. სელჩუკებთან გადამწყვეტი ომის დაწყების წინ დავით მეფემ ჯერ ქვეყნის შიგნით დიდგვაროვან აზნაურთა მორჩილებაში მოყვანა გადაწყვიტა. ლიპარიტ ივანეს ძე ბაღვაში თავისი დიდი პაპის და მამის გზას დაადგა და საქართველოს მეფეს არ ემორჩილებოდა. ამისთვის მეფემ ის დაატყვევა და მკაცრად გააფრთხილა. მან ყურად არ იღო დავით მეფის გაფრთხილება და კვლავ ურჩობას განაგრძობდა, მაშინ მეფემ ის ხელმეორედ დაატყვევა, ხოლო 1096 წ-ს საქართველოდან გააძევა. მის ვაჟს თრიალეთი და კლდეკარი ჩამოართვა და მხოლოდ არგვეთში საგვარეულო მამული დაუტოვა. ბაღვაშთა უკანასკნელი წარმომადგენელი რატი ლიპარიტის ძე ცოტა ხნის შემდეგ უმემკვიდროდ გარდაიცვალა. მათი საგვარეულო მამული კი, მოგვიანებით მეფემ მის მიერ აშენებულ გელათის მონასტერს შესწირა. დაახლოებით ამავე ხანებში ქართლის ერთ-ერთი დიდებული აბულეთისძეების საგვარეულო აუმხედრდა მეფეს. ძაგანი და მისი ძმა მოდისტო, რომელიც მღვდელთ-მოძღვარი იყო, ისე გათამამდნენ, რომ მცხეთის საპატრიარქო საყდარს სოფლები და მამულები წაართვეს. ასევე შიო მღვიმის „მონასტრისა რაც იყო: მთაზე ციხე, მარანი და სოფელი მატური" თავისად დაიჭირეს და „მღვიმე-მონასტერი თავის ციხედ და სადგომად გაიხადეს". დავით მეფემ შეიპყრო ძაგან აბულეთის-ძე და სასტიკად გაუსწორდა, მის მიერ ეკლესია-მონასტრებისათვის წართმეული მამულები კი ისევ თავის ძველ პატრონებს დაუბრუნა.

დავით მეფისთვის და მისი თანამებრძოლებისათვის აშკარა იყო, რომ მარტო ურჩ დიდგვაროვანთა დასჯა ქვეყანას ვერ გააძლიერებდა და ერთი დასჯილის ადგილას სხვა ურჩები გაჩნდებოდნენ. ქვეყანაში საჭირო იყო ძირეული რეფორმების გატარება. ძველი სახელმწიფო აპარატი და მმართველობის წესი, რომელიც არსებობდა როგორც „აფხაზთა", ისე „ქართველთა სამეფოში", საქართველოს გაერთიანებამდე, მორგებული იყო შედარებით მცირე ტერიტორიას, პატარა ქვეყნის მართვა-გამგეობის საჭიროებებს და გამოუსადეგარი აღმოჩნდა ერთიანი, თვისობრივად ახალი ტიპის სახელმწიფოს სამართავად, როგორსაც ბაგრატ III-ის შემდგომი ხანის საქართველო წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, არც გიორგი I-ს და მით უფრო ბაგრატ IV და გიორგი II-ს ჯერ ბიზანტიასთან, შემდგომ კი, სელჩუკებთან გაუთავებელი ომების გამო ქვეყნის მმართველობის ძირეულად გარდაქმნის შესაძლებლობა არ მიეცათ.

უნდა ვიცოდეთ, რომ ნებისმიერი სახელმწიფო ხელისუფლება სამი შტოს სახითაა წარმოდგენილი: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება, ხელისუფლების ეს შტოები მით უფრო გამოცალკევებულია ერთმანეთისაგან. მაგრამ შუა საუკუნეებში ასე როდი იყო. იმჟამად მეფე აერთიანებდა უმაღლეს საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას. საქართველოში, ისევე როგორც შუა საუკუნეების სხვა სახელმწიფოებში, არსებობდა უწყებები, რომლებიც დღევანდელ სამინისტროებს შეიძლება შევადაროთ. ეს უწყებები ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროებს ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ მათი ფუნქციები ერთმანეთისაგან ბოლომდე არ იყო გამიჯნული. ამ უწყებებს მოხელეები ედგნენ სათავეში, რომლებსაც „უხუცესები"

სამეფო კანცელარიის უფროსს, რომელსაც საქართველოში „მწიგნობართუხუცესი" ერქვა, ფუნქციები და უფლებები მნიშვნელოვნად გაუზარდა. ის სხვა უხუცესების უფროსად აქცია და მას „ვეზირი" უწოდა. „ვეზირი" სპარსული სიტყვაა და სპარსულ-არაბულ სამყაროში „მეფის მრჩეველს" აღნიშნავდა. ვეზირი დიდ როლს თამაშობდა აბასიანთა სახალიფოში. შემდგომ კი, სელჩუკთა სახელმწიფოში. პირველი ვეზირ-მწიგნობართუხუცესობა დავითმა თავისი აღმზრდელს გიორგი ჭყონდიდელს უბოძა.

მოგვიანებით მეფემ თავის ვეზირს ეკლესიის საქმეებიც დაუქვემდებარა. იმჟამად საქართველოს მეფეს, როგორც საერო პირს, უშუალოდ საეკლესიო საქმეებში ჩარევა არ შეეძლო. მეფე საეკლესიო კრებას თუ დაესწრებოდა, იქ სიტყვის წარმოთქმის უფლება არ ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ ეკლესიას და განსაკუთრებით მაღალი თანამდებობის საეკლესიო პირებს: ეპისკოპოსებს, წინამძღვრებს... , რომლებიც დიდგვაროვან აზნაურთა ოჯახებიდან წარმოსდგებოდნენ, თავი მეფისაგან დამოუკიდებლად ეჭირათ. დიდებულ აზნაურთა ოჯახებში შვილებს საეკლესიო კარიერისათვის პატარაობიდანვე ამზადებდნენ და საეკლესიო წესების გვერდის ავლით ახალგაზრდობაშივე მაღალ საეკლესიო თანამდებობაზე განაწესებდნენ. ასეთი საეკლესიო პირები ხშირ შემთხვევაში მაღალი ღირსებებით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ ისინი გასაქანს არ აძლევდნენ შედარებით დაბალი ფენებიდან გამოსულ ნიჭიერ და მცოდნე ახალგაზრდებს. ეკლესიაში რეფორმის გატარების მიზნით, დავითმა 1104 წელს საეკლესიო კრება მოიწვია, რომელიც რუის-ურბნისის კრების სახელითაა ცნობილი. კრებას ესწრებოდნენ დავითის მამა მეფეთ-მეფე გიორგი II, თავისი ავტორიტეტის მეშვეობით დავით მეფის მხარდამჭერად და გამაძლიერებლად ბიზანტიიდან სპეციალურად ჩამოსული გიორგი II-ის და, დავითის მამიდა, ბიზანტიის დედოფალი მართა, საქართველოს კათალიკოსი იოანე, გიორგი მწიგნობართუხუცესი, ეპისკოპოსები, მონასტერთა წინამძღვრები და სხვა იმჟამად ცნობილი სასულიერო პირები. კრებაზე მეფის მომხრე-რეფორმატორებსა და სამღვდელოების რეაქციულ ფრთას შორის დიდი ბრძოლა გაჩაღდა. საბოლოოდ მეფის მომხრეებმა გაიმარჯვეს, ბევრი უღირსი და უვიცი მღვდელი და ეპისკოპოსი განიკვეთა ეკლესიისაგან. მათ ნაცვლად ღირსეული პირები დაწინაურდნენ. მთელი საეკლესიო კრებების კანონების შესაბამისად, დაწესდა ასაკი, რომლის შესრულებამდე სასულიერო პირი არ შეიძლებოდა დაეკენად, მღვდლად ან ეპისკოპოსად ეკურთხათ. კრებამ მიიღო მრავალი მნიშვნელოვანი დებულება, რომელიც საეკლესიო ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ეხებოდა. კრებაზე მიღებული დადგენილება რუის-ურბნისის კრების „ძეგლის-წერის" სახელითაა ცნობილი. მისმა ტექსტმა დღემდე მოაღწია.

საეკლესიო რეფორმა ეკლესიის სახელმწიფო მმართველობის ერთიან სისტემაში შემოყვანით დასრულდა. ამისათვის დავით მეფემ ვეზირ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა ეპისკოპოსობასთან გააერთიანა და გიორგი მწიგნობართუხუცესი იმავდროულად ჭყონდიდის ეპისკოპოსად აკურთხებინა. სახელმწიფოს უმაღლესი სამოხელეო თანამდებობის მაღალ საეკლესიო თანამდებობასთან (კარდინალი, ეპისკოპოსი) შეერთება ცნობილია შუა საუკუნეების ევროპის ისტორიიდანაც. ამის შემდეგ საქართველოს მეფეთა მწიგნობართუხუცესები იმავდროულად ეპისკოპოსები იყვნენ, თანაც უმრავლეს შემთხვევაში ჭყონდიდის. ახლა მეფის სახელით უკვე ჭყონდიდელი ეპისკოპოსი განაგებდა საეკლესიო საქმეებს და ესწრებოდა საეკლესიო კრებებს, რომლებშიც ის უკვე არა მარტო როგორც ეპისკოპოსი, არამედ როგორც მეფის ვეზირი მონაწილეობდა.

საქართველოში სამეფო პოლიცია – მანდატურები ადრეც არსებობდნენ, მაგრამ დავითის დროს ეს სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროს მსგავს ცალკე უწყებად ჩამოყალიბდა. მას მანდატურთ-უხუცესი ხელმძღვანელობდა. მანდატურებს სამეფო ვამთელებში მოსავლის აღების კონტროლიც ევალებოდათ. მანდატურთუხუცესი სამეფო კარზე მიღებასაც უძღვებოდა. ამისათვის მას საგანგებო ოქროს კვერთხი – არგანი ჰქონდა. ასევე ცალკე უწყებად გამოიყო სამხედრო სამსახურიც, რომელსაც სათავეში ამირსპასალარი (სპარსულ-არაბული სიტყვაა და ნიშ. ლაშქრის მეთაურს აღნიშნავს) ჩაუდგა. დავით მეფემ ახალი ტიპის ხუთიათასკაციანი სამხედრო შენაერთი ჩამოაყალიბა, რომელიც ყმაწვილობაში ნაყიდი და შემდგომ გაქრისტიანებული ტყვე-მონებისაგან შედგებოდა. ეს შენაერთი უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა. იგი საგანგებოდ იყო გაწვრთნილი.

ქვეყნის თავდაცვის მიზნებს ემსახურებოდა აგრეთვე დავითის მიერ შექმნილი მსტოვართა სამსახური, რომელიც დღევანდელი უშიშროების სამსახურის ფუნქციას ასრულებდა. მსტოვრებს უნდა თვალყური ედევნებინათ ხელჩუკ მომთაბარეთა საქართველოს საზღვრებთან გადაადგილებისათვის და საქართველოში მათი შემოსვლის ამბავი სამეფო კარისათვის უმალვე მოეხსენებინათ. ქვეყნის შიგნით მსტოვრებს თვალყური უნდა ედევნებინათ ურჩი დიდებულებისათვის, დროულად აღმოეჩინათ მოსალოდნელი შეთქმულებები. სახელმწიფოს ფინანსებს სპეციალური უწყება განაგებდა, რომელსაც მეჭურჭლეთუხუცესი ხელმძღვანელობდა. სასახლის მრავალრიცხოვან მსახურებს, გადასახადების

მეფესთან სასახლეში – დარბაზში სახელმწიფო საბჭო იკრიბებოდა, რომელსაც ასევე „დარბაზი" ეწოდებოდა. დარბაზობაში ხამეფო კარის მოხელეები, ერისთავები და ერისთავთ-ერისთავები, უმაღლესი სამღვდელოებისა და დიდებულთა საგვარეულოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. დარბაზი მეფის სურვილით პერიოდულად იკრიბებოდა და სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტის დროს მას რჩევას აძლევდა. დარბაზი მეფესთან ერთად ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს ფუნქციასაც ასრულებდა.

დავით მეფემ მნიშვნელოვანი სასამართლო რეფორმა გაატარა. ადრე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოსულ საჩივრებს მეფე და დარბაზი განიხილავდა. დავითმა შექმნა სააპელაციო სასამართლო – სააჯო კარი. სააჯო კარის ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი უდგა სათავეში. მას სასამართლოს წარმოებაში კიდევ ორი მწიგნობარი ეხმარებოდა. სააჯო კარი ყოველ ორშაბათს იხილავდა მომჩივანთა საქმეებს და საბოლოო განაჩენი გამოჰქონდა.

აპელაცია

ლათინური სიტყვა „აპელაციოდან" მოდის, რაც მიმართვას, საჩივარს ნიშნავს. სააჯო კარს ადგილზე გამოტანილი სასამართლო განაჩენის გადასინჯვის უფლება ჰქონდა.

საქართველოს ცალკეულ მხარეებს ერისთავები და ერისთავთ-ერისთავები განაგებდნენ. მათ ადგილზე გადასახადის აკრეფა, საერისთავოს ლაშქრის გამოყვანა და ადგილზე სასამართლო საქმე ევალებოდათ. ერისთავები და ერისთავთ-ერისთავები დიდი ხელისუფლებით სარგებლობდნენ. ერისთავთ-ერისთავებს რამდენიმე ერისთავი ემორჩილებოდა. ჩვეულებრივ, ერისთავები და ერისთავთ-ერისთავები ერთიდაიგივე საგვარეულოდან ინიშნებოდნენ. ერისთავს, ისევე როგორც ერისთავთ-ერისთავს, თანამდებობაზე დანიშვნის დროს საყდარში კათალიკოსი ან მთავარეპისკოპოსი საგანგებოდ აკურთხებდა და უბურებდა, რომ „გლახაკთა და ნაკლულევანთა (ფიზიკური ნაკლის მქონეთ) მიმართ მოწყალება გამოეჩინა, სასამართლო განაჩენი უქრთამოდ და სამართლიანად გამოეტანა და ერისთაობის პერიოდში მისი ქვეშევრდომები მშვიდობაში და მორჩილებაში ყოფილიყვნენ".

## 2. თურქ-სელჩუკების განდევნა საქართველოდან და საქართველოს გაერთიანების დასრულება.

ჩვენთვის უკვე ცნობილი მანაზკერტის ბრძოლის შემდეგ, სელჩუკებმა ანატოლიასთან ერთად ბიზანტიელებს აღმოსავლეთ სირია ქ. ანტიოქიით წაართვეს, ეგვიპტის სახალიფოს კი – დასავლეთ სირია და პალესტინა, ქრისტიანთა წმინდა ქალაქ იერუსალიმითურთ, სადაც ქრისტეს საფლავი იმყოფება. სელჩუკების მიერ იერუსალიმის დაპყრობა საბაბი გახდა ისტორიაში ცნობილი მოვლენისა, რომელსაც „ჯვაროსანთა ლაშქრობებს" უწოდებენ.

1090 წ. სელჩუკები უშუალოდ კონსტანტინოპოლს დაემუქრნენ, მაშინ ბიზანტიის კეისარმა დახმარებისათვის ევროპის სახელმწიფოებს მიმართა. 1095 წელს სამხრეთ საფრანგეთში, კლერმონში კათოლიკეთა საეკლესიო კრება გაიმართა, სადაც რომის პაპმა ურბან II სელჩუკთა წინააღმდეგ ქრისტეს საფლავის გათავისუფლებისათვის ლაშქრობის დაწყება გამოაცხადა.

რომის პაპმა ურბან II კრების დამთავრების შემდეგ ქალაქის გარეთ დიდ მინდორზე შეკრებილ მორწმუნეებს მიმართა და „ურწმუნოთაგან" (მუსლიმთაგან) ქრისტეს საფლავის გამოხსნისაკენ მოუწოდა. პაპის ამ მოწოდებას ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ხალხი დიდი აღტაცებით შეეგება. ევროპელ რაინდებს დიდი ხანია იზიდავდა მახლობელი აღმოსავლეთის უმდიდრესი ქალაქები. ლაშქრობაში მონაწილეობის მოსურნენი თავიანთ სამოსზე წითელი ქსოვილის ჯვრებს იკერებდნენ, ამიტომ მათ „ჯვაროსნები" ეწოდათ. მახლობელ აღმოსავლეთში ჯვაროსანთა სულ რვა ლაშქრობა მოეწყო. ბოლო ჯვაროსნული ლაშქრობა 1270 წ. მოხდა.

ჯვაროსნების პირველი ლაშქრობა 1096 წ. დაიწყო. დასავლეთ ევროპიდან ჯვაროსნები კონსტანტინოპოლის კედელთან შეგროვდნენ, საიდანაც ისინი ბიზანტიის კეისარმა მცირე აზიაში გემებით გადაიყვანა.. ჯვაროსნებმა აიღეს ქალაქები ედესა, ანტიოქია, 1099 წ-ს კი იერუსალიმი. აღებულ ქალაქებში ჯვაროსნებმა სასტიკი ხოცვა-ჟლეტა გამართეს და ათასობით მუსლიმი ამოწყვიტეს. სელჩუკთა მიერ მათი საშფლობელის უკიდურეს დასავლეთში განცდილ ამ მარცხს სამხრეთ კავკასიაზე და საქართველოზე უშუალო გავლენის მოხდენა არ შეეძლო, მაგრამ მორალურად ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: სელჩუკთა დაუმარცხებლობის მითი გაქრა და ქართველებს მათთან ბრძოლაში გამარჯვების იმედი მიეცათ.

საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენას ნიშნავდა. იმჟამად შინაომებში ჩაბმულმა სელჩუკთა სახელმწიფომ საქართველოზე გამოლაშქრებისათვის ვერ მოიცალა. 1104 წ. რუის-ურბნისის კრების ცოტა ხნის შემდეგ ჰერმა დიდებულებმა ძმებმა არიშიანმა და ბარამმა და მათმა დედის ძმამ ქავთარმა კახეთის უკანასკნელი მეფე აღსართანი შეიპყრეს და დავით მიჰგვარეს. „ქართლის ცხოვრება“ ასე ახასიათებს აღსართანს: „არა ჰქონდა ნიჭი მეფობისანი, რამეთუ იყო ცუნდრუკი რამე, უგუნური და უმეცრად უსამართლო“. დავითმა შემოიერთა კახეთ-ჰერეთი და „აფხაზთა და ქართველთა“ მეფის ტიტულს „კახთა და რანთა (ჰერთა)“ მეფის ტიტულიც დაუმატა.

კახეთის სამეფოს შემოერთებას სელჩუკთა უსწრაფესი რეაქცია მოჰყვა. იმავე 1104 წელს საქართველოში სელჩუკთა სულთნის დიდი ლაშქარი შემოიჭრა, რომელსაც განძის ათაბაგის ლაშქარიც ახლდა. თურქებთან მოლალატე ქართველებიც მრავლად იყვნენ, რომლებიც საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. დავით მეფემ დიდი ჯარის შეკრება ვერ მოასწრო და მცირე ძალით შეეგება მტერს. ბრძოლა ერწუხში მოხდა. ქართველები თავგანწირულად იბრძოდნენ, არნახული ვაჟკაცობის და გმირობის მაგალითს თვითონ მეფე იძლეოდა. ამ ბრძოლაში სამი ცხენი მოუკლეს და ომი მეოთხე ცხენზე დაასრულა. მემატიანის ცნობით, როდესაც მეფემ ბრძოლის შემდეგ სარტყელი შეიხსნა, აბჯარში დაგროვილი მტრის იმდენი სისხლი დაიღვარა, რომ თანამებრძოლებს დაჭრილი თვით მეფე ეგონათ.

ერწუხთან გამარჯვების შემდეგ დავით მეფე ქვემო ქართლში გამაგრებულ სელჩუკთა წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა. 1110 წ. ქართველებმა სამშვილდის და ძერნას ციხე აიღეს. ამით შეშინებულმა თურქებმა ქვემო ქართლის ციხეთა უმეტესობა თვითონვე მიატოვეს და გაიქცნენ. ქართველთა მიერ ქვემო ქართლის უმრავლესი ციხეების დაკავების შემდეგ, ფაქტობრივად ბოლო მოეღო კვირიკიანთა ტაშირ-ძორაგეტის ანუ იგივე ლორეს სამეფოს. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სომეხთა მიერ დაპყრობილი ეს ქართული მხარე ისევ დანარჩენ საქართველოს დაუბრუნდა. თუმცა ამ სამეფოს ცენტრალური ციხე-ქალაქი ლორე, რომელიც ცოტა ხნით ადრე სელჩუკებმა დაიკავეს და აგრეთვე ამ სამეფოს შემადგენლობაში მყოფი, ისტორიული ხუნანის საერისთავოს ტერიტორიაზე მდებარე რამდენიმე ციხე, მათ შორის თვით ციხე-ქალაქი ხუნანი ჯერ ისევ თურქების ხელში რჩებოდა.

ქვემო ქართლიდან თურქ მომთაბარეთა განდევნას სელჩუკთა მორიგი ლაშქრობა მოჰყვა. თურქები ამჟამად, მემატიანის სიტყვით, ისე ჩუმად და მოხერხებულად მოძრაობდნენ, რომ როდესაც ქართველებმა მათი მოსვლის ამბავი შეიტყვეს, უკვე თრიალეთამდე მოეღწიათ. დავით მეფეს მტრის შემოჭრა საღამო ხანს მოახსენეს. იმჟამად ის ნაჭარმაგევს იდგა ათას ხუთას კაციანი რაზმით. მეფემ უფრო დიდი ლაშქრის შემოკრებას აღარ მოუცადა, სასწრაფოდ მტერს მიაშურა, მთელი ღამე იარა და თურქებს განთიადისას დაესხა თავს. მოულოდნელობისაგან ნირწამხდარმა მომთაბარეებმა ქართველთა შეტევას ვერ გაუძლეს, მთელი ავლა-დიდება მიატოვეს და თავზარდაცემულები უკან გაიქცნენ. ქართველები ასეთ სწრაფ გამარჯვებას არ ელოდნენ და გაოცებულებიც კი დარჩნენ. საქმე ისაა, რომ საქართველოს მეფეს უკვე შორს ჰქონდა სახელი გავარდნილი და მისი ერთი გამოჩენაც კი თურქებს შიშის ზარს სცემდა. ამ გამარჯვების შემდეგ, 1115 წ. ქართველთა ლაშქარმა გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მეთაურობით რუსთავის ციხე-ქალაქი გამოსტაცა თურქებს. 1118 წ. კი, დავით მეფემ ციხე-ქალაქები ლორე და აგარანიც გაანთავისუფლა. ლორეს აღების შემდეგ მეფემ თავის ტიტულატურას „სომეხთა (იგულისხმება ტაშირ-ძორაგეტის სამეფო) მეფის“ ტიტულიც დაუმატა. დაახლოებით 1123 წლისათვის დავით მეფემ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარე სელჩუკების ხელში მყოფი გაგი, ქავაზინი და სხვა ციხეებიც გაანთავისუფლა.

სელჩუკებთან ბრძოლაში დავით IV მოკავშირეებს ეძებდა. ამ მიზნით, მან ადრევე თავისი უფროსი ქალიშვილი თამარი შარვანის შაჰ აფრიდუნის ვაჟს, მანუჩარს მიათხოვა, ხოლო ბიზანტიის კეისრის ალექსი კომნენოსის უმცროს ვაჟს, ისააკს თავისი მეორე ქალიშვილი კატა გააყოლა. მათ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვებით, „როგორც ორის მნათობს - ერთს აღმოსავლეთით და მეორეს დასავლეთით - უნდა გაეცისკროვნებინათ ცის კამარა მამისაგან მიღებული მზისებრი შარავანდედით“.

მომთაბარეები საქართველოში სულ უფრო და უფრო იშვიათად შემოდიოდნენ და მხოლოდ, როცა მეფეს შორს დაიგულებდნენ, მაშინ თუ გაბედავდნენ გამოსაზამთრებლად მტკვრისპირა ველებში ჩამოდგომას. უფრო მეტიც, ხშირად მეფე ზამთრის პირას აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში) საგანგებოდ გადადიოდა, რათა მომთაბარეები საქართველოში შემოეტყუებინა და შემდგომ მოულოდნელად თავს დასცხრომოდა. დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი ასეთი გადასვლის შემდეგ ისეთი დიდი თოვლი მოვიდა, რომ მიმოსვლა ლიხის ქედზე შეუძლებელი გახდა. მიუხედავად ამისა,

გადმოვიდა, სადაც თურქებთან საბრძოლველად გამზადებული ლაშქარი ელოდებოდა. ქართველები მოულოდნელად თავს დაესხნენ მტერს და მუსრი გაავლეს, ისე რომ „ამბის მთხრობელიც არ დარჩათ".

დავით მეფეს თურქთა არც ერთი შემოსევა დაუსჯელი არ დაუტოვებია, ამით მან მომთაბარეებს საქართველოში ჩამოსახლების სურვილი სამუდამოდ დაუკარგა.

ლორეს აღების შემდეგ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი უკვე დროის საქმე იყო. ფაქტობრივად მეფეს მხოლოდ თბილისი, დმანისი და მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ქვემო ქართლის კიდევ რამდენიმე ციხე არ ემორჩილებოდა. მაგრამ საქართველოს მეფეს უფრო დიდი მიზნები ამოძრავებდა: მას თურქებისაგან სომხური მიწების გათავისუფლება და თავის ხელქვეით სამხრეთ კავკასიის გაერთიანება სურდა. ასეთი მასშტაბური პოლიტიკის საწარმოებლად საქართველოს ლაშქარი საკმარისი არ იყო და დავით IV უკვე კარგა ხანია მრავალრიცხოვანი მუდმივი ჯარის შექმნაზე ფიქრობდა. ამ მიზნით, მან ადრევე ურთიერთობა დაამყარა კავკასიის ჩრდილოეთ ველებში მომთაბარე თურქული მოდგმის ყივჩაყებთან და მეორე ცოლად ყივჩაყთა მთავრის ასული გურანდუხტი მოიყვანა. ამ დროისათვის ყივჩაყები ძალზე შეავიწროვა კიევის რუსეთის დიდმა მთავარმა ვლადიმერ მონომახმა, რომელმაც რამდენჯერმე ილაშქრა ყივჩაყეთში და მათ მძიმე მარცხი მიაყენა. უკანასკნელ ასეთ ლაშქრობას 1116 წ-ს ჰქონდა ადგილი, ამიტომ ყივჩაყები სიხარულით შეხვდნენ დავით მეფის წინადადებას საქართველოში გადმოსახლების შესახებ. მათ მხოლოდ ოსეთზე გამავალი გზის უსაფრთხოება მოითხოვეს. 1118 წელს საქართველოს მეფე თავის აღმზრდელთან და ერთგულებ თანამებრძოლთან გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიაში, ოსეთში გადავიდა. ოსები და ყივჩაყები ერთმანეთთან შეარიგა, ორთავეს მძევლები ჩამოართვა და ყივჩაყებს საქართველოსაკენ გზა გაუხსნა. ოსეთში ყოფნისას გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი გარდაიცვალა. დავით მეფემ თავისი გამზრდელი ორმოცი დღე მამასავით იგლოვა. ქართველებმა გიორგის ცხედარი საქართველოში გადმოასვენეს და იმჟამად მშენებარე გელათის სამონასტრო კომპლექსში დაკრძალეს.

ასეთნაირად დავით IV საქართველოში ორმოცი ათასი ყივჩაყი მეომარი მათი ცოლებით და ბავშვებით გადმოიყვანა, რითაც საქართველოს სამხედრო ძლიერება მნიშვნელოვნად განამტკიცა. ყივჩაყები სელჩუკებისაგან აოხრებულ მიწებზე დაასახლეს, სასალარები და გამგებლები მიუჩინეს. მალე მრავალმა ყივჩაყმა ქრისტეს სჯული აღიარა და მოინათლა. გახარებული ქართველი მემატიანის ცნობით, „სიმრავლე ურიცხვი შეუძინებოდა ქრისტესა".

ამის შემდეგ დავით მეფემ თბილისის აღება გადაწყვიტა. თბილისი 1082 წლიდან, ბოლო ჯაფარიანი ამირას გარდაცვალების შემდეგ, ქალაქის 12 ბერის (უხუცესის) ხელში გადავიდა, რომელთაგანაც თითოეული თითო თვეს განაგებდა ქალაქს. ამგვარად, თბილისმა თვითმმართველობა შეიძინა, რომლის დაკარგვასაც ის ძალზე უფრთხილდებოდა. მით უფრო, რომ ქალაქს იმჟამად გაცხოველებული ალებ-მიცემობა (ვაჭრობა) ძირითადად აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნებთან ჰქონდა და საქართველოს მეფის

## ყივჩაყები

თურქული მოდგმის ყივჩაყები ჩრდილოეთ კავკასიის ველებში XI ს-ის II ნახევარში დამკვიდრდნენ, სადაც მათ ასევე თურქული მოდგმის პაჭანიკები შეცვალეს. სახელწოდება „ყივჩაყ" ჩვენში წარმართებმა, უშუალოდ ამ ხალხის თვითსახელიდან გადმოიღეს. ძველი რუსები ყივჩაყებს „პოლოვცებს" უწოდებდნენ, რაც აღმოსავლეთ სლავურ ენაზე „ყვითელს", „მოყვითალოს" ნიშნავს და მათ მონღოლოიდურ გარეგნობაზე მიუთითებს. დასავლეთ ევროპის ხალხები, ერთ-ერთი ყივჩაყური ტომის სახელის მიხედვით, მათ „კუმანებს" უწოდებდნენ. „კუმანებიდან" მოდის ჩრდილოეთ კავკასიის ველის მდინარისა და მხარის – „კუმანის", ქართულად „კუმანის" სახელიც.

## კიევის რუსეთი

კიევის რუსეთი აღმოსავლეთ სლავების – დღევანდელი რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების ძველი საერთო სახელმწიფო. მისი დედაქალაქი კიევი იყო. ეს სახელმწიფო ჯერ კიდევ 860 წ. შეიქმნა, როდესაც პირველმა მთავარმა ოლეგმა ნოვგოროდის და კიევის სამთავროები გააერთიანა. ოლეგი წარმოშობით სკანდინაველი ლეგენდარული რიურიკის შთამომავალი იყო, ამიტომ ძველი კიევის რუსეთის მთავართა დინასტიას რიურიკოვიჩების დინასტია უწოდებოდა. კიევის რუსეთში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად 988 წლიდან იქცა. ძველ რუსეთში გამოიყენებოდა სლავური ანბანი, რომელიც ბერძნულის საფუძველზე IX ს-ში შექმნეს ბულგარეთში მოღვაწე ბიზანტიელმა ბერებმა კირილემ და მეთოდემ. როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ამ ანბანის შექმნის დროს ბიზანტიელმა ბერებმა სხვა ანბანებთან ერთად ქართული ანბანიც გამოიყენეს. XI ს-ში კიევის რუსეთში შეიქმნა ისტორიული თხზულება „გარდასულ წელთა ამბავი", რომელშიც აღმოსავლეთ სლავების ისტორიაა მოთხრობილი. ვლადიმერ მონომახი (1113-1125) კიევის რუსეთის ბოლო ძლიერი „დიდი მთავარია". მისი სიკვდილის შემდეგ, ეს სახელმწიფო ცალკეულ სამთავროებად დაიშალა.

მიერ ქალაქის აღების შემთხვევაში ამ სავაჭრო კავშირების გაწყვეტის ეშინოდა. 1120 წლისათვის დავით მეფემ თბილისის მესვეურებთან ურთიერთობაში პირველ წარმატებას მიაღწია: ქალაქი დათანხმდა დავითისათვის ყოველწლიურად ათი ათასი დინარი გადაეხადა და მეფისადმი დამორჩილების ნიშნად ქალაქის ციხეში მეფის მოლაშქრეთა სიმბოლური რიცხვი - ციხისთავი ათი მეციხოვნით ჩაეყენებინა. შეთანხმებით არც ერთი მხარე არ იყო კმაყოფილი. საქართველოს მეფეს თბილისის საქართველოს დედაქალაქად გადაქცევა სურდა, ხოლო ქალაქი დამოუკიდებლობას ვერ თმობდა. ასეთ ვითარებაში თბილისელი მუსლიმი ვაჭრები, დავით მეფისაგან მალვე შევიწროებულ დმანისელ და განძელ ვაჭრებთან ერთად თურქ მომთაბარეებს დაუკავშირდნენ. მათ სელჩუკთა სულთანის კარზე ერთობლივი ელჩობა გაგზავნეს. წარგზავნილებმა გლოვის ნიშნად ჩულები და პირ-სახე შავად შეიღებეს და სულთანს საქართველოს მეფისაგან დაცვა თხოვეს. თბილისი წინა აზიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და უმდიდრეს ქალაქს წარმოადგენდა, ამიტომ სულთანმა საქართველოს საგანგებოდ დასჯა გადაწყვიტა და მის ხელქვეით მყოფ მუსლიმ ამირებს ლაშქრის შეკრება უბრძანა. მუსლიმთა უზარმაზარი ლაშქარი - ზოგი ცნობით, ექვსასი, სხვათა ცნობით კი, სამასი ათასი ერზერუმისა და კარის (ყარსი) გავლით საქართველოში შემოიჭრა და თრიალეთს მოადგა. დავით IV მუსლიმთა ამ კოალიციურ (გაერთიანებულ) ლაშქარს 55.600 კაციანი ლაშქარი დაუპირისპირა. ქართველების გვერდით 15 ათასი ყივჩაყი, 500 ოსი, და 100 ჯვაროსანი რაინდი იბრძოდა. დავით IV საქართველოსათვის ამ გადამწყვეტ ომში ახლად ჩამოყვანილ ყივჩაყებს ბოლომდე ვერ ენდო და მათი მხოლოდ ერთი ნაწილი გამოიყვანა. ქართველებმა მტერი დიდგორის ველზე შემოატყუეს. ბრძოლის წინ მეფემ ქართველთა ლაშქარს სიტყვით მიმართა და თავგანწირული ბრძოლისაკენ მოუწოდა. მან თავის ლაშქარს უკანდასახევი გზა დიდი მორებით ჩაახერგინა. ყველამ იცოდა, რომ გადარჩენა მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში იყო შესაძლებელი. ბრძოლა 1121 წლის 12 აგვისტოს დილმარხვის ხუთშაბათ დღეს მოხდა. ქართველთა ჯარს მეფის გეგმის თანახმად, ორასი თავგანწირული მეომარი გამოეყო, რომელიც სელჩუკების ლაშქრისაკენ გაემართა. მტერმა მისკენ მიმავალ მეომართა მცირერიცხოვანი რაზმი მათ მხარეზე გადმოსულებად მიიჩნია და თავის რიგებში უჯრებლად შეუშვა. მაშინ ქართველებმა მახვილები იშიშვლეს და მტრის ლაშქრის ცენტრს შეუტიეს. ამან სელჩუკთა რიგებში არევ-დარევა შეიტანა. იმავდროულად საქართველოს ლაშქარი მტერს ფლანგებიდან ეძგერა. დასავლეთის ფრთას თვით დავით მეფე მეთაურობდა, ხოლო სელჩუკთა ცენტრს მთიდან დაშვებულმა დემეტრე უფლისწულმა შეუტია. მტერმა ქართველთა ლაშქრის ერთიან შეტევას ვერ გაუძლო და გაიქცა. დიდგორის ბრძოლა სულ სამი საათი გაგრძელდა და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. სელჩუკთა უმეტესი ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა, ოთხი ათასი კაცი კი, ტყვედ ჩავარდა. გამარჯვებულებმა შორ მანძილზე, სამოცდაათი კილომეტრი სდიეს მტერს. ქართველებს უზარმაზარი ნადავლი ჩაუვარდათ ხელთ. თვალა არ ჰქონდა ოქროსა და ვერცხლის ნივთებს, არაბულ ცხენებს, ასურულ ჯორებს, კარვებს, ულამაზეს და უძვირფასეს ჭურჭელს, სხვადასხვა სახის საბრძოლო იარაღს, მათ შორის ქალაქის კედლების სანგრევ მანქანებს. ამის შემდეგ თბილისის აღებას უკვე ვერაფერი დაუდგებოდა წინ. მართლაც 1122 წ-ის თებერვალში თბილისი საქართველოს მეფეს დანებდა. დავით IV სატახტო ქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. ძველი ქართველი ისტორიკოსი ამ ფაქტს სიამაყის გრძნობით აღნიშნავს: „აიღო მეფემ ქალაქი ტფილისი ... ოთხასი წელთა სპარსთა (აქ იგულისხმება მუსლიმები) ხელში ნამყოფი და დაუმკვიდრა თავის შთამომავლებს სატახტო ქალაქად საუკუნოდ".

1124 წ. დავით მეფემ მუსლიმთა ხელში მყოფი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ქართული ქალაქი დმანისიც გაათავისუფლა.

თბილისის აღების შემდეგ საქართველოს მეფე შარვანის შემოერთებას შეუდგა. შარვან შაჰი აყრიდუნი და დავით მეფე მძახლები იყვნენ - დავითის ასული თამარი აყრიდუნის ვაჟზე, მანუჩარზე იყო დაქორწინებული, მაგრამ საქართველო-სელჩუკების ორთაბრძოლაში მას უფრო სელჩუკთა მხარე ეჭირა. ამის გამო 1117-1120 წწ-ში ჯერ უფლისწულმა დემეტრემ და შემდგომ თვით დავით მეფემ ორჯერ ილაშქრეს შარვანში. ამ ლაშქრობების შემდეგ შარვანი საქართველოს ყმადნაფიც ქვეყნად იქცა. დიდგორის ბრძოლაში დამარცხებისა და ქართველთა მიერ თბილისის აღების შემდეგ, სელჩუკთა სულთანმა კიდევ ერთხელ გადაწყვიტა საქართველოს გასწორებოდა. 1123 წ. ის შარვანში შემოიჭრა, საქართველოს ყმადნაფიცი შარვან შაჰი შეიპყრო და დავით მეფეს

*ყმადნაფიცობა*

ყმადნაფიცობა შუა საუკუნეებში ერთი სახელმწიფოს მეორეზე დამოკიდებულებას აღნიშნავდა. ყმადნაფიცი ქვეყანა ვალდებული იყო თავისი სიუზერენის (ბატონის) ქვეყნისათვის ყოველწლიურად ხარკი ეხადა და საჭიროების შემთხვევაში მას ჯარით დახმარებოდა. თავის მხრივ, სიუზერენს ყმადნაფიცი ქვეყანა გარეშე მტრისაგან უნდა დაეცვა.

შეურაცხმყოფელი წერილი გაუგზავნა. წერილში ის საქართველოს მეფეს „ტყეთა მეფეს" უწოდებდა, რომელიც შიშით „ვერაგობას გამოიყენებდა ველად". დავით მეფემ ორმოცდაათი ათასიანი ლაშქარი შეკრიბა და სასწრაფოდ შარვანის დედაქალაქ შამახიაში დაბანაკებული სელჩუკთა სულთნის წინააღმდეგ გაილაშქრა. სულთანს დავითის ასეთი დიდი ლაშქრით მოსვლა რომ მოესმინა, შეშინდა და ქალაქ შამახიაში ჩაიკეტა. დავითმა ქალაქს ალყა შემოარტყა. შიმშილით და წყურვილით შეწუხებულმა სელჩუკთა სულთანმა დავითს პატიება და თავის ქვეყანაში უვნებლად გაშვება სთხოვა. დავით მეფემაც მას „გაპარვის" საშუალება მისცა. ქართველთა ლაშქარი კი საქართველოში დაბრუნდა. სელჩუკთა სულთნის მიერ შარვანის დაკავებამ და შარვან-შაჰის „დატყვევებამ", როგორც ჩანს, დავით მეფე თავისი ყმადნაფიცის ერთგულებაში დააეჭვა. ამიტომ მან შარვანის უშუალოდ შემოერთება გადაწყვიტა. 1123–1124 წწ-ში საქართველოს მეფემ რამდენჯერმე ილაშქრა შარვან-შაჰის წინააღმდეგ. ქართველებმა შარვანის ყველა ციხესიმაგრე დაიკავეს, მათ შორის შარვანის დედაქალაქი შამახიაც. დავით მეფემ შარვანის ციხესიმაგრეებში ქართველი მეციხოვნეები ჩააყენა, ხოლო ამ მხარის მმართველობის საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე, დროებით გამგებლად საქართველოს ვეზირი სვიმეონ ბედიელ-ალავერდელ-მწიგნობართუხუცესი დატოვა. შარვანიდან საქართველოს ლაშქარი დარუბანდის სამიროში შეიჭრა და ეს სამთავროც დაიმორჩილა.

სელჩუკებთან ბრძოლაში ქართველთა არნახულმა წარმატებამ სომხებს მუსლიმთა ბატონობისაგან განთავისუფლების იმედი აღუძრა. 1124 წლის აგვისტოში დავით მეფე ანისელმა სომხებმა თავიანთი თავკაცების პირით ქალაქში მოიწვიეს და შადადიანი ამირების ბატონობისაგან განთავისუფლება სთხოვეს. საქართველოს მეფე დაუყოვნებლივ ანისისკენ დაიძრა. ქართველებმა მუსლიმთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, სელჩუკთა სამოცწლიანი ბატონობის ქვეშ მყოფი ყოფილი შირაქის სამეფოს დედაქალაქი ანისი გაათავისუფლეს და საქართველოს შემოუერთეს. ბიზანტიელი დედოფლის კატრონიდეს მიერ აგებული ანისის ცენტრალური ტაძარი იმჟამად მეჩეთად იყო გადაკეთებული. დავით მეფემ ის კვლავ ქრისტიანული წესით აკურთხებინა და იქვე დაკრძალული დედოფლის საფლავს სამგზის ჩასძახა: „გიხაროდენ წმინდაო დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმა შენი საყდარი უსჯულოთა ხელთაგან." დავით მეფემ ანისის შადადიანი გამგებელი შაჰან-შაჰი აბულასვარი თავის რვა ძმასთან ერთად ოჯახებიანად დასავლეთ საქართველოში გადაასახლა და საქართველოს მეფის ტიტულატურას კიდევ ერთი - „ანისის შაჰან-შაჰის" ტიტულიც მიუმატა **(იხ. რუკა 17).**

დავით IV-ის ხანა საქართველოს ისტორიაში მარტო გამუდმებული ომების ხანა როდი იყო, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. თურქ მომთაბარეთა განდევნამ, ქვეყნის გაერთიანების დასრულებამ და დამოუკიდებლობის აღდგენამ ქართული საზოგადოების ცხოვრების დიდი აღმავლობა გამოიწვია. ამას თვით დავით მეფეც უწყობდა ხელს. დავით მეფე არა მარტო შესანიშნავი სარდალი და დიდი პოლიტიკოსი, არამედ თავისი დროის უაღრესად განათლებული კაციც იყო. მეფეს წიგნის კითხვა ძალზე უყვარდა. დავით მეფემ შეაგროვა როგორც ორიგინალური ქართული, ისე ბერძნულიდან თუ არაბულიდან ქართულად თარგმნილი ხელნაწერი წიგნები და იმ პერიოდისათვის საუცხოო ბიბლიოთეკა შექმნა, რომელიც მუდმივი მიმოსვლისა თუ ლაშქრობების დროს აქლემებით და ჯორებით სულ თან დაჰქონდა. დავით მეფის მემატიანის ცნობით, როგორც კი მეფე ცხენიდან გადმოვიდოდა, ის უპირველეს ყოვლისა წიგნს მოიკითხავდა და კითხვას შეუდგებოდა. კითხვის სიყვარულმა დავით მეფეს ერთ-ერთი ბრძოლა კინაღამ წააგებინა: მომთაბარეებზე ჩასაფრებულ მეფეს მისი მოწინავე რაზმის მტერთან შეტაკება გამოეპარა და სანამ მან წიგნს თვალი მოსწყვიტა და ბრძოლაში ჩაება, მოწინავე რაზმი მტერმა ლამის ამოჟლიტა. ამის შემდეგ მოლაშქრეები ერთ ხანს ჩუმ-ჩუმად ბუზღუნებდნენ კიდეც, რომ ისინი მეფემ წიგნის კითხვას კინაღამ გადააყოლა.

დავით აღმაშენებელი თავისი დროის უბრალოდ განათლებული კაცი როდი იყო, ის იყო ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსი, ბრწყინვალე თეოლოგი – როგორც ქრისტიანული ისე ისლამური ღვთისმეტყველების შესანიშნავი მცოდნე. წყაროები მოგვითხრობენ საეკლესიო კრებაზე, რომელიც ქართველ და სომეხ საეკლესიო მოღვაწეთა თანხმობით შეიკრიბა და ქართულ (დიოფიზიტურ) და სომხურ (მონოფიზიტურ) აღმსარებლობათა შორის ჭეშმარიტი აღმსარებლობის დადგენას ემსახურებოდა. ამ კრებაზე დავით აღმაშენებელმა თავი ისე გამოიჩინა და ქრისტიანული თეოლოგიის ისეთი სიღრმეების ცოდნა უჩვენა, რომ ორივე აღმსარებლობის მღვდელმსახურები განცვიფრებაში მოიყვანა. ცნობილია დავითის პოლემიკა (კამათი) ქალაქ განძის ყადიებთან (მუსლიმი ღვთისმეტყველი და მოსამართლე) ისლამისა და ქრისტიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. კამათის დროს საქართველოს მეფემ თავისი განსწავლულობით განცვიფრებაში მოიყვანა მუსლიმი ღვთისმეტყველები.

დავით მეფემ კარგად იცოდა, რომ საქართველოს ბრძოლის ველზე გამარჯვებებთან ერთად

ახალგაზრდების უცხოეთის სახელგანთქმულ სასწავლო-სამონასტრო ცენტრებში გაგზავნა და თვით საქართველოში იმ დროის შესაბამისი დონის სასწავლებლების შექმნა. პირველ გზას ჯერ კიდევ გიორგი მთაწმინდელმა დაუდო სათავე, როდესაც მან ათონის მთაზე სასწავლებლად სპეციალურად შერჩეული ყმაწვილები წაიყვანა. დავით მეფემაც ორმოცი ყმაწვილი შეარჩია და ბიზანტიაში გააგზავნა, რათა უცხო ენები ესწავლათ, უცხო ენებზე დაწერილი წიგნები ქართულად ეთარგმნათ და სამშობლოში ჩამოეტანათ, რაც მათ შეასრულეს კიდეც.

ჯერ კიდევ ერწუხის ბრძოლის შემდეგ დავით მეფე საკუთრივ საქართველოში სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მშენებლობას შეუდგა. ეს იყო გელათი, რომელიც, როგორც მონასტერი, უმაღლესი სასწავლებელი – აკადემია და ქსენონი (საავადმყოფო) მოიაზრებოდა. მეფემ მას დიდძალი მამულები და ძვირფასეულობა შესწირა, მათ შორის დიდგორთან გამარჯვებით მოპოვებული არაბთა მეფის გვირგვინი და სხვა ნაალაფარი.

დავით მეფე ყურადღებას აქცევდა საქართველოს გარეთ მდებარე ქართულ ეკლესია-მონასტრებსაც.

საქართველოს მეფე დიდად ზრუნავდა ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარება-გაცხოველებისათვის. ის არ ერიდებოდა უცხო ქვეყნებიდან ვაჭართა საქართველოში გადმოსახლებას. ასე გადმოასახლა მეფემ სომხები და ისინი მის მეფობაში ქალაქად ქცეულ გორში ჩაასახლა. იმჟამად სომხები წინა აზიის ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. მათი გადმოსახლებით დავით მეფე ამ ვაჭრობის ცენტრის საქართველოში გადმოტანას ცდილობდა. დავით მეფე მუსლიმ ვაჭარ-ხელოსნებსაც მფარველობდა, რომლებიც სელჩუკებისაგან განთავისუფლებული ქალაქების (თბილისი, დმანისი, რუსთავი, ანისი, შამახია ... ) მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ. უფრო მეტიც, თბილისის აღების შემდეგ დავით მეფემ მთელი რიგი პრივილეგიები მიანიჭა მუსლიმ ვაჭრებს: უფრო ნაკლები გადასახადი დაუწესა, ვიდრე ქრისტიანებს და ებრაელებს. მეფემ პირობა მისცა თბილისის მუსლიმებს, რომ მათ უბანში ღორს არ გადაუშვებდნენ, არ დაკლავდნენ და მის ხორცს ბაზარზე გასაყიდად არ გაიტანდნენ. ყოველივე ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ ქართველთა მიერ დაკავებული ქალაქებიდან შეშინებული მუსლიმი ვაჭრები არ აყრილიყვნენ და ოჯახებითურთ საქართველოდან არ გაქცეულიყვნენ. ეს საქართველოს ვაჭრობას მეზობელ თუ შორეულ მუსლიმურ სახელმწიფოებთან ძალზე შეამცირებდა და ქვეყანას მძიმე ეკონომიკურ ზარალს მიაყენებდა. ასე ჩაეყარა საფუძველი საქართველოს სამეფო კარზე შემუშავებულ შემწყნარებლურ – ტოლერანტულ პოლიტიკას, რომელსაც დავითის გარდაცვალების შემდეგაც ჩვენი მეფეები საუკუნეების განმავლობაში აგრძელებდნენ. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ საქართველოს მეფე თანაბრად მზრუნველი იყო თავისი ქრისტიანი თუ მუსლიმი ქვეშევრდომების მიმართ. საქართველოს მეფე დიდ პატივს მიაგებდა მუსლიმ სწავლულებს და ღვთისმეტყველებს. მუსლიმი ქვეშევრდომების რწმენის პატივსაცემად დავითი თვითონაც შედიოდა მეჩეთში და მათ ლოცვას ესწრებოდა. გარდა ამისა, ის დამსახურების შემთხვევაში მუსლიმთათვის წყალობას არ იშურებდა. ასე წყალობით აავსო მან მისი მომხრე შარვანელი და დარუბანდელი დიდებულები. ამგვარად, საქართველოს მეფე რეალურად ახორციელებდა იმას, რაც მის ტიტულატურაში იყო ასახული – „მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა და რანთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელი" – ანუ ის თავს აცხადებდა თანაბრად მოწყალედ და სამართლიანად მის სამეფოში მცხოვრები ქართველების, სომხების, ებრაელების თუ მუსლიმების მიმართ, თუმცა ამავე დროს ქართულ მართლმადიდებლობაში გადმოსვლას ხელს უწყობდა და სიხარულით მიესალმებოდა.

დავით მეფეს დიდი სამომავლო გეგმები ჰქონდა, მაგრამ მათი განხორციელება მას არ დასცალდა. 1125 წლის 24 იანვარს, 52 წლის ასაკში ის სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა. დავით მეფე გელათის ტაძარშია დაკრძალული. აქვე ღვთისმშობლის მიძინების ტაძარის კედელზე მოცემულია მისი ფრესკული გამოხატულება. დიდი

გალობანი სინანულისანი

( IX გალობა, ნაწყვეტი)

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

# საქართველოს სამეფო დავით IV აღმაშენებლის ხანაში



# საქართველო ლაშა-გიორგის მეფობის ხანაში



ჯერ კიდევ 1124 წელს დავითმა ანდერძი შეადგინა, სადაც თავისი ცხოვრება ერთგვარად შეაჯამა. ანდერძის ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია: „...ესე განმაგო ღმრთის მართლმსაჯულებამ და მომიხმო მე და მისცა მას (დემეტრეს) მეფობა და ჩემი და თქვენი ღვაწლით ახლად შეძენილი მამული ნიკოფსიიდან დარუბანდის ზღვამდე და ოვსეთიდან სპერამდე და არაგაწამდე. და მივანდე (დემეტრეს) შვილები და დედოფალიც ... რათა თავისი ძმა გაზარდოს და თავის დებს, ჩემ საყვარელ შვილებს, სათანადო პატივი მიაგოს. ყოველივე ამას წინ წარუმძღვარე წმინდა ძელი ცხოვრებისა და მეც ჩემი დროშა სვიანი, ჩემი სამეფო აბჯარი და საჭურჭლე (განძი) ჩემი, ზემონი და ქვემონი ..." („ქვემო" გულისხმობს დასავლეთ საქართველოს, „ზემო" კი, დანარჩენ საქართველოს).

დიდი მეფე მშვენიერი პოეტიც იყო. მისი პოეზიიდან მხოლოდ ერთი - „გალობანი სინანულისანი" შემოგვრჩა. ეს ნაწარმოები ცხრა გალობისაგან შედგება. დავით IV-ს მადლიერმა ქართველმა ხალხმა აღმაშენებელი უწოდა და ამ სახელით შევიდა ის ისტორიაში. მის პატივსაცემად საქართველოს სახელმწიფო დროშას საუკუნეთა მანძილზე ქართველები „გორგასლიანთან" ერთად „დავითიანსაც" უძახდნენ.

დავითის მეფობის ერთგვარი შეფასება მოცემულია დავით აღმაშენებლის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ეპიტაფიაში, რომელიც ტრადიციულად არსენ იყალთოელს მიეწერება. უფრო საფიქრებელია, რომ ეს ეპიტაფია დავით მეფის მდივანმწიგნობარს არსენ მონაზონს ეკუთვნოდეს, მით უფრო, რომ არსენ იყალთოელი, წყაროების მიხედვით ბევრად ადრე გარდაცვლილი ჩანს.

დავით მეფის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი ეპიტაფია

„აქა საქართველოს მეფენი შეკრებილნი ბერად დამსხდარნი,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვარსა გარეთ გამსხდარნი,
თევზნი ამერით წყალთაგან, იმერით წყალსა შთამსხდარნი,
იწვის ამისა მოქმედი ხელნი გულზედა დამსხდარნი."

## § 39. საქართველო დავით აღმაშენებლიდან თამარ მეფემდე

### 1. საქართველო დემეტრე I-ის ხანაში.

დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ სამეფო ტახტზე მისი უფროსი ვაჟი დემეტრე I ავიდა. დემეტრეს სამეფო გვირგვინი დავით მეფემ ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში დაადგა. მიუხედავად ამისა, მამის გარდაცვალების შემდეგ ის მეფედ ხელმეორედ აკურთხეს. დემეტრეს ხელმეორედ მეფედ კურთხევის სცენა გამოხატულია ზემო სვანეთში, ლატალში მაცხვარიშის (მაცხოვრის) ეკლესიის კედელზე. ფრესკაზე მეფეს ერისთავები აბამენ ხმალს, როგორც ძალაუფლების სიმბოლოს. დემეტრე მეფის ფრესკას თან ერთვის წარწერა: „ხმალს აბმენ დავითის ერისთავნი".

ამ დროისათვის თურქ-სელჩუკთა ერთიანი სახელმწიფო ფაქტობრივად დაშლილი იყო. მის ნაცვლად საქართველოს სამხრეთით თანდათანობით შეიქმნა ცალკეული მუსლიმური სახელმწიფოები: ვანის ტბის ირგვლივ ისტორიული სომხეთის ერთ ნაწილში ხლათის სასულთნო, იგივე შაჰ-არმენთა (სომეხთა შაჰი) სახელმწიფო წარმოიქმნა, დედაქალაქით ხლათში. ხლათის სასულთნოს ჩრდილო-დასავლეთით არზრუმის საამირო მდებარეობდა, რომელშიც ბასიანის მხარეც შედიოდა. არზრუმის საამიროს მეზობლად ყარსის საამირო იყო. დღევანდელი აზერბაიჯანის მტკვრის მარჯვენა სანაპირო რანს, იგივე არანს ჰქვია. მისი ცენტრალური ციხე-ქალაქი განძა იყო. განძის გამგებლებს სელჩუკი სულთნები აგზავნიდნენ. რანის მეორე მნიშვნელოვანი ქალაქი მდ. არაქსის ჩრდილოეთით მდებარე ნახჭევანი იყო. უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით ადარბადაგანის ანუ აზერბაიჯანის საათაბაგო მდებარეობდა.

დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ მუსლიმურმა სახელმწიფოებმა ქართველებზე რევანშის აღება და სამხრეთ კავკასიაში თავიანთი პოზიციების აღდგენა გადაწყვიტეს. 1125 წ. საქართველოს წინააღმდეგ თვით სელჩუკთა სულთანმა გამოილაშქრა, მაგრამ ქართველებმა ის დაამარცხეს. უფრო მეტიც, ერთი წლის შემდეგ ქართველებმა ისტორიული სომხეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქ დვინი სელჩუკთა ბატონობისაგან გაანთავისუფლეს. ქალაქ დვინის შენარჩუნება იმჯერად ვერ მოხერხდა და მალე საქართველოს მფლობელობას საფრთხე ანისსა და შარვანშიც დაემუქრა.

ანისში ქართველი მეციხოვნეები იდგნენ, ხოლო ქალაქს ჯერ კიდევ დავით მეფის მიერ დანიშნული ქართველი დიდებულები აბულეთი და მისი ვაჟი ივანე განაგებდნენ. ანისს დასავლეთ საქართველოში

გადასახლებული აბულასვარის უფროსი ვაჟი ფადლონი დაემუქრა, რომელიც აქამდე აღმოსავლეთ არანში ხორასნის სულთანთან აფარებდა თავს. ფადლონმა წინა აზიის მუსლიმ მმართველთა დახმარებით დიდ ლაშქარს მოუყარა თავი და ალყა შემოარტყა ქალაქს. აბულეთი და მისი ვაჟი იოანე ანისს ერთი წელი იცავდნენ. ბოლოს დემეტრე მეფე იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო: მან ქალაქი მორჩილების და ყმადნაფიცობის პირობით შადადიან ფადლონს გადასცა.

დემეტრე მეფე გარკვეულ დათმობაზე წავიდა შარვანის მუსლიმი მოსახლეობის მიმართაც, მით უფრო, რომ შარვან-შაჰობის პრეტენდენტი მისი დის, თამარის მეუღლე მანუჩარი იყო. 1129-1130 წწ-ში დემეტრე მეფემ შარვანი ორად გაყო: მისი დასავლეთი, ქრისტიანული ნაწილი მან უშუალოდ საქართველოს ფარგლებში დატოვა, ხოლო შარვანის აღმოსავლეთ მუსლიმურ ნაწილში შარვან-შაჰის ხელისუფლება აღადგინა. შარვან-შაჰობა, ყმადნაფიცობის პირობით, საქართველოს მეფემ თავის სიძეს მანუჩარს უბოძა. მიუხედავად ამ დათმობებისა, მეფობის დასაწყისში დემეტრე მეფეს მნიშვნელოვანი წარმატებებიც ჰქონდა. ჯერ კიდევ 1128 წ. მან ქვემო ქართლში, მტკვრის მარჯვენა მხარეს თურქ-სელჩუკთა ხელში მყოფი ბოლო ქართული ციხე-ქალაქი ხუნანი გაანთავისუფლა. 1130 წელს დემეტრე მეფემ საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში მის წინააღმდეგ გამოლაშქრებული ხლათის სულთანი, იგივე შაჰ-არმენი დაამარცხა.

დემეტრეს მეფობის პირველ წლებში თავი წამოყვეს დავით აღმაშენებლის მიერ შევიწროებულმა დიდებულებმაც, რომლებიც ძველი უფლებების აღდგენას შეეცადნენ. ამაში მათ ერთგვარად ხელს უწყობდა თვით აღმაშენებლის ანდერძიც, სადაც დემეტრეს სიკვდილის შემდეგ ტახტის შესაძლებელ მემკვიდრედ მისი უმცროსი ძმა ვახტანგია დასახელებული. ვახტანგი, მეტსახელად ცვატა, დავით აღმაშენებელს მეორე ცოლისაგან ყივჩაყი გურანდუხტისაგან ჰყავდა. 1130 წ. დიდებულთა ერთმა ნაწილმა იოანე აბულეთის ძის მეთაურობით, დემეტრეს მოკვლა და ტახტზე თორმეტი წლის ვახტანგის აყვანა მოინდომა. შეთქმულების შესახებ ყველაზე ადრე იოანეს მამამ აბულეთმა გაიგო, რომელმაც შვილს მეფის წინააღმდეგ გამოსვლა დაუშალა. ამასობაში შეთქმულება გამომჟღავნდა. დემეტრემ იოანე აბულეთის ძე და თავისი ნახევარძმა ვახტანგი შეიპყრო და დმანისის ციხეში დაამწყვდია. ვახტანგს მეფემ თვალები დასთხარა და შემდეგ ციხიდან გაანთავისუფლა. შეთქმულებაში ყივჩაყებიც იღებდნენ მონაწილეობას. შეთქმულების დამარცხების შემდეგ ჩამოსახლებულ ყივჩაყთა ერთმა, ჯერ კიდევ არგაქრისტიანებულმა ნაწილმა, დატოვა საქართველო.

1139 წლის 30 სექტემბერს რანსა და აზერბაიჯანში ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რომელმაც ქალაქი განძა დაანგრია. ქართველებმა ამით ისარგებლეს და შეტევაზე გადავიდნენ. დემეტრე მეფემ ქალაქი განძა აიღო და მისი რკინის კარიბჭე გელათის მონასტერს შესწირა. ეს კარი დღესაც გელათში ინახება. მასზე არაბული წარწერაა, რომელიც კარების გამოჭედვის თარიღად ჰიჯრით 455 ანუ 1039 წ. ასახელებს. კარებზე მეფე დემეტრეს ბრძანებით ამოკვეთილი წარწერაცაა: „მეფემან დიმიტრი რანი დაარბია და ეს კარი იქიდან მოიტანა მისი მეფობის მეცამეტე წელს, დასაბამითგან 6743 (1139 წ.)".

1140 წ. სელჩუკთა სულთნის მიერ ახლად დანიშნულმა რანის და აზერბაიჯანის ათაბაგმა დემეტრე მეფის მიერ განძის აღების საპასუხოდ საქართველოზე ორჯერ ილაშქრა და წარმატებასაც მიაღწია. ერთ-ერთი შეტაკება ქართველებსა და რანის ათაბაგს შორის მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე „ქართველთა ველზე" მოხდა. ქართველთა ლაშქარი, რომელსაც იოანე აბულეთის ძე ხელმძღვანელობდა, დამარცხდა. ცოტა მოგვიანებით განძა მაინც საქართველოს მოხარკე ქალაქად იქცა: დემეტრე მეფემ თავისი ასული რუსუდანი სელჩუკთა (ერაყისა და დასავლეთ ირანის) სულთან ყიას ად-დინ მასუდზე გაათხოვა. ამის სანაცვლოდ სულთანმა საქართველოს მეფეს ის ხარკი დაუთმო, რომელიც მანამდე განძიდან სულთნის ხაზინაში მიდიოდა. საკუთრივ განძა ისევე, როგორც დანარჩენი რანის ქვეყანა, პოლიტიკურად მაინც სულთანს ექვემდებარებოდა.

საქართველო დემეტრე მეფის ხანაში აქტიურად ერეოდა სამხრეთ კავკასიასა და წინააზიაში თურქ ამირებს შორის პირველობისათვის წარმოებულ ბრძოლაში, ვინაიდან მას დროდადრო თავისი მუსლიმი ყმადნაფიცი ქვეყნების დაცვა უხდებოდა. 1153 წ. საქართველოს ლაშქარმა აიღო ციხე-ქალაქი ყარსი. მაგრამ ეს წარმატება დროებითი აღმოჩნდა. მალე ქართველები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ, ყარსი კი არზრუმის ამირამ დაიკავა. არზრუმის ამირა ისე გათამამდა, რომ 1154 წ. საქართველოს ყმადნაფიცის – ანისის წინააღმდეგ გაილაშქრა. ანისის შადადიანმა ამირამ დასახმარებლად საქართველოს მეფეს მიმართა. „დემეტრე მეფე თავს დაესხა არზრუმის ამირას და დახოცა მრავალი მისი მებრძოლი – მოგვითხრობს XII ს-ის არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი, რომელიც ერთხანს სტუმრად იმყოფებოდა დემეტრე მეფის კარზე – სალთუკი (არზრუმის ამირა) და მასთან ერთად მრავალი მუსლიმი

ტყვედ ჩავარდა. შემდეგ არაბეთის და სირიის მეფეებმა მოსალაპარაკებლად საქართველოს მეფესთან ელჩები გაგზავნეს. სალთუკის გამოსასყიდად ასი ათასი დინარი დაადგინეს. იგი განთავისუფლდა და თავის ქვეყანაში დაბრუნდა. ამას გარდა, „უდიდესი რაოდენობის ფული გავიდა მისი ქვეყნიდან მასთან ერთად დატყვევებული მოლაშქრეების დასახსნელად". განთავისუფლებულ სალთუკს დემეტრე მეფემ ფიცი ჩამოართვა, რომ ის თავის სიცოცხლეში „არასოდეს აღმართავდა მახვილს დემეტრესა და მისი შვილების წინააღმდეგ და არც ლაშქრით შეეწინააღმდეგებოდა მათ". სალთუკს თავისი პირობა მართლაც არ დაურღვევია.

დემეტრე მეფის კარზე ალ-ფარიკის ხტუმრობის პერიოდში საქართველოს მეფე თავის ქმადნაფიცს და სიძეს (ქალიშვილის ქმარს) დარუბანდის ამირა მუზაფარს ეწვია. ამირა მეფის საპატივცემულოდ ციხე-ქალაქ დარუბანდიდან გამოვიდა და თავის სიმამრს საქართველოს მეფეს და მის ლაშქარს ქალაქის წინ მდებარე ველზე დიდი ლხინი გაუმართა.

დემეტრე მეფე მუსლიმი ქვეშევრდომების მიმართ სახელოვანი მამის, დავით აღმაშენებლის შემწყნარებლურ პოლიტიკას აგრძელებდა. ალ-ფარიკის ცნობით, თბილისში „ერთ პარასკევს მეფე მივიდა მეჩეთში, დაჯდა ქვის საჯდომზე ხატიბის პირდაპირ და ფეხი არ მოუცვლია ვიდრე არ ჩაათავეს ხუტბა. შემდეგ გავიდა და შესწირა მეჩეთს ორასი ოქროს დინარი." დემეტრე მეფე დიდი პატივით ეპყრობოდა მუსლიმ სწავლულებს, დიდებულებს, მქადაგებლებსა და სუფიებს.

„მე ვნახე აქ ისეთი პატივისცემა მუსლიმებისა, რაც მათ ბაღდადშიც არ ექნებოდათ" - წერს აღფრთოვანებული არაბი ავტორი. ამიტომაც იყო, რომ ცნობილი შარვანელი პოეტი ხაკანი საქართველოს მეფეს მეორე „ისკანდერს" ანუ „ალექსანდრე მაკედონელს" უწოდებს.

დემეტრეს მეფობის ბოლო წლები სამეფო ოჯახში დაპირისპირებით აღინიშნა. დემეტრეს ორი ვაჟი ჰყავდა, უფროსი დავითი და უმცროსი გიორგი. მეფე გიორგი უფლისწულს ანიჭებდა უპირატესობას და უფროსი ვაჟი დავითი არ უყვარდა. შესაძლოა ამის მიზეზი იყო ის, რომ დავითს ტახტის დაუფლება მამის სიცოცხლეშივე სურდა და ეს დემეტრესათვისაც ცნობილი იყო. 1150 წელს დავითი მამას წინააღმდეგ პირველად აჯანყდა, მაგრამ დამარცხდა. მიუხედავად ამისა, პატივმოყვარე და ურჩ უფლისწულს ტახტისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია. 1154-1155 წლებში დავითმა თავას მიზანს მაინც მიაღწია: დემეტრე იძულებული გახდა ტახტი სამეფო შვილისათვის დაეთმო და ბერად აღკვეცილიყო. კათალიკოს პატრიარქის ანტონ I-ის (1744-1756; 1764-1788) „წყობილსიტყვაობის" მიხედვით, მეფე ბერად დავით გარეჯის მონასტერში შევიდა. XIX ს-ის ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, მისი ბერობის სახელად დამიანეს მიიჩნევს. ორივე ეს ცნობა არაა სწორი. ამ შემთხვევაში უფრო სანდოა XVII ს-ის ერთი გულანის მინაწერი, რომლის მიხედვით დემეტრე I ბერად გელათის მონასტერში ჩანს და მას დანიელი ეწოდება.

ბერად აღკვეცილი მეფე ღვთის მორჩილს სულაც არ წააგავდა. ის ტახტის დაბრუნებისაკენ მიილტვოდა და თანამედროვეთა ცნობით, ღმერთს ულოცავდა შვილის დასჯას შესთხოვდა. მართლაც დავით V მხოლოდ ექვსი თვე იმეფა და გარდაიცვალა. ზოგიერთი ცნობით, მას სიცოცხლე საწამლავმა მოუსწრაფა. შვილის სიკვდილისთანავე დემეტრე ტახტზე დაბრუნდა და თავისი უმცროსი ვაჟი გიორგი თანამოსაყდრედ აკურთხა. ამის შემდეგ დემეტრეს დიდხანს არ უცოცხლია. 1156 წ. იგი ბელტის ციხეში (ბებრის ციხე მცხეთასთან) გარდაიცვალა. დემეტრეს ცხედარი დასავლეთ საქართველოში გადაასვენეს

### ასი ათასი დინარი

დინარი 4,25 გრ. ოქროს შეიცავდა. ასე რომ, სალთუკის გამოსასყიდად 425 კგ. ოქრო გადაიხადეს, რაც იმ დროისათვის უზარმაზარი თანხა იყო.

### ხუტბა

**„ხუტბა"** არაბული სიტყვაა და ქადაგებას ნიშნავს. აქედან მოდის ქართული „ხოტბა", „ხოტბის შესხმა".
**ხატიბი** ხუტბის წარმკითხავი ანუ მუსლიმი მქადაგებელი.
**სუფიები** - ისლამურ რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის „სუფიზმის" მიმდევრებს ეწოდებოდათ.

### ხაკანი დემეტრე მეფის შესახებ

„ასეთი ბრწყინვალე და ძლიერი მეფე,
რომელსაც დიდებულ პატრიარქზე კი არა,
კეისარს უწოდებენ.
დიდი წყალობის იქნება ისკანდერისთვის თუ კი
დემეტრეს კეისარს კი არა, ისკანდერს
უწოდებენ.
გულუხვობით, ... მარადიულისთვის (ქრისტე ... მუსლიმი) არ არის.
ამიტომ რჯულზე მის სახელით ლოცვა ვწერ.
რაც კი ქვეყნის სახელი მისი საქართველოს საკუთარ
ქონება.
კარზე მარადიულ სიყვარულის ნაკადს."

[illegible]

„მიტოვა (მოკვდა) [illegible]
და მწუხარებისაგან ქვეყნიერების ლხინი შეწყდა. [illegible] და შავით (იგულისხმება [illegible]) მეფე-მეფე.
[illegible]
დემეტრე [illegible]
[illegible]
[illegible]"

### შენ ხარ ვენახი

„შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული,
ნორჩი, კეთილი, ედემში აღნერგული,
ალვა სურნელი, სამოთხეს გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, [illegible] ქებული,
და თავადი თვისით მზე ხარ გაბრწყინებული"

და საქართველოს მეფეთა ახალ საძვალეში, გელათის მონასტერში დაკრძალეს.

დემეტრე მეფე ქრისტიანმა და მუსლიმმა ქვეშევრდომებმა თანაბრად გამოიგლოვეს. შირვანელმა პოეტმა ფალაქმა მის გარდაცვალებას საგანგებო ოდა მიუძღვნა.

დემეტრე მეფე „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, იყო: „ბეიანი (ხევ-ბედის მქონე) და გამარჯვებული, სიმდიდრისა და დიდების მოუხედავად, თავმდაბალი, ღვთის მოშიში, გლახაკთა მოწყალე, ობოლთა და ქვრივთა გამკითხავი, მღვდელთა და ბერთა კეთილისმყოფელი, ეკლესიებისა და მონასტრებისათვის სოფლებისა და მიწების შემწირველი, საშეფოს დიდებულებთან და კარის მსახურებთან ტკბილად მოუბარი". დემეტრე მეფე დავით აღმაშენებლის ღირსეული მემკვიდრე გამოდგა. მან მამის დანატოვარი ვრცელი ქვეყანა არათუ შეინარჩუნა, არამედ კიდეც შემატა. მის დროს შედარებით მშვიდობა იყო. დავით აღმაშენებლის ხანაში განუწყვეტელი ომებით გადაღლილმა ქვეყანამ სული მოითქვა. მოსახლეობა მომრავლდა და ეკონომიკურადაც დაწინაურდა. ამიტომაცაა, რომ მემატიანე დემეტრეს მეფობის დახასიათებლად სოლომონ ბრძენის სიტყვებს იშველიებს: „მეფობის ნამდვილი გამომცდელი მშვიდობაა".

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ დემეტრე მეფე თავისი სახელოვანი მამის დავითის მსგავსად შესანიშნავი პოეტი იყო. მის კალამს ეკუთვნის ცნობილი ლექსი „შენ ხარ ვენახი".

## 2. საქართველო გიორგი III-ის მეფობაში.

საქართველოს ახალმა მეფემ თავისი პაპის და მამის საშინაო და საგარეო პოლიტიკა გააგრძელა. თავის უპირველეს ამოცანად მან მუსლიმთა ბატონობისაგან სომხური მიწების გათავისუფლება დაისახა. 1160 წ. გიორგი III შაჰ არმენთა ხლათის სახელმწიფოზე გაილაშქრა, მისი ტერიტორია დაარბია და რამდენიმე ქალაქი დროებით დაიკავა. საქართველოს მეფის ამ ლაშქრობას შაჰ-არმენის, იგივე ხლათის სულთნის, სუქმან II-ის სწრაფი რეაქცია მოჰყვა. მან წინა აზიის მუსლიმი მმართველებისაგან დიდი კოალიციური ლაშქარი შეკრიბა და იმავე წელს საქართველოსაკენ დაიძრა. ბრძოლა საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში, ოლთისის მხარეში მოხდა და ქართველების სრული გამარჯვებით დამთავრდა. ქართველებს მრავალი ტყვე ჩაუვარდათ ხელთ, მათ შორის სამასი მუსლიმი ამირა.

1161 წ. ანისის ქრისტიანები თავიანთ მაჰმადიან ამირას აუჯანყდნენ და საქართველოს მეფე გიორგი III მოიწვიეს. სამი დღის ბრძოლის შემდეგ გიორგი მეფემ ანისი დაიკავა და მის გამგებლად მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი ივანე ორბელი დანიშნა, რომელსაც თანაშემწედ სარგის მხარგრძელი დაუტოვა. საქართველოს მიერ ანისის უშუალო შემოერთებას შაჰ-არმენის მეთაურობით მუსლიმთა კიდევ ერთი ერთობლივი ლაშქრობა მოჰყვა. ამჯერად ხლათის სულთანს თან ხარპის, მუამდინარეთის და დიარბაქირის ამირები ახლდა. მასვე შეუერთდა არზრუმის ამირა სალთუკი. მტერი ციხე-ქალაქ ანისს მოადგა. გიორგი მეფე ნაჭარმაგევში, თავის გასართობ რეზიდენციაში იმყოფებოდა. მეფემ სასწრაფოდ მთელი საქართველოს ლაშქარი შეკრიბა და მტრის წინააღმდეგ დაიძრა. როდესაც გიორგი მეფე ანისს მოადგა, არზრუმის ამირა სალთუკს ტყვეობიდან განთავისუფლებისას დემეტრე მეფისათვის მიცემული ფიცი და პირობა მოაგონდა, რომ მისი და მისი შვილების წინააღმდეგ არასოდეს ილაშქრებდა. მან ცხენი მოათრია და თავისი ლაშქრით ბრძოლის ველს გაშორდა. ამან მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი დაასუსტა. გადამწყვეტი ბრძოლა გიორგი მეფესა და თურქებს შორის 1161 წლის 4 აგვისტოს ანისის კარებთან გაიმართა და ქართველების სრული გამარჯვებით დასრულდა. შაჰ-არმენმა ოთხასი მეომრით გაქცევით ძლივს უშველა თავს. მუსლიმ ტყვეებს შორის ას ორმოცდაათი

ღილი ამირა და ეჰი მხედართმთავარი - სპასალარი იყო. ქართველებს დიდძალი ნადავლი ჩაუვარდათ ხელთ. საერთოდ ტყვეთა რაცხვი რამდენიმე ათასს აღწევდა. ამათგან ნაწილი, მათ შორის თავისი ნახევარძმაც შაჰ-არმენის მეუღლემ, ხლათის დედოფალმა გამოისყიდა, ნაწილი კი გიორგი III მუსლიმთა მიმართ თავისი კეთილგანწყობის გამოსახატავად გამოსასყიდის გარეშე გაათავისუფლა.

მომდევნო 1162 წელს ქართველთა ლაშქარმა ციხე-ქალაქი დვინი დაიკავა. ამჯერად ქართველებს იმდენი ტყვე ჩაუვარდათ ხელთ, რომ თბილისში „ტყვეს თითო დრამად (სპილენძის ფული) ან ფუკას (ხისგან გამოთლილი ჭურჭელი) ფასად ჰყიდნენ".

დვინის აღებამ მეზობელი მუსლიმური ქვეყნები შეაშფოთა. ხმა გავრცელდა, რომ ქართველები მთელი მუსლიმური სამყაროს წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებდნენ. ამიტომ საქართველოს წინააღმდეგ სასწრაფოდ შეიკრა სელჩუკ ამირათა ახალი კოალიცია, რომელსაც სელჩუკთა სულთანი არსლან შაჰი და ადარბადაგანის იგივე აზერბაიჯანის ათაბაგი ელ დი-გუზი ედგნენ სათავეში. მრავალრიცხოვანი მხედრობით მათვე შეუერთდა შაჰ-არმენი სუქმანი. პირველი ბრძოლა საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით გაგის ციხის მიდამოებში გაიმართა და ქართველების გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ გიორგი მეფე დიდებულების რჩევით, მტერს არ დაედევნა, რაც, როგორც მოვლენათა შემდეგმა მსვლელობამ აჩვენა, შეცდომა გამოდგა. სელჩუკები თუმცა დამარცხდნენ, მაგრამ მათი ძირითადი ძალები განადგურებას გადაურჩა. დამარცხების შემდეგ სელჩუკებმა დროებით ჯერ უკან დაიხიეს, შემდეგ კი, საქართველოზე ხელმეორედ, უკვე ანისის მხრიდან გადაწყვიტეს შემოტევა. იმავდროულად მათ გიორგი მეფეს ელჩი გამოუგზავნეს მოსალაპარაკებლად. მეფე ამ დროს მცირერიცხოვანი ლაშქრით ლორესა და დმანისს შორის მთებში ნადირობდა. ის მოლაპარაკებაზე დათანხმდა და თურქთა ელჩს უკან თავისი ელჩიც გაატანა. რომელსაც თურქებისთვის საზავო პირობები უნდა გადაეცა. ათაბაგი და სულთანი საზავო პირობების თანახმა იყვნენ. მაგრამ ერაყიდან მოსულ თურქ ამირებს ომის გაგრძელება უნდოდათ. მით უფრო, რომ, როგორც გიორგი მეფესთან გაგზავნილი ელჩისაგან შეიტყვეს, მეფეს მცირე ლაშქარი ახლდა. ამიტომ თურქებმა ქართველთა ელჩი ტკბილი სიტყვით გამოისტუმრეს და მთელი ლაშქრით უკან გამოჰყვნენ. სელჩუკები ქართველთა ბანაკს მოულოდნელად დაესხნენ თავს და სასტიკად დაამარცხეს. ეს ბრძოლა მოხდა 1163 წ. ლორეს სამხრეთით გერგერთან. მარცხისა და თურქთა მრავალრიცხოვნების მიუხედავად, საქართველოს მეფეს უკანდახევა არ უნდოდა და მტერთან ხელახალი შებმა სურდა. ქართველმა დიდებულებმა მრავალჯერ მიმართეს მეფეს თხოვნით: „მეფეო არის დრო ომისა და არის დრო გაქცევისა. ყოველსა საქმეს თავისი დრო აქვს. ... აწ ჩვენც ვიკადროთ გაქცევა და შემდეგ კვლავაც ძლევის მომცემელმა ღმერთმა დაგვიბრუნოს უძლეველობა." ბოლოს და ბოლოს გიორგი მეფე დიდებულთა დაჟინებულ რჩევას დათანხმდა და ბრძოლის ველს გაეცალა. არაბი ავტორების ცნობით, კოალიციურმა ლაშქარმა ხელთ იგდო დიდძალი ნადავლი: მეფის საკუთარი ვერცხლის ბაგებით, საიდანაც წყალს სვამდნენ მისი ცხენები, ოქროს ჭურჭელი, რომელშიც ამზადებდნენ საჭმელს, ოქროს მაგიდები, თეფშები, სინები და ფიალები; მეფის სამლოცველო, რომელშიც იყო ძვირფასი ქვებით მოჭედილი ვერცხლისა და ოქროს ჯვრები და მოოქროვილი და ასევე ძვირფასი ქვებით მოჭედილი სახარებები, რომელთა მსგავსიც არსად მოიძებნებოდა და რომელთა ფასიც არავინ იცოდა; აგრეთვე მეფის ხაზინა, სავსე ოქრო-ვერცხლით, რომლის შეფასება სიმრავლის გამო შეუძლებელი იყო. ხაზინაში აღმოჩნდა დიდძალი ძვირფასი ქვა, მარგალიტი, ზარდიონი და მარჯანი „მსგავსი იმისა, რაც ალლაჰმა მოიხსენია ყურანში და შეჰპირდა ხალხს სამოთხეში". მეფე გიორგის ამ მარცხის შემდეგ რანისა და ადარბადაგანის ამირა ილ-დიგუზი ქალაქ დვინს დაეპატრონა და კიდევ უფრო გაძლიერდა. ქალაქი დვინი ილ-დიგუზისა და მისი მემკვიდრეების ხელში კიდევ ორმოცი წელი იმყოფებოდა. ილ-დიგუზი გიორგი III ანისის მფლობელობასაც შეეცადა. მალე მოლაპარაკება ანისის ირგვლივაც გაიმართა. გიორგი III იმჟამად ვერ შეძლო ანისის შენარჩუნება. ის იძულებული გახდა ანისი შადადიანებისათვის კვლავ ყმადნაფიცობის პირობით დაებრუნებინა. გიორგი მეფესა და ილდიგუზ ათაბაგს შორის შუამავლად გიორგის და, დემეტრე მეფის ასული რუსუდანი გამოვიდა, რომელიც, როგორც გვახსოვს, სელჩუკთა სულთანზე იყო გათხოვილი, იმჟამად კი, საქართველოში დაბრუნებული, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თავისი ძმის გიორგი III-ის კარზე. დედოფალ რუსუდანის მცდელობით, დაპირისპირებულ მხარეებს შორის 1165 წ. ზავი დაიდო და გარკვეული დროით მშვიდობა დამყარდა. ამგვარად, როგორც ვხედავთ, ანისისათვის ილ-დიგუზის, შაჰ-არმენისა და საქართველოს ბრძოლამ ანისში შადადიანთა მმართველობა გაახანგრძლივა.

მშვიდობამ დიდხანს ვერ გასტანა, ვინაიდან იმ ფეოდალური, აზნაურული ცხოვრების

აუცილებელი, შემადგენელი ნაწილი იყო. ლაშქრობებში აზნაურები იხვეჭდნენ სახელს, დიდებას და ქონებას. ამიტომ ფეოდალური ცხოვრების ნირი ხშირად ომისთვის მზადყოფნაში ან კიდევ ომში გამოიხატებოდა. ხანგრძლივი მშვიდობის პერსპექტივა საზოგადოების ამ ფენას უფუნქციოდ დარჩენით ემუქრებოდა. ამიტომ, მემატიანის ცნობით, ლაშქარმა და დიდებულებმა გიორგი III განუცხადეს: „ჩვენ ისე ვერ გავძღებით, თუ არ ვილაშქრებთ და არ ვარბიევთ". საქართველოს მეფეც იძულებული გახდა ლაშქრის მოთხოვნას დამორჩილებოდა, სელჩუკებთან დადებული ზავი დაერღვია და თავისი ქვეშევრდომებისათვის მეზობელი მუსლიმური სამფლობელოების რბევის უფლება მიეცა. დაიწყო თავისი მასშტაბით არნახული მარბიელი ლაშქრობა, როდესაც ქართველები სამხრეთის და აღმოსავლეთის საზღვრის მთელ სიგრძეზე სელჩუკთა წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდნენ და ერთ დათქმულ დღეს, ერთდროულად შეუტიეს ერზრუმისა და ყარსის საამიროებს, ხლათის სასულთნოს, რანისა და ადარბადაგანის სათაბაგოს. ეს მარბიელი ლაშქრობები მრავალი წლის მანძილზე გრძელდებოდა.

1170 წლისთვის საქართველოს მეფეს ბიზანტიიდან გამოქცეული კეისარი მანუელის ძმისწული, და მომავალში ბიზანტიის კეისარი, გიორგი III-ის მამიდაშვილი ანდრონიკე კომნენოსი თავისი „ბანე ბრწყინვალე" მეუღლით, შვილებითა და დისწულით ეწვია. ტახტის მაძიებელმა ანდრონიკემ მანამდე აღმოსავლეთის და დასავლეთის მრავალი ქვეყანა მოვლო.

საქართველოს მეფემ სტუმარს მისი გვარიშვილობის შესაბამისი პატივი მიაგო. მან ხარჩოლ რამდენიმე ქალაქისა და ციხის სამეფო გადასახადი უბოძა და თავის კარზე საპატიო ადგილი მიუჩინა. სამეფო დარბაზობაზე ანდრონიკე კომნენოსი მეფემ თავის ახლოს, შარვანშაჰის მოპირდაპირე მხარეს დასვა. ამავე ხანებში დარუბანდის ამირა, გიორგის სიძე მუზაფარი გარდაიცვალა, მისი ვაჟი კი, საქართველოს მეფის მორჩილებიდან გამოვიდა და შარვანის რბევას მიჰყო ხელი. შარვან-შაჰმა ახსართანმა, რომელიც გიორგი მეფის დისწული იყო, დახმარებისათვის მას მიმართა. საქართველოს მეფემ დიდი ლაშქარი შეკრიბა და თავის საპატიო სტუმართან ერთად დარუბანდის ამირას წინააღმდეგ გაილაშქრა. ამირა დამარცხდა. გიორგი მეფემ მას ქალაქი შაბურანი ჩამოართვა და შარვან-შაჰ ახსართანს გადასცა.

1174 წ. გიორგი III ანისი კიდევ ერთხელ დაიკავა, მაგრამ ამჯერადაც ქართველები ანისში დიდხანს ვერ გაჩერდნენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოში გართულებული საშინაო ვითარება გახდა.

როგორც გვახსოვს, გიორგი III-ის გამეფებამდე ტახტზე მცირე ხნით მისი ძმა დავით V იჯდა. უდროოდ გარდაცვლილ დავითს მცირეწლოვანი ვაჟი დემეტრე იგივე დემნა დარჩა, რომელსაც იმჟამად საქართველოში არსებული ტახტის მემკვიდრეობის წესის თანახმად, სამეფო ტახტი ეკუთვნოდა. მაგრამ დავითის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე დაბრუნებულმა დემეტრემ, უფროს შვილზე გამწარებულმა, მეფობა თავის შვილიშვილ დემნას ნაცვლად უმცროს ვაჟს გიორგის გადასცა. გიორგი III-ს ვაჟი არ ჰყავდა, ამიტომ ტახტზე ასაყვანად თავის ქალიშვილს თამარს ამზადებდა. დავით V-ის ვაჟი დემნა უფლისწული ტახტის მემკვიდრედ არ ითვლებოდა, ამიტომ მას უცხო ქვეყნის სამეფო ოჯახის წევრზე დაქორწინება არ ეკრძალებოდა. დემნამაც ცოლად საქართველოს ამირსპასალარის იოანე ორბელის ასული მოიყვანა. ამით იოანე ორბელი, რომელიც აქამდე, როგორც დემეტრე I-ს, ისე გიორგი III-ს ერთგულად ემსახურებოდა, დიდი ცდუნების წინაშე აღმოჩნდა. თავისი სიძის ტახტზე აყვანის შემთხვევაში ის ფაქტობრივად საქართველოში მეფის შემდეგ პირველი პირი გახდებოდა. დემეტრეს გამეფებას ერთი შეხედვით, ისიც აიოლებდა, რომ საზოგადოების თვალში დემნა „დაჩაგრული" უფლისწული იყო. გარდა ამისა, ორბელთა საგვარეულო საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს ფეოდალურ საგვარეულოს წარმოადგენდა, თვით იოანე ორბელი კი საქართველოს ამირსპასალარი ანუ მხედართმთავარი იყო და მას საქართველოს მთელი სამხედრო ძალები ემორჩილებოდა. შეთქმულება კარგად იყო მომზადებული. აჯანყება 1177 წ. გიორგი III-თვის მოულოდნელად დაიწყო. შეთქმულებმა მეფის დატყვევება ისახავდნენ მიზნად, მაგრამ მეფემ მათი განზრახვა ადრევე შეიტყო და თბილისის ციხეში გამაგრდა. თანდათანობით მეფის გარშემო ერთგული დიდებულები და ლაშქარი შეიკრიბა. დრო გიორგის სასარგებლოდ მოქმედებდა. ის სულ უფრო ძლიერდებოდა. გიორგი III-ის მხარეზე შეთქმულთა ბანაკში მყოფი დიდებულებიც გადავიდნენ. დემეტრე უფლისწული და იოანე ორბელი თავის საგვარეულოსთან ერთად მეფის პირისპირ მარტონი დარჩნენ და ლორეს ციხე-ქალაქში გამაგრდნენ. გიორგი მეფემ ციხე-ქალაქს ალყა შემოარტყა. ალყით შეწუხებული შეთქმულები იძულებულნი გახდნენ მეფეს დანებებოდნენ. თვით დემნა უფლისწული ყელზე საბელშებმული ეახლა მეფეს, რაც დანებებას და მორჩილებას ნიშნავდა. მიუხედავად ამისა, მეფემ ის სასტიკად დასაჯა, ამის შემდეგ დემნა მალე გარდაიცვალა. გიორგი III

ორბელთა მთელ საგვარეულოს გაუსწორდა. ცოცხალი გადარჩა ამ საგვარეულოს მხოლოდ რამდენიმე წარმომადგენელი, რომელიც იმჟამად ივანე ორბელის მიერ გაგზავნილები იყვნენ სელჩუკებთან დახმარების სათხოვნელად.

დემნა უფლისწულის შეთქმულების ჩაქრობის შემდეგ, 1178 წ. გიორგი III თავისი ქალიშვილი მეფედ აკურთხა. თამარის მეფედ კურთხევაზე მთელი საქართველოს „იმიერის და ამიერის" დიდებულები შეიკრიბნენ. აქ იყვნენ საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, ეპისკოპოსები, ვეზირები, მთელი სამეფო კარი. თამარი მეფედ კურთხევისათვის საგანგებოდ გამოაწყვეს. მას ტანზე ოქრომკედით ნაქარგი ფერადი აბრეშუმის ქსოვილის თვალ-მარგალიტით გაწყობილი კაბა ეცვა. გიორგი III თამარი, როგორც მეფე და დედოფალი, სამეფო ტახტზე მარჯვენა მხარეს დაისვა. თავზე ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს სამეფო გვირგვინი დაადგა, როგორც ქვეშევრდომმა ერთგულება შეჰფიცა და თვალცრემლიანმა დალოცა. მის ლოცვა-კურთხევას მთელი დარბაზი გალობით იმეორებდა.

გიორგი III-ის მეფობის ბოლო წლები ქვეყნისათვის მშვიდობიანი გამოდგა. ამ დროს საქართველოს ხიბლიერის სახელი უკვე შორს იყო გავარდნილი. საქართველოს ანგარიშს უწევდნენ როგორც მეზობელი, ისე შორეული ქრისტიანული თუ მუსლიმური სახელმწიფოები. საქართველოს სამეფო კარზე მიმოდიოდნენ და საქართველოს მეფესთან ურთიერთობისა და კავშირის დამყარებას ცდილობდნენ ელჩები ბიზანტიიდან, რომის საღვთო იმპერიიდან (გერმანიიდან), აღმოსავლეთ ირანიდან (ხორასნიდან), ერაყიდან, ეგვიპტიდან, რუმის სასულთნოდან (მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო), ხორეზმიდან (შუა აზია), რუსეთიდან, შორეული ინდოეთიდან და ჩინეთიდან.

[illegible]

წყაროების ცნობით, ივანე ორბელმა ხელისუფლების [illegible] გიორგი III-ის მიერ [illegible] ორბელის უმცროსი ძმის ქავთარი XII ს-ის მიწურულს, უკვე თამარის მეფობაში საქართველოში დაბრუნდა. [illegible] „ქართველი ქრისტიანი" [illegible] საგვარეულოს. XIV ს-ში ამ საგვარეულოს ცნობილმა წარმომადგენელმა სომეხმა ისტორიკოსმა სტეფანოზ ორბელიანმა დაწერა თავისი გვარის ისტორია, რომელშიც მრავალი საინტერესო ცნობაა დაცული, როგორც საკუთრივ ორბელიანთა საგვარეულოს, ისე [illegible] ხანის საქართველოს ისტორიის შესახებ.

1184 წლის 27 მარტს გიორგი III კახეთში სტაგირს გარდაიცვალა.

მემატიანის ცნობით, გიორგი III იყო: „უმაღლესი ყოველთა მეფეთა, ძლიერ და მორჭმული, ღვთის კეთილად მსახური, ხაყდართა, მეუდაბნოეთა, მღვდელთა კეთილისა მყოფელი, გლახაკთა და ქვრივთა მოწყალე, ერთგულთათვის უხვი და მწყალობელი", ამასთან ერთად, მემატიანე ხაზს უსვამს მის დაუნდობელ ხასიათს და აღნიშნავს, რომ ის თავის ქვეშევრდომებს არ პატიებდა დიდ თუ მცირე „შეცოდებას" ანუ დანაშაულს. საფიქრებელია, რომ ძველი ქართველი ისტორიკოსი გიორგის ხასიათის ამ თვისების აღნიშვნისას დემნა უფლისწულისა და ორბელიანთა მთელი საგვარეულოს მიმართ მის სასტიკ ანგარიშსწორებას გულისხმობდა.

# § 40. თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა...
# ლომი ბრჭყალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან

### I. თამარის მეფობის პირველი წლები.

თამარს მამის გარდაცვალება თბილისში მოხსენდა. გიორგი მეფის და, თამარის აღმზრდელი მამიდა რუსუდანი კი, სამშვილდეში იმყოფებოდა. კათალიკოს-პატრიარქი და სხვა დიდებულები სამშვილდეში გაემგზავრნენ რუსუდანისთვის ამბის შესატყობინებლად და თბილისში ჩამოსაყვანად. თბილისში ჩამოსულ რუსუდანს მგლოვიარე თამარი დახვდა და ორივენი დიდი ამალით ისნის სასახლისაკენ გაემართნენ. სასახლეში შესულ ქვეყნის პირველ მანდილოსნებს შეეგებნენ ეპისკოპოსებით გარშემორტყმული მიქაელ კათალიკოს-პატრიარქი და მთელი სამეფო კარი: ვეზირი ანტონი, ამირსპასალარი ყუბასარი, ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი, აფრიდონ მსახურთუხუცესი, სხვა დიდებულები, აზნაურები, მსახურები ... სასახლის კედლებიდან მათ უცქეროდნენ ოსტატურად შესრულებული ფრესკები, რომლებზედაც გიორგი მეფის საბრძოლო ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდები იყო აღბეჭდილი. აქვე იყო გამოსახული საკუთრივ გიორგი, რომელიც ხმალამოწვდილი მუსრს ავლებდა გარშემომდგარ მტერს. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ფრესკა იყო. ცენტრალურ დარბაზში მაღალი სამეფო ტახტი ცარიელი იდგა. იქვე ელაგა გიორგი III-ის სამეფო გვირგვინი, სკიპტრა და პორფირი (წითელი სამეფო მოსასხამი), მისი საბრძოლო საჭურველი.

გიორგი III მთელმა საქართველომ დაიტირა. უამინდობის გამო მისი ცხედარი ჯერ მცხეთაში დაკრძალეს, ხოლო შემდგომ, იმავე წელს გელათის მონასტერში გადაასვენეს. ამის შემდეგ თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიალი გაიმართა, რომელიც ჯერ კიდევ აფხაზთა სამეფოდან მომდინარე ძველი წესის სრული დაცვით ჩატარდა. ხოტბის შესხმისა და გალობის ქვეშ მთავარეპისკოპოსმა ქუთათელმა ანტონ საღირის-ძემ მეფეს გვირგვინი დაადგა, ხოლო დასავლეთ საქართველოს დიდებულებმა - რაჭისა და თაკვერის ერისთავმა კახაბერმა, სვანთა ერისთავმა ვარდანის-ძემ, აგრეთვე საღირისძეებმა და ამანელისძეებმა თამარს წელზე ხმალი შემოარტყეს. მაშინ შემოჰკრეს ბუკს, ნაღარას და წინწილათა და „თაყვანისცეს, დალოცეს და აღიდეს სპათა შეიდისავე სამეფოსათა".

თამარის ხელმეორედ მეფედ კურთხევა დიდგვაროვან ფეოდალთა მიერ მათი გავლენის დემონსტრირება იყო. საქმე ისაა, რომ საქართველოს მეფეები ცდილობდნენ დიდგვაროვანთა უფლებების შეზღუდვას. ამიტომაც ისინი შვილებს სიცოცხლეშივე თანამოსაყდრედ აკურთხებდნენ. ამით ისინი ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ახალი მეფე მეფობას და სამეფო ნიშნებს ქვეყნის ძლიერი ფეოდალებისაგან კი არა, არამედ უშუალოდ მამისაგან იღებდა. აფხაზთა სამეფოში გაბატონებული წესის თანახმად, მეფის აღსაყდრება – მისთვის ხმლის შემორტყმა, ზემონამოთვლილ ფეოდალურ საგვარეულოთა საპატიო უფლება იყო და ამ პრივილეგიის დათმობა მათ არ სურდათ. ამიტომაც, როგორც გახსოვთ, დავითის გარდაცვალების შემდეგ ხელმეორედ აკურთხეს დემეტრე I. იგივე განმეორდა თამარის შემთხვევაშიც.

დიდებულ საგვარეულოთა შორის უპირველეს ცილობის საგანს სამეფო კარზე საპატიო თანამდებობების – სახელოების დაუფლება წარმოადგენდა. მიზნის მისაღწევად ფეოდალური საგვარეულოები ერთმანეთში თანხმდებოდნენ, მეფის ირგვლივ დაჯგუფებებს ქმნიდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ მეფეზე ზემოქმედება მოეხდინათ. იშვიათი არ იყო, როდესაც დიდებული სამეფო კარზე რამდენიმე მნიშვნელოვან თანამდებობას ერთდროულად ფლობდა. დიდგვაროვნები ცდილობდნენ, რომ მეფისაგან მიღებული მაღალი თანამდებობები მემკვიდრეობით გადაეცათ.

თამარის გამეფებისთანავე დიდებულთა ყველაზე გავლენიანი დაჯგუფება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიქაელ მირიანის ძის გარშემო დაირაზმა. მათ ახალგაზრდა მეფისაგან შედარებით დაბალი წარმომავლობის პირების ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესის წარმოშობით ყივჩაყი ყუბასარისა და მსახურთუხუცესი აფრიდონის გადაყენება მოითხოვეს. აფრიდონი და ყუბასარი ამ უმაღლეს სამოხელეო თანამდებობებზე გიორგი III-ის მიერ 1177 წ-ის დემნას აჯანყების ჩაქრობის შემდეგ იყვნენ დანიშნულნი. დიდგვაროვანთა ამავე დაჯგუფებამ ქვეყნის მმართველობაზე კონტროლის დაწესების მიზნით, მთავრობის მეთაურის ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ანტონ გლონისთავისძის გადაყენება და ამ თანამდებობის მიქაელ კათალიკოსისათვის გადაცემა მოინდომა. მეფე იძულებული შეიქმნა დიდებულთა ყველა ეს მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა. აფრიდონი და ყუბასარი თანამდებობებიდან გადააყენეს, ხოლო კათალიკოს-პატრიარქი მიქაელი იმავე დროს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი გახდა. მიქაელი ამასთანავე მაწყვერელიც (აწყურის ეპისკოპოსი) იყო. ასე რომ, ის საქართველოს ფაქტობრივ მმართველად გადაიქცა.

მალე მეჭურჭლეთუხუცესის ყუთლუ-არსლანის მეთაურობით თავისი მოთხოვნა დიდებულთა მეორე

ნაწილმაც წამოაყენა. ამ ტიპის მოთხოვნა აქამდე სრულიად უცხო იყო საქართველოსთვის. როგორც ვიცით, სამეფო დარბაზი – მეფის სათათბირო ორგანო – ქვეყნის უმთავრესი საკითხების გადასაწყვეტად სამეფო სასახლეში მეფის სურვილით იკრიბებოდა. დიდებულთა ეს ნაწილი კი, დარბაზის რეგულარულად მოწვევისაკენ მიისწრაფოდა. ამის მიღწევა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ დარბაზი ცალკე შენობაში შეიკრიბებოდა. ამიტომაც ამ დასის უმთავრესი მოთხოვნა დარბაზისთვის მეფის სასახლიდან ცალკე, ისნის ველზე სპეციალური კარვის დადგმა იყო. კარავში შეკრებილნი უმთავრეს საკანონმდებლო ფუნქციას თავის ხელში აიღებდნენ. ეს კი, ძირითადად, ეხებოდა საშინაო პოლიტიკის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გადაწყვეტილებების გამოტანას, როგორიც იყო სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებზე დანიშვნა-მოხსნა, ქონების, მამულების, შემოსავლების წყალობა-ბოძება თუ შერისხვა-ჩამორთმევა და სხვ. თავის დადგენილებას კარავში შეკრებილნი მეფეს აცნობებდნენ. მათი გადაწყვეტილება კანონის ძალას მეფის თანხმობის შემდეგ შეიძენდა. ცხადია, ეს მეფის ხელისუფლების შეზღუდვას გამოიწვევდა. მას ფაქტობრივად კარვის გადაწყვეტილების შესრულებაღა რჩებოდა. ეს თანამედროვეებსაც მშვენივრად ესმოდათ. ამიტომაც ამბობს აღშფოთებული თამარის მემატიანე: ყოველივე ეს ხომ „პატრონის (თამარის) ხელმწიფობის (ე. ი. შეუზღუდავი ხელისუფლების) დასასრულს ნიშნავდაო". ყუთლუ-არსლანის დასი ფაქტობრივად პარლამენტის მსგავსი დაწესებულების ჩამოყალიბებას მოითხოვდა. ასეთი წოდებრივ-წარმომადგენლობითი საკანონმდებლო დაწესებულებების შექმნა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დაიწყო.

თამარის ბრძანებით, ყუთლუ-არსლანი შეიპყრეს. სამეფო კარი ფიქრობდა, რომ ამით მოძრაობას ბოლოს მოუღებდა. შედეგი საწინააღმდეგო აღმოჩნდა. ყუთლუ-არსლანის მიმდევრებმა ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცეს და თავიანთი მეთაურის განთავისუფლება მოითხოვეს. თუ არა და ისინი მეფის სასახლეზე გალაშქრებითაც კი იმუქრებოდნენ. თამარმა მეამბოხეებთან მოსალაპარაკებლად ორი წარჩინებული მანდილოსანი, ქართლის ერისთავ-ერისთავის რატი სურამელის დედა ხუაშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელი გააგზავნა. საქმე მორიგებით დასრულდა. ყუთლუ-არსლანი გაათავისუფლეს. ამბოხებულებმა „კარვის" შექმნაზე უარი თქვეს, სამაგიეროდ, სამეფო დარბაზის უფლებები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ახლა უკვე მეფე უმაღლეს თანამდებობის პირებს დიდებულთა „თანადგომითა და ერთნებაობით" ნიშნავდა.

თამარს ასეთი დათმობა დროებითად მიაჩნდა. თავისი პოზიციების შედარებით განმტკიცების შემდეგ, მეფემ ქვეყნის მთელი მმართველობის ხელში აღება და უზომოდ აღზევებული მიქაელის საკათალიკოსო ტახტიდან გადაყენება განიზრახა. ამისთვის მან გიორგი III-ის ხანაში ჯერ კიდევ მიქაელამდე კათალიკოსყოფილი და იმჟამად იერუსალიმის მონასტერში მყოფი, ნიკოლოზ გულაბერისძე საქართველოში მოიხმო, საეკლესიო კრება მოიწვია და მიქაელის გადაყენებას შეეცადა. დიდი მცდელობისდა მიუხედავად მეფის სურვილი განუხორციელებელი დარჩა. კრებამ ცალკეული ეპისკოპოსები კი გადააყენა, მაგრამ მიქაელს ვერაფერი დააკლო. ამგვარად, დიდგვაროვანთა ის დაჯგუფება, რომელსაც მიქაელ კათალიკოსი ეყრდნობოდა, მეფისათვის დაუძლეველი გამოდგა. მიქაელმა კათალიკოს-პატრიარქობა და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა გარდაცვალებამდე შეინარჩუნა.

როდესაც საეკლესიო კრებამ საეკლესიო საკითხების განხილვა დაასრულა, დარბაზში საერო დიდებულები შემოვიდნენ და თამარისათვის მეუღლის მოყვანის საკითხი დააყენეს. ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი იყო: ქვეყანას ტახტის მემკვიდრე, ლაშქარს კი წინამძღოლი სჭირდებოდა. დიდებულებს მიქაელ კათალიკოს-პატრიარქის მეთაურობით, საქმრო თამარის უკითხავად ჰყავდათ შერჩეული. კავკასიის გადაღმა, კავკასიელი ტომების, ოსებისა და ყივჩაყთა ქვეყნების ჩრდილოეთით როგორც ვიცით, რუსეთი იყო გადაჭიმული, რომელიც იმჟამად მრავალ სამთავროდ იყო დაშლილი. მათ შორის ყველაზე დიდი და ძლიერი ვლადიმირ-სუზდალის სამთავრო იყო. მას ბოგოლუბსკები განაგებდნენ. ქართველ დიდებულებს თამარის საქმროდ სწორედ ვლადიმირ-სუზდალის გარდაცვლილი მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟი და ახალი მთავრის ვსევოლოდის ძმისშვილი იური უნდოდათ, რომელიც იმჟამად ბიძას გამოქცეული თავს ყივჩაყებთან აფარებდა. იურის პირადი თვისებებით არავინ დაინტერესებულა. ისე კი იური დიდებულებს ყოველ მხრივ აკმაყოფილებდა: ის იყო სამეფო საგვარეულოდან, გარეგნულად წარმოსადეგი, ახოვანი და კარგი მეომარი, რაც იმის იმედს იძლეოდა, რომ საქართველოს ახლო მომავალში კეთილშობილი წარმოშობის, ჯანმრთელი ტახტის მემკვიდრე გაუჩნდებოდა, ხოლო ჯარს კარგი წინამძღოლი ეყოლებოდა. ამავე დროს იური ბოგოლუბსკი საკუთარი ქვეყნიდან გამოძევებული უფლისწული იყო. შესაბამისად, საქართველოში ის ყოველმხრივ დამოკიდებული იქნებოდა როგორც თამარ მეფეზე, ისე იმ დიდებულებზე, რომლებმაც ის საქართველოში ჩამოიყვანეს. ბედნიერი თანხვედრა

იყო ისიც, რომ ყოველივე ზემოთქმულთან ერთად იური სარწმუნოებით ქრისტიანი იყო. ქრისტიანი უფლისწულები კი საქართველოს მეზობელ ქვეყნებში არც თუ ისე იოლად მოიძებნებოდა. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, თამარი იძულებული გახდა ამ მისთვის არასასურველ ქორწინებას დასთანხმებოდა. მაშინ დიდებულებმა ყივჩაყეთში სასწრაფოდ დიდ-ვაჭარი ზანქან ზორაბაბელი გაგზავნეს და იური ბოგოლუბსკი საქართველოში ჩამოიყვანეს. იურის ქართველები „გიორგი რუსს" ან უბრალოდ „რუსს" ეძახდნენ. მატიანეებში ის ზოგჯერ „უბედურ რუსადაც" მოიხსენიება. თამარის და გიორგი რუსის ქორწილი 1185 წლის გაზაფხულზე მოხდა.

მალე ხლათის სულთანი სუქმან II გარდაიცვალა. მას მემკვიდრე არ დარჩენია. შაჰ-არმენის (ხლათის სასულთნო) მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში საქართველოც ჩაება. ამ ბრძოლაში საქართველო პირველად შეეჯახა აიუბიანთა ეგვიპტის სახელმწიფოს.

აიუბიანთა დინასტიის დამაარსებელი ქურთი სალაჰ ად-დინი (1171-1200) იყო, რომელიც ევროპაში სალადინის სახელითაა ცნობილი. მან 1171 წელს დაამხო ეგვიპტეში, ჩვენთვის უკვე ცნობილი, ფატიმიანთა დინასტია და მოკლე ხანში ეგვიპტე მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ გადააქცია. ჩრდილოეთით აიუბიანთა ეგვიპტე რუმის და ხლათის სასულთნოებს გაუმეზობლდა. 1183 წ. სალადინმა დაიპყრო სირია და მის უდიდეს ქალაქებს დამასკოსა და ალეპოს დაეპატრონა. ხლათის სულთნის გარდაცვალებამ სალადინს ჩრდილოეთ მესოპოტამიაში მოუსწრო, როდესაც ის ქალაქ მოსულს ლაშქრავდა. მან ქალაქს ალყა მოხსნა და შაჰ-არმენთა სამფლობელოსაკენ დაიძრა. სალადინი ქალაქ ხლათს მიადგა. საქართველოს საზღვრებთან ეგვიპტის სულთნის ასე ახლოს მოსვლით შეშფოთებულმა საქართველოს სამეფო კარმა თავისი სამხედრო ძლიერების დემონსტრირება გადაწყვიტა. მოეწყო დიდი ლაშქრობა, რომელსაც გიორგი რუსი ედგა სათავეში. ქართველებმა დაარბიეს ხლათის სასულთნოზე დაქვემდებარებული საქართველოსთან მოსაზღვრე მხარეები: კარის (ყარსის) და კარნუქალაქის (არზრუმის) მიდამოები. ხლათის სასულთნოს ჩრდილოეთ საზღვრებზე საქართველოს გააქტიურებამ სალადინი შეაფიქრიანა. მან საქართველოში ელჩები გამოგზავნა და თამარ მეფეს ურჩია ხლათის საქმეებში არ ჩარეულიყო. ამ ელჩობის შემდეგ საქართველოსა და ეგვიპტეს შორის იმავე 1185 წლის 15 აგვისტოს დაიდო ხელშეკრულება - „ძღვნის წიგნი". თამარ მეფე პირობას დებდა, რომ ხლათის საქმეებში არ ჩაერეოდა. მიუხედავად ამისა, სალადინის ლაშქარში მყოფი სირიისა და სხვა მხარეების თურქი ამირები არზრუმის ამირას მეთაურობით საქართველოში შემოიჭრნენ და შავშეთ-კლარჯეთის რბევა დაიწყეს. ქართველებმა იმ მხარეთა ერისთავების გუზან ტაოელისა და ბოცო ჯაყელის მეთაურობით თურქები სასტიკად დაამარცხეს და საქართველოს საზღვრებიდან გააძევეს.

ქართველებს იმჟამად სალადინთან დადებული შეთანხმება არ დაურღვევიათ და ხლათის სასულთნოში არ შეჭრილან, სამაგიეროდ მათ ისარგებლეს სალადინისა და სამხრეთ კავკასიაში მისი ძლიერი მეტოქის რანისა და აზერბაიჯანის ათაბაგის დაპირისპირებით და რამდენჯერმე დალაშქრეს ელდიგუზიანთა სამფლობელო, მოარბიეს გელაქუნის ტბის, დვინის, განძისა და განძის ქვემოთ მდებარე მხარეები ბეილაქნამდე.

1186 წ-ს მიქაელ კათალიკოსი გარდაიცვალა. ეს დიდებულთა იმ დაჯგუფებისათვის, რომელთა ინტერესებსაც მიქაელი წარმოადგენდა, დიდი დანაკლისი იყო. თამარმა ამით ისარგებლა და ხელისუფლების სადავეებს მთლიანად დაეუფლა. მან საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად თავისი ერთგული თევდორე აარჩევინა, ხოლო მთავრობის მეთაურად ანუ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად ანტონ გლონისთავის-ძე დააბრუნა, რომელიც იმჟამად კლარჯეთში, მისივე აშენებულ მონასტერში იმყოფებოდა. ამის შემდეგ თამარმა მთელი მთავრობა გადაახალისა. ამირსპასალარად სარგის მხარგრძელი დანიშნა, ჭიაბერს მანდატურთუხუცესობა უბოძა, კახაბერ ვარდანის-ძეს - მეჭურჭლეთუხუცესობა, ვარდან დადიანს - მსახურთუხუცესობა, მარუშიანს - ჩუხჩარეხობა (მეფის პირადი დაცვის უფროსი), ხოლო გამრეკელ-თორელს - ამილახვრობა (მეჯინიბეთუხუცესობა ანუ სამეფო საჯინიბოს უფროსობა).

**ხელმწიფის კარის ანუ ცენტრალური ხელისუფლების უმაღლეს მოხელეთა** გარდა მემატიანეს იმავე ხანის პროვინციის გამგებელთა ანუ ერისთავთ-ერისთავთა სიაც შემოუნახავს: სვანთა ერისთავთ-ერისთავი ბარამ ვარდანის ძე იყო, რაჭისა და თაკვერის - კახაბერ კახაბერის ძე, აფხაზეთის - ოთაღო შარვაშის-ძე, ცხუმის - ამანელის ძე, ოდიშის - ბედან (ბედიან) დადიანი, ქართლის ერისთავი - რატი სურამელი, კახეთის - ბაკურ-ეფა ძაგანის ძე, ჰერეთის ერისთავი - ახათ გრიგოლის ძე, სამცხის ერისთავი - ბოცო ჯაყელი.

ამ დროისათვის თამარისთვის აშკარა გახდა, რომ გიორგი რუსთან ცოლქმრული ცხოვრების გაგრძელება მას აღარ ძალუძდა. საქართველოს მეფისათვის და საერთოდ საქართველოს სამეფო კარისათვის აუტანელი აღმოჩნდა ის ცხოვრების წესი, რომელსაც გიორგი იყო ჩვეული. მემატიანე

მოგვითხრობს, რომ მას ჰქონდა მძიმე სიმთვრალე, რომლის დროსაც ის შეურაცხყოფას აყენებდა მეფე თამარს, ცემდა და აწამებდა სასახლის მოხელეებს. განსაკუთრებით დამაღონებელი სამეფო კარისათვის იყო ის, რომ ამ ხნის განმავლობაში თამარს მემკვიდრე არ გაუჩნდა. მიქაელ კათალიკოსის გარდაცვალებამ, რომელიც გიორგი რუსის თამარის ქმრად მოყვანის მოთავე იყო, გიორგის სამეფო კარზე მძლავრი დასაყრდენი გამოაცალა. ასეთ ვითარებაში თამარმა სამეფო დარბაზსა და ახლად არჩეული პატრიარქისაგან ქმართან განქორწინების ნება ითხოვა. გიორგი რუსისადმი თამარის მიერ წაყენებული უმთავრესი ბრალდება ცოლქმრული ღალატი იყო. „თუმცა სალმრთო სჯული გვასწავლის, რომ არ უნდა გაშორდე პირველ საწოლს, – მიმართა თამარ მეფემ მისი განქორწინების შესახებ განაჩენის გამოსატანად შეკრებილ დარბაზს – მაგრამ მოთმენა იმისა, ვინც თვით არ იცავს თავის საწოლს წმინდად, ჩვენგან არ ეგების, ვინაიდან ის შემაგინებელია ღმრთის ტაძრის". ამის შემდეგ თამარმა გიორგის შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მე არ ძალმიძს მრუდე ხის ჩრდილის გასწორება, ამიტომ უბრალოდ დაგიფერთხავ ამ მტვერს, რომელიც ამეკრო შენგან". დარბაზმა და კათალიკოსმა თამარ მეფეს ქმართან გაშორების ნება დართო. ამის შემდეგ გიორგი დიდი ქონებით და პატივით, ზღვით კონსტანტინოპოლში გაამგზავრეს. ცოტა ხნის შემდეგ თამარმა მეორედ იქორწინა ოს უფლისწულზე დავით სოსლანზე, რომელიც საქართველოში მისივე მამიდის, რუსუდანის კარზე იყო აღზრდილი.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, დავით სოსლანი მამით ოსთა მეფეთა ეფრემიანთა საგვარეულოს ეკუთვნოდა, ხოლო დედის მხრივ კი – ბაგრატიონთა საგვარეულოს. მიაჩნდათ, რომ ის იყო ბაგრატ IV-ის ნახევარძმის დემეტრეს შთამომავალი.

## 2. საქართველო XII ს-ის 90-იან წლებში.

**1191 წ. საქართველოში თამარის წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა**, რომელიც გიორგი რუსის დაბრუნებას ისახავდა მიზნად. საქმე ისაა, რომ თამარის ხელისუფლების გაძლიერების შემდეგ, სამეფო კარზე თანდათანობით დაწინაურდნენ დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების ხანაში საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შემოსული მხარეების – ქვემო ქართლის და კახეთ-ჰერეთის დიდი ფეოდალური საგვარეულოები. ამის გამო თავს დაჩაგრულად მიიჩნევდნენ ყოფილი აფხაზთა სამეფოსა (დასავლეთ საქართველო) და ქართველთა სამეფოს (ზემო ქართლი) ძირძველი ფეოდალური სახლები, ვინაიდან, როგორც გვახსოვს, ამ სამეფოთა გაერთიანებამ ჩაუყარა საფუძველი ერთიან საქართველოს. ამიტომ ისინი დაუკავშირდნენ იმჟამად კონსტანტინოპოლიდან არზრუმში სალთუკიანების კარზე მყოფ გიორგი რუსს და ის საქართველოში მოიწვიეს. გიორგი რუსი საქართველოში ტაო-კლარჯეთიდან შემოვიდა. მის მხარეს თითქმის ყველა მესხი დიდებული გადავიდა, პირველ რიგში ტაო-კლარჯეთის ერისთავთ-ერისთავი გუზანი და სამცხის სპასალარი ბოცო ჯაყელი. ერთხმად მიემხრნენ გიორგი რუსს დასავლეთ საქართველოს დიდებულები. მაზრუთხუცესი ვარდან დადიანი მას დასახმარებლად სპეციალურად გეგუთში ჩავიდა და მთელი დასავლეთ საქართველოს ლაშქარი შეკრიბა, გიორგი რუსი გეგუთში ჩამოიყვანეს და სამეფო ტახტზე დასვეს. „ვინ და ვისი ტახტის მემკვიდრე დაჯდა დავითიანთა ტახტზე"! შენიშნავს ამ ამბებით განცვიფრებული ქართველი მემატიანე.

საქართველოს მეფეს გვერდით ჰერეთ-კახეთისა და შიდა და ქვემო ქართლის დიდებულები ამოუდგნენ. თამარი თავდაპირველად აჯანყებულებთან მოლაპარაკებას შეეცადა, მაგრამ თავიანთ ძალებში დარწმუნებული მეამბოხე დიდებულები მეფეს მოლაპარაკებაზე არ დასთანხმდნენ და თბილისისაკენ დაიძრნენ. თამარის მომხრეებსა და აჯანყებულებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა შიდა ქართლში გაიმართა. აჯანყებულები დამარცხდნენ, იარაღი დაყარეს და უვნებლობის ფიცის მიღების შემდეგ, თამარს თავისი ყოფილი ქმარი და საქართველოს ტახტის მაძიებელი გიორგი რუსი გადასცეს. თამარმა აჯანყებულები შეიწყალა და გიორგი რუსიც უვნებლად კვლავ კონსტანტინოპოლში გააძევა. ამის შემდეგ იური ბოგოლიუბსკი კიდევ ერთხელ შეეცადა საქართველოში დაბრუნებას. ამჯერად ის ადარბადაგანის ათაბაგთან მივიდა და მისი დახმარებით ჰერეთში შემოიჭრა. აქ მეფის მაძიებელი იური ბოგოლიუბსკი ხორნაბუჯელმა სადირ მახატლისძემ მცირე ლაშქრით დაამარცხა. ამის შემდეგ მისი ასავალ-დასავალი უცნობია.

გიორგი რუსის მომხრეთა დამარცხების შემდეგ, საქართველოში მრავალწლიანი შიდა კრიზისი საბოლოოდ დასრულდა. სამეფო ხელისუფლებას საშუალება მიეცა ძირითადი ყურადღება საგარეო საქმეებისათვის დაეთმო. საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანას თურქ-სელჩუკთა ბატონობისაგან რაც შეიძლება მეტი სომხური და საერთოდ ქრისტიანული მიწების განთავისუფლება წარმოადგენდა.

ამასობაში ეგვიპტის სულთანი სალადინი კიდევ უფრო გაძლიერდა. 1187 წ. მან ჯერ კიდევ ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის დროს დაარსებული იერუსალიმის სამეფო დაამარცხა და ქალაქი

რიჩარდ ლომგული, ფილიპ II, ფრიდრიხ ბარბაროსა

ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგულმა (1189-1199) მეფობის დიდი ნაწილი ჯვაროსნულ ლაშქრობაში და საფრანგეთში გაატარა, სადაც მემკვიდრეობით ინგლისზე უფრო დიდ ტერიტორიას ფლობდა. ჯვაროსნული ლაშქრობის დროს რიჩარდმა დაიპყრო კვიპროსი და პალესტინაში ციხე-სიმაგრე აიღო.

საფრანგეთის მეფე ფილიპე II ავგუსტის (1180-1223) ხანაში საფრანგეთმა დიდ წარმატებას მიაღწია და ინგლისის მეფეების მფლობელობაში მყოფი ფრანგული მიწების დიდი ნაწილი დაიბრუნა. III ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ფილიპე II რიჩარდ ლომგულს წაეჩხუბა და საფრანგეთში დაბრუნდა.

ფრიდრიხ I ბარბაროსა (1152-1190) იყო გერმანელი ხალხის საღვთო რომის იმპერიის მმართველი. მის დროს გერმანიამ დიდ სიძლიერეს მიაღწია. ცნობილია, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიმავალი ფრიდრიხ I მცირე აზიაში, პეტრიწონის მონასტრის ახლოს, ქალაქ ფილადელფიაში გაჩერდა და იქ პეტრიწონის მონასტრის წინამძღვარს შეხვდა. ამ შეხვედრისას ის ქართველი ბერების მეშვეობით საქართველოსთან ურთიერთობის დამყარებას შეეცადა. ფრიდრიხ ბარბაროსამ პალესტინამდე ვერ მიაღწია: ის მცირე აზიაში ერთ-ერთი მდინარის გადალახვისას დაიხრჩო.

ჯვაროსანთა III ლაშქრობა საბოლოოდ მარცხით დასრულდა. რიჩარდ ლომგულმა სალადინისაგან მხოლოდ ქრისტიანი პილიგრიმების იერუსალიმში ჩასვლის უფლებას მიაღწია.

ლაშა

„ლაშა აფხაზთა ენითა - ბრწყინვალეს და მანათობელს ნიშნავს" - აღნიშნავს „ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთი მემატიანე.
მართლაც, ადიღეურ-ჩერქეზულ ენებში ალაშარი მანათობელს ნიშნავს.

იერუსალიმიც აიღო. მას ხელთ აღმოჩნდა ქრისტიანთა ისეთი წმინდა რელიკვია, როგორიც იყო „ძელი ცხოვრებისა". ეგვიპტის სულთნის მიერ იერუსალიმის დაპყრობამ მთელი ქრისტიანული სამყარო შეაძრწუნა. ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული, საფრანგეთის მეფე ფილიპე II და გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ ბარბაროსა სათავეში ჩაუდგნენ ჯვაროსანთა III ლაშქრობას. ჯვაროსნები 1189 წ. პალესტინისაკენ გაემართნენ. ისინი ამავე დროს „ძელი ცხოვრებისას" დაბრუნების თაობაზე სალადინთან მოლაპარაკებას აგრძელებდნენ. რიჩარდ ლომგული მზად იყო ზავი დაედო ეგვიპტის სულთანთან, თუ ის წმინდა ჯვარს მას გადასცემდა. ამ ჯვარის გამოსახსნელად საგანგებო ელჩობა ეგვიპტის სულთნის კარზე ბიზანტიამაც გააგზავნა. საქართველო ამ დროს აღმოსავლეთის უძლიერესი ქრისტიანული ქვეყანა იყო და ქრისტიანთა ამ უძვირფასესი რელიკვიის მუსლიმთაგან გამოხსნის პრეტენზია მასაც გააჩნდა. 1192 წელს თამარმა სულთანს ელჩობა აახლა და მას საქართველოსათვის წმინდა ჯვრის გადაცემის საფასურად ორასი ათასი ოქროს დინარი შესთავაზა, რაც იმ დროისათვის უზარმაზარ თანხას წარმოადგენდა. ამავე დროს ქართველი ელჩები ეგვიპტის სულთანს იმ უფლებების დადასტურებას თხოვდნენ, რომელიც ეგვიპტელთა მიერ იერუსალიმის დაპყრობამდე საქართველოს პალესტინაში და, კერძოდ, იერუსალიმში გააჩნდა. სულთანმა წმინდა ჯვრის ქართველთათვის გადაცემაზე უარი განაცხადა, მაგრამ მათ დაუდასტურა უფლებები პალესტინასა და იერუსალიმში არსებულ ქართულ მონასტრებზე. ამ დროიდან მოიპოვეს ქართველებმა უდიდესი პრივილეგია: ყოველგვარი გადასახადის გარეშე შესულიყვნენ იერუსალიმში. „ისინი შემოდიან წმინდა ქალაქში გაშლილი დროშებით და არავის უხდიან ხარკს" - ასე აღწერს ქართველ მლოცველთა იერუსალიმში შესვლას XIII ს-ის პალესტინის ერთ-ერთი კათოლიკე ეპისკოპოსი ჟაკ დე ვიტრი.

1191 წ. აზერბაიჯანის ათაბაგი ყიზილ-არსლანი გარდაიცვალა და მის ძმისშვილებს შორის ათაბაგის ტახტისათვის შინაომი გაჩაღდა. გამარჯვება აბუ-ბექრს ხვდა, აბუ ბექრის ძმა ამირ-მირმან ფაძლავანი კი, შარვანში გაიქცა და შარვან-შაჰს ჩაესახა. აბუ-ბექრი ახლა შარვანის რბევას მიჰყვა. შარვანი, როგორც ვიცით, საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო. შარვან-შაჰები კი, საქართველოს სამეფო სახლის ახლო ნათესავები. ამიტომ შარვან-შაჰმა დახმარება თამარ მეფეს თხოვა. მანაც არ დააყოვნა და 1193 წ. რანში ილაშქრა. ამ პერიოდში თამარს ის იყო უფროსი შვილი გიორგი, იგივე ლაშა-გიორგი, შეეძინა. ამიტომ ქართულმა ლაშქარმა ეს ლაშქრობა ტახტის მემკვიდრის დაბადებას მიუძღვნა. ქართველებმა რანის ქვეყანა, მათ შორის ბარდავის მხარე დაარბიეს და დიდძალი ტყვითა და ნადავლით დაბრუნდნენ სამშობლოში. ერთი წლის შემდეგ თამარს და დავითს კიდევ ერთი შვილი – რუსუდანი გაუჩნდათ.

საქართველო მარტო მარბიელი ლაშქრობით აბუ-ბექრის წინააღმდეგ ბრძოლის დასრულებას არ აპირებდა და უფრო მნიშვნელოვანი ბრძოლისათვის ემზადებოდა. აბუ-ბექრმა დასწრება ამჯობინა. ის 1195 წ. თვითონ შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში. საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ამ ომს აბუ-ბექრმა იმთავითვე საღვთო ომის სახე მისცა. ამისთვის მან წინასწარ მუსლიმთა სულიერი მეთაურის ბაღდადის ხალიფას მხარდაჭერა მოიპოვა. თამარ მეფემ აბუ-ბექრის წინააღმდეგ გაერთიანებული სამეფოს მთელი ლაშქარი გამოიყვანა. ქართული ფეოდალური ლაშქრის გარდა ბრძოლაში შარვან-

შაჰი და მისი სიძე ფაჰლავანი, აგრეთვე საქართველოს ჩრდილო კავკასიელი ყმადნაფიცები თუ მოკავშირეები – ყივჩაყები, ოსები ... იღებდნენ მონაწილეობას. ბრძოლა მოხდა შამქორის ახლოს 1195 წლის 1 ივნისს. ქართველთა ლაშქარს დავით სოსლანი ხელმძღვანელობდა. ბრძოლა ქართველების ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. მათ დიდი ალაფი ჩაუვარდათ ხელთ. ქართული ჯარის ერთ-ერთი სარდალი შალვა ახალციხელი ხალიფას დროშას დაეუფლა, რომელიც შემდეგ თამარმა ხახულის ღვთისმშობლის ხატს შესწირა. ქართველებმა 12 ათასი ტყვე, გარდა ამისა, ოცი ათასი ცხენი, თხუთმეტი ათასი აქლემი, შვიდი ათასი ჯორი და ორმოცი ავაზა იგდეს ხელთ. ძვირფასეულობასა და ოქროვერცხლს ხომ თვლა არ ჰქონდა. მეორე დღეს დავით სოსლანს ქალაქ შამქორის მოსახლეობა ეახლა და ქალაქის გასაღები გადასცა.

გამარჯვებული ქართველები განძაში შევიდნენ და აქ ფაჰლავანი გაამთავრეს. სამწუხაროდ, განძაში მისი მმართველობა მხოლოდ 22 დღე გაგრძელდა. აბუ-ბექრმა თავისი ძმა ფაჰლავანი მოაწამვლინა და ქალაქ განძას ხელახლა დაეუფლა. ამის შემდეგ ქართველებმა აბუ-ბექრის წინააღმდეგ რამდენჯერმე ილაშქრეს, მაგრამ განძის აღება ვერ შეძლეს, თუმცა ქალაქი ნახჭევანი და რანის სხვა მრავალი ქალაქი დაიჭირეს და ხარკი დაადეს.

ადარბადაგანის ათაბაგის დამარცხების შემდეგ, ანისის მმართველ შადადიანებს ძლიერი მფარველი აღარ ჰყავდათ, მით უფრო, რომ ხლათის სასულთნოც დასუსტებული იყო და საქართველოს ანისისათვის ბრძოლაში მეტოქეობას ვერ გაუწევდა. ამით ისარგებლა თამარ მეფემ, 1199 წ. ანისში შადადიანთა მმართველობა დაამხო და ანისი საქართველოს საბოლოოდ შემოუერთა.

ანისის აღების შემდეგ დღის წესრიგში არზრუმის საამიროს სომხური მიწების საკითხი დადგა. აქ საქართველო მცირე აზიის დიდ სელჩუკურ სახელმწიფოს, რუმის სასულთნოს შეეჯახა.

### 3. საქართველო წინა აზიის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო

ჯერ კიდევ 1193 წელს ქართველები არზრუმისა და კარის საამიროებში შეიჭრნენ. იმჯერად მათ კარის აღება ვერ შეძლეს, მაგრამ იქ მუსლიმთა ბატონობა ძალზე შეარყიეს. ამ დროს საქართველოს ლაშქარი არზრუმის ციხე-ქალაქის კედლებთანაც გამოჩნდა. საქართველომ ამ ლაშქრობებით სურვილი გამოამჟღავნა თავისი კონტროლი დაეწესებინა იმ მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო-საქარავნო გზაზე, რომელიც ადარბადაგანის ქალაქ თავრიზიდან ანისის, კარისა და არზრუმის გავლით ტრაპიზონისკენ მიემართებოდა. ამავე გზაზე გაბატონებას და არზრუმზე და კარზე კონტროლის დაწესებას რუმის სასულთნოც ფიქრობდა. ამიტომ საქართველოსა და რუმის სასულთნოს შორის შეტაკება გარდაუვალი იყო. იმჟამად რუმის სულთნის კილიჩ არსლანის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებს შორის ტახტისათვის შინა ომი მძვინვარებდა, ამიტომ რუმის სასულთნოს საქართველოსათვის არ ეცალა. შინა ომში რუქნ ად-დინმა გაიმარჯვა. ამასობაში 1199 წ., როგორც ვნახეთ, საქართველომ ანისი შემოიერთა, ხოლო 1202 წ. კარის ქვეყანასაც დაეუფლა, თუმცა საკუთრივ კარის ციხე-ქალაქის აღებამ კიდევ რამდენიმე წელს გასტანა. ასე რომ ქართველების ხელში აღნიშნული სავაჭრო გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი აღმოჩნდა. რუქნ ად-დინმა გადაწყვიტა, რომ შემდგომი მოვლენებისათვის დაესწრო და საქართველოზე სალაშქროდ გაემზადა.

1201 წ. საქართველოზე გამოლაშქრების წინ რუქნ ად-დინმა არზრუმში ბოლო მოუღო სალთუკიანთა დინასტიას და იქ ამირად თავისი ძმა დასვა. ამით არზრუმის საამირო რუმის სასულთნოზე დამოკიდებულ ქვეყნად იქცა. ამის შემდეგ რუქნ ად-დინი უზარმაზარი ლაშქრით ბასიანში დაბანაკდა. ბასიანიდან რუმის სულთანმა მოციქულის (ელჩის) ხელით საქართველოს მეფეს მუქარით აღსავსე წერილი გამოუგზავნა: „... ყველა ქალი რეგვენია, – წერდა გათავხედებული რუქნ ად-დინი თამარს – შენ ქართველებისთვის გიბრძანებია ხმალი აილონ მუსლიმთა დასახოცად ... აწ ვაგზავნი მთელ ჩემ ძლიერებას, რათა დავხოცო შენი ქვეყნის ყველა მამაკაცი, იმათ გარდა ვინც წინ შემეგებება, თაყვანს სცემს ჩემს კარავს, ქრისტეს ჯვარს ჩემს წინაშე დალეწავს და მუჰამედს აღიარებს". მოციქულმა თავისი მბრძანებლის წერილი უშუალოდ თამარ მეფეს გადასცა და თან სულთნის დანაბარები დაუმატა: „თუ თქვენი მეფე დატოვებს თავის სჯულს, მას ჩვენი სულთანი ცოლად შეირთავს, თუ არა და ხარჭად დაისვამს". ამ სიტყვებმა ზაქარია ამირსპასალარი ისე აღაშფოთა, რომ მან ელჩს სახეში სილა გააწნა და გონება დააკარგვინა. როდესაც მოციქული გონს მოვიდა, ამირსპასალარმა მას განუცხადა: „მოციქული რომ არ იყო, ამ ულირსი სიტყვებისათვის პირველად ენას და შემდეგ კი თავს მოგკვეთა იქნებოდა შენთვის კანონიერი სასჯელი — ეს წერილი მიართვი რუქნ ად-დინს და უთხარი: „ჩვენ მზათ ვართ წინ შესაგებებლად და საომრად, სამართალი კი ღმერთმა ქნას". ქართველებმა დიპლომატიური ეტიკეტი ბოლომდე დაიცვეს. სულთნის ელჩი უხვად დაასაჩუქრეს და „მწვავე პასუხით" უკანვე გააგზავნეს.

თამარ მეფის ბრძანებით, ჯავახეთში მალე „ნიკოფსით დარუბანდამდის" საქართველოს მთელი მხედრობა შეიკრიბა. თამარმა ლაშქარი ვარძიის ღვთისმშობელს შეავედრა და დავით სოსლანმა საქართველოს დროშა გაშალა. ქართველები ისე სწრაფად მიადგნენ ბასიანში დაბანაკებულ რუქნ ად-დინს, რომ ეს სელჩუკებისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ბრძოლა 1202 წლის 27 ივლისს გაიმართა. თავდაპირველმა დაბნეულობამ სელჩუკებს მალე გაუარა და სწრაფად მოეწყვნენ საბრძოლველად. დაიწყო სასტიკი ომი. ცენტრში მდგომ ქართველ მხედართმთავრებს: ივანე მხარგრძელს, ზაქარია გაგელს, შალვა და ივანე ახალციხელებს, თავიდან თმოგველს და სხვებს ცხენები გამოუკლეს. ამის შემხედვარე მოწინავე ლაშქარი თითქმის გასაქცევად გაემზადა. მაშინ მხედართმთავრებმა ცხენები აღარ მოითხოვეს და ქვეითად გააგრძელეს ბრძოლა. მოლაშქრეებმა მხედართმთავრები ქვეითად მებრძოლი რომ დაინახეს, „თავი სასიკვდილოდ გასწირეს", თვითონაც ჩამოქვეითდნენ და მხედართმთავრებს გვერდში ამოუდგნენ. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. წინასწარ ჩაფიქრებული გეგმის თანახმად, დანარჩენმა ქართულმა მხედრობამ დავით სოსლანისა და ზაქარია მხარგრძელის მეთაურობით მტერს ფლანგებიდან დაარტყა, რამაც სელჩუკთა რიგებში სრული არეულობა შეიტანა. სიმრავლით „ტყეთა მსგავსი ლაშქარი ერთბაშად გაიქცა". მაშინ ქვეითად მებრძოლი ქართველებიც ცხენებს შემოასხდნენ და რუქნ ად-დინის ლაშქარს დაედევნენ. რუქნ ად-დინმა და მისმა ძმამ არზრუმის ციხე-სიმაგრეს შეაფარეს თავი. სელჩუკთა დიდი ნაწილი ბრძოლაში გაწყდა. ქართველებმა იმდენი ტყვე იგდეს ხელთ, რომ ერთ მოლაშქრეს სადავით გადაბმული რამდენიმე ათეული ტყვე მოჰყავდა. ქართველებს ძალზე მცირე დანაკლისი ჰქონდათ, მემატიანის სიტყვით, ბრძოლაში „არცერთი კარგი, მეფისთვის ცნობილი კაცი არ მომკვდარა". საქართველოს ლაშქარს მტრის მთელი ბანაკი დარჩა. ოქრო-ვერცხლთან, თვალმარგალიტთან, ძვირფას კარვებთან და ჭურჭელთან ერთად თვლა არ ჰქონდა ცხენების, ჯორების თუ აქლემების რიცხვს. ხელში ჩავარდნილი აურაცხელი სიმდიდრიდან მაინც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია იმჟამად აღმოსავლურ სამყაროში ცნობილი სამედიცინო წიგნი – კარაბადინი, რომელიც ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ბრძანებით, მაშინვე ითარგმნა ქართულად.

### კარაბადინი

„კარაბადინი" ძველ საქართველოში სამკურნალო წიგნების საერთო სახელწოდება იყო. დღემდე შემონახულ და გამოცემულ კარაბადინებს შორის უძველესია XI ს-ის „უსწორო კარაბადინი".

ბასიანთან გამარჯვების შემდეგ საქართველოს ლაშქარმა 1203 წ. ადარბადაგანის (აზერბაიჯანის) საათაბაგოს წინააღმდეგ ილაშქრა და ისტორიული სომხეთის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი დვინი დაიკავა. ამის შემდეგ ადარბადაგანის და ირანის მიწების რბევამ საქართველოს მხრივ სისტემატური ხასიათი მიიღო, რაც პირველ რიგში მიზნად ისახავდა ახალ სავაჭრო გზებზე კონტროლის დაწესებას.

რუქნ ად-დინზე გამარჯვების შემდეგ საქართველო ბიზანტიის საშინაო საქმეებშიც ჩაერია. ამ დროს იმპერიას ანგელოსთა საგვარეულოს წარმომადგენელი ალექსი III განაგებდა, რომელმაც 1195 წელს თავისი ძმა ისააკი ჩამოაგდო ტახტიდან და დაბრმავა. ანგელოსები ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე 1185 წელს მომხდარი გადატრიალების შედეგად ავიდნენ, როდესაც მათ ტახტიდან კომნენოსთა უკანასკნელი წარმომადგენელი, გიორგი III-ის მამიდაშვილი და მასთან კარზე სტუმრად ნამყოფი, ჩვენთვის უკვე ნაცნობი ანდრონიკე კომნენოსი ჩამოაგდეს. ბიზანტიიდან გამოქცეული ანდრონიკეს შვილები, ძმები დავითი და ალექსი თამარმა შეიფარა. კომნენოსების ბიზანტიის ტახტიდან ჩამოგდება საქართველოს მეფემ ძალზე მტკივნეულად აღიქვა, ვინაიდან კომნენოსები მისი ახლო ნათესავები იყვნენ. ამ ნათესაობით საქართველოს სამეფო კარი ძალზე ამაყობდა და თამარი კომნენოსებისათვის ტახტის დაბრუნებაში ხელშეწყობის სურვილს არ მალავდა. ამან საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობები ძალიან დაძაბა.

თამარის კარზე დროდადრო ჩამოდიოდნენ საქართველოს გარეთ არსებული ქართული მონასტრების ბერები. თამარი მათ დიდ შემწეობას უწევდა. საქართველოდან შეწირულობის სახით გაგზავნილი ეს ქონება უცხოეთში მყოფ ქართულ მონასტრებს და ქართველ ბერებს ხმარდებოდა. ბიზანტიის კეისარმა ალექსი ანგელოსმა საქართველოდან თავ-თავიანთ მონასტრებში მიმავალ საჩუქრებით დატვირთულ ქართველ ბერებს თამარის მიერ ნაბოძები „დიდძალი ოქრო" ჩამოართვა. ეს აშკარად საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ მიმართული მტრული მოქმედება იყო და საქართველოს პასუხმაც არ დააყოვნა. უპირველეს ყოვლისა, თამარმა ბერებს ბიზანტიის კეისრის მიერ ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ კიდევ უფრო მეტი სიმდიდრე გაუგზავნა. ამავე დროს საქართველოს ხელისუფლებამ კეისრის ეს საქციელი საბაბად გამოიყენა და ბიზანტიის კეისრის ტახტზე კომნენოსების აღდგენა

გადაწყვიტა. ამ მიზნით, თამარმა 1203 წ-ის დასაწყისში მასთან თავშეფარებულ დავითს და ალექსის დასავლეთ საქართველოს ლაშქარი გაატანა და კონსტანტინოპოლისაკენ გაგზავნა. ქართველთა ლაშქარმა მოკლე ხანში აიღო თითქმის მთელი სამხრეთ შავიზღვისპირეთი: ლაზეთი, ჭანეთი, ქალაქები ... ტრაპეზუნტი, კერასუნტი, კოტიორა, სამსუნი, სინოპე... ალექსი კომნენოსი ტრაპეზუნტში დამკვიდრდა და საფუძველი ჩაუყარა ტრაპიზონის იმპერიას. როგორც ვხედავთ, ეს იმპერია საქართველოს სამხედრო დახმარების წყალობით შეიქმნა.

უფროსი ძმა დავით კომნენოსი ამასობაში კონსტანტინოპოლისაკენ გაემართა. მაგრამ კონსტანტინოპოლი ამ დროისათვის, 1204 წლის მარტში ჯვაროსნებმა თავიანთი IV ლაშქრობის დროს დაიპყრეს და „ლათინთა იმპერია" დააარსეს. იმავდროულად ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე კიდევ რამდენიმე სახელმწიფო, მათ შორის ნიკეის იმპერია წარმოიშვა. დავით კომნენოსი მასთან ბრძოლაში დამარცხდა და სინოპში გამაგრდა, სადაც ის რამდენიმე წლის შემდეგ რუმის სულთანმა დაატყვევა.

ანისის და დვინის შემოერთებისა და კარის ქვეყნის ძირითადად დაკავების შემდეგ, საქართველო ხლათის სასულთნოს უშუალოდ გაუმეზობლდა. დღის წესრიგში დადგა ვანის ტბის ირგვლივ მდებარე ისტორიული სომხეთის მიწების შემოერთება. ამ მიზნით, 1204-1207 წლებში საქართველოს ლაშქარმა ხლათის სასულთნოს ჩრდილოეთი მხარე, მდინარე არაქსის მარჯვენა სანაპირო მრავალგზის მოარბია. ხლათის სასულთნო ფრიად დასუსტებული იყო და ქართულ ლაშქარს დიდ წინააღმდეგობას ვერ უწევდა, მაინც იმჟამად უფრო მეტი წარმატების მიღწევა ვერ მოხერხდა, რადგანაც ზურგში ჯერ კიდევ აუღებელი კარის ციხე-ქალაქი იდგა. გაჭიანურებული ალყით თვით თამარი დაინტერესდა. მან ციხე-სიმაგრის აღებად დავით სოსლანის მეთაურობით დამატებითი ლაშქარი გაგზავნა, თვითონ ჯავახეთში ჩავიდა და ქართულ ლაშქარს კარის აღება მკაცრად მოსთხოვა. მაშინ ქართველები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ. მათ, უპირველეს ყოვლისა, ციხე-ქალაქს სასმელი წყალი მოსწყვიტეს. უწყლოდ დარჩენილი ციხე-ქალაქის მოსახლეობამ დანებება გადაწყვიტა, მაგრამ მათ ლაშქრის მიერ ქალაქის დარბევა აშინებდათ. ამიტომ მოქალაქეებმა დავით სოსლანს თხოვეს, რომ ციხე-ქალაქი თვით თამარს ჩაებარებინა. მაშინ 1207 წ. იანვარში თამარი ჯავახეთიდან ტახტის მემკვიდრე ლაშა-გიორგისთან ერთად კარის ციხე-სიმაგრესთან მივიდა, ქალაქის კლიტეები ჩაიბარა და მოქალაქეებს აღუთქვა, რომ ის კარის ციხე ქალაქს



## ტრაპიზონის იმპერია

ამ სახელმწიფოს სახელწოდება მისი დედაქალაქის ტრაპიზონის სახელის მიხედვით შეერქვა. [illegible] 1461 წლამდე იარსება.

## ჯვაროსანთა IV ლაშქრობა

ჯვაროსანთა IV ლაშქრობის ინიციატორი რომის პაპი ინოკენტი III იყო. თავდაპირველად, 1202 წ. ჯვაროსნები ვენეციაში შეიკრიბნენ. [illegible] ტახტზე დაბრუნება სთხოვა. ქალაქ-სახელმწიფო ვენეციის დოჟმაც (მმართველი) [illegible] კონსტანტინოპოლისაკენ გალაშქრება ურჩია. [illegible] 1184 წ. [illegible] 1261 წლამდე იარსება. 1261 წ. ნიკეის იმპერატორმა მიქაელ VIII პალეოლოგოსმა კონსტანტინოპოლი დაიკავა და ბიზანტიის იმპერია აღადგინა. პალეოლოგოსები ბიზანტიის იმპერიას მის დაცემამდე, 1453 წლამდე [illegible]

სამართავად თავის რომელიმე მოხელეს არ გადასცემდა და მოქალაქეთა სურვილის შესაბამისად, სამეფოდ დაიჭერდა. კარის აღების შემდეგ შაჰ-არმენთა სახელმწიფოზე დაუყოვნებლივ გალაშქრება ვერ მოხერხდა, რადგან მოულოდნელად იმავე 1207 წ. დავით სოსლანი გარდაიცვალა. თანაც საქართველო გარკვეული ხნით ჩრდილოეთ ირანსა და ხორასანში (აღმოსავლეთ ირანი) ლაშქრობებით აღმოჩნდა დაკავებული.

იმ დროს როდესაც თამარ მეფე და მთელი სამეფო კარი გეგუთის სასახლეში იმყოფებოდა, ადარბადაგანი ერთ-ერთი ქალაქის არდებილის სულთანმა დრო იხელთა, საქართველოში შემოიჭრა და აღდგომა დილით ანისს დაესხა თავს. ამ მოულოდნელმა თავდასხმამ უამრავი ადამიანი შეიწირა, მარტო ეკლესიაში სელჩუკებმა თორმეტი ათასი მორწმუნე განგმირეს მახვილით და დიდი ნადავლითა და ტყვეებით დატვირთულნი გაბრუნდნენ უკან. საქართველოს სამეფო კარმა არდებილის სულთნის საგანგებო დასჯა გადაწყვიტა. ქართულმა ლაშქარმა სწრაფად გაიარა ჩრდილოეთ ირანი და ყურბან ბაირამის დილას, რომელიც მუსლიმთა დიდი მარხვის, იგივე რამაზანის დასასრულს მოასწავებს, ქალაქ არდებილში შეიჭრა. სულთანი მოკლეს, ხოლო მისი ცოლ-შვილი დაატყვევეს. სამწუხაროდ, შურისძიების გრძნობა ქართულ ლაშქარში იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მათ თავი ვერ შეიკავეს და ანისის ტაძარში დახოცილ ქრისტიანთა ნაცვლად თორმეტი ათასი მუსლიმი არდებილის მეჩეთებში გამოასალმეს სიცოცხლეს. ამის შემდეგ დიდი ნადავლითა და ტყვეებით დატვირთული ლაშქარი სამშობლოში გამობრუნდა.

მალე საქართველოს სამეფო კარმა არდებილზე ბევრად შორს, აღმოსავლეთ სპარსეთის - ხორასნის დალაშქვრა გადაწყვიტა. საქმე ისაა, რომ იმხანად საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ახალი მტერი, ხორეზმის სახელმწიფო დაემუქრა. ხორეზმი სელჩუკთა სახელმწიფოს ერთ-ერთი განაპირა, უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარე მხარე იყო. სანამ საქართველო ადარბადაგანის ათაბაგთან და ხლათის სულთანთან სომხეთის მიწების განთავისუფლებითა და შემოერთებით იყო დაკავებული, ხორეზმის შაჰებმა სელჩუკთა სახელმწიფოს დასუსტებით ისარგებლეს და XII-XIII სს-ის მიჯნაზე მთელი შუა აზია და აღმოსავლეთ ირანი იგივე ხორასანი თავის ძალაუფლების ქვეშ გააერთიანეს, შემდეგ კი ირანის დანარჩენი ნაწილიც დაიქვემდებარეს. ხორეზმ-შაჰები თავს სელჩუკ სულთანთა მემკვიდრეებად თვლიდნენ და სამხრეთ კავკასიის დაუფლებაზე ოცნებობდნენ. ეს ხორეზმსა და საქართველოს შორის სამხედრო დაპირისპირებას გარდაუვალს ხდიდა. ხორეზმ-შაჰები მუსლიმთა ქართველებისაგან „დაცვას" იჩემებდნენ და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს დაქვემდებარებაში მყოფ მუსლიმურ სახელმწიფოებს საქართველოსაგან განდგომისა და ხორეზმისადმი დამორჩილებისაკენ მოუწოდებდნენ. ასეთ ვითარებაში საქართველოს სამეფო კარმა ხორასანში გალაშქრება გადაწყვიტა. მიზანი ჩრდილოეთ ირანისა და ხორასნის მორბევა და ამით ხორეზმ-შაჰისთვის, ისევე როგორც საკუთარი ყმადნაფიცი მუსლიმური ქვეყნებისათვის საქართველოს სამხედრო სიძლიერის დემონსტრირება იყო. რათა „ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთისათა ძალა და სიმხნე ჩუენი"- ასე გვიხსნის მემატიანე ამ ლაშქრობის მიზანს.

შემოდგომის პირს მთელი საქართველოს ლაშქარი თბილისში მეფის წინაშე შეიკრიბა. მეფემ მოლაშქრეები ვარძიის ღვთისმშობელს შეავედრა და გორგასლიან-დავითიანი დროშა გადასცა. ქართველები ადარბადაგანში შეიჭრნენ აიღეს ქალაქები მარანდა, თავრიზი, მიანე, ზენჯანი, ყაზვინი. აქედან კასპიის ზღვისკენ დაეშვნენ და მის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან მდებარე ქალაქ გურგანსაც დაეუფლნენ. ეს იყო ყველაზე შორეული წერტილი, სადამდეც ქართულ ლაშქარს ოდესმე მიეღწია. ამიტომ გასაგებია ის ზეიმი და დიდება, რომლითაც ძლევამოსილად დაბრუნებულ მხედრობას თამარ მეფე და მთელი საქართველო დახვდა.

ამასობაში ხლათის სასულთნოსათვის ბრძოლაში საქართველომ ინიციატივა ხელიდან გაუშვა. ამით იმ ხანისათვის უკვე გარდაცვლილი სალადინის ვაჟმა ეგვიპტის სულთანმა ალ-ადილმა (1200-1218 წწ.) ისარგებლა, რომლისთვისაც საქართველოს სურვილი შაჰ-არმენთა სახელმწიფო შეერთებინა, მიუღებელი იყო. ეგვიპტის სულთანმა საქართველოს სამეფო კარის მიერ დროებით ყურადღების სპარსეთისა და ხორეზმის მიმართულებით გადატანით ისარგებლა და ხლათის სულთნის ტახტზე, რომელიც იმჟამად უმემკვიდროდ იყო დარჩენილი, თავისი ვაჟი აიყვანა. ამით ეგვიპტემ ხლათის სასულთნო შეიერთა, თუმცა მისი გამგებელი ეგვიპტელი უფლისწულები კვლავაც „ხლათის სულთნის" ტიტულს ატარებდნენ. 1209 წლისათვის ქართველებმა ხლათისათვის ბრძოლა კვლავ განაახლეს. ქართული ლაშქარი გამუდმებით არბევდა არაქსის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიებს. ქალაქ ხლათის სომხური მოსახლეობა აშკარად ქართველთა მხარეზე იყო და ხლათის გამგებელი ეგვიპტელი უფლისწული მათი აჯანყების შიშით ქალაქს ვეღარ ტოვებდა. 1210 წელს ქართველებმა ხლათს ალყა შემოარტყეს და ციხე-ქალაქის აღებას არაფერი უკლდა. ამ დროს შემთხვევით ეგვიპტელებს ტყვედ



მინიატურებით შემკული
ხელნაწერის გვერდი გელათიდან



ხახულის ხატი (ფრაგმენტი)



ყინწვისის ანგელოზი



წმინდა გიორგის ხატი. XIII ს.

ნაუცარდათ ქართველთა ლაშქრის ერთ-ერთი მხედართმთავარი, ივანე მხარგრძელი. ქართველები იძულებული გახდნენ ეგვიპტელებთან ოცდაათწლიანი ზავი დაედოთ. ორივე მხარე დათმობებზე წავიდა: საქართველოსა და ეგვიპტეს შორის სასაზღვრო მდინარე არაქსზე გავიდა. ამგვარად, ხლათის სასულთნოს არაქსის ჩრდილოეთით მდებარე სომხური მიწები საქართველოს ფარგლებში მოექცა. სამაგიეროდ ქართველებმა ეგვიპტეს ოცდაათი წელი ხლათზე თავდაუსხმელობის პირობა მისცეს. ქართველებმა ივანე მხარგრძელის გამოსასყიდად ასი ათასი დინარი გაიღეს. ხლათის სულთანმა ივანეს ასული თამთა ითხოვა, თანაც მისთვის ქრისტიანობის შენარჩუნების პირობით. ეს კი ივანე მხარგრძელისათვის, რომელიც საქართველოს სამეფო კარზე გამორჩეული, მაგრამ მაინც მხოლოდ მოხელე-დიდებული იყო, არნახულ პატივს წარმოადგენდა. ასე რომ, ივანეს გამოსასყიდად გაღებული ასი ათასი დინარი, ფაქტობრივად სულთანმა მზითვის ანგარიშში გადაეცა. ხლათის სულთანმა მის ქვეშევრდომ ქრისტიანთა მდგომარეობა ძალზე გააუმჯობესა. თავის მხრივ ეგვიპტის სულთანმა აღრე თამარ მეფესა და მამა მის სალადინს შორის დადებული ხელშეკრულებაც განაახლა, რომლის მიხედვით, როგორც ვიცით, ქალაქ იერუსალიმში სალოცავად ჩასული ქართველები გადასახადებს არ იხდიდნენ და ქალაქშიც გაშლილი დროშებით შედიოდნენ. თამთას ქმარი გულის ავადმყოფობით იმავე წელსვე გარდაიცვალა. ამის შემდეგ ხლათს მისი ძმა ალ-აშრაფი დაეუფლა, რომელმაც მუსლიმთა შორის გავრცელებული წესის თანახმად, შეირთო თავისი ძმის დაქვრივებული მეუღლე.

ეგვიპტესთან დაზავების შემდეგ ზაქარია მხარგრძელი მალე გარდაიცვალა. ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ თამარმა საქართველოს ჯარების მხედართმთავრობა ახლა მის ძმას ივანეს უბოძა. მაგრამ ივანემ უბრალოდ ამირსპასალარობა არ მოინდომა. მას სურდა თავისი დამსახურების სანაცვლოდ საქართველოს სამეფო კარზე სრულიად გამორჩეული წოდების ტარება და მეფეს მისთვის ათაბაგობის პატივის ბოძება თხოვა. ათაბაგის თანამდებობა საქართველოს სამეფო კარზე არ არსებობდა, ის სელჩუკთა სახელმწიფოსათვის იყო დამახასიათებელი. სიტყვასიტყვით ის ქართულად „მამა-უფალს" ნიშნავს. თავისი შინაარსით კი, ძალზე წააგავს ძველ ქართულ სამეფოში არსებულ მეფის მამამძუძის ინსტიტუტს. ათაბაგი სელჩუკთა კარზე სულთნის აღმზრდელად, მამად ითვლებოდა და დიდი უფლებებით სარგებლობდა. თამარმა „კეთილად ნამსახურ ყმას" თხოვნა შეუსრულა და საქართველოს სამეფო კარზე ათაბაგობა უბოძა. ასე გახდა ივანე მხარგრძელი საქართველოს პირველი ათაბაგი.

## ზაქარია და ივანე მხარგრძელები

ძმები ზაქარია და ივანე მხარგრძელები უმნიშვნელოვანესი ფიგურები იყვნენ თამარის ხანის საქართველოში. მათ მრავალი წარმატებული [illegible] ... სარწმუნოებაში დარჩა. „იყო სარწმუნოებით სომეხი, მაგრამ ყველა საქმით და კეთილი ღირსებით [illegible]" - წერს ზაქარია მხარგრძელზე ძველი ქართველი მემატიანე.

ამავე ხანებში აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ერთ ნაწილი - ფხოველები (ხევსურთა და ფშავთა წინაპრები) და დიდოელები (ერთ-ერთი დაღესტნური მოდგმის ტომი) სამეფო ხელისუფლების მორჩილებიდან გამოვიდნენ და ბარის მოსახლეობაზე თავდასხმას, მის „რბევას, ხოცვას და დატყვევებას" მიჰყვეს ხელი. საერთოდ, მთიელთა ასეთი მარბიელი თავდასხმები საქართველოსათვის უცხო არ იყო. უძველესი დროიდან მთის მოსახლეობა თავისი ეთნიკური წარმოშობისა თუ რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, დროდადრო ცდილობდა თავისი ეკონომიკური მდგომარეობა ბარის მოსახლეობის ძარცვის გზით გაეუმჯობესებინა. ამას კი, უპირველეს ყოვლისა, მათ მაღალმთიანი რეგიონების ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე დუხჭირი ცხოვრება უბიძგებდა.

თამარმა დიდოელთა და ფხოველთა განდგომა ძალზე სახიფათოდ ჩათვალა და ივანე ათაბაგს მათი სამაგალითოდ დასჯა დაავალა. ივანე მხარგრძელმა მათ წინააღმდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მეფის ერთგული სხვა მთიელები დარაზმა. ის ჯვრის უღელტეხილის აღმოსავლეთით არაგვის ხეობიდან

კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე აუიდა, გზა აღმოსავლეთით ქედ-ქედ გააგრძელა და შემომხვევს კავკასიონის ქედის ორივე მხრიდან ერთდროულად შეუტია. ფხოველები და დიდოელები იძულებულნი გახდნენ სამეფო გადასახადი ეტვირთად, მეფისათვის მძევლები მიეცათ და მორჩილება აღეთქვათ.

თამარი 1213 წლის 27 იანვარს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ტაბახმელაში გარდაიცვალა. ქართველ მემატიანეთა ცნობით, მისი ცხედარი ჯერ დროებით მცხეთაში დაასვენეს, ხოლო შემდეგ დამალვით საქართველოში გადაასვენეს და გელათში, საქართველოს მეფეთა საძვალეში დაკრძალეს. საინტერესოა ფაქტი, ევროპელი ჯვაროსანი რაინდი ღე-ბუა ბეზანსონის (საფრანგეთში) არქიეპისკოპოსისადმი გაგზავნილ წერილში სხვა ამბებთან ერთად აღნიშნავს, რომ, როგორც მას აცნობეს, თამარის ნეშტს მისი ვაჟი, საქართველოს ახალგაზრდა მეფე იერუსალიმში დასაკრძალად მოასვენებს. ამ წერილმა დაბადა მოსაზრება იმის შესახებ, რომ თამარ მეფის ნეშტი გარკვეული დროის შემდეგ შესაძლოა გელათიდან იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გადაასვენეს, რაც ჯერ-ჯერობით არ დასტურდება.

თამარი უდიდესი მეფეა შუა საუკუნეების ქართველ მეფეებს შორის. მისი მმართველობის პერიოდი ქართული ფეოდალური საზოგადოების ისტორიაში ოქროს ხანად უნდა მივიჩნიოთ. არც შემდგომ და არც მანამდე საქართველოს ასეთი სიძლიერისათვის არ მიუღწევია. თამარი უაღრესად ენერგიული, მიზანსწრაფული, ძლიერი და მტკიცე ხასიათის მქონე პიროვნება იყო. ამავე დროს ფრთხილი და მომთმენი. ის ოცდაექვსი წელი სათავეში ედგა წინა აზიის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს, როგორიც იმჟამად საქართველოს სამეფო იყო და თავის ნიჭიერი და უაღრესად გონიერი მმართველობის წყალობით შეძლო თანდათანობით ქვეყნის შიგნით დიდებულ საგვარეულოთა ურთიერთ ქიშპის დაძლევა და ფეოდალური საქართველოს მთელი ძალების ქვეყნის საკეთილდღეოდ წარმართვა. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა წარმატებები საგარეო პოლიტიკაში - ძლევამოსილი ლაშქრობები, ტერიტორიის მნიშვნელოვანი მატება, ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟის ზრდა.

თამარი იყო მომთხოვნი და მკაცრი თავისი ქვეშევრდომების მიმართ, მაგრამ ამავე დროს წყალობის უხვად გამცემი. მტრების მიმართ სასტიკი, თუმცა არა დაუნდობელი. ის მტრის გასანადგურებლად და დასამარცხებლად ძალ-ღონეს არ ზოგავდა, მაგრამ წაქცეული მტერი მასში სიბრალულს იწვევდა. ამიტომაც იყო, რომ მას სიკვდილით არ დაუსჯია მის წინააღმდეგ აჯანყებული პირებიც კი. წყაროები ერთხმად აღიარებენ მისი მართლმსაჯულების სამართლიანობასა და მიუკერძოებლობას. მოსახლეობის ყველაზე ღარიბი და უპოვარი ნაწილი თამარმა განსაკუთრებული ზრუნვის საგნად აქცია. მათ დასახმარებლად სახელმწიფოს შემოსავლის ერთი მეათედი იყო გამოყოფილი. საინტერესოა ფაქტი, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელშიც მოსახლეობის ულარიბესი ნაწილის დახმარება სახელმწიფოს მზრუნველობის დონეზე იქნა აყვანილი. თამარი, მემატიანის ცნობით, თავისუფალ დროსაც უქმად არ ხარჯავდა. ის სხვადასხვა ქალური ხელსაქმით იყო დაკავებული: ქსოვდა, ქარგავდა, კერავდა. შემდეგ თავის ნაწარმს ყიდდა და ამ გზით გამორჩენილ თანხასაც ღარიბებს ახმარდა.

თამარის მეფობის პერიოდში წარმატებული ომების შედეგად ქვეყანაში დიდძალი ქონება დაგროვდა. ამან საშუალება მისცა მეფეს მრავალი ეკლესია თუ ციხე-სიმაგრე აეშენებინა. ქვეყანა ხიდებით, გზებით და არხებით დაიფარა. მათ შორის აღსანიშნავია თამარის ბრძანებით გაყვანილი ისეთი სარწყავი არხები, როგორებიცაა: გარეჯის, სამგორის, ალაზნის. აქედან ალაზნის არხი 119 კმ. სიგრძისა იყო და 53 ათას ჰექტარს რწყავდა. ის წყალგამტარობით ალაზნის თანამედროვე არხს არ ჩამოუვარდებოდა.

თამარის მეფობაში აღმშენებლობითი მოღვაწეობა იმდენად დიდი იყო, რომ ქართველი ხალხის ცნობიერებაში საქართველოში ციხეების თუ ტაძრების მშენებლობა თამარ მეფის სახელს დაუკავშირდა, ამიტომ მრავალი საუკუნის შემდეგომაც ქართველი კაცი საქართველოში ძველი ხიდების, არხების, ციხე-სიმაგრეებისა და ტაძრების უდიდეს უმრავლესობას ხშირად თამარ მეფის ხანაში აშენებულად მიიჩნევდა.

თამარი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღე პირველი მაისია.

თამარ მეფეს უდიდესი ადგილი უჭირავს ქართულ ხალხურ პოეზიაში. მას შესანიშნავი ოდები უძღვნეს მისმა თანამედროვე დიდმა ქართველმა პოეტებმა. თამარისადმია მიძღვნილი შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი".

**ნაწყვეტი ჩახრუხაძის „თამარიანიდან"**

თამარ წყნარი, შესაწყნარი,
ზამ-ნაზარნარი, ბაღნარი,
მზე-მკინარი, საწინარი,
წყალი მქნარი, მოძღვნარი.
მისთვის ქნარი რა არს? – ქნარი
არსი მოქნარი, უწინარი.
ვარდ-შამბნარი, შაშა-შაღნარი
ლაწა-წყაზარი, მუქ-მუშარი...

**ნაწყვეტი იოანე შავთელის „აბდულმესიანიდან"**

თამარ მეფესა, მტკირთ სახელ-მქნელსა,
უკეთესო წყაროსა, ცის ხაზგარისა,
სხვათა მძლეველსა, თვით უძლეველსა,
კარგად მჭვრეტსა, ტკბილ სიტყვისა,
შნოდ სახოვანსა, თვით ახოვანსა,
ერთგულთა ხმალ-ჭურვნი, მტერთ ქარისა.
მზედ მისთვის ვიყო, ხელი გავიყო,
უფალსა ჩვენსა რამე გამგარისა!

**ნაწყვეტი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან"**

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეულსა,
ვისნი ქებანი ვთქვენი მე არ-ავად გამორჩეულნი.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნარხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.
მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბადახშისა თლილისა, მის მიჯრით მოწყობილისა
გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა...

## § 41. საქართველო გიორგი IV-ის მეფობაში

გიორგი IV, რომელიც საქართველოს ისტორიაში უფრო ლაშა-გიორგის სახელითაა ცნობილი, თამარ მეფემ თანამოსაყდრედ ჯერ კიდევ 12 წლის ასაკში, 1205 წ. გაიხადა. 1210 წ. გაზაფხულზე კი როგორც ჩანს, სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ დედამ მას ფორმალურად ტახტი დაუთმო და თავის სიცოცხლეშივე გაამეფა. ამაზე, უპირველეს ყოვლისა, მეტყველებს ის, რომ 1210 წლიდან საქართველოში ფული უკვე ლაშა-გიორგის სახელზე იჭრება.

თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ ლაშა გიორგი თავისი სახელგანთქმული დედის მეურვეობიდან განთავისუფლდა და უკვე ფაქტობრივადაც ერთპიროვნული მმართველი გახდა. მისი თანამედროვე მემატიანის სიტყვით, ლაშა-გიორგი იყო: „... ლომი ძალითა და უნაკლო გონებითა, ყოველთა კაცთა მოყვარული, როგორც დიდთა ისე მცირეთა, მთავართათვის, მონაზონთა და მღვდელთათვის მათი საკადრისი პატივის მიმგებელი, მშვიდი და ბუნებით გარურისხებელი. შეადი სამეფოს მეფე, მონასაც კი ერთხელ მათრახს არ გადაჰკრავდა. მშვილდოსანი და ცხენოსანი გულოვანი (უშიშარი) და მარჯვე, ჯერ კიდევ პატარაობის ჟამს საკუთარი მკლავით გარდახდილი ომები მისი პაპის პაპის დავითის მიერ გარდახდილ ომებს ტოლს არ უდებდა.... გაჭირვებულთა მსაჯული და მოსამართლე, მიმხედავი მეტად, ვიდრე ეს მის ასაკს შეესაბამებოდა". მისი მეფობის ხანა სვებედნიერი ყოფილა ქვეყნისათვის, როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე ეკონომიკურად: "ბედნიერი (ბედის მქონე) ლაშქრობითა, ბედნიერი ქვეყნის ნაყოფთა მოსვლისათვის". მეორე მემატიანე ხაზს უსვამს ლაშა გიორგის „ლაღ და თვითბუნება"(თავნება, ჯიუტი) ხასიათს. თანაც მის ამ თავდაჯერებულობას და ხილაღეს ზწორ ახსნასაც უძებნის: „უფრო იმიტომ იყო ასე გალაღებული, რომ ყველა მისი მოწინააღმდეგე დაემორჩილებინა კეთილადხსენებულ და ღმრთის მოყვარე მის დედას და უშფოთველად და დაწყნარებულად დაეტოვებინა მისთვის თავისი სამეფო, ხოლო ყველა მახლობელი ქვეყანა კი მოხარკედ გაეხადა".

ლაშა გიორგის გამეფების დროისათვის წინა აზიაში სელჩუკთა იმპერიის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი წვრილ-წვრილი პოლიტიკური ერთეულების გაერთიანება-გამსხვილებისათვის XII-XIII სს-ის მიჯნაზე მიმდინარე სასტიკი ბრძოლა ფაქტობრივად დასრულდა. წინა აზია ძირითადად ოთხ

„ზესახელმწიფოს" შორის აღმოჩნდა განაწილებული. ისინი ჯერჯერობით შეიძლება ითქვას „ისვენებდნენ" და ახლო მომავალში ერთმანეთის წინააღმდეგ გადამწყვეტი ომებისათვის ემზადებოდნენ. თითქმის მთელი შუა აზია, ხორასანი და ირანის მნიშვნელოვანი ნაწილი ხორეზმ შაჰ მუჰამედს (1200-1220) ეპყრა. აიუბიანთა ეგვიპტის სასულთნო საკუთრივ ეგვიპტის გარდა ფლობდა პალესტინას, სირიას, იორდანიას, ჩრდილოეთ შუამდინარეთს და შაჰ-არმენთა ხლათის ქვეყანას. მცირე აზიის უდიდესი ნაწილი ეკავა სელჩუკთა რუმის ანუ იკონიის სასულთნოს. მისი დედაქალაქი იყო კონია, საიდანაც წარმოსდგა კიდეც რუმის სასულთნოს ეს მეორე სახელწოდება.

საქართველო ლაშა გიორგის მეფობის დასაწყისში წინა აზიის მეოთხე „ზესახელმწიფო" იყო. სომხეთის უმნიშვნელოვანესი ქალაქები კარი, ანისი და დვინი უშუალოდ საქართველოს საზღვრებში შემოდიოდა. შარვან-შაჰი და დარუბანდის ამირა, ისევე, როგორც ოსთა, დურძუკთა, ძიძოელთა და ლეკთა გამგებლები საქართველოს ყმადნაფიცები იყვნენ. სამხრეთ დასავლეთით საქართველოს ესაზღვრებოდა მისივე დახმარებით წარმოქმნილი ქრისტიანული ქვეყანა, ტრაპიზონის იმპერია და სომხებით დასახლებული სელჩუკთა არზრუმის ანუ, როგორც მას ჩვენი წინაპრები უწოდებდნენ, კარნუ ქალაქის საამირო, რომლის სელჩუკი მმართველები საქართველოს უზენაესობას აღიარებდნენ. საქართველოს საზღვარი არზრუმის საამიროსთან ციხე-ქალაქ ოლთისის სამხრეთით გადიოდა, ეგვიპტისა და მის მფლობელობაში მყოფი ხლათის ქვეყნისაგან მას მდინარე არაქსი ჰყოფდა. საქართველოს აღმოსავლეთის საზღვარი თითქმის შარვანის დედაქალაქ შამახიამდე აღწევდა.

საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით დასუსტებული ადარბადაგანის სათაბაგო ესაზღვრებოდა, რომელიც რანსა და ჩრდილოეთ ირანს ანუ აზერბაიჯანს (იგივე ადარბადაგანს) აერთიანებდა. 1210-1225 წწ-ში მას ელდიგუზიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი ათაბაგი უზბეგი ედგა სათავეში. ელდიგუზიანთა სათაბაგოსთან საქართველოს საზღვარი დვინის სამხრეთით და ტავუშისა და შამქორის ჩრდილოეთით გადიოდა. ადარბადაგანის სათაბაგოში შემავალი განჯის და ნახჭევანის ქვეყნები საქართველოს მეფეს ხარკს უხდიდნენ. სათაბაგოს დანარჩენი ნაწილი ხორეზმის გავლენის სფერო იყო. როგორც საქართველო, ისე ხორეზმი მთელ სათაბაგოზე აცხადებდნენ პრეტენზიას. ეს ამ ორ ქვეყანას შორის მომავალში ომს გარდაუვალს ხდიდა.

დიდი იყო საქართველოს ავტორიტეტი მის მეზობელ ქვეყნებში. ეგვიპტის სულთანი ალ-ადილი, რომელიც რუმის სასულთნოს უპირისპირდებოდა, ცდილობდა საქართველოსთან ზავისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას. 1213 წ. ივნისში მან ლაშა-გიორგის ეგვიპტიდან საჩუქრად სპილო გამოუგზავნა. არაბ ისტორიკოსთა ცნობით, თბილისში სპილოს ჩამოყვანას მოსახლეობის გაოცება და აღფრთოვანება გამოუწვევია. ეგვიპტის სულთანმა მართლაც შეძლო საქართველოსთან მშვიდობის შენარჩუნება.

ლაშა-გიორგი ხლათის შემოერთებისათვის ბრძოლაზე ხელის აღებას არ აპირებდა, მაგრამ ეგვიპტესთან კარგი ურთიერთობის გამო ეს საქმე სამომავლოდ გადადო. იმჟამად ქალაქ განძამ საქართველოს ხარკის გადახდა შეუწყვიტა, ამიტომ ლაშა-გიორგიმ პირველ რიგში განძაზე ლაშქრობა ბრძანა, რაც იმავდროულად ათაბაგ უზბეგის წინააღმდეგ მოქმედებას ნიშნავდა. განძის წინააღმდეგ საბრძოლველად დიდი ლაშქარი შეიყარა. ლაშქრობას თვით მეფე ჩაუდგა სათავეში. ქართველებმა ქალაქს ალყა შემოარტყეს. ალყა გაჭიანურდა. ერთხელაც, როდესაც ლაშა-გიორგიმ ამირსპასალართან და სხვა სარდლებთან შეუთანხმებლად ოთხათასიანი რაზმით ქალაქის შემოვლა გადაწყვიტა, განძელებმა მეფე იცნეს, ქალაქის კარები გააღეს და ათიათასიანი მხედრობა ქართველებს მოულოდნელად დაეცა თავს. ლაშა-გიორგი კინაღამ თავისი გაუფრთხილებლობის მსხვერპლი შეიქმნა. მეფის რაზმმა იმისთვის, რომ მეფე დატყვევებისაგან ან კიდევ სამარცხვინო გაქცევისაგან ეხსნა, მემატიანის სიტყვებით, „თავი სასიკვდილოდ გაწირა". მოლაშქრეებმა მეფეს შემდეგი სიტყვებით მიმართეს: „ყველაფერს ვიღონებთ, დავდებთ თავს სასიკვდილოდ და არ შევარცხვენთ პირველ ომში შენს მეფობას". მართლაც, ქართველებმა არნახული ბრძოლა აჩვენეს. განსაკუთრებული გმირობით თავი ისახელეს ახალგაზრდა დიდებულებმა: ბექა ჯაყელმა, ბიბილა გურკელმა, ბოცო ბოცოს ძემ. საქართველოს ახალგაზრდა მეფე თვითონაც წინა რიგებში იბრძოდა და უშიშრობის და გმირობის მაგალითს იძლეოდა. განძელებმა ქართველთა თავგანწირულ ბრძოლას ვერ გაუძლეს და უკან ქალაქისკენ მიბრუნდნენ. ქართველებმა მრავალი მოლაშქრე დახოცეს და მრავალი ტყვედ იგდეს. ამის შემდეგ განძელებმა მეფეს ძველებურად ხარკის გადახდა აღუთქვეს, უამრავი ძვირფასეულობა და საჩუქარი მიართვეს და პატიება სთხოვეს. განძაში ლაშქრობა გამარჯვებით დამთავრდა. საქართველომ განძის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მნიშვნელოვანი ქალაქი შამქორი შემოიერთა. მიუხედავად გამარჯვებისა, ლაშა-გიორგის სამხედრო წესის დარღვევისა და გაუფრთხილებელი საქციელისათვის მთავარსარდლობის წინაშე მობოდიშება მოუხდა. ამ შემთხვევაში თავი იჩინა ლაშა გიორგისა და ივანე ათაბაგის მეთაურობით სამეფო კარის უმაღლეს

მოხელე-დიდებულთა შორის წარმოქმნილმა უთანხმოებამ, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.
ადარბადაგანის ათაბაგის წინააღმდეგ ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. მალე ლაშა გიორგი კვლავ შეიჭრა ათაბაგ უზბეგის სამფლობელოში. ამჯერად მისი შეტევა სიუნიეთის სომხური ქვეყნის მუსლიმთაგან განთავისუფლებას ისახავდა მიზნად. ქართულმა ლაშქარმა აიღო ოროტნი, ბღენი — და ქალაქ ნახჭევანის ჩრდილოეთით მდებარე ეს სომხური მხარე საქართველოს შემოუერთა **(იხ. რუკა 18).**

ადარბადაგანის ათაბაგთან ბრძოლაში მიღწეული ამ წარმატების მიუხედავად, ახალგაზრდა მეფის მმართველობის დასაწყისი ქვეყანაში საშინაო ვითარების გამწვავებით აღინიშნა. ამის მიზეზი იყო ყოველი ახალი მეფის მმართველობის დასაწყისში ფეოდალური ქვეყნისათვის ჩვეული ბრძოლა დიდებულთა სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის ხელისუფლებისა და გავლენის ხელახალი გადანაწილებისათვის. ამჯერად თავი იჩინა ლაშა გიორგისა და ივანე ათაბაგის მეთაურობით სამეფო კარის უმაღლეს მოხელე-დიდებულთა შორის წარმოქმნილმა უთანხმოებამ. გიორგი IV თამარის გარდაცვალების ხანისათვის 19-20 წლის ჭაბუკი იყო. ის ენერგიული, აქტიური საგარეო პოლიტიკისაკენ და ერთპიროვნული მმართველობისაკენ მიისწრაფოდა. სამეფო დარბაზსა და ძველ ვეზირებს ჭკუას ნაკლებად ეკითხებოდა. მათი შეხედულებები „ძველმოდურად" ანუ დრომოჭმულად მიაჩნდა. ახალგაზრდა მეფე ლაშქრობაში თუ ქვეყნის მმართველობაში თავის თანატოლთა და თანამოაზრე ახალგაზრდა დიდებულთა გუნდს ეყრდნობოდა. თამარის მმართველობის ხანაში უზომოდ აღზევებულ მოხელე-დიდებულებს კი სასახლის კარზე თავისი გავლენის დაკარგვა არ სურდათ. ამიტომ ისინი თვით მეფეს და მის ირგვლივ თავმოყრილ ახალგაზრდა თანამოაზრეებს მათთვის სახელის გატეხვისა და ავტორიტეტის შელახვის მიზნით, ლოთობაში, უპასუხისმგებლობასა და აღვირახსნილ, უქმაკაცურ ცხოვრებაში სდებდნენ ბრალს. განსაკუთრებით გამწვავდა ურთიერთობა ლაშა გიორგისა და ივანე მხარგრძელს შორის, რომელსაც თამარის მიერ მისთვის სასახლის კარზე ათაბაგობის პატივის მინიჭების შემდეგ, თავი ფაქტობრივად მეფის შემდეგ მეორე კაცად მიაჩნდა. ივანე ათაბაგის მეთაურობით მოხელე-დიდებულთა ძველ ნაწილსა და ლაშა გიორგის შორის ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ ივანე ათაბაგი, ვარამ გაგელი და სხვები მეფეს სასახლიდან დაეთხოვნენ და განაწყენებულები თავიანთ მამულებსა და ციხე-დარბაზებში ჩაიკეტნენ. დიდებულთა განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევდა ის, რომ გიორგი მეფემ მათ თხოვნას ცოლი მოეყვანა, რათა ქვეყანას დროულად მემკვიდრე შესძენოდა, ყური არ ათხოვა. კახეთში, ველისციხეში ერთ-ერთ თავის აზნაურთან სტუმრობის დროს ლაშა გიორგის მისი ცოლი შეუყვარდა, ქალი სასახლეში წამოიყვანა და უგვირგვინო ცოლად ჰყავდა. ამ ქალისაგან მას ვაჟი დავითი შეეძინა. მეფის პოლიტიკით განაწყენებულ მოხელე-დიდებულებს მეფესთან ანგარიშსწორების კარგი საბაბი მიეცათ: კათალიკოსმა, ეპისკოპოსებმა და სასახლის დიდმოხელეებმა მეფეს წესისა და კანონის დაცვა კატეგორიულად მოსთხოვეს. ქმრის სახლიდან თვითნებურად წამოყვანილი ქალი კი ისევ მის ქმარს მიუბრუნეს.

თამარის ხანის სახელმოხვეჭილ მოხელე-დიდებულების დაპირისპირების დაძლევასა და ქვეყნის შიგნით საკუთარი პოლიტიკის გატარებისათვის ლაშა გიორგის საგარეო პოლიტიკაში ახალი დიდი წარმატებები ესაჭიროებოდა, რაც მას ქვეშევრდომთა თვალში დიდ სახელს შესძენდა. ამიტომაც საქართველოს მეფე სიხარულით გამოეხმაურა რომის პაპის ჰონორიუს III-ის მოწოდებას, მონაწილეობა მიეღო იმჟამად დაწყებულ რიგით მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში.

ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობა 1217 წ. დაიწყო. ამჯერად ჯვაროსნებმა ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ გაილაშქრეს, ვინაიდან, როგორც ვიცით, იერუსალიმი იმჟამად ეგვიპტის სულთანს ეპყრა. 1218 წელს ჯვაროსნები უნგრეთის მეფის მეთაურობით ეგვიპტეში გადასხდნენ და ალყა შემოარტყეს ეგვიპტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ციხე-ქალაქს დამიეტას. ციხე-ქალაქის ალყის დროს ეგვიპტის სულთანი ალ-ადილი გარდაიცვალა, მისმა ვაჟმა, ეგვიპტის ახალმა სულთანმა დამიეტას სანაცვლოდ ჯვაროსნებს იერუსალიმის გადაცემა აღუთქვა, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ მან დასახმარებლად თავის ძმებს, დამასკოს გამგებელსა და ივანე მხარგრძელის ასულის თამთას მეუღლეს, ჩვენთვის უკვე ცნობილ ხლათის სულთან ალ-აშრაფს მიუხმო. დამასკოს მმართველმა პალესტინის ციხესიმაგრეები და თვით ქალაქ იერუსალიმის მტკიცე გალავანი დაანგრია, რათა ისინი ჯვაროსნებს ხელში არ ჩავარდნოდა და იქ არ გამაგრებულიყვნენ. ასეთ ვითარებაში იერუსალიმის მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. ქრისტიანები გარბოდნენ და მუსლიმი მეომრები კი მათ სახლებს ანადგურებდნენ. ამ დროს ქართველთა მონასტრებისა და ბერ-მონაზვნების ინტერესებიც შეილახა. რამაც საქართველოს სამეფო კარის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. საქართველოს მეფეს კარგი საბაბი მიეცა ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ ჯვაროსნებს დახმარებოდა. ლაშა გიორგიმაც იერუსალიმსა და პალესტინაში ქართული ქრისტიანული თემის ინტერესების დასაცავად ლაშქრობისათვის მზადება გამოაცხადა. ამასობაში ჯვაროსნებმა 1219 წ. ქალაქ დამიეტა აიღეს. ამ ცნობას საქართველოში დიდი სიხარულით შეხვდნენ. მართალია, მეხუთე

ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობა საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნებისათვის მეტად სახარბიელო ჩანდა. ერთი მხრივ, ის საქართველოს მეფის სახელსა და დიდებას უქადდა, მეორე მხრივ, ეგვიპტის სასულთნოს დასუსტება საქართველოს დიდი ხნის ოცნებას - ხლათის ქვეყნისა და შესაბამისად ვანის ტბის ირგვლივ მდებარე უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ქალაქების შემოერთებას რეალურს ხდიდა.

საქართველოს მეფე ლაშა გიორგი ხლათის გავლით დამასკოზე გალაშქრებას და მის აღებას გეგმავდა. მეფე გიორგის ეს განზრახვა, რა თქმა უნდა, ხლათის გამგებელმა ალ-აშრაფმაც კარგად უწყოდა. ამიტომ ის თავისი ძმის ეგვიპტის სულთნის დასახმარებლად დროულად ვერ გაეშურა. ეგვიპტეში წასვლის შემთხვევაში მას ქართველთა მიერ ხლათის აღება აშინებდა.

სამწუხაროდ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ ლაშა გიორგის ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღების გადადება მოუხდა. სრულიად მოულოდნელად წინა აზიაში ახალი სასტიკი დამპყრობელი გამოჩნდა, რომელმაც მოკლე ხანში რეგიონში პოლიტიკური რუკა და ძალთა თანაფარდობა ძირფესვიანად შეცვალა. ეს იყო მონღოლები.

**მონღოლები** ცენტრალურ აზიაში ჩინეთის საზღვრებთან მომთაბარეობდნენ. მათი ენა თურქულ-ალთაურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება. მონღოლებს, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ტომის, თათრების სახელის მიხედვით, მათი თანამედროვე ხალხები „თათრებსაც" უწოდებდნენ. ასე ეძახდნენ მათ ჩვენი წინაპრებიც. მონღოლები მომთაბარულ-მესაქონლეობას მისდევდნენ. ისინი განსაკუთრებით განთქმულები იყვნენ ცხენების მოშენებით. ცხენების ჯოგებს მონღოლები ჩინეთში ჰყიდნენ. მონღოლები ძირითადად წარმართები იყვნენ. ისინი სხვადასხვა სულებს, განსაკუთრებით კი ცას სცემდნენ თაყვანს. რწმენა-წარმოდგენების ამ სისტემას „შამანიზმი" ეწოდება. მონღოლები სხვა რელიგიებსაც იცნობდნენ. ზოგი ტომი ქრისტიანობას (ნესტორიანობას) მისდევდა, ზოგი კი ბუდიზმს. 1206 წ. მონღოლი ტომები შეიკრიბნენ სახალხო კრებაზე - ყურულტაიზე და სახელმწიფოს წარმოქმნა გამოაცხადეს, მონღოლთა ერთიანი სახელმწიფოს პირველ გამგებლად, ყაენად კი თემუჩინი აირჩიეს, რომელსაც „ჩინგიზ-ყაენი" ეწოდა. ახლად შექმნილი სახელმწიფოს დედაქალაქი ყარა-ყორუმი გახდა, რომელიც დღევანდელი მონღოლეთისა და ჩინეთის საზღვართან მდებარეობდა. მონღოლური სახელმწიფო იმთავითვე მეზობელი თუ შორეული ხალხების დაპყრობას, მათ გაძარცვას და დამონებას ისახავდა მიზნად. თავდაპირველად მონღოლებმა თავიანთი აგრესია ჩინეთისაკენ წარმართეს. მათ ჩრდილოეთ ჩინეთში ცზინთა სახელმწიფო დაიპყრეს მისი დედაქალაქი იანძინი (დღევანდელი პეკინი) აიღეს და გადაბუგეს.

ჩინეთში მონღოლებმა აითვისეს ჩინური სამხედრო ტექნიკა. მათ შორის ლოდსატყორცნი, ქალაქის კედლების მნგრეველი მანქანები. ეს ტექნიკა მათ მშვენივრად გამოიყენეს შუა აზიისა და წინა აზიის ქალაქების აღებისას. ჩინგიზ-ყაენმა მონღოლთა ლაშქარში უმკაცრესი დისციპლინა დაამყარა. მან ჯარი ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად და ათიათასეულებად დაყო. მონღოლთა ტომებისა და გვარების იმ ოდენობას, რომელსაც ათიათასკაციანი შენაერთის გამოყვანა შეეძლო დუმანი ეწოდებოდა. დუმანებს მონღოლი დიდებულები - ნოინები ედგნენ სათავეში. მათ დუმან-ნოინებს ეძახდნენ.

მონღოლებმა სულ რამდენიმე ათეულ წელიწადში დაიმორჩილეს თითქმის მთელი ჩინეთი, შუა აზია, წინა აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის უდიდესი ნაწილი.

მონღოლთა ასეთი არნახული წარმატების მიზეზი მათი სწრაფად მოძრავი ცხენოსანი არმია იყო, რომელიც შესანიშნავი მშვილდოსნობით, და მტკიცე დისციპლინით გამოირჩეოდა. აზიის და ევროპის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მარცხი მონღოლებთან ბრძოლებში შუა საუკუნეების სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელმა სამხედრო-პოლიტიკურმა სისტემებმაც განაპირობა: მსხვილი ფეოდალების თუ მოხელე-ამირების მუდმივი დაპირისპირება მეფის ხელისუფლებასთან ასუსტებდა ამ ქვეყნებს და მონღოლთა წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის ძალების გაერთიანების საშუალებას არ აძლევდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ წარმართი მონღოლები, რომლებიც მანამდე გაუგონარი სისასტიკით არბევდნენ მუსლიმური ხორეზმის მდიდარ და ხალხმრავალ ქალაქებს, საქართველოში, მათ შესახებ ინფორმაციის სიმწირის გამო, ქრისტიანებად მიაჩნდათ. ამიტომ თავდაპირველად მონღოლთა წარმატებებს სიხარულითაც კი ხვდებოდნენ. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ საქართველოში მონღოლთა პირველი ლაშქრობის შემდეგაც კი ქართული საზოგადოება კარგად ვერ ათვითცნობიერებდა მოსალოდნელ საფრთხეს და მონღოლებს ჯერ კიდევ ქრისტიანულ სამყაროს აკუთვნებდა. აი, რას წერდა რუსუდანი გამეფების შემდეგ რომის პაპს: „ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენ ქვეყანაში და დაგვიხოცეს ექვსი ათასი კაცი. **ჩვენ მათ არ უფრთხოდით, რადგან ქრისტიანები გვეგონა, როდესაც მივხვდით, რომ კარგი ქრისტიანები არ იყვნენ,** მაშინ შევკრიბეთ ყოველი ძალა და წინ აღვუდგით. ოცდახუთი ათასი კაცი გავუწყვიტეთ, ბევრი დავატყვევეთ და დანარჩენი მათი მხედრობა ჩვენი ქვეყნიდან გავაძევეთ".

მონღოლებმა 1219-1221 წწ-ში შუა აზიაში ხორეზმ-შაჰი მუჰამედი დაამარცხეს და ხორეზმი დაიპყრეს. მათ შუა აზიის უმსხვილესი და უმნიშვნელოვანესი ქალაქები, მათ შორის ბუხარა, სამარყანდი, მერვი და ურგენჩი აიღეს და გაანადგურეს. ხორეზმ-შაჰმა მუჰამედი გაიქცა და კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულს შეაფარა თავი. მაშინ ორი მონღოლი სარდალი ჯებე და სუბუდაი მონღოლთა მბრძანებლის – ჩინგიზ ყაენის დავალებით, დაახლ. 30 ათასიანი ლაშქრით ხორეზმ-შაჰის შესაპყრობად გამოემართა. ჯებეს და სუბუდაის მუჰამედის შეპყრობის გარდა სპარსეთისა და კავკასიის დათვალიერება-დაზვერვაც ევალებოდათ. მონღოლთა რაზმმა 1220 წლის მიწურულს კასპიის ზღვას სამხრეთიდან შემოუარა და შუა აზიიდან სპარსეთსა და ადარბადაგანში შემოიჭრა. აქ მათ ხორეზმ-შაჰის გარდაცვალების ამბავი შეიტყვეს, მაგრამ მძარცველურ-დაზვერვითი ლაშქრობა მაინც გააგრძელეს. 30 ათასიანი შესანიშნავად გაწვრთნილი და ცხოვრების მკაცრ პირობებს ჩვეული დისციპლინირებული მონღოლური ლაშქარი სასტიკ და მრისხანე ძალას წარმოადგენდა. მონღოლებმა სპარსეთისა და ადარბადაგანის დიდი და მდიდარი ქალაქები ზედიზედ აიღეს და სასტიკად გაძარცვეს. ამის შემდეგ ისინი ადარბადაგანის დედაქალაქ თავრიზს მიადგნენ. ათაბეგმა უზბეგმა მონღოლებს მორჩილება გამოუცხადა და თავი იმით დაიხსნა, რომ მათ დიდი ოდენობით ცხენები, ტანისამოსი და ფული მიართვა. ამის შემდეგ მონღოლები ჩრდილოეთისაკენ დაიძრნენ. მდ. არაქსის გადალახვის შემდეგ დეკემბრის მიწურულში ისინი საქართველოს საზღვრებში აღმოჩნდნენ. საქართველოს სამეფო კარი მტრის მოძრაობას კარგა ხანია თვალს ადევნებდა, ამიტომ მისთვის მონღოლთა საქართველოში შემოჭრა მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ მათი სიძლიერე, როგორც ჩანს, ჯეროვნად ვერ შეაფასეს. მონღოლებს საქართველოს საზღვარზე შედარებით მცირერიცხოვანი, 10 ათას კაციანი სასაზღვრო ლაშქარი დახვდა. მიუხედავად ქართველთა მცირერიცხოვნებისა, მათ მტერს ძლიერი ბრძოლა გაუმართეს. ეს იყო პირველი სერიოზული წინააღმდეგობა, რომელიც შუა აზიიდან მომავალ მონღოლებს შეხვდათ. ქართველები ბრძოლაში დამარცხდნენ, მაგრამ მონღოლებმაც საქართველოს სიღრმეში ლაშქრობის გაგრძელება იმჯერად ვერ გაბედეს და გამოსაზამთრებლად ადარბადაგანში გაბრუნდნენ.

ლაშა გიორგი შეეცადა მონღოლთა წინააღმდეგ თავისი მეზობელი ქვეყნები დაერაზმა. ამ მიზნით, მან ტრაპიზონის იმპერატორს, ათაბაგ უზბეგს და ხლათის გამგებელს ალ-აშრაფს მიმართა. კოალიციური ლაშქრობა გაზაფხულისათვის იყო დაგეგმილი, მაგრამ მოკავშირეები ათაბაგ უზბეგის ერთმა მამლუქმა, თურქმა აკუშმა გასცა, რომელმაც მათი გეგმა ჯებეს და სუბუდაის მოახსენა. მაშინ მონღოლები თებერვალში ისევ შემოიჭრნენ საქართველოში და მოულოდნელი თავდასხმით ქართველები კვლავ დაამარცხეს. ამჯერადაც მონღოლები საქართველოში დიდხანს არ დარჩენილან და მალევე უკან გაბრუნდნენ. 1221 წ-ის გაზაფხულიდან მონღოლები კვლავ შეუდგნენ ადარბადაგანის ქალაქების რბევას. მათ აიღეს ჰამადანი, არდებილი, მარაღა, ნახჭევანი, ბაილაქანი, განძა ... და ყველგან მოსახლეობას არნახული სისასტიკით გაუსწორდნენ.

1221 წლის მიწურულს მონღოლებმა გეზი ისევ საქართველოსაკენ აიღეს. ახლა უკვე ქართველები მათ საგანგებოდ მომზადებულები დახვდნენ. ლაშა გიორგიმ მონღოლთა წინააღმდეგ 60 ათასიანი ლაშქარი გამოიყვანა და მათ მდ. ბერდუჯზე (ახლანდელი ძეგამ-ჩაი აზერბაიჯანში) შეეგება. სასტიკი ბრძოლა გაიმართა. მონღოლებმა მათთვის ჩვეულ ხერხს მიმართეს: სუბუდაი ძირითადი ძალებით ბრძოლაში ჩაება, ჯებე კი შედარებით მცირე მხედრობით მოფარებულ ადგილას ჩასაფრდა. ბრძოლის დაწყებიდან დიდ დროს არ გაუვლია, რომ სუბუდაიმ თითქოს დამარცხებულმა, მოწინააღმდეგეს ზურგი აქცია და გაიქცა. ქართველები მტერს დაედევნენ. მაშინ მონღოლთა ჩასაფრებული ნაწილი გამოვიდა და ქართველებს ზურგში დაარტყა. ალყაში მოქცეული მეწინავე ლაშქარი დამარცხდა. მოკლულთა სახით ქართველებმა ექვსიათასი კაცი დაკარგეს, დაღუპულთა შორის იყო მეჭურჭლეთუხუცესი ყვარყვარე ჯაყელის ვაჟი, განძის ბრძოლის ჩვენთვის უკვე ცნობილი გმირი ბექა ჯაყელი.

მეწინავე ლაშქრის დამარცხების ამბავი როცა შეიტყო, ლაშა გიორგი მთელი ლაშქრით მონღოლებისაკენ დაიძრა, მაგრამ მონღოლებმა ბრძოლას თავი აარიდეს და საქართველოს გაეცალნენ. ამიტომ, როგორც რუსუდანის წერილიდან აშკარაა, ქართველები თავს ამ ბრძოლაში გამარჯვებულად მიიჩნევდნენ. მონღოლები ახლა შირვანისაკენ გაემართნენ, აიღეს შირვანის დედაქალაქი შამახია და მოსახლეობა ამოწყვიტეს. ამის შემდეგ ჯებემ და სუბუდაიმ გაიარეს დარუბანდი და ჩრდილო კავკასიაში გადავიდნენ. აქ ისინი დასავლეთისაკენ დაიძრნენ. მდ. კალკაზე მათ გზა გადაუღობა რუსთა და ყივჩაყთა გაერთიანებულმა ლაშქარმა. კალკასთან ბრძოლა 1223 წ. მონღოლთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ მონღოლთა ამ ლაშქარმა კასპიის ზღვას ჩრდილოეთიდან მოუარა და შუა აზიაში თავიანთ მთავარ ლაშქარს შეუერთდა.

მონღოლთა წელიწადნახევრიანმა თარეშმა წინააზიისა და სამხრეთ კავკასიის მოსახლეობას დიდი რბევა და უბედურება მოუტანა, მაგრამ თანდათან ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა.

საქართველოშიც მონღოლები საბოლოოდ წასულებად მიიჩნიეს და ლაშა გიორგი კვლავ ჯვაროსნული ლაშქრობისათვის სამზადისს შეუდგა.

ჯვაროსნებთან საქართველოს კავშირისა და ეგვიპტის წინააღმდეგ მათი ერთობლივი გალაშქრების ჩაშლის მიზნით, ეგვიპტის სულთანმა საქართველოს სამეფო კართან დამოყვრება გადაწყვიტა. ამ მიზნით, თავისი ძმისათვის ლაშა-გიორგის დის რუსუდანის ხელი ითხოვა. რუსუდანის საქმროდ გამიზნული ეგვიპტის სულთნის ძმა მისი მეორე ძმის ხლათის გამგებლის ალ-აშრაფის მიერ ხლათის ტახტის მემკვიდრედ იყო გამოცხადებული. ეს მომავალში რუსუდანს ხლათის დედოფლობას უქადდა. ამდენად, ლაშა გიორგის ამ ქორწინებაზე დათანხმების შემთხვევაში ხლათი საქართველოს მხრივ აგრესიისაგან დაცული იქნებოდა. მიუხედავად ეგვიპტის სულთნისა და მისი ძმის ხლათის გამგებლის ალ-აშრაფის მონდომებისა რუსუდანის ქორწინება ეგვიპტელ უფლისწულზე ჩაიშალა. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, საქართველოს მეფის მტკიცე გადაწყვეტილება იყო, მონაწილეობა მიეღო ეგვიპტის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში და ხლათის შემოსაერთებლად ბრძოლა განეახლებინა.

ცოტა ხნის შემდეგ რუსუდანის ხელი საქართველოს ყმადნაფიცმა შარვანშაჰმა ითხოვა. ლაშა გიორგი ამ ქორწინებას დასთანხმდა და საქმის მოსაგვარებლად 1223 წ. დასაწყისში ბაგავანს ჩავიდა, მაგრამ ქორწინება არ შედგა. 18 იანვარს ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 30 წლის გიორგი IV მოულოდნელად გარდაიცვალა. გიორგი მეფე გელათში დაკრძალეს. კანონიერი შვილის უქონლობის გამო კი, ტახტზე მისი და რუსუდანი ავიდა.

## § 42. ჯალალ ად-დინის ლაშქრობები საქართველოში

რუსუდანს წინასწარ სამეფოდ არ ზრდიდნენ და არ ამზადებდნენ. ამას არ შეიძლებოდა თავისი უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ქვეყნის მმართველობაზე საქართველოს ისტორიის ისეთ საპასუხისმგებლო პერიოდში, როგორიც XIII ს-ის 20-40-იანი წლები გამოდგა. მით უფრო, რომ რუსუდანს ქვეყნის მართვის ნიჭიც არ აღმოაჩნდა. ლაშა გიორგის ხანაში ერთგვარად დამცრობილი თამარის პერიოდის მოხელე-დიდებულები ისევ აღზევდნენ. ივანე მხარგძელის გავლენა და ძალაუფლებაც სასახლის კარზე მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ღიას ად-დინი

ღიას ად-დინი რუმის სულთნის კილიჯ-არსლან II-ის შვილიშვილი და ჩვენთვის უკვე ცნობილი რუმის სულთნის, თამარ მეფის მიერ ბასიანის ბრძოლაში დამარცხებული რუქნ ად-დინის ძმისშვილი იყო. ამგვარად, ბედის ირონიის წყალობით, ამ საგვარეულოს წარმომადგენელი მაინც გახდა საქართველოს მეფის, ოღონდ ამჯერად არა თამარის, არამედ რუსუდანის მეუღლე.

1224 წ. იანვარს რუსუდანმა იქორწინა არზრუმის ამირას ვაჟზე ღიას ად-დინზე, რომელიც რუსუდანის კარზე არზრუმის ამირას საქართველოს უზენაესობის აღიარების ნიშნად ჰყავდა გამოგზავნილი. წინასწარ ღიას ად-დინმა ქრისტიანობა მიიღო და მოინათლა. ამის შემდეგ მას დიმიტრი ეწოდა. დიმიტრი 17 წლის იყო და, როგორც ჩანს, თავისი ასაკის გამო მან ვერ შეძლო ივანე მხარგრძელისა და მისი დასის გავლენის დაძლევა და სამეფო კარზე იმ უფლებების მოპოვება, რაც რუსუდანის ქმარს შეეფერებოდა. ამ დინასტიურმა ქორწინებამ გააძლიერა საქართველოს პოლიტიკური გავლენა არზრუმის საამიროზე. ღიას ად-დინის მამამ, არზრუმის ამირამ, მუღის ად-დინ ტოღრულ შაჰმა საქართველოს მეფის მიერ გაგზავნილი საპატიო სამოსი ჩაიცვა და აღმართა დროშა, რომლის ზემოთაც ჯვარი იყო აღმართული.

ხლათის ქვეყანასა და საქართველოს შორის მდ. არაქსის მარჯვენა სანაპიროზე ეგვიპტეზე დამოკიდებული პატარა სურმარის სამთავრო არსებობდა. მის ამირებსა და ქართველებს შორის 1223 წ. სექტემბერში რამდენიმე შეტაკება მოხდა. რაც საქართველოს სამეფო კარზე ეგვიპტის სასულთნოსთან 30-წლიანი ზავის დარღვევად იქნა აღქმული. ამავე დროს სურმარის მფლობელი მოულოდნელად თავს დაესხა ქალაქ დვინის გამგებელს შალვა ახალციხელს, რომელიც ლაშქრით სურმარის საზღვართან ახლოს იყო დაბანაკებული და ცნობილი ქართველი მხედართმთავარი ტყვედაც კი ჩაიგდო. მაშინ საქართველოს სამეფო კარმა საპროტესტო წერილი გაუგზავნა დამასკოსა და ხლათის გამგებელს, ეგვიპტის სულთნის ძმას, ჩვენთვის უკვე ცნობილ ალ-აშრაფს და შალვა ახალციხელის ტყვეობიდან განთავისუფლება კატეგორიულად მოსთხოვა. ქართველები შეახსენებდნენ ალ-აშრაფს

საქართველოსა და ეგვიპტეს შორის დადებულ ზავს და დასძენდნენ: „თუ ჩვენ შორის ზავი დაირღვა, შევეცადეთ, რათა ზომები მივიღოთ". ალ-აშრაფმა დააკმაყოფილა ქართველთა მოთხოვნა: შალვა ახალციხელი და სხვა ქართველი ტყვეები გაანთავისუფლა და საქართველოსთან ჯერ კიდევ ეგვიპტის სულთან ალ-ადილის ხანაში, 1210 წ. დადებული ზავი კვლავაც განაახლა.

ამასობაში საქართველოს მეფემ რომის პაპის ჰონორიუს III-ის წერილი მიიღო, რომლითაც რომის პაპი რუსუდანს ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებისაკენ მოუწოდებდა. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა 1221 წ. ჯვაროსანთა დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ რომის პაპი არ ცხრებოდა და ახალ ლაშქრობას გეგმავდა. 1223 წ. მარტში ქალაქ ფლორენციის (ძველი სახელი ფლორენტინა) საეკლესიო კრებაზე გადაწყდა, რომ ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად 1225 წ. ლაშქრობას დაიწყებდა გერმანიის იმპერატორი და სიცილიის მეფე ფრიდრიხ II.

ფრიდრიხ II

ფრიდრიხ II ჩვენთვის უკვე ცნობილი ფრიდრიხ I ბარბაროსას შვილიშვილი იყო. ის ჯერ 1212 წ. სიცილიისა და სამხრეთ იტალიაში გამეფდა, ხოლო 1220-1250 წწ-ში ის გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის იმპერატორიც გახდა. VI ჯვაროსნული ლაშქრობა 1228-1229 წწ-ში მოეწყო. ფრიდრიხ II ეგვიპტის სულთანთან დიპლომატიური მოლაპარაკების გზით, თხუთმეტი წლით იერუსალიმი დაიბრუნა. ფრიდრიხ II ცხოვრების უდიდესი ნაწილი იტალიაში გაატარა. როგორც რომის საღვთო იმპერიის იმპერატორს, მას მთელ დასავლეთ ევროპაში პირველობის პრეტენზია ჰქონდა, მაგრამ ფრიდრიხის ცდა, ევროპულ მონარქებს უკარნახოს მისი პირველობა, მარცხით დამთავრდა. ქრისტეს საფლავისათვის ბრძოლაში ფრიდრიხ II ხელი არ შეუშალა კონფლიქტი ჰქონდა რომის პაპებთან, რის გამოც რომის პაპმა ის და მთელი მისი საგვარეულო დაწყევლა.

რომის პაპის გეგმის თანახმად, ეგვიპტის სასულთნოზე ერთდროულად უნდა შეეტიათ ფრიდრიხ II-ს, რომელსაც სირიაში გემებით 10 ათასი ქვეითი და 2 ათასი რაინდი უნდა გადაეყვანა და საქართველოს მეფეს, რომელიც ივანე მხარგრძელის მეთაურობით რომის პაპს 40 ათასიანი მხედრობის გაგზავნას პპირდებოდა. „დიდად გვეიხარეთ – წერდა რუსუდანი რომის პაპს – როდესაც შევიტყვეთ, რომ შენი ბრძანებით, იმპერატორი (იგულისხმება გერმანიის იმპერატორი და სიცილიის მეფე ფრიდრიხ II) მართებს წმინდა ადგილების დასახსნელად ახლა სირიაში გადავიდეს. მოგვწერეთ ჩვენ, თუ როდის უნდა წავიდეს იმპერატორი და ჩვენც გავაგზავნით ჩვენს მხედართმთავარს ივანეს მთელი ჩვენი ჯარით ქრისტიანების დასახმარებლად, წმინდა საფლავების გასანთავისუფლებლად. მივლენ იქ სადაც მათ უბრძანებთ მისვლას".

ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებისათვის რომის პაპი შენდობას და ცოდვების მიტევებას აღუთქვამდა რუსუდანის ყველა ქვეშევრდომს და ქართველ ჯვაროსნებს ისეთივე პრივილეგიებს პპირდებოდა, როგორც ლათინებს, ანუ ევროპელ რაინდებს.

საქართველომ და მისმა მეფემ ამჯერადაც ვერ შეძლო ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება. ფრიდრიხ II-ის ლაშქრობა 1227 წლამდე გადაიდო, ცოტათი უფრო ადრე კი საქართველოს ჯალალ ად-დინი შემოესია.

**ჯალალ ად-დინი** ჩვენთვის უკვე ცნობილი ხორეზმ-შაჰ მუჰამედის შვილი და უკანასკნელი ხორეზმ-შაჰი (1221-1231 წწ.) იყო. ის მონღოლთა მიერ შუა აზიის დაპყრობის შემდეგ ერთხანს ინდოეთში გაიქცა და თავს იქ აფარებდა. 1224 წ. ჯალალ ად-დინი ხარისეთში გადმოვიდა. მცირე ხანში მან მნიშვნელოვან სამხედრო ძალებს მოუყარა თავი. მიუხედავად ამისა, საკუთარი სამეფოს გამოსახსნელად მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლა ვერ გაბედა და თავისი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ წარმართა. ფაქტობრივად უსამეფოდ დარჩენილმა ჯალალ ად-დინმა გადაწყვიტა წინა აზიაში მეზობელ სახელმწიფოთა დაპყრობით დიდი სამეფოს შექმნა. 1225 წ. ხორეზმ-შაჰი ადარბადაგანს (აზერბაიჯანს) ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაეუფლა. რანისა და ადარბადაგანის მუსლიმი მოსახლეობა ჯალალ ად-დინში იმ ძალას ხედავდა, რომელიც მათ საქართველოს მხრივ შევიწროებისაგან დაიცავდა. როგორც ვიცით, იმჟამად რანის ქალაქები განძა და ნახჭევანი საქართველოს ხარკს უხდიდნენ. ირანსა და ადარბადაგანში თავისი ხელისუფლებისათვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, ჯალალ ად-დინმა 1225 წ. იქორწინა ათაბაგ უზბეკის ქვრივზე, რომელიც ერაყის ხელნუკთა უკანასკნელი სულთნის ასული იყო.

ჯალალ ად-დინმა მუსლიმურ სახელმწიფოებს რუმის სასულთნოს, ეგვიპტის აიუბიანებს და საქართველოს ირგვლივ არსებულ მცირე მუსლიმურ სამთავროებს ქრისტიანებთან საღვთო ომის საბაბით, საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობისაკენ მოუწოდა. რუმის სულთანი ქაი-ყუბადი მოწონებით შეხვდა ხვარაზმ-შაჰის მოწოდებას: ხვარაზმ-შაჰი რუმის სასულთნოს უშუალოდ არ ემუქრებოდა, სამაგიეროდ ქაი ყუბადს წინა აზიაში თავისი მოწინააღმდეგეების საქართველოსა და ეგვიპტის სასულთნოს დასუსტება ფრიადაც აწყობდა. ხლათისა და შუამდინარეთის ეგვიპტელი გამგებელი ალ-

აშრაფი ჯალალ ად-დინის მოწოდებას არ გამოეხმაურებია. მან მშვენივრად უწყოდა რომ ქრისტიანთა წინააღმდეგ საღვთო ომი ჯალალ ად-დინისათვის კარგი საბუთი იყო, რითაც ის მუსლიმი გამგებლების საქართველოს წინააღმდეგ დარაზმვას ცდილობდა. საქართველოზე გამარჯვების შემთხვევაში კი ის, ცხადია, შეხებოდა მუსლიმურ ქვეყნებსაც, პირველ რიგში ხლათზე გაილაშქრებდა. ამგვარად, ალ აშრაფი და რუსუდანი ამ შემთხვევაში ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ ბუნებრივი მოკავშირეები იყვნენ, მაგრამ რეალურად მათ შორის კავშირის დამყარება ვერ მოხერხდა. ვის მიემხრობოდნენ საქართველოს ირგვლივ მდებარე წვრილ-წვრილი მუსლიმური სამთავროები დიდად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ აღმოჩნდებოდა გამარჯვებული ჯალალ ად-დინსა და საქართველოს შორის პირველ ბრძოლაში.

1225 წ. აგვისტოში ჯალალ ად-დინი საქართველოსაკენ დაიძრა. ბრძოლა მოხდა საქართველოს სამხრეთში სოფ. გარნისთან (დღევანდელი სომხეთის ტერიტორია) და ქართველთა სასტიკი მარცხით დამთავრდა. მარცხის ერთ-ერთი მიზეზი იყო საქართველოს ამირსპასალარის ივანე მხარგრძელის გაუბედავი მოქმედება, რაც მისი მხცოვანი ასაკით უნდა აიხსნას. აღსანიშნავია ჯალალ ად-დინის უდავო მხედართმთავრული ტალანტიც. მარცხის ძირითადი მიზეზი მაინც ქართველ დიდებულთა სხვადასხვა საგვარეულოებს შორის დაპირისპირება და ურთიერთქიშპი იყო, რაც ფეოდალურ საზოგადოებაში ყოველი ახალი მეფის მმართველობის პირველ წლებში მწვავდებოდა. ქართველი მემატიანე ხაზს უსვამს იმ დაპირისპირებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ივანე მხარგრძელსა და მოწინავე ლაშქრის სარდლებს ძმებს ივანე და შალვა ახალციხელებს შორის. გარნისის ბრძოლაში 20 ათასი ქართველი მეომარი დაიღუპა. უკანდახევისას მოწინავე ლაშქრის სარდალი ივანე ახალციხელი ქვათაცხუნაში მოჰყვა და დაიღუპა. მისი ძმა ხორასნის ლაშქრობის გმირი, უნიჭიერესი ქართველი სარდალი შალვა ახალციხელი კი ჯალალ ად-დინს ტყვედ ჩაუვარდა. თავდაპირველად ჯალალ ად-დინს შალვა ახალციხელი დიდ პატივში ჰყავდა, მას ხომ ამ ლეგენდარული სარდლის შესახებ ბევრი რამ სმენოდა. მაგრამ როდესაც აღმოჩნდა, რომ შალვა რუსუდანს და საქართველოს სამეფო კარს მტრის მოძრაობის მარშრუტს ატყობინებდა, ხორეზმ-შაჰმა ის სიკვდილით დასაჯა. საქართველოში შალვა ახალციხელის გმირობაზე მის სიცოცხლეშივე თხზავდნენ სიმღერებს. ქართველმა ხალხმა სამშობლოსათვის წამებული გმირი მწარედ დაიტირა. შალვა ახალციხელის ხსოვნას ეძღვნება ქართული ხალხური სიმღერა „შაულეგო".

„ქამილის ცხოვრება" ჯალალ ად-დინის მიერ თბილისის აღების შესახებ

„რა მიტაცებდ იყო ხელი ქალაქს სულტანმა, დაიწყო უსიონტესი ანგარიშსწორება ქრისტიანებზე. და ისეთი სისასტიკე კი მოავლეს [illegible] (ქურების) ხრამები და ხეები. [illegible] კი მტკვარში გადაყარეს. [illegible] ურჯული და ბილწი.... დაიწყეს ულმობელი საქართველოს ნგრევა ... [illegible] [illegible] „ალაჰ სავალი" [illegible] [illegible] [illegible]"

გარნისის ბრძოლის შემდეგ ჯალალ ად-დინმა საქართველოს მეფის ცოლობა და მონღოლთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა შესთავაზა, რაზედაც უარი მიიღო. ჯერ ერთი, რუსუდანი უკვე გათხოვილი იყო არზრუმელ უფლისწულზე, თანაც ჯალალ ად-დინი არ იყო ის პიროვნება, რომ გარნისთან გამარჯვებით რუსუდანის ქმრად მისულს, საქართველოს სამეფო კარის ნებასურვილზე ემართა ქვეყანა. რაც ყველაზე მთავარია, მას თან შემოჰყვებოდა მომთაბარე თურქმანთა მრავალრიცხოვანი ტომები, ეს კი საქართველოსთვის კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა.

1226 წლის დამდეგს ხორეზმ-შაჰი თბილისს მოადგა. ჯალალ ად-დინის მოსვლამდე მეფე რუსუდანმა თბილისი დატოვა, დასავლეთ საქართველოს მიაშურა და თბილისის დაცვა ძმებს ბოცოს-ძეებს (ჯაყელთა საგვარეულოდან) შეჰნდა და პოცოს ჩააბარა. თბილისი ძლიერად იყო გამაგრებული და მისი აღება შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ საერთო დაბნეულობისა და მტრის ზურგში მხედრიათაუქონლობის გამო ჯალალ ად-დინმა რამდენიმე თვის ალყის შემდეგ 9 მარტს მაინც აიღო ქალაქი: ერთ-ერთი ბრძოლაში ჯალალ ად-დინმა ქართველთა რაზმი ქალაქიდან შორს გაიტყუა, შემდეგ კი ჩასაფრებული ნაწილებით დაესხა თავს. ქართველებმა მტრის ჭარს ძალებს ვერ გაუძლეს და ქალაქისაკენ გამობრუნდნენ. მტერი მათ ფეხდაფეხ დაედევნა და ქალაქში შემოიჭრა. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. აქ უკვე თბილისელ მუსლიმთა

ღალატმა იჩინა თავი. ერთ-ერთმა მუსლიმმა მეშნა ბოცოს-თუ მუხანათურად ხიდის კარები გამოაღო. ქართველები ახლა ბოცოს მეთაურობით ისნის ციხეში შეიკეტნენ. ქალაქი კი მტრის ხელში გადავიდა. სამეფო კარი ზრულმა დამბლამ მოიცვა. რამდენიმე თვის განმავლობაში, სანამ თბილისის ალყა გრძელდებოდა, რუსუდანმა ვერ შეძლო დამხმარე ძალის გამოგზავნა ქალაქის დასაცავად. ახლაც ისნის ციხეში ჩაკეტილი თბილისის მცველები კიდევ მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს და მეფეს დახმარებას სთხოვდნენ, მაგრამ ამაოდ. რუსუდანი მათ წერილს წერილზე უგზავნიდა და დედაქალაქის გმირ დამცველებს ციხის დაცლასა და ქალაქიდან გასვლას უბრძანებდა. საბოლოოდ, ბოცომ იმედგაცრუებულმა ისნის ციხე დაცალა და ქალაქს გაეცალა. თბილისის ხელში ჩაგდების შემდეგ ჯალალ ად-დინი საშინელი სისასტიკით გაუსწორდა ქალაქის ქრისტიანულ მოსახლეობას. ზოგიერთი ცნობით, დახოცილთა რიცხვი 100 ათას კაცს აღწევდა. მტერს აურაცხელი ქონება ჩაუვარდა ხელში. გაძარცვას და დარბევას არც მუსლიმები გადაურჩნენ, რის გამოც ღალატი მათ სანანებელი გაუხდათ.

1227 წ. ქართველებმა ისარგებლეს იმით, რომ ჯალალ ად-დინი ადარბადაგანში მის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების ჩასაქრობად გაემართა და თბილისი დაიბრუნეს. ამასობაში სამეფო კარმა, როგორც იქნა, თავი მოუყარა ქართულ ლაშქარს – „იმერთა და ამერთა", ჩრდილო კავკასიელი მთიელები და ყივჩაყებიც გადმოიყვანა და ჯალალ ად-დინთან გადამწყვეტი ბრძოლის სამზადისს შეუდგა. ხორეზმშაჰმა ქართველებს ახლაც დაასწრო და მათ მოულოდნელად დაესხა თავს. ბრძოლა 1228 წ. ბოლნისთან მოხდა და კვლავაც ქართველების დამარცხებით დამთავრდა. ბრძოლის ბედი ყივჩაყთა ღალატმა გადაწყვიტა, რომლებიც ბრძოლის დაწყების წინ განზე გადგნენ და ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღეს.

1230 წლის აპრილში, წლინახევრის ალყის შემდეგ ჯალალ ად-დინმა ქალაქი ხლათიც აიღო და გაძარცვა. აქ მას ხელში ჩაუვარდა ხლათის მმართველის ალ-აშრაფის ქართველი მეუღლე თამთა, რომელიც თან წაიყვანა. საქართველოში ჯალალ ად-დინის თარეშმა 1230 წლის ზამთრამდე გასტანა. ქვეყანა აოხრდა და დაუძლურდა. ქვეყნისათვის ასეთ მძიმე დროს დაიწყო მონღოლთა ახალი ლაშქრობა წინა აზიაში. 1231 წ. მონღოლები შუა აზიიდან გამოვიდნენ და ადარბადაგანში შემოიჭრნენ. ხორეზმშაჰი, რომელმაც თავისი სისასტიკითა და გამუდმებული ძარცვა-გლეჯით, არა მარტო ქრისტიანული საქართველო, არამედ მთელი მუსლიმური სამყარო თავის წინააღმდეგ აამხედრა, მონღოლთა წინააღმდეგ მოკავშირის და ლაშქრის გარეშე დარჩა. მონღოლებს გაქცეულმა ჯალალ ად-დინმა თავი დიარბაქირის მდამოებს შეაფარა, სადაც მთაში ქურთებმა მოკლეს.

ძველი ქართველი ისტორიკოსების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ისინი საოცარი ობიექტურობით გამოირჩევიან ქვეყნის უბოროტესი მტრის დახასიათებისასაც კი. ამის კარგი მაგალითია „ქართლის ცხოვრების" მემატიანის სიტყვები ჯალალ ად-დინის სიკვდილთან დაკავშირებით: „მოიკლა კაცი იგი მაღალი და სახელოვანი ხელმწიფე, ... ამაო აღმოჩნდა მისთვის მრავალრიცხოვანი ლაშქარი და მისი ქედუხრელობა, ბრძოლებში გამარჯვება და უზომო სიმდიდრე".

## § 43. საქართველოს ეკონომიკა, ქალაქები და ვაჭრობა X-XIII სს-ში

X-XIII სს-ში საქართველო დიდი და მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა იყო. ქვეყნის გაერთიანებამ, თითქმის საუკუნოვანმა შედარებითმა მშვიდობამ, ეკონომიკის აღმავლობა და მოსახლეობის სწრაფი ზრდა გამოიწვია. დასახლებული ადგილები გაჩნდა იქ, სადაც არც აქამდე და არც შემდგომ ხანაში სოფელი არ არსებობდა. საცხოვრებლად თითქმის ალპურ ზონამდე ქვეყნის მთელი ტერიტორია იყო გამოყენებული. მონღოლთა მიერ ჩატარებული აღწერის მონაცემებით, იმდროინდელი ერთიანი საქართველოს სამეფოს მოსახლეობა, რომელშიც ისტორიული სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილიც შედიოდა, 8 მილიონს აღემატებოდა. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ XI საუკუნისათვის ინგლისის მოსახლეობა, შოტლანდიისა და ირლანდიის გამოკლებით, სულ 1,5 მილიონს შეადგენდა, ხოლო XII-XIII სს-ის საფრანგეთის მოსახლეობა 5 მილიონს არ აღემატებოდა. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ XVIII ს-ის I მეოთხედში რუსეთის პირველი იმპერატორის პეტრე I-ის ხანაში მთელი რუსეთის იმპერიის მოსახლეობა 15 მილიონს შეადგენდა.

X ს-ში ქართული საზოგადოება განვითარებულ ფეოდალურ ხანაში შევიდა. XI-XIII სს-ში კი სოციალურ-ეკონომიკურმა წყობამ ბოლომდე გამოავლინა თავისი შესაძლებლობები როგორც მეურნეობაში, ანუ ქვეყნის ეკონომიკაში, ისე კულტურაში. საქართველოში განვითარებული ფეოდალური ხანის დასაწყისი წინა აზიაში ეკონომიკისა და ვაჭრობის საერთო აღმავლობას დაემთხვა.

X ს-დან მახლობელ აღმოსავლეთსა და ევროპაში გამოცოცხლდა ის სახმელეთო გზები, რომლებიც შორეულ ქვეყნებს თუ დიდ სავაჭრო ქალაქებს ერთმანეთთან აკავშირებდა. სპარსეთში, მცირე აზიაში, სამხრეთ კავკასიაში ... უამრავი ძველი თუ ახალი სავაჭრო გზა ამოქმედდა. ამ სავაჭრო გზების გაყოლებაზე მრავალი ახალი ქალაქი აღმოცენდა. გამოცოცხლდა ძველი ქალაქებიც. ქალაქების მომრავლებამ ვაჭრობისა და ხელოსნობის დიდი აღმავლობა გამოიწვია, რასაც, ბუნებრივია, ფულის მიმოქცევის გაზრდა-გაფართოება მოჰყვა. ამიტომ X-XI სს-ს მახლობელი აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის, ისევე როგორც საქართველოს ისტორიაში, ახალქალაქების ეპოქასაც უწოდებენ.

ეკონომიკის აღმავლობა წინა აზიასა და საქართველოში XI ს-ის შუა წლებში სელჩუკთა შემოსევებმა დროებით შეაჩერა. თავდაპირველად მომთაბარე სელჩუკები თავისი განვითარების დონით ბევრად უფრო დაბლა იდგნენ წინა აზიის მიწათმოქმედ ხალხებზე. მაგრამ წინააზიურმა ცივილიზაციამ ისინი თავის ფერხულში მალევე ჩაება. ამიტომ XII ს-ის 20-30-იანი წლებიდან ეკონომიკურმა და კულტურულმა აღმავლობამ, რომელიც მომთაბარეებმა გარკვეული ხნით შეაფერხეს, კვლავ ახალი ძალით იფეთქა. ეს ეკონომიკური ზრდა წინა აზიაში ამჯერად მონღოლთა დაპყრობებამდე გაგრძელდა.

**X-XII სს-ში** საქართველოში აღმოცენებული **ახალი ქალაქებიდან** აღსანიშნავია არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე, თმოგვი, ოლთისი, გორი, თელავი, დმანისი, ატენი, ჟინვანი, ლორე, შაქი, გრემი, ბათუმი .... გამოცოცხლებული ძველი ქალაქებიდან უნდა დავასახელოთ ქუთაისი, ფოთი, ცხუმი, ხუნანი, სამშვილდე, ბოლნისი, რუსთავი .... და რა თქმა უნდა, საქართველოს დედაქალაქი თბილისი.

### XIII ს-ის დასაწყისის სპარსელი გეოგრაფოსის იაყუთის „ქვეყნების ლექსიკონის“ ცნობები თბილისის შესახებ

„თბილისი დიდი გამაგრებული ქალაქია. მტკვარი მისადგომ ზღვაში მდებარეობს. მდინარეზე, ქალაქის შუაზე რომელიც ... ერთმანეთისგან ხიდით გაყოფილი. ხიდთან ბევრი სავაჭრო მოწყობილი. ქალაქის პირდაპირ კლდოვან მთა-ციხეზე. აქ მეფეთა სასახლეები განლაგებული. მთა-ციხის გალავანში ბევრი გოდოლია (კოშკი) დატანებული. წყალს ციხეს ძალზე ახლოს ჩუქდეს...“

X-XIII საუკუნეებში თბილისი საქართველოს და საერთოდ სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქს წარმოადგენდა, რომელიც მუსლიმურ და ქრისტიანულ სამყაროს აკავშირებდა. მტკვარი თბილისს იმჟამადაც ორ ნაწილად ჰყოფდა. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა მდებარე ქალაქის ნაწილებს ერთმანეთთან ხის ხიდი აერთებდა. მტკვარში ჯაჭვებით დამაგრებული წისქვილები იდგა. მდინარეზე ხეივანი და ლური ფოლადები. წყლის საქანი მოწყობილობები იყო გამართული, რომელთა მეშვეობით ქალაქის ფართოდ გაშლილ და აყვავებულ ბაღ-მოსტნებს რწყავდნენ. თბილისს გარშემო გალავანი უვლიდა, რომელსაც რამდენიმე კარიბჭე ჰქონდა. ქალაქში 65 აბანო იყო, სადაც ცხელი გოგირდოვანი წყალი ამოდიოდა. თბილისში, ისევე როგორც სხვა ქალაქებში მრავალი დუქანი იდგა. დუქნები ერთდროულად სახელოსნოს და სავაჭროს წარმოადგენდნენ. დუქნებში ვაჭრობას მირითადად ქალები მისდევდნენ, იმ დროს როდესაც კაცები ხელოსნობით იყვნენ დაკავებულნი. ქრისტიანი ქალებისაგან განსხვავებით მუსლიმ ქალებს დუქანში ვაჭრობისას ჩადრი ეკეთათ.

### XIII ს-ის არაბი ავტორი ზაქარია ალ-ყაზვინი თბილისის შესახებ

„თბილისი გამაგრებული ქალაქია. მის იქით ... ; ... მის ალ-ქურის (კურა, მტკვარი) მდინარე ჰყოფს. მისი მცხოვრებლები მუსლიმანები და ქრისტიანები არიან. ალ-ქურის ერთ-ერთ ნაპირზე ლოცულობენ (იგულისხმება მუსლიმები) მოუწოდებენ, მეორე ნაპირზე კი ზარს რეკენ. მისი საკვირველებათაგანია ძალიან ცხელი აბანო, რომლისთვისაც წყალს არ აცხელებენ და არც ქვავებს, რადგან ის ცხელ წყაროზეა აგებული“.

X ს-დან მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქს წარმოადგენდა არტანუჯი. ბიზანტიის კეისრისა და ისტორიკოსის კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით „არტანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და მას აქვს დიდი რაბათი (ვაჭარ-ხელოსანთა დასახლება), იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა (აღმოსავლეთ საქართველო), აფხაზეთისა (დასავლეთ საქართველო), არმენიისა და სირიის ყველა ქვეყნიდან და ამ საქონლიდან მას უამრავი ბაჟი შემოსდის. არტანუჯის ციხის მიწა-წყალი დიდია და ნაყოფიერი“...

**ხელოსნური წარმოება.** საქართველოს ქალაქები პირველ რიგში ხელოსნობის დიდი ცენტრები იყვნენ. აქ მზადდებოდა ყველაფერი, რაც იმდროინდელ ცხოვრებას სჭირდებოდა: ქსოვილები, ტანსაცმელი, ჭურჭელი, საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, სამშენებლო მასალა, სხვადასხვა სახის სამკაულები. X-XIII სს-ის საქართველოს ხელოსნური წარმოების მაღალი დონის შესახებ პირველ რიგში

ცნობებს გვაწვდიან უცხოელი ავტორები. მათი ცნობით, საქართველოს ნაწარმი მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნით სარგებლობდა. ასეთი იყო, უპირველეს ყოვლისა, მინისა და ბროლის ჭურჭელი, სარკმლის მინა, ბეჭდები და სამაჯურები. თიხის ნაწარმიდან განსაკუთრებით აღნიშნავენ მოჭიქულ ჭურჭელს, კერამიკულ საშენ მასალას. შალის ნაწარმიდან საქართველოში მზადდებოდა მრავალნაირი ხალიჩები, ნოხები, თექები, ნაბდები, ქეჩაგები, თხელი შალის ქსოვილი. საბრძოლო აღჭურვილობიდან ძვირფასი უნაგირები, სპილოს ძვლით გაწყობილი ლაგამები, ისრების კაპარჭები (ისრების ჩასაწყობი ტყავის ქარქაში), ხილიფები (მშვილდის ტყავის ბუდე). მსოფლიო ბაზარზე განსაკუთრებით დიდი მოწონებით სარგებლობდა ქართული აბრეშუმის ქსოვილი და მისგან დამზადებული ძვირფასი ტანსაცმელი. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ XII ს-ის II ნახევარში კასპიის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ერთ-ერთი მუსლიმური სამთავროს ტაბარისტანის გამგებელმა ქალის სარძლოდ წამოსაყვანად ხორეზმ-შაჰ თექეშს (ჯალალ ად-დინის პაპას) ელჩობა და ძვირფასი საჩუქრებით დატვირთული ქარავანი გაუგზავნა. მათ შორის „ბიზანტიური, ბაღდადური და თბილისური ქსოვილები საბალიშეებით" (იგულისხმება მტვერთმხიდავ საქინულზე აკიდებული ქსოვილის თოფები) ქართული აბრეშუმი და საქართველოში შეკერილი სამოსი ბიზანტიაშიც დიდი მოწონებით სარგებლობდა. ჩვენთვის უკვე ცნობილი ანდრონიკე კომნენოსი მისი თანამედროვე ერთი ბიზანტიელი ისტორიკოსის ცნობით, ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე ასვლისას „ივერიულ (ქართულ) სამოსში ყოფილა გამოწყობილი და თავზეც ივერიული ქუდი ეხურა". მთელ აღმოსავლეთში სახელი ჰქონდა განთქმული საქართველოში დამზადებულ შალის ნაწარმს, ხალიჩებსა და ფარდაგებს. ერთ-ერთი სპარსელი ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ რუმის სასულთნოს დედოფალმა რუქნ-ედ-დინის ასულმა გურჯი-ხათუნმა (სიტყვა-სიტყვით ქართველ ქალბატონს ნიშნავს), იგივე თამარმა, თავის ერთ-ერთ ახლობელს მზითვად ძვირფას ნივთებთან და ოქროულობასთან ერთად გაატანა „ჩალტოფი ხალიჩები, ფარდაგები და მომცრო ხალიჩები - ქართული, შირაზული (ქალაქი სპარსეთში) და აქსა-რაული". მთელ აღმოსავლეთში დიდი მოწონებით სარგებლობდა თბილისის მიდამოებში მოყვანილი ენდრო, რომელიც საუკეთესო მრეწველობაში ძირითად სალებავს წარმოადგენდა. ეს ენდრო კასპიის ზღვით ირანის ქალაქ გურგანში ჩაჰქონდათ, საიდანაც ინდოეთში ეზიდებოდნენ. საქართველოდან უცხოეთში მრავლად გაჰქონდათ აგრეთვე წავის და თახვის ბეწვი, ბროწეული, ძვირფასი ხე-ტყე, ვერცხლის წყალი, არყის ხე, გამყავდათ ჯიშიანი ცხენები. განსაკუთრებით საგანგებო „მოხატული ტყავეულიც" კი მზადდებოდა, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა.



აქსარაი სიტყვა-სიტყვით „თეთრ სასახლეს", „თეთრ ქალაქს" ნიშნავს. რუმის სულთნებმა ის XIII ს-ის დასაწყისში [illegible] ცენტრად დააარსეს. ეს ქალაქი დღესაც არსებობს თურქეთში.
მონღოლთა მიერ რუმის სასულთნოს დაპყრობის შემდეგ, [illegible] რუმის სულთნის. საინტერესოა, ვიცოდეთ, რომ, როდესაც ოსმალთა სულთანმა მეჰმედ II კონსტანტინოპოლი აიღო (1453 წ.), [illegible] ქალაქს [illegible] აქსარაის [illegible].

თბილისში, დმანისში, რუსთავში, ნატბეურში - მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისთან - ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა კარგად აჩვენეს, რომ XII-XIII სს-ში საქართველოში კერამიკული და მინის წარმოება ძალზე მაღალ დონეზე იმყოფებოდა. ამ საწარმოებში ერთდროულად რამდენიმე ათეული ადამიანი იყო დასაქმებული. ასეთი საწარმოები განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივი შუასაუკუნეობრივი სახელოსნოებისაგან და მანუფაქტურების წინამორბედებს წარმოადგენდნენ. დიდი საწარმოები არსებობდა როგორც ქალაქად ისე სოფლად.

XI-XIII სს-ში საქართველოში ძალზე დაწინაურებული იყო სამთამადნო-მეტალურგიული წარმოება. ბოლნისის მიდამოებში დიდი რაოდენობით მოიპოვებდნენ რკინის მადანს და იქვე ახლოს საგანგებო ქურებში ამუშავებდნენ. რკინის მადნის გადამუშავების დიდ მასშტაბებზე მეტყველებს არქეოლოგების მიერ გათხრილი რკინის გამოსადნობი დიდი ქურები, მათ შორის აღსანიშნავია ქურა, რომელიც სოფ. კაზრეთთან გათხარეს და რომელიც არა თუ კავკასიაში, არამედ იმ ხანაში მთელ მსოფლიოში თავისი წარმადობით უნიკალურად შეიძლება ჩაითვალოს.

საქართველოში კლიმატური პირობების გამო ოდითგან არსებობდა სარწყავი მიწათმოქმედება. რუები და პატარა სარწყავი არხები ძველთაგანვე გაჰყავდათ. დიდი სარწყავი არხების გაყვანა კი, რომლებიც მთელ მხარეებს უზრუნველყოფდნენ სარწყავი წყლით, დიდ სახსრებს და სახელმწიფოებრივ ძალისხმევას მოითხოვდა. ამიტომ ასეთი არხების გაყვანა საქართველოში მხოლოდ XII-XIII სს-ში გახდა შესაძლებელი. ამ მხრივ განსაკუთრებით თამარ მეფის ხანა გამოირჩა, როდესაც გაყვანილ

იჭია ალაზნის, სამგორის, გარეჯისა და გრემის სარწყავი არხები. გრემის სარწყავი არხი ძალზე რთულ ჰიდრო-ტექნიკურ ნაგებობას წარმოადგენდა. მას სათავეში ჯებირი ჰქონდა და სპეციალური ნაგებობებით ერთი ხეობიდან მეორეში გადადიოდა. ეს არხი დაახლოებით 4000 ჰექტარს რწყავდა და სასმელი წყლით ქალაქ გრემს ამარაგებდა.

ქალაქების, ციხე-დარბაზების, მონასტრების წყლით უზრუნველსაყოფად სპეციალური წყალსადენები შენდებოდა. ასეთი წყალსადენებიდან აღსანიშნავია, სხალტბის წყალსადენი, რომელიც შიო მღვიმის სამონასტრო კომპლექსს წყლით ამარაგებდა. ეს წყალსადენი 1199-1201 წწ-ში შიო მღვიმის მონასტერს თავისი სახსრებით თამარ მეფის ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმა ანტონმა სოფელ სხალტბიდან ორკილომეტრიანი გვირაბით გაუყვანა. წყალსადენს ორი მილსადენი ჰქონდა. ერთი მილსადენი წყლით უშუალოდ სამონასტრო კომპლექსს ამარაგებდა, მეორე კი წყალს სოფელ შიო მღვიმეს აწვდიდა. იმდროინდელი წყალსადენის კიდევ უფრო შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ვარძიის წყალსადენი, რომელიც 3,5 კმ-ზე კლდეში გაჭრილ გვირაბს მიუყვებოდა.

ამ ხანის სოფლის მეურნეობა დიდ აღმავლობას განიცდიდა. საქართველოს მოსახლეობა მთლიანად უზრუნველყოფილი იყო იაფი და მაღალი ხარისხის ხორბლით, ქერით, ღომით, ბრინჯით, თაფლით, რძის პროდუქტებით, ხორცით, ხილით, ღვინით, ერბოთი, ზეთით ....

X-XIII სს-ში სოფლის მეურნეობისა და ხელოსნური წარმოების მაღალი დონე, უპირველეს ყოვლისა, საშინაო და საგარეო ვაჭრობის აღმავლობაში აისახა. საშინაო ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობდა ბუნებრივი პირობებით გამოწვეული შრომის ტრადიციული დანაწილება საქართველოს ცალკეულ მხარეებს შორის. აღებ-მიცემობა ჩვეულებრივ ბაზრობებზე ხდებოდა, რომლებიც ამა თუ იმ კუთხეში ცნობილ საეკლესიო დღესასწაულებზე იმართებოდა. იმხანად ასეთი ბაზრობები საქართველოს თითოეულ კუთხეში წელიწადში რამდენჯერმე ეწყობოდა.

საგარეო ვაჭრობის აღმავლობას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ XII ს-ის დასასრულისათვის საქართველო კონტროლს უწევდა სამხრეთ კავკასიაზე გამავალ ყველა მნიშვნელოვან სატრანზიტო გზას. ამ გზებზე მდებარეობდნენ საქართველოს ციხე-ქალაქები: ლორე, დმანისი, არტანუჯი, ახალციხე, ახალქალაქი, ქონჯანი, რუსთავი, თელავი, ანისი, ნახჭევანი, დვინი, კარი ... სატრანზიტო გზების უმნიშვნელოვანეს გზაჯვარედინს წარმოადგენდა საქართველოს დედაქალაქი თბილისი, რომელიც დაკავშირებული იყო როგორც სამხრეთ კავკასიის, ისე შავიზღვისპირეთის ქალაქებთან, აღმოსავლეთ ევროპასთან, სპარსეთთან, ინდოეთთან და შორეულ ჩინეთთან.

სამეფო ხელისუფლება ძალზე ზრუნავდა ვაჭრობის განვითარებისათვის. ის დიდ ყურადღებას აქცევდა გზებს და ხიდებს. უმნიშვნელოვანესი გზები ქვაფენილით იყო დაფარული. დღემდე მოაღწია ასეთი გზების ცალკეულმა მონაკვეთებმა, აგრეთვე X-XIII სს-ში აშენებულმა ხიდებმა ან მათმა ნანგრევებმა, მაგალითად, ხიდი სოხუმის ახლოს მდ. ბესლეთზე, „თამარის ხიდი" ზესტაფონის ახლოს მდ. ჩოლაბურზე, „კაკას ხიდი" ბაღდადის ახლოს მდ. ხანის წყალზე. ბოლო ორ ხიდთან შემორჩენილია ძველი გზის მონაკვეთები ... საინტერესოა კიცოდეთ, რომ ბესლეთის ხიდზე შემორჩენილია XI ს-ის ასომთავრულით შესრულებული წარწერის ფრაგმენტი.

**საზღვაო ვაჭრობა.** შავი ზღვა VI-XII სს-ში დახურული ზღვა იყო. ბიზანტიის ხელისუფლება ნებას არ აძლევდა არაშავიზღვისპირეთის ქვეყნების ხომალდებს ბოსფორის სრუტით ესარგებლათ და შავ ზღვაში შემოსულიყვნენ. ამიტომ შავი ზღვით საქართველოს საზღვაო ვაჭრობა მხოლოდ კონსტანტინოპოლითა და შავიზღვისპირეთის ქვეყნებით შემოისაზღვრებოდა.

X-XII სს-ში საქართველოს მთავარ საზღვაო პარტნიორს ბიზანტია წარმოადგენდა. ამ ორ ქვეყანას შორის რეგულარულად დაცურავდნენ სავაჭრო ხომალდები. ქართველი ვაჭრები ბიზანტიაში მნიშვნელოვანი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. მათ, ისევე, როგორც იტალიის ზოგიერთ ქალაქ-სახელმწიფოს – ვენეციას, გენუას, პიზას – კონსტანტინოპოლში თავისი უბანი ჰქონდათ. ქართველი ვაჭრები დადიოდნენ თესალონიკეში (დღევანდელი სალონიკა საბერძნეთში) ცნობილ ბაზრობაზე, რომელიც აქ ყოველწლიურად ოქტომბრის თვეში იმართებოდა. ამ ბაზრობისათვის მათ საქონელი ჯერ კონსტანტინოპოლში ზღვით გადაჰქონდათ, ხოლო შემდეგ სახმელეთო გზით თესალონიკეში ჩაჰქონდათ. X-XII სს-ში ბიზანტიიდან დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის მოჭიქული კერამიკა შემოჰქონდათ. საქართველოდან პირველ რიგში ბიზანტიაში გადიოდა ხილი, ცვილი, თაფლი, კანაფი. თანდათანობით საქართველოდან ბიზანტიაში დიდი რაოდენობით დაიწყეს ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმის გატანა. პირველ რიგში აღსანიშნავია სამშენებლო კერამიკა: კრამიტი, აგური, მოსაპირკეთებელი ფილები, მინის ძვირფასი ჭურჭელი, სარკმლის მინა, შალის და აბრეშუმის ქსოვილები...

X-XII სს-ში საქართველოს მჭიდრო საზღვაო ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილო შავიზღვისპირეთში,

ტამანის ნახევარკუნძულზე ქერჩის სრუტის პირას მდებარე ქალაქთან და სამთავროსთან, რომელსაც ბიზანტიელები ტამარტახს, ხოლო რუსები ტმუტარაკანს უწოდებდნენ. აქედან მოდის ამ ნახევარკუნძულისა და აქ მდებარე პატარა ქალაქის დღევანდელი სახელწოდება ტამანი. ტამანის ნაქალაქარზე არქეოლოგებმა დიდი რაოდენობით აღმოაჩინეს მინის სამაჯურები და ბეჭდები, რომლებიც საქართველოს მინის წარმოების ცენტრებშია დამზადებული. საქართველოში აღმოჩნდა ვერცხლის მონეტა, რომელიც ტმუტარაკანშია მოჭრილი. საქართველოში დამზადებული მოჭიქული კერამიკა აღმოჩნდა ყირიმშიც, ხერსონის ნაქალაქარზე (დღევანდელი სევასტოპოლის) მიდამოებში.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა მდ. დონის ქვემო წელზე მდებარე ხაზარულ ქალაქ სარკელთან, რომელსაც რუსული წყაროები ბელაია-ვეჟას ანუ „თეთრ გალავნიანს" ეძახდნენ. X-XII სს-ში საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა ბალტიისპირეთის ქვეყნებთან. ამის ერთ-ერთი მოწმობაა დავით III კურაპალატის ჩვენთვის უკვე ცნობილი მონეტები, რომლებიც აღმოჩენილია დღევანდელ ესტონეთსა და გერმანიაში. ბალტიისპირეთიდან საქართველოში ვაჭრებს მოჰქონდათ ქარვა. კიევის რუსეთთან მჭიდრო სავაჭრო ეკონომიკურ კავშირებზე მეტყველებს ის, რომ XI ს-ის კიევის რუსეთის უბრწყინვალესი არქიტექტურული ძეგლის კიევის წმინდა სოფიის ტაძრის მოზაიკის ქვები საქართველოდანაა შეტანილი და თვით მოზაიკაც ქართველი ოსტატების მიერაა შესრულებული.

**მონეტები და სამონეტო მიმოქცევა.** როგორც გახსოვთ, უძველესი ქართული მონეტა კოლხური თეთრია, რომელიც ეგრისის, იგივე კოლხეთის სამეფოში ძვ. წ. VI-IV სს-ში იჭრებოდა. ამ მონეტას ბერძნული წარწერები ჰქონდა. პირველი ქართულ წარწერიანი ვერცხლის მონეტები ახ. წ. VI ს-ის II ნახევარში ჩნდება. ისინი სასანური დრაჰმების მინაბაძებია. „დრაჰმა" ბერძნულ, შემდეგ კი სასანურ მონეტას ეწოდებოდა, რომელიც ოქროს, ვერცხლის, სპილენძის და იშვიათად ბრინჯაოსაგან იჭრებოდა. საქართველოში არაბების გაბატონების შემდეგ ასეთი მონეტების მოჭრა შეწყდა. საქართველოში ჩვენამდე მოღწეული არაბთა მიერ მოჭრილი უძველესი მონეტა 705 წ-ით თარიღდება. მოგვიანებით თბილისის არაბმა ამირებმა დაიწყეს ვერცხლის მონეტების მოჭრა. ვერცხლის მონეტებს, ოქროს მონეტა - დინარისაგან - განსხვავებით „დირჰემი" ეწოდებოდა და დაახლოებით 2,8 გრ. ვერცხლს იწონიდა.

X-XII საუკუნეებსა და XIII ს-ის დასაწყისში მახლობელ აღმოსავლეთში ძირითადად ორი ბიზანტიურ-ქრისტიანული და არაბულ-მუსლიმური ტიპის მონეტები იყო მიმოქცევაში. თავდაპირველად ასეთი მონეტები როგორც ოქროსაგან, ისე ვერცხლისა და სპილენძისაგან იჭრებოდა. მუსლიმურ ოქროს მონეტებს, როგორც ვიცით, „დინარი", ვერცხლის და სპილენძისას კი „დირჰემი" ეწოდებოდა. დირჰემის სახელწოდება ბერძნულ-სასანური „დრაჰმიდან" წარმოსდგა. ამიტომაც სპილენძის დირჰემს ქართულ წყაროებში სპარსული ტრადიციის მიხედვით, „დრამას" უწოდებდნენ.

ბიზანტიურ ოქროს მონეტებს „პერპერა" ეწოდებოდა, რაც წითელ, ელვარეს ნიშნავს (შეადარეთ პურპური). ეს სახელწოდება ოქროს ფულის აღსანიშნავად საქართველოშიც გავრცელდა.

რადგანაც მახლობელ აღმოსავლეთში მხოლოდ ეს ორი ტიპის მონეტა იყო მიმოქცევაში, ამიტომ ამ რეგიონის ყველა ხელმწიფე, საკუთარი მონეტის მოჭრის დროს იძულებული იყო ამ რეალობისთვის ანგარიში გაეწია. საქართველოს მეფეებიც მონეტის საერთაშორისო ბაზარზე შეუფერხებელი მიმოქცევისათვის, თავიანთ მონეტას ხან ბიზანტიურს, ხანაც მუსლიმურ მონეტებს ამსგავსებდნენ.

**დუკატი და ბოტინატი**

ქართულ წყაროებში ბიზანტიური ოქროს ფულის აღსანიშნავად „დუკატი" და „ბოტინატი" გვხვდება. ესაა ბიზანტიის იმპერატორების კონსტანტინე X დუკას (1059-1067), მიქაელ VII დუკას (1071-1078) და ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-1081) ხანაში მოჭრილი ოქროს ფული.

არაბთა ბატონობის შემდგომ პერიოდში პირველი ქართული მონეტები დავით III კურაპალატისა და მისი შვილობილის ბაგრატ III ხანაში მოიჭრა. ბაგრატ III-ის ვერცხლის მონეტა ამ დროს აღმოსავლეთში გავრცელებული არაბული მონეტის მინაბაძს წარმოადგენდა, რომელზედაც არაბული მუსლიმური რწმენის სიმბოლოსთან - „მუჰამადი მოციქულია ალაჰისა" - ერთად, ქართული ასომთავრულით ეწერა: „ქრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე".

საქართველოს მეფის მონეტისაგან განსხვავებით, დავით III კურაპალატის მოჭრილი ვერცხლის მონეტები ამ ხანის ბიზანტიური ტიპის მონეტებს იმეორებს. მონეტის ერთ მხარეზე მოთავსებულია ჯვარი და წარწერა: „ქრისტე შეიწყალე დავითი", მეორე მხარეზე კი წარწერილია „კურაპალატი".

XI ს-ში ბაგრატ III-ის შემდგომი საქართველოს მეფეები, გიორგი II-ის ჩათვლით და თვით დავით აღმაშენებელიც, თბილისის ალებამდე ქართულ მონეტებს ბიზანტიური მონეტების თარგზე ჭრიდნენ.

როგორც გვახსოვს, მანაზკერტის ბრძოლის შემდეგ ბიზანტიამ თითქმის მთელი მცირე აზია დაკარგა. ამავე დროს დავით აღმაშენებლის მეფობის ბოლო წლებში საქართველო თბილისისა და სამხრეთ კავკასიის სხვა უმნიშვნელოვანესი ქალაქების შემოერთებით უშუალოდ ჩაერთო მახლობელი აღმოსავლეთის ვაჭრობაში. ასეთ პირობებში დავით აღმაშენებელმა ფულადი რეფორმა ჩაატარა და ბიზანტიური ტიპის მონეტის ნაცვლად მუსლიმური ტიპის მონეტა მოჭრა. ამ დროისათვის მთელ მახლობელ აღმოსავლეთში ვერცხლის მონეტების მოჭრა მთლიანად შეწყდა, რაც მსოფლიო ბაზარზე ვერცხლის მარაგების შემცირების შედეგი იყო. ამიტომ დავით აღმაშენებელი იძულებული გახდა ვერცხლის ნაცვლად სპილენძის მონეტა მოეჭრა. ასევე ძირითადად სპილენძის მონეტები იჭრებოდა მისი მემკვიდრეების დროს ლაშა-გიორგის ჩათვლით. შემდგომ მსოფლიო ბაზარზე ვერცხლის კრიზისი დასრულდა და რუსუდანის მეფობის დროს სპილენძის მონეტასთან ერთად ვერცხლის მონეტის მოჭრაც განახლდა. სპილენძის მონეტის პარალელურად მთელი ამ ხნის მანძილზე საქართველოში ოქროს მონეტაც იჭრებოდა. ამის შესახებ ცნობა არაბმა ისტორიკოსმა ალ-ყაზვინმა შემოგვინახა: საქართველოში „არის დინარი (ოქროს მონეტა), რომელსაც პერპერას უწოდებენ. იგი სუფთა, კარგად ნაზნექილი დინარია. მასზე სირიული წარწერა და კერპთა გამოსახულებაა. ყოველი დინარი კარგი ოქროს მისხალია და მისი გაყალბება შეუძლებელია". „კერპში" არაბი ავტორი ქრისტიანულ ჯვარს გულისხმობს, „სირიულ წარწერაში" კი ქართული ასომთავრული იგულისხმება, რომელიც ქართული დამწერლობის არმცოდნე მუსლიმმა ისტორიკოსმა სირიულ დამწერლობას მიამსგავსა.

მისხალი

მისხალი, იგივე საერთაშორისო მისკალი წონის ერთეული, რომელიც 4, 65 გრამს უდრის

## § 44. სახელმწიფო წყობილება, საზოგადოებრივი ცხოვრება და ყოფა X-XIII საუკუნეების საქართველოში

**სახელმწიფო წყობილება. მეფე და ხელმწიფის კარი.** საქართველოს მეფე კანონით ქვეყნის შეუზღუდავი მმართველი იყო. თვლებოდა, რომ მეფობა მას ღვთისაგან ჰქონდა ბოძებული. ამ რწმენას ბაგრატიონთა საგვარეულოს ებრაელთა მეფის დავით წინასწარმეტყველისაგან წარმოშობის შესახებ არსებული ლეგენდაც განამტკიცებდა. ეს ლეგენდა ადრეფეოდალურ ხანაში შეიქმნა და უცილობელ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული. ბიბლიის მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელი ამავე დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი იყო.

ერთიანი საქართველოს მეფის ტიტულატურა საბოლოოდ ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ხანაში ჩამოყალიბდა. დავით IV-დან მოყოლებული საქართველოს მეფეები თავს „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფეს, შარვან-შაჰ და შაჰან-შაჰ და ყოველთა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელს" უწოდებდნენ და თავს შუიდი ტახტისა და შვიდი სამეფოს გამაერთიანებლად მიიჩნევდნენ.

დავით აღმაშენებლის შემდეგ საქართველოს სამეფო ცენტრალური მმართველობა კიდევ უფრო გართულდა. თუ თავდაპირველად ვეზირის ტიტულს მხოლოდ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ატარებდა, თამარის მეფობის დასაწყისში ვეზირები არიან ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი. თამარმა თავისი მეფობის ბოლო წლებში ათაბაგის თანამდებობა შემოიღო, რომელიც იმავდროულად ვეზირიც გახდა. რუსუდან მეფემ ვეზირის პატივში მსახურთუხუცესიც აიყვანა. ასე რომ, საბოლოოდ ცენტრალურ მმართველობაში ექვსი ვეზირი იყო, რომლებიც „სავაზიროს" ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით, „მინისტრთა საბჭოს" ქმნიდნენ. სავაზიროს სათავეში ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ედგა. ჭყონდიდლის შემდეგ რანგით სამი ვეზირი: ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და ათაბაგი მოდიოდა. მათ მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი მოსდევდნენ. ვეზირებს შორის რანგით განსხვავება სამეფო კარის მრავალრიცხოვან ცერემონიალებშიც აისახებოდა. მაგალითად, დარბაზობის დასრულების შემდეგ, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს ორი მაშხალით აცილებდნენ, მომდევნო სამ ვეზირს კი თითო-თითო მაშხალით. დანარჩენ ორ ვეზირს მაშხალით გაცილება არ ეკუთვნოდა.

თამარის მეფობის ხანიდან მეფის სათათბირო ორგანოს – დარბაზის როლი გაიზარდა. ის უფრო ხშირად იკრიბებოდა და ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობას იღებდა.

ადგილობრივ მმართველობას „საქვეყნოდ გამრიგე" მოხელეები ანუ მეფის მიერ დანიშნულ

ერისთავთერისთავები, ერისთავები, ციხისთავები, ხევისთავები, მამასახლისები ... წარმოადგენდნენ. ერისთავთერისთავებს რამდენიმე ერისთავი ემორჩილებოდა. ჩვეულებრივ, ერისთავები და ერისთავთ-ერისთავები ერთიდაიგივე საგვარეულოდან ინიშნებოდნენ. ერისთავს ისევე როგორც ერისთავთ-ერისთავს, თანამდებობის მიღების შემდეგ კათალიკოსი ან მთავარეპისკოპოსი საგანგებოდ აკურთხებდა და უსურვებდა, რომ „ქვრივთა და ნაკლულევანთა (ფიზიკური ნაკლის მქონეთ) მიმართ მოწყალება გამოეჩინა, სამართალი განაჩენი უქრთამოდ და სამართლიანად გამოეტანა და ერისთაურობის პერიოდში მისი ქვეშევრდომები მშვიდობაში და მორჩილებაში ყოფილიყვნენ".

განსაკუთრებით დიდი უფლებებით „მონაპირე" ანუ სასაზღვრო ერისთავები სარგებლობდნენ. ისინი მტერთა შემოტევისაგან საქართველოსათვის ყველაზე მოწყვლად, სამხრეთის საზღვარს იცავდნენ. მონაპირე ერისთავები მცირე სასაზღვრო კონფლიქტებს მეფის ნებართვით საკუთარი ძალებით წყვეტდნენ. ერისთავთა „მონაპირეობა" თამარ მეფემ შემოიღო, რათა საზღვრების დაცვა უფრო ეფექტური ყოფილიყო. მონაპირე ერისთავთა ინსტიტუტი სასაზღვრო ჯარების თავისებურ წინამორბედს წარმოადგენდა.

XI-XIII სს-ში **ქალაქებს** მეფის მიერ დანიშნული მოხელე განაგებდა, რომელთაც ამირთა-ამირა, ამირა ან კიდევ მოურავი ეწოდებოდა. ცნობილია თბილისის, გორის ამირთა-ამირა, ქუთაისის, დვინის, ანისის ... ამირა. ატენის მოურავი...

ქალაქის ცხოვრებაში დიდ როლს ციხისთავი ასრულებდა, რომელიც მეციხოვნეებს ხელმძღვანელობდა. მეციხოვნეები იცავდნენ ქალაქის კარიბჭეებსაც. ქალაქის საპოლიციო სამსახურს შურტა განაგებდა. ქალაქში სასწორებს, ზომა-წონას, ვაჭრობის წესებს ... ქალაქის ნაცვალი იცავდა.

**საქართველოს მეფე და დიდებულები** ციხე-დარბაზებში ცხოვრობდნენ. მეფეს ასეთი ციხე-დარბაზი ქვეყნის ყველა კუთხეში ჰქონდა, სადაც წელიწადის გარკვეულ დროს ატარებდა. დასავლეთ საქართველოში მეფეთა მთავარი ციხე-დარბაზი ქუთაისთან ახლოს გეგუთში იდგა. ამ ციხე-დარბაზს მეფე ზამთრობით სტუმრობდა. ცნობილია სამეფო სასახლე ნადარბაზევში გორთან ახლოს, ნაჭარმაგევში – ხაშურის ახლოს. მრავალრიცხოვანი სამეფო ციხე-დარბაზებიდან დღემდე მხოლოდ გეგუთის სასახლის ნანგრევებმა მოაღწია. ეს ციხე-დარბაზი XIX ს-ის 20-იან წლებში დაინგრა. ამ სასახლის საერთო ფართი 1700 კვ. მ. უდრიდა. მის ცენტრალურ ნაწილს 200 კვ. მ. ფართობის სატახტო დარბაზი წარმოადგენდა. დარბაზს მთელ მის ფართობზე გუმბათიანი გადახურვა ჰქონდა, საიდანაც სინათლეც შემოდიოდა. აქვე იყო შედარებით მცირე ზომის მუხრუქიანი ოთახი და სააბაზანო თავისი საქვაბითა და მილსადენებით. ციხე-დარბაზი აგურით და ქვით იყო აგებული და მოჭიქული კრამიტით გადახურული. განსაკუთრებით გრანდიოზული თბილისის სამეფო რეზიდენცია, ისანის ციხე-დარბაზი უნდა ყოფილიყო, რომლის კედლები სხვადასხვა საერო სცენებით იყო მოხატული.

XI-XIII სს-ში საქართველოს სამეფო კარი ასობით მცირე და დიდი მოხელისაგან შედგებოდა, რომლებიც ცენტრალური მმართველობის სხვადასხვა უწყებებში იყვნენ გაერთიანებულნი. თითოეული მოხელის უფლება-მოვალეობა მეტ-ნაკლებად ზუსტად იყო განსაზღვრული.

ყოველივე ამის შესახებ ცნობები შემოგვინახა სახელმწიფო სამართლის უნიკალურმა ძეგლმა. მას „გარიგება ხელმწიფის კარისა" ეწოდება. სამართლის ამ ძეგლმა ჩვენამდე XIII ს-ის II ნახევრის რედაქციით მოაღწია. ეს რედაქცია დასავლეთ საქართველოს მეფის დავით ნარინის კარზეა მორგებული. სამწუხაროდ „გარიგება ხელმწიფის კარისა" სრული სახით არ შემოგვრჩა.

როგორც ირკვევა, სამეფო კარზე უცხო ქვეყნის ელჩების, თუ მეფის მიერ ვეზირების მიღება, „ვაზირობის" სხდომები, სამეფო „დარბაზის" შეკრება მტკიცედ დადგენილი წესით იმართებოდა. თავისი წესი ჰქონდა მეფის სასახლეში მიღებას, განსხვავებული ცერემონიალით ხდებოდა სხვადასხვა საგვარეულო დღესასწაულების აღნიშვნაც. განსაზღვრული იყო საზეიმო მიღებაზე მეფისათვის ვის რა ძღვენი უნდა მიეტანა, აგრეთვე, თუ რა საჩუქარი უნდა გაეცა მეფეს თითოეული სტუმრისათვის. განსაკუთრებით საზეიმო ცერემონიალს მეფის წვეულება ანუ პურობა წარმოადგენდა.

ამ დროს სამეფო დარბაზის შესავალ კარებთან დიდი სამეფო დროშა აღიმართებოდა. კარებთან მწიგნობრები დგებოდნენ, რომლებიც მეფისათვის მირთმეულ ძღვენს აღნუსხავდნენ. დარბაზში თავთავის ადგილებზე სხდებოდნენ უმაღლესი სასულიერო პირები: კათალიკოსები (სრულიად საქართველოისა და აფხაზეთის), მოძღვართმოძღვარი (გელათის აკადემიის რექტორი), აგრეთვე უმაღლესი საერო თანამდებობის პირები ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ათაბაგი და ამირსპასალარი. ეპისკოპოსები და სხვა საერო მოხელეები იდგნენ და ისე ელოდებოდნენ პურობის დაწყებას. სამეფო წვეულებას მანდატურთუხუცესი და მისი მოადგილეები ამირეჯიბი და გამგეთუხუცესი უძღვებოდნენ. მეფის ბრძანებით, მანდატურთუხუცესი თავის არგანს (ოქროს კვერთხს) ამირეჯიბს გადასცემდა, თვითონ მეფის ტახტის წინ დადგებოდა და ხმამაღლა გამოაცხადებდა: „პური მოიღე",

რაც პურობის დაწყებას ნიშნავდა. შემდეგ ის ამირეჯიბს კვერთხს გამოართმევდა და მეფისათვის კერძების შემოტანის ცერემონიალს წინ გამოუძღვებოდა. ამასობაში ამირეჯიბი და განმგეთუხუცესი დარბაზიდან გადიოდნენ, საპატიო სტუმრებისათვის საჭმლის შემოტანის ცერემონიალის გასაძღოლად. მათი გასვლისთანავე აქამდე დარბაზში მსხდომი საპატიო სტუმრები ფეხზე დგებოდნენ. მცირე ხნის შემდეგ მეფე მათ სუფრასთან მოიწვევდა, მაგრამ ისინი არ სხდებოდნენ, სანამ მეფის წინ სამეფო ტაბლას (მაგიდას) და ტაბაკს (ლანგარს) არ დადგამდნენ. სამეფო ლანგარი ოქროსი იყო, სახურავის შუაში თვალმარგალიტით მოჭედილი სამარილეთი, რომლის ზემოთ ძვირფასი თვლებით მოჭედილტარიანი ბროლის კოვზი იდო. ამის შემდეგ მანდატურთუხუცესი სუფრასთან ჯდებოდა, ხოლო მეფეს უშუალოდ ჯერ მოლარეთუხუცესი, შემდეგ კი მსახურთუხუცესი ემსახურებოდნენ. კათალიკოსებს, მოძღვართ-მოძღვარს და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს ცალკე ტაბლას და ზედ ტაბაკს ამირეჯიბი უდგამდა. ისინი კი ფეხზე წამომდგარნი ამირეჯიბს ესალმებოდნენ. ათაბაგს, ამირსპასალარს და მანდატურთუხუცესს ტაბლას და ტაბაკს ერთ-ერთი ეჯიბი უდგამდა. „ოთხ დიდ მონაზონს" (ასე უწოდებდნენ ორ კათალიკოსს, მოძღვართ-მოძღვარს და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს) და ზემოთ ჩამოთვლილ სამ პირველ ვეზირს სამ-სამ ჯამს უდგამდნენ. ამის შემდეგ ამირეჯიბი და განმგეთუხუცესი სუფრას მიუსხდებოდნენ და დანარჩენ ვეზირებს - მეჭურჭლეთუხუცესს და მსახურთუხუცესს - უკვე საგანგებო მოხელე - მეჯამე ორ-ორ ჯამს დაუდგამდა...

სამეფო ტახტთან ჭაშნაგირი დგებოდა. მას ხელსახოციან ხელში ჩამჩა ეჭირა. ამ ჩამჩით ის მეფისათვის მირთმეულ ღვინოსა და კერძს ხელის გულზე ისხამდა და პირველი სინჯავდა.

თავიანთ ციხე-დარბაზებში დიდ სამფლობელოებსა და ფეოდებში ცხოვრობდნენ ერისთავთერისთავები, ერისთავები, დიდებულები და აზნაურები. მათი მამულები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მდებარეობდა. დიდებულების ყველაზე მდიდარი ნაწილი რამდენიმე ციხე-სიმაგრეს, ასობით სოფელსა და ათასობით ყმა-გლეხს ფლობდა.

**საქართველოს ლაშქარი.** განვითარებული ფეოდალური ხანის საქართველოს საგარეო წარმატება მეტწილად სამხედრო საქმის შესანიშნავმა ორგანიზაციამ განაპირობა. ფეოდალური საზოგადოება, როგორც უკვე ვიცით, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო სამსახურის პრინციპზე აგებული საზოგადოებაა. შესაბამისად, მისი შინაგანი აღნაგობა სამხედრო საჭიროებებს ეფუძნება. ლაშქარი მუდმივ წვრთნასა და მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო, ამიტომ, როგორც ყველანაირი სამსახური ფეოდალურ ქვეყანაში, მოლაშქრეობაც საზოგადოების ერთი ნაწილის - აზნაურებისა და მსახურების მემკვიდრეობით მოვალეობას წარმოადგენდა. მსახური, გლეხის მსგავსად, დამოკიდებული მიწათმოქმედი იყო, მაგრამ ბატონის წინაშე თავის ბეგარა-ვალდებულებას სამხედრო სამსახურით იხდიდა: მსახურის თითოეულ კომლს უნდა უზრუნველეყო პატრონის სამსახურში მთელი აღკაზმულობითა და საჭირო სურსათ-სანოვაგით ერთი ცხენოსანი მოლაშქრის გამოყვანა. მსახური, თანამედროვე სამხედრო ტერმინოლოგიით, პროფესიონალი ჯარისკაცი იყო. ქონებრივი შეძლებისდა მიხედვით მსახური შეიძლება ყოფილიყო მსუბუქად ან მძიმედ შეიარაღებული - ქოდლისან-აბჯრიანი (ჯავშანში ჩამჯდარი და შეჯავშნულ ცხენზე ამხედრებული) და კარვისნიც კი (კარვის მქონე). კარვის მქონე მსახურები უკვე რანგით ფაქტობრივად აზნაურს უტოლდებოდნენ. აზნაურთა წოდება წარჩინებულ პროფესიონალ მოლაშქრეთა ანუ ოფიცერთა წოდება იყო. ისინი, უკვე თავიანთი წარჩინებულობის მიხედვით, მსახურთა (ჯარისკაცთა) შედარებით მცირერიცხოვან ან მრავალრიცხოვან შენაერთებს ხელმძღვანელობდნენ. აზნაურის განსაკუთრებული პრივილეგია ბრძოლის ველზე ცალკე კარვის დადგმა ანუ „კარვიანობა" იყო. დიდებული აზნაურები ანუ უბრალოდ დიდებულები უმაღლეს მხედართმთავართა - გენერალთა წოდებას შეადგენდნენ. ისინი ჩვეულებრივ ქვეყნის სხვადასხვა მხარეებს განაგებდნენ ანუ ერისთავობდნენ და ერისთავთერისთავობდნენ და, შესაბამისად, ბრძოლის ველზე მთელი მათდამი დაქვემდებარებული ვრცელი ქვეყნიდან გამოყვანილ ლაშქარს ედგნენ სათავეში. საერისთავო საციხისთავოებისაგან შედგებოდა. საციხისთავოს მეფის მიერ დანიშნული ციხისთავი განაგებდა. ის საციხისთავოს ლაშქრით ერისთავის დროშის ქვეშ დგებოდა. საქართველოს მთელ ლაშქარს ამირსპასალარი ხელმძღვანელობდა. საქართველოს მეფე ქვეყნის სამხედრო ძალების უზენაესი მხედართმთავარი იყო. ლაშქარი ორი მთავარი ნაწილისაგან შედგებოდა: ძირითადი ლაშქარი და მეწინავე ლაშქარი, რომელიც იმავდროულად წინ გაწეული ცენტრის როლს ასრულებდა. მეწინავე ლაშქარს თავისი სარდალი ჰყავდა, რომელიც ამირსპასალარს ექვემდებარებოდა. თავდაპირველად ბრძოლას მეწინავე ლაშქარი იწყებდა და შემდგომ შესაფერის მომენტში ძირითადი ლაშქარი ებმებოდა. ისეც ხდებოდა, რომ ბრძოლის ბედს მეწინავე ლაშქარი გადაწყვეტდა და ძირითადი ლაშქრის ჩაბმა აღარ იყო საჭირო. შესაბამისად, გამარჯვების პატივიც და ნადავლის მნიშვნელოვანი ნაწილიც უფრო მას ხვდებოდა. ამიტომ მეწინავე ლაშქარში ყოფნა განსაკუთრებულ პატივად და პრივილეგიად ითვლებოდა. მეწინავე ლაშქარს ზემო ქართლიდან ანუ ყოფილი ქართველთა სამეფოდან

გამოყვანილი ლაშქარი შეადგენდა. XII-XIII სს-ის მიჯნაზე საქართველოს მეწინავე ლაშქარს გამორჩეული მხედართმთავრები შალვა და ივანე ახალციხელები სარდლობდნენ. სამწუხაროდ, ისინი, როგორც გვახსოვს, ჯალალ ად-დინთან ბრძოლას შეეწირნენ. საქართველოს ლაშქარი თითქმის მთლიანად ცხენოსნებისაგან შედგებოდა. ძირითადი ლაშქარი ბრძოლის დროს ორ ნაწილად იყოფოდა: მარჯვენა და მარცხენა ფლანგებად. ერთ ფლანგს მთლიანად დასავლეთ საქართველოს, ხოლო მეორე ფლანგს შიდა და ქვემო ქართლის და ჰერეთ-კახეთის ლაშქარი შეადგენდა. ბრძოლაში მეფის მონაწილეობის დროს ერთ ფლანგს უშუალოდ მეფე ედგა სათავეში, ხოლო მეორე ფლანგს ამირსპასალარი ან კიდევ უფლისწული მიუძღოდა.

ქართული ლაშქარი მკაცრი დისციპლინით გამოირჩეოდა. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა ლაშქარში აკრძალა: „ძაღლმაკირნე ხიმღერანა, სახიობანი და განცხრომანი (თავაშვებულობა და ღრეობა) და მის დროს ყოველი უწესოება მიხმობილ იყო ლაშქართა შინა მისთა". ქართული ლაშქარი მთელ მახლობელ აღმოსავლეთში განთქმული იყო თავისი მაღალი საბრძოლო თვისებებით: ამტანობით, შეუპოვრობით, სიმამაცითა და თავზარდამსხმელი სისწრაფით. აღსანიშნავია, რომ ის იმხანად საუკეთესო შეიარაღებითაც გამოირჩეოდა. ეს საჭურველ-იარაღი საქართველოს სახელოსნოებში მზადდებოდა. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ საქართველოს ლაშქარს სპეციალური საველე კარვის ეკლესიებიც კი ჰქონდა.

**გლეხობა.** განვითარებული ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, ძლიერი და მდიდარი გლეხობა ქმნიდა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა. არქეოლოგებმა საქართველოს სხვადასხვა მხარეებში გათხარეს და შეისწავლეს X-XIII სს-ის ნასოფლარები. როგორც გაირკვა, საგლეხო მამული, იგივე „საგლეხო ფუძე" რთულ სამეურნეო კომპლექსს წარმოადგენდა თავისი სახლკარითა და კარმიდამოთი, სახნავ-სათესით, საძოვრით, ბაღ-ვენახით, ტყითა და სასაფლაოთი. გლეხის სახლკარი 5-6 შენობისაგან შედგებოდა. მათ შორის იყო საცხოვრებელი სახლი ანუ დარბაზი ბანიანი გადახურვით და სხვა სამეურნეო დანიშნულების შენობები: გომურები, საბძლები, მარნები, თონეები, პირუტყვის სადგომი ... დასავლეთ საქართველოში გლეხობა ძირითადად შენობებს ხისგან აგებდა. ამ პერიოდში გლეხობა უკვე დიდი ხნის დამკვიდრებული იყო, ანუ მიწაზე იყო მიმაგრებული. გაყიდვის შემთხვევაში საქართველოში გლეხები, ისევე, როგორც დასავლეთ ევროპაში, მთელ საგლეხო ფუძესთან ანუ მთელ მის სამეურნეო კომპლექსთან ერთად იყიდებოდა. მიწიდან მის მოცილებას და ცალკე გაყიდვას კანონი კრძალავდა. გლეხის გაქცევის შემთხვევაში ბატონს ოცდაათი წლის განმავლობაში გაქცეული ყმისა და მისი ოჯახის წევრების მოძებნისა და უკან დაბრუნების უფლება ჰქონდა. გლეხთა ოჯახები თავიანთი შეძლებით ერთმანეთისაგან უკვე საგრძნობლად განსხვავდებოდნენ. დიდი მიწიანი გლეხების გვერდით მცირე მიწიანებიც იყვნენ. ერთ საგლეხო ფუძეზე ზოგჯერ ორი ან რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია ის, რომ, არქეოლოგთა მოწმობით, ასეთი შედარებით ღარიბი გლეხებიც კი საკმაოდ კარგად ცხოვრობდნენ. მათ ყოველდღიურ საჭმელად არც ხორცი და არც ღვინო არ აკლდათ. უფრო შეძლებული გლეხები სახლში ჩვეულებრივ მოჭიქული კერამიკის თუ ფაიანსის საკმაოდ ძვირადღირებულ ჭურჭელსაც კი ხმარობდნენ. სამკაულებს როგორც ქალაქის, ისე სოფლის უბრალო მოსახლეობაც ატარებდა. ფულიც არა მარტო ქალაქელებს, სოფლის გლეხობასაც ჰქონდა, რაზედაც იმ ხანის ნასოფლარებში დიდი რაოდენობით აღმოჩენილი სპილენძის მონეტები მეტყველებს. საზოგადოებაში ფულის მნიშვნელობისა და საჭიროების ასეთი ზრდის შედეგად სახელმწიფომ, სასულიერო და საერო ფეოდალებმა გლეხებს პროდუქტებით გადასახდელი ბეგარის ერთი ნაწილი ფულადი გადასახადით შეუცვალა. ამიტომაც ადრეფეოდალური ხანისაგან განსხვავებით, გლეხობა თავისი სამეფო და საბატონო გადასახადის მნიშვნელოვან ნაწილს უკვე ფულით იხდიდა. ფულადი გადასახადების გასასტუმრებლად გლეხები იძულებულნი იყვნენ თავიანთი მოსავალი ბაზარში გაეყიდათ, რაც ხელს უწყობდა ქვეყანაში ფულის მიმოქცევის შემდეგ ზრდას.

ფულის მიმოქცევის ზრდამ **ვაჭართა ფენა** გაამდიდრა და გააძლიერა. ფეოდალები, რომლებიც იმავდროულად ქვეყნის სამხედრო ზედაფენას შეადგენდნენ, ვაჭრებს, როგორც საზოგადოების არასამხედრო ნაწილს, ზემოდან უყურებდნენ, მხდალებს და ჯაბანებს უწოდებდნენ. მიუხედავად ამისა, ფეოდალური არისტოკრატია დიდ სავაჭრო ოპერაციებში მონაწილეობას სულაც არ თაკილობდა. ამის კარგი მაგალითია XIII ს-ის II ნახევრის დიდი ფეოდალი კახა თორელი. 1258 წ. მონღოლებმა ბაღდადი აიღეს და აურაცხელი ძვირფასეულობა ხელთ იგდეს. ამან ერთბაშად სპარსეთში ოქროულობის და თვალმარგალიტის ფასი ძალზე დასცა. კახა თორელი ამ დროს მეფემ ადარბადაგანში ანუ ჩრდილოეთ სპარსეთში მონღოლებთან ელჩად გააგზავნა. საქართველოში იცოდნენ, რომ სპარსეთში იმჟამად „თვალის, მარგალიტის და ზარქაშის (ოქრო-ვერცხლი)" იაფად ყიდვა შეიძლებოდა, ამიტომ კახა

თორელმა გადაწყვიტა მეფის დავალებით ეხარგებლა და ხვარასთან ელჩობა სარფიანი ვაჭრობისთვისაც გამოეყენებინა. მან თავარიგი წინასწარ დაიქირა, თბილისში ორტაღისაგან „ლარი და თეთრი" კრედიტში აიღო. ქართველმა დიდებულმა ვალში აღებული ფულით ხვარაზმში ელჩობის დროს დიდძალი ძვირფასეულობა შეიძინა, რომელიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბევრად უფრო ძვირად გაყიდა. მოგებული თანხით მან ორტაღის ვალიც გაისტუმრა და დიდი ხოფელი ხოვლე იქ მოსახლე მრავალრიცხოვანი სავლეხო კომლებით, მათი სახნავ-სათესებითა და ტყე-სათიბებით შეიძინა.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, XIII ს-ის შუა წლებში და, სავარაუდოა, უკვე XII ს-ის დასასრულიდან საქართველოში „ორტაღები" - ბანკების წინამორბედი საკრედიტო ორგანიზაციებიც მოქმედებდა.

[illegible]

„ორტაღი" თურქული სიტყვაა და მეგობარს, კომპანიონს ნიშნავს. ამგვარად „ორტაღი" სავაჭრო-სავახშო გაერთიანებას წარმოადგენდა.

ვაჭრები და განსაკუთრებით დიდვაჭრები ქვეყნის ცხოვრებაში თანდათანობით სულ უფრო დიდ როლს თამაშობდნენ. ისინი მეფის კარზეც კი მიღებულები იყვნენ. ამის კარგი მაგალითია თბილისელი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი, რომელსაც სამეფო კარმა ისეთი მნიშვნელოვანი და საპატიო მოვალეობა დააკისრა, როგორიც ყივჩაყეთიდან თამარის საქმროდ გამზადებული იური ბოგოლუბსკის (გიორგი რუსის) ჩამოყვანა იყო.

წელიწადში ერთხელ დიდვაჭრები დიდი ძღვენით სამეფო კარს ეწვეოდნენ, სადაც მეფე მათ წვევლებას უმართავდა. დიდვაჭრების მეუღლეები კი თავიანთი ძღვენით იმავდროულად დედოფალის სტუმრები იყვნენ. თავის მხრივ მეფე და დედოფალი გართობისა და პურობის შემდეგ მათ ასევე უხვად ასაჩუქრებდნენ. სამეფო კარის დიდვაჭრებთან ურთიერთობას მათივე წრიდან დანიშნული ვაჭართუხუცესი აწესრიგებდა. დედაქალაქში მოსული უცხო ვაჭრები დიდი ძღვენით პირველად მას ეახლებოდნენ და თავიანთ საქონელს აჩვენებდნენ. ვაჭართუხუცესი სამეფო კარისათვის საქონელს თვითონ გადაარჩევდა და მასში შესაბამის ფასს იხდიდა. ამის შემდეგ ის უცხოელ ვაჭრებს საქონლის გაყიდვის ნებას აძლევდა.

ქალაქის ცხოვრებას თავის ულფერს სწორედ ვაჭარ-ხელოსნები აძლევდნენ. **ხელოსნები,** ისევე როგორც სხვაგან, შუა საუკუნეებში, ხელოსანთა კავშირებში, ორგანიზაციებში იყვნენ გაერთიანებულნი. ეს გაერთიანება მათი ხელობის ნიშნით ხდებოდა. მაგალითად, მეჩამლეებს თავისი გაერთიანება ჰქონდათ, მეჭურჭლეებს თავისი დ. ა. შ. თავ-თავიანთი გაერთიანებები ჰქონდათ წვრილ, საშუალო და დიდვაჭრებს. თავიანთი გაერთიანებები ჰქონდათ აგრეთვე სხვადასხვა პროფესიის ადამიანებსაც, მაგალითად ექიმებს, მოცეკვავეებს, წყლის მზიდავებს ... თავდაპირველად ასეთ გაერთიანებებს სხვადასხვა სახელი ეწოდებოდა, მოგვიანებით მათ სახელად „ამქარი" დამკვიდრდა. თითოეულ ასეთ პროფესიულ გაერთიანებას თავისი „თავი" ანუ მეთაური ჰყავდა, რომელიც აწესრიგებდა მის ურთიერთობას ხელმწიფის კართან და საერთოდ სახელმწიფო მოხელეებთან, იცავდა თავის წევრთა უფლებებს. ამ პროფესიულ გაერთიანებებს თავისი ცხოვრების წესი, საერთო, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი დღესასწაულები .... ჰქონდათ.

ქალაქების განვითარებასთან ერთად თანდათანობით ფეოდალური საზოგადოებისათვის მანამდე უცხო, ახალი საზოგადოებრივი ფენა - **მოქალაქე** - ყალიბდებოდა. ეს ფენა ვაჭარ-ხელოსნებისაგან შედგებოდა და მას, როგორც გლეხობისაგან, ისე ფეოდალებისაგან სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესი ჰქონდა.

ვაჭრობა, განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობა, რისკის მიუხედავად, დიდ მოგებას იძლეოდა. ისე რომ, უმოკლეს ხანში ვაჭარი შეიძლებოდა უდიდესი ქონების პატრონი გამხდარიყო. ვაჭრებიც საფრთხეს არ ერიდებოდნენ და შორეულ ქვეყნებში მოგზაურობდნენ.

**მოგზაურები.** XII-XIII სს-ის საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამყაროს თავისებურ შემაერთებელ ხიდს წარმოადგენდა. ეს ქვეყანა თავს მთელით სახელმწიფოდ თვლიდა და მისი საზოგადოების ინტერესიც მთელ იმდროინდელ ცივილიზებულ მსოფლიოს მოიცავდა. ვაჭრების გარდა, შორეულ მოგზაურობებში საზოგადოების სულ სხვადასხვა ფენები იყვნენ ჩართულნი. იმხანად ქართველები, შორეული ქვეყნების უკეთ გაცნობის მიზნით, ბევრს მოგზაურობდნენ. ჩვენს წინაპრებს საკმაოდ ზუსტი წარმოდგენა ჰქონდათ მახლობელ თუ შორეულ, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნებზე. ამას კარგად მოწმობს შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი", სადაც მოქმედება ცენტრალურ აზიაში, აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში ვითარდება. ქართველთა შორეული მოგზაურობის კარგი მოწმობაა ჩახრუხაძის „თამარიანი", რომელიც ავტორმა დაახლოებით 1205 წ. დაასრულა. ამ პოემაში თამარის ქებასთან ერთად ლექსის ფორმით მოთხრობილია ავტორის მოგზაურობა აღმოსავლეთსა და დასავლეთში. პოემის მიხედვით, ჩახრუხაძემ იმოგზაურა ხვარაზმში,

ინდოეთსა და ჩინეთში. ჩინეთიდან ის დასავლეთისაკენ გაემართა. გაიარა ციმბირის, ყაზახეთის, ვოლგისპირეთის ველები და მდ. დონის ქვემო წელიდან ჩრდილო-დასავლეთით კიევისაკენ გადაუხვია. ძველი რუსეთის სახელმწიფოს დედაქალაქიდან ჩვენი პოეტი მდ. დნეპრით შავი ზღვისაკენ დაეშვა, შემდეგ კი ბიზანტიის დედაქალაქს კონსტანტინოპოლს ეწვია. აქედან პოეტი-მოგზაური ზღვით პირინეის ნახევარკუნძულზე მდებარე გრენადის საამიროს ესტუმრა. შემდეგ ჩრდილოეთ აფრიკის გავლით ეგვიპტეში ჩავიდა. ეგვიპტიდან ის იემენში, იქიდან კი – მექაში გადავიდა. საფიქრებელია, რომ ჩახრუხაძე პირველი ქრისტიანი იყო, რომელმაც მუსლიმთა ამ უწმინდესი ქალაქის ნახვა მოახერხა, ვინაიდან იმჟამად და მრავალი საუკუნის შემდგომაც, ქრისტიანისათვის მექაში შესვლა სასტიკად აკრძალული იყო. მექადან ჩახრუხაძე ბაღდადში ჩავიდა, საიდანაც აღმოსავლური საქონლით დატვირთულ დიდ სავაჭრო ქარავანს ბარდავის გავლით სამშობლოში შემოჰყვა.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ჩახრუხაძის „თამარიანში" მსოფლიო ლიტერატურაში პირველად აღწერილია სახმელეთო გზა ჩინეთიდან შავ ზღვამდე. დასავლეთ ევროპულ მწერლობაში ასეთი აღწერილობა მხოლოდ XIII ს-ის II ნახევრიდან მოგვეპოვება.

ქვეყნის საერო ცხოვრებას, სხვადასხვა წოდებებს შორის ურთიერთობას **საეკლესიო და საერო სამართალი** აწესრიგებდა. საეკლესიო სამართალი „მცირე სჯულისკანონს" და „დიდ სჯულისკანონს" ემყარებოდა. „მცირე სჯულისკანონი" მსოფლიოს ქრისტიანული სამართლის ძეგლების საფუძველზე X ს-ის დასასრულში დიდმა საეკლესიო მოღვაწემ, ეფთვიმე მთაწმინდელმა შეადგინა. „დიდი სჯულისკანონი" ქრისტიანული სამართლის სრული კრებულია, რომელიც XI ს-ის II ნახევარში ბერძნულიდან თარგმნა მეორე დიდმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ არსენ იყალთოელმა. ასე რომ, XI ს-ის ბოლოსათვის საქართველოს ეკლესიას მშობლიურ ენაზე ქრისტიანული სამართლის სრული კრებული გააჩნდა.

**ქართული საერო სამართლის** უძველეს ძეგლად „ბაგრატ კურაპალატის სამართალი" ითვლება, რომელიც X-XI სს-ში უნდა იყოს შედგენილი. სამწუხაროდ, ამ სამართლის ძეგლმა თავდაპირველი სახით ვერ მოაღწია. ის, როგორც დამატება, XIII-XIV სს-ის ბექა-აღბუღას სამართალში შევიდა.

„სამართლის წიგნები" სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონთა კრებულს წარმოადგენენ და საკუთრივ საქმის გარჩევა-განხილვის შესახებ ძალზე მწირ ცნობებს გვაწვდიან. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის მიერ გაცემული ე. წ. „სიგელი ოპიზართა და მიჯნაძორელთა სასამართლო დავის გამო", რომელიც კარგად აჩვენებს, თუ როგორ ხდებოდა სამოქალაქო საქმეების გარჩევა.

სიგელში აღწერილ სასამართლო პროცესს თუ დღევანდელ სამოქალაქო საქმეებზე გამართულ სასამართლო პროცესებს შევუდარებთ, დიდ განსხვავებას ვერ აღმოვაჩენთ. ერთი გარემოების გარდა. მხარეებს არა ჰყავთ საგანგებოდ გამოყოფილი დამცველები ანუ ადვოკატები. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც ადვოკატთა ინსტიტუტი ევროპაში დაახლოებით ორი, ორნახევარი საუკუნის შემდეგ შეიქმნა.

## სამოქალაქო საქმის განხილვა სასამართლოში ბაგრატ IV-ის „ოპიზართა და მიჯნაძორელთა" სიგელის მიხედვით

ოპიზა და მიჯნაძორი კლარჯეთის მონასტრები იყო. მათ დავა ჰქონდათ მიწაზე და ტყეზე. ეს დავა ადვილად ვერ გადაწყდა. მომჩივანმა მხარეებმა საქართველოს მეფეს მიმართეს. ბაგრატ IV ამ დავის გადასაწყვეტად სამეფო დარბაზი მოიწვია, რომელიც უმაღლესი სასამართლოს ფუნქციასაც ასრულებდა. დარბაზს „მღვდელმთავარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და ყოველნი ზეგნით ზემონი და ქვემონი (იგულისხმება დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო) [illegible]" [illegible]. ბაგრატ მეფემ ორივე მხარე თავის წინაშე დაიბარა, მათ მიერ წარმოდგენილ საბუთებს გაეცნო და ორივე მხარის არგუმენტაციას მოუსმინა. აღმოჩნდა, რომ თავისი სამართლის დასამტკიცებლად მიჯნაძორელებს ოთხი სიგელი გააჩნდათ. ამათგან ერთი გურგენ ერისთავთ-ერისთავის (X ს-ის I მეოთხედი) გაცემული იყო, დანარჩენები კი გურგენ მეფეთ-მეფის, მის შვილის ბაგრატ III-ს და ბაგრატ IV-ის მამის გიორგი I-ის კუთვნილება. ოპიზრებს მხოლოდ ერთი, აშოტ ბაგრატიონის ვაჟის გუარამ მამფლის (IX ს-ის II ნახევარი) სიგელი წარმოადგინეს. სამაგიეროდ ეს სიგელი ყველაზე ძველი იყო. საქმეს ართულებდა ის, რომ ოპიზართათვის გუარამ მამფლის მიერ ტერიტორიის უფრო ადრე ბოძების ფაქტი, როგორც ჩანს, არ იცოდნენ თავის დროზე არც გურგენ ერისთავთ-ერისთავმა და არც მისმა მემკვიდრე მეფეებმა, რომლებმაც ეს ნასოფლარი მამულად თავისი სიგელებით მიჯნაძორელებს დაუმტკიცეს და განუახლეს. ამიტომ მიჯნაძორელების მიერ წარმოდგენილ სიგელებში ის პირველი ბოძება არ იყო გათვალისწინებული. ბაგრატ IV და სამეფო დარბაზი რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ: ოპიზართა სიგელი უფრო ძველი იყო, სამაგიეროდ მიჯნაძორელებს „სიგელნი" სამი მეფე და ერთი ერისთავთ-ერისთავი უმტკიცებდა. ასეთ ვითარებაში სამეფო ტრიბუნალმა ბაგრატ IV „გარდაწყვიტა: მეფეთა სიგელნი რომ არ [illegible]". მიჯნაძორელებს დაუტოვა. ბაგრატმა სამართლიანობა რომ არ დაერღვია, ოპიზრებს სანაცვლოდ სამეფო მამულიდან სოფელი [illegible] უბოძა.

## § 45. საქართველოს კულტურა X-XIII საუკუნეებში

X ს-ში ქართველს ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული სიამაყის გრძნობა კიდევ უფრო გაუძლიერდა. მან სრულად გააზრა თავისი ეროვნული თვითმყოფადობა. მისთვის ძვირფასი გახდა არა მხოლოდ მისი მშობლიური კუთხე, არამედ მთელი ვრცელი ქვეყანა – საქართველო. აქ ჯერ კიდევ მრავალმთავრობა იყო, მაგრამ თითოეული სამეფო თუ სამთავრო უკვე ერთიანი ქართველთა სამშობლო-ქვეყნის ნაწილად აღიქმებოდა. ამიტომაც ამბობს ასე ამაყად X ს-ის დიდი ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე: „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო „კჳრიელეისონი" ბერძნულად ითქმის, რომელი არს ქართულად „უფალო წყალობა ყავ", გინა „უფალო შეგჳწყალე".

იოანე ზოსიმე ქართული ენის შესხმა

> „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა,
> საწამებლად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამის ენითა...
> და ესე ენაჲ მშუენიერი და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა,
> მოყვასი დღესა მეორედ მოსლვასა უფლისასა".

ბერძნულ სამყაროსთან შეჯიბრის გრძნობა, რომელიც ჯერ კიდევ VIII ს-ის მიწურულში იოანე საბანისძის თხზულებაში ჩანს, ახლა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოვლინდა. ქართველებმა დაიწყეს ქრისტიანული სამყაროს წინაშე ბერძნებთან შედარებით არა ნაკლები დამსახურებისა და ქართული ენის განსაკუთრებული დანიშნულების დასაბუთება. სწორედ X საუკუნეში დაიწერა გამოჩენილი ქართველი ჰიმნოგრაფის იოანე-ზოსიმეს შესანიშნავი ქმნილება: „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ", რომელშიც პოეტი ქართულ ენას უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებს.

საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანებამ, ბიზანტიასთან დამოუკიდებლობისათვის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლის წარმატებით დასრულებამ, ქართველთა ეროვნული თვითშეგნება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა. შეიძლება ითქვას, რომ ერთიანი ქართული ფეოდალური ერის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი, რომელიც VII-IX სს-ში განსაკუთრებით ძლიერად წარიმართა, საბოლოოდ დასრულდა. ამან ქართული კულტურის არნახულ აყვავებას დაუდო სათავე.

X-XIII სს-ში ქართულ საზოგადოებასთან ერთად ქართულმა ფეოდალურმა კულტურამაც თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია. ამ დროს ქართულ კულტურასა და ხელოვნებაში შეიმჩნევა ისეთი საწყისები და ტენდენციები, რომლებიც დასავლეთ ევროპაში მოგვიანებით XIII-XIV სს-ში ჩაისახა და ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ახალი, „რენესანსის" ანუ „აღორძინების" სახელით ცნობილი ეპოქა მოგვცა. სიტყვა „რენესანსი" ფრანგულად „აღორძინებას" ნიშნავს. ეს ხანა დასავლეთ ევროპულ კულტურაში, უპირველეს ყოვლისა, ბერძნულ-რომაული, იგივე ანტიკური კულტურული ტრადიციების აღორძინებით აღინიშნა. „რენესანსი" განვითარებული ფეოდალური ხანის საზოგადოების აქტიური ცხოვრების იდეალებიდან განთავისუფლებასა და ამქვეყნიური ცხოვრებისაკენ მობრუნებაში გამოიხატა. „აღორძინების" ხანის კულტურაში ყურადღების ცენტრში, შუა საუკუნეებში პირველად, ადამიანი, ადამიანთა ცხოვრება და ადამიანური იდეალები ექცევა. ერთი სიტყვით, ესაა ტკბობა ღვთის მიერ ბოძებული ამქვეყნიური ცხოვრების მშვენიერებით. ყოველივე ეს ქართულ კულტურაში სწორედ X-XIII სს-ში ისახება.

### 1. ქართული ხელოვნება X-XIII სს-ში.

ხელოვნებაში ახალმა ტენდენციებმა ასახვა, უპირველეს ყოვლისა, **ხუროთმოძღვრებაში** ჰპოვა. საეკლესიო არქიტექტურაში წამყვან ადგილს იკავებს მაღალყელიანი, გუმბათოვანი ტაძრები, რომლებიც თავისი სიგრძივი ღერძითა და მხრებით სივრცეში ჯვრის ფორმას ქმნიან. ტაძრის გუმბათი და ყელი კედლებს კი აღარ ეყრდნობა, არამედ ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე აღმართულ ოთხ სვეტს, რითაც ხუროთმოძღვარი შიდა სივრცეს განუზომლად ზრდის. სიგრძივი ღერძის გაგრძელებით კიდევ მეორდება სვეტების რამდენიმე წყება, რაც შენობას აგრძელებს და გრანდიოზულობას მატებს. ეკლესიების ფასადი ოთხივე მხრიდან ძალზე შემკულია ქვაზე ნაკვეთი ჩუქურთმებით, რომელთა ორნამენტი ჩვეულებრივ მცენარეულია. კედლები მორთულია აგრეთვე ადამიანების, ცხოველებისა და ფრინველების უხვი გამოსახულებებით – ბარელიეფებით. ამ ხანის ტაძრებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია გარე სამი კედლის (ჯვრის ტოტების) ფასადის ხუთთაღიანი და ორნიშიანი მორთულობა. ტაძრებს შიგნიდან მდიდრულად აჭრელებენ ფერწერული თუ მოზაიკური მხატვრობით. მათი სახურავი კრამიტით ან ქვის ფილებით იყო გადახურული. ტაძრების კედლები გარედან და

შიგნიდან მოპირკეთებული იყო კარგად დამუშავებული ქვის ფილებით. ეკლესიის მოპირკეთებისას უხვად იყენებდნენ სხვადასხვა ფერის ტუფს ან სხვა ფერად სამშენებლო ქვას.

ხელოვნებათმცოდნეები ქართული ხუროთმოძღვრების ამ სამსაუკუნოვან პერიოდს, ანუ ხანას X ს-ის II ნახევრიდან XIII საუკუნის II ნახევრამდე **ქართული ხუროთმოძღვრების ოქროს ხანას უწოდებენ.**

X ს-ის II ნახევრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია ჯავახეთში ახალქალაქის მახლობლად აღმართული კუმურდოს ტაძარი, რომლის მშენებლობა 964 წ. ლეონ III აფხაზთა მეფის დროს დაიწყო. თვით ლეონ III და მისი და, ბაგრატ III-ის დედა გურანდუხტი ტაძრის შიგნით ფრესკებზე არიან გამოხატული. ტაძარი ვარდისფერი პერანგითაა შემკული. კუმურდოს ტაძარში ერთგვარად შერწყმულია ძველი და ახალი დროის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, თუმცა გარკვეულად ის უკვე ახალი ხანის ძეგლია. ამავე ხანაშია აშენებული განვითარებული ფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმშვენიერესი ძეგლი, ოშკის ტაძარი. ოშკის ტაძარი ტაოში მდ. თორთუმის წყლის ვიწრო ხეობაში მდებარეობს. ის აგებულია დავით III კურაპალატისა და მისი ძმის ბაგრატ ერისთავთერისთავის მიერ. ორნამენტებისა და ბარელიეფების სიმდიდრით ოშკის ტაძარს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ქართულ არქიტექტურაში.

XI ს-ის პირველ ნახევარში აშენდა ქართული არქიტექტურის ისეთი უბრწყინვალესი ძეგლები, როგორიცაა ქუთაისის ანუ ბაგრატის ტაძარი, ალავერდი და სვეტიცხოველი.

სვეტიცხოველი დღემდე შემორჩენილ საეკლესიო ხუროთმოძღვრულ ძეგლებს შორის ყველაზე დიდი ნაგებობაა. როგორც გვახსოვს, სვეტიცხოვლის ქვის ეკლესია ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალმა ააგო. 1110-1129 წწ-ში ხუროთმოძღვარმა არსუკისძემ ეს ძველი ეკლესია ძირფესვიანად გადააკეთა და ეპოქალური ტაძარი შექმნა. ტაძრის მშენებლობა არსუკის-ძეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკმა შეუკვეთა. სამწუხაროდ, როგორც სვეტიცხოვლის სამშენებლო წარწერა მოწმობს, ხუროთმოძღვარი მშენებლობის დასრულებას ვერ მოესწრო. სვეტიცხოვლის აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებულია დიდი სამშენებლო წარწერა: „ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქისედეკ ქართლისა კათალიკოზი. ამენ. აღეშენა ესე წმინდაი ეკლესიაი ხელითა გლახაკისა მონისა არსუკისძისაითა...... ღმერთმა განუსვენე სულსა მისსა". ეკლესიის ჩრდილოეთის ფასადზე გამოხატულია ოსტატის ხელი, რომელსაც „გონია", იგივე ტრანსპორტირი უჭირავს, წარწერით: „ხელი მონისა არსუკის-ძისაი შეუნდევით". ხუროთმოძღვრის გამოხატულმა ხელმა დასაბამი მისცა ლამაზ ხალხურ ლეგენდას, რომლის თანახმად, ხუროთმოძღვარს მოშურნეთა შეჩენით მარჯვენა ხელი მოჰკვეთეს, რათა მას მსგავსი სილამაზის ტაძარი ვეღარ აეგო. ამ ლეგენდას ასახავს ცნობილი ხალხური ლექსი: „ხეკორძულის წყალი შიშვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს ხელი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია". ეს ლეგენდა დაედო საფუძვლად დიდი ქართველი პროზაიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილ რომანს „დიდოსტატის მარჯვენას".

უფრო ადრე, ბაგრატ III-ის ხანაში აიგო, როგორც გვახსოვს, ქუთაისის, იგივე ბაგრატის ტაძარი. მისი აგების თარიღი, 1003 წ., შემოგვინახა იატაკის მოზაიკურმა წარწერამ. აღსანიშნავია, რომ ეს თარიღი, „ქორონიკონით 223 წელი". მოცემულია არა ასოებით, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა, არამედ არაბული ციფრებით. ეს არის არაბული ციფრების გამოყენების პირველი შემთხვევა საქართველოში. განვითარებული ფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების ამ შედევრმა დღემდე მხოლოდ ნანგრევების სახით მოაღწია, თუმცა ეს ნანგრევებიც გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ტაძარი დაინგრა 1698 წ., როდესაც ქართველები ქუთაისის ციხეში გამაგრებულ ოსმალებს ებრძოდნენ. ამ ბრძოლის დროს ძეგლს ოსმალთა მხრიდან ნატყორცნი ყუმბარები მოხვდა.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ტაძარი დანგრევამდე, 1652 წ. მოინახულეს იმერეთის სამეფოში რუსეთის ელჩებმა ტოლოჩანოვმა და იევლევმა. მათი აღწერით, მთელი ტაძარი შიგნიდან მოხატული ყოფილა და მდიდრულად შემკული.

საქართველოში დღემდე შემორჩენილ ეკლესიებს შორის ყველაზე მაღალია ალავერდის დიდებული ტაძარი. მისი სიმაღლე 50 მეტრია. ტაძარი დგას თელავის ახლოს ალაზნის ველზე და შორიდანაც ხიბლავს მნახველს. ალავერდის ტაძარი XI ს-ის I ნახევარშია აგებული.

ქართული ხუროთმოძღვრების სიამაყეს წარმოადგენს გელათის მონასტერი, რომლის მშენებლობა, როგორც გვახსოვს, დავით აღმაშენებელმა დაიწყო. ის ქუთაისიდან 11 კმ-ში, მდ. წყალწითელას მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ეს მონასტერი სხვადასხვა ხანის, ძირითადად XII-XIII ს-ში აგებული რამდენიმე ეკლესიისაგან შედგება. მათ შორის გამოირჩევა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. ის დიდი და ნათელი შიდა სივრცით მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. გელათის მონასტრის დამთვალიერებელთა ინტერესს იწვევს წმინდა ნიკოლოზის ორსართულიანი ეკლესიაც. მონასტერი

ლიხნის ტაძრის წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ

„ქრისტე კურთხეულო ხარ, ღმერთო, ყოვლად ძლიერო შენ! ესე იქმნა დასაბამითგან წელსა ზქჲთ (6669), ქორონიკონსა სპვ (266), მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისასა... აპრილსა... თუესა პირველსა გამოჩნდა, რომელ მისსა წინასა არა ყოფილიყო და წინა მისსა ყოვარია მარავალნი ლოდნი მოკლებით მასზედა. ესე იქმნა მზისაგან აღვსებასამდე (აღდგომამდე)". საინტერესოა, რომ ამ კომეტის გამოჩენა ერთ წლით ქრონიკაში და XI საუკუნის რომანულ მხატვრობაში – „ბაიეს ქსოვილზე" – ასახულია.

ვარძიის მონასტერი XVI ს-ის სპარსელი ისტორიკოსის თვალით

საინტერესოა ცნობა, რომ 1551 წ-ს სპარსელთა შაჰის თამაზის საქართველოში შემოსევის დროს ვარძიის მონასტერი ნახა სპარსმა ისტორიკოსმა ჰასან რუმლუმ, რომელიც შაჰს თან ახლდა. მისი მშვენიერებით გაოცებულმა სპარსელმა ისტორიკოსმა ვარძიას „კლდის მიერ შექმნილი საკვირველება" უწოდა. მანვე შემოგვინახა ვარძიის მთავარი ეკლესიის აღწერილობა: „შუაში არის წმინდა (ეკლესია, 5 მ.) სიმაღლის [illegible] გამოკვეთილი კლდეში და ეკლესია მოწყობილი იყო დარბაზით და გრძელი ტალანით. კედლები გარეთ და შიგნით ოქროთი, ლაჟვარდით და კერპის (მუსლიმები წმინდანთა გამოსახულებებს კერპებს უწოდებენ. [illegible] გამოსახულებას) გამოსახულებებით იყო მოხატული. მეორე დარბაზში მოწყობილი ტახტი და დაყენებული [illegible] შემკული ოქროს კერპი (ოქროთი მოჭედილი ხატი). ერთი თვალის მაგივრად ამ [illegible] ბრწყინვალე ლალი ჩაესვათ ... გარეთა დარბაზებში გაკეთებული [illegible] რკინის და ფოლადის კარები და ერთი ოქროს კარიც [illegible].
— ზარი, რომელიც სამოცდაათი ბათმანი (ერთი ბათმანი = 7 კგ-მ) სპილენძისაგან იყო შეზავებული ჩამოსხმული, დაამსხვრიეს... ტახტის და ოქროს კერპები [illegible] გაიტაცეს".

ქვის გალავნითაა შემოზღუდული, რომლის ძველ კარიბ-ჭეში, გადმოცემის თანახმად, დიდი დავით აღმაშენებელი ასვენია.

XI-XIII ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების მრავალი ბრწყინვალე ძეგლი შემოგვრჩა. მათ შორისაა მანგლისის, ნიკორწმინდის, ტიმოთესუბნის, სამთავისის, სამთავროს, იკორთის, ბეთანიის, ქვათახევის, ყინწვისის, ფიტარეთის, ბოჭორმის, ბედიის, ლიხნის ..... ტაძრები. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ლიხნის ტაძარში შემორჩენილია ფრესკული წარწერა, რომელიც 1066 წ. საქართველოს ცაზე კომეტის გამოჩენაზე მოგვითხრობს.

**X-XIII სს-ში კლდეში ნაკვეთი ძეგლებიდან** აღსანიშნავია ჩვენთვის უკვე ცნობილი დავით გარეჯის უდაბნო, ვარძიის მონასტერი და მის ახლოს, მტკვრის მარჯვენა ნაპირას მდებარე ვანის, იგივე ვანის ქვაბები.

დავით გარეჯას ამხანებში კიდევ ბევრი მონასტერი შეემატა და ის კლდეში გამოკვეთილი მონასტრების ერთობად იქცა, რომელიც გარეჯის „მრავალმთაში" მდ. მრავალწყლიდან იორის ხეობამდეა გადაჭიმული. დღეისათვის დავით გარეჯაში 19 ხზეადახვა მონასტერი თუ ბერთა ცალკეული სავანე გამოვლენილი.

ვარძიის მონასტრის კლდეში გამოკვეთა გიორგი III-ის (1157-1184) დროს დაიწყო და თამარის ხანაში დასრულდა, თუმცა მისი გადაკეთება-განახლება კიდევ თითქმის ორი საუკუნე გაგრძელდა. ესაა გრანდიოზული ნაგებობა, კლდეში ნაკვეთი ცამეტსართულიანი მთელი ქალაქი, მონაზონთა ხენაკებით, ეკლესიებით და საზოგადოებრივი დანიშნულების ოთახებით, რომლებიც ერთმანეთს გრძელი დერეფნებითა და კიბეებით უკავშირდებოდნენ. მონასტერში სულ 120 საცხოვრებელი კომპლექსია. თითოეული შედგება კლდეში გამოკვეთილი 2-3 ან 4 ოთახისაგან. აქვეა 420 სათავსო, მათ შორის 25 მარანი, 185 ქვევრით. მონასტრის მთავარი ეკლესიის სიღრმეში ბუნებრივი წყაროა. ამის გარდა, როგორც გვახსოვს, ვარძია წყლით მარაგდებოდა კლდეში გამოკვეთილი 3,5 კმ. სიგრძის საგანგებო წყალსადენით.

ვარძიის მონასტერი თამარ მეფემ 1185 წ-ის 15 აგვისტოს აკურთხებინა. ვარძიის წინამძღვარი დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

**ფერწერა, მოზაიკური მხატვრობა, ოქრომჭედლობა.** X-XIII სს-ის დღემდე მოღწეული კედლის მხატვრობა მაღალი ოსტატობით გამოირჩევა. ფრესკებზე გამოხატულია როგორც რელიგიური სცენები, ისე საერო პირები. თავისი მშვენიერებით შეიძლება აღინიშნოს ანგელოზის ფრესკა ყინწვისის ტაძრიდან, რომელიც „ყინწვისის ანგელოზის" სახელითაა ცნობილი; აგრეთვე გელათის მოზაიკური მხატვრობა, რომლითაც გელათის მთავარი, მაცხოვრის ტაძრის კონქია მოხატული. ეს მოზაიკა 1125-1130 წწ-ით თარიღდება. მასში გამოხატულია გელათის ღვთისმშობელი ყრმა ქრისტით და მის ორივე მხარეს მდგომი მთავარანგელოზები: მიქაელი და გაბრიელი. გელათის ტაძარმა მრავალი შესანიშნავი ფრესკა შემოგვინახა. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს დავით აღმაშენებლის ერთი და დავით ნარინის ორი ფრესკული გამოხატულება. საერთოდ, გელათის მთავარ ტაძარში შემორჩენილი ფრესკები XIII-XVII სს-შია შესრულებული, ისე რომ, გელათი ქართული ფრესკული მხატვრობის თავისებურ მუზეუმსაც წარმოადგენს.

მაღალი ოსტატობით გამოირჩევა დავით გარეჯის მონასტრების X-XIII სს-ის კედლის მხატვრობა,

სასწავლებელი. ამ მხრივ გამოირჩეოდა შიო მღვიმის, დავით გარეჯის, ვარძიის, შატბერდის, ოპიზის, ხანძთის ... მონასტრები.

როგორც ვახსენეთ, თითოეულ მონასტერს საკუთარი წესდება, ტიპიკონი - „განგება" ჰქონდა. საქართველოში არსებული მონასტრებიდან შედარებით სრული სახით შემორჩა ვაჰანის (ვანის) მონასტრის ტიპიკონი – „განგებაჲ ვაჰანის ქუაბთაჲ". ტიპიკონის შედგენის დროისათვის ეს მონასტერი მხარგრძელთა საგვარეულოს ეკუთვნოდა.

X-XI სს-ში ქართული მწიგნობრობისა და კულტურის განვითარების საქმეში უდიდესი როლი შეასრულეს საქართველოს გარეთ არსებულმა ქართულმა მონასტრებმა. აქ ჩვენ წინაპრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ იმ დროისათვის მოწინავე ბიზანტიურ ქრისტიანულ კულტურას და მისი მიღწევები სამშობლოში გადმოეტანათ.

ამ მონასტრებს შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ათონის ივერთა ანუ ქართველთა მონასტერი. ათონის ქართველთა მონასტერი მდებარეობს საბერძნეთში ქალკიდიკის ნახევარკუნძულზე ათონის მთაზე. ეს მონასტერი აშენდა პირველ რიგში იმ „ურიცხვი საფასითა და განძით", რომელიც თორნიკე ერისთავს, მონაზვნობაში იოანეს, 979 წ. ბარდა სკლიაროსზე გამარჯვებისას ხვდა. თორნიკე ერისთავის გარდა ათონის მთაზე ქართული მონასტრის მშენებლობას დიდძალი თანხა ათონის მთის ბერძნულ მონასტრებში მოღვაწე სხვა ქართველმა ბერებმაც შეწირეს. მონასტრის მშენებლობა 980 წ. დაიწყო და 983 წ. დასრულდა. ამ მონასტერს ბიზანტიის კეისარმა ბასილიმ დიდძალი სოფლები და მამულები დაუმტკიცა. აქ X-XI სს-ში მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი მწიგნობრები და მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი წინამძღვარი იოანე მთაწმინდელი, მისი შვილი ექვთიმე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი, გიორგი ხუცეს-მონაზონი ... ამ დროს ბერძნული ენა ქრისტიანულ სამყაროში მეცნიერებისა და კულტურის ენას წარმოადგენდა. ბერძნულ ენაზე დიდძალი სამეცნიერო და რელიგიური ლიტერატურა არსებობდა. მისი ქართულად თარგმნას და საზოგადოებისათვის მიწოდებას, ქართული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს კარგად ესმოდათ სამშობლოს გარეთ მოღვაწე ქართველ ბერებს. ამიტომაც მიმართავს იოანე მთაწმინდელი თავის შვილს, თარგმნის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ექვთიმეს: „შვილო ჩემო, ქართველთა ქუეყანას მრავალი წიგნი აკლია, ვხედავ, რომ ღმერთს შენთვის მოუმადლებია ნიჭი, აწ ილვაწე, რათა განამრავლო...". მართლაც ექვთიმემ და გიორგი მთაწმინდელებმა ქართულ კულტურას უდიდესი სამსახური გაუწიეს. ექვთიმემ ბერძნულიდან 50-ზე მეტი წიგნი თარგმნა. გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი გიორგი ხუცეს-მონაზონი კი, გიორგი მთაწმინდელის მთარგმნელობითი მოღვაწეობით გაკვირვებული საგანგებოდ აღნიშნავს: „წარმოსადგენად ძნელია, ამდენი წიგნი თავის ცხოვრებაში რომ ერთმა კაცმა თარგმნა". გიორგი მთაწმინდელი მრავალი ორიგინალური თხზულების ავტორიცაა. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება".

გიორგი მთაწმინდელსვე ეკუთვნის ქართული ოთხთავის ბოლო რედაქცია, რომლის დასრულებას საქართველოს მეფე ბაგრატ IV და მთელი ქართული საზოგადოება მოუთმენლად ელოდა.

საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერმა. ეს მონასტერი XI ს-ში მღვდელმა და მონაზონმა გიორგი-პროხორემ დააარსა. მონასტერი მალე პალესტინაში მოღვაწე ქართველი ბერების ცენტრად იქცა. ამავე ხანებში დაარსდა ქართველთა მონასტერი კუნძულ კვიპროსზე – გალიაში. ქართული კულტურის მნიშვნელოვან ცენტრად რჩებოდა ბითვინიაში, ოლიმპოს მთაზე ჯერ კიდევ ილარიონ ქართველის მიერ დაარსებული ულუმბოს მონასტერი .... ბიზანტიაში, ბულგარეთში დღევანდელი ქ. პლოვდივის ახლოს, 1083 წ., როგორც ვახსენეთ, გრიგოლ ბაკურიანის-ძემ დააარსა პეტრიწონის მონასტერი. ამჟამად მას ბაჩკოვოს მონასტერს უწოდებენ. ჩვენამდე მოაღწია გრიგოლ ბაკურიანის-ძის მიერ მონასტრისათვის შედგენილმა ტიპიკონმა, რომელიც ქართული სამონასტრო ცხოვრების შესასწავლად უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ამ ტიპიკონის მიხედვით, მონასტერში მხოლოდ ქართული მართლმადიდებლობის მიმდევარი მონაზვნების მიღება იყო ნებადართული. ბერძენი ბერების მიღება კი სასტიკად იკრძალებოდა. აღსანიშნავია, რომ პეტრიწონის მონასტერში გახსნილი იყო სპეციალური სასწავლებელი, სადაც ქართველი ახალგაზრდები ცოდნას ეუფლებოდნენ. ამ სასწავლებელს ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. იოანე პეტრიწმა დაგვიტოვა მრავალი მეცნიერულ-ლიტერატურული თხზულება. მან საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ნეოპლატონურ ფილოსოფიურ სკოლას. როგორც უკვე ვიცით, ფილოსოფიაში ნეოპლატონური მიმართულების არსი ანტიკური ფილოსოფიის ქრისტიანულ გადააზრებაში მდგომარეობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ იოანე პეტრიწმა და მისმა მოწაფეებმა შეიმუშავეს ქართული სამეცნიერო ენა და ტერმინოლოგია და დიდად შეუწყვეს

ხელი ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ იოანე პეტრიწიდან მოდის ისეთი მათემატიკური ტერმინები, როგორიცაა წირი, წრფე, წრე, წრე-წირი .... მოგვიანებით, გელათის აკადემიის დაარსების შემდეგ იოანე პეტრიწი, როგორც გვახსოვს, დავით აღმაშენებელმა საქართველოში მოიწვია და მას გელათის აკადემიის რექტორობა ანუ მოძღვართ-მოძღვრობა უბოძა.

XI ს-დან ქართველმა ბერებმა დიდი მოღვაწეობა გააჩაღეს სირიაში, ანტიოქიის მახლობლად შავ მთაზე არსებულ მონასტრებში, ბიზანტიის დედაქალაქის, კონსტანტინოპოლის მონასტრებში....

ათონის მთაზე თუ უცხოეთის სხვა ქართულ მონასტრებში მოღვაწე ბერების დაუცხრომელი შრომის შედეგად ქართულ ენაზე სხვადასხვა ენიდან იმდროინდელი მსოფლიო კულტურის შედევრები ითარგმნა. ამით ქართულმა კულტურამ წინ დიდი ნაბიჯი გადადგა: ქართველ კაცს მშობლიურ ენაზე სრულყოფილი განათლების საშუალება მიეცა.

**ხელნაწერი წიგნები.** თარგმნილი თუ ორიგინალური ქართული ლიტერატურა, როგორც ადრე ისე ახლაც მრავალთავებში, იადგარებში (ჰიმნებისა და საგალობლების კრებული) თუ სხვა სახის კრებულებში ერთიანდებოდა. ასეთი კრებულების შედგენა-გადაწერა, შემკობა და საგანგებო ყდაში ჩასმა დიდ თანხებსა და შრომას მოითხოვდა. ამიტომ მათი შექმნა მნიშვნელოვან ეროვნულ საქმედ ითვლებოდა. ჩვენი წინაპრების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მათი ტიტანური შრომის შედეგად X-XIII სს-ში ქართული საზოგადოების სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ათასობით ასეთი კრებული შეიქმნა. სამწუხაროდ, მოგვიანებით, მრავალსაუკუნოვანი ძნელბედობის ხანაში მათი უდიდესი ნაწილი დაიკარგა. მაგრამ შემორჩენილი ხელნაწერი წიგნებიც მოგვითხრობენ თავისი რაოდენობით. ამ წიგნების უმეტესი ნაწილი მრწყინვალედ არის გაფორმებული ფერადი ილუსტრაციებით და შემკულია ძვირფასი ყდებით. საეკლესიო წიგნებს შორის თავისი შემკულობით განსაკუთრებით გამოირჩევა „ჯრუჭის", „პერთის", „ალავერდის", „მოქვის" ოთხთავები.

მხატვრულად აფორმებდნენ საერო წიგნებსაც. ასეთ წიგნებს შორის თავისი გაფორმებითა და მინიატურებით განსაკუთრებით გამოირჩევა 1188 წ. გადაწერილი ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტრაქტატი. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ეს ტრაქტატი უფრო ძველია ვიდრე ამავე ტიპის სპარსული და არაბული ხელნაწერი წიგნები. X-XIII სს-ში შექმნილი სასულიერო სასწავლო-სამეცნიერო კრებულებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 970-იან წლებში იოანე ბერას გადაწერილი „შატბერდის კრებული", რომელშიც დაცულია ძველი ქართული ისტორიოგრაფიის ისეთი უნიკალური ძეგლი, როგორიცაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ".



ჯრუჭის ოთხთავი 297 ფურცლისაგან შედგება. ის 936 წ. შატბერდის მონასტერში გადაუწერიათ. ამაზე მიგვითითებს ანდერძ-მინაწერი, რომელიც ამ ხელნაწერი წიგნის ერთ-ერთ ბოლო გვერდზეა. ანდერძ-მინაწერი გვამცნობს, რომ წიგნის „მომგებელი" ანუ შემკვეთი და ხარჯის გამღები ყოფილა გრიგოლი, ხოლო „უცხოდ მწერალი" - სწრაფად გადამწერი - კი მღვდელი გაბრიელი. აქვე გრიგოლი აღნიშნავს მის მიერ წიგნის შეკვეთის მიზანს: „ვპოვე [illegible] ყოველსა [illegible] ჩემსა სულისა (აქ [illegible] იგულისხმება უფლის მცნებები) [illegible] და შემდგომად მშობელთა ჩემთა, მონაზონთა და ძმათა და დათა ჩემთა და ჩემთა [illegible] ([illegible]) სახსრად და [illegible] [illegible] და [illegible]".

ათასი წლის შემდეგ, ეს ხელნაწერი წიგნი მოუხატავს [illegible], რასაც გვამცნობს შემდეგი წარწერა: „ქრონიკონი იყო რა (160 წ. // 780+160=940 წ.). [illegible] [illegible] [illegible] ([illegible]) [illegible]". [illegible] ერთ-ერთი შემსწავლის დროს ეს ხელნაწერი წიგნი [illegible] [illegible]. XVI-XVII სს-ში მას ერთმა ქართველმა, იოანე არწრაშელმა ოსმალეთში მიაკვლია, დიდი თანხით გამოისყიდა და სამშობლოში დააბრუნა.

**გელათის აკადემია.** X-XI სს-ში საქართველოს კულტურულმა აღმავლობამ, იმ დროისათვის მოწინავე სასულიერო თუ სამეცნიერო ლიტერატურის შექმნამ, განსწავლულ პირთა მომრავლებამ, საჭირო და შესაძლებელი გახადა საქართველოში უმაღლესი განათლების კერის დაარსება. შუა საუკუნეებში ქრისტიანულ სამყაროში პირველი უმაღლესი სასწავლებელი კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ უბანში მანგანაში ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე მონომახმა (1042-1055) დააარსა. მას ძველი ბერძნული ტრადიციის მიხედვით „მანგანას აკადემია" ეწოდა. ნახევარი საუკუნის შემდეგ უმაღლესი განათლების ასეთი კერა საქართველოში დავით აღმაშენებელმა გელათში დააფუძნა.

[illegible]

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ მანგანასა და გელათის აკადემიების მსგავსი უმაღლესი სასწავლებლები დასავლეთ ევროპაში უფრო მოგვიანებით შეიქმნა. ბიზანტიისა და საქართველოსაგან განსხვავებით, იქ მათ „უნივერსიტეტი" ეწოდა. ეს სახელწოდება ლათინური სიტყვიდან „უნივერსიტას" - ერთობა, გაერთიანება - მოდის და თავდაპირველად მასწავლებელთა და მოსწავლეთა გაერთიანებას აღნიშნავდა. დღეს მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ოქსფორდის უნივერსიტეტი XII ს-ის II ნახევარში შეიქმნა, 1200 წ. დაარსდა პარიზის, ხოლო 1209 წ. კემბრიჯის უნივერსიტეტი.

დავით მეფემ აქ შექმნა მთელი კომპლექსი, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა: ეკლესია-მონასტერი, უმაღლესი სასწავლებელი, ანუ აკადემია და ქსენონი-სავადმყოფო. გელათის კომპლექსი დაახლ. 1106-1130 წწ-ში შენდებოდა და დავით მეფის გარდაცვალების დროისათვის ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო. მოგვიანებით გელათის კომპლექსს კიდევ რამდენიმე ეკლესია შეემატა.

საკუთრივ გელათის აკადემიის შენობა წარმოადგენდა დიდ გრძელ დარბაზს ფართო თაღოვანი სარკმლებით, კარიბჭითა და ვესტიბიულით (შემოსასვლელი). დარბაზის შიგნით დღემდე შემორჩა ქვის სკამები, რომლებიც კედლების გასწვრივაა განლაგებული. დარბაზი იმთავითვე მოუხატავთ, ამ მხატვრობამ ჩვენამდე ვერ მოაღწია.

გელათის აკადემიაში ისწავლებოდა: „ქვეყნის საზომლოჲ" ანუ გეომეტრია, „რიცხვნი" - არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა (მჭევრმეტყველების ხელოვნება), ფილოსოფია, გრამატიკა, ვარსკვლავთმრიცხველობა - ასტრონომია და სამედიცინო საქმე. გელათის აკადემიის რექტორს მოძღვართ-მოძღვარი ეწოდებოდა და ის სამეფო კარზე კათალიკოსის და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის პატივით სარგებლობდა. დავით მეფემ საგანგებოდ იზრუნა გელათის აკადემიაში მოძღვართა (მასწავლებელთა) შერჩევაზე. მოძღვარი „ყოველი სათნოებით შემკული უნდა ყოფილიყო". ამ მიზნით მან უცხოეთის ქართულ მონასტრებში მოღვაწე ცნობილი ქართველი სწავლულებიც მოიწვია. დავითის სიცოცხლეშივე გელათის აკადემია აღმოსავლეთში ქრისტიანული განათლების უდიდეს ცენტრად გადაიქცა. „ეს არის ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორე იერუსალიმი" - აღტაცებით წერს გელათის შესახებ დავითის ისტორიკოსი - დაარსებულია „სასწავლად ყოვლისა კეთილისა, მოძღურად სწავლულებისა, სხუად ათინად". მემატიანე გულისხმობს ანტიკური ხანის მთელი კულტურის უდიდეს ცენტრს, ძველ ბერძნულ ქალაქ ათენს.

გელათის აკადემიაში ბიზანტიიდან მოწვეულებს შორის იყო ცნობილი სასულიერო მოღვაწე, ფილოსოფოსი და ჰიმნოგრაფი არსენ იყალთოელი. არსენმა, როგორც ვიცით, ქართულად თარგმნა „დიდი სჯულის კანონი". ის წარმოშობით კახეთიდან, იყალთოდან იყო. ფიქრობენ, რომ მან იყალთოში ახალი უმაღლესი სასწავლებელი, იყალთოს აკადემია დააარსა.

საქართველო და პირველ რიგში მისი დედაქალაქი თბილისი იმხანად არამარტო ქრისტიანული განათლების, არამედ მუსლიმური განათლების დიდ ცენტრსაც წარმოადგენდა. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ სწორედ თბილისში მიიღო თავისი განათლება 44-მა მუსლიმმა სწავლულმა, რომლებიც შემდგომ აღმოსავლეთის სხვადასხვა მუსლიმურ ქალაქებში მოღვაწეობდნენ და თავიანთი ცოდნით შორს გაითქვეს სახელი.

### 3. მწერლობა X-XIII სს-ის საქართველოში.

X-XIII სს. ქართული ფეოდალური მწერლობისა და ლიტერატურის განსაკუთრებული აღმავლობის ხანაა. არც აქამდე და არც შემდგომ ფეოდალური ხანის ქართულ მწერლობას ასეთი სიმაღლეებისათვის არ მიუღწევია.

**სასულიერო მწერლობის** დარგებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰიმნოგრაფია და ჰაგიოგრაფია. X-XII სს-ში მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი ჰიმნოგრაფები, როგორებიც იყვნენ იოანე მინჩხი, ჩვენთვის უკვე ცნობილი იოანე ზოსიმე, არსენ იყალთოელი, სტეფანე სანანოისძე, იოანე მტბევარი, დავით ტბელი, — ამ ხანის ჰიმნოგრაფებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მიქაელ მოდრეკილი. მიქაელ მოდრეკილმა თავისი დიდი ოსტატობით შესრულებული საგალობლების გარდა, დაგვიტოვა საგალობლების ვრცელი კრებული, რომელშიც მოთავსებულია სხვა ქართველ და უცხოელ ავტორთა ჰიმნებიც. რადგანაც ჰიმნი მუსიკალური ნაწარმოებიცაა და ეკლესიაში გალობით სრულდება, მიქაელ მოდრეკილს ეს ჰიმნები „დაუნიშნავს" ანუ თითოეული ტექსტისათვის გალობის ნიშნები მიუწერია, რაც მუსიკალური ნაწარმოების ნოტური ჩაწერის წინამორბედად უნდა მივიჩნიოთ.

ქართულ ჰიმნოგრაფიაში ლექსის წერის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა იამბიკო იყო. სიტყვა

„იამბიკო" ბერძნულიდან წარმოსდგება და ძველ ქართულში ხუთტერფიან და თორმეტმარცვლიან, ძირითადად ურითმო ლექსს აღნიშნავდა. იამბიკოებს თხზავდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირები: მეფეები, დედოფლები, დიდებულები .... იამბიკის ფორმითაა დაწერილი ჩვენთვის უკვე ცნობილი დემეტრე მეფის ბრწყინვალე ჰიმნი „შენ ხარ ვენახი", ასევე ბაგრატ IV-ის II მეუღლის ბორენა დედოფლის იამბიკო, რომელიც სვანეთის ლენჯერის თემის მაცხოვრის ეკლესიის ღვთისმშობლის ოქროს ხატის წარწერამ შემოგვინახა. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ იამბიკოებს თხზავდა თამარ მეფეც. შამქორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, მეფემ ხახულის ღვთისმშობელს შალვა ახალციხელის მიერ ბრძოლაში ნადავლად ჩაგდებული ხალიფას წმინდა დროშა შესწირა, თანაც ღვთისმშობელს ვრცელი იამბიკო უძღვნა.

X-XI სს-დან შემოგვრჩა ქართული ჰაგიოგრაფიის ისეთი უბრწყინვალესი ძეგლები, როგორიცაა გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", რომელიც მან 951 წ. დაასრულა; აგრეთვე გიორგი მთაწმინდელის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება", რომელიც XI ს-ის შუა წლებში დაიწერა და XI ს-ის 60-იან წლებში გიორგი მთაწმინდელის მოწაფის გიორგი მცირის, იგივე ხუცეს-მონაზონის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება".

ეს ძეგლები ისტორიულ-ბიოგრაფიული ხასიათის თხზულებებია, სადაც გადმოცემულია ამ დიდ საეკლესიო პირთა ცხოვრება-მოღვაწეობა, მათი ურთიერთობა საქართველოს მეფე-მთავრებთან თუ ბიზანტიის კეისრებთან, გამორჩეულ მხედართმთავრებთან, იმხანის დიდ საერო თუ სასულიერო პირებთან, რაც ამ თხზულებებს საქართველოს ისტორიის პირველწყაროს მნიშვნელობას ანიჭებს.

## ნაწყვეტი თამარ მეფის იამბიკოდან

[illegible]

ეროვნული თვითშეგნების ზრდამ და ბერძნებთან საეკლესიო დაპირისპირებამ საზოგადოებაში გაზარდა ინტერესი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საკითხისადმი. ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ სწორედ XI ს-ში შეიქმნა წმინდა ნინოს ცხოვრების ამსახველი ანუ „ქართლის მოქცევის" რამდენიმე ახალი რედაქცია. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია არსენ ბერის „ცხოვრებაი და მოქალაქობაი დედისა ჩუენისა ნინოისა" და ლეონტი მროველის: „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ", რომელიც მან „ქართლის ცხოვრებაში" შესაბამის ადგილას შეიტანა.

XI ს-ში შეიქმნა აგრეთვე ეფრემ მცირის საეკლესიო ისტორიის ჟანრის თხზულება: „უწყებაი მიზეზთა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების". ეს არის თავისებური სახელმძღვანელო, სადაც ბერძნული წყაროებიდან ამოკრეფილია ცნობები ქართველთა გაქრისტიანებისა და საქართველოს საეკლესიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტების შესახებ.

განსაკუთრებით დიდ წარმატებას ამ ხანაში მიაღწია ქართულმა **საერო,** მათ შორის **საისტორიო მწერლობამ**. VII-VIII სს-ის მიჯნაზე „ქართლის ცხოვრებისათვის" შესავალი გეოგრაფიული ნაწილის წამძღვარებისა და მისი შევსების შემდეგ, ამ კრებულში XI ს-მდე ახალი ისტორიული თხზულება არ შეუტანიათ. XI ს-ის 80-იან წლებში, ამ მხრივ, როგორც უკვე ვიცით, დიდი სამუშაო შეასრულა გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა. მან არა მარტო გადაამუშავა ძველი ტექსტი, არამედ საქართველოს ისტორიის თხრობა თავის დრომდე მიიყვანა და ამით ქართულ საზოგადოებას თავისი სამშობლოს გაბმული, მწყობრი ისტორია მისცა.

ქართული საისტორიო მწერლობა განსაკუთრებით მაღალ დონეს აღწევს XII-XIII სს-ში. ამ ხანის საისტორიო თხზულებებიდან აღსანიშნავია ჩვენთვის უკვე ცნობილი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა", რომელიც შუა საუკუნეების ქართული საისტორიო აზროვნების შედევრს წარმოადგენს და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი". მათი ავტორები გამოირჩევიან ძველი ბერძნული და რომაული, ბიზანტიური და აღმოსავლური ლიტერატურის, აგრეთვე გეოგრაფიისა და მსოფლიო ისტორიის ცოდნით. ეს თხზულებები გარდასულ ამბების გადმოცემასთან ერთად უკვე შეიცავენ ავტორთა თანამედროვე ეპოქის თავისებურ ისტორიულ გააზრებას.

ვაჭრობისა და საქალაქო ცხოვრების აღმავლობამ, რაც განვითარებულმა ფეოდალურმა ხანამ მოიტანა, ქართული საზოგადოება ერთგვარად გაანთავისუფლა ადრეფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი ეკლესიის ყოვლისმომცველი დიქტატისაგან. დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული მოლაშქრეთა (მსახურთა და აზნაურთა) და ვაჭარ-ხელოსანთა ფენის გაძლიერებამ, აგრეთვე საზოგადოებაში განათლების საერთო დონის ამაღლებამ, წარმოშვა მოთხოვნა ისეთ თხზულებებზე, რომლებშიც მოსახლეობის ამ ფენების ცხოვრება იქნებოდა ასახული. ამან ფართო გზა გაუხსნა საერო პროზისა და პოეზიის განვითარებას.

ქართული საერო პროზის დღემდე მოღწეულ უძველეს ძეგლს წარმოადგენს სარაინდო-სათავგადასავლო რომანი „ამირან-დარეჯანიანი", რომლის ავტორად მოსე ხონელი ითვლება. ამ რომანში, რომელიც 12 კარისაგან შედგება, რამდენიმე გმირის ამბავია მოთხრობილი, მათ შორის მთავარი მოქმედი პირია ამირან დარეჯანის-ძე, რომლის საგმირო ამბების გადმოცემას რომანში ხუთი კარი ეძღვნება.

XII ს-ის პირველ ნახევარში სარგის თმოგველმა სპარსულიდან პროზაულად თარგმნა იმჟამად მთელ მახლობელ აღმოსავლეთში პოპულარული სამიჯნურო პოემა „ვის ო რამინი", რომელსაც ქართულად „ვისრამიანი" ეწოდა. ეს თარგმანი იმთავითვე იქცა ქართული საერო მწერლობის ორგანულ ნაწილად. მისი ასეთი წარმატება მიმზიდველი სიუჟეტის გარდა განაპირობა მთარგმნელის დიდოსტატობამ.

„ვისრამიანის" ძველი ქართული თარგმანი

„ვისრამიანის" სპარსული ხელნაწერები მხოლოდ XVI-XVII სს-დან შემორჩა. ვარაუდობენ, ამ პოემის სარგის თმოგველისეული ქართული პროზაული თარგმანი ძალზე ახლოს დგას სპარსულ დედანთან. ამიტომ 1970 წ. ირანის მთავრობის დავალებით, „ვისრამიანის" საიუბილეო გამოცემა ქართველმა მეცნიერებმა განახორციელეს, რომლებმაც სპარსული ტექსტები სარგის თმოგველისეულ ძველ ქართულ თარგმანთან შეაჯერეს.

1205 წლისათვის დაწერილდა ჩახრუხაძის სახოტბო პოემა „თამარიანი". პოემა შედგება 11 სახოტბო ლექსისაგან, რომლებშიც შექებულია თამარ მეფე, მისი მეუღლე დავით სოსლანი და მათი ვაჟი ლაშა გიორგი. აქვე ჩართულია ორი პოეტური ფრაგმენტი, რომელშიც, როგორც უკვე ვიცით, აღწერილია ჩახრუხაძის მოგზაურობა მთიულ ქვეყნებში.

XIII ს-ის დასაწყისს ეკუთვნის იოანე შავთელის სახოტბო ოდების კრებული, რომელსაც „აბდულმესია" (არაბულად – მონა მესიისა) ეწოდება. ამ პოემაში შექებული არიან თამარი და მისი მეუღლე დავით სოსლანი. მისივე კალამს ეკუთვნის ბასიანის ბრძოლაში ქართველთა ძლევამოსილი გამარჯვებისადმი მიძღვნილი „გალობანი ჯვარისა ღმრთივშემოსილისანი". საინტერესოა ვიცოდეთ, რომ იოანე შავთელის ასტრონომიული იამბიკოები ერთვის ვრცელ კალენდარულ და ასტრონომიულ ტრაქტატს, რომელიც აბუსერიძე ტბელს ეკუთვნის. ეს ტრაქტატი მდიდარია ქართული არითმეტიკული კალენდარული და ასტრონომიული ტერმინებით. აქ ერთმანეთთან შედარებულია ბერძნული და ქართული წელთაღრიცხვა. დიდი ადგილი ეთმობა ჩვენთვის უკვე ცნობილი 532 წლიანი ციკლის ანუ ქორონიკონის განმარტებას. ეს ნაშრომი ქართველების მაღალ ასტრონომიულ ცოდნას მოწმობს. ამ ტრაქტატის შესწავლამ საშუალება მისცა გამოჩენილ ქართველოლოგს მარი ბროსეს საგანგებოდ აღენიშნა, რომ ქართველებმა XIII ს-ის დასაწყისში უკვე იცოდნენ იულიანური კალენდრის ის ცდომილებანი, რომელმაც რომის პაპი გრიგოლ XII აიძულა შედგომოდა მის შესწორებას.

აბუსერიძე ტბელი (1192-1242) აჭარის (ხიხანის) ერისთავთერისთავის ივანეს შვილი იყო. ამ ასტრონომიული ტრაქტატის გარდა მას ეკუთვნის „სასწაული წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი", სადაც აღწერილია წმინდა გიორგის სასწაულები. მათ შორის მოთხრობილია ამბავი, თუ როგორ გამოეცხადა ის კალატოზს ანუ ქვითხუროს ბოლოკ-ბასილს და როგორ მოთხოვა მას წმინდა გიორგის სახელზე საკუთარი ხელით აეგო თავის მშობლიურ კუთხეში, აჭარაში ეკლესია. აქვე აღწერილია ამ

ეკლესიის მშენებლობის ამბავიც. აბუსერის-ძე ტბელს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე საგალობელი.

განვითარებული ფეოდალური ხანის ქართული მწერლობის მწვერვალს, რა თქმა უნდა, შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი" წარმოადგენს. შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან ცოტა რამაა ცნობილი. არსებობს ვერსია, რომ იგი თორელთა საგვარეულოს ეკუთვნოდა და მესხეთის რუსთავის მფლობელი იყო. აქედან წარმოსდგა მისი გვარ-სახელი „რუსთაველი". მესხეთის რუსთავი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, დღევანდელ ასპინძის რაიონში. ბორჯომის რაიონში სოფ. ქვაბისხევის ეკლესიაში დღეისათვის უკვე საკმაოდ დაზიანებულ ფრესკაზე გამოხატულია დედა-შვილია და შოთა. ამ თვალსაზრისის მიმდევრები ფიქრობენ, რომ ესაა პოეტის პორტრეტული გამოსახულება ახალგაზრდობაში.

ბოლო ხანებში სინას მთის ერთ ქართულ ხელნაწერში აღმოჩნდა მინაწერი, საიდანაც აშკარა გახდა, რომ უკვე VIII-IX სს-ში რუსისთაველები, იგივე რუსთაველები კახეთის უწარჩინებულეს საგვარეულოს წარმოადგენდნენ. ამის შემდეგ მეტი დამაჯერებლობა შეიძინა შოთა რუსთაველის წარმომავლობის შესახებ არსებულმა მეორე მოსაზრებამ, რომლის მიხედვით ის კახეთის რუსთავიდან (თანამედროვე რუსთავი) წარმოსდგებოდა. ახალი მონაცემების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შოთა რუსთაველი კახეთის რუსთავის მფლობელთა და იმავდროულად კახეთის მთავართა საგვარეულოს ეკუთვნოდა. კახეთი და რუსთავი კი რვე მირიანის-ძის შთამომავალთა სამფლობელო იყო. სავარაუდოა, რუსისთაველთა საგვარეულო რვეიანთა ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენდა.

შოთა რუსთაველი სამეფო კარზე მოღვაწეობდა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მისი ორი ალაპის თანახმად, ერთ-ერთი ვეზირის, მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობას ფლობდა. მისი თაოსნობით შეკეთდა იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერი. ამას მოწმობს ამ მონასტრის ტაძრის სვეტის ფრესკა წარწერით: „ამისა დამხატავსა (იგულისხმება ტაძრის მოხატვის დამფინანსებელი) შოთას შეუნდვენ ღმერთმან. რუსთველი".

„ვეფხისტყაოსანი" დაწერილი უნდა იყოს 1189-1207 წწ-ში, რადგან იგი პოემის პროლოგის მიხედვით ეძღვნება „მზეს" თამარ დედოფალს და „ლომს" დავით სოსლანს.

თავის პოემაში შოთა რუსთაველი უმღერის ამქვეყნიურ ცხოვრებასა და გრძნობებს: მეგობრობას, სიყვარულს, ერთგულებას, ვაჟკაცობას .... ეს უკვე ტიპიური რენესანსის ხანის ნაწარმოებია, რომელიც რამდენიმე ათეული წლით წინ უსწრებს დასავლეთ ევროპული, კერძოდ, იტალიური რენესანსის დასაწყისს, რაც იტალიურ მწერლობაში დანტე ალიგიერის (1265-1321) და ფრანჩესკო პეტრარკას (1304-1374) სახელს უკავშირდება.

შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი" მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში შევიდა. ის მრავალი ხალხის ენაზეა თარგმნილი და დღესაც, მრავალი საუკუნის გასვლის შემდეგაც, ქართველების უპირველეს წიგნად რჩება.

## „ვეფხისტყაოსნის" უძველესი ხელნაწერები

მეფისა სახარების ერთ გვერდზე არის XV ს-ის ნუსხური მინაწერი, რომელშიც მოცემულია „ვეფხისტყაოსნის" ლექსის ცნობილი უძველესი სტრიქონი „მარადის იქმნების მოციქული შენი შექმნ სიყვარულსა". ამავე ხანას ეკუთვნის ორი სტრიქონი შოთა რუსთაველის პოემიდან, რომელიც მინაწერის სახით რჩეულის შემდეგ მოეწერა ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ-ერთ კედელზე: ცოტას გზა გზით მიდიოდა, თვალნი შემომაცქერდება, გზა ნაყრობითი შემოვლენ, მტკვალნი მიზეზად დავებიან....

1963 წ. ახალციხის მუზეუმში აღმოჩნდა ვეფხისტყაოსნის XVI ს-ის ხელნაწერიდან ორი ფურცელი, რომელიც მოგვიანებით სხვა ხელნაწერისთვის ყდის გასამაგრებლად გამოუყენებიათ. „ვეფხისტყაოსნის" უძველესი სრული ხელნაწერი მხოლოდ XVI ს-ის დასასრულიდან შემორჩა. „ვეფხისტყაოსნის" პირველი თარიღიანი ხელნაწერი იმერეთის მეფის გიორგი III-ის მდივან-მწიგნობრის მამუკა თავაქარაშვილის კალამს ეკუთვნის, რომელიც მან, სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანის ტყვეობაში ყოფნისას, ამ უკანასკნელის ბრძანებით და დაკვეთით გადაწერა. მამუკამ „ვეფხისტყაოსანი" მინაწერის მიხედვით 1646 წ. იანის-აგვისტოში გადაწერა: „აწ წიგნი ვეფხისტყაოსანი თამამულმა ცოდვილმა - ტყვეობისა ამ მინაწერში - სრულყოფილი თვითმპყრობელი, აკვირდება, ქრონიკონისა სასჯ იყო დაწერილი. თუ რამ აკლდეს, ნურავინ დაწყევლით, ტყვეობაში დაწერილა".

სულ დღემდე „ვეფხისტყაოსნის" XVI-XIX სს-ის 150-ზე მეტი ხელნაწერია მოღწეული. ზოგი მათგანი მდიდრულადაა შემკული.

## ალაპი

ტერმინი „ალაპი" ბერძნული „აგაპედან" მოდის და „სიყვარულის ტრაპეზს" (პურობას) ნიშნავს. ასეთი ტრაპეზი განკუთვნილი იყო სამონასტრო კრებულისთვის მიცვალებულის მოსახსენებლად.

ალაპისათვის წინასწარ ზრუნავდნენ, ან კიდევ მისთვის განკუთვნილ თანხას მონასტერს უკვე შეწირულად სწირავდა. ალაპის დღეს, რეგულარულად, საეკლესიო ხელნაწერ წიგნებს არშიებზე აწერდნენ. ვეღარზე ზემორად ამ მიზნით ხელნაწერი გამოუყენებიათ, კანადან მათში მდიდრულად სისტემატური გარკვეული კალენდარულადაა მოცემული.

# § 46. საქართველოს ეკლესია X-XIII საუკუნეებში

X ს-ის დასაწყისში, როგორც გვახსოვს, აფხაზთა მეფეებმა შიდა ქართლი დაიმორჩილეს. ასე რომ მათი სამეფოს ფარგლებში ერთდროულად ორი ავტოკეფალური საკათალიკოსო აღმოჩნდა: ქართლის საკათალიკოსო - ცენტრით მცხეთაში და აფხაზეთის საკათალიკოსო - ცენტრით ბიჭვინთაში. ქართლის საკათალიკოსო ქრისტიანულ სამყაროში დიდი პატივით სარგებლობდა. თანაც ქართლის კათალიკოსი დასავლეთ საქართველოს გამოკლებით, მთელი საქართველოს მწყემსმთავარი იყო. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში აფხაზთა მეფეებმა საქართველოს ეკლესიის გაერთიანება და აფხაზეთის კათალიკოსის ქართლის კათალიკოსისადმი დაქვემდებარება გადაწყვიტეს. ამიტომ მათ თანმიმდევრულად ქართლის საკათალიკოსოსადმი დაქვემდებარებული ახალი ეპარქიების დაარსება და აფხაზთა საკათალიკოსოში შემავალი ძველი ეპარქიების გაუქმება დაიწყეს. ასეთ ახალ საეპისკოპოსო ცენტრებად იქცნენ ჭყონდიდის (დღევანდელი მარტვილის), მოქვის (ოჩამჩირის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მოქვის წყლის მარჯვენა ნაპირას), ბედიის (გალის ჩრდილო-დასავლეთით, პატარა მდინარე ოხოჯის ნაპირას) და ქუთაისის ტაძრები. ნანაცვლების პროცესი დროში გაიწელა და თითქმის მთელი საუკუნე გაგრძელდა.

ყველაზე ადრე ჭყონდიდის საეპისკოპოსო დაარსდა. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, აფხაზთა მეფე გიორგი II (947-957) „ააშენა საყდარი ჭყონდიდისა, აქცია საეპისკოპოსოდ და განაშვენა იგი წმიდა მოწამეთა ნაწილთა სიმრავლით". მისმა მემკვიდრემ ლეონ III (957-967) „ააშენა ეკლესია მოქვისა და აქცია საეპისკოპოსო საყდრად". საეკლესიო რეფორმა დასავლეთ საქართველოში ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის დროს დასრულდა. მან X ს-ის ბოლოს ბედიის ტაძარი ააგო და გუდაყვის (ბიგანჯორის) საეპისკოპოსო კათედრა ბედიაში გადაიტანა. ცოტა მოგვიანებით ბაგრატ III ფაზისის სამიტროპოლიტო მოშალა, პეტრასა და როდოპოლისის საეპისკოპოსო კათედრები გააუქმა და მათ ნაცვლად თავის სატახტო ქალაქ ქუთაისში, ახლად აგებულ ტაძარში სამიტროპოლიტო, იგივე სამთავარეპისკოპოსო კათედრა დააარსა. ქუთაისის ახლად აგებული ეკლესიის საზეიმო კურთხევა 1003 წ. მოხდა. ეს ტაძარი დღეს, როგორც გვახსოვს, ბაგრატის ტაძრის სახელითაა ცნობილი. კურთხევას საქართველოს ყველა კუთხის საერო თუ საეკლესიო დიდებულები ესწრებოდნენ. ტაძარი პალესტინის ღვთისმშობლის ხატის სახელზე აშენდა. ამით დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმა დასრულდა. ერთადერთი ძველი საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც უცვლელი დარჩა, ცაიშის საეპისკოპოსო იყო. თავის დროზე ფაზისის მიტროპოლიტს, როგორც ეგრისის სამეფოს მღვდელმთავარს, ეგრისის, შემდეგ კი აფხაზეთის მეფის კურთხევაზე მისთვის გვირგვინის დადგმის პატივი ჰქონდა. ახლა ეს პატივი ქუთათელ მთავარეპისკოპოსზე გადავიდა. იშვიათ გამონაკლისს გარდა ერთიანი საქართველოს მეფეებსაც სამეფო გვირგვინს ქუთათელი ადგამდა. საეპისკოპოსო კათედრების დაარსება დასავლეთ საქართველოში ამის შემდგომაც გრძელდებოდა. XI ს-ში უნდა იყოს დაარსებული ცაგერის საეპისკოპოსო კათედრა, ხოლო XIII ს-ში დრანდის საეპისკოპოსოც არსებობს.

**საეპისკოპოსო კათედრები აღმოსავლეთ საქართველოში**

აღმოსავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები XIII ს-ის „ეკლესიათა დარიგების" მიხედვით იყო: ქართლის სამთავარეპისკოპოსო, რომლის საკათედრო ტაძარი იყო სამთავრო მცხეთაში, აწყურის, ქასაგის, კუმურდოს, ნინოწმინდის, იშხნის, ანჩის, ტბეთის (შავშეთის ტბეთი), წუნდის (მტკვრის ხეობაში ხერთვისთან), წყაროსთავის (წყაროსთავი ჯავახეთში), ერუშეთის (ორი ისტორიული მხარის ერუშეთისა და არტაანის საეპისკოპოსო კათედრა მდებარეობდა ნაქალაქევში მდ. ერუშეთის ხეობაში), მაწყვერის, წინწყაროს (ქვემო ქართლში), რუსთავის (დღევანდელი რუსთავი), წილკანის, კაწარეთის (კაწარეთი დღევანდელ საგარეჯოს რაიონში, მდ. იორის მარცხენა ნაპირას), ურბნისის, რუისის, სამთავისის, ნიქოზის, ბოლნისის, ხარჭაშნის (ერწო-თიანეთში), ტფილელის, წილკნის, ბანის, შუამთა-ქალაქის (კახეთში) დმანისის, დადაშის (საჯუხეში), გიშის (დღევ. საინგილოში).

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ქართლის კათალიკოსისადმი დაქვემდებარების შემდეგ, აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტი არ მოშლილა, მაგრამ XV ს-ის II ნახევრამდე ის, ფაქტობრივად, მხოლოდ აფხაზეთის საერისთავოს ეპისკოპოსს წარმოადგენდა. „ქართლის" ან კიდევ „ყოვლისა საქართველოისა" კათალიკოსი კი XI ს-დან პატრიარქის, იგივე „დიდი მამამთავრის" ტიტულსაც ატარებს. კათალიკოს-პატრიარქის ტიტულით პირველად მელქისედეკ I (1010-1033) არის დამოწმებული.

XI-XIII სს-ში აღმოსავლეთ საქართველოში 30-მდე საეპისკოპოსო კათედრა იყო. აღსანიშნავია, რომ ქართული მართლმადიდებლური კარის (ყარსის), ანის (ანისის) და ვალაშკერტის საეპისკოპოსო კათედრები საქართველოში შემავალ სომხურ ქვეყნებშიც არსებობდა. მათ მიტროპოლიტი ედგა

სათავეში, რომელსაც „დიდი სომხეთის მიტროპოლიტი" ეწოდებოდა. ის ქართლის კათალიკოს-პატრიარქს ექვემდებარებოდა.

IX-X ს-დან ქრისტიანულ სამყაროში ახალი განხეთქილება მომწიფდა. ფაქტობრივად ბრძოლა მიდიოდა პირველობისათვის რომის პაპსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს შორის, მაგრამ ამ ბრძოლამ რიტუალურ-დოგმატიკური ხასიათი მიიღო. განხეთქილების საბაბი გახდა დავა სამებაში სულიწმინდის არსის შესახებ. ბიზანტიის და საერთოდ აღმოსავლურ-ქრისტიანული ეკლესია თვლიდა, რომ სულიწმინდა გამომდინარეობდა მხოლოდ მამა ღმერთისაგან, მაშინ როდესაც დასავლურ-ქრისტიანული სამყაროს აზრით, სული წმინდა გამომდინარეობდა თანაბრად როგორც მამა ღმერთისაგან, ისე ძე ღმერთისაგან. განსხვავება იყო ღვთის მსახურების წესშიც. 1054 წლის ივლისში რომის პაპის ლეგატმა (ელჩმა) კონსტანტინოპოლის წმინდა სოფიის ტაძრის საკურთხეველზე დადო რომის პაპის ბულა (სიგელი), სადაც ანათემას იყო გადაცემული კონსტანტინოპოლის პატრიარქი. რამდენიმე დღის შემდეგ ბიზანტიის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ ანათემას გადასცა რომის პაპი და მისი ბულა დაწვა. ასე დაედო სათავე ქრისტიანულ ეკლესიაში დიდ განხეთქილებას ანუ სქიზმას, რომელმაც ის მართლმადიდებლებად და კათოლიკებად გაყო.

აღსანიშნავია, რომ ბერძნებსა და რომის პაპს შორის დავაში ქართული ეკლესია იმთავითვე არ ჩარეულა. ქართველები კარგად ხედავდნენ ღვთის მსახურების წესში იმ განსხვავებას, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანებს შორის არსებობდა, მაგრამ ქართული ეკლესია იმჟამად ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა რიტუალურ განსხვავებებს და მათ დასავლეთის და აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიების განსხვავებული განვლილი ისტორიული გზით ხსნიდა.

ქართული ეკლესია, ბერძნულისაგან განსხვავებით, სქიზმის შემდეგ კიდევ 200 წელი ექვს პატრიარქს ახსენებდა და, ამგვარად, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის გარდა, დანარჩენ ხუთში რომის პაპსაც გულისხმობდა.

რომის პაპის პატრიარქად მოხსენიება საქართველოში XIV ს-ის დასაწყისიდან შეწყდა. 1318 წ. კათოლიკურმა ეკლესიამ თავისი დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაცია შექმნა მონღოლთა ილხანთა სახელმწიფოში და ამით ის ქართული ეკლესიის თვალში საბოლოოდ გაემიჯნა მართლმადიდებლურ სამყაროს.

იმხანად საპატრიარქო ეკლესიებს სამოციქულო ეკლესიებიც ეწოდებოდათ, ვინაიდან ითვლებოდა, რომ ისინი ქრისტეს უშუალო მოწაფეებმა – მოციქულებმა დააარსეს. XI ს-დან პირველ ხუთ საპატრიარქო ეკლესიასთან თავისი თანასწორობის დასამტკიცებლად, ქართულმა ეკლესიამაც წინ წამოსწია ის ფაქტი, რომ ისიც სამოციქულო ეკლესია იყო. ჩვენ ქვეყანაში, როგორც გვაჩვენებს, ქრისტიანობა თავდაპირველად ქრისტეს მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა იქადაგეს. სწორედ ამ არგუმენტს მოუხმო XI ს-ის შუა წლებში გიორგი მთაწმინდელმა იმ დისპუტში (კამათში), რომელიც მასსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის თაობაზე გაიმართა. ანტიოქიის პატრიარქმა გიორგი მთაწმინდელს უსაყვედურა ის, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მისი აზრით, საქართველოში თორმეტ მოციქულთაგან არც ერთი არ მოსულა, ქართულ ეკლესიას სრული დამოუკიდებლობა ჰქონდა.

### გიორგი მთაწმინდელი დასავლეთის და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის მიმდინარე განხეთქილების შესახებ

დაახლოებით 1065 წ. გიორგი მთაწმინდელი დიდი პატივით მიიღეს ბიზანტიის კეისარ კონსტანტინე დუკას კარზე. მასთან შეკრებოდა ბიზანტიის მრავალი „დიდებულნი და წარჩინებულნი, მონაზონნი და სოფელნი". კეისარმა მიუღ [illegible] ქართველ [illegible] ქართულ ქრისტიანობის შესახებ ჰკითხა და როდესაც მისი პასუხით ქართულ და ბერძნულ ეკლესიების სრულ ერთობაში დარწმუნდა, მაშინ რომისა და კონსტანტინოპოლის შორის საეკლესიო განხეთქილების შესახებ ჩამოუგდო საუბარი. ბიზანტიის კეისარს აინტერესებდა გიორგი მთაწმინდელს, თუ საიდან წარმოიშვა დასავლური და აღმოსავლური ქრისტიანული ეკლესიების ღვთისმსახურების წესებს შორის არსებული ერთ-ერთი მთავარი განსხვავება: დასავლური ეკლესია შესაწირავად იყენებს უფუარ ანუ საფუვრის გარეშე გამომცხვარ პურს და ხუფუარ ღვინოს, ხოლო აღმოსავლეთის ეკლესია კი საფუვრით გამომცხვარ პურს და წყალგარეულ ღვინოს. რაზედაც გიორგი მთაწმინდელმა უპასუხა: „პაპი პეტრე, ვინაიდან ბერძენთა შორის მრავალგზის ასწავლა თავისი მწვალებლობანი, ... ამისთვის იქნება შეაჩვენეს ღვთისმსახურთა მიერ წმინდა კრებებმა მოაწყვეს და დაწყევლილებით გამოთქვეს ..., და დაამწყსეს, რათა მწვალებლებმა ცომსა ქრისტეს ხორცისა წილ, ხოლო პურისა ცომისა -სულისა გარეშისა წილ და მარილისა (საფუვარისა) - გარეშისა წილ –

ხოლო პეტრეს (იგულისხმება რომის პაპი და დასავლეთის ეკლესია), იცნეს რა ერთნი ღმერთი, არასოდეს გადაუხვევიათ და არც მწვალებლობას არ შეჰყოლია მათში, ამიტომ, როგორც პირველ-მოციქულმა პეტრემ, მიაწოდა ქასხენი მსხვერპლი და უფუარი კი ამიტომ, რომ თვით უფალმა სერობის დღეს ამ მისცა თავის მოწაფეებს, ასევე აღასრულებენ იგინიც. და არაფერია ამაში საეჭვო, მთავარია სარწმუნოება იყოს მართალი"[1]

მაშინ როდესაც, წესით ის ანტიოქიის პატრიარქს უნდა დაქვემდებარებოდა. „წმიდაო მეუფეო, - მიუგო ანტიოქიის პატრიარქს გიორგი მთაწმინდელმა - შენ იტყვი, პეტრეს (იგულისხმება პეტრე მოციქული) საყდარსა ვზით, ხოლო ჩვენ ანდრია პირველწოდებულისა ... ხუედრი ვართ და სამწყსო, მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. თორმეტ მოციქულთაგან ერთი - სიმონ კანანელი - ჩვენ ქუეყანასა დამარხული, აფხაზეთსა, ნიკოფსიასა. ... და, ვინაიდან ერთხელ ვცანით ღმერთი, აღარ უარგვყვია და ჩვენი მოდგმა არასოდეს გადავარდნილა მწვალებლობაში. ყველა ღმრთის უარმყოფელს და მწვალებელს შევაჩვენებთ — და მართლმადიდებლობასა და მოციქულთა ნაქადაგებ სარწმუნოებაზე მტკიცედ ვართ. ახლა რაც შეეხება მორჩილებას. წმიდაო მეუფეო, წესია, რომ ხმობილი დაემორჩილოს მხმობელს. ასე რომ, პეტრე ჯერ არს დაემორჩილოს თავის მხმობელ ძმას ანდრეას. ამგვარად, თქვენ უნდა დაგვემორჩილოთ ჩვენ". საქმე ისაა, რომ სახარების თანახმად, ორი მებადური ძმიდან ქრისტემ თავის მოწაფედ პირველად ანდრია მოუწოდა. აქედან მოდის მისი მეტსახელი „პირველწოდებული". ანდრიამ კი შემდგომ ქრისტეს მოწაფედ თავისი ძმა პეტრე მოუხმო. გიორგი მთაწმინდელის ამ არგუმენტს ანტიოქიის პატრიარქმა ვერაფერი დაუპირისპირა.

საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში ეტაპობრივი როლი **რუის-ურბნისის კრებამ** შეასრულა. ის 1104 წ. დავით აღმაშენებელმა მოიწვია. ასეთი საეკლესიო კრება საქართველოში მანამდე არ ჩატარებულა. ამ კრებას თვით დავით აღმაშენებელი დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას ანიჭებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მასზე საგანგებოდ მოიწვიეს დავით აღმაშენებლის მამიდა, ბიზანტიის დედოფალყოფილი დიდი მონაზონი მართა-მარიამი. რუის-ურბნისის კრების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო, ქრისტიანული სამყაროსათვის ქართული ეკლესიის, როგორც უძველესი მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის წარმოჩენა.

„ძეგლის წერაში", რომელიც ამ კრებამ მიიღო, ჩამოყალიბებულია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მრწამსი. დაწვრილებით ჩამოთვლილია ის მსოფლიო თუ ადგილობრივი კრებები და წმინდა მამათა სწავლებანი, რომელთაც ეს მრწამსი ეფუძნება. აქვე საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ ქართული ეკლესია სამოციქულო ეკლესიაა, რადგანაც საქართველოში პირველად ქრისტიანობა „მოციქულთა თავის პეტრეს ძმამ, პირველწოდებულმა ანდრიამ" იქადაგა. ამ ფაქტის ხაზგასმით ქართული ეკლესია მსოფლიო საპატრიარქო ეკლესიებს შორის თავის ადგილს იმკვიდრებდა.

რუის-ურბნისის კრებამ უღირსი მღვდელმთავრები გადააყენა. მან უშუალოდ ქრისტიანული სამართლის საკითხებზეც იმსჯელა და ქართული საეკლესიო წესები კიდევ ერთხელ მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის კანონებთან შეაჯერა. ეს სამუშაო საეკლესიო კრებამ ჩვენთვის უკვე ცნობილ, ეფთვიმე მთაწმინდელის „მცირე სჯულის კანონზე" და არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილ „დიდი სჯულის კანონზე" დაყრდნობით ჩაატარა.

XI-XIII სს-ში ქართული საეკლესიო ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიასთან დამოკიდებულება წარმოადგენდა. იმხანად საქართველოს სამეფოს საზღვრებში სომხური მიწების დიდი ნაწილი შევიდა და სომხურმა მოსახლეობამ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგინა. ასეთ პირობებში სომხურ ეკლესიასთან დამოკიდებულება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საეკლესიო და იმავდროულად საშინაო პოლიტიკის საკითხად იქცა.

XI-XIII სს-ში საქართველოს სამეფო მრავალრელიგიურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. აქ მოსახლე ებრაელები და მუსლიმები სხვა რელიგიებს მიეკუთვნებოდნენ და ქართული სახელმწიფო მათი გაქრისტიანებისათვის ნაკლებად ზრუნავდა. მათგან განსხვავებით სომხები ქართულ ეკლესიას მწვალებლებად მიაჩნდა და მათ კვლავ მართლმადიდებლობაში მოქცევას ცდილობდა. ამ მიზნით აღნიშნულ საუკუნეებში ქართველთა და სომეხთა არაერთი ერთობლივი საეკლესიო კრება ჩატარდა. ეს კრებები მიზნად სომხური ეკლესიის ქართულ ეკლესიასთან გაერთიანებას ისახავდა. პირველი ასეთი კრება, როგორც ვნახეთ, ბაგრატ IV-ის ხანაში ლორტილას გაიმართა. ამ მიმართულებით ქართული ეკლესია განსაკუთრებით გააქტიურდა დავით აღმაშენებლისა და შემდეგ თამარ მეფის ხანაში. დავით მეფემ ქართული და სომხური ეკლესიების გაუთავებელი დავისათვის ბოლოს მოღების მიზნით, თავის კარზე მოიწვია ქართლის კათალიკოსი იოანე, არსენ იყალთოელი, სხვა ქართველი და სომეხი ღვთისმეტყველები, ეპისკოპოსები და მონასტრების წინამძღვრები. კამათი დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ არავითარი შედეგი არ გამოუღია. დაახლოებით 1205 წ. თამარის კარზე ქართველ და სომეხ მღვდელმთავართა და ღვთისმეტყველთა კიდევ ერთი შეკრება შედგა. ამ შეხვედრის შემდეგ ივანე მხარგრძელი და მრავალი სომეხი წარჩინებული მართლმადიდებლობაზე გადავიდა. ივანეს ძმა, ჩვენთვის კარგად ცნობილი ზაქარია მხარგრძელი სომხურ ეკლესიაში დარჩა. მან მოინდომა სომხური საეკლესიო წესები ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წესებისათვის დაეახლოებინა, რათა მომავალში სომხური ეკლესიის ქართულ ეკლესიასთან შეერთება ნაკლებად მტკივნეული გამხდარიყო. ამისათვის

მან 1205 და 1207 წლებში სომხური საეკლესიო კრებებიც კი მოიწვია, მაგრამ საბოლოოდ თავის მიზანს ვერ მიაღწია. მოგვიანებით ზაქარიას შვილი ივანე მხარგრძელიც მართლმადიდებლობას ეზიარა.

**X–XIII სს-ში საქართველოს ეკლესია ჩრდილოეთ კავკასიაში დიდ მისიონერულ მისიას ასრულებდა.** ქრისტიანული ეკლესიის მიერ წარმართთა შორის ქრისტიანობის გავრცელებისათვის გაგზავნილ მქადაგებელს მისიონერი ეწოდება. საქართველოს ეკლესიის გაერთიანებამდე დასავლეთ კავკასიაში ქრისტიანობა ძირითადად აფხაზეთის მეფეებისა და აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მიერ გაგზავნილ მისიონერთა მეშვეობით ვრცელდებოდა. ამას მოწმობს 922–925 წლებში კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის მიერ გიორგი II აფხაზთა მეფისადმი მიწერილი წერილები, რომლებშიც პატრიარქი მადლობას უხდის გიორგი მეფეს კავკასიის ქედის გადაღმა მცხოვრებ ალან-ოსებში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში დიდი ღვაწლისათვის.

ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ქრისტიანობას უშუალოდ ქართლის კათალიკოსი ავრცელებდა. ქართველი მისიონერების დიდი შრომის წყალობით ქრისტიანობამ თითქმის მთელი დაღესტანი მოიცვა. XIII ს-ის დასაწყისისათვის ამ მთიან მხარეში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისადმი დაქვემდებარებული სამიტროპოლიტო არსებობდა, რომელიც რამდენიმე საეპისკოპოსოს აერთიანებდა. დაღესტანში საქართველოს ეკლესიის დიდ გავლენას მოწმობს დღემდე მოღწეული ერთ-ერთი ქართული ეკლესიის ნანგრევები, რომელიც დათუნას ეკლესიის სახელითაა ცნობილი. ის X–XI სს-ით თარიღდება.

საქართველოდან ქრისტიანობა ჩეჩნეთ-ინგუშეთშიც გავრცელდა. ინგუშეთში დღესაც დგას ტყობა-იერდას ტაძარი. ამ ტაძარში შემორჩენილია ქართული სამშენებლო წარწერები, რომლებშიც მოხსენიებულნი არიან ქართლის კათალიკოსი არსენი (955–980) და ეპისკოპოსი გიორგი (X ს.), აგრეთვე საქართველოს პირველი კათალიკოს პატრიარქი ჩვენთვის უკვე ცნობილი მელქისედეკ I. აღსანიშნავია, რომ წარწერაში ეს მღვდელმთავარი აღმოსავლეთის პატრიარქის ტიტულითაა მოხსენიებული.

## § 47. მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობა

შუა აზიის დაპყრობის შემდეგ, ჩინგის ყაენი თავის ვაჟებთან ერთად ისევ მონღოლეთში დაბრუნდა, სადაც 1227 წ. გარდაიცვალა. ჩინგის ყაენის ანდერძის თანახმად, მისმა ოთხმა ვაჟმა დაპყრობილი და დასაპყრობი ქვეყნები გაინაწილა. თითოეულის წილხვედრ ქვეყანას ულუსი ეწოდებოდა. დიდ ყაენად და მონღოლთა სახელმწიფოს საერთო მეთაურად არჩეულ იქნა ჩინგიზ ყაენის მესამე ვაჟი უგედეი. მის განკარგულებაში იყო საკუთრივ მონღოლეთი დედაქალაქ ყარაყორუმითურთ, ჩინეთი, და დაპყრობილი ქვეყნები აღმოსავლეთ აზიაში. უგედეის და თულის ულუსების დასავლეთით მდინარეების სირ-დარიასა და ამუ-დარიას შუა წელამდე ჩაღათას ულუსი იყო გადაჭიმული. მდინარეების ირტიშისა და იბის სათავეებიდან არალის და კასპიის ზღვებამდე ჯუჩის ულუსი მდებარეობდა. ჯუჩის, როგორც უფროსი შვილს, ჩინგის ყაენის ანდერძით, უნდა რგებოდა აგრეთვე მომავალში დასაპყრობი ხვარაზმი და კავკასია. 1230 წლიდან ჩინგის ყაენის შვილებმა და შვილიშვილებმა ახალი დაპყრობითი ომები წამოიწყეს.

1236 წ. ჩინგიზ ყაენის შვილიშვილმა ჯუჩის ძემ ბათუმ მდ. იაიკი (დღევანდელი ურალი) გადალახა და მდ. ვოლგაზე არსებული თურქული სახელმწიფო ვოლგის ბულგარეთი გაანადგურა. ამის შემდეგ ბათუ რუსეთში შეიჭრა. რუსეთი იმჟამად ცალკეულ სამთავროებად იყო დაშლილი. მონღოლებმა რუსეთის ქალაქები რიაზანი, პერეიასლავლი, იურიევი, ტვერი, ვლადიმირი ... აიღეს და გაანადგურეს. 1238 წ. მდ. სიტიზე რუსეთის ძირითადი ძალები ვლადიმირის მთავრის იური ვსევოლოდის ძის მეთაურობით მონღოლებმა სასტიკად დაამარცხეს. 1239 წ. მონღოლებმა დაიკავეს ყირიმი, 1240 წ. კი კიევი აიღეს და გადაწვეს. 1241 წ. მონღოლები პოლონეთსა და უნგრეთში შეიჭრნენ. აქ მათ აიღეს და გაანადგურეს ქალაქები ლიუბლინი, სანდომირი, კრაკოვი ... მონღოლებთან ბრძოლაში სასტიკად დამარცხდნენ პოლონეთის მთავარი ჰენრი ღვთისმოსავი და უნგრეთის მეფე ბელა IV. ამ უკანასკნელის 60 ათასიან ლაშქარს მონღოლებმა მუსრი გაავლეს. ამის შემდეგ ისინი ხორვატიასა და სერბიაში შეიჭრნენ და

იური ვსევოლოდის-ძე

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ვლადიმერის მთავარი იური ვსევოლოდის ძე იყო თამარის პირველი მეუღლის იური ბოგოლუბსკის სასიძო.

ადრიატიკის ზღვის ნაპირზე გავიდნენ. მათ ქალაქ ვენეციამდე სულ მცირე მანძილი აშორებდათ. მონღოლთა არნახულმა წარმატებამ ევროპის მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია. შიშმა მონღოლთა ლაშქრობების არეალს მნიშვნელოვნად დაშორებული საფრანგეთი და ინგლისიც კი მოიცვა. შიშის გამო ინგლისმა გარკვეული ხნით კონტინენტთან ვაჭრობაც შეწყვიტა. მაგრამ მონღოლებმა ევროპის სიღრმეში გზა ვეღარ გააგრძელეს. ხუთწლიანმა შორეულმა ლაშქრობამ ისინი დაღალა. ამდენ ბრძოლებში მათი ლაშქარი შემცირდა. ამიტომ ისინი უკან გამობრუნდნენ. უკან მობრუნებულმა ბათუ ყაენმა 1243 წ. საფუძველი ჩაუყარა ახალ სახელმწიფოს ოქროს ურდოს. მას „ჯუჩის ულუსსაც“ უწოდებდნენ. მისი დედაქალაქი გახდა ვოლგის ქვემო წელზე დაარსებული ქალაქი - სარაი ბათუ. მოგვიანებით ოქროს ურდოს დედაქალაქმა უფრო ჩრდილოეთით ვოლგისავე ნაპირას მდებარე სარაი-ბერქაში გადაინაცვლა. ოქროს ურდო მდინარეების ირტიშის და ობის სათავეებიდან (დასავლეთ ციმბირი), ჩრდილოეთით ბალტიის ზღვამდე, სამხრეთით დუნაის შესართავამდე, კავკასიონის მთავარ ქედამდე და არალის ზღვამდე (შუა აზიაში) გადაიჭიმა **(იხ. რუკა 19)**.

ჯერ კიდევ 1231 წ. მონღოლებმა ადარბადაგანი და რანი დაიკავეს. საქართველო შეეცადა კარზე მომდგარი მტრის წინააღმდეგ მეზობელ სახელმწიფოებს დაკავშირებოდა. მით უფრო, რომ მონღოლები ხლათის აღებას ლამობდნენ. ამ მიზნით საქართველოს ელჩი ხლათის საშველად წამოსულ ეგვიპტის სულთანს ეახლა და მონღოლების წინააღმდეგ საერთო ბრძოლა შესთავაზა. მაგრამ მონღოლებმა ეგვიპტის სულთნის მოახლოება რომ გაიგეს, ხლათს თავი გაანებეს და გაშორდნენ. ასეთ ვითარებაში ეგვიპტის სულთანისათვის მონღოლებთან ბრძოლა ნაკლებად მნიშვნელოვანი ჩანდა. მან მთელი თავისი ძალები რუმის სასულთნოს წინააღმდეგ წარმართა. ამგვარად, საქართველოს სამეფო კარის მცდელობას მონღოლთა წინააღმდეგ ეგვიპტე გამოეყენებინა, შედეგი არ მოჰყოლია. მაშინ საქართველოს ხელისუფლებამ ხერხს მიმართა: მონღოლები რუმის სასულთნოს წინააღმდეგ წააქეზა და შეეცადა მათი ყურადღება საქართველოდან რუმის სასულთნოზე გადაეტანა. მართლაც მონღოლთა ლაშქარმა, რომელსაც ქართველთა რაზმიც ახლდა, რუმის სასულთნოს მოსაზღვრე ტერიტორია დაარბია. ამის შემდეგ მონღოლები ისევ ადარბადაგანში დაბრუნდნენ. განრისხებული რუმის სულთანი კი, საქართველოს წინააღმდეგ დაიძრა. სელჩუკები იმიერ ტაოში შემოიჭრნენ და ხახულისა და თორთუმის ქვეყნები დაიჭირეს. ასეთ ვითარებაში რუსუდანი იძულებული იყო 1233 წ. რუმის სულთნისათვის ზავი ეთხოვა. ზავის პირობები ითვალისწინებდა რუსუდანის ასულის თამარის გათხოვებას სელჩუკ უფლისწულზე ქაი-ხუსრევზე, რომელსაც ქართული წყაროები გიას ად-დინის სახელით იცნობენ. ქორწილი მოგვიანებით, 1237 წ. მოხდა, როდესაც მამის გარდაცვალების შემდეგ ქაი-ხუსრევი ტახტზე ავიდა. რუმის სასულთნოში თამარს „გურჯი ხათუნს“ უძახდნენ, რაც „ქართველ ქალბატონს“ ნიშნავს. ამ სახელით მოიხსენიებენ მას არაბი და სპარსელი ავტორები. თამარი ქრისტიანად დარჩა. რუსუდანმა თამარს უცხო ქვეყანაში მრავალრიცხოვანი მოახლე-მსახურები და დიდი ამალა გაატანა. ამალაში იყო თამარის ბიძაშვილი, ლაშა-გიორგის უკანონო შვილი დავითიც, რომელიც რუსუდანმა საქართველოდან საგანგებოდ გაისტუმრა, რათა მას მცირეწლოვან ვაჟს, აგრეთვე დავითს მომავალში ტახტის მოცილე არ გასჩენოდა. ამის შემდეგ მალევე რუსუდანმა თავისი ვაჟი დავითი თანამოსაყდრედ აკურთხა.

რუმის სასულთნოსთან დადებული ზავის პირობების თანახმად, ქართველთა ლაშქარმა მონაწილეობა მიიღო 1234 და 1237 წლებში რუმის სულთნის ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლებშიც.

რუსუდანის სამეფო კარი ყველა ღონეს ხმარობდა, რათა ქვეყნისათვის მონღოლთა შემოსევა აეცილებინა. სამწუხაროდ, რუმისა და ეგვიპტის სულთნებმა, ისევე, როგორც ადრე ჯალალ ად-დინმა, სიბეცე გამოიჩინეს. მონღოლთა წინააღმდეგ წინა აზიის სახელმწიფოთა ერთიანი ფრონტის ორგანიზაციის ნაცვლად ისინი ერთმანეთთან ომითა და ურთიერთობების გარკვევით აღმოჩნდნენ დაკავებულნი. რუსუდანმა ახლა დახმარებისათვის ევროპას მიმართა. რომის პაპ გრიგოლ IX-სადმი გაგზავნილ წერილში რუსუდანი რომის პაპს დახმარების შემთხვევაში კათოლიკურ მრწამსზე გადასვლასაც აღუთქვამდა. მაგრამ რომის პაპი 1240 წ. რუსუდანისადმი გამოგზავნილ წერილში საქართველოს საიმედო ვერაფერს სთავაზობდა, ვინაიდან ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ ჯვაროსნული ომებით იყო გართული.

VI და VII ჯვაროსნული ლაშქრობები

VI ჯვაროსნული ომი 1228-1229 წწ-ში, ხოლო VII 1248-1254 წწ-ში მიმდინარეობდა. აქედან მეშვიდე ლაშქრობა ჯვაროსანი რაინდების სასტიკი მარცხით და თვით საფრანგეთის მეფის ლუი IX-ის ტყვედ ჩავარდნით დამთავრდა.

ასეთ ვითარებაში საქართველოს მესვეურებმა ერთადერთი სწორი გზა აირჩიეს. მათ გადაწყვიტეს მონღოლებისათვის წინააღმდეგობა არ გაეწიათ, რათა ქვეყანა დანგრევა-ამოწყვეტისაგან ეხსნათ. ამ დროისათვის ქართველი პოლიტიკოსები უკვე კარგად იცნობდნენ მონღოლებს. მათ იცოდნენ, რომ მონღოლები დაუნდობლად უსწორდებოდნენ იმ ქალაქებსა და ქვეყნებს, რომლებიც მათ წინააღმდეგობას უწევდნენ. საქართველოს მეფე მოწმე იყო შუა აზიისა და სპარსეთის ქალაქების სრული განადგურებისა და ასობით ათასობით ადამიანის დაუნდობლად ამოწყვეტისა. მონღოლთა შემაჩერებელი ძალა კი იმჟამად არა თუ საქართველოს, მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოს არ გააჩნდა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს დახმარების იმედი ყიფჩაყებისა და ჩრდილო კავკასიელი ტომებისაც ვერ ექნებოდა (ჩრდილო კავკასია კი საქართველოსათვის ტრადიციულად საუკუნეთა განმავლობაში დიდი საყრდენი იყო წინა აზიელ მტრებთან ბრძოლაში), ვინაიდან მონღოლებმა, როგორც ვიცით, იმ დროისათვის ვოლგასა და დუნაის შორის მთელი ტერიტორია დაიმორჩილეს და ჩრდილო კავკასიის ველებში მცხოვრები ყიფჩაყები გაანადგურეს.

1235-1242 წწ-ში მონღოლებმა დასავლეთ საქართველოს გარდა მთელი საქართველო დაიპყრეს. ქართველი დიდებულები რიგ-რიგობით აბარებდნენ მონღოლებს საგამგებლო ქვეყნებს. მემატიანე შექმნილ ვითარებას შემდეგნაირად აღგვიწერს: „ვინც მივიდოდა მონღოლებთან ქართველი მთავართაგანი მის ქვეყანას შეიწყნარებდნენ, ხოლო ურჩთა ქვეყანას ამოწყვეტდნენ". ყველაზე უფრო ამიტომ ქართულ ქვეყნებს შორის მესხეთი დაზარალდა, რომლის ერისთავთ-ერისთავი ივანე, იგივე ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვარელი მანამ არ დანებდა მონღოლებს, სანამ მეფე რუსუდანისაგან მათთან ბრძოლის შეწყვეტის სპეციალური ნებართვა არ მიიღო.

### მონღოლები XIV ს-ის ქართველი ისტორიკოსის თვალით

XIV ს-ის ქართველი მემატიანე, რომელსაც „ჟამთააღმწერელს" უწოდებენ, მონღოლებს შემდეგნაირად აღწერს და ახასიათებს: „უცხონი, უცხო სახე, უცხო ცხოვრება. [illegible] ... [illegible]"

1242 წ. რუსუდანმა ქართველი დიდებულები მონღოლ ნოინებთან მიავლინა. მან მონღოლებისაგან ზავი და მისი შვილის დავითის მეფედ დამტკიცება ითხოვა. მონღოლები სიხარულით შეხვდნენ რუსუდანის თხოვნას. მათ საქართველოსთან ომის დასრულება აწყობდათ, ვინაიდან რუმისა და ეგვიპტის სასულთნოებში შეჭრას ესწრაფოდნენ. მონღოლებმა რუსუდანს მისი და მისი ვაჟის უსაფრთხოება აღუთქვეს, თანაც საქართველო თავის საზღვრებში აღიარეს, რაც ქართული დიპლომატიის უდავოდ დიდი მიღწევა იყო. აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლებმა თავისი გარნიზონები ჩააყენეს, დასავლეთ საქართველოში კი არც გადასულან. საქართველოს, როგორც ვასალურ ქვეყანას მონაწილეობა უნდა მიეღო მონღოლთა ლაშქრობებში და მონღოლთა სასარგებლოდ ყოველწლიურად 50 ათასი პერპერა გადაეხადა. ქართველი დიდებულები მონღოლებმა თავიანთ სამხედრო არისტოკრატიას გაუთანაბრეს და მათი მსგავსი პრივილეგიები მიანიჭეს. წარმართი მონღოლები არც ქართულ ეკლესიას ებრძოდნენ - მათ ეკლესიას მთელი ქონება შეუნარჩუნეს. მალე მონღოლებმა დავით რუსუდანის ძე მეფედ დასამტკიცებლად ჯერ ვოლგაზე, ბათუ ყაენთან, შემდეგ კი მონღოლთა დედაქალაქ ყარაყორუმში, დიდ ყაენთან წარავლინეს. მემატიანის ცნობით, დავით რუსუდანის-ძე ჩინებული მოისარი, მხედარი და მეომარი იყო: „ტანით ზომიერი და თხელი, სახით ლამაზი და მშვენიერი". მისი სილამაზით მოხიბლულმა მონღოლებმა მას დავით „ნარინი" ანუ დავით „მანათობელი", „დავით მშვენიერი" უწოდეს.

რუმის სასულთნო მონღოლებთან ბრძოლის წინ

1230-იან წლებში რუმის სულთანმა ქაი-ხუსროვმა ეგვიპტის სულთანი დაამარცხა, მის ხლათის ქვეყანა წაართვა. ამავე ხანებში მან საქართველოს მიმდებარე ერზრუმის, სურმარის და სხვა წვრილ-წვრილი სამთავროები შემოიერთა და აღმოსავლეთით თავისი საზღვარი ადარბადაგანის სათავადოებამდე გადაწია.

1243 წ. მონღოლები რუმის სასულთნოში შეიჭრნენ და ქალაქების ერზინჯანისა და სივასის მიმდებარე მხარეების რბევა დაიწყეს. ქართული ლაშქარი ზავის პირობების თანახმად, მონღოლებს თან ახლდა. რუმის სულთანი თავისი ლაშქრით მონღოლთა საიხლოვეში როცა დაბანაკდა, მემატიანის ცნობით, მონღოლი ნოინი ქართველთა სარდალთან მისულა და სიცილით უთქვამს: „სამახაროებლო გეკუთვნით, რადგან უნდა გახაროთ, რომ სულთანს ჩვენი მოსვლა შეუტყვია, მოსულა და ჩვენს ახლოს დაბანაკებულა უზარმაზარი ჯარით". ამაზე ქართველ სარდალს მიუგია: „ეგეც ომში თქვენი სიმხნე და წარმატებულობა, მაგრამ მტრის სიმრავლეში სასიხარულოს ვერაფერს ვხედავთ". მაშინ ნოინს უპასუხია: „როგორც ჩანს, კარგად არ გვიცნობ ჩვენ, მონღოლებს. რადგან ღმერთი გვანიჭებს გამარჯვებას, არად დაგვიდგეთ მტრის სიმრავლეს განა მრავალრიცხოვანი მტრის დამარცხება არ სჯობს, უფრო მეტი ალაფით არ ავივსებით"? აი, რა განწყობა სუფევდა იმჟამად მონღოლთა ლაშქარში. „ასე იყვნენ გალაღებულნი (გაყოყოჩებულნი) კაცთა მთელ მოდგმაზე", აღნიშნავს ქართველი მემატიანე. ბრძოლა, რომელიც მეორე დღეს ქოსა-დაღთან მოხდა, რუმის სულთნის ქაი-ხუსროვის (ყიას ად-დინის) 400 ათასიანი ლაშქრის სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. მონღოლებმა ხელჩუკეს დიდ მანძილზე სდიეს და რუმის დედაქალაქ იკონიას მიადგნენ. მაშინ რუმის სულთანმა მონღოლებს ზავი სთხოვა, აურაცხელი ძვირფასეულობა ძღვნად მიართვა და ხარკის გადახდა იკისრა. რუმის სასულთნო, რომელიც, მონღოლებთან შეტაკებამდე ცოტა ხნით ადრე, ეგვიპტელებთან გამარჯვებული იმას შემდეგ, წინა აზიის უდიდეს და უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა, მონღოლებმა ერთი დარტყმით გაანადგურეს. მისი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, მდინარე ყიზილ ირმაკის აღმოსავლეთით მდებარე მიწები მონღოლებმა უშუალოდ შეიერთეს. ქაი-ხუსროვს კი, ხარკის გადახდისა და მორჩილების პირობით მხოლოდ ყიზილ ირმაკის დასავლეთით მდებარე ტერიტორია დაუტოვეს. მცირე აზიაში მონღოლთა ყაენის ნაცვლის მთავარი რეზიდენცია, ჩვენთვის უკვე ცნობილი, ქალაქი აქსარაი გახდა. 1307 წლისთვის რუმის სასულთნომ არსებობა შეწყვიტა – ის ცალკეულ საემიროებად დაიშალა.

დავით რუსუდანის ძის ყარაყორუმში გამგზავრების შემდეგ, მასზე და მის თანმხლებთა შესახებ არაფერი ისმოდა. ამასობაში რუსუდანიც გარდაიცვალა და ქვეყანაში უმეფობის ხანა დადგა.

## § 48. მონღოლთა ბატონობის ხანა საქართველოში

უმეფოდ დარჩენილ საქართველოში მონღოლებმა მართვის მათთვის ჩვეული წესი შემოიღეს. მათ ქვეყანა ცხრა დუმანად დაჰყვეს. დუმანი, როგორც უკვე ვიცით, მოსახლეობის ისეთი ოდენობაა, რომელსაც 10 ათასიანი ლაშქრის გამოყვანა შეუძლია. თითოეულ დუმანს სათავეში დიდმოხელე ქართველი დიდებული ჩაუყენეს: კახეთი - ეგარსლან ბაკურციხელს, ჰერეთი კი შოთა კუპრის მისცეს საგამგებლოდ, შიდა ქართლი - გრიგოლ სურამელს, სომხითი - ვარამ გაგელს, სამხრეთ დასავლეთის ქართული ქვეყნები სამცხე-ჯავახეთიდან ქვევით არზრუმის საზღვრამდე - გამრეკელ თორელს და ყვარყვარე ჯაყელს ჩააბარეს, შანშე მხარგრძელს - ანისის ქვეყანა, ცოტნე დადიანს და რაჭის ერისთავს კი დასავლეთ საქართველო. მათ ევალებოდათ აეკრიფათ სამონღოლო ხარკი და გამოეყვანათ მხედრობა მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობის მისაღებად. ქვეყანა შედარებით დამშვიდდა და წინა აზიაში ახალ პოლიტიკურ ვითარებასთან თანდათან შეგუება დაიწყო. ქართულმა საზოგადოებამ, რომელსაც დავით აღმაშენებლის ხანიდან მოყოლებული ბრძოლის ველზე გამარჯვება ჩვევად ექცა, ბოლო ოცი წლის განმავლობაში გამაოგნებელი სამხედრო-პოლიტიკური წარუმატებლობით გამოწვეული დამნეულობა და სასოწარკვეთა გადალახა და მალე ტერიტორიების დაბრუნებასა და გაფართოებასაც კი შეუდგა. შანშე მხარგრძელმა ხლათის მონღოლთა მიერ დაპყრობით ისარგებლა, არაქსის მარჯვენა სანაპიროზე ილაშქრა და საქართველოს დიდი ხნის ოცნებას ნაწილობრივ მაინც ფრთა შეასხა - ხლათის ქვეყნის ერთი ნაწილი, სურმარის საამირო და ქალაქ ყალამქერტის მიმდებარე ქვეყანა საქართველოს შემოუერთა. მაშინ შანშეს წინააღმდეგ ყარა-ხანის მეთაურობით, თურქმანთა 60 ათასიანი ლაშქარი

გამოემართა. მანამე მხარგრძელმა კალაშკერტთან 30 ათასიან ლაშქარს მოუყარა თავი. სასტიკ ბრძოლაში თურქმანები დამარცხდნენ და გაიქცნენ. ქართველებს ხელში ჩაუვარდათ დიდი ოდენობით ცხენი, ჯორი, აქლემი, კარვები და აურაცხელი ძვირფასეულობა. ეს იყო ბოლო 20 წლის განმავლობაში ქართველთა პირველი გამარჯვება და მას უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. მალე ამ გამარჯვებას ახალი წარმატება მოჰყვა.

წინა აზიაში მონღოლებს დიდი ოდენობით თურქულ-თურქმანული ტომები შემოჰყვა. ისინი მონღოლთა ლაშქრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ. ასე რომ, თურქ მომთაბარეთა რიცხვმა ირანში, ადარბადაგანსა და მცირე აზიაში ძალზე იმატა. ამ ტომების მთავარი საქმიანობა კი მიწათმოქმედი მოსახლეობისა და ქალაქების ძარცვა-გლეჯა იყო. მცირე აზიის თურქმანობა გაერთიანდა და, საქართველოში უმეფობით გათამამებული, ტაოში შემოიჭრა. ტაო-კლარჯეთის მოსახლეობამ მათი შემოსევის ამბავი სამცხის სპასალარსა და ერისთავთერისთავს ყვარყვარე ჯაყელს აცნობა. ჯაყელი ათი ათასიანი ლაშქრით თურქმანთა წინააღმდეგ გაემართა. ბრძოლა მოხდა კალმახის ციხის სიახლოვეს, „ვანის ვაკედ" წოდებულ ადგილას და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ამის შემდეგ ყვარყვარე ჯაყელმა თავისი შვილიშვილები ივანე და სარგისი ლაშქრით გააგზავნა და, ჯერ კიდევ რუსუდანის მეფობაში, რუმის სულთნის ქაიყუბადის მიერ ქართველებისათვის წართმეული ოლთისისა და ბუღათა ყურის ციხეები თურქთაგან გაათავისუფლა.

ამ დროს მონღოლები ირანის მთიანეთში ისმაილიანთა სახელმწიფოს ებრძოდნენ. მათ ისმაილიანთა მთავარ, ალამუთის ციხე-სიმაგრეს ალყა შემოარტყეს. ალამუთის ციხის ალყა მრავალი წელი გაგრძელდა. ამ ალყაში მონღოლთა გვერდით ქართული მხედრობა მორიგეობით მონაწილეობდა. ერთხელაც ერთი ისმაილიანი ღამით მონღოლთა ბანაკში შეიპარა და ჩაღათა ნოინი მოკლა. მონღოლებმა ეჭვი ქართველებზე აიღეს და მათ ამოსაწყვეტად გაემართნენ. მაშინ ქართველმა წარჩინებულებმა გადაწყვიტეს „დანაშაული" თავის თავზე აეღოთ, რათა რიგითი მოლაშქრეები სიკვდილისაგან გადაერჩინათ. საბედნიეროდ ქართველები თვით მკვლელმა იხსნა, რომელმაც თავისი დანაშაული საჯაროდ აღიარა.

წლების განმავლობაში ალამუთის ალყაში მონაწილეობა ქართველებისათვის ძალზე მძიმე აღმოჩნდა. მით უფრო, რომ თურქმან მომთაბარეებთან ბრძოლაში წარმატებებმა მათ თავიანთი სიძლიერის რწმენა და მტერზე გამარჯვების იმედი დაუბრუნა. ასეთ ვითარებაში ქართველმა დიდებულებმა მონღოლების წინააღმდეგ აჯანყება და მათი დაქვემდებარებიდან განთავისუფლება გადაწყვიტეს. ისინი კოხტასთავს შეიკრიბნენ და აჯანყების გეგმა დასახეს. აჯანყების მზადების შესახებ მონღოლებმაც შეიტყვეს. მონღოლები კოხტასთავს შეკრებილ ქართველ დიდებულებს თავს დაესხნენ და დაატყვევეს. დატყვევებას მხოლოდ ცოტნე დადიანი, ბეგან დადიანი და რაჭის ერისთავი კახაბერ კახაბერისძე გადაურჩნენ, რომლებიც დასავლეთ საქართველოში ლაშქრის შესაკრებად ადრევე წასულიყვნენ. მონღოლებმა ქართველი დიდებულები ქალაქ ანისის ახლოს წაიყვანეს და მათი დაკითხვა დაიწყეს. ქართველები ერთხმად უარყოფდნენ აჯანყების განზრახვას. თავიანთი შეკრების მიზეზად კი მონღოლებისათვის ხარკის აკრეფის თაობაზე თათბირს ასახელებდნენ. მონღოლებმა ქართველებს არ დაუჯერეს, ისინი გააშიშვლეს, ხელები შეუკრეს და თაკარა მზის ქვეშ მოედანზე დასვეს. ცოტნე დადიანი დანიშნულ დღეს თავისი ლაშქრით შეხვედრის ადგილას მივიდა. აქ მან ქართველი დიდებულების დატყვევების ამბავი შეიტყო. მაშინ ცოტნემ ლაშქარი უკან გააბრუნა და თვითონ ორი მხლებლითურთ ანისში მონღოლთა ბანაკში გაემგზავრა. როდესაც

### ისმაილიანები

ისმაილიანები [illegible] ცნობილი შიიტურ-ისლამური მიმდინარეობის ერთ-ერთი სექტაა, რომელიც [illegible] VIII ს. 70-იან წლებში [illegible]. შიიტების მეექვსე [illegible] წინამძღოლის – იმამის, [illegible] ისმაილის [illegible]. [illegible] ისმაილიანების [illegible]. ისმაილიანებმა [illegible] 969-1171 წლებში [illegible] 1090 წ. ირანის მთებში, ქალაქ ყაზვინის ახლოს, ალამუთის [illegible] ციხე-სიმაგრეს დაეუფლნენ. [illegible] 1256 წ. მრავალწლიანი ალყის შემდეგ მონღოლებმა ალამუთის ციხე აიღეს და ისმაილიანთა სახელმწიფოს ბოლო მოუღეს.

დადიანმა ანისის მოედანზე დაყრილი თანამემამულეები დაინახა, თვითონაც გაიშიშვლდა, ხელები შეიკრა და მათ გვერდზე მიუჯდა. გაკვირვებულმა მონღოლებმა მას ასეთი ქცევის მიზეზი ჰკითხეს. ცოტნემაც უპასუხა, რომ ისინი შეიკრიბნენ ხარკის ასაკრებად და მონღოლთა ბრძანებების უკეთ შესასრულებლად. თუკი მონღოლები ამაში რამეს ისეთს ხედავენ, რაც სიკვდილით დასჯის ღირსია, მაშინ ისიც თავის მეგობრებთან ერთად შეეგებება სიკვდილს. ასეთმა გმირობამ მონღოლები აღაფრთოვანა და მათ ქართველი დიდებულები გაანთავისუფლეს.

უშედეგობამ ქვეყანა ძალზე შეაწუხა. ქართველებს დავით ნარინის დაბრუნების იმედი გადაუწყდათ, მით უფრო, რომ ამდენი ხნის განმავლობაში მის შესახებ არაფერი სმენოდათ. მაშინ დიდებულებმა ლაშა გიორგის შვილი დავითი გაიხსენეს, რომელიც ქაი-ხუსროვთან რუმის სასულთნოში იმყოფებოდა. მათ დავით გიორგის ძის რუმის სასულთნოდან დაბრუნებასა და გამეფებაში მონღოლებს დახმარება სთხოვეს. ქართულ-მონღოლური ელჩობა იკონიაში ჩავიდა. დავით გიორგის ძე საქართველოში ჩამოიყვანეს და შემდგომ მეფედ დასამტკიცებლად ჯერ ვოლგაზე ბათუ ყაენთან, იქიდან კი მონღოლთა დედაქალაქ ყარაყორუმში გაამგზავრეს. მემატიანის აღწერით, დავით გიორგის-ძე გულწრფელი და მადლმრწმენი იყო, მის მიმართ ჩადენილ ბოროტებას იოლად ივიწყებდა. ის კარგი მონადირე და მოლაშქრე ყოფილა. დავით ნარინისაგან განსხვავებით, დავით გიორგის-ძე იყო მაღალი, ახოვანი და ბრგე.

დავით გიორგის-ძე 1246 წელს უკვე ყარაყორუმში ჩავიდა. აქ მას დავით რუსუდანის-ძე და მისი ამალა დახვდა. ორ ქართველ უფლისწულს და მათ მხლებლებს შორის ტახტისათვის სასტიკი დავა გაჩაღდა. ორივე მხარე თავის კანონიერ უფლებებში მონღოლთა დარწმუნებას ცდილობდა. ყარაყორუმში ქართველ უფლისწულებს შეხვდა რომის პაპის ელჩი პლანო კარპინი. ის უფლისწულებთან ერთად დაესწრო მონღოლთა ახალი ყაენის ქიუქის კურთხევის საზეიმო ცერემონიალს, რომელიც 1246 წ-ის აგვისტოში გაიმართა. ქიუქის დიდ ყაენად კურთხევა მონღოლებმა საზეიმოდ აღნიშნეს. ქართველი უფლისწულების გარდა ყაენად კურთხევის საზეიმო ცერემონიალს მონღოლების მიერ დამორჩილებული მრავალი ქვეყნის მეფე-მთავარი, ან მათი ელჩები ესწრებოდნენ. მათ შორის იყვნენ: ვლადიმერ-სუზდალის (რუსეთის) დიდი მთავარი იაროსლავი, რუმის სულთანი რუქნ ად-დინი, ბაღდადის ხალიფას ელჩი – ბაღდადის მთავარი ყადი, არზრუმის სულთანი, კილიკიის სომხეთის მეფე – სულ „აქ იყო 4000 კაცზე მეტი ელჩი იმათგან, ვინც ხარკს იხდიდა, ან სარუქარს გზავნიდა, – წერს პლანო კარპინი – აგრეთვე სულთნები და მთავრები, რომლებიც თვითონ მოვიდნენ დასამორჩილებლად; შემდეგ ისეთები, რომლებსაც თათრებმა (მონღოლებმა) გამოუძახეს, ან რომელიმე ქვეყნის გამგებლად იყვნენ".

ქიუქმა ტახტზე ასვლის შემდეგ ქართველ უფლისწულებს შორის დავა მალე გადაწყვიტა. მონღოლები კანონიერ და უკანონო შვილებს არ ასხვავებდნენ, მაგრამ უფროს-უმცროსობას დიდ პატივს სცემდნენ. ამიტომ, მათში გავრცელებული წესის თანახმად, ორივე უფლისწული საქართველოს მეფეებად დაამტკიცეს, ხოლო მათ შორის პირველობა ასაკით უფროსს, დავით გიორგი-ძეს უბოძეს, რომელიც დღეს შეცდომით დავით „ულუს" სახელითაა ცნობილი. ამ შეცდომის მიზეზი „ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთ ხელნაწერში ერთი ადგილის არასწორი წაკითხვა გახდა. სინამდვილეში, „ულუ" ძველ თურქულ ენებში მართლაც ნიშნავს „დიდს", „დიდებულს", მაგრამ ამ სახელით „ქართლის ცხოვრებაში" ჰულაგუ ყაენი („დიდი ყაენი") მოიხსენიება. არც „ქართლის ცხოვრებამ" და არც ვახუშტი

დავით გიორგის ძის [illegible]

როგორც გვახსოვს, რუსუდან მეფემ დავით გიორგის ძე 1237 წ. რუმის სულთანზე გათხოვილ თავის ასულ თამარს ამალაში გააყოლა. ამით მან თავის ვაჟს ტახტის შესაძლო მეტოქე ჩამოიცილა. „ქართლის ცხოვრებაში" შემონახულია ნახევრად ლეგენდარული ცნობები, ამ თავგადასავლის შესახებ, რომელიც დავით გიორგის ძეს რუმის სასულთნოში გადახდა. ამ გადმოცემის მიხედვით, [illegible]

ბაგრატიონმა არაფერი იცის დავითის „ულუ" მეტსახელის შესახებ და მას უბრალოდ დავით ლაშას (ან გიორგის) ძედ მოიხსენიებს, იმავდროულად ორივე იცნობს დავით რუსუდანის ძის მეტსახელს – „ნარინს". თანამედროვეები დავითებს, მათი ერთმანეთისაგან გასარჩევად, როგორც ჩანს, „მცირეს" და „დიდს" უწოდებდნენ. მათი ეს მეტსახელი შემოგვინახა სომეხმა ისტორიკოსმა მხითარ აირივანელმა. ის მათ თავის საქართველოს მეფეთა ნუსხაში სომხურად „ფოქრს" და „მეწს" უწოდებს, რაც სწორედ ქართული „მცირის" და „დიდის" სომხური თარგმანია.

ორივე დავითი სამშობლოში ერთდროულად, 1247 წლის დასაწყისში დაბრუნდა. ამგვარად, კარგა ხნით უმეფოდ დარჩენილ საქართველოს ტახტზე ერთდროულად ორი მეფე ავიდა. ორი დავითის ერთად მმართველობა სულ რამდენიმე წელი გაგრძელდა. დავით რუსუდანის ძემ (1246-1293) მონღოლთა ბატონობას ვერ გაუძლო და დასავლეთ საქართველოში გაიქცა. დავით ნარინს დასავლეთ საქართველოს დიდებულები დიდი სიხარულით შეეგებნენ. ამის შემდეგ საქართველო ფაქტობრივად ორ სამეფოდ გაიყო, თუმცა ბიძაშვილ მამიდაშვილს შორის მეგობრული ურთიერთობა სუფევდა. ნარინ დავითის დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ დასავლეთ საქართველო მონღოლთა უღლისაგან განთავისუფლდა. რომის პაპის ელჩი რუბრიკუსი, რომელმაც 1253 წ. ყირიმიდან ყარაყორუმისაკენ მიმავალ გზაზე საქართველოს ჩრდილოეთიდან ჩაიარა, აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველო მონღოლებს არ ექვემდებარება. მონღოლებს დასავლურ ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა არ უცვნიათ. ისინი მას აჯანყებულ ქვეყნად მიიჩნევდნენ და ხელსაყრელ დროს ელოდნენ მის ხელახლა დასამორჩილებლად.

ქუქის ყაენობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ახალმა ყაენმა თულის ძემ მენქუმ (1251-1259) ირანში თავისი ძმა ჰულაგუ გამოგზავნა. ჰულაგუმ, „ქართლის ცხოვრებით", ულუ ყაენმა, მონღოლთა სამფლობელო წინააზიაში მნიშვნელოვნად გააფართოვა და აქ თავისი ილხანთა ანუ ჰულაგუიანთა მონღოლური სახელმწიფო შექმნა. ილხანთა სახელმწიფოს დედაქალაქი თავდაპირველად მარაღა იყო, შემდეგ თავრიზი, ხოლო XIV ს-ის დასაწყისიდან კი საგანგებოდ დედაქალაქად აგებული სულთანიე გახდა **(იხ. რუკა 19)**. 1258 წ. ჰულაგუმ ბაღდადი აიღო, ამით აბასიანთა სახალიფოს არსებობა შეწყვიტა. ბაღდადის აღებაში დავით გიორგის ძის მეთაურობით ქართველთა ლაშქარიც მონაწილეობდა. ქართველებმა პირველებმა შეანგრიეს ბაღდადის გალავნის კედლები და ქალაქში შეიჭრნენ. იმ დროს ბაღდადი მუსლიმთა ერთ-ერთ უმდიდრეს ქალაქს წარმოადგენდა. მისი დაარსების დროიდან (762 წ.) ის არავის გაუძარცვავს. ცხადია, ქალაქის აღების შემდეგ მონღოლურ და ქართულ მხედრობას ხელში აურაცხელი სიმდიდრე ჩაუვარდა.

მონღოლთა ლაშქრობა ეგვიპტის წინააღმდეგ

ბაღდადის აღების შემდეგ, ჰულაგუ სირიაში, ეგვიპტის სამფლობელოში შეიჭრა. [illegible] ახალი, ნიჭიერი ხელმძღვანელი [illegible] გამოჩნდა, რომელიც წარმატებით [illegible]. მან მონღოლები სირიაში [illegible] და სირია-პალესტინა შემოიერთა. ამის შემდეგ ეგვიპტის [illegible] რამდენიმე ათეული წელი მონღოლთა ჰულაგუიანთა, იგივე ილხანთა სახელმწიფო [illegible].

XIII ს. 50-იან წლებში მონღოლთა დაპყრობები ძირითადად შეწყდა და ლაშქრობების გზით მიღებული შემოსავალიც მკვეთრად შემცირდა. შემოსავლის გაზრდის მიზნით, 1254-58 წლებში მონღოლებმა დაპყრობილი ქვეყნები აღწერეს. დასავლეთ საქართველოს გარდა, მთელი საქართველოს სამეფო აღიწერა. მონღოლებმა მრავალრიცხოვანი გადასახადები დააწესეს, რამაც დაპყრობილთა უღელი გაუსაძლისი გახადა. მონღოლთა იმპერიაში ორმოცამდე სხვადასხვა გადასახადი არსებობდა, აქედან საქართველოში თოთხმეტი გადასახადია დადასტურებული.

[illegible]

[illegible]

მოხარკე ქვეყნებში მონღოლები ყაენის ნაცვლებს, არაბულად შიჰნებს, მონღოლურად ბასკაკებს ნიშნავდნენ. მათ მონღოლური ხარკის აკრეფაზე თვალყური ევალებოდათ. პირველი ბასკაკი საქართველოში 1265 წელსაა დამოწმებული. ქართველი მემატიანის ცნობით, მონღოლებმა აღწერეს თითოეული მალი, ბოსტანი, ყანა, ვენახი ... ძირითად სახოფლო სამეურნეო გადასახადს მალი ეწოდებოდა. ის მოწეული მოსავლისაგან იკრიფებოდა. სამხედრო თვალსაზრისით, მთელი საქართველო კვლავ ცხრა დუმნად იყოფოდა და აქედან გამოსაყვანი ლაშქრის საერთო ოდენობა 90 ათას კაცს შეადგენდა. თუმცა, დასავლეთ საქართველოდან მონღოლთა ლაშქარში შეყვანა არ მოდიოდა. სამხედრო ბეგარა – გადასახადი, ყოველ ცხრა, სრული საგლეხო მამულის მქონე, კომლზე მონღოლთა ლაშქრობებში ერთი მოლაშქრის გამოყვანას და მის ყოველმხრივ აღჭურვა-მომარაგებას გულისხმობდა. ამ სალაშქრო ვალდებულებას ყალანი ეწოდებოდა.

მეცხოველეობიდან აკრეფილ გადასახადს კი - ყაფჩური. ვაჭრებზე და ვაჭრობაზე დაწესებულ გადასახადს დამღა ერქვა. დამღა 3%-ის ანგარიშით იკრიფებოდა, ანუ ყოველ ას თეთრ ნასყიდობაზე სამი თეთრი მონღოლებს მიჰქონდათ. ამ გადასახადს სამეფო კარიც ვერ გადაურჩა. ხაზინებით მონღოლი მოხელე სამეფო სასახლეში იჯდა და მეფისათვის შეძენილ ყოველ საქონელზე დამღას იღებდა. მემატიანის ცნობით, განსაკუთრებით დამამცირებელი იყო ის, რომ დამღის აკრეფის მიზნით, ეს მოხელე მეფის სამზარეულოსათვის შეძენილ პროდუქტსაც ამოწმებდა.

მონღოლები დიდ ყურადღებას აქცევდნენ გზების მოვლა-პატრონობას. ამ მიზნით, მათ საგანგებო სადგურები, იამები ააგეს. გზებისა და იამების მოვლა-პატრონობა, მათი ცხენებით მომარაგება გზების მახლობლად მდებარე სოფლებს დაეკისრა. ეს იმდენად მძიმე ვალდებულება იყო, რომ მალე ეს სოფლები მოსახლეობისაგან დაიცალა.

ასეთ ვითარებაში დავით გიორგის-ძემ (1246-1270) უარი თქვა ეგვიპტის წინააღმდეგ მონღოლებთან ერთად ლაშქრობაზე. ეს კი აჯანყებას ნიშნავდა. აჯანყება სრულიად მოუმზადებელი იყო, ამიტომ მეფემ დიდებულებს უფლება მისცა ისე ემოქმედათ, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლიდნენ. მეფის გვერდით მხოლოდ სამცხის მთავარი სარგის ჯაყელი დარჩა. ქართველ დიდებულთა უმეტესობა კი, მონღოლთა შიშით მათ ბანაკში აღმოჩნდა. დავით გიორგი-ძე მონღოლებთან ბრძოლაში რამდენჯერმე დამარცხდა და იძულებული გახდა თავშესაფარი დავით ნარინისათვის ეთხოვა. თანხმობის მიღების შემდეგ, ის 1261 წ. დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

დასავლეთ საქართველოში დავით გიორგის ძის სტუმრობა მხოლოდ ერთი წელი გაგრძელდა. დასავლეთ საქართველოს დიდებულთა ერთმა ნაწილმა დავით ნარინის ტახტიდან ჩამოგდება და დავით გიორგის ძის დასავლეთ საქართველოში გამეფება მოინდომა. შეთქმულებს რაჭის ერისთავთ-ერისთავი კახაბერ კახაბერისძე ედგა სათავეში. ეს არ იყო შემთხვევითი. იმჟამად დავით გიორგის ძეს ცოლად ჰყავდა ათაბაგის ქვრივი კახაბერისძეთა, რაჭის ერისთავთა ასული გვანცა, ჰყავდა, რომლისგანაც მას უფლისწული დემეტრე თავდადებული შეეძინა. აღსანიშნავია, რომ მონღოლებმა, დავით გიორგის ძეზე შურისძიების მიზნით, გვანცა სიკვდილით დასაჯეს.

დავით ნარინს უფრო ძლიერი მომხრეები გამოაჩნდა. უპირველეს ყოვლისა, მას მხარი დაუჭირა ოდიშის ერისთავთ-ერისთავმა ბედან ჯუანშერის ძე დადიანმა, რომელიც დასავლეთ საქართველოში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. შეთქმულების ჩაშლის შემდეგ, დავით გიორგის ძე იძულებული გახდა საქართველოს სამეფოს ორად გაყოფას შერიგებოდა და არსებული ვითარება ფორმალურადაც ეცნო. მეფეებმა ახლა უკვე საბოლოოდ ერთმანეთში გაიყვეს სამეფოს ტერიტორია და სამეფო საჭურჭლე (საგანძური). ამის შემდეგ დავით გიორგის ძე ისევ აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და სარგის ჯაყელთან ერთად ჰულაგუ ყაენს ეახლა. ჰულაგუმ საქმის გამოძიება დაიწყო. სარგის ჯაყელმა დანაშაული თავის თავზე აიღო. აჯანყების მიზეზად ის გადასახადის ამკრეფ მონღოლ მოხელეთა უმსგავსო საქციელს ასახელებდა. ალბათ მეფეს დასჯა მაინც არ ასცდებოდა, რომ ჰულაგუს დარუბანდის გზით ოქროს ურდოს ლაშქრის შემოჭრის ამბავი არ შეეტყო. ასეთ ვითარებაში ილხანთა ყაენს საქართველოს მეფის თანადგომა უფრო სჭირდებოდა ვიდრე მისი დასჯა, ამიტომ მან დავით გიორგის ძე უვნებლად გამოუშვა და ოქროს ურდოს წინააღმდეგ ჯარის შეკრება უბრძანა.

## ილხანთა მონღოლური სახელმწიფო

ჰულაგუმ თავისათვის და თავისი მემკვიდრეებისათვის ქალაქებით მდიდარი სამხრეთ კავკასია და ირანი დაისაკუთრა, რომელიც, როგორც გაირკვა, ჯუჩის წილხვედრი იყო და თავისი უღლუსი - სახელმწიფო - შექმნა. მისი სახელის მიხედვით, წინა აზიის ამ ახალ მონღოლურ სახელმწიფოს ჰულაგუიანთა ან კიდევ ილხანთა (ილ - ხალხი, ხან - ყაენი) სახელმწიფო უწოდებენ. ჰულაგუიანთა სახელმწიფოს საზღვარი დასავლეთით, რუმის სასულთნოსთან მდინარე ევფრატზე გადიოდა, სამხრეთით - სპარსეთის ყურეს აღწევდა, ის მოიცავდა მცირე აზიისა და [illegible] დიდ ნაწილს, ირანს, ავღანეთის, [illegible]. ჰულაგუიანთა საზღვარი ეგვიპტის [illegible] ევფრატზე [illegible] აღმოსავლეთ საქართველოც. 1261 წ. ეს სახელმწიფო [illegible] ჰულაგუს ძმამ, მონღოლთა [illegible] ჰულაგუს [illegible] სახელმწიფოდ ცნობამ, გამოიწვია [illegible] ჰულაგუიანებსა და ოქროს ურდოს შორის.

1262 წ. ოქროს ურდოს ყაენის, ბერქას სამხრეთ კავკასიაში შემოჭრით დაიწყო ხანგრძლივი ომი მონღოლთა ამ ორ სახელმწიფოს შორის, რომლის ძირითად ასპარეზად აღმოსავლეთ ამიერკავკასია გადაიქცა.

საქართველოსათვის ეს ომი ძალზე მძიმე აღმოჩნდა. სწორედ ამ დროს აოხრდა ჰერეთი და კახეთი. დაინგრა და განადგურდა ისეთი ძველი ქალაქები, როგორებიც იყო ხორნაბუჯი, რუსთავი, ხუნანი...

ოქროს ურდოს სამხრეთისაკენ ამოძრავებამ უბედურება, პირველ რიგში, ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ოსებს მოუტანა. მათი ერთი ნაწილი – ასახარფაკანიანთა

სამეფო ოჯახი თავისი დიდებულებითა და ლაშქრით იძულებული შეიქმნა აყრილიყო და დარუბანდის გზით სამხრეთ კავკასიაში გადმოსახლებულიყო. გადმოსახლებულმა ოსთა სამეფო საგვარეულომ დახმარება საქართველოს მეფეს თხოვა, რომელიც მათ ნათესავად ერგებოდა. დავით გიორგის-ძემ მონღოლთა თანხმობის გარეშე მათი მიღება ვერ გაბედა და ისინი სპარსეთში ჰულაგუ ყაენის კარზე გაგზავნა. ყაენმა ოსები თავის მოლაშქრეებად ჩარიცხა და მათთვის საცხოვრებლისა და სარჩოს გამოყოფა დავით გიორგის-ძეს დაავალა. საქართველოს მეფემ დიდგვაროვანი ოსი ლტოლვილები და მათი ლაშქარი ძირითადად დმანისსა და ცხინვანში (იგივე ცხინვალი) დაასახლა.

ილხანებმა ოქროს ურდოს შემოსევების შესაჩერებლად საქართველოსა და შირვანის გამყოფ მდინარე თეთრ წყალზე ააგეს სიმაგრეთა სისტემა, რომელსაც სიბას ეძახდნენ. ქართველებს მონღოლებთან ერთად შემოდგომიდან გაზაფხულამდე ამ სიმაგრეთა დაცვა ევალებათ. ამგვარად საქართველოს მეფე დავით გიორგის-ძე და ქართველი დიდებულები წლის დიდ ნაწილს სიბაზე დგომაში ატარებდნენ.

დავით გიორგის-ძის მეფობაში მისმა დაუფიქრებელმა და წინდაუხედავმა საქციელმა 1265 წ. საქართველოს მთლიანობას კიდევ ერთი ბზარი გაუჩინა. მეფემ სიბაზე მიმავალი სარგის ჯაყელ-ციხისჯვარელი, რომელსაც მის წინაშე, როგორც გვახსოვს, დიდი დამსახურება ჰქონდა, მოშურნეთა დასმენით შეიპყრო და თბილისის ციხე-სიმაგრეში გამოკეტა. სარგის ჯაყელის აზნაურებმა ამის შესახებ ილხანთა ყაენს აცნობეს და დავით ლაშას-ძის ხელიდან მისი გამოხსნა თხოვეს. მაშინ საქმეში ილხანთა ყაენი ჩაერია. მან სარგისი გაათავისუფლა და მისი საგამგებლო ქვეყანა **სახინჯუდ** გამოაცხადა, რაც უშუალოდ ილხანთა დაქვემდებარებაში მყოფ სამთავროს ნიშნავდა. ასე რომ, საქართველო ორ სამეფოდ და ერთ სამთავროდ დანაწილებული აღმოჩნდა **(იხ. რუკა 19)**.

მონღოლურმა გადასახადებმა აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლეობის მასობრივი აყრა გამოიწვია. გლეხები გარბოდნენ დასავლეთ საქართველოსა და მესხეთში, რომლებიც გადასახადების ამკრეფი მონღოლი მოხელეების თარეშისაგან დაცულები იყვნენ. დაცარიელებული მიწებისაგან გადასახადს მონღოლები მათ ფეოდალებს თხოვდნენ. ფეოდალები ხშირად ამ გადასახადებს ვერ იხდიდნენ და მამულებს ყიდდნენ. ამის გამო საქართველოში ბევრი ძველი და სახელოვანი საგვარეულო დაემცრო, მათი მამულები კი ახლად აღზევებულ მედროვეებს ჩაუვარდათ ხელში.

საერო ფეოდალებისაგან განსხვავებით, საქართველოს ეკლესია ქონებრივად უფრო დაცული აღმოჩნდა, ვინაიდან ის მონღოლური გადასახადებისაგან თავისუფალი იყო. ამიტომ სახელმწიფო ხელისუფლებამ გამოსავალი საეკლესიო მიწების სეკულარიზაციაში, ანუ ეკლესიისათვის მისი მიწების ნაწილის ჩამორთმევასა და მათი საერო პირებისათვის გადაცემაში დაინახა. ამ მიზნით, დავით გიორგის ძემ წინამორბედ მეფეთა მიერ ეკლესიისათვის შეწირული მიწების უკან გამოწირვა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის სათანადო საფასურით გადაცემა დაიწყო. ამან ეკლესია ძალზე შეაშფოთა. XIII ს-ის 60-იანი წლების II ნახევარში მღვდელმთავრები საგანგებო საეკლესიო კრებაზე შეიკრიბნენ და დავით გიორგის ძეს თხოვნის წერილი მიართვეს. მღვდელმთავრები მეფისაგან ითხოვდნენ, რომ მას საეკლესიო მიწების გაცემა შეეწყვიტა, უკვე გაცემული საეკლესიო მიწები კი უკან დაებრუნებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ეკლესიების დახურვითა და ყოველგვარი მღვდელმსახურების შეწყვეტით იმუქრებოდნენ. სამწუხაროდ, ასეთი მუქარით აღსავსე თხოვნამ დავით გიორგის ძეზე გავლენა ვერ მოახდინა და საეკლესიო მიწების გაცემა კვლავ გრძელდებოდა.

სიბაზე დგომა საქართველოს მეფისათვის უმძიმესი მოვალეობა აღმოჩნდა. მას ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის ნაკლებად ეცალა. ამის გამო ქვეყანა სულ უკან და უკან მიდიოდა. გარდა ამისა სიბაზე მდგომ ლაშქარში ხშირი იყო სხვადასხვა ეპიდემიები. ერთ-ერთმა ასეთმა ეპიდემიამ 1270 წ. დავით გიორგის ძეც იმსხვერპლა.

მღვდელმთავრების მიერ დავით გიორგის ძისადმი გაგზავნილი ანათემა-წყევლიდან

„ვიცით, რომ მრავალი [illegible] ღირთით მოტანილ [illegible] და აუცილებლობას. მაგრამ ამაზე უფრო დიდი [illegible] და ეკლესია ჩვენი კი მაინც [illegible], როცა [illegible] ჯავარი [illegible] და ქალაქი [illegible] (არაბებს) ეპყრათ. ამის მიუხედავად, არავის უქნია საყდრისათვის ქონების ჩამორთმევა...

[illegible] შენი ხარი თქვენი საგვარეულოდან და არც ერთი შენი [illegible] არ დაუშლია, როგორც თქვენ და ამიტომ თქვენ სხვებზე უფრო გჭირდებათ ღვთის [illegible]"...

მღვდელმთავრები მეფეს შეახსენებენ [illegible], რომელიც მას ახალგაზრდობაში გადახდა და რომლისგან [illegible] ღვთის წყალობით გადაურჩა და [illegible]: „თუ ჩვენ [illegible] გამო თქვენ ჩვენგან განდევნილი და [illegible] არ შეუწყნარებულხართ, მაშინ ჩვენ რაც დავწერეთ, [illegible] საქართველოს ეკლესიებს დაუბეჭდავთ, ხუცესებს [illegible] წირვას, ნათლისღებას და მღვდლობა [illegible]".

**დავით ნარინის საგარეო პოლიტიკა.** დავით ნარინმა თავისი მეფობის უდიდესი ნაწილი ილხანებთან ბრძოლას მოანდომა. XIII ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში ის დაუკავშირდა ილხანების მთავარ მტრებს ჩრდილოეთით ოქროს ურდოსა და ილხანთა სამფლობელოების დასავლეთით მდებარე ეგვიპტის სასულთნოს. დავით რუსუდანის ძემ 1264-1265 და 1268 წლებში ეგვიპტეში თავისი ელჩები გაგზავნა, რომლებმაც სულთანს დასავლეთ საქართველოს მეფის წერილები და საჩუქრები ჩაუტანა.

დავით ნარინი ილხანთა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს მფარველობდა. ერთ ხანს ილხანთა აბაღა ყაენმა ჩაღათას ულუსის ყაენის ბარაყის თხოვნით მისი ძმა თეგუდარი თავისი ულუსით შეიფარა და სარჩოდ გამოუყო საქართველოს სამხრეთით მდებარე მიწები: არარატის მთის მიმდგომი ტერიტორია, არაქსის დაბლობი და ნახჭევანი. თეგუდარმა აბაღას ტახტიდან გადაგდება მოინდომა, მაგრამ დამარცხდა. მაშინ მას დახმარების ხელი დავით ნარინმა გაუწოდა და მთელი ულუსით შეიფარა. თავდაპირველად დავით ნარინმა თეგუდარისა და მისი ულუსის (20 ათასი მეომარი თავისი ოჯახებით) შესანახად უზარმაზარი ხარჯი გაწია, მაგრამ, როდესაც ილხანების წინააღმდეგ თეგუდარის ბრძოლა აღმოსავლეთ საქართველოს რბევად გადაიქცა, დავით ნარინი აბაღა ყაენს მის დატყვევებაში დაეხმარა. ამის სანაცვლოდ, ჟამთააღმწერლის ცნობით, ყაენმა მას საჩუქრად „ქართლის მრავალნი ხოფელნი და ატენი მისცნა". ერთ ხანს დავით ნარინი ყაენისაგან გამდგარ მონღოლ უფლისწულ ტალღურსაც მფარველობდა. მადლობის მაგიერად ტალღური რაჭის ერისთავთერისთავს კახაბერ კახაბერის ძეს დაუკავშირდა და მასთან ერთად ილხანთა ლაშქარს ორჯერ დავით ნარინის წინააღმდეგ წარუძღვა. რაჭის ერისთავის საქციელი ამჯერად იმით აიხსნება, რომ მას მონღოლთა ხელით დასავლეთ საქართველოში დემეტრე II-ის გამეფება სურდა, რომელიც შვილიშვილად ეკუთვნოდა. ეს კი საქართველოს ერთიანობის აღდგენას ნიშნავდა.

დავით ნარინი ორჯერვე უვნებლად გადარჩა და კახაბერ კახაბერის ძე, დემეტრე II-ის თხოვნით, ღალატიც კი აპატია. მიუხედავად ამისა რაჭის ერისთავმა თავისი არ მოიშალა. მაშინ დავით ნარინი ურჩ ერისთავს სასტიკად გაუსწორდა: მას თვალები დაწვა და ცალი ხელ-ფეხი მოკვეთა, მისი შვილები კი კონსტანტინოპოლში გაიქცა.

ბიზანტიის იმპერიასთან დავით ნარინმა მიხეილ პალეოლოგოსის მიერ მისი აღდგენისთანავე (1261 წ.) დაამყარა მჭიდრო კავშირი. 1267 წლისათვის დავით ნარინმა ცოლად შეირთო მიხეილ II პალეოლოგოსის ძმის იოანეს ასული. ეს ქორწინება დავით ნარინსა და ბიზანტიას შორის დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა იყო. ამ ხელშეკრულებით საქართველომ კონსტანტინოპოლში ყველა ის პრივილეგია დაიბრუნა, რომელიც ბიზანტიის დედაქალაქში ჯვაროსნების მიერ მის დაპყრობამდე ჰქონდა.

ცოტათი უფრო ადრე, 1263 წლისათვის, დავით ნარინი ქორწინების გზით ტრაპიზონის იმპერიასაც დაუკავშირდა. მისი ასული უნდა იყოს ტრაპიზონის კეისრის მანუელ I-ის მესამე მეუღლე „იბერიიდან მოყვანილი რუსუდანი", რომლისგანაც კეისარს, ტრაპიზონელი ისტორიკოსის მიქაელ პანარეტოსის ცნობით, ასული თეოდორა ჰყავდა. დავით ნარინი ცდილობდა ტრაპიზონის იმპერიაზე აღედგინა ის გავლენა, რომელიც საქართველოს XIII ს-ის I მეოთხედში ჰქონდა. ამისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი ვითარება მას 1280 წლის შემდეგ დაუდგა, როდესაც ტრაპიზონის ტახტზე იოანე II კომნენოსი ავიდა. 1281 წ. აჯანყებული ტრაპიზონელების შიშით იოანე II კონსტანტინეპოლში გაიქცა. მაშინ 1282 წ-ის აპრილში დავით ნარინი თავისი ჯარით ტრაპიზონის კედლებთან გამოჩნდა და თავისი შვილიშვილი თეოდორა ტრაპიზონის კეისრის ტახტზე აიყვანა. თეოდორას კეისრობა დაახლოებით ორი წელი გაგრძელდა. 1284 წ. ბიზანტიელთა დამხმარე ლაშქრით ტრაპიზონში თეოდორას ნახევარძმა იოანე II დაბრუნდა. თეოდორა ტახტიდან ჩამოაგდეს და ის საქართველოში გამოიქცა.

**დემეტრე II თავდადებული.** დავით გიორგის-ძის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი თერთმეტი წლის ვაჟი დემეტრე II ავიდა, რომელიც საქართველოს ისტორიაში „დიმიტრი თავდადებულის" სახელით შევიდა.

დემეტრე II-ის მეფობა (1270-1289) საქართველოს ისტორიის უმძიმეს ხანას დაემთხვა. მეფის ხელისუფლება უკიდურესად დაეცა, სამეფოს ფაქტობრივად მონღოლებთან დაახლოებული ქართველი დიდებულები განაგებდნენ. ერთ-ერთი ასეთი აღზევებული და მონღოლებთან დაახლოებული დიდებული საქართველოს მეფის ვეზირი, ათაბაგი სადუნ მანკაბერდელი იყო, რომელიც წარმოშობით არწრუნთა სომეხთა სამეფო საგვარეულოს ეკუთვნოდა. საზოგადოებაში ძალზე გავრცელდა მონღოლური ცხოვრების წესები, რომელიც ქართულ-ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს არ შეესაბამებოდა. თვით

დემეტრე მეფეს სამი ცოლი ჰყავდა: ტრაპიზონის კეისრის ასული, რომელთანაც ხუთი შვილი შეეძინა, მონღოლი ქალი, რომლისგანაც სამი შვილი ჰყავდა და სამცხის მთავრის ბექა მანდატურთუხუცესის ასული ნათელი, რომლისგანაც ერთი ვაჟი, მომავალი გიორგი ბრწყინვალე შეეძინა.

დემეტრეს მეფობაში საეკლესიო მიწების გაცემამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო. სრული განუკითხაობის ვითარებაში ამ მიწებზე ხელი უკვე უშუალოდ დიდებულებმაც აღმართეს. საეკლესიო მიწების დატაცებაში, მემატიანის ცნობით, თავი განსაკუთრებით სამცხეში გამოუჩენიათ. „და დაიწყეს მთავრებმა მონასტერთა და ზაყდართა ხელყოფა, მათთ სოფლებისა და აგარაკების მიტაცება – მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი – განსაკუთრებით გამოირჩნენ მესხები, რომლებმაც ხელყვეს აწყურის ტაძრის მამულები".

დემეტრე მეფის ცხოვრების დიდი ნაწილი მონღოლთა სამხედრო სამსახურს შეეწირა. ის ილხანებთან ერთად იბრძოდა როგორც ოქროს ურდოს, ისე ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში საქართველოს მეფე უნებლიედ აღმოჩნდა ჩათრეული ილხანთა სამეფო კარის გაუთავებელ ინტრიგებში. იმდამად ილხანთა საყაენოს პირველ ვეზირს, დემეტრე მეფის მძახალს ბუღას (ბუღას ვაჟს ცოლად ჰყავდა დემეტრე მეფის ასული რუსუდანი) ყაენის წინააღმდეგ შეთქმულება დაბრალდა. ბუღა სიკვდილით დასაჯეს, ხოლო დემეტრე მეფე ყაენის კარზე დაიბარეს.

საქართველოში იცოდნენ, რომ მეფეს სიკვდილი ემუქრებოდა, ამიტომ სამეფო დარბაზმა დემეტრეს მთიულეთში გახიზვნა, ან დასავლეთ საქართველოში გადასვლა ურჩია. მეფეს კარგად ესმოდა, რომ გაქცევის შემთხვევაში მონღოლები ქვეყანას სასტიკად ააოხრებდნენ, ამიტომ ქვეყნის გაწირვას, თავის გაწირვა ამჯობინა და ხპარხეთში ილხანთა კარზე გაემგზავრა. 1289 წლის 12 მარტს ყაენის ბრძანებით, ილხანთა კარზე მყოფ დემეტრეს თავი მოჰკვეთეს. ქართულმა ეკლესიამ ქვეყნისათვის თავდადებული ახალგაზრდა მეფე წმინდანად შერაცხა.

ქართველ მემატიანეს ყაენის ამ გადაწყვეტილების მიზეზად, სადუნ მანკაბერდელის ვაჟი, საქართველოს მეფეზე განაწყენებული ხუტლუ ბუღა მიაჩნია, რომელსაც დემეტრემ მამის გარდაცვალების შემდეგ, ათაბაგობა არ უბოძა. მემატიანის ცნობით, სწორედ ხუტლუ ბუღამ ურჩია ყაენს დემეტრეს სიკვდილით დასჯა და მის ნაცვლად აღმოსავლეთ საქართველოში დავით ნარინის ვაჟის გამეფება. როგორც ირკვევა, საქმე ასე მარტივად არ იყო. 1289 წ. ოქროს ურდოსა და ილხანთა სახელმწიფოს შორის მორიგი კონფლიქტი მზადდებოდა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვის მხარეს დაიჭერდა დავით ნარინი. ის ხომ ადრე ილხანთა წინააღმდეგ ოქროს ურდოს მოკავშირეობდა. ასეთ ვითარებაში ილხანთა ყაენმა დავით ნარინს, მისი გადმობირების მიზნით, უფროსი ვაჟის ვახტანგის თბილისში ტახტზე აყვანა შესთავაზა. ეს ხამომავლოდ საქართველოს კვლავ გაერთიანებას უქადდა. სანაცვლოდ დავით ნარინს ილხანთა უზენაესობა უნდა ეღიარებინა. თავდაპირველად დავით რუსუდანის-ძე ყოყმანობდა. მაშინ ყაენის თხოვნით, ილხანთა მოკავშირე გენუელები დასავლეთ საქართველოს საზღვარი ვაჭრობის შეწყვეტით და საზღვარი ბლოკადით დაემუქრნენ. ასეთ ვითარებაში დავით ნარინი ილხანთა წინადადებას დათანხმდა. ამით დემეტრე მეფის ბედიც გადაწყდა. დემეტრეს სიკვდილით დასჯის შემდეგ დავით ნარინმა თავისი უფროსი ვაჟი ვახტანგი თბილისში ტახტის დასაკავებლად გამოუშვა. სამწუხაროდ ვახტანგ II (1289–1292) საქართველოს ტახტზე ხულ სამი წელი იმეფა. უფროსი შვილის სიკვდილის შემდეგ დავით ნარინსაც დიდხანს არ უცხოვრია. ის 1293 წ. გარდაიცვალა.

### იტალიის ქალაქ-სახელმწიფოები გენუა და ვენეცია

XII–XIII საუკუნეებში თანამედროვე იტალია ერთიან სახელმწიფოს არ წარმოადგენდა. მის ტერიტორიაზე ამჟამად მრავალი სახელმწიფო არსებობდა. მათ შორის ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ორი ქალაქ-სახელმწიფო – გენუა და ვენეცია, რომლებსაც დიდი ფლოტი ჰქონდათ და ამის წყალობით მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

# § 49. გიორგი ბრწყინვალე

ყაზან ყაენი

ყაზან ყაენი (1295-1304) თავისი რეფორმებითაა ცნობილი. მის კარზე მოღვაწეობდა სახელგანთქმული სპარსი ისტორიკოსი ვაზირი რაშიდ ად-დინი, რომელიც [illegible] ილხანთა სახელმწიფოში გატარებული რეფორმების სულისჩამდგმელი იყო. რეფორმები მონღოლთა [illegible] და ცენტრალიზაციას [illegible] [illegible] [illegible] მიზნით, [illegible] [illegible] რომელიც 6 დირჰემს უდრიდა და 13 გრ. ვერცხლს იწონიდა. ეს ფული საქართველოში „ყაზანური თეთრის" სახელით დამკვიდრდა. [illegible] ერთი სისტემა შემოიღეს. ყაზან ყაენმა ისლამი ილხანთა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. მომთაბარე მონღოლების ბინადარ ცხოვრებაზე გადასაყვანად [illegible] [illegible] [illegible] მრავლად გაიცა მიწები ადარბადაგანში (აზერბაიჯანი), რანსა და შირვანში, რამაც ამ მხარეებში დიდი რაოდენობით მონღოლურ-თურქული ტომების ჩამოსახლება მოჰყვა. მონღოლთა ნოინები მრავლად ფლობდნენ მიწებს საქართველოშიც. [illegible]

ვახტანგ II-ის გარდაცვალების შემდეგ ილხანებმა საქართველოს სამეფო ტახტზე დემეტრე თავდადებულის უფროსი ვაჟი დავით VIII (1293-1311) დაამტკიცეს. იმჟამად ილხანთა სამეფო კარზე ერთმანეთს ორი დაჯგუფება ებრძოდა. ერთი დაჯგუფება მონღოლთა მომთაბარული არისტოკრატიის ინტერესებს გამოხატავდა. მეორე, რომელსაც უფლისწული ყაზანი ედგა სათავეში, მომთაბარეების ბინადარ ცხოვრებაზე გადაყვანის, კანონების მოწესრიგებისა და ილხანთა სახელმწიფოს მეტი ცენტრალიზაციისაკენ მიისწრაფოდა. ასეთი ცენტრალიზაცია საქართველოს კარგს არაფერს უქადდა. ამიტომ საქართველოს სამეფო კარი ტრადიციულად მხარს პირველ დაჯგუფებას უჭერდა. მით უფრო, რომ საქართველო მომთაბარე მონღოლური ტომების თავდასხმებისაგან შედარებით დაცული იყო, ვინაიდან მათ არისტოკრატიასთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა.

1295 წ. ილხანთა სამეფოში გადატრიალება მოხდა და ტახტზე ყაზან ყაენი ავიდა.

დავით VIII წინა ყაენის მეგობარი იყო. ყაზან ყაენმაც, როდესაც სპარსეთში თავისი მდგომარეობა განიმტკიცა, დავით მეფე ურდოში დაიბარა. მამის მაგალითი დავით მეფეს კარგად ახსოვდა. ამიტომ, თუმცა დარბაზმა მას ყაენთან ხლება ურჩია, ის ურდოში გამგზავრების ნაცვლად, მთიულეთში გაიხიზნა. ეს აჯანყებას ნიშნავდა და საქართველოში მონღოლთა დამსჯელი ლაშქარი შემოვიდა. დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა მონღოლებსა და დავით VIII-ს შორის, რამაც აღმოსავლეთ საქართველოს დიდი უბედურება მოუტანა. მონღოლებმა დავით VIII ვერც დაატყვევეს და ვერც ყაზან ყაენთან გამგზავრებაზე დაითანხმეს. ილხანთა ყაენი შეეცადა მეფისათვის მისივე ძმები დაეპირისპირებინა. მან თავდაპირველად მეფობა დავითის უმცროს ძმას ბექა მანდატურთუხუცესის ასულის წულს გიორგის უბოძა. ამგვარად მის საყრდენს ჯაყელთა საგვარეულო სახლი წარმოადგენდა. გიორგიმ მეფის ტიტული კი მიიღო, მაგრამ მისი მეფობა ამჟამად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. აღმოსავლეთ საქართველო მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების ქარცეცხლში იყო გახვეული და თბილისში მჯდომ გიორგის ფაქტობრივად არ ემორჩილებოდა. ამიტომ მას „თბილისის მეფეს" უწოდებდნენ. მალე გიორგი V იძულებული გახდა სამცხეში თავის პაპასთან ბექა მანდატურთუხუცესთან გადასულიყო. მაშინ ყაენმა საქართველოს სამეფო ტახტზე დავითის შუათანა ძმა ვახტანგ III (1298-1308) აიყვანა.

ძველი ქართველი მემატიანე საქართველოში მონღოლთა ხუთწლიანი ომების შესახებ

„ამ შფოთში როცა იყო ქვეყანა ქართლისა, არ იყო იმჟამად არც თესვა და არცა შენება.... გარდახდა [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომ მხრის [illegible] არ [illegible]. სავსე იყო [illegible] (ქარები), [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ქვეყანაში, სადაც მოუვლიდნენ [illegible] [illegible]".

მონღოლებთან ხუთწლიანმა ომმა (1397-1302) ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა. ქართლში დიდი შიმშილი დაიწყო, ბევრი ამოწყდა.

მოსახლეობის დიდმა ნაწილმა თავი მონღოლებისაგან დაცულ სამცხის სამთავროს შეაფარა, რომელსაც **ბექა ჯაყელი** (1295-1308) განაგებდა. ბექა ჯაყელი საქართველოს გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე იყო. როგორც გახსოვს, სამცხე, ჯერ კიდევ მისი მამის სარ-

გის ხანიდან, ხასინჯუს წესით, უშუალოდ ილხანთა ყაენს ემორჩილებოდა. ამიტომ მონღოლთა თარეშისაგან შედარებით დაცული იყო.

ბექა ჯაყელი თავის საგამგებლო ქვეყანაში დიდ აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდა. როგორც სრულიად საქართველოს მანდატურთუხუცესმა, მან სამართლის კრებული შეადგინა, რომელსაც „წიგნი სამართლისა კაცთა მეკოდებისა ჟოლისაჲ" (ადამიანთა ყველანაირი დანაშაულის სამართლის წიგნი) ეწოდა. ეს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კოდექსი 65 მუხლისაგან შედგებოდა და ფეოდალური საზოგადოების ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს აწესრიგებდა. დაახლოებით ასი წლის შემდეგ, 1381-1386 წწ-ში, ბექას შვილიშვილმა ათაბაგმა აღბუღამ პაპის მიერ შედგენილ სამართლის წიგნს კიდევ 33 მუხლი დაუმატა და ზოგიერთი შესავალი გაუკეთა, ამიტომ ის „ბექა-აღბუღას სამართლის" სახელითაა ცნობილი. ეს კრებული XVIII ს-ის დასაწყისამდე საქართველოს ბარის მოსახლეობისათვის ძირითადი სამართლის წიგნი იყო.

ბექა და განსაკუთრებით მისი მეუღლე ვახანი დიდ მზრუნველობას იჩენდნენ მონღოლობას გამოქცეულ და მათთან თავშეფარებულ ქართველ თანამოძმეთა მიმართ.

მონღოლებს შუა აზიიდან წინა აზიაში საკუთრივ მონღოლებზე უფრო მეტი თურქულ-თურქმანულ ტომთა ახალი დიდი ნაკადი შემოჰყვა. ისინი აქ უკვე სელჩუკების ხანიდან დამკვიდრებულ თურქებს შეერწყნენ. ასე რომ, თურქები მცირე აზიაში, ისტორიულ სომხეთსა და აზერბაიჯანში (ჩრდილოეთ ირანი) ძირითად მოსახლეობად იქცნენ. XIII-XIV ს-ის მიჯნაზე თურქი მომთაბარეები საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებთან გამოჩნდნენ. თურქები თავიანთი ცხვრის ფარებით ტაოში პარხალის მთიანეთში ამოდიოდნენ და გზადაგზა ქართულ მოსახლეობას არბევდნენ. ქართველთა აწიოკებით განსაკუთრებით თურქთა ერთ-ერთი წინამძღოლი აზატ-მოსე გამოირჩეოდა, რომელმაც 60 ათასიანი ლაშქრით ბასიანი და ტაო აიკლო. ტაოს ერისთავმა თავდა ფანასკერტელმა თავის მთავარს ერისთავთ-ერისთავს ბექა ჯაყელს დახმარება სთხოვა. მაშინ ბექა ჯაყელმა მთელი სამთავროს ლაშქარი შეკრიბა და მოლაშქრეებს მგზნებარე სიტყვით მიმართა. ეს სიტყვა სამშობლოს სიყვარულის მისაბაძი მაგალითია და ბექა ჯაყელის, როგორც იმ ხანის ქართველი ფეოდალისა და სახელმწიფო მოღვაწის დიდ ეროვნულ შეგნებაზე მეტყველებს: „იმიერნო მთავარნო საქართველოისანნო, ძმანო და თანამოსახლენო ჩემნო, სიტყვა ჩემი. დიდმა და სახელოვანმა მეფემან დავით (იგულისხმება დავით აღმაშენებელი) დასცა და დაამხო ძლიერება თურქთა ნათესავისა და გააქცია მისი სამეფოდან. იმ დროიდან დღემდე არ გამოჩენილან თურქები და აწ ცოდვათა ჩვენთათვის კვლავ აღიძრნენ მძვინვარედ და მოაოხრეს ტაო, და ურიცხვი სული დაატყვევეს და მოსწყვიტეს პირითა მახვილისათა, ვინაიდან მეფე დაპყრობილია თათრების (მონღოლების) მიერ, არავინაა თურქთა წინააღმდეგომი. აწ იმიერნო ჩემნო! შეკრიბეთ და მთელი ჩვენი ძალით გავემართოთ თურქების წინააღმდეგ და არ მივცეთ ჩვენი თავი და შვილები და არ გაგვწირავს ღმერთი მის მმოსავებსა და აღმსარებლებს და მოგვცემს ძლევას მათზე, როგორც მისცა ჩვენ წინაპრებს ძლევა მათზე. გავწიროთ თავი ჩვენი სჯულისათვის და თანამოძმეთათვის".

ბექა ჯაყელს აზატ-მოსესთან და მისი დროშის ქვეშ გაერთიანებულ თურქ-მონღოლ მომთაბარეებთან დიდი ომის გადახდა მოუხდა. საბოლოოდ მან მათ მიერ დაკავებული სპერისა და ბაიბურთის ციხეები აიღო და მომთაბარეები საქართველოდან გააძევა.

დავით VIII-ისაგან განსხვავებით, ბექა ჯაყელმა ყაზან ყაენის ნდობა დაიმსახურა. მოგვიანებით, მისი თანხმობით, ბექა კარის (ყარსის) ციხე-ქალაქს და მის მიმდებარე ქვეყანას დაეუფლა. ასე რომ, კარი კვლავ ქართველების ხელში აღმოჩნდა. ბექამ თავისი ასული ტრაპიზონის კეისარს ალექსი II-ს (1297-1320) მიათხოვა და გვირგვინოსანი სიძისაგან ვრცელი ტერიტორია „ტრაპიზონის აქეთა ქანჯიათური" მიიღო. ამგვარად, ბექას სამფლობელო ტაოსკარიდან კარნუქალაქამდე ანუ არზრუმამდე და შავ ზღვამდე გადაიჭიმა.

ბექა ჯაყელსა და ალექსი II კომნენოსის დამოყვრება სამცხის მთავარსა და ტრაპიზონის კეისარს შორის დადებული ხელშეკრულების მხოლოდ ერთი პუნქტი იყო. ეს ხელშეკრულება, როგორც ჩანს, ტრაპიზონის საკეისროსათვის ბექას მხრივ სამხედრო დახმარების გაწევასაც გულისხმობდა, ვინაიდან, ამის შემდეგ ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი პახიმერის ცნობით, იბერიელთა ანუ ქართველთა რაზმები იცავდნენ ქალაქ ტრაპიზონს. მათ გადამწყვეტი როლი ითამაშეს 1308 წ. ტრაპიზონის კეისრის წინააღმდეგ აჯანყებულ გენუელთა დამარცხებაში.

ვახტანგ III-ის ხანაში ქართველებს მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობა კვლავაც მძიმე ტვირთად აწვათ. 1299-1203 წლებში ილხანებს ომი ეგვიპტის სასულთნოსთან ჰქონდათ. 1299 წლის დეკემბერში ყაზან ყაენმა სირია-პალესტინაში ილაშქრა. აქ მას თან კილიკიის სომხეთის მეფე ჰეთუმი მისი ლაშქრით და ვახტანგ III-ის სარდლობით საქართველოს ლაშქარიც ახლდა. მონღოლებმა იერუსალიმი დაიკავეს. გამარჯვებულმა ყაზან ყაენმა სირია თავის ძმა ყუთლუ შაჰს გადასცა, კილიკიის

მეფეს ეგვიპტის სულთნის მიერ ადრე წართმეული ტერიტორია დაუბრუნა, იერუსალიმი კი ყაენმა, განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად, საქართველოს მეფეს უბოძა. ვახტანგ მეფის იერუსალიმში ბრძანებლობა სულ რამდენიმე თვე გაგრძელდა. 1300 წლის თებერვალში ილხანთა ყაენი სპარსეთში დაწყებული არეულობის გამო იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო და პალესტინა კვლავ ეგვიპტის სულთანმა დაიბრუნა.

1308 წ. ვახტანგ III გარდაიცვალა. მაშინ ბექამ ილხანთა კარზე დიდი გავლენის მქონე ჩობან ნოინთან თავისი მეგობრობა გამოიყენა და შვილიშვილი გიორგი V ხელმეორედ საქართველოს მეფედ დასამტკიცებლად სპარსეთში გაამგზავრა. იმჟამად ჩობან ნოინის შუამდგომლობამ არ გაჭრა, ახალმა ყაენმა ოლჯაითუმ მეფობა გიორგი V-ის ძმიშვილს, დავით VIII-ის მცირეწლოვან ვაჟს გიორგი VI-ს უბოძა, რომელიც დავითს მონღოლი ქალისაგან ჰყავდა. ისტორიაში ეს მეფე გიორგი მცირის სახელით შევიდა. ამავე დროს ოლჯაითუ ყაენმა გიორგი V გიორგი მცირის „მზრდელად და მოურავად" დანიშნა, რითაც მას საქართველოს ფაქტობრივი გამგებლობა ჩააბარა. იმავე 1308 წ-ს ბექა ჯაყელი გარდაიცვალა, სამცხის მთავარი მისი უფროსი ვაჟი სარგისი გახდა.

1317 წ. ილხანთა ტახტზე ახალი ყაენი 12 წლის აბუ-საიდი ავიდა. ახლა ილხანთა კარზე მომთაბარეულმა არისტოკრატიამ გაიმარჯვა და ვეზირი, მათი ინტერესების გამომხატველი, აბუსაიდის აღმზრდელი და ბექა ჯაყელის ძველი მეგობარი, ჩობან ნოინი გახდა. გიორგი V ამით ისარგებლა, სპარსეთში გაემგზავრა და საქართველოს მეფობა ითხოვა. ამჯერად, 1318 წ. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს და მას მთელი საქართველოს მეფობა უბოძეს. მისთვის მინიჭებული უფლებები მონღოლთა ქვეშევრდომი წინამორბედი საქართველოს მეფეების უფლებებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. ქართველი მემატიანის სიტყვებით, ყაენმა გიორგი V-ს: „მისცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი, და მესხნი, შვილნი ბექასნი". იგულისხმება გიორგი V-ის ძმის დავით VIII-ისა და ბექა ჯაყელის შთამომავლობა. როგორც ვხედავთ, მონღოლებმა აქამდე ხასინჯუს წესით, მათ დაქვემდებარებაში მყოფი სამცხის სამთავრო კვლავ საქართველოს მეფის იურისდიქციაში აღიარეს და ამით გიორგი V ფორმალურად ქვეყნის გაერთიანების ნება დართეს. ახალი მეფის წინაშე უმძიმესი ამოცანა იდგა: ქვეყნის ფაქტობრივად გაერთიანება, მონღოლების მიერ მოშლილი ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების წესისა და კანონის აღდგენა და მონღოლების უღლის გადაგდება.

გიორგი V-ის გამეფების დროისათვის ილხანთა სახელმწიფო დაშლის პირას იდგა. მიუხედავად ამისა, ის ჯერ კიდევ ძლიერ ძალას წარმოადგენდა. ილხანთა საყაენო ინდოეთიდან შავ ზღვამდე და კავკასიონიდან ხმელთაშუა ზღვამდე იყო გადაჭიმული. ასეთ პირობებში გიორგი V მონღოლებს აშკარად არ დაუპირისპირდა და ჩობან ნოინის კეთილგანწყობა და მეგობრობა ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენა. თავის მხრივ არც მონღოლების კეთილგანწყობა იყო უანგარო. ჩობან ნოინს ქართველთა ლაშქარი მთავარი დასაყრდენ ძალად მიაჩნდა. „რაც შეეხება ქართველთა ლაშქარს, – წერს XIV ს-ის I ნახევრის ერთი არაბი ისტორიკოსი – იგი მტკიცედ დგას ჯვრის სარწმუნოებაზე და გულადი, მამაცი ხალხია. ისინი ჰულაგუიანთა (ილხანთა) ლაშქრის ძალას და სიმდიდრეს წარმოადგენენ". მონღოლებს გიორგი V-ის დიდი ნდობა ჰქონდათ, ამიტომ აქ მხოლოდ ერთი დუმანი, ანუ ათი ათასი მეომარი ედგნათ და ქვეყნის შინაგან საქმეებში არ ერეოდნენ.

პირველ რიგში გიორგი V შეეცადა ოსთა საკითხი გადაეჭრა. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ დავით გიორგი-ძის დროს საქართველოში გადმოსახლებულმა ოსებმა, მონღოლთა მფარველობით ისარგებლეს, გორის ციხე დაიკავეს და ძარცვა-რბევას მიჰყვეს ხელი. ქართველებმა გორს ალყა შემოარტყეს, მაგრამ ოსებს მონღოლები დაეხმარნენ და გადაარჩინეს. ამის შემდეგ წლების განმავლობაში ოსი მოლაშქრეები ქართლის მოსახლეობის ძარცვას განაგრძობდნენ, მაგრამ ილხანთა შიშით საქართველოს მეფე მათ წინააღმდეგ გადამწყვეტ ზომებს ვერ იღებდა. ახლა გიორგი V-ს ხელები გახსნილი ჰქონდა. მეფემ ქალაქი გორი იოლად აიღო, ქართლის სხვადასხვა ციხე-სიმაგრეებში გამაგრებული ოსები დაამარცხა და აიძულა ისევ თავიანთ სამშობლოში გაბრუნებულიყვნენ. ამის შემდეგ გიორგი V კავკასიის გადაღმა ილაშქრა, ოსეთი დაიმორჩილა და ხარკიც დააკისრა.

1327 წ. ილხანთა ყაენის აბუ საიდის ბრძანებით, სიკვდილით დასაჯეს გიორგი V-ის მეგობარი ჩობან ნოინი, რასაც ილხანთა სახელმწიფოში დიდი არეულობა მოჰყვა. საქართველოს მეფემ ამით ისარგებლა და ქვეყნის შიგნით მონღოლების მომხრე დიდებულებს გაუსწორდა. მემატიანის ცნობით, მეფემ კახეთში ცივის მთაზე დარბაზობაზე მოიწვია „ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი, რომელნიც ჩინგიზთ (იგულისხმება ჩინგიზ ყაენის შთამომავლები ანუ მონღოლები) მიუდგნეს" და ამოსწყვიტა. ამის შემდეგ მეფემ საქართველოს ამ მხარეებში თავისი ერთგული ერისთავები დანიშნა. მალე გიორგი V რანში და შირვანში წარმატებით ილაშქრა, დახარკა და კვლავაც საქართველოს დაუმორჩილა.

რუკა 19

# საქართველო და მონღოლები XIII ს-სა და XIV ს-ის დასაწყისში



# საქართველო გიორგი V ბრწყინვალის ხანაში



როგორც გვახსოვს, დასავლურ ქართული სამეფო დავით ნარინის ხანაში შეიქმნა. მისი სიკვდილის შემდეგ 1293 წ. სამეფო ტახტზე მისი ვაჟი კონსტანტინე ავიდა. მეფეს მისი ძმა მიქელი დაუპირისპირდა, რომელმაც რაჭა და არგვეთი დაიქვემდებარა. ძმებს შორის ბრძოლა კონსტანტინეს სიკვდილამდე გაგრძელდა. 1327 წ. კონსტანტინე მეფე გარდაიცვალა და მიქელი ტახტს ეღირსა, თუმცა მისი მეფობა მხოლოდ ორი წელი გაგრძელდა. მიქელს მცირეწლოვანი ვაჟი ბაგრატი დარჩა, რომელმაც „ვერ იკადრა მეფობა" და ქუთაისის ციხე-სიმაგრეში გამაგრდა. დასავლეთ საქართველოს დიდებულებმა გიორგი V მოიწვიეს და ისიც 1330 წ. დიდი ლაშქრით ქუთაისისაკენ გაემართა. ბაგრატ უფლისწულმა მას წინააღმდეგობა არ გაუწია და უვნებლობის ფიცით საქართველოს მეფეს ქუთაისი გადასცა. ამის შემდეგ გიორგი V მას საუფლისწულოდ არგვეთი უბოძა. იმერეთიდან გიორგი V ოდიშის საერისთავოში, იქიდან კი აფხაზეთის საერისთავოში გადავიდა. აქ მან ციხე-სიმაგრეებში თავისი მეციხოვნეები ჩააყენა და ადგილობრივი საქმეებიც მოაწესრიგა. ამგვარად, დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთთან კვლავ ერთ სამეფოდ გაერთიანდა.

დასავლეთ საქართველოდან გიორგი V ახლა სამცხეში გადავიდა. ჯერ კიდევ 1327 წ. მან თავის ბიძას, ბექა ჯაყელის უფროს ვაჟს სარგისს მანდატურთუხუცესობა და ათაბაგობა უბოძა, რაც ფორმალურად სამცხის სამთავროში საქართველოს მეფის იურისდიქციის აღდგენას ნიშნავდა. ამჯერად სამცხეში მეფის ჩასვლის საბაბი 1334 წ. სარგის ჯაყელის გარდაცვალება გახდა. გიორგი V მანდატურთუხუცესობა და ათაბაგობა გარდაცვლილის ვაჟს ყვარყვარეს უბოძა. იმავდროულად სამთავროს ცალკეულ მხარეებში თავისი ერისთავები დააყენა. სამცხის შემოერთებით გიორგი V საქართველოს ერთიანობის აღდგენა დაასრულა.

ამის შემდეგ მეფემ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისთვისაც მოიცალა. მთაში მონღოლთა ბატონობის შედეგად სახელმწიფოებრიობა ძალზე შეირყა და განუკითხაობა სუფევდა. 1335 წ. გიორგი V დარიალის ციხემდე მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი მოიარა და იქაური საქმეები განაგო. მეფე საჩივრებს ადგილზე გაეცნო და სამართალი განაჩინა. შემდეგ ერისთავი, გამგებლები, ხევისბერები და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა საპატიო პირები თბილისში დარბაზობაზე ჩამოიყვანა. დარბაზმა იმსჯელა ამ რეგიონში შექმნილ მძიმე ვითარებაზე, რაც სამართლებრივი ნორმების მოშლით იყო გამოწვეული. მეფემ და დარბაზმა მთიულეთისა და ქსნის ხეობისათვის საგანგებო კანონთა კოდექსი მიიღეს, რომელსაც „ძეგლის დადება" ეწოდა. თუმცა „ძეგლის დადება" მხოლოდ კონკრეტული რეგიონისათვის შეიქმნა, მაგრამ მალე ის საქართველოს მთელ მთიანეთში მოქმედ სამართლად იქცა.

1333-1334 წლებში ილხანთა ყაენმა აბუ-საიდმა საქართველოში შიჰნად ანუ ყაენის ნაცვლად ჰასან ჯალაირი დანიშნა. გიორგი ბრწყინვალემ ის საქართველოში არ შემოუშვა. ჰასან ჯალაირი საქართველოში მონღოლთა მიერ დანიშნული უკანასკნელი შიჰნა იყო. ამით საქართველო მონღოლთა ულუსისაგან ფორმალურადაც განთავისუფლდა.

აბუ საიდს საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობა აღარ დასცალდა, ვინაიდან ის 1335 წ. გარდაიცვალა. მის გარდაცვალებას ილხანთა სახელმწიფოში დიდი არეულობა მოჰყვა, რომელიც ამ სახელმწიფოს დაშლით დასრულდა. ამგვარად, მონღოლთა 90-წლიან ბატონობას საქართველოში ბოლო მოეღო. ილხანთა სახელმწიფოს ადგილას რამდენიმე ახალი სახელმწიფო ჩამოყალიბდა. მათ შორის საქართველოს ისტორიაში გარკვეული როლი ითამაშეს ჩობანიანთა და ჯალაირთა სახელმწიფოებმა. ჩობანიანთა სახელმწიფო ნოიან ჩობანის მემკვიდრეებმა დააარსეს. ის ადარბადაგანს, ანუ აზერბაიჯანს მოიცავდა. ჯალაირთა სახელმწიფო კი უფრო სამხრეთით საკუთრივ სპარსეთს და არაბეთის ერაყს აერთიანებდა. ჩობანიანთა სახელმწიფოს დამაარსებელი ჰასან-ქუჩუკი (პატარა ჰასანი) სამეფოს ილხანთა ყაენის სახელით მართავდა. ამიტომ, როგორც კი მოიცალა, 1338 წ. საქართველოს წინააღმდეგ გაილაშქრა. მონღოლები რანში, განძაში შემოიჭრნენ. აქ მათ თავისი ლაშქრით გიორგი V შეება და მტერი სასტიკად დაამარცხა.

მონღოლთა ბატონობამ საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაც შეარყია. ბევრი წესი მოიშალა და ახლა, მონღოლთა ბატონობის გადაგდების შემდეგ, სასწრაფოდ მოწესრიგებას მოითხოვდა. ამ მიზნით გიორგი V 1338-1340 წლებში საეკლესიო კრება მოიწვია. კრებას ქართლის კათალიკოსი ბასილი, აფხაზეთის კათალიკოსი ნიკოლოზი და საქართველოს ეპისკოპოსები და მონასტერთა წინამძღვრები ესწრებოდნენ. საეკლესიო კრებამ უღირსი მღვდელმთავრები გადააყენა და საეკლესიო ცხოვრების წესები გამართა.

გიორგი V **საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის აღდგენას** შეუდგა. უპირველეს ყოვლისა, მან ეგვიპტის სასულთნოსთან კარგი ურთიერთობის დამყარებაზე იზრუნა. გიორგი V მეფობის პირველ წლებში ეგვიპტეში ორი ელჩობა გააგზავნა, რის შედეგადაც საქართველომ მთლიანად დაიბრუნა თავისი პრივილეგიები წმინდა მიწაზე. ეგვიპტის სულთნები ძალზე აფასებდნენ გიორგი V-თან

**[illegible]**

არაბი ისტორიკოსის ალ-უმარის ცნობით, ეგვიპტის სულთნის წერილები საქართველოს მეფე გიორგი V-სადმი შემდეგნაირად იწყებოდა: „[illegible] კალამმა მისი მეფური უდიდებულესობისა, დიდებულისა, გულადისა, ძლიერისა, ლომისა, მეფეთა მეფისა, [illegible] თაყვანისმცემლისა, ლომგულისა, ტახტის მპყრობელისა, [illegible], თავის სარწმუნოებაში [illegible], თავის ხალხის მიმართ სამართლიანისა, საბერძნეთის (იგულისხმება ბერძნული ქრისტიანები) მეფეთა შორის რჩეულისა, ქართველთა სულტნისა, ზღვებისა და ხმელეთის სამეფოს [illegible], ტახტ-გვირგვინის [illegible], რუმისა და ირანის ქვეყნების ზღუდისა, ქრისტიანობის [illegible], ქრისტიანების [illegible], საქრისტიანოს [illegible], [illegible] ნათლისღებულთა [illegible], რომის პაპის შვილისა, [illegible] ერთგული მეგობრისა, [illegible] მეფეთა და სულტანთა მეგობრისა".

ურთიერთობაშ, რაც საქართველოს მეფისადმი მათი მიმართვის ფორმაშიც აისახა. ამ მიმართვის ტექსტი XIV ს-ის ერთმა არაბმა ისტორიკოსმა შემოგვინახა.

გიორგი V მეფობის პირველ წლებში დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა რომის პაპთანაც. 1318 წ. კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა ილხანების სახელმწიფოს დედაქალაქ სულთანიეში საარქიეპისკოპოსო კათედრა დააარსა, რომელსაც საქართველოს მავიზღვისპირეთში, ცხუმში (სებასტოპოლში) ახლადშექმნილი კათოლიკური საეპისკოპოსო დაუმორჩილა. სებასტოპოლის პირველ კათოლიკე ეპისკოპოსად ფერნანდო მორი დაინიშნა. 1321 წ. რომის პაპმა იოანე XXIII „გიორგის ქართველთა ბრწყინვალე მეფეს და მის დიდებულებს" საგანგებო მიმართვა გაუგზავნა. ამ მიმართვის გაგზავნის შემდეგ, საფიქრებელია, საქართველოს სამეფო კარსა და რომის პაპს შორის მოლაპარაკება გაიმართა, რის შედეგადაც გიორგი V კათოლიკურ ეკლესიას თბილისში საეპისკოპოსო კათედრის გახსნის ნებას დართო. ამის შემდეგ რომის პაპმა ქალაქ სმირნიდან (დღევანდელი ქალაქი იზმირი თურქეთში ეგეოსის ზღვის სანაპიროზე) საეპისკოპოსო კათედრა 1328 წელს „განთქმულ და შესანიშნავ ქალაქ თბილისში" გადმოიტანა.

1333-1334 წლებში გიორგი V-ს თბილისში საფრანგეთის მეფე ფილიპე V ვალუას (1328-1341) ელჩები ეწვივნენ და მას თავიანთი მეფის წერილი გადასცეს, რომელშიც ფილიპე V საქართველოს მეფეს „წმინდა" მიწის გასანთავისუფლებლად ეგვიპტის წინააღმდეგ ერთობლივ ლაშქრობას სთავაზობდა. საქართველოს მეფემ ელჩები ორი თუ დიდი პატივით ისტუმრა. შემდეგ კი მათ საფრანგეთის მეფესთან საპასუხო წერილი გაატანა, რომელშიც საქართველოს სამეფო კარის დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისადმი ერთგვარი საყვედური გამოსჭვიოდა: „საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აქეზებენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკინოზთა (იგულისხმება მუსლიმები) წინააღმდეგ საბრძოლველად – კითხულობთ გიორგი V-ის წერილში – შემდგომ ისინი აღარ მოდიან, ტოვებენ რა აღმოსავლეთის მეფეებს მარტოდ ამ მტანჯველ ომში. გთხოვთ, თქვენ დაადგინოთ, თუ როდის და როგორ გადმოლახავთ ზღვას და მყისვე მეც მიხილავთ 30 ათასი ჯარისკაცით." როგორც ადრე, ამ შემთხვევაშიც საქმე დიპლომატიურ მიწერ-მოწერას არ გასცილებია, მაგრამ თავისთავად ნიშანდობლივია ის, რომ ამ დროს საფრანგეთი საქართველოს აღმოსავლეთის ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოდ და მახლობელ აღმოსავლეთში თავის პოტენციურ მოკავშირედ მიიჩნევდა.

XIII ს-ის ბოლოს ჩვენთვის უკვე ცნობილი რუმის სასულთნო ცალკეულ საამიროებად (სამთავროებად) დაიშალა. მათ შორის მალე ერთი საამირო გაძლიერდა, რომელსაც 1282-1326 წლებში ოსმანი ედგა სათავეში. მისი სახელის მიხედვით, ამ ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოს „ოსმალეთი" ანუ თურქ-ოსმალთა სახელმწიფო ეწოდა. ამავე სახელიდან წარმოსდგება ევროპულ ენებში გავრცელებული ამ სახელმწიფოს მეორე სახელწოდება „ოტომანთა იმპერია". ოსმანის მემკვიდრეები იმთავითვე დაპყრობების გზას დაადგნენ და მალე პატარა სამთავრო ძლიერ და ვრცელ ქვეყნად გადაიქცა. XIV ს-ის 30-40-იან წლებში ოსმალებმა მცირე აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი გააერთიანეს. ამავე 1330-იანი წლების დასასრულს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თურქ-ოსმალთა მარბიელი ლაშქარი შემოიჭრა. ლაშქარს სათავეში ოსმანის ძე ორხანი (1326-1348) ედგა. გიორგი V ოსმალებს მშვიდობა შესთავაზა და როდესაც უარი მიიღო, ბრძოლა გაუმართა. ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს და დიდი ნადავლი იგდეს ხელთ.

1330-იანი წლების ბოლოს გიორგი V ტრაპიზონის იმპერიის საქმეებისთვისაც მოიცალა და მის საშინაო საქმეებში ჩაერია. აქ იმხანად ხელისუფლებისათვის ერთმანეთს ორი, პროქართული და პრობიზანტიური პარტია ებრძოდა. ქართველთა ლაშქარზე დაყრდნობით, 1341 წ. საიმპერატორო ტახტზე ქართული ორიენტაციის დედოფალი ანა ხუტლუ აიდა. სამწუხაროდ მან ტახტი დიდხანს ვერ შეინარჩუნა. 1343 წ. ანა ხუტლუ ტახტიდან ჩამოაგდეს და სიკვდილით დასაჯეს. ტრაპიზონში პროქართულმა პარტიამ 1348 წლისათვის გამარჯვებას მაინც მიაღწია. ამის შემდეგ გამარჯვებულმა

ლაზებმა სახახლის მოხელეთა დიდი ნაწილი შეცვალეს.

მეფობის ბოლოსათვის გიორგი V საქართველო თითქმის მონღოლებამდელ საზღვრებში აღადგინა და ქვეყანას ძველი დიდება დაუბრუნა. მადლიერმა ქართველმა ხალხმა მას გიორგი „ბრწყინვალე" უწოდა.

„ხოლო ამისთვის ეწოდა მეფესა ამას გიორგი ბრწყინვალე – წერს ვახუშტი ბაგრატიონი – რამეთუ იყო პაეროვნებით, შვენიერებით და ახოვნებით უებრო, მოწყალე, უხვი, ობოლთა და ქვრივთა და დაკრძალბილთა შემწყნარებელი. მეორეთ, რადგან იყო ივერია (საქართველო) დაფანტული, ხამთავროდ და სამეფოდ დაყოფილი, ამან სიბრძნე-გონიერებითა და ძლიერებითა თვისითა კვლავაც გააერთიანა და გამოჩინა გონიერება ვითარც აღმაშენებელმა, ალაგსო და აღაშენა ქვეყანა, რჯული და სამოქალაქო წესნი განაბრწყინა (მოაწესრიგა), დარღვეული და მოოხრებული ეკლესიები ააშენა, განაახლა და გაანათლა; ხოლო რანი, შარვანში და მოვაკანი მოხარკედ გაიხადა. ყოვლის ძლია: სადაც ჯერ იყო ბრძოლითა და ძლიერებითა, სადაც საჭირო იყო სიბრძნე-გონიერებითა და ცოდნით".

მონღოლთა ბატონობამ, რა თქმა უნდა, უკვალოდ არ ჩაიარა. საქართველომ მნიშვნელოვანი ტერიტორია დაკარგა. უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა ქალაქი შაქი და მისი ქვეყანა. შაქი, საქართველოს, კერძოდ, ჰერეთის უკიდურესი აღმოსავლეთი მხარე, რომელიც მონღოლებამდე ქართველ დიდებულთა არეშიანთა სამფლობელო იყო, ახლა ცალკე მუსლიმურ სამთავროდ ჩამოყალიბდა. ასევე სომხური ქალაქები დვინი და ნახჭევანი და მათი მიმდებარე ქვეყნები საქართველოს ფარგლებში უკვე აღარ შემოდიოდნენ და მათაც მუსლიმი გამგებლები ჰყავდათ. მიუხედავად ამისა, გიორგი ბრწყინვალის ხანის საქართველო კვლავაც ფრიად ვრცელ და ძლიერ ქვეყანად რჩებოდა. საქართველოს საზღვრები სამხრეთ-დასავლეთით თითქმის არზრუმამდე იყო გადაჭიმული. სომხეთის დიდი ნაწილი – ანისის ქვეყანა – კვლავაც საქართველოს ფარგლებში შემოდიოდა.

გიორგი ბრწყინვალეს, ჩრდილოეთ კავკასიაში ემორჩილებოდნენ ოსები, დურძუკები, დაღესტანში მოსახლე ლეკები და ხუნძები. მან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამხრეთ კავკასიის მუსლიმურ სამთავროებზეც წარმატებით ილაშქრა და შაქი, შარვანი და რანი, ივივე განძა და მისი ქვეყანა, მოხარკედ გაიხადა. ასე რომ, მონღოლების ბატონობისაგან განთავისუფლებული საქართველო კვლავაც „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე" გადაიჭიმა (იხ. რუკა 20).

### სომხური ანდერძ-მინაწერები საქართველოს საზღვრების შესახებ

XIV ს-ის პირველი ნახევრის სომხური ანდერძ-მინაწერები საინტერესო ცნობებს შეიცავენ გიორგი ბრწყინვალის ხანის საქართველოს ტერიტორიის ფარგლების შესახებ: „ეს წიგნი დაიწერა საქართველოსა და დიდ სომხეთში მეფე გიორგის მეფობისას – ვკითხულობთ 1323 წლის ანდერძ-მინაწერში". „ეს წიგნი [illegible] მღვდელი, წარმოშობით საქართველოდან..., შესანიშნავ ქალაქ [illegible] (სამხრეთ [illegible] შავი ზღვა), მეფე [illegible] ქალაქში [illegible] (გიორგი [illegible])" - წერს სომეხი მღვდელი თავის 1336 წლის ანდერძ-მინაწერში.

## § 50. საქართველო XIV საუკუნის II ნახევარში

გიორგი ბრწყინვალის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი ვაჟი დავით IX (1346-1366) ავიდა. მისი მეფობის შესახებ ძალზე ცოტაა ცნობილი. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ იმხანად საქართველოში შავი ჭირის ეპიდემია მძვინვარებდა. ამ საშინელმა სენმა ჩვენში, ისევე როგორც სხვაგან, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმსხვერპლა. განსაკუთრებით დიდი სიკვდილიანობა, სავარაუდოდ, 1348 წელზე მოვიდა. ამიტომაც უწოდებს ძველი ქართველი მემატიანე და კალიგრაფი ავგაროზ ბანდაისძე ამ წელს „სიკვდილობის წელს". სამწუხაროდ, შავი ჭირის ეპიდემია ორათეულ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. პერიოდულად ის ახალი ძალით იფეთქებდა. ვახუშტი ბაგრატიონი 1366 წლის ამბებთან დაკავშირებით ხაგანგებოდ აღნიშნავს: „იყო მსჯვრელი ჟამი

### შავი ჭირის ეპიდემია მსოფლიოში და საქართველოში

1346 წ. ყირიმში გენუელთა მიერ [illegible] სავაჭრო ქალაქ კაფას ოქროს ურდოს ლაშქარმა შემოარტყა ალყა. მონღოლებში შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა. მათ კი დაცხრილებული გვამები ალყაშემორტყმულ ქალაქში გადაისროლეს და შავი ჭირი კაფის მოსახლეობაშიც გავრცელდა. დაავადებული ქალაქიდან შავი ჭირი იტალიელთა სავაჭრო ხომალდებმა შავიზღვისპირეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ნავსადგურებში გაიტანეს. სავარაუდოდ ეს საშინელი სენი მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებს მოედო. ეპიდემიამ მოსახლეობის თითქმის ნახევარი გაწყვიტა.

(შავი ჭირი) და დიდი სიკვდილიანობა, დაიხოცა ურიცხვი ხალხი და მოკვდა ცოლი მეფისა ბაგრატისა დედოფალი ელენე".

ბაგრატ V (1366-1393) მისი მამის დავითის გარდაცვალების შემდეგ მეფედ ქუთაისში ეკურთხა. მალე მან მეორე ცოლად ტრაპიზონის კეისრის ასული ანა კომნენოსი მოიყვანა. მემატიანეთა ცნობით, ბაგრატ მეფე კარგი გარეგნობის კაცი ყოფილა: მხნე, ახოვანი, ტანით ძლიერი, უცთომლად მოისარი, კარგი მებრძოლი და გამოჩენილი მხედართმთავარი. ამავე დროს მშვიდი, მოწყალე და სამღვდელოების პატივისმცემელი. მას მძიმე დროს მოუწია მეფობა. საშინელმა სენმა ქვეყანა ძლიერ დააზარალა. ხალხის ამოწყვეტამ ქალაქების და დაბების გაუკაცრიელება გამოიწვია, რამაც მნიშვნელოვნად დასცა ვაჭრობა-ხელოსნობა, სოფლის მეურნეობა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკა. ასეთ ვითარებაში შინააშლილობამაც იჩინა თავი. ბაგრატ მეფე მტკიცე ხასიათის პატრონი აღმოჩნდა და საქართველოს სხვადასხვა მხარის გამგებელ-ერისთავთა განდგომა სწრაფად და ენერგიულად ალაგმა. განსაკუთრებით ძლიერი სვანეთის ერისთავის გამოსვლა იყო, რომელმაც ქუთაისიც კი გაძარცვა და გადაწვა. ბაგრატმა სვანეთის ერისთავთერისთავის სამაგალითო დასჯა განიზრახა. მან ქუთაისში იმერეთ-კახეთის, ქვემო ქართლისა და სამცხე-საათაბაგოს ლაშქარს მოუყარა თავი. აღმოსავლეთ საქართველოს მხედრობას აფხაზეთის, ოდიშის, გურიისა და რაჭის ერისთავები შეუერთდნენ. ასეთი დიდი ჯარით ბაგრატ V სვანეთში შევიდა, აჯანყების მოთავეები დასაჯა და გამდგარი საერისთავო ისევ მორჩილებაში მოიყვანა.

ხანამ ბაგრატი სვანეთის საქმეებს აგვარებდა, თურქებმა მეფე შორს დაიგულეს და სამცხეში შემოიჭრნენ. მოსახლეობა გაძარცვეს, დაატყვევეს და დიდი ნადავლით უკან გაბრუნდნენ. ბაგრატ მეფემ თურქთა თავდასხმის ამბავი ქუთაისში შეიტყო. მან თორმეტი ათასი რჩეული მხედრობით სასწრაფოდ ფერსათის ქედი გადალახა, სამი დღე-ღამე შეუსვენებლად იარა და მტერს არაქზს გადაღმა მოუწია. სასტიკი ბრძოლა გაიმართა, ქართველებმა მტერს ძლიეს. თურქები იძულებულნი გახდნენ ნაძარცვი და ტყვეები მიეტოვებინათ და გაქცეულიყვნენ.

საქართველო თანდათან დამშვიდდა და მოშენება დაიწყო. მაგრამ ეპიდემიის შედეგების აღმოფხვრას დრო სჭირდებოდა. სამწუხაროდ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ ჩვენს ქვეყანას სულის მოთქმის საშუალება არ მიეცა. 1386 წ. საქართველოს ახალი მრისხანე დამპყრობელი თემურ-ლენგი შემოესია.

თემურ-ლენგი საქართველოში ყარსის აღების შემდეგ შემოიჭრა და თბილისისაკენ დაიძრა. ქართველები მტრის ურიცხვ ლაშქართან პირდაპირ შებმას მოერიდნენ და ციხე-სიმაგრეებში გამაგრდნენ.

თბილისის დაცვას საქართველოს მეფე ბაგრატი ხელმძღვანელობდა. ქალაქი კარგად იყო გამაგრებული და აუღებლად ითვლებოდა. ალყა დიდხანს გაგრძელდა. ქართველები დროდადრო ქალაქიდან გამოდიოდნენ და მტერს დიდ ზარალს აყენებდნენ. მაშინ თემურ-ლენგმა ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა. ეს იყო თოფები და ცერეთ წოდებული „რადანდაზები", რომლებიც ადრეულ ქვემეხებს წარმოადგენდნენ. ცეცხლსასროლი იარაღი ხულ ახალი შემოსული იყო სამხედრო საქმეში და თემურ-ლენგმა ის ერთ-ერთმა პირველმა იხმარა. მტერმა ქვემეხები თბილისის ირგვლივ მთებზე განალაგა და ყუმბარები ქალაქს დაუშინა. ქალაქზე გადამწყვეტ შეტევას თვით თემურ-ლენგი ჩაუდგა სათავეში, რომელმაც მოიერიშეები ისრებისაგან დასაცავად დიდი

თემურ ლენგი

თემური შუა აზიაში მომთაბარე ერთ-ერთი გათურქებული მონღოლური ტომიდან წარმოშობილა და წარჩინებული, მაგრამ ღარიბი ბეგის (აზნაური) შვილი იყო. ახალგაზრდობაში ის [illegible] ერთ-ერთ ბრძოლაში მარჯვენა ფეხში დაიჭრა და დაკოჭლდა. ამიტომ მას მეტსახელად „ლენგი" ანუ „კოჭლი" უწოდეს. [illegible] თემურ-ლენგი [illegible] ცნობილია. [illegible]

თემურ-ლენგმა [illegible] 1398 წ. მან [illegible] ინდოეთში, 1402 წ. [illegible] 1405 წელს თემურ-ლენგი გარდაიცვალა. [illegible]

ფარებით საგანგებოდ აღჭურვა. ასეთ ვითარებაში მტერი ქალაქში შემოიჭრა, ბაგრატ მეფე კი დარჩენილი ლაშქრით ქალაქის დედა-ციხეში გამაგრდა. ბოლოს თემურ-ლენგმა საქართველოს მეფეს უვნებლობა აღუთქვა და ისიც მტერს დანებდა. ეს მოხდა 1386 წლის 21 ნოემბერს. თემურ-ლენგმა „ომის კანონით, ხელში იგდო საოცარი თბილისი – წერს თანამედროვე ტრაპიზონელი ბერძენი მემატიანე – ტყვედ ჩაიგდო გამოჩენილი სარდალი ბაგრატ მეფე და მისი მეუღლე, ჩვენი ხელმწიფის ასული, მშვენიერი ქალბატონი ანა, აგრეთვე მისი ძე დავითი. ხალხი კი გაჟლიტა მახვილით და გაანადგურა. რა ქონება იგდო ხელთ, რა ხატები გაძარცვა და დაწვა, რამდენი თვალი პატიოსანი, მარგალიტი, ოქრო და ვერცხლი წაიღო, არავის შეუძლია აღწეროს". თემურ ლენგმა დიდძალი ხალხი დაატყვევა. ბაგრატ მეფე თან წაიყვანა და ყარაბაღში დაბანაკდა. მრისხანე დამპყრობელმა ბაგრატ მეფე აიძულა ისლამი მიეღო და პირობა ჩამოართვა, რომ მთელ თავის სამეფოს მაჰმადის სჯულზე გადაიყვანდა. გამუსლიმებულ ბაგრატ მეფეს თემურ-ლენგმა ძვირფასი საჩუქრები უბოძა. თავის მხრივ საქართველოს მეფემ თემურ-ლენგს სხვა საჩუქრებთან ერთად ჯაჭვის პერანგი მიართვა, რომელიც გადმოცემით, ებრაელთა მეფისა და წინასწარმეტყველის დავითის სახელოსნოში იყო დამზადებული. ამის შემდეგ თემურმა ბაგრატი სამშობლოში გამოუშვა და თორმეტ ათასიანი ლაშქარიც გამოაყოლა. ბაგრატ მეფემ შვილებს თურქმანთა ლაშქართან ერთად თავისი უკან დაბრუნების შესახებ წინასწარ აცნობა. ქართველთა ლაშქარიც თურქმანებს მოულოდნელად დაესხა თავს და გაანადგურა. ამ ამბავმა თემურ-ლენგი ფრიად განარისხა, მაგრამ იმჟამად მას საქართველოსათვის არ ეცალა და ქართველთა დასჯა მომავლისათვის გადადო.

თემურ-ლენგის შემოსევით ისარგებლეს ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ჯიქებმა და დასავლეთ საქართველოს შემოუტიეს. მაშინ ოდიშის ერისთავმა ვამეყ I დადიანმა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ლაშქრის მხედართმთავარი იყო, ჯიქებზე საპასუხო ლაშქრობა მოაწყო. მან მათი გამაგრებული ადგილები მოარბია და ჯიქები კვლავ საქართველოს დაუმორჩილა. ვამეყ I დადიანის ამ ლაშქრობის შესახებ ცნობა ხობის ტაძრის ერთმა წარწერამ შემოგვინახა.

1393 წ. ბაგრატ V გარდაიცვალა და სამეფო ტახტზე მისი ვაჟი გიორგი VII (1393-1407) ავიდა. მან თავისი მეფობა მთლიანად თემურ-ლენგთან ბრძოლას შეალია.

1394 წ. თემურ-ლენგი მეორეჯერ გამოჩნდა საქართველოში. ზაფხულში ჯერ მარბიელმა ლაშქარმა სამცხე აიოხრა, შემდეგ კი თვით თემურ-ლენგი მთელი ლაშქრით არაგვის ხეობაში შეიჭრა, საიდანაც დარიალის გზით ოქროს ურდოში გადასვლას ცდილობდა. ქართველებმა მტერს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, თანაც შარვანში დარუბანდის გზით ოქროს ურდოს ყაენი თოხთამიში შემოიჭრა. ამიტომ თემურ-ლენგმა საქართველო დატოვა და შარვანში შემოჭრილი ოქროს ურდოს ყაენის წინააღმდეგ გაემართა. მან თოხთამიში რამდენ-ჯერმე დაამარცხა და დაანგრია ოქროს ურდოს დიდი სავაჭრო ქალაქები: სარაი-ბერქე – მდ. ვოლგაზე, ასტრა-ხანი – ვოლგის შესართავთან, აზოვი, იგივე ტანა (ძველი ბერძნული ტანაისი) – მდინარე დონის შესართავში. ეს ქალაქები აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელ ერთ-ერთ უმთავრეს სავაჭრო-საქარავნო გზაზე მდებარეობდნენ.

ოქროს ურდოს ყაენის საბოლოოდ დამარცხების შემდეგ თემურ-ლენგი შუა აზიაში, სამარყანდში დაბრუნდა, საიდანაც ინდოეთის დასაპყრობად გაემართა. გიორგი VII თემურ ლენგი შორს დაიგულა და მის წინააღმდეგ ბრძოლა განაახლა. ქართველებმა ნახჭევანში გაილაშქრეს. აქ ერთ-ერთ ციხეში თემურ-ლენგის

[illegible]

[illegible] ურწმუნოებისა [illegible]

## ოქროს ურდო და რუსეთი

რუსეთი ამჟამად კვლავაც სამთავროებად იყო დაშლილი. ყველაზე დიდი მათ შორის მოსკოვის სამთავრო იყო, რომელიც დანარჩენ სამთავროებს თანდათან იერთებდა.

მოსკოვის სამთავრო ოქროს ურდოს ემორჩილებოდა და ხარკს უხდიდა. მოსკოვის მთავარმა დიმიტრიმ მონღოლებს ხარკი შეუწყვიტა. ამის საპასუხოდ ოქროს ურდოს ყაენმა მამაიმ დიმიტრის წინააღმდეგ გაილაშქრა. ბრძოლა მოხდა 1380 წ. კულიკოვოს ველზე მდინარე დონის ნაპირას. დიმიტრიმ გაიმარჯვა. ეს იყო რუსების პირველი გამარჯვება ოქროს ურდოზე, რამაც მათ მონღოლებისგან განთავისუფლების იმედი ჩაუსახა. ამ გამარჯვების გამო დიმიტრის მეტსახელად დონელი უწოდეს. მაგრამ ოქროს ურდოში მოსკოვის მთავართან ბრძოლაში დამარცხებული ყაენი ტახტიდან ჩამოაგდეს. მის ნაცვლად ტახტზე თოხთამიში ავიდა. ყაენმა თოხთამიშმა 1382 წ. რუსების დასასჯელად დიდი ლაშქრით მოაწყო, ქალაქი მოსკოვი აიღო და გადაწვა. დიმიტრი დონელი იძულებული იყო ოქროს ურდოსათვის ხარკის გადახდა განეახლებინა. ამის შემდეგ რუსეთი მონღოლთა ბატონობის ქვეშ კიდევ ასი წელიწადი დარჩა.

ლაშქრის მიერ ჯალაირთა სულთნის აჰმედის ვაჟი იყო ალყაშემორტყმული. ქართველებმა უფლისწული გაათავისუფლეს და საქართველოში წამოიყვანეს. გიორგი VII-ს ის სპარსეთში თემურ-ლენგის წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღებისათვის სჭირდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, წინდაუხედავი ნაბიჯი იყო, რამაც საქართველოს დიდი უბედურება მოუტანა. განრისხებული თემურ-ლენგი ინდოეთზე ლაშქრობის დამთავრებისთანავე გიორგი VII-ის წინააღმდეგ გამოემართა და 1399 წლის მიწურულს საქართველოში შემოიჭრა. თემურმა გიორგი მეფეს ჯალაირიანი უფლისწულის გადაცემა მოსთხოვა, რაზედაც უარი მიიღო. მაშინ მან საქართველოს სრული განადგურება გადაწყვიტა და 1400-1403 წწ-ში ჩვენს ქვეყანაში კიდევ ოთხჯერ ილაშქრა. მრისხანე დამპყრობელმა აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხე დაარბია და დასავლეთ საქართველოშიც გადავიდა, სადაც შვიდასზე მეტი სოფელი, დაბა თუ ქალაქი დაარბია. თემურ-ლენგის ლაშქარი არაფერს ინდობდა. მისი ბრძანებით სპეციალურად ანგრევდნენ ციხეებსა და ეკლესია-მონასტრებს, კაფავდნენ ბაღ-ვენახებს, ჭრიდნენ თუთისა და კაკლის ხეებს. მტერმა ქართული არქიტექტურის მშვენება სვეტიცხოველიც არ დაინდო და მისი გუმბათი დაარღვია. მოსახლეობამ გამოქვაბულებს და სიმაღლეებს მიაშურა, მაგრამ ამანაც ვერ უშველა. თემურ-ლენგის ბრძანებით, სპეციალური დიდი კალათები დაამზადეს, რომლითაც მეომრებს ძნელად მისადგომ გამოქვაბულებში შეხიზნულთა ამოსახოცად ზემოდან თოკებით უშვებდნენ.

საქართველოს ციხეებს შორის თემურ-ლენგს ყველაზე უფრო ბირთვისის ციხის (ალგეთის ხეობაში) აღება გაუჭირდა. ეს ციხე მაღალ კლდეზე იდგა და აუღებლად ითვლებოდა. ამიტომ მას მხოლოდ ასორმოცდაათი მეციხოვნე იცავდა. ციხეში თავისი ოჯახებით ოცდაათი დიდებული იყო თავშეფარებული. მათ წყლის და სურსათ-სანოვაგის დიდი მარაგი ჰქონდათ. თემურ-ლენგის სარდლებს ციხის აღება შეუძლებლად მიაჩნდათ, ამიტომ თემურს ციხისათვის თავის დანებებას ურჩევდნენ, მაგრამ მან უკან არ დაიხია. მისი ბრძანებით, უზარმაზარი წნული კიბე დაამზადეს, რომელსაც ოთხასი საფეხური ჰქონდა. ეს კიბე ღამით, როცა ციხეში ყველას არხეინად ეძინა, თურქმანმა მეომრებმა კლდეზე აიტანეს და ციხის განაპირას მდგომ ერთადერთ ხეზე ჩამოკიდეს. ამ კიბით მალე თურქმანთა ლაშქარი ციხეში აღმოჩნდა. როცა ქართველები გონს მოვიდნენ უკვე გვიან იყო. თემურმა ციხე აიღო, იქ თავშეფარებული მამაკაცები ერთიანად გაწყვიტა, მათი ცოლები კი თავის სარდლებს დაურიგა.

თემურ-ლენგმა გიორგი VII-ის ხელში ჩაგდება მაინც ვერ მოახერხა. საქართველოში ომი კი დიდ ჯარს და ძალებს მოითხოვდა, ამიტომ ის გიორგი მეფის შემოთავაზებულ ზავს დათანხმდა. ზავი 1403 წ. დაიდო. საქართველოს მეფემ თემურის უზენაესობა აღიარა და ხარკის გადახდა იკისრა. საქართველოსთან ომის წარმატებით დამთავრება სამარყანდელმა დამპყრობელმა დიდი ზეიმით აღნიშნა. ამის შემდეგ თემურ-ლენგი შუა აზიაში დაბრუნდა, სადაც მალე, 1405 წ. გარდაიცვალა.

თემურ ლენგის გარდაცვალების შემდეგ გიორგი VII მის მიერ საქართველოს ციხეებში ჩაყენებული თურქმანები ქვეყნიდან გააძევა და შეტევაზეც გადავიდა. ამ დროისათვის უკან დაბრუნდნენ თემურ-ლენგის შემოსევებამდე წინა აზიაში არსებულ თურქმანულ სახელმწიფოთა გაქცეული გამგებლები და თემურის მემკვიდრეებთან ბრძოლა გააჩაღეს. ამ ბრძოლაში გიორგი მეფეც ჩაება. მან ანისი აიღო, განძა და ნახჭევანი მოარბია. მაშინ თემურ-ლენგის ვაჟმა მირან-შაჰმა გიორგის წინააღმდეგ ლაშქარი გამოგზავნა. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მტერი და მათ სპარსეთის ქალაქ მარანდამდე სდიეს. ამის შემდეგ გიორგი მეფემ მარანდის და თავრიზის მიდამოები მოარბია.

1407 წ. თემურის მემკვიდრეებმა საქართველოზე საპასუხო ლაშქრობა მოაწყვეს. გიორგი VII მთავარი ძალების შეგროვებას არ დაელოდა და მცირერიცხოვანი მხედრობით თურქმანებს შეება. ქართველები იმარჯვებდნენ, მაგრამ ამ დროს მოულოდნელად მეფე დაიღუპა, რამაც ბრძოლის ბედი გადაწყვიტა. ბრძოლის ველზე დაცემული მეფის ცხედარი მცხეთაში მოასვენეს და დაკრძალეს. საქართველოს ტახტზე კი მისი ძმა კონსტანტინე I (1407-1412) ავიდა.

## § 51. საქართველო ალექსანდრე დიდის ხანაში

თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა მის მიერ შექმნილი უზარმაზარი სახელმწიფო ვერ შეინარჩუნეს. 1410 წ. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით შეიქმნა ყარა-ყოიუნლუს ანუ შავბატკნიანთა სახელმწიფო, რომელმაც თავის დედაქალაქად თავრიზი გამოაცხადა. ეს სახელმწიფო მომთაბარე თურქმანულმა ტომებმა შექმნეს, რომელთა დროშაზეც შავი ბატკანი იყო გამოსახული. ამ დროს მდინარე ტიგროსის ხეობაში მეორე თურქმანული სახელმწიფოც არსებობდა, რომელსაც თავის დროშებზე თეთრი ბატკანი ჰქონდა გამოხატული. მას აკ-ყოიუნლუს ანუ თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს უწოდებენ.

შავბატკნიანთა სახელმწიფოს საზღვრებში ქურთისტანი (ამჟამად თურქეთში დიარბაქირის მხარე), სომხეთის დიდი ნაწილი – ხლათის ქვეყანა, არაბეთის ერაყი, რანი და ადარბადაგანი შედიოდა. ჩრდილოეთით მისი საზღვარი მდინარე მტკვარზე გადიოდა. შავბატკნიანთა ფადიშაჰმა (ხელმწიფემ) ყარა-იუსუფმა (შავი იუსუფი) შარვანის დამორჩილებაც მოინდომა. შარვანის გამგებელმა დახმარებისათვის საქართველოს მიმართა.

კონსტანტინე I-ს საქართველოს აღმოსავლეთით მომთაბარული აგრესიული სახელმწიფოს გაბატონება, რა თქმა უნდა, არ აწყობდა, ამიტომ შარვანის შეიხის (შიიტ მუსლიმთა სასულიერო და საერო გამგებელი) თხოვნას გაგებით შეხვდა და ორიათასიანი ლაშქრით შარვანს გაემართა. გადამწყვეტი ბრძოლა 1412 წ. ნოემბერში მტკვრის ნაპირას ჩალაღანში გაიმართა. შავბატკნიანებმა გადმოცურეს მტკვარი და მოულოდნელად შეიჭრნენ მოკავშირეთა ბანაკში, რამაც მათში დიდი დაბნეულობა გამოიწვია. შარვანელები მტერს ადვილად დანებდნენ, ქართველები კი მედგრად იბრძოდნენ. ბოლოს მტრის მრავალრიცხოვნებამ თავისი გაიტანა, თვით მეფე კონსტანტინე და სამასი ქართველი წარჩინებული ტყვედ ჩავარდა. მათი მეუპოვარი წინააღმდეგობით გამძვინვარებულმა ყარა-იუსუფმა ტყვე ქართველთა სიკვდილით დასჯა ბრძანა. საქართველოს მეფეს ფადიშაჰის ვაჟმა საკუთარი ხელით მოჰკვეთა თავი. ქართველებმა მოგვიანებით დიდი გაჭირვებით იპოვეს მეფის ცხედარი, სამშობლოში გადმოასვენეს და ქართაში დაკრძალეს. სამეფო ტახტზე კონსტანტინე მეფის ვაჟი ალექსანდრე I (1412-1442) ავიდა.

ალექსანდრე I-ის უმთავრეს ამოცანას სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნება წარმოადგენდა. მისი მეფობის დასაწყისში საქართველოს ერთიანობას საფრთხე დასავლეთ საქართველოში შეექმნა. ოდიშის ერისთავთერისთავმა მამია დადიანმა მეფესთან შეუთანხმებლად თავისი ხელისუფლების აფხაზეთის საერისთავოზე გავრცელება გადაწყვიტა. 1414 წ. ის თავს დაესხა აფხაზეთის ერისთავთერისთავს შარვაშიძეს, მაგრამ ბრძოლაში დამარცხდა და დაიღუპა. მამია დადიანის ასეთი თვითნებური საქციელის შეტყობისთანავე, ალექსანდრე I თავისი ლაშქრით დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ოდიშის საერისთავოს საზღვრებს მიადგა. აქ მას დაღუპული დადიანის ვაჟი ლიპარიტი შეეგება და მამის საქციელისათვის პატიება ითხოვა. მეფემ მას მამის დანაშაული შეუნდო და ოდიშის ერისთავთერისთავის პატივში აიყვანა. ოდიშიდან საქართველოს მეფე აფხაზეთში გადავიდა. აქ მან შარვაშიძემ თავისი მორჩილება დაუდასტურა. აფხაზეთიდან ალექსანდრე I ქუთაისში დაბრუნდა და მეფედ ეკურთხა. მეფედ კურთხევას საქართველოს ყველა მხარის ერისთავთერისთავი ესწრებოდა სამცხის ერისთავთერისთავისა და ათაბაგის ივანე ჯაყელის გარდა, რაც მის განდგომას ნიშნავდა. ამიტომ მეფედ კურთხევის შემდეგ ალექსანდრე I-მა ივანეს დასჯა გადაწყვიტა. ის დიდი ლაშქრით კოხტასთავს მიადგა და ივანე ჯაყელს მორჩილება მოსთხოვა. მორჩილების ნაცვლად ივანემ მეფეს ბრძოლა გაუმართა, მაგრამ დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა.

ამის შემდეგ ალექსანდრემ სამცხის ციხეები დაიკავა და აქ ერისთავებად თავისი ერთგული პირები დააყენა. საბოლოოდ მეფემ ივანე მაინც შეიწყალა, გაანთავისუფლა და ათაბაგობაც დაუბრუნა. ამის შემდეგომ საქართველოს ერისთავთერისთავებს ალექსანდრეს მეფობაში მეფის წინააღმდეგ გამოსვლა აღარ უცდიათ.

ჯერ კიდევ თემურ-ლენგის შემოსევების ხანაში თურქმანებმა საქართველოს სომხური მხარეები, მათ შორის ქალაქი ანისი წაართვეს და იქ გაბატონდნენ. ამავე დროს თურქმანები ქვემო ქართლში ლორეს ციხესაც დაეუფლნენ და ამ მხარეშიც ფეხი მოიკიდეს. ეს საქართველოსათვის ძალიან დიდი დანაკარგი იყო. მისი სამხრეთი საზღვარი ფაქტობრივად მორღვეული და თურქმანთა მძარცველური ლაშქრობებისაგან დაუცველი დარჩა. ამიტომაც იყო, რომ საშინაო საქმეების მოგვარების შემდეგ ალექსანდრე I სასწრაფოდ ლორეს ქვეყნის დაბრუნებას შეუდგა. დროც ხელსაყრელად იყო შერჩეული. 1420 წელს ყარა-იუსუფი გარდაიცვალა, რამაც შავბატკნიანთა სახელმწიფო დროებით დაასუსტა. ალექსანდრე მეფემ ამით ისარგებლა და 1420-22 წლებში ლორეს მხარე საქართველოს შემოუერთა. ლორეს ციხისა და ლორეს

## [illegible]

[illegible] ორბელთა შორეული შთამომავალი იყო, რომლებიც [illegible] III-ის რისხვას გადაურჩნენ და სომხეთში დასახლდნენ.

## [illegible]

საქართველოში გამოქცეულმა სომხებმა [illegible] ალექსანდრე მეფის [illegible] ლორეს მხარეში [illegible] ქრისტიანთა [illegible] სომხეთის [illegible] საქართველოში [illegible] ალექსანდრე მეფის [illegible] ლორეს მხარეში [illegible] ქრისტიანობის [illegible].

[illegible] ალექსანდრე მეფის [illegible] სომხეთის [illegible].

[illegible]

[illegible] საქართველოში ალექსანდრე მეფის [illegible] ჩვენი [illegible] ქართველთა ქვეყანაში".

ქვეყნის მნიშვნელობა თურქმანებმაც კარგად უწყოდათ. ამიტომ შავბატკნიანთა ახალმა მბრძანებელმა როგორც კი დრო მოიხელთა 1430 წ. საქართველოზე გამოილაშქრა და ლორეს მხარეს ხელახლა დაეუფლა. ლორეს ქვეყნისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. ალექსანდრე მეფე მთელი საქართველოს ლაშქრით თურქმანთა წინააღმდეგ გაემართა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა თევდორემ მეომრებს ბრძოლის წინ მგზნებარე სიტყვით მიმართა და ლორესათვის ბრძოლა ქრისტეს რჯულისათვის ბრძოლას გაუთანაბრა. „ურჯულოებმა მრავალი ქრისტიანი წამებით მოუკლავთ და დაუტყვევებიათ... და საპატიო და ცამდე მაღალი საყდრები შეურაცხუყვიათ... სახლი ხალიცეული, ავაზაკთა და მათ ცხენთა საყოფელად გადაუქცევიათ. ახლა იბრძოლეთ ძლიერად, იცოდეთ, ვინც ბრძოლაში დაიღუპება ქრისტესათვის წამებულთა გვერდით აღმოჩნდება, ხოლო დაჭრილს ან დაშავებულს კი ქრისტე ყველანაირ ტკივილს მისადმი გაწეულ სამსახურად ჩაუთვლის". ლორესათვის ბრძოლა, რომელიც 1431 წ. გაიმართა, ქართული მხედრობის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ ალექსანდრე მეფემ თურქმანები აქედან გააძევა და ამ სასაზღვრო მხარეში ჩასასახლებლად ქართველები საქართველოს ყველა კუთხიდან მოიწვია. მამულები დაუბრუნდათ უპირველეს ყოვლისა იმიერ და ამიერ საქართველოს იმ ფეოდალურ საგვარეულოებს, რომლებსაც აქ ადრე მამულები ჰქონდათ და მათ მფლობელობაზე სამეფო სიგელი შემორჩენოდათ. გარდა ამისა, მეფემ დასახლების უფლება მისცა იმათაც, ვისაც ასეთი სიგელ-გუჯარი აღარ შემორჩა, მაგრამ წინაპრებისაგან გადმოცემით აქ მიწის ფლობის შესახებ რაიმე სმენოდათ; ბოლოს ალექსანდრე I დასახლების ნებას აძლევდა მათაც, ვისაც ლორეს მხარეში მამული „არც ჰქონდა და არც ჰქონებოდა", მაგრამ იქ დასახლების სურვილს გამოთქვამდა.

საქართველოს უშიშროების უზრუნველყოფისათვის მარტო დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება არ იყო საკმარისი. საჭირო იყო ძველად საქართველოს ფარგლებში შემავალი და ახლა თურქმანთა მფლობელობაში მყოფი ქვეყნების დაქვემდებარება, რათა შავბატკნიანთა აგრესიულ მომთაბარულ სახელმწიფოსთან თავდაცვითი ზოლი შექმნილიყო. ამ მიზნით, ალექსანდრემ 1434 წ. ყარაბაღში, შაქში, შირვანში ილაშქრა და ეს მუსლიმი ქვეყნები საქართველოს ხარკის გადახდის პირობით დაუქვემდებარა. ამის შემდეგ საქართველოს მეფის უზენაესობა დარუბანდმაც აღიარა და ხარკის გადახდა იკისრა.

ლორესათვის ბრძოლაში წარმატებამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს მეზობლად მდებარე სომხურ მხარეებზე. მათ თურქმანებთან ბრძოლაში საქართველო ერთადერთ იმედად მიაჩნდათ. იმდროად თურქი მომთაბარეები სომხებს თავიანთი სამშობლო ქვეყნიდან ცეცხლითა და მახვილით ერეკებოდნენ. მათ მძლავრობას გამოქცეული სომხები კი თავს საქართველოს აფარებდნენ. განსაკუთრებით დაზარალდა სომხეთი იმ ომების დროს, რომელიც მიმდინარეობდა თემურ-ლენგის ვაჟს, ხორასნის მმართველ შაჰროხსა და შავბატკნიანთა სახელმწიფოს შორის. თურქმანებს გამოქცეული სომხები უპირველეს ყოვლისა შემოიხ-

ლდნენ ტაო-კლარჯეთში, მესხეთ-ჯავახეთში და ლორეს მხარეში. ისინი მრავლად ჩასახლდნენ აგრეთვე საქართველოს ქალაქებში განსაკუთრებით თბილისში, გორში, ახალციხეში, დმანისში... 1434-1436 წწ-ში შაჰროხმა სასტიკად დაარბია სომხური მხარე სივნიეთი, რომელსაც ალექსანდრე მეფის სომეხი ბეშქენ ორბელიანი განაგებდა. ბეშქენ ორბელიანი საქართველოში გამოიქცა. ალექსანდრე მეფემ მას ერისთავთერისთავობა უბოძა და საგამგებლოდ ლორეს ქვეყანა გადასცა. მაშინ სივნიეთიდან 6000 კომლი აიყარა, საქართველოში გადმოსახლდა და თავიანთ უფალთან ბეშქენთან ლორეში დასახლდა. მით უფრო, რომ ლორეს ქვეყანა იმჟამად ალექსანდრე მეფის მიერ თურქმანთაგან ახლად შემოერთებული იყო და ჯერ კიდევ ნაკლებად დასახლებული. იმხანად საქართველოს სომხობა ისე მრავლად მოაწყდა, რომ საქართველოს სამეფო კარიც კი, რომელიც ჩვეულებრივ დიდი მზრუნველობით ეკიდებოდა საქართველოში თავშეფარებულ სომხებს, შეშფოთდა: „(მეფე ალექსანდრეს) შეეშინდა, რომ სომხები მას (ბეშქენს) მიუვლენ და ამით ქართველთა მხარე (იგულისხმება ლორე) აიხრდებაო", აღნიშნავს ამ ამბების თანამედროვე ერთი სომეხი მემატიანე.

შავბატკნიანთა და შაჰროხის შემოსევების საფრთხე საქართველოს მუდმივად ემუქრებოდა. ამიტომ ალექსანდრე I შეეცადა მოენახა ახეთი მოკავშირე, რომელიც ამ მრისხანე ძალას დაუპირისპირდებოდა. ამ მიზნით, საქართველოს მეფემ მეგობრული ურთიერთობა ეგვიპტის სასულთნოსთან კვლავ აღადგინა. ისევე როგორც ადრე, XV ს-ის I ნახევარში, წმინდა მიწაზე პალესტინაში ქართველებს დიდი პრივილეგიები ჰქონდათ. ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში ფლობდა დიდძალ ქონებას, მიწებს და სოფლებს. ეგვიპტის სულთნები, როგორც ვიცით, თავიანთ თავს მუსლიმური სამყაროს მეთაურებად თვლიდნენ და ცდილობდნენ დაეცვათ თანამორწმუნეთა რელიგიური ინტერესები ყველა არამუსლიმ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. ალექსანდრე I-იც განაგრძობდა საქართველოს მეფეთა ჩვეულ რელიგიურ შემწყნარებლობას საქართველოში მცხოვრებ მუსლიმთა მიმართ.

XV ს-ის 30-იან წლებში ეგვიპტის სულთანმა ქართველებს გადასცა ქალაქ იერუსალიმში გოლგოთის ბორცვზე მდგომი გოლგოთის ეკლესია, რომელზედაც პრეტენზიას სომხური ეკლესიაც აცხადებდა. სომხები ბევრს ეცადნენ, რომ ეს ეკლესია ქართველებისათვის წაერთმიათ და ამისათვის უამრავი ფული დახარჯეს. რადგან საქართველოს სამეფოს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტესთან, სომხების ყველა ცდა ამაო გამოდგა და გოლგოთის ეკლესია იმჟამად ქართველებს დარჩათ.

## გოლგოთის ეკლესია

გოლგოთის ბორცვი ის ადგილია, სადაც ქრისტე ჯვარს აცვეს. აქ მდგარი ეკლესიის ფლობა ყველა ქრისტიანი ხალხისათვის დიდ პატივად ითვლებოდა და ითვლება.

## ალექსანდრე მეფის სიგელი

„ჩვენი მეფობის დაწყებამდე [illegible] და რბევა იყო საქართველოში და [illegible] ... [illegible] და [illegible] ჩვენს [illegible] და ქრისტიანები [illegible] მშვიდობისა და [illegible]... [illegible] საქართველოს ყველა ციხეთა და [illegible]... ამისათვის საქართველოში შევწერეთ თითო კომლზე ორმოცი თეთრი [illegible] და 128 [illegible] (1440 წ.) საქართველოში რაც კი ციხეები, საყდრები და მონასტრებია, ყველა [illegible] [illegible] გადასახადი [illegible]".

ალექსანდრე I-ის მეფობის პერიოდი შედარებით მშვიდობიანი იყო. ეს მშვიდობა საქართველოს მეფემ თემურ ლენგის შემოსევების ხანაში დანგრეული ციხე-სიმაგრეების და ეკლესია მონასტრების აღსადგენად გამოიყენა. ამ მიზნით მან მთელ სამეფოში თითო კომლზე ორმოცი თეთრი გადასახადი დააწესა, რომელიც 1425-1440 წლებში იკრიფებოდა. ამ გადასახადის წყალობით საქართველოში აღდგენილ იქნა მრავალი ციხე-სიმაგრე და ეკლესია-მონასტერი, მათ შორის სვეტი ცხოვლის დიდებული ტაძარიც.

1437 წ. შავბატკნიანთა ფადიშაჰი ჯაჰან-შაჰი გახდა. მან ალექსანდრე I-ს რამდენიმე ელჩობა გამოუგზავნა მორჩილება და ხარკის გადახდა მოსთხოვა, რაზედაც საქართველოს მეფე არ დათანხმდა. 1440 წ. განრისხებული ჯაჰან-შაჰი საქართველოში შემოიჭრა. მან თავდაპირველად ხანმოკლე ალყის შემდეგ სამშვილდის ციხე-ქალაქი დაიკავა, სადაც რამდენიმე ათასი ქრისტიანი დახოცა, ცხრა ათასზე მეტი კაცი კი ტყვედ წაიყვანა. ამის შემდეგ ჯაჰან-შაჰი თბილისისაკენ დაიძრა, თბილისი აიღო და სასტიკად ააოხრა. საბოლოოდ მან ოცდაათი ათასი ტყვე წაიყვანა და საქართველოდან გავიდა.

ალექსანდრეს ეს წარუმატებლობა მისი მძიმე ავადმყოფობით უნდა აიხსნას. მატიანეთა ცნობით, მან მეფლის არეში ძლიერი ტკივილები აწუხებდა. სამშვილდისა და თბილისის დარბევამ მეფეზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ალბათ ამან უნდა მიეწერის ის, რომ მან მეფობაზე უარი თქვა, ტახტი სიცოცხლეშივე თავის ვაჟს ვახტანგს გადასცა და 1442 წ. ბერად აღიკვეცა. ქართველმა ხალხმა ვეროფად

შეაფასა ალექსანდრე მეფის დამსახურება ქვეყნის წინაშე და მას ალექსანდრე „დიდი" უწოდა.

ვახტანგ III (1442-1445) დიდხანს ვერ იმეფა, მაგრამ ამ მცირე ხანშიც ქვეყანამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. 1444 წ. საქართველო ჯაჰან-შაჰმა მეორედ დალაშქრა. ამჯერად ის სამცხის მხრიდან შემოიჭრა და ახალციხეს მოადგა. ვახტანგ III მთელი საქართველოს ლაშქარი შეკრიბა და მტრის წინააღმდეგ გაემართა. ბრძოლა მთელი დღე გაგრძელდა და მოწინააღმდეგეები მხოლოდ ღამემ დააშორიშორა. ღამე შავბატკნიანთა ლაშქარი უჩუმრად აიყარა და უკან გაბრუნდა. საქართველოს მეფე მტერს აღარ დაედევნა და გამარჯვებული თბილისში დაბრუნდა. 1445 წ. აპრილში შავ ზღვაში ბურგუნდიელთა ფლოტი გამოჩნდა, რომელიც ბიზანტიის კეისრის მოწვევით ბალკანეთში თურქ-ოსმალების წინააღმდეგ მებრძოლ ჯვაროსანთა დასახმარებლად მიემართებოდა. ბურგუნდიელებმა ექვსი თვით დააგვიანეს. ამასობაში თურქებმა ბულგარეთში ქალაქ ვარნასთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში ჯვაროსნები დაამარცხეს. მაშინ ბურგუნდიელები შავ ზღვაში მეკობრეობას შეუდგნენ. მათი ერთი კატარღა (საბრძოლო ნიჩბიანი გემი) ბათუმთან გამოჩნდა. ბურგუნდიელებმა დესანტი გადმოსხეს და ქალაქის აღებას შეეცადნენ, რადგან მათ ცნობა ჰქონდათ, რომ ბათუმში იმჟამად შარვანიდან დიდძალი აბრეშუმი იყო ჩამოტანილი. გურიის ერისთავთერისთავმა – „პატრონმა გურიელმა" 600 მეომრით ბურგუნდიელთა წინააღმდეგ გაილაშქრა, ისინი სასტიკად დაამარცხა და მათი მხედართმთავარი ჟოფრე დეტუაზი ტყვედ ჩაიგდო. ხაპატიო ტყვე ქართველებმა ტრაპიზონის იმპერატორის შუამდგომლობით ერთი თვის შემდეგ გაანთავისუფლეს, თანაც ბურგუნდიელებს საზეიმო პირობა დაადებინეს, რომ ისინი საქართველოს ნაპირებს აღარ დაარბევდნენ. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ბურგუნდიელები მრისხანე ძალას წარმოადგენდნენ და მათი დამარცხება არც ისე იოლი იყო. უკანა გზაზე მათ მთელი მუსლიმური სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი დაარბიეს.

იმავე 1445 წელს ვახტანგ მეფე გარდაიცვალა. ტახტზე მისი ძმა ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII ავიდა.

### ბურგუნდიელები

სახელწოდება „ბურგუნდია" გერმანული მოდგმის ტომის ბურგუნდთა სახელიდან მოდის. ეს ტომი თანამედროვე საფრანგეთის საზღვრებში ჯერ კიდევ V ს-ში დასახლდა, სადაც ამავე სახელწოდების სამეფო შექმნა. XV ს-ში ბურგუნდია ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომლის ჰერცოგი (მმართველი) თავის ხელისუფლებას დღევანდელ ბელგიაზე და ჰოლანდიაზე ავრცელებდა.

### ახალი ჯვაროსნული ლაშქრობები

XV ს-ის დასაწყისიდან ოსმალები ბალკანეთის ქვეყნებს და თვით ბიზანტიის სრული დაპყრობით ემუქრებოდნენ. ბიზანტია ამ ხანისათვის მხოლოდ საკუთრივ ქალაქ კონსტანტინოპოლითა და მისი მიმდებარე ტერიტორიით შემოისაზღვრებოდა. თურქ-ოსმალთა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გადასვლამ და იქ მდებარე ქვეყნების დაპყრობის დაწყებამ, ევროპის ხალხები და კათოლიკური ეკლესია ძალზე შეაშფოთა. რომის პაპმა ევროპის ქვეყნებს თურქების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა. ევროპელ რაინდთა თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ წარმოებული ეს ლაშქრობები ახალი ჯვაროსნული ლაშქრობების სახელითაა ცნობილი. პირველი ლაშქრობა 1396 წელს მოეწყო და ჯვაროსნების სასტიკი მარცხით დამთავრდა.

ჯვაროსანთა ლაშქრობა, რომელშიც ბურგუნდიელებმა მონაწილეობის მიღება გადაწყვიტეს, ოსმალთა წინააღმდეგ ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობა იყო. ის 1443 წ. დაიწყო. თავიდან ჯვაროსნებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ ბოლოს 1444 წელს 10 ნოემბერს ქალაქ ვარნასთან (ბულგარეთში) სასტიკად დამარცხდნენ.

## § 52. საქართველოს სამეფოს დაშლა სამეფო-სამთავროებად

**1. საქართველო გიორგი VIII-ის მეფობის პირველ წლებში.**

გიორგი VIII-ს გამეფებისთანავე სამცხე-საათაბაგოს საქმეებში მოუხდა ჩარევა. სამცხის ათაბაგს აღბუღას მისი ძმა ყვარყვარე აუჯანყდა და ათაბაგობა წაართვა. აღბუღამ დახმარება საქართველოს მეფეს სთხოვა. გიორგი VIII ლაშქრით სამცხეში გაემართა და აღბუღას ათაბაგობა დაუბრუნა. რამდენიმე წლის შემდეგ აღბუღა გარდაიცვალა და საქართველოს მეფემ ათაბაგობა ამჯერად ყვარყვარეს უბოძა, მაგრამ ზვიადი ათაბაგი მეფეზე სამუდამოდ განაწყენდა და მეფის ქვეშევრდომობიდან გამოსვლა განიზრახა. საქართველოს მეფესა და სამცხის ათაბაგს შორის დაპირისპირებამ როგორც ვნახავთ, განსაზღვრა XV ს-ის II ნახევრის საქართველოს ისტორია.

1450 წ. საქართველოში სპეციალური მისიით ბიზანტიის უკანასკნელი კეისრის კონსტანტინე XI პალეოლოგოსის ელჩი ჩამოვიდა, რომელმაც კეისრის სახელით საქართველოს მეფეს მისი ასულის ხელი სთხოვა. გიორგი VIII ქორწინებას დასთანხმდა და საქორწინო ხელშეკრულებასაც ხელი მოაწერა. ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს მეფე თავის ქალიშვილს მზითვად ძვირფასი ტანსაცმლისა და ჭურჭლის გარდა ნაღდ ფულად 36 ათას ფლურს ატანდა. გარდა ამისა, ის ქალიშვილს ეკლესია-მონასტრებისათვის დასარიგებლად თუ სხვა სახის ქველმოქმედებისათვის ყოველწლიურ ხარჯად სამ ათას ფლურს აძლევდა.

ამ ქორწინებას განხორციელება არ ეწერა. თურქ-ოსმალთა ახალგაზრდა და ენერგიულმა სულთანმა მეჰმედ II, შემდგომში ფათიჰად (დამპყრობელი) წოდებულმა, კონსტანტინოპოლს ალყა შემოარტყა. 1453 წლის 29 მაისს თურქებმა ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი იერიშით აიღეს და ათასწლოვან იმპერიას ბოლო მოუღეს. ქალაქის აღებისას ბრძოლაში დაიღუპა თვით კეისარი კონსტანტინე XI პალეოლოგოსი.

თურქთა მიერ კონსტანტინოპოლის აღება მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა რიგს განეკუთვნება, ზოგი ისტორიკოსი ამას შუა საუკუნეების ეპოქის დასასრულად და ახალი ხანის დასაწყისადაც კი მიიჩნევს. კონსტანტინოპოლის დაცემამ დიდი შეშფოთება გამოიწვია აღმოსავლეთის და დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში. მაშინვე წარმოიშვა ანტიოსმალური კოალიციის (კავშირის) მოწყობისა და თურქთაგან კონსტანტინოპოლის გამოხსნისა და ბიზანტიის იმპერიის აღდგენის იდეა. აღმოსავლეთის ქრისტიან სახელმწიფოებში ამ იდეას უპირველეს ყოვლისა ტრაპიზონის იმპერია და მისი კეისარი გამოეხმაურა. ოსმალეთი მისი უშუალო მეზობელი იყო და მისგან დაპყრობის საფრთხე პირველ რიგში ნწორედ ამ სახელმწიფოს ემუქრებოდა. შავ ზღვაზე ოსმალთა გაბატონებით განსაკუთრებით იტალიური ქალაქ-სახელმწიფოები დაზარალდნენ,

ბიზანტიის დაცემის მნიშვნელობა მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიისათვის

კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ თურქებმა 1461 წ. ტრაპიზონის იმპერია დაიპყრეს, 1475 წ. კი, ყირიმის სახანო დაიქვემდებარეს. ამგვარად ისინი მთელ შავ ზღვაზე გაბატონდნენ. [illegible] XIII-XV სს-ში [illegible] XVI-ის [illegible]

1492 წ. [illegible] 12 [illegible] 1498 წ. [illegible] 1519 წ-ის 20 [illegible] 1521 [illegible]

შავ ზღვაზე და [illegible] თურქ-ოსმალთა გაბატონებამ გამოიწვია ის, რომ საქართველო [illegible] XVI-XVIII საუკუნეებში [illegible] XVIII ს-ის [illegible]

ამატომ ისინი ანტიოსმალური კოალიციის მხურვალე მომხრენი იყვნენ. ანტიოსმალური კოალიციის მოწყობის ინიციატორად ევროპაში, ისევე როგორც ჯვაროსნული ლაშქრობების შემთხვევებში, რომის პაპი გამოვიდა.

რომის პაპმა 1456 წ. საქართველოში თავისი ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი გამოგზავნა. ოსმალთა წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრობის მოწყობისა და მათგან კონსტანტინოპოლის გამოხსნის იდეა ქართველთათვის იმდენად მიმზიდველი აღმოჩნდა, რომ რომის პაპის ელჩის შუამდგომლობით, საქართველოს მეფემ გიორგი VIII-მ მისი ურჩი მთავარი ყვარყვარე ათაბაგიც კი შემოურიგდა. ლუდოვიკო ბოლონიელმა აღმოსავლეთში თურქ-ოსმალთა მიმართ მტრულად განწყობილი ყველა სახელმწიფო მოინახულა და მათგან ოსმალთა წინააღმდეგ კოალიციურ ლაშქრობაში მონაწილეობის პირობა მიიღო.

კოალიციაში მონაწილეობის დიდი სურვილი გამოთქვა ჩვენთვის უკვე ცნობილი თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს მბრძანებელმა უზუნ ჰასანმაც, რომელიც ოსმალეთს თავის მთავარ მეტოქედ თვლიდა. აღმოსავლეთის ქვეყნების ელჩები საქართველოში შეიკრიბნენ. მათ შორის იყვნენ უზუნ-ჰასანის, ტრაპიზონის კეისრისა და სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მდებარე კილიკიის მეხლიმ მთავრის ელჩები. საქართველოს აღმოსავლეთის ქვეყნების გაერთიანებულ ელჩობაში ორი ელჩი ჰყავდა. გიორგი VIII-ის ელჩი, დასავლეთ საქართველოს მეფის ნაცვალს, მეფე ბაგრატსა და ოდიშის, გურიის და აფხაზეთის ერისთავეთ-ერისთავებსაც წარმოადგენდა. ყვარყვარე ათაბაგმა დასავლეთ ევროპაში საკუთარი ელჩი გააგზავნა, რათა გიორგი VIII-გან თავისი დამოუკიდებლობისათვის კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა.

საქართველოდან ელჩობა ევროპაში 1460 წლის დამდეგს გაემგზავრა. მან დასავლეთ საქართველო გაიარა, აქედან კოლხის ხეობით ჩრდილო კავკასიაში გადავიდა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირა ველების გავლით უნგრეთში ჩავიდა. აქ ელჩობა უნგრეთის მეფეს ეწვია, იქიდან კი ვენაში, გერმანელი ხალხის საღვთო რომის იმპერატორს ეახლა. ვენიდან აღმოსავლეთის ქვეყნების წარგზავნილები იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებს ვენეციას, ფლორენციას და მილანს ეწვივნენ, აგრეთვე ბურგუნდიის ჰერცოგსა და საფრანგეთის მეფესაც ეახლნენ. რომის პაპმა ელჩები ორჯერ მიიღო. როგორც აღმოჩნდა ევროპა თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ საერთო ბრძოლისათვის მზად არ იყო. ანტიოსმალური კოალიცია ვერ შედგა. ამასობაში ოსმალებმა 1461 წლის ზაფხულში ქალაქი ტრაპიზონი აიღეს და ტრაპიზონის იმპერიას ბოლო მოუღეს. ელჩობა საქართველოში ხელმოცარული დაბრუნდა.

კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ თურქების ფლოტს გზა გაეხსნა შავი ზღვისაკენ. 1454 წ. გაზაფხულზე თურქების ფლოტმა შავი ზღვის, მათ შორის საქართველოს სანაპიროები დაარბია და ცხუმს (სოხუმს) დაესხა თავს. თურქებმა აქ მდგარი გარნიზონი ერთი ხომალდი დაწვეს, მეორე ხომალდი კი ნადავლად წაიღეს. იმჟამად გიორგი VIII დასავლეთ საქართველოში, გეგუთის სასახლეში იმყოფებოდა. ამ ამბის შეტყობისთანავე მან სასწრაფოდ ლაშქარი შეკრიბა და ცხუმისაკენ გაემართა, მაგრამ თურქები ვეღარ მოუსწრო. მაშინ საქართველოს მეფემ აფხაზეთის დანგრეული ციხე-სიმაგრეები აღადგინა, „აქაური საქმეებიც მოაგვარა" და უკან გეგუთში დაბრუნდა.

## 2. საქართველო XV ს-ის 60-90-იან წლებში.

ყვარყვარე ათაბაგსა და გიორგი VIII-ს შორის უთანხმოება შინაომში გადაიზარდა, რასაც საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა მოჰყვა. მოვლენები ძალზე სწრაფად განვითარდა. 1462 წელს საქართველოს მეფის წინააღმდეგ ყვარყვარე ათაბაგმა უზუნ-ჰასანი მოიწვია. თეთრბატკნიანთა მბრძანებელმა ქართლი დალაშქრა. ამით პირველ რიგში დასავლეთ საქართველოს მეფისნაცვალმა მეფე ბაგრატმა ისარგებლა, რომელიც ალექსანდრე დიდის ძმიშვილი და გიორგი VIII-ის ბიძაშვილი იყო. ის საქართველოს მეფეს განუდგა და იმერეთის ციხეებში თავისი ერთგული მეციხოვნეები ჩააყენა. გადამწყვეტი ბრძოლა ბაგრატსა და გიორგი VIII-ს შორის 1463 წ. ქუთაისის ახლოს, ჩიხორთან მოხდა. გიორგი VIII დამარცხდა. ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოს ერისთავთ-ერისთავების დადიანის, გურიელის, შარვაშიძის თანხმობითა და თანადგომით ბაგრატი ქუთაისში მეფედ იკურთხა.

ჩიხორთან დამარცხებულმა გიორგი VIII ყვარყვარე ათაბაგის დასჯა გადაწყვიტა. ათაბაგმა მეფესთან შებმა ვერ გაბედა და თავი იმერეთს შეაფარა. გიორგიმ საათაბაგოს ციხეები დაიჭირა. მაშინ, როგორც ჩანს, ყვარყვარესავე მოწვევით, მის დასახმარებლად საქართველოში შავბატკნიანთა მბრძანებელი ჯაჰან-შაჰი შემოიჭრა. გიორგი VIII იძულებული გახდა სამცხე დაეტოვებინა და მტერს შებმოდა. გადამწყვეტ ბრძოლაში საქართველოს მეფე დამარცხდა. ყვარყვარე ათაბაგმა ამით ისარგებლა და ბაგრატ მეფის დახმარებით სამცხე დაიბრუნა. 1465 წ. გიორგი VIII სამცხეზე ხელახლა ილაშქრა, მაგრამ ფარავნის ტბასთან სამცხის ათაბაგს ტყვედ ჩაუვარდა. ამის შემდეგ ბაგრატი აღმოსავლეთ

# საქართველო XV საუკუნის დასასრულს



# საქართველო, წინა აზია და ევროპა XVI-ის დასასრულს



საქართველოში გადმოვიდა და 1466 წ. სრულიად საქართველოს მეფედ ეკურთხა. ის საქართველოს ისტორიაში ბაგრატ VI-ის სახელით შევიდა. ყვარყვარე ათაბაგი მიხვდა, რომ გიორგის დატყვევებით, სარგებელი მხოლოდ ბაგრატმა ნახა, ამიტომ გიორგი VIII ტყვეობიდან გაათავისუფლა. მეფე გიორგიმ ბაგრატთან ბრძოლა ვერ გაბედა, კახეთში გადავიდა და კახეთის დამოუკიდებელ სამეფოს ჩაუყარა საფუძველი. ბაგრატმა ქართლი მთლიანად თავისი ძალაუფლების ქვეშ მაინც ვერ მოაქცია: ზემო ქართლი ანუ სამცხე-საათაბაგო, რომელსაც ყვარყვარე ათაბაგი განაგებდა, მას არ ემორჩილებოდა, ქვემო ქართლში კი გიორგი VIII-ის ძმიშვილი და ალექსანდრე დიდის შვილიშვილი კონსტანტინე დემეტრეს ძე დამკვიდრდა, თუმცა ის ბაგრატ მეფის უზენაესობას აღიარებდა.

1467 წ. შავბატკნიანთა მბრძანებელი ჯაჰან-შაჰი თეთრბატკნიან უზუნ-ჰასანთან ბრძოლაში დაიღუპა. ამის შემდეგ უზუნ-ჰასანმა შავბატკნიანთა მთელი სამფლობელო შეიერთა. ამგვარად საქართველოს სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მძლავრი აგრესიული თურქმანული სახელმწიფო გაუმეზობლდა, რომელსაც ნიჭიერი და ენერგიული უზუნ-ჰასანი ედგა სათავეში. მისი მეუღლე ტრაპიზონის იმპერიის კეისრის ასული ქრისტიანი დესპინე-ხათუნი იყო და უზუნ-ჰასანიც ამ ფაქტს ქრისტიანულ ქვეყნებთან ურთიერთობაში კარგად იყენებდა. თურქმანთა მბრძანებელი მახლობელ აღმოსავლეთში პირველობისაკენ მიისწრაფოდა. მისი მთავარი მოწინააღმდეგე ოსმალეთი იყო, რომელიც იმჟამად ვენეციას ეომებოდა. ასეთ ვითარებაში ვენეციის ბუნებრივი მოკავშირე უზუნ-ჰასანი აღმოჩნდა. ვენეციელებმაც მას ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობა შესთავაზეს, რასაც უზუნ-ჰასანი სიამოვნებით გამოეხმაურა. დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებთან ურთიერთობისას უზუნ-ჰასანი საქართველოს გამოყენებასაც ცდილობდა. ვენეციელთა თვალში მის ელჩობას მეტი დამაჯერებლობა ექნებოდა, თუ მას ქრისტიანული საქართველოს ელჩებიც შეუერთდებოდნენ. შინაომებში ჩართულ საქართველოს კი ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობის დიდი სურვილი არ ჰქონდა. მით უფრო, რომ მას არც ოსმალეთის ხარჯზე უზუნ-ჰასანის გაძლიერება აწყობდა. ამიტომ ის ფეხს ითრევდა და ანტიოსმალურ კოალიციას არ უერთდებოდა. მაშინ თეთრბატკნიანთა მბრძანებელმა საქართველოში ორჯერ ილაშქრა და საბოლოოდ ქართველები თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად დაითანხმა. საქართველოს ელჩები თეთრბატკნიანთა დესპანთან ერთად იტალიაში გაემგზავრნენ და მონაწილეობა მიიღეს დიპლომატიურ მოლაპარაკებაში, რომელიც ანტიოსმალური კოალიციის მოწყობას ეძღვნებოდა.

1473 უზუნ-ჰასანმა ომი წამოიწყო ოსმალების წინააღმდეგ, მის ლაშქარში ქართველებიც შედიოდნენ. პირველ ბრძოლაში მოკავშირეებმა გაიმარჯვეს. გამარჯვებით გათამამებულმა თეთრბატკნიანთა მბრძანებელმა ქართველები ალალისა და ალაფის დასაცავად დატოვა, თვითონ კი ოსმალებს დაედევნა. ოსმალებმა მდევრებს მეორე ბრძოლა გაუმართეს და უზუნ-ჰასანი სასტიკად დაამარცხეს. მარცხით მიყენებული ზარალის ანაზღაურება უზუნ-ჰასანმა საქართველოს ხარჯზე გადაწყვიტა და უკანა გზაზე საქართველოში შემოიჭრა. თეთრბატკნიანებმა ქვეყანა სასტიკად ააოხრეს და ყვარყვარე ათაბაგსა და ბაგრატ მეფეს ხარკი შეაწერეს. მიუხედავად ამისა, არც ყვარყვარე და არც ბაგრატი ამ ხარკის გადახდას არ ფიქრობდნენ. მაშინ, 1477 წ. უზუნ-ჰასანმა საქართველოზე კიდევ ერთხელ გაილაშქრა. ამ დროს ბაგრატ მეფე დაღესტანში იყო სალაშქროდ წასული, ვინაიდან დარუბანდელმა საქართველოს ხარკის გადახდა შეუწყვიტა. ამიტომ მტერს წინააღმდეგობა არ შეხვედრია. თეთრბატკნიანებმა ჯერ თბილისი აიღეს და შემდეგ გორი დაიკავეს. გორში უზუნ-ჰასანს ყვარყვარე ათაბაგისა და ბაგრატ VI-ის ელჩები ეახლნენ. თეთრბატკნიანთა მბრძანებელმა გადაუხდელი ხარკის ანგარიშში თექვსმეტი ათასი დუკატი მოითხოვა. ამ თანხის მიღების შემდეგ უზუნ-ჰასანი უკან გაბრუნდა, ოღონდ თბილისსა და მის შემოგარენში თავისი ლაშქარი დატოვა.

1478 წ. ბაგრატ VI რაჭაში გარდაიცვალა. იმავე წელს უზუნ-ჰასანიც გარდაიცვალა და თბილისს გიორგი VIII-ის ძმიშვილი, კონსტანტინე დემეტრეს ძე დაეუფლა, რომელიც ისტორიაში კონსტანტინე II-ის სახელით შევიდა. კონსტანტინე საქართველოს ერთიანობის აღდგენას შეეცადა. მან ოდიშის ერისთავის დადიანის დახმარებით იმერეთი დაიკავა და ბაგრატ VI-ის ძეს ალექსანდრეს გამეფების საშუალება არ მისცა. ამის შემდეგ კონსტანტინემ სამცხე-საათაბაგოს მთავრის ყვარყვარეს წინააღმდეგ გაილაშქრა. მცირე ხნით წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ არადეთთან (გორის მახლობლად) ბრძოლაში დამარცხდა და სამცხე-საათაბაგო საბოლოოდ დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბდა. არადეთთან კონსტანტინე II-ის დამარცხებით ალექსანდრე ბაგრატის ძემ ისარგებლა და 1484 წ. ქუთაისში მეფედ ეკურთხა. ალექსანდრეს დასავლეთ საქართველოში გამეფების შემდეგ კიდევ ერთი ქართული სამეფო შეიქმნა. კონსტანტინე II კვლავ ქვეყნის ერთიანობის აღდგენას ცდილობდა. მაშინ როდესაც საქართველოს სხვა გამგებლებს მხოლოდ თავიანთი დამოუკიდებლობის შენარჩუნება აფიქრებდათ, რის საფრთხესაც სწორედ კონსტანტინეს გაძლიერებაში ხედავდნენ. ასეთი განწყობილება კარგად

გამოჩნდა თეთრბატკნიანებთან ბრძოლაში, რომლებიც იმხანად რამდენჯერმე შემოიჭრნენ საქართველოში. 1487 წ. თეთრბატკნიანთა ახალმა მბრძანებელმა იაყუბ ყაენმა თბილისს ახალებად დიდი ლაშქარი გამოგზავნა. კონსტანტინემ საფრთხე ჯეროვნად შეაფასა და დახმარებისათვის საქართველოს მეფეებსა და ყვარყვარე ათაბაგს მიმართა. სამწუხაროდ, მის თხოვნას არავინ გამოეხმაურა. თბილისი თეთრბატკნიანებმა დაიკავეს. ამავე დროს თურქმანებმა ქვემო ქართლში ჩამოსახლება და ციხეებში გამაგრება დაიწყეს. მცირე ხნის შემდეგ კონსტანტინემ თბილისიც გაანთავისუფლა და ქვემო ქართლიდან თურქმანებიც გააძევა, მაგრამ საქართველოს ერთიანობის აღდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ვახუშტი ბაგრატიონი კონსტანტინე
მეფის მიერ მიწყვეტილი სამეფო
დაშლის შესახებ

„კონსტანტინემ „შემოკრიბა ყოველი სპასა, ერისთავნი და თავადნი წარჩინებულნი და რჩევა-ჰყოფა: თუ რა ილონონ გამეფებისა ქვეყნების მიმართ და როგორ მოაქციონ ისინი მისა მეფობას ქვეშ. მაშინ დიდებულებმა მეფეს ურჩიეს: „ვინაიდან იმერლები (იგულისხმება დასავლეთ საქართველო) და კახელები და აგრეთვე ათაბაგის სამხედროები მტკიცედ დგანან თავის რჩეულ მეფეთა ერთგულებაზე, ამიტომ არ გაერჩეთ ბრძოლას. რამეთუ, თუნდაც ერთ-ერთს მოუგერიოთ, ხშირი არ მოუკლებს მისი დიდებულების ნებას. ჯობს გაყოფილობა, [illegible] შემოსეულის [illegible] შენი ქვეყნის ქვეშ".

კონსტანტინე მეფე რჩევას სამეფო დარბაზს დაეკითხა, რომელიც 1490 წ. მოიწვია. დარბაზმა მეფეს ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლის გაგრძელება არ ურჩია. ამის შემდეგ კონსტანტინე II საქართველოს დანარჩენ მეფეებსა და ათაბაგს შეურიგდა. ამგვარად, საქართველოს დაშლა იურიდიულადაც გაფორმდა.

XV ს-ის ბოლოსათვის საქართველოს სამეფოს დაშლის შედეგად წარმოქმნილი ქართული პოლიტიკური ერთეულები ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდნენ. ქართლის სამეფო ისტორიულ შიდა და ქვემო ქართლს ლორის ქვეყნითურთ აერთიანებდა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოსთან მისი საზღვარი ბამბაკ-ერევნის ქედზე გადიოდა. ქართლის სამეფოს აღმოსავლეთით კახეთის სამეფოდან მდინარე არაგვი ჰყოფდა. ისე რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი მხარეები: ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი, ხევსურეთი, ფშავი, ერწო-თიანეთი და თუშეთი კახეთის მეფეს ემორჩილებოდა.

კახეთის სამეფო ისტორიულ კახეთს და ჰერეთს მოიცავდა. მის საზღვრებში აგრეთვე სამხრეთ დაღესტანში მდებარე დიდოეთი და წუქეთი შედიოდა.

მტკვრის ხეობაში, ტაშისკართან ქართლის სამეფოს სამცხე-საათაბაგო ესაზღვრებოდა. ეს ქართული სამთავრო ისტორიული ზემო ქართლის (სამცხე, აჭარა, ჯავახეთი, კოლა-არტაანი, ნიგალი, შავშეთ-კლარჯეთი, ტაო, სპერი, პარხალი) გარდა ჭანეთს, ბასიანს და სომხურ მიწებს კარს (ყარსი), კაღზევანს, ვალაშკერტს და ანისს მოიცავდა.

ქართლის სამეფოსა და იმერეთის ანუ დასავლეთ საქართველოს სამეფოს შორის საზღვარი ლიხის ქედზე გადიოდა. დასავლეთ საქართველოს სამეფო საზღვრებში ჩრდილო-დასავლეთის დღევანდელი სოჭი-ადლერის მხარეც შედიოდა. მეფის ხელისუფლება აფხაზეთის, ოდიშის და გურიის საერისთავოებზეც ვრცელდებოდა **(იხ. რუკა 21).**

ამგვარად, მსოფლიო ისტორიის ახალ **(იხ. რუკა 22)** ხანას საქართველო პოლიტიკურად დაშლილი შეეგება. ეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ძალზე ასუსტებდა და მომავალ XVI საუკუნეში საქართველოს სახიფათო არაფერს უქადდა.

## § 53. ცვლილებები საქართველოს სახელმწიფო წყობილებასა და ეკონომიკაში XIV-XV საუკუნეებში

მონღოლთა ბატონობამ საქართველოს სახელმწიფო წყობილებაში ძირეული ცვლილება გამოიწვია, რაც „საქვეყნოდ გამრიგე" მოხელეების – ერისთავთერისთავების გაძლიერებასა და ცენტრალური მმართველობის ანუ ხელმწიფის კარის დაკნინებაში გამოიხატა.

მონღოლების ბატონობის ხანიდან საქართველოში ერისთავთერისთავები უკვე ფაქტობრივად მთავრებად იქცნენ ქვეყნისა. ისინი მეფის კარზე ძველებურად ვეზირთა უმაღლეს თანამდებობებს ფლობდნენ, მაგრამ მეფის სასახლეში თითქმის აღარ იმყოფებოდნენ. მათი თანამდებობაც უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებდა. XIV-XV სს-ში დიდიანები თავიანთ ფულსაც სჭრიდნენ და უცხო

ქვეყნებთან, მაგალითად, ეგვიპტესთან თითქმის დამოუკიდებელ დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებდნენ. გამოცალკევების ტენდენციამ საქართველოს მთელი ფეოდალური საზოგადოება მოიცვა. დიდებულთა ფეოდალური სახლები თანდათანობით ნახევრად დამოუკიდებელ სათავადოებად იქცნენ. სათავადო, დამპყრობელთა ხშირი შემოსევებისა და ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების პირობებში, დიდი ფეოდალური საგვარეულოების თვითდაცვის თავისებურ მექანიზმს წარმოადგენდა.

სათავადო დიდი გაუყოფელი ფეოდალური ოჯახის საერთო საკუთრება იყო, რომელსაც სათავეში თავადი ედგა. სათავადოების ჩამოყალიბებასთან ერთად თანდათანობით საქართველოში სამხედრო საქმის ორგანიზაციაც შეიცვალა. მეფის მოხელე ერისთავებისა და ციხისთავების ნაცვლად ახლა ლაშქარი თავ-თავისი სათავადოებიდან თავადებს გამოჰყავდათ.

მთელი საქართველო ფაქტობრივად სამეფო-სამთავრო, სათავადო და საეკლესიო მამულებად დაიყო. კანონით, სათავადოს მეთაურს ანუ თავადს მეფე ნიშნავდა, მაგრამ ეს ფორმალურ ხასიათს ატარებდა. XV ს-ში თავადი საქართველოში უმაღლეს ფეოდალურ წოდებად ჩამოყალიბდა და ძველი დიდებული, იგივე დიდებული აზნაური შეცვალა. თავადი სათავადოს თავისი მოხელეების მეშვეობით განაგებდა. ამიტომ სამეფო კარის ფუნქცია ძალზე შეიზღუდა. მეფის მოხელეების მოვალეობას ძირითადად სამეფო მამულის მოვლა-განმგებლობა წარმოადგენდა. საუაზირო საბოლოოდ მოიშალა. მიუხედავად ამისა, მეფე ქვეყნის დაშლამდე და შემდგომაც დიდი უფლებებით სარგებლობდა. ის სამეფოს უზენაეს მხედართმთავრად და მოსამართლედ რჩებოდა. ქვეყნის საპოლიციო და საბაჟო სამსახურიც ძირითადად სახელმწიფოს იურისდიქციაში რჩებოდა. მეფე წარმართავდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკასაც. სათავადოს გლეხობა სახელმწიფო გადასახადებსაც იხდიდა. ქალაქებიც მეფის გამგებლობაში დარჩა.

სამეფოს უმნიშვნელოვანეს საგარეო თუ საშინაო საკითხებზე მეფე რჩევას კვლავ დარბაზში ეკითხებოდა, რომელიც კვლავაც სათათბირო ორგანო იყო. ოღონდ ახლა ვეზირების, ერისთავთერის-თავებისა და ერისთავების ნაცვლად დარბაზობას უმაღლეს საეკლესიო პირებთან ერთად წარჩინებული თავადები ესწრებოდნენ.

XIV-XV სს-ში ქვეყნის ცხოვრებაში ასეთი დიდი ცვლილებების მიუხედავად, გიორგი ბრწყინვალის შემდეგ საქართველოს მეფეები კიდევ საუკუნენახევარი ინარჩუნებდნენ საქართველოს ერთიანობას.

საბოლოოდ სამეფოს ერთიანობის შენარჩუნებას ეკონომიკისა და ცხოვრების ახალი აღმავლობა ესაჭიროებოდა. ისტორია კი ისე წარიმართა, რომ წინა აზიის ქვეყნები, მათ შორის სამხრეთ კავკასია, პირიქით, დაქვეითების გზით წავიდა.

წინა აზიის ეკონომიკური დაქვეითება ჯერ კიდევ მონღოლთა ბატონობის ხანაში დაიწყო. ამის კარგი მაგალითია ხპარსეთი. თუ ამ ქვეყნის საერთო წლიური შემოსავალი მონღოლთა ბატონობის წინ 100 მილიონ ოქროს დინარს შეადგენდა, ილხანთა ბატონობის დასასრულს, XIV ს-ის I მესამედში ეს შემოსავალი 17-21 მილიონ დინარს ძლივს აღწევდა. დაბა-სოფლების რაოდენობა ირანის მთელ რიგ რეგიონებში ორჯერ-სამჯერ და მეტად შემცირდა.

უშუალოდ საქართველოსთვის მონღოლთა ბატონობას ასეთი კატასტროფული შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ მისი ეკონომიკის განვითარება, რა თქმა უნდა, ძალზე შეფერხდა. მონღოლთა ხარკი თავისთავად უმძიმეს ტვირთად აწვა ქვეყანას, ხზა რომ არაფერი ვთქვათ, იმ ქონებაზე, რაც ილხანთა მოხელეებმა სხვადასხვა სახით საქართველოდან გაიტანეს. უფრო დიდი უბედურება საქართველოსათვის იყო ის, რომ მონღოლებმა წინა აზიაში გზა გაუხსნეს მომთაბარე თურქმანთა ახალ დიდ ტალღას, რომელმაც წალეკა წინა აზია. სწორედ XIII-XIV სს-ში მოხდა წინა აზიის უდიდეს ნაწილში და მათ შორის სამხრეთ კავკასიაში ნახევრად მომთაბარული თურქულ-თურქმანული ტომების საბოლოოდ დამკვიდრება, რამაც ამ ვრცელ რეგიონში ცხოვრების საერთო დონის სრული დაცემა გამოიწვია.

საქართველოსათვის განსაკუთრებით კატასტროფული აღმოჩნდა XIV ს-ის II ნახევარი, როდესაც ჯერ შავი ჭირის ეპიდემიას, ხოლო შემდეგ თემურ-ლენგის მიერ ქვეყნის მრავალგზის ბარბაროსულ რბევას საქართველოს მოსახლეობის მკვეთრად შემცირება და, საბოლოო ჯამში, მისი ეკონომიკის სრული ნგრევა მოჰყვა.

XV ს-ში ჩვენი ქვეყანა ნასოფლარებითა და ნადაბარებით გაივსო. ქალაქების რიცხვი მკვეთრად შემცირდა, ბევრი მათგანი თითქმის მთლიანად გაქრა. წარმოება მოიშალა. მკვეთრად შემცირდა ისეთი საქონლის წარმოება (მინა, მოჭიქული კერამიკა, საშენებლო მასალა, შალისა და აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილები ....), რომლითაც საქართველო მსოფლიო ბაზარზე წარმატებით გადიოდა.

**XIII-XV საუკუნეებში საზღვაო ვაჭრობა** საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა. ეს, ამ საუკუნეებში მსოფლიო ვაჭრობაში, შავი ზღვის ადგილით იყო განპირობებული. როგორც გახსოვს, VI-XII სს-ში შავი ზღვა ბიზანტიის მიერ მსოფლიო ვაჭრობისათვის დახურული

ზღვა იყო. 1204 წ. ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის ალების შემდეგ, შავი ზღვა გაიხსნა მთელი ვაჭრობისათვის. 1261 წ. მიხეილ VIII პალეოლოგოსმა კონსტანტინოპოლი დაიბრუნა, მაგრამ ბიზანტიელებმა მთელი ნაოსნობისთვის შავი ზღვა აღარ დახურეს.

ვითარება ამ მხრივ მხოლოდ თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებისა და შავიზღვისპირეთში გაბატონების შემდეგ შეიცვალა. ოსმალებმა XV ს-ის II ნახევარში შავ ზღვაში უცხო ხომალდების შემოსვლა თანდათანობით შეზღუდეს და XVI ს-ის დასაწყისიდან ფაქტობრივად მთლიანად აკრძალეს.

XIII-XV სს-ში შავ ზღვაზე მრავალი ქვეყნის ხომალდი დაცურავდა. აქ ხომალდებით შემოდიოდნენ ვაჭრები იმ დროისათვის ისეთი შორეული ქვეყნებიდან, როგორებიც იყო ესპანეთი კატალონია, სიცილია. იმ დროს ეს ზღვა ძალზე კარგად იყო ცნობილი დასავლეთ ევროპელი ვაჭრებისათვის. XIII ს-ის გამოჩენილი მოგზაური მარკო პოლო თავის წიგნში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ეს არავერს ამბობს დიდ ანუ შავ ზღვაზე და მის ნაპირებზე, რადგანაც ამ ნაპირებს ხშირად სტუმრობენ ისინი, ვინც ჩვეულებრივად დაცურავს ზღვაზე". ხმელთაშუაზღვისპირეთის ერთადერთი მუსლიმური ქვეყანა, რომლის სავაჭრო ხომალდებისათვის შავი ზღვა 1261/2 წ-დან გაიხსნა, იყო ეგვიპტე.

### [illegible] და შავიზღვისპირეთი

1261/2 წწ-ში ბიზანტიის [illegible] მიხეილ VIII პალეოლოგოსმა [illegible] 1282 წ. [illegible]

XIII-XV საუკუნეებს შავიზღვისპირეთში ზოგჯერ „იტალიური კოლონიზაციის" ხანასაც უწოდებენ, რადგან ამ დროს აქ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოების სავაჭრო ფაქტორიები არსებობდა. ამ იტალიურ სახელმწიფოებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გენუა და ვენეცია. თავდაპირველად შავ ზღვაზე ვაჭრობაში უპირატესობა ვენეციას ჰქონდა. XIII ს-ის 60-იანი წლებიდან ეს უპირატესობა გენუელთა ხელში გადავიდა.

გენუელებმა თანდათანობით დააარსეს თავიანთი ფაქტორიები ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთში. დაახლოებით ამავე ხანებში ისინი საქართველოს შავიზღვისპირეთშიც გამოჩნდნენ. საისტორიო წყაროების მიხედვით, გენუელები ცხოვრობდნენ ბათუმში, ფოთში და ცხუმში, რომელსაც ისინი, ძველი რომაული ტრადიციის მიხედვით, სებასტოპოლს უწოდებდნენ. ამ ქალაქებიდან მათ თავიანთი სავაჭრო ფაქტორია მხოლოდ ცხუმში ჰქონდათ.

### [illegible] ცხუმის გენუელთა ფაქტორიიდან

XIV ს-ის 70-იან წლებში ცხუმში გენუელთა ფაქტორიის სავაჭრო ბრუნვა 12000 სომს შეადგენდა. სომი იყო 219 გრ. წონის ვერცხლის ზოდი. [illegible] 240 სომს ანუ 42,15 კგ. [illegible] 15 კგ [illegible]

გენუელები ცხუმში პირველად 1280 წ. არიან დამოწმებულნი. 1354 წ. მათ საქართველოს ხელისუფლებამ უფლება მისცა ცხუმში ზღვისპირას თავიანთი ფაქტორია დაეარსებინათ. ამ ფაქტორიამ 1474 წლამდე იარსება. მას გენუელთა სავაჭრო ფაქტორიის კონსული ედგა სათავეში, რომელიც სათანადო უფლებამოსილებას და რწმუნებას სიგელს გენუიდან იღებდა. თუ რას უხდიდნენ კონკრეტულად გენუელები ბაჟის სახით ადგილობრივ ხელისუფლებას ცნობილი არაა. ვინაიდან, იმხანად საქართველოში ზღვით შემოტანილ და გატანილ საქონელზე, ბაჟი მისი ღირებულების 2 %-ს შეადგენდა. ამიტომ, ფიქრობენ, რომ გენუელებიც იგივეს იხდიდნენ.

### ქართველი ვაჭრები კაფაში

საინტერესოა [illegible] რომ 1374 წ. კაფაში 125 [illegible] ქართველი იყო. XV ს-ის 60-იან წლებში კაფაში ცხოვრობდა [illegible] 26 399 [illegible]

თავის მხრივ ქართველები ცხოვრობდნენ კაფაში (ყირიმში, დღევანდელი ქალაქი ფეოდოსია) და გენუელთა სხვა შავიზღვისპირა ფაქტორიებში. კაფაში, ქალაქის ციტადელში ქართველთა პატარა კოლონია არსებობდა, რომელიც შედგებოდა ხელოსნებისა და ვაჭრებისაგან. ვაჭრებს შორის ზოგი ქართველი ძალზე მდიდარი იყო და კაფის დიდვაჭრებს მიეკუთვნებოდა.

საქართველოში იმხანად მეტალურგიული საქმე ჯერ კიდევ მაღალ დონეს ინარჩუნებდა. ცნობილია კაფაში მოღვაწე ვინმე გიორგი, რომელიც იქ ზარბაზნებს ასხამდა. ცხადია, მას ეს ხელობა სამშობლოში ჰქონდა შეთვისებული.

ვაჭარ-ხელოსანთა გარდა შავი ზღვით საშოვარზე გლეხობაც მიდიოდა. ზოგჯერ ისინი გენუამდეც კი ჩადიოდნენ, სადაც ძირითადად მეზღვაურებად და მენიჩბეებად მსახურობდნენ.

XIII-XV სს-ში უშუალო სავაჭრო ურთიერთობა საქართველოს ვენეციასთან ნაკლებად ჰქონდა. ქართველები ძირითადად ვაჭრობდნენ ვენეციელთა ფაქტორიებთან შავიზღვისპირეთში და კონსტანტინოპოლში. იტალიურ დოკუმენტებში მოხსენიებულია ვინმე გიორგი მეგრელი, რომელმაც დიდი რაოდენობით ცვილი ჩაიტანა კონსტანტინოპოლში და იქ ვენეციელ ვაჭარზე გაყიდა.

საქართველოს სამეფო ხელისუფლება ცდილობდა დაეცვა თავისი ვაჭრების ინტერესები შავიზღვისპირეთში. ასე მაგალითად, როდესაც კაფის ხელისუფლებამ ქართველი და ტრაპიზონელი ვაჭრების შემზღუდველი დადგენილება მიიღო, საქართველოს მეფემ ტრაპიზონის კეისართან ერთად პროტესტი გააგზავნა. ამის თაობაზე 1398 წ-ს გენუაში საგანგებოდ მოიწვიეს უხუცესთა საბჭო, რომელმაც კაფის ხელისუფლებას საქმის დაწვრილებით შესწავლა და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანა დაავალა. სამწუხაროდ, ამის თაობაზე კაფის ხელისუფლების საბოლოო გადაწყვეტილება უცნობია.

შავიზღვისპირეთში საქართველოს ვაჭრების ინტერესებს სამეფო ხელისუფლება ეკონომიკური მეთოდებითაც იცავდა. XIV-XV სს-ში შავიზღვისპირეთში ერთ-ერთ მთავარ ფულის ერთეულს ტრაპიზონული ვერცხლის მონეტა წარმოადგენდა, რომელსაც მისი პირველი მომჭრელის მანუელ კომნენის სახელის მიხედვით, ტრაპიზონში „კარ-მანუელის" (მეფე მანუელი) „ასპრას" ანუ „ვერცხლის ფულს" ეძახდნენ. ქართველი ვაჭრებისათვის სავაჭრო ოპერაციების გაადვილების მიზნით, დასავლეთ საქართველოში დავით ნარინის ხანიდან დაიწყეს ამ მონეტის მინაბაძის მოჭრა, რომელსაც ქართველები „კირმანეულს" ეძახდნენ. ამ მონეტის მინაბაძს ცხუმში ჭრიდნენ ოდიშის ერისთავთერისთავები. მას იტალიელები „სებასტოპოლის ასპრას" ეძახდნენ, რაც მისი ქართული სახელწოდების „ცხუმური თეთრის" ზუსტი თარგმანია.

XIII-XIV სს-ში საქართველოს შავი ზღვით ექსპორტის ძირითად საქონელს აბრეშუმი წარმოადგენდა. XIV ს-თვის ქართული აბრეშუმის წარმოება თავის მაღალ დონეს ჯერ კიდევ ინარჩუნებდა და თავისი ფასით დასავლეთ ევროპის ბაზარზე მხოლოდ გილანურ (ჩრდილოეთ ირანი) აბრეშუმს ოდნავ ჩამოუვარდებოდა. თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ ქართული აბრეშუმის ხარისხი მკვეთრად დაეცა და ამის შემდეგ ველარ აღდგა. ამიტომ XV ს-ში საქართველოდან უკვე ძირითადად აბრეშუმის ნედლეული ანუ აბრეშუმის პარკი გაჰქონდათ, რომელსაც იტალიაში ქალაქ ლუკაში, მეაბრეშუმეობის მსოფლიო ცენტრში ამუშავებდნენ. XIII-XV სს-ში საქართველოდან ზღვით გადიოდა აგრეთვე ტილოს ქსოვილიც.

XIII-XIV სს-ში საქართველოში საზღვაო ექსპორტის (საზღვარგარეთ გატანილი საქონლის) უმნიშვნელოვანეს საგანს ძვირფასი ხე-ტყე წარმოადგენდა, რომელზედაც მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნილება იყო. ამის გამო უცხოეთში გასატანად ხე-ტყის დამზადებამ დიდი მასშტაბი მიიღო. საბაზრო ინტერესებიდან გამომდინარე, საგანგებოდ ყიდულობდნენ ტყის ნაკვეთებს უცხოეთში გასატანი ხე-ტყის მოსაჭრელად. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ იმხანად საქართველოდან ზღვით გაჰქონდათ მარცვლეული და ღვინო. დიდი მოთხოვნილება იყო საქართველოს ტყავეულზე და ბეწვეულზეც.

საქართველოს ნავსადგურები XIII-XV სს-ში სატრანზიტო ვაჭრობის მსხვილ ცენტრებსაც წარმოადგენდნენ. თბილისის გავლით ცხუმში, ფოთში და ბათუმში ჩამოჰქონდათ საქონელი, პირველ რიგში აბრეშუმი საქართველოს მეზობელი რეგიონებიდან: შირვანიდან, შაქიდან და გილანიდან (ჩრდილოეთ სპარსეთიდან), რომელიც შემდეგ კონსტანტინოპოლის გავლით დასავლეთ ევროპაში გაჰქონდათ.

XIII-XV სს-ში საქართველოში შავი ზღვით შემოდიოდა საქონელი შავიზღვისპირეთის ქვეყნებიდან, კონსტანტინოპოლიდან, დასავლეთ ევროპიდან. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ მარილი და დამარილებული თევზი. ყოველწლიურად ფოთის ახლოს დიდი ბაზრობა იმართებოდა, სადაც ეს შემოტანილი თევზი იყიდებოდა. დასავლეთ ევროპის ძირითად საქონელს აღმოსავლეთის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში მაუდი წარმოადგენდა. ზღვით ამ [illegible] აგრეთვე შემოდიოდა ლითონის ნაწარმი: რკინის, სპილენძისა და კალის ზოდები, საბრძოლო [illegible] საოჯახო მოხმარების ნივთები, იმ დროინდელი სპორტული აღჭურვილობა, მაგალითად, [illegible] ცხენბურთის სათამაშოდ. საქართველოში ზღვით შემოტანილ საქონელს შორის ზოგიერთი [illegible]

დოკუმენტში მოხსენებულია „ბალებავები შხატვრებისათვის".

საქართველოს ნავსადგურებში მოდიოდა აგრეთვე საქონელი შორეული ჩინეთიდან და ინდოეთიდან, რომელიც შავი ზღვის სანაპიროებამდე სავაჭრო-საქარავნო გზებით მოჰქონდათ. მათ შორის იყო სანელებლები: პიპილი, დარიჩინი, ზაფრანა, შავი პილპილი... აქვე მოჰქონდათ ხხვადასხვა აღმოსავლური მცენარეული საღებავები, წელსაცხებლები, სამკურნალო ბალახები, სპილოს ძვალი, მარგალიტი, ძვირფასი თვლები ...

თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად დანგრეულ ქართულ წარმოებას სულ უფრო და უფრო უძლიერდა კონკურენცია გაეწია დასავლეთ ევროპული ნაწარმისათვის. ამან საქართველოში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში კიდევ უფრო დააჩქარა ხელოსნური წარმოების დაცემა. თანდათანობით დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქები მხოლოდ სავაჭრო ცენტრებად გადაიქცნენ, სადაც ხელოსნური წარმოება მინიმუმამდე იყო შემცირებული. ასეთ პირობებში საქართველოდან ზღვით ძირითადად წედლეული გაჰქონდათ, რომლის ფასი ევროპულ საქონელთან შედარებით სულ უფრო და უფრო ეცემოდა. ამის გამო ზღვით შემოტანილი საქონლის ანუ იმპორტის ღირებულებამ თანდათანობით გადააჭარბა ზღვით გატანილი საქონლის ანუ ექსპორტის ღირებულებას. საზღვაო იმპორტისა და ექსპორტის ღირებულებათა შორის სხვაობის დაფარვის ყველაზე ხარფიანი გზა ტყვეებით ანუ მონებით ვაჭრობა აღმოჩნდა. ტყვე ერთადერთი საქონელი იყო, რომელსაც მსოფლიო ბაზარზე კონკურენცია არ აშინებდა. ამიტომ XV ს-დან, განსაკუთრებით ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და მრეწველობის საერთო დაცემის ფონზე ზღვით საქართველოდან ტყვეთა გაყვანამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

1453 წელს, თურქ-ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, საქართველოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ზღვით ურთიერთობა ერთხანს კიდევ გრძელდებოდა, მაგრამ თანდათანობით ის სულ უფრო და უფრო იზღუდებოდა. 1475 წელს თურქ-ოსმალებმა აიღეს კაფა და გენუელთა სხვა სავაჭრო ფაქტორიები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. კაფაში მყოფი ქართველი ვაჭრები მონებად გაყიდეს. ამის შემდეგ საქართველოს უშუალო საზღვაო ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან დაახლოებით 350 წლით მთლიანად შეწყდა.

## § 54. კულტურა და საქართველოს ეკლესია XIII - XV საუკუნეებში

მონღოლთა ბატონობამ ქართული კულტურის განვითარება ძალზე შეაფერხა. რაც, უპირველეს ყოვლისა, საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში აისახა. XIII ს-ის II ნახევარში საქართველოში საეკლესიო მშენებლობა თითქმის შეწყდა. ამ ხანიდან სულ რამდენიმე ტაძარია ცნობილი. მათ შორის აღსანიშნავია დემეტრე II-ის მიერ თბილისში აგებული მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც აქ ადრე მდგომი, მტრის შემოსევის შედეგად დანგრეული ტაძრის ადგილას აშენდა.

საეკლესიო მშენებლობა ძირითადად მონღოლებისაგან დაცულ მხარეებში გრძელდებოდა. ამ მხრივ პირველ რიგში სამცხე და დასავლეთ საქართველო გამოირჩეოდა. XIII-XIV სს-ის მიჯნაზე ჩვენთვის უკვე ცნობილმა ბექა ჯაყელმა საფარის მონასტრის ტერიტორიაზე წმინდა საბას სახელობის ტაძარი ააგო, რომლის სამხრეთ კედელზე საკუთარი თავი და ოჯახის წევრები გამოახატვინა. შემორჩენილი ფრესკული წარწერებიდან ირკვევა, რომ ამ ტაძრის ხუროთმოძღვარი ფარეზის-ძე ყოფილა. ამ ტაძართან იმავე დროს სამრეკლოც აიგო, რომელიც ერთ-ერთი უძველესი სამრეკლოა საქართველოში. ამის შემდეგ საფარის მონასტერი ჯაყელთა საგვარეულოს საძვალედ იქცა. აქვე ამავე დროს აიგო ჯაყელთა ერთ-ერთი სასახლე. ბექა ჯაყელის სახელთანაა დაკავშირებული დიდი მშენებლობა ზარზმის მონასტერშიც, რომელიც ჯერ კიდევ VIII ს-ში სერაპიონ ზარზმელმა ააგო. ბექამ აქ დიდი ტაძარი ააშენებინა და შიგნიდან მთლიანად მოახატვინა. ფრესკებზე გამოხატულია ბექას მამა XIII ს-ის II ნახევრის, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი სარგის ჯაყელი, თვით ბექა და მისი ოჯახის წევრები. აქვეა საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ეფთვიმეს ფრესკული გამოხატულება. თავისი დიდი პაპის საშენებლო მოღვაწეობა აღბუღა ჯაყელმა გააგრძელა, რომელმაც 1381 წელს ჭულეში დიდი ტაძრის მშენებლობა დაასრულა და ის შიგნიდან მთლიანად მოახატვინა. XIV ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლს გერგეტის სამება წარმოადგენს. ის ისტორიულ ხევში მყინვარწვერის ქვემოთ მაღალ მთაზეა აღმართული.

XIII-XIV სს-ის მიჯნაზე ოდიშის საერისთავოში აიგო ხობის ტაძარი. ეს ტაძარი ოდიშის ერისთავმა გიორგი I დადიანმა ააგო. მისი ფრესკა ეკლესიის მოდელით ხელში გამოხატულია ამ ეკლესიის

ჩრდილოეთ კედელზე. აქვეა დადიანთა საგვარეულოს მეორე შტოს, კოხტასთავის გმირის ცოტნე დადიანის მთამომავალთა ფრესკები.

XIII-XIV სს-ის მიჯნაზე აიგო ბედიის ტაძრის სამრეკლო, რომლის სამშენებლო წარწერაში ნიკოლოზ კათალიკოსია მოხსენიებული. XIV ს-ში ბედიის ტაძარი შეკეთდა და შიგნიდან თითქმის ხელახლა მოიხატა.

XIII ს-ის მეორე ნახევრიდან საქართველოში დიდ წარმატებას მიაღწია ფრესკულმა მხატვრობამ. იმჟამად ბიზანტიაში მხატვრობაში შეიქმნა მიმდინარეობა, რომელიც ევროპის აღორძინების მხატვრობის წინამორბედად იქცა. მას XIII-XV სს-ში ბიზანტიის მმართველი საიმპერიო დინასტიის, პალეოლოგოსთა სახელის მიხედვით, „პალეოლოგოსთა მხატვრული სკოლა" ეწოდება. ამ სკოლის საფუძველზე აღმოცენდა ბალკანეთის ქვეყნებისა და რუსეთის ეროვნული მხატვრული სკოლები. პალეოლოგოსთა მხატვრულმა სკოლამ თავისი განვითარება საქართველოშიც ჰპოვა და ფრესკული მხატვრობის უბრწყინვალესი ნიმუშები მოგვცა. ასეთი მხატვრობის უძველესი ნიმუშები საქართველოში XIII ს-ის II ნახევარში გელათშია დამოწმებული. ამავე სკოლას ეკუთვნოდნენ XIV ს-ის გენიალური ქართველი მხატვრები დამიანე და მისი მოწაფე გერასიმე გერასიმეძე, რომელთა შესანიშნავი მხატვრობა ამკობს უბისის ტაძარს. ამავე სტილშია და, შესაძლოა, ამავე მხატვრების მიერაა მოხატული რაჭაში, სოფელი სორის ეკლესიაც.

სანტერესოა ვიცოდეთ, რომ ეკლესიების მოსახატავად ქართველებმა მხატვრები ბიზანტიიდანაც ჩამოიყვანეს. ერთ-ერთი ასეთი ბიზანტიელი მხატვრის კირ მანუელ ევგენიკოსის შესახებ ცნობები შემოგვინახა წალენჯიხის ტაძარმა, რომელსაც მის მიერ შესრულებული ბრწყინვალე მხატვრობა ამშვენებს. ამავე სტილშია მოხატული ხობის ტაძრის ეკვდერი, რომელიც XIV ს-ის 90-იან წლებში ოდიშის ერისთავთერისთავის ვამეყ I დადიანის ბრძანებით აიგო.



თემურ ლენგის დამანგრეველი ლაშქრობების შემდეგ მთელი XV საუკუნე დანგრეული ციხე-სიმაგრეებისა და ეკლესიების აღდგენა-განახლებას დასჭირდა. ამავე დროს ცალკეული ტაძრებიც შენდებოდა. ასეთებია, მაგალითად, XV ს-ის დასაწყისში ალექსანდრე დიდის პაპის ქეცნა აშირეჯიბის მიერ ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთებზე, ალის ხეობაში აგებული ულუმბოს ტაძარი და ნაბახტევის ღვთისმშობლის ეკლესია. ეს უკანასკნელი 1412-1413 წწ-ის პალეოლოგოსთა სტილის მხატვრობით იყო შემკული. აქ ერთ-ერთ ფრესკაზე ალექსანდრე დიდი იყო გამოხატული. ამჟამად ნაბახტევის ფრესკები საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

XIV-XV სს-ში ქართულ ეკლესია-მონასტრებში კვლავაც გრძელდებოდა ძველი ჯვრებისა და ხატების განახლება და ახლების დამზადება. ამ საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები ჩვეულებრივ ჩამოუვარდება „ოქროს ხანის" ჭედურობის ნიმუშებს. ამ მხრივ გამონაკლისად „ოქრომჭედელი მამნე" უნდა ჩაითვალოს. მას ეკუთვნის ბარაკონისა (ამბროლაურის რაიონი) და ხადგერის (ბორჯომის რაიონი) ეკლესიების საკურთხევლის წინა ჯვრებისა და შემოქმედის ეკლესიის (ოზურგეთის რაიონი) დღეს დაკარგული ხატის მოჭედილობა. მამნე ოქრომჭედლის შემოქმედებაში აშკარად იგრძნობა ქართული ჭედური ხელოვნების საუკეთესო ტრადიციების აღორძინება.

### ხწავლა-განათლება და ხელნაწერი წიგნები.

XIV-XV საუკუნეების საქართველოში, ისევე როგორც ადრე, დაწყებითი სწავლა-განათლების ცენტრებს ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდნენ. განათლების ასეთი ცენტრები XIV ს-ში მაინც

## დაკარგული ოთხთავი

აღნიშნული ოთხთავი ხელთ ჰქონია მისე ვანსმელს, რომელმაც თავის „საქართველოს ისტორიაში" ამ ოთხთავის აღწერილობა და იქ არსებული მინაწერები გამოაქვეყნა. სამწუხაროდ, მოგვიანებით ეს ოთხთავი დაიკარგა.

## ავგაროზ ბანდაისძე და მისი ოჯახი

ავგაროზ ბანდაისძე XIV ს-ის 10-იან წლებში [illegible] 1330 წ. [illegible] 1400 წელს, [illegible] რომელიც შემდეგ XIV-XV სს-ის [illegible].

საქართველოში შედარებით ბევრი იყო. ამას მოწმობს ჩვენამდე არმოღწეულ ერთ ოთხთავზე 1318 წელს გაკეთებული ანდერძ-მინაწერი, რომლის თანახმად, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიან მხარეებში – „მთეულეთში" შვიდი ასეთი სასწავლებელი არსებობდა. ამ სასწავლებლებში უპირველეს ყოვლისა „სჯული ჭეშმარიტი" – სარწმუნო სჯული და ღვთისმეტყველება ისწავლებოდა. აქვე დიდი ყურადღება ექცეოდა „ქართლის ცხოვრებას" ანუ საქართველოს ისტორიას და აგრეთვე კავკასიის ისტორიის საკითხებს.

დაწყებითი სასწავლებლების სიმრავლე განაპირობებდა წერა-კითხვის ცოდნის მაღალ დონეს საქართველოს ყველა კუთხეში. ამას თუნდაც XIV-XV სს-ის ხვანეთში შედგენილი დოკუმენტები მოწმობს.

არსებობას განაგრძობდა გელათის აკადემიაც, რომელიც საქართველოში XIV-XV სს-ში კვლავაც უმაღლესი განათლების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა.

იმხანის განათლებული საეკლესიო პირის კარგი მაგალითია ჭანის ხეობის ზემო წელში მდებარე ლარგვისის მონასტრის მოძღვარი ავგაროზ ბანდაისძე და მისი შვილი გრიგოლ ბანდაისძე, რომლებიც XIV-XV სს-ში მოღვაწეობდნენ. ავგაროზ ბანდაისძე თავისი განათლების შესახებ ამაყად წერს მისივე გადაწერილი პარაკლიტონის – კვირის დღეებისთვის განკუთვნილი საგალობლების კრებულის – ერთ-ერთ მინაწერში: „წყალობითა ღვთისათა მომეცა თენიერ მოძღვრისა, ხელოვნება ცხრაითარი: პირველად სწავლაი ხუცობისა (ღვთისმეტყველებისა), ხელი მეორე მწიგნობრობისა (აქ უნდა იგულისხმებოდეს ორიგინალური თხზულებების შექმნა), ხელი მესამე წერაი ხუცურისა (კალიგრაფობა), ხელი მეოთხე შექმნა ეტრატისა (ტყავის ეტრატის ფურცლად დამუშავება), ხელი მეხუთე შეკვრაი წიგნისაი (ხელნაწერი წიგნის აკინძვა), ხელი მეექვსე მხატვრობაი, ხელი მეშვიდე მკერვალობაი (კერვა), ხელი მერვე ტყავისა კერვისაი, ხელი მეცხრე ხუროვნობისაი (სახლის მშენებლობა), ხელი მეათე მიწულით მუშაობისაი (მიწის მუშაკობა)". ასეთივე განსწავლული იყო მისი შვილი გრიგოლიც, რომელმაც ამავე ხელნაწერი წიგნის სხვა მინაწერის მიხედვით, ბერად აღკვეცის შემდეგ ეკლესია თავისი ხელით მოხატა, დაზიანებული ხატები განაახლა და თავისი სამარხი ეკლესია ააშენა. ბანდაისძეთა ოჯახი საქართველოს ერთ-ერთ განაპირა მთიან მხარეში მოღვაწეობდა, ადვილად წარმოსადგენია, თუ რამდენად განსწავლულები იყვნენ ქვეყნის ცენტრალურ მხარეებსა და იქ მდებარე ცნობილ მონასტრებში მოღვაწე საეკლესიო პირები.

XIV-XV სს-ში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მდებარე ქართულ მონასტრებში კვლავაც გრძელდებოდა ახალი ხელნაწერი წიგნების შექმნა და ძველების განახლება-გადაწერა, თუმცა ამ პერიოდში შექმნილ თუ გადაწერილ წიგნთა ოდენობა საგრძნობლად ჩამოუვარდება XI-XIII სს-ში შექმნილ წიგნთა რიცხვს. ზოგ შემთხვევაში დაქვეითებულია ხელნაწერ წიგნთა შესრულების ხარისხიც.

XIV-XV სს-ში გადაწერილ საეკლესიო კრებულებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია რაჭაში, ჭელიშის მონასტერში აღმოჩენილი კრებული, რომელიც მისი აღმოჩენის ადგილის მიხედვით „ჭელიშური კრებულის" სახელითაა ცნობილი. ამ კრებულში შეტანილია „მოქცევაი ქართლისაი" ამჟამად „ჭელიშური რედაქციის" სახელით ცნობილი ტექსტი.

მოუხედავად ავბედობისა, მოსახლეობის მკვეთრი შემცირებისა, კულტურული დაქვეითებისა და ამ დონზე ერთიანი სამეფოს დაშლის ტენდენციების გაძლიერებისა, ქართულ საზოგადოებაში არ შენელებულა ინტერესი საქართველოს ისტორიისადმი. ეს კი თავის მხრივ განაპირობებდა ზრუნვას „ქართლის ცხოვრებისადმი" – საქართველოს ისტორიის ამ უნიკალური ძეგლისადმი. როგორც უკვე ვიცით, XV ს-ის ბოლოს კახეთის დედოფლის, ალექსანდრე I კახთა მეფის მეუღლის ანას შეკვეთით გადაიწერა „ქართლის ცხოვრება". ამ ხელნაწერმა, რომელსაც მისი შემკვეთის სახელის მიხედვით ანასეული ეწოდება, შემოგვინახა „ქართლის ცხოვრება" ერთ-ერთი უძველესი სახით. ვინაიდან

მეცნიერთა დაკვირვებით, ტექსტი გადაწერილია XIII ს-ის ხელნაწერიდან.

ავგაროზ ბანდაისძის მიერ გადაწერილი ზემოთ დასახელებული პარაკლიტონის გარდა, იმავე ლარგვისის მონასტერში გიორგი თამაურმა გადაწერა ოთხთავი, რომელიც ავგაროზ ბანდაისძემ მოხატა. ამას გვაუწყებს ოთხთავის ერთ-ერთი მინიატურის ქვემოთ მოთავსებული მინაწერი: „ესე ოთხნი მახარობელნი და ზემოთ კამარანი დაიხატნეს ხელითა ავგაროზ ბანდაისძისათა".

აღსანიშნავია, რომ XIV ს-ში იმავე ლარგვისის მონასტერში კიდევ ერთი მინიატურისტი და კალიგრაფი – ბარნაბა მოღვაწეობდა. მან გადაწერა და შვიდი მინიატურით შეამკო საეკლესიო წიგნი, ე. წ. ზატიკი, რომელშიც აღდგომის დღეებში შესასრულებელი საგალობლებია მოთავსებული.

ამ ხანის მინიატურებით შემკული ქართული ხელნაწერი წიგნებიდან, უპირველეს ყოვლისა, მოქვის ოთხთავია აღსანიშნავი. ეს ოთხთავი მოქვის მთავარეპისკოპოსის დანიელის დაკვეთით გადაწერა და მოხატა შესანიშნავმა კალიგრაფმა და მხატვარმა ეფრემმა, რომელმაც ამ ხელნაწერ სახარებაზე მუშაობა 1300 წ. დაასრულა. მოქვის ოთხთავი მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით ერთ-ერთი უმდიდრესი ქართული ხელნაწერი წიგნია. ის 157 მინიატურითა და 531 საზედაო ასოთია შემკული.

ამ ეპოქის ერთ-ერთ საუკეთესო მხატვარ-მინიატურისტად ანანია უნდა მივიჩნიოთ. ის მოღვაწეობდა XV ს-ის II ნახევარში სამცხის ათაბაგის კარზე. მისი ორი შესანიშნავი მინიატურა ამკობს სახარებას, რომელიც შავი მთის ქართულ მონასტერში ჯერ კიდევ XI საუკუნეში გადაუწერიათ.

არაერთი ხელნაწერი წიგნი შეიქმნა თუ გადაიწერა საზღვარგარეთ მდებარე ქართულ მონასტრებშიც. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია XIV ს-ის I ნახევარში პეტრიწონის მონასტერში მახარობელი ოქროპირმაისძის დაკვეთით გადაწერილი საეკლესიო დღესასწაულებზე საკითხავი კრებული: „დღესასწაულთა საკითხავნი", რომელშიც სხვა საეკლესიო თხზულებებთან ერთად პეტრე ქართველის, იგივე პეტრე იბერის „ცხოვრებაც" შევიდა და XIV-XV სს-ის მიჯნაზე იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში გრიგოლ ჩახრუხაისძის გადაწერილი „დიდი სჯულისკანონი", რომელიც, როგორც გვახსოვს, ქართულად ჯერ კიდევ XI ს-ის II ნახევარში არსენ იყალთოელმა თარგმნა.

XIV-XV საუკუნეებში საზღვარგარეთის ქართულ მონასტრებში შექმნილ ხელნაწერებს შორის შემკულობის სიუხვით განსაკუთრებით ათონის ქართულ მონასტერში გადაწერილი ქართულ-ბერძნული ხელნაწერი წიგნი გამოირჩევა. ის ამჟამად რუსეთის ქალაქ სანკტ პეტერბურგში, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საცავში ინახება. ამ ხელნაწერის 417 მინიატურაში საეკლესიო სცენებთან ერთად, მოცემულია წელიწადის თვეების სიმბოლური გამოსახულებები და ზოდიაქოს ნიშნები. აქვე მინიატურებზე გამოხატული არიან ქრისტიანი, მათ შორის ქართველი წმინდანები: წმინდა ნინო, იოანე ზედაზნელი, ილარიონ ქართველი, ევთიმე და გიორგი მთაწმინდელები და სხვ. აღსანიშნავია, რომ, ალბათ, ბერძნულენოვან ბერებში მათი პოპულარიზაციის მიზნით, ქართველი წმინდანების მინიატურებს ბერძნული წარწერები ახლავთ, იმ დროს როდესაც არაქართველ წმინდანთა მინიატურების წარწერები მხოლოდ ქართულ ენაზეა შესრულებული.

XIV-XV სს-ში კვლავაც თხზავდნენ ახალ საისტორიო და ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებს. ისინი რაოდენობრივად და თემობრივადაც, როგორც წესი, ჩამოუვარდებიან საქართველოს „ოქროს ხანის" იმავე ჟანრის მწერლობის ნიმუშებს. ამ მხრივ გამონაკლისია XIV ს-ის შუა წლებში უცნობი ჟამთააღმწერლის მიერ შექმნილი „ასწლოვანი მატიანე". თხზულება ჩვენამდე მოღწეული სახით 1318 წლამდეა მიყვანილი. მისი ტექსტიდან აშკარაა, რომ მემატიანე, უპირველეს ყოვლისა, სწორედ გიორგი ბრწყინვალის მეფობის ასახვას ისახავდა მიზნად. ამიტომ გასაკვირია, რომ თხრობა თხზულებაში გიორგი V-ის გამეფებაზე წყდება. შესაძლოა, ჟამთააღმწერლის „მატიანე" გიორგი ბრწყინვალის მეფობის აღწერასაც შეიცავდა და ეს ნაწილი მოგვიანებით დაიკარგა.

ჟამთააღმწერლის თხზულების შემდეგ XIV-XV სს-ში საქართველოს ერთიანი, გაბმული ისტორია არ დაწერილა. დროდადრო იქმნებოდა ცალკეული მეფეების „ცხოვრებები". ჯერ კიდევ XVIII ს-ის დასაწყისში ბერი ეგნატაშვილი და „სწავლულ კაცთა" კომისია გაეცნო ბაგრატ V-ისა და მისი ძის კონსტანტინე I-ის „ცხოვრებებს" და ისინი „ახალ ქართლის ცხოვრებაში" შეიტანა. „ახალ ქართლის ცხოვრებაში" შევიდა აგრეთვე „ქრონიკები", რომლებიც ალექსანდრე დიდისა და მისი შვილიშვილის კონსტანტინე II-ის მეფობას ასახავდნენ.

ამავე ხანებში იქმნებოდა ცალკეული საგვარეულო მატიანეებიც. ამათგან მხოლოდ ერთი – ცნობილი (ქსნის ხეობის ზემო წელი) ერისთავთა საგვარეულო მატიანე შემოგვრჩა. თხზულების დასაწყისი და ბოლო აკლია, ამიტომ მისი თავდაპირველი სახელწოდება უცნობია. ამ საისტორიო ძეგლის პირველმა გამომცემელმა თ. ჟორდანიამ მას „ძეგლი ერისთავთა" უწოდა. ამის შემდეგ ეს სახელწოდება ისტორიოგრაფიაში საბოლოოდ დამკვიდრდა. „ძეგლი ერისთავთა" XV ს-ის დასაწყისში შედგენილი

მის ავტორად ჩვენთვის უკვე ცნობილი ავგაროზ ბანდაისძე ითვლებოდა. ბოლო ხანებში ისტორიკოსებმა მიაქციეს ყურადღება იმ ფაქტს, რომ მატიანეში თხრობა 1403–1404 წლებამდეა მიყვანილი, ავგაროზ ბანდაისძე კი 1400 წლისათვის უკვე გარდაცვლილი იყო. ამიტომ ამჟამად ფიქრობენ, რომ ეს თხზულება მის ვაჟს გრიგოლ ბანდაისძეს უნდა ეკუთვნოდეს. „ძველი ერისთავთაში" გადმოცემულია ბიბილურ-ქვენიფნეველთა საგვარეულოს ქსნის ხეობაში დამკვიდრების, მათი გაერისთავებისა და ცხრაზმის საერისთავოს ისტორია. საკუთარი მატიანის შექმნა გამოწვეული იყო საგვარეულოს სურვილით, დაესაბუთებინა მისი ძველი წარმომავლობა და ეჩვენებინა ქვენიფნეველთა დამსახურება ქვეყნის წინაშე. „ძველი ერისთავთა" უკვე საქართველოს ერთიანი მონარქიის რღვევის ხანის ტიპური ძეგლია. მასში ძირითადად მხოლოდ ცხრაზმის ერისთავთა საქმიანობაა გადმოცემული და სრულიად საქართველოს ისტორიის ცალკეულ მომენტებს ყურადღება მხოლოდ მაშინ ექცევა, როდესაც ეს ცხრაზმის ერისთავთა საქმიანობას უკავშირდება.

სამწუხაროდ, ამ ხანის საერო პოეზიისა თუ პროზის ნიმუშებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. საფიქრებელია, ასეთი თხზულებები კვლავაც იქმნებოდა, მაგრამ „ვეფხისტყაოსანთან" კონკურენციას ვერ უძლებდნენ და თანდათან მივიწყებას ეძლეოდნენ. მართლაც, XIV–XV სს-ში მთელს საქართველოში დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდა შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი". ამ პოემის სხვადასხვა ნაწილები და აფორიზმები ხალხმა ზეპირად იცოდა. იყვნენ ისეთებიც ვინც მთელ პოემას ფლობდა ზეპირად.

ამავე ხანებში არ გამქრალა მწერლობის ისეთი ჟანრიც, როგორიცაა ჰაგიოგრაფია, თუმცა ახალი ჰაგიოგრაფიული თხზულებები, მათი ჟანრობრივი თავისებურების გამო (წმინდანთა ცხოვრებისა და მოწამეობრივი სიკვდილის აღწერა) ახლა ძირითადად საზღვარგარეთის ქართულ მონასტრებში იწერებოდა.

XIII–XIV სს-ის მიჯნაზე იერუსალიმში ქრისტიანების დევნა და ქართველი ბერების შევიწროებული მდგომარეობა კარგად აისახა მცირე ზომის ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, რომლებიც XIV ს-ში იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შეიქმნა. ამ თხზულებებში გადმოცემულია ლუკა მუხაისძის, იგივე ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დვალის ცხოვრება და მარტვილობა.

XIV–XV სს-ში არ შეწყვეტილა არც საეკლესიო წიგნების თარგმნა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უცხოენოვანი თარგმნილი თხზულებების რაოდენობა წინა საუკუნეებთან შედარებით განუზომლად შემცირდა. ამხანაში თარგმნილ თხზულებებს შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მაკარ ხუცეს მესხის მიერ ასურულიდან თარგმნილი პეტრე ქართველის ცხოვრება. ეს თარგმანი თავისუფალი თარგმანთა რიცხვს მიეკუთვნება და დედანთან შედარებით ძალზე გადაკეთებულია.

XIV ს-ის I ნახევარში მოღვაწეობდა დიდი ქართველი საეკლესიო მწერალი, რომელსაც „ნიკოლოზ ქართველთა მნათობს" უწოდებდნენ. ეს ეპითეტი გვაფიქრებინებს, რომ ის არაერთი ორიგინალური საეკლესიო თხზულების ავტორი იყო. სამწუხაროდ, მისი მხოლოდ რამდენიმე თარგმანი შემორჩა.

XIV ს-ში მაღალ დონეს ინარჩუნებს ქართული სამართლებრივი აზროვნება. ამ საუკუნეში დასრულებული სახე მიიღო ბექა-აღბუღას სამართალმა და შეიქმნა გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება".

ამ ხანის ქართული სამართალი ფეოდალური საზოგადოების აზროვნების ნაყოფია და, შესაბამისად,

ლუკა იერუსალიმელი

ლუკა იერუსალიმელი მუხაისძეთა ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა. მამის ნაადრევი სიკვდილის შემდეგ მისმა დედამ შვილები მიატოვა და იერუსალიმის ქართულ ქალთა მონასტერში აღიკვეცა. [illegible] წლის ლუკამ [illegible] დედა და [illegible] წმინდა ადგილთა მოსალოცავად იერუსალიმში გაემგზავრა. იქ ისიც ბერად აღიკვეცა. 1270 წ. ქართველმა ბერებმა ლუკა იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს. 1273 წ. ეგვიპტის სულთანმა ბაიბარსმა ქართველებს ჯვრის მონასტერი ჩამოართვა და ეკლესია მეჩეთად აქცია. ლუკამ სულთანის [illegible] წინააღმდეგობა გაუწია, რისთვისაც [illegible] წლის 27 [illegible] სიკვდილით დასაჯა.

ნიკოლოზ დვალი

ნიკოლოზი წარჩინებული დვალეთის სოფელ [illegible] იყო. 12 წლის ასაკში ის ბერად აღიკვეცა და ერთ ხანს კლარჯეთის მონასტრებში ცხოვრობდა, შემდეგ კი იერუსალიმში გაემგზავრა. ნიკოლოზს დიდი სურვილი ჰქონდა ქრისტიანობისთვის წამება მიეღო. [illegible] ისლამს საჯაროდ გმობდა და [illegible]. ქართველმა ბერებმა ის [illegible] [illegible] ნიკოლოზ დვალი [illegible] ქართველთა მონასტერში [illegible]. [illegible] შემდეგ ნიკოლოზი კვლავ იერუსალიმში დაბრუნდა და [illegible]. მაშინ ის [illegible], შეიპყრეს და 1314 წ. 19 ოქტომბერს სიკვდილით დასაჯეს.

მკაცრად წოდებრივი. ამის მიუხედავად, სამართლის ძეგლების მიხედვით, საზოგადოების ყველა წევრი კანონის სუბიექტია. ჩადენილი დანაშაულისათვის ყველა წოდების წარმომადგენელი აგებდა პასუხს, თუმცა სასჯელის ნორმა ანუ „სისხლის ფასი" დაზარალებულის წოდების მიხედვით განისაზღვრებოდა.

დასავლეთ ევროპული სამართლისაგან განსხვავებით, ქართული სამართალი ქალის უფლებებს ბევრად უფრო იცავდა. მზითვი ყველა შემთხვევაში მის საკუთრებაში რჩებოდა. ბექა-აღბუღას სამართლით ქალს ქმრის მიტოვების უფლებაც კი ჰქონდა, თუმცა კაცისაგან განსხვავებით, რომელსაც ცოლის მიტოვებისათვის ქალის „სისხლის ნახევარი" უნდა გადაეხადა, ანალოგიურ შემთხვევაში ქალი ორმაგ „სისხლს" იხდიდა.

დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთმიმართების შესახებ იმ ხანის ქართული სამართლებრივი აზრი ჩამოყალიბებულია „ძეგლის დადების" შესავალ ნაწილში. აქედან ირკვევა, რომ XIV ს-ის საქართველოში დანაშაულის ზრდის ძირითად მიზეზად მონღოლთა ბატონობის შედეგად კანონიერების მოშლა (ულუსობა) და ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სიმცირე, ანუ „სისხლის სიუბუქობა" მიაჩნდათ. დანაშაულობასთან ბრძოლის ძირითად საშუალებას კი ამ სამართლის შემდგენლები, კანონიერების აღდგენასა და სასჯელის გამკაცრებაში ხედავდნენ.

XIV-XV სს-ის საქართველოში კვლავაც მაღალ დონეს ინარჩუნებდა სამედიცინო ცოდნა. XV ს-ის II ნახევარში მოღვაწეობდა დიდი ქართველი მკურნალი ზაზა ფანასკერტელი, რომელმაც ვრცელი „სამკურნალო წიგნი" დაგვიტოვა. ამ წიგნის პირველი ნაწილი ზოგადად ავადმყოფობის ბუნებას შეეხება, მეორე ნაწილში კი ცალკეული ავადმყოფობების განკურნების გზებია მოცემული.

„ძეგლის დადების" შესავალი ნაწილი კანონიერების მოშლის შესახებ

„დაუსჯელად და დაუკვეთ წახდა მეფეც და ქართლისა კათალიკოზი ეფისკოპოზნი, დაწყებით ქუზნისა და ეპისკოპოზნი და მოძღვარნი და გვირგვინოსანი, რომ დიდი უსამართლობა და მძლავრობა შექმნილ იყო ურთიერთზე. სისხლის სიმცირისა გამო ადვილად მიაჩნდათ ურთიერთის დაღატება, დასხმა (ურთიერთზე თავდასხმა), ცოდვა დაქცევა, სიცოცხლე (მკვლელობა), ცოლის წაგვრა და უბრალოდ დაგდება (უმიზეზოდ მიტოვება) და მრავალფეროვანი უღმრთობა და ყოველად სამართალი დარღვეულ იყო".

**ქართული მონასტრები საზღვარგარეთ XIII-XV სს-ში.**

საქართველოში მონღოლთა გაბატონების შემდეგ, საზღვარგარეთ მდებარე ქართულ მონასტრებს ძალზე გაუჭირდათ, მათ ხომ მატერიალურ შემწეობას და ბერებით შევსებას საქართველოდან მიიღებდნენ. ამ მხრივ სიტუაცია განსაკუთრებით XV ს-დან გაუარესდა, როდესაც შავმა ჭირმა და თემურ-ლენგის შემოსევებმა საქართველოს მოსახლეობის მკვეთრი შემცირება და გაღატაკება გამოიწვია.

საზღვარგარეთის სამონასტრო ცენტრებიდან თავდაპირველად ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერი ჩავარდა, რომელიც იმთავითვე მუსლიმურ გარემოცვაში არსებობდა. ეგვიპტე-მონღოლთა ომებში ქართველების ილხანთა ლაშქარში მონაწილეობით განრისხებულმა ეგვიპტის სულთანმა ბაიბარსმა 1273 წ. ეს მონასტერი ქართველებს ჩამოართვა და მეჩეთად გადააკეთა. ჯვრის მონასტრის დაბრუნებისათვის ქართველთა ბრძოლა სამ ათეულ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. ქართველები ძირითადად დიპლომატიას იყენებდნენ. ამ მიზნით ეგვიპტეს დემეტრე II-ის და დავით ნარინის თუ მათი მემკვიდრეების არაერთი ელჩობა ეწვია. 1305 წ. დავით VIII-ის შუამდგომლობით ეგვიპტის სულთანმა მუსლიმთათვის უჩვეული გადაწყვეტილება მიიღო და მეჩეთად ქცეული მონასტერი კვლავ ქართველებს დაუბრუნა. ამ გადაწყვეტილებაში, აშკარაა, დიდი როლი ითამაშა ილხანთა წინააღმდეგ დავით VIII-ის შეურიგებელმა ბრძოლამ. უკან დაბრუნებული მონასტრის აღდგენა-განახლებაში მონაწილეობას მთელი საქართველო იღებდა. დავით ნარინის მემკვიდრემ, კონსტანტინე მეფემ „ახლად შეაკაზმინა" ანუ მღვდელმსახურებისათვის აუცილებელი საეკლესიო ნივთებით მოამარაგა; დრანდის ეპისკოპოსმა გრიგოლ დრანდელმა ტაძარი ნაწილობრივ მოახატვინა. საქართველოდან ყურადღება ჯვრის მონასტერს არც შემდგომ დაკლებია. მას შემწეობა გაუწიეს საქართველოს მეფეებმა, გიორგი ბრწყინვალემ, მისმა ვაჟმა დავით IX, ბაგრატ V, ოდიშის ერისთავთერისთავმა გიორგი II დადიანმა (1345-1384). თემურ ლენგის ლაშქრობებს ვერც შორეულ პალესტინაში მყოფი ქართველთა მონასტერი გადაურჩა. 1400 წ. ჯვრის მონასტერი კიდევ ერთხელ აოხრეს. ჯვრის მონასტრის აღდგენა და აქ სამონასტრო ცხოვრების გამოცოცხლება აწყურის ეპისკოპოსმა ჰამენ მაწყვერელმა (XV ს-ის I მესამედი) თავა, რომელიც იერუსალიმში ჩავიდა და

მონასტრის წინამძღვარი გახდა. ამჯერად მას დახმარება სამცხის ერისთავთერისთავმა ივანე ჯაყელმა, ტაოელმა დიდებულმა ზაქარია ფანასკერტელმა და სხვებმა აღმოუჩინეს.

XIV ს-ის I ნახევარში ათონის ქართველთა მონასტერსაც დიდი ძნელბედობა გადახდა. ამ საუკუნის დასაწყისში ის ჯერ თურქებმა, შემდეგ არაბებმა და ბოლოს ზღვის მეკობრეებმა დაარბიეს. ამისდა მიუხედავად, ათონის ქართველთა მონასტერი კვლავ დიდ ქონებას ფლობდა. ახლა საფრთხე მას ბერძენი ბერებისაგან დაემუქრა, რომელთა რიცხვი მონასტერში თანდათანობით გამრავლდა. XIV ს-ის შუა წლებში ბერძენმა ბერებმა ერთხანს მონასტრის მთავარი ეკლესიაც კი ჩაიგდეს ხელში და ქართველები გამოყარეს. იმხანად ქართველებმა ეს ეკლესია მალევე დაიბრუნეს, მაგრამ ქართველი ბერების სიმცირის გამო მონასტერს მუდმივად ემუქრებოდა ბერძენთა ხელში გადასვლა.

საზღვარგარეთ მყოფი სხვა ქართული მონასტრებისაგან განსხვავებით, პეტრიწონის ქართველთა მონასტერი XIV ს-ის I ნახევარში ერთგვარ აღმავლობას განიცდიდა. მას დიდად მფარველობდნენ ბულგარეთის მეფეები, რომლებმაც განაახლეს ტაძარი და ძველი ფრესკები. მიუხედავად ამისა, ქართველ მონაზონთა რიცხვი ამ მონასტერშიც თანდათანობით შემცირდა. XIV ს-ის I ნახევარში პეტრიწონის მონასტერში მოღვაწეობდნენ მახარობელი ოქროპირისძე, ოქროპირ ტაოელი და სხვები.

1363 წ. პეტრიწონის მონასტერი თურქებმა ჩაიგდეს ხელში და ის თითქმის ორ საუკუნეზე მეტი ხნით დაცარიელდა. ამის შემდეგ ქართველი ბერები გრიგოლ ბაკურიანის-ძის მიერ აგებულ მონასტერს აღარ დაბრუნებიან.

**საქართველოს ეკლესია XIII-XV საუკუნეებში.**

მონღოლთა ბატონობის დამკვიდრების შემდეგ განსაკუთრებით XIII ს-ის 60-იან 80-იან წლებში საქართველოს ეკლესიას ძალზე მძიმე ხანა დაუდგა. ქვეყნის გაღატაკებამ და მონღოლური წესების შემოსვლამ საეკლესიო მიწების დატაცება და მორალის დაქვეითება გამოიწვია. ეკლესია იძულებული გახდა ხმა აემაღლებინა საეკლესიო მიწათმფლობელობის დასაცავად, რასაც 1260-იან წლებში, დავით გიორგის ძის მეფობის ხანაში, საგანგებო საეკლესიო კრებაც კი მიჰყვა. საეკლესიო მოღვაწეებმა ქართული ქრისტიანული ცხოვრების წესისა და ზნეობრივი ნორმების დასაცავად დიდი ბრძოლა გააჩაღეს. ისინი დაუნდობლად ამხელდნენ ჯერ დავით გიორგის ძეს, ხოლო შემდეგ განსაკუთრებით დემეტრე II-ს და მის დიდებულებს, რომლებსაც ერთდროულად რამდენიმე ცოლი ჰყავდათ. ქრისტიანული ზნეობრივი ნორმების დასაცავად განსაკუთრებით ნიკოლოზ პატრიარქი იღწვოდა. როდესაც ნიკოლოზ კათალიკოსი დარწმუნდა, რომ მან დემეტრე II „ვერ არწმუნა", ის ტახტიდან გადადგა და თავისი ხელით კათალიკოსად დემეტრეს ჯვარის მტვირთველი აბრაამი აკურთხა.

ძნელბედობის მიუხედავად, მონღოლების ბატონობის ხანაშიც, საქართველოს ეკლესია თავის გავლენას ჩრდილოეთ კავკასიაზე ძველებურად ავრცელებდა. დემეტრე II-ის მეფობის ხანაში დავით გარეჯის მონასტრის ბერი პიმენ სალოსი, დაღესტანში მონღოლების გავლენით შესუსტებული ქრისტიანობის აღდგენის მიზნით, აღმოსავლეთ კახეთში, ბელაქანში დამკვიდრდა და აქედან ლეკები კვლავ ქრისტეს რჯულზე მოაქცია. მასთან ერთად მისიონერული მოღვაწეობით თავი ისახელა ანტონ ნაოხრებლის ძემ, რომელიც მესხეთიდან იყო.

1310 წ. საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ეფთვიმემ კახეთ-ჰერეთი მოიარა და დაღესტანშიც გადავიდა, სადაც ქრისტიანობა კიდევ უფრო განამტკიცა. დაღესტანში ამ დროს ხუნძახის ცალკე საკათალიკოსოც კი არსებობდა, რომელიც საქართველოს მღვდელმთავარს ექვემდებარებოდა. სინას მთის „სულთა მატიანეში" (გარდაცვლილთა მოსახსენებელი) XIV ს-ის პირთა შორის გვხვდება დაღესტნის ამ მხარის „ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი". ამ მოსახსენებელში ვკითხულობთ: „სულსა ხუნძელისა კათალიკოსისა და მისთა ძმათასა შეუნდოს ღმერთმან".

ხუნძეთიდან (დაღესტანშია) დღემდე მოაღწია XIV ს-ის ქართული და ქართულ-ხუნძური წარწერების ფრაგმენტებმა, სადაც ხუნძური ტექსტი ქართული ასოებითაა მოცემული. ეს ტექსტები ხუნძური ენის ყველაზე ადრეული ჩანაწერებია.

საქართველოს ეკლესია ქრისტიანული მსოფლიოს საეკლესიო ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობდა. 1438 წ. თებერვალში იტალიის ქალაქ ფერერაში გაიხსნა მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელიც შემდეგ ფლორენციაში გადაიტანეს. ამიტომ ეს საეკლესიო კრება ისტორიაში ფერერა-ფლორენციის საეკლესიო კრების სახელით შევიდა. საქართველოს წარმომადგენლობა ამ კრებაზე დიდი პატივით მიიღეს და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის კონსტანტინოპოლის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და ალექსანდრიის საპატრიარქოების შემდეგ მიუჩინეს მეხუთე ადგილი. კრების

სხდომებზე საერო პირებს შორის ძალზე საპატიო ადგილზე იჯდა საქართველოს ელჩიც. კრებამ მიიღო დადგენილება - ფლორენციის უნია (კავშირი), რომელმაც მართლმადიდებლებისა და კათოლიკების გაერთიანება გამოაცხადა. ქართულმა დელეგაციამ ამ უნიას ხელი არ მოაწერა და დროზე ადრე დატოვა მთელი საეკლესიო კრება.

ერთიანი საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დაშლა ეკლესიასაც შეეხო. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯები სამცხის ათაბაგებმა გადადგეს. ჯერ კიდევ XV ს-ში ალექსანდრე დიდის მეფობის პირველ წლებში მეფის წინააღმდეგ ამხედრებული ჩვენთვის უკვე ცნობილი სამცხის ათაბაგი ივანე შეეცადა თავისი სამფლობელო ეკლესიურადაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისათვის ჩამოეშორებინა, აწყურის ეპისკოპოსი მაწყვერელი სამცხის დამოუკიდებელ მღვდელმთავრად ექცია და ფორმალურად ანტიოქიის პატრიარქისათვის დაექვემდებარებინა. ეს ცდა იმჟამად წარუმატებელი აღმოჩნდა. მეფესთან ჭიდილში ივანე ათაბაგი დამარცხდა და აწყურის მთავარეპისკოპოსი გერასიმე იძულებული გახდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიქაელის წინაშე საგანგებო ერთგულების ფიცი დაედო.



დაახლოებით ოცდაათი წლის შემდეგ სამცხის საქართველოს საპატრიარქოსაგან ეკლესიურ ჩამოშორებას გიორგი VIII-ის წინააღმდეგ მებრძოლი ყვარყვარე II ათაბაგი შეეცადა. მან ივანე ათაბაგის მსგავსად სამცხის ეპისკოპოსებს წირვა-ლოცვის დროს საქართველოს მეფისა და პატრიარქის მოხსენიება აუკრძალა. ის სამცხის ეპისკოპოსებს თვითონ ნიშნავდა და მცხეთაში დასამტკიცებლად და საკურთხებლად აღარ უშვებდა. ყვარყვარე ათაბაგი ისე გათამამდა, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს სამცხეში ვარძიის მონასტერი და საეკლესიო მამულებიც კი ჩამოართვა. მაშინ საქართველოს კათალიკოს პატრიარქი დავითი სამცხეში გაემგზავრა და საფარის მონასტრის ახლოს დიდ მინდორზე მორწმუნეთა წინაშე ყვარყვარეს მიერ დანიშნული აწყურის მთავარეპისკოპოსი და სამცხის სხვა მღვდელმთავრები შეაჩვენა და ეკლესიიდან განკვეთა.

საეკლესიო კანონის თანახმად, შეჩვენების შემდეგ საათაბაგოს ეპისკოპოსებს და მღვდლებს საეკლესიო მსახურების უფლება აღარ ჰქონდათ. ეს იმდენად მძიმე სასჯელი იყო, რომ სამცხის ეკლესიამ პატიება ითხოვა. სამცხის მღვდელმთავრები მცხეთაში გამოცხადდნენ და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს წერილობით ერთგულების ფიცი მისცეს. XVI ს-ში სამცხეში საქართველოს საკათალიკოსოდან გამოყოფის კიდევ ერთ მცდელობას ჰქონდა ადგილი, რომელიც ასევე მარცხით დასრულდა.

ერთიანი საქართველოს უკანასკნელმა მეფემ გიორგი VIII კახეთში დამკვიდრების შემდეგ თავის ახლადშექმნილ სამეფოში საეკლესიო წყობილება ნაწილობრივ შეცვალა. მან ალავერდის მონასტრის წინამძღვარს მთავარეპისკოპოსის ტიტული მიანიჭა და ის კახეთის სამეფოს ეკლესიის მეთაურად აქცია. ამით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ხელისუფლება კახეთის სამეფოში ნაწილობრივ შეიზღუდა. ამის შემდეგ ალავერდის მთავარეპისკოპოსს კახეთის მეფე ნიშნავდა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მხოლოდ ამტკიცებდა.

სამცხისა და კახეთისაგან განსხვავებით, დასავლეთ საქართველოს ეკლესია სრულიად საქართველოს ეკლესიას ფორმალურადაც ჩამოშორდა. ეს პროცესი დასავლეთ საქართველოში ცალკე, აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს არსებობამ გააადვილა. ჯერ კიდევ X ს-დან მოყოლებული აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი საქართველოს კათალიკოს პატრიარქს ექვემდებარებოდა. ქვეყნის დაშლის ტენდენციის ზრდასთან ერთად, აფხაზეთის კათალიკოსის როლი დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში თანდათანობით გაიზარდა. XV ს-ის II ნახევარში საქმე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის დაქვემდებარებისაგან დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოყოფით დასრულდა. 1470-1474 წლებში გამოცალკევების მოსურნე დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავრებმა კარგად გამოიყენეს იერუსალიმისა და ანტიოქიის

პატრიარქის მიქაელის სტუმრობა და საგანგებო საეკლესიო დოკუმენტი „მცნებაჲ სარჯულოჲ“ შეადგინეს. ამ დოკუმენტის თანახმად, აფხაზეთის ახალი კათალიკოსი იოვაკიმი სტუმრად ჩამოსულმა პატრიარქმა აკურთხა. ეს ფაქტობრივად დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას ნიშნავდა.

აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს, იმერეთის) საკათალიკოსო საკუთრივ დასავლეთ საქართველოს გარდა, თავის სამწყსოდ დასავლეთ კავკასიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ყირიმსაც მიიჩნევდა. „კათალიკოსის საკურთხი არის სამწყსო: ლიხსა და კაფას შუა, რუსეთის სამზღვარსა და ჭანეთს შუა“, ვკითხულობთ XVI ს-ის II მეოთხედის საეკლესიო სამართლის ძეგლში „ბიჭვინთის იადგარში“. აფხაზეთის კათალიკოსს ამ ვრცელ ტერიტორიაზე: „ლიხთ იმერის, ჭოროხს აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღვაჲ პონტოს აქათ, სადა დიდისა ბიჭვინთისა საზღუარი მიაღწევს“. ეპისკოპოსების კურთხევის უფლება მიეცა, რაც საქართველოს კათალიკოს პატრიარქისაგან მისი დამოუკიდებლობის უმთავრესი ნიშანი იყო.

ამის შემდეგ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ქართულ სამეფო-სამთავროებში უზენაეს მღვდელმთავრად ითვლებოდა, მაგრამ დასავლეთ საქართველოს ეკლესია სამ საუკუნეზე მეტხანს გამოცალკავებულად ცხოვრობდა. ასე რომ, საქართველოს პოლიტიკურ დაშლას მისი ეკლესიური დაშლაც დაემატა.

# სარჩევი


თავი I

ჩვენი სამშობლო საქართველო 3

§ 1. საქართველო და მისი მეზობლები 3

§ 2. საქართველოს ბუნება 5

§ 3. საქართველოს მეურნეობის ტრადიციული სახეები 7

§ 4. რა გვქვია ჩვენ? 10

§ 5. საქართველოს მხარეები დღეს და ძველად 12

თავი II

ჩვენ და ისტორია 16

§ 6. ისტორია, ისტორიის დარგები და დამხმარე დისციპლინები 16

§ 7. ასტრონომიული და ისტორიული დრო 19

§ 8. ისტორიის პერიოდიზაცია 22

§ 9. ვინ და რას წერდა ჩვენზე წარსულში 26

§ 10. ჩვენ - ქართველები 28

§ 11. როდის შეიქმნა ქართული დამწერლობა? 32

§ 12. როგორ იწერებოდა საქართველოს ისტორია 34

თავი III

პირველყოფილი საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე 38

§ 13. ქვის ხანა საქართველოს ტერიტორიაზე 38

§ 14. ბრინჯაოს ხანა საქართველოს ტერიტორიაზე 40

თავი IV

საქართველო ანტიკურ ხანაში 44

§ 15. პირველი ქართული სახელმწიფოები და ძველი მსოფლიო 44

§ 16. ძველი მსოფლიო და საქართველო ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებში 46

§ 17. აქემენიანთა ხანიდან ალექსანდრე მაკედონელამდე 50

§ 18. ფარნავაზი და ქართლის სამეფოს წარმოქმნა 52

§ 19. ქართული სახელმწიფოები ფარნავაზისა და ქუჯის უახლოესი მემკვიდრეების ხანაში 56

§ 20. პომპეუსის ლაშქრობა საქართველოში 58

§ 21. ქართლი და ეგრისი I - II საუკუნეებში 60

§ 22. ქართული სახელმწიფოები III საუკუნეში 65

§ 23. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში 68

§ 24. ყოფა და კულტურა ანტიკური ხანის საქართველოში 71

§ 25. ქართული სახელმწიფოები IV საუკუნის II ნახევარსა და V საუკუნის I ნახევარში 79

§ 26. ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა 81

თავი V

საქართველო შუა საუკუნეებში 85

§ 27. რა არის ფეოდალიზმი 85

I. საქართველო ადრეფეოდალურ ხანაში 89

§ 28. ქართლი და ეგრისი VI საუკუნეში 89

§ 29. ქართლი და ეგრისი VII საუკუნეში 94

§ 30. არაბთა ბატონობა საქართველოში 97

§ 31. ქართული სამეფო-სამთავროები IX საუკუნეში 101

§ 32. საქართველოს ეკლესია ადრეფეოდალურ ხანაში 103

§ 33. კულტურა ადრეფეოდალური ხანის საქართველოში 111

II. საქართველო განვითარებულ ფეოდალურ ხანაში 121

§ 34. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის 121

§ 35. საქართველოს ერთიანი სამეფოს შექმნა 123

§ 36. საქართველო-ბიზანტიის ომები XI საუკუნის I ნახევარში. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის 126

§ 37. თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოქმნა და სელჩუკთა მიერ
საქართველოს დამორჩილება 132
§ 38. ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. დავით IV აღმაშენებელი და მისი ეპოქა 136
§ 39. საქართველო დავით აღმაშენებლიდან თამარ მეფემდე 145
§ 40. თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა...
ლომი ბრჭყალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან 152
§ 41. საქართველო გიორგი IV-ის მეფობაში 163
§ 42. ჯალალ ად-დინის ლაშქრობები საქართველოში 168
§ 43. საქართველოს ეკონომიკა, ქალაქები და ვაჭრობა X-XIII სს-ში 171
§ 44. სახელმწიფო წყობილება, საზოგადოებრივი ცხოვრება და ყოფა
X-XIII საუკუნეების საქართველოში 176
§ 45. საქართველოს კულტურა X-XIII საუკუნეებში 182
§ 46. საქართველოს ეკლესია X-XIII საუკუნეებში 192
§ 47. მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობა 195
§ 48. მონღოლთა ბატონობის ხანა საქართველოში 198
§ 49. გიორგი ბრწყინვალე 206
§ 50. საქართველო XIV საუკუნის II ნახევარში 211
§ 51. საქართველო ალექსანდრე დიდის ხანაში 215
§ 52. საქართველოს სამეფოს დაშლა სამეფო-სამთავროებად 219
§ 53. ცვლილებები საქართველოს სახელმწიფო წყობილებასა და ეკონომიკაში
XIV-XV საუკუნეებში 222
§ 54. კულტურა და საქართველოს ეკლესია XIII - XV საუკუნეებში 226

## რუკები:

**რუკა 1.** საქართველო და მისი მეზობლები
**რუკა 2.** საქართველოს მხარეები დღეს და ძველად
**რუკა 3.** სამხრეთ კავკასია და ელინისტური სამყარო
**რუკა 4.** ფინიკიური და დიდი ბერძნული კოლონიზაცია
**რუკა 5.** ქართლის სამეფო და ელინისტური სამყარო ძვ. წ. III საუკუნეში
**რუკა 6.** ქართლის სამეფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება ფარნავაზის ხანაში
**რუკა 7.** სამხრეთ კავკასია რომის ხელქვეით ძვ. წ. I საუკუნის II ნახევარსა და ახ. წ. I საუკუნის 30-იან წლებში
**რუკა 8.** ქართული სახელმწიფოები, რომის იმპერია და პართია I საუკუნის II ნახევარსა და II საუკუნეში
**რუკა 9.** ქართული სახელმწიფოები, ბიზანტია და სასანიანთა სპარსეთი V საუკუნის შუა წლებში
**რუკა 10.** ქართლის საერისმთავრო, არაბთა სახალიფო, ბიზანტია და ხაზართა სახაკანო VIII საუკუნის პირველ ნახევარში
**რუკა 11.** აფხაზთა სამეფო IX-X საუკუნეებში
**რუკა 12.** კახეთ-ჰერეთი IX-XI საუკუნეებში
**რუკა 13.** ქართველთა სამეფო ანუ ქართველთა საკურაპალატო 888-1001 წლებში
**რუკა 14.** ტაშირ-ძორაგეტის სამეფო და თბილისის საამირო X-XI საუკუნეებში
**რუკა 15.** სამხრეთ კავკასია X საუკუნის II ნახევარში
**რუკა 16.** საქართველო და სელჩუკთა იმპერია XI საუკუნის ბოლო მეოთხედში
**რუკა 17.** საქართველო დავით IV აღმაშენებლის ხანაში
**რუკა 18.** საქართველო ლაშა-გიორგის მეფობის ხანაში
**რუკა 19.** საქართველო და მონღოლები XIII საუკუნესა და XIV საუკუნის დასაწყისში
**რუკა 20.** საქართველო გიორგი V ბრწყინვალის ხანაში
**რუკა 21.** საქართველო XV საუკუნის დასასრულს
**რუკა 22.** საქართველო, წინა აზია და ევროპა XV საუკუნის დასასრულს

**სტამბა შ.პ.ს. გაზეთი „საქართველოს მაცნე"**
**გრ. რობაქიძის 7ა**



## მანანა სანაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მანანა სანაძის კვლევის ძირითადი ობიექტია უძველესი ქართული საისტორიო კრებული „ქართლის ცხოვრება“, აგრეთვე ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. მ. სანაძე არის ორი მონოგრაფიისა და ორმოცდაათამდე სამეცნიერო შრომის ავტორი. მისი თანაავტორობით ორ წიგნად, ვრცელი კომენტარებით გამოიცა თანამედროვე ქართულზე გადმოყვანილი „ქართლის ცხოვრების“ უძველესი მონაკვეთი.



## თამაზ ბერაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

თამაზ ბერაძემ შეისწავლა ქართული ზღვაოსნობისა და საზღვაო ვაჭრობის ისტორია, აღადგინა ძველი ქართული საზღვაოსნო ტერმინოლოგია. ის აგრეთვე წარმატებით იკვლევს ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების საქართველოსა და შავიზღვისპირეთის ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს. თამაზ ბერაძე არის ოთხი მონოგრაფიისა და სამოცდაათამდე სამეცნიერო შრომის ავტორი.